117
1978/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

4 1978



ვ. ი. ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 55-ე          № 4          აპრილი, 1978 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

მოწინავე . . . . . . . . . . 3
ირაკლი აბაშიძე — გუმბეი ღამით. ლექსი . . . . . . . . 7
ალექსანდრე ქუთათელი — მუხა. ლექსი . . . . . . . . 8
ფრიდონ ხალვაში — ასი წელიწადი. ლექსები . . . . . . . . 9
გიორგი ციციშვილი — სძლიე სიხარბესა შენსა. მოთხრობა. დასასრული . 13
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. წიგნი მესამე. გაგრძელება . . 74
ნიკოლოზ ტიხონოვი — ლექსები თარგმ. ბ. ბერიაშვილმა . . . . . 103
კოლაუ ნადირაძე — ვედრების თასი. ლექსი . . . . . . . . 105
ირაკლი ბაზაძე — ღრუბლის მაიმუნი. ლექსი . . . . . . . . 106
გიორგი შეთეკაური — ლექსები . . . . . . . . . . 109
კალე ბოგოხიძე — ორი ლექსი . . . . . . . . . . 111
ვანო ურჯუმელაშვილი — ერთი ქართული ბატალიონი. რომანი . . . 112
ჩონ ჩხოლი — ოცდაორი სიჯო. ლექსები. თარგმ. ჯ. ფხოველმა . . 135

### ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე

ლადო მრელაშვილი — დღეს ასნი და ათასნი გურჯანელნი . . . . 142

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გიორგი ნატროშვილი — თეთრი ვერხვი . . . . . . . . 153
ემზარ კვიტაიშვილი — სარაინდო რომანი და მისი სამყარო . . . . 164
ალექსანდრე გვახარია — ტაჯიკი ხალხის სიამაყე . . . . . . 173
ვალერიან გაბაშვილი — აღმოსავლეთის კულტურული შუბლი . . . 177
გიორგი თოგოშვილი, რუბენ ჩეჩითი — ვედრებისელი — მალიონი . . 184

### წიგნების მიმოხილვა

ა. აროშიძე — „გაზაფხულის ფოთლები“ . . . . . . . . 191

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

...ქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ნაკვეტაძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, რედაქტორის მოადგილის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 3/III-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IV-78 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 08330. ტირაჟი 17.000. შეკვ. 722.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1978.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენი ახალი კონსტიტუცია

მიმდინარე წლის 14-15 აპრილს გაიმართა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის რიგგარეშე მერვე სესია, რომელმაც ერთსულოვნად მიიღო და დაამტკიცა საბჭოთა საქართველოს ახალი, რიგით მეოთხე კონსტიტუცია.

უმაღლესი საბჭოს სესიას წინ უძღოდა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. ეს განხილვა წარმატებით და ნაყოფიერად მიმდინარეობდა და უდავოა, მან დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტს — უფრო მეტად დაიხვეწა მისი ესა თუ ის ფორმულა, უფრო დაზუსტდა ესა თუ ის მუხლი, თუ დებულება, მისმა დედააზრმა უფრო ღრმად გაიდგა ფესვი მშრომელი კაცის ფიქრსა და გულში, მთელ მის საქმიანობაში, მთელი ხალხის ისტორიულ ყოფასა და ცხოვრებაში, და ამ განხილვის მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო.

კონსტიტუციის დედააზრი გადმოცემულია მის შესავალში, სადაც აღნიშნულია, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოების ხელისუფლების დამყარების შედეგად ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს ძირეული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, დაიცვეს სოციალიზმის მონაპოვარნი და ააშენეს განვითარებული სოციალისტური საზოგადოება — მშრომელ ადამიანთა ჭეშმარიტი თავისუფლების საზოგადოება, სადაც შექმნილია მძლავრი საწარმოო ძალები, განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა და მაღლდება კულტურა, მტკიცდება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თანასწორუფლებიანი რესპუბლიკაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში, რომელიც განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფოებრივ ერთიანობას, აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობისათვის.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია დაფუძნებულია საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პრინციპებზე, რომელიც საბჭოთა ქვეყანამ მიიღო შარშანდელი წლის ოქტომბერში და რომელიც შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის უშუალო ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით. „ახალ კონსტიტუციას, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი, — სამართლიანად უწოდებენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების კანონს; სწორედ ასეთი საზოგადოებაა შექმნილი საბჭოთა კავშირში. სწორედ ასეთი განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება წარმატებით იქმნება სოციალისტურ თანამე-

გობრობის მთელ რიგ სხვა ქვეყნებშიც. და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კარგად წარმოვიდგინოთ მისი დამახასიათებელი თავისებურებანი, მისი ადგილი კომუნისტური ფორმაციის ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესში“.

განვითარებული სოციალიზმის ისტორიული თავისებურებანი, მისი ადგილი კომუნიზმის მშენებლობის ისტორიულ პროცესში ბრწყინვალედ არის გადმოცემული, უპირველესად, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნაშრომებში, რომელიც საბჭოთა ხალხს შთააგონებს ახალ-ახალი გამარჯვებისათვის ყველა უბანზე, ყველა დარგში, ეკონომიკისა თუ კულტურის სფეროში; ეს არის ლენინიზმის ტრიუმფი, ლენინის იდეების ბრწყინვალე გამარჯვება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის ტრიბუნიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ამხანაგ ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა:

„საბჭოთა კონსტიტუციამ, რომლის ნამდვილი შემომქმედი მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს, წინამძღოლი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევია, განაპირობა საქართველოს ახალი კონსტიტუციის შექმნა.

დღევანდელი და ხვალინდელი საქართველოს მხურვალე მადლობა ოქტომბრის რევოლუციის ჯარისკაცებს, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის მონაწილეებს, ჩვენი ქვეყნის კულტურული რევოლუციის პიონერებსა და ორგანიზატორებს, დიდი სამამულო ომის ქარტეხილების გმირებს, იმათ, ვინც ჩვენს შორის აღარ არის და იმათაც, ვინც დღესაც მწყობრში დგას და ვინც მეხსიერებაში შემოგვინახა, მემკვიდრეობით გადმოგვცა იმ ღირსსახსოვარი გმირული წლების მთელი რევოლუციური და შრომითი რომანტიკა.

საქართველოს კონსტიტუციაში ოქროს ასოებით ჩაიწერა სახელი ადამიანისა, რომელიც დროშად იქცა ჩვენს პლანეტაზე სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის, ჰუმანიზმისათვის, დემოკრატიზმისათვის ბრძოლისა — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი. სოციალისტური საქართველო, ისევე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკები, ლენინის გენიალური მოძღვრების უკვდავი ძეგლია.

ამ საზეიმო და ამაღელვებელ წუთებში როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ, რა სიყვარულით ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი საბჭოთა საქართველოზე, რა სათუთად ეკიდებოდა იგი ყველაფერს, რაც ჩვენს ხალხს აწუხებდა და აღელვებდა. ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის, ყველა საუკუნის ბუმბერაზთა ბუმბერაზის უკანასკნელი ჩანაწერები, უკანასკნელი ფიქრები და მითითებები საქართველოში პარტიის პოლიტიკის გატარებისათვის, სოციალისტური მშენებლობისათვის ზრუნვით იყო ნაკარნახევი.

მივიღეთ ახალი კონსტიტუცია, და საქართველოს კომუნისტთა დღევანდელი თაობა, საქართველოს ყველა მშრომელი საქვეყნოდ, საზეიმოდ აცხადებს: ჩვენ ვიმარჯვებდით ლენინის დროშით, ლენინის იდეებით, ჩვენ ვიმარჯვებთ ლენინის დროშით, ლენინის აზრებით, ჩვენ კვლავაც გავიმარჯვებთ დიდი ლენინის სახელით, რომ ჩვენი ხალხი არსად, არასოდეს არ გადაუხვევს იმ გზას, რომელიც ლენინის შუქით არის განათებული.

**დიდება დიდ ლენინს, დიდება ლენინიზმს!**

**ლენინური ტრადიცია გრძელდება, ლენინური ზრუნვა საქართველოზე, ისევე როგორც ყველა სხვა რესპუბლიკაზე, განუსაზღვრელია. ამხანაგ ლ. ი.**

ბრეჟნევის ყველა შრომა, მისი ყველა გამოსვლა გამსჭვალულია ლენინიზმის სულისკვეთებით, ლენინის იდეებით. მთელი პრაქტიკა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაძაბული, შემოქმედებითი მოღვაწეობისა ლენინური მოძღვრების, ლენინის იდეების მატერიალიზაციის ბრწყინვალე დემონსტრაციაა.

ის ფაქტიც, რომ დღევანდელმა საქართველომ მიიღო ძირითადი კანონი, რომელშიც ღირსეულად არის ასახული ყველაფერი, რაც გვაკავშირებს და რაც გვადუღაბებს ყველა საბჭოთა ხალხთან, ყველა რესპუბლიკასთან, და ისიც, რაც რესპუბლიკის თავისებურებას წარმოადგენს, იმაზე მეტყველებს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი თანმიმდევრულად, დაბეჯითებით ახორციელებენ სოციალისტურ დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარების, ხალხის აზრისადმი უღრმესი პატივისცემის ლენინურ კურსს. პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელი თავისი საქმიანობით, ყოველდღიური ცხოვრებით ნათლად ადასტურებს, რომ ხალხის ბედი საიმედო ხელთაა, ხალხისათვის ზრუნვა პარტიის უმაღლესი მიზანია, მთავარი კანონია.

ესაა რომ ასეთი აღმავლობით ჩატარდა, დღეს რომ საქართველოში ნამდვილი დღესასწაულია, ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს".

ამ სიტყვებში ჭეშმარიტად გადმოცემულია ის აღტაცება, ის ენთუზიაზმი, რომელმაც მოიცვა საქართველოს ყველა მშრომელის — მუშის, კოლმეურნის და ინტელიგენტის გული. საქართველოს კონსტიტუციამ აღნუსხა ის დიდი მონაპოვარი, ის სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომელიც ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და განვითარებული სოციალიზმის წყობილებამ მიანიჭა ჩვენს ხალხს და რომლებიც გარანტირებულია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით და საბჭოთა კანონებით. ეს არის უფლებათა და თავისუფლებათა ვრცელი ქარტია, დიდი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც თვალწინ წარმოგვიდგენს დღევანდელი საქართველოს ცოცხალ სურათს.

საქართველოს კონსტიტუციაში არის სპეციალური თავი „სოციალური განვითარება და კულტურა"; აქაც და მთელ კონსტიტუციაშიც ნათლად არის ასახული ჩვენი წინსვლის უაღრესად ფართო ჰორიზონტები, საერთოდ, კონსტიტუციაში არაერთი მუხლი ეძღვნება ქართული კულტურის დაცვისა და განვითარების საკითხებს, ყოველივე იმის დაცვას, შენახვას, რასაც ქართული ჰქვია, რითაც ქართველი კაცი ამაყობს...

ამ დიად საგანძურთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს ქართულ ენას, რომელსაც ჩვენი კონსტიტუცია საქართველოს სახელმწიფო ენად აცხადებს. ქართველ ხალხს თავის დედაენაზე უფრო ძვირფასი არაფერი აქვს, და ცხადია, ამ ფასდაუდებელ საუნჯეს დიდი მოვლა და გამუდმებული მზრუნველობა სჭირდება. აქ მწერლის როლი განუსაზღვრელად იზრდება. და განა მარტო მწერლის? სად ვითარდება ენა? ყოფაში, წარმოებაში, ფაბრიკა-ქარხნებში; იგი ვითარდება სოფლად, სადაც ხდება მეურნეობის ხელახალი ტექნიკური აღჭურვა, მისი მექანიზაცია და ქიმიზაცია, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია, ინდუსტრიული მეთოდების დანერგვა ყველა უბანზე — ყველაფერი ეს რამდენ პრობლემას აყენებს ენის განვითარების თვალსაზრისით არა მარტო მწერლის და ენათმეცნიერის, არამედ, ინჟინრის, აგრონომის, მექანიზატორის, მწყემსის, მეჩაის, მევენახის წინაშე. ენა მხარდამხარ უნდა მიჰყვეს, და ხანაც წინ უნდა უსწრებდეს მეცნიერულ-ტექნიკუ-

რი რევოლუციის გამალებულ წინსვლას; აქ მწერლისათვის ამოულეველი საქმე და სამუშაოა.

ბიბლიოთეკა

თავისთავად ცხადია, საბჭოური ცხოვრების წესის შესაბამისად, ჩვენი ქართული ინტერნაციონალური ტრადიციის შესაბამისად, ჩვენ ულრმესი პატივისცემით უნდა მოვეპყროთ მოძმე ხალხთა ენებს, მათ შორის, დიდი რუსი ხალხის ენას, პუშკინის და ლენინის ენას. ეს ასე იყო საქართველოში ისტორიულად და მით უმეტეს ასეა ახლა,როცა ქართველი ხალხი ცხოვრობს საბჭოთა ხალხების დიდ ოჯახში, როგორც თანასწორუფლებიანი წევრი ამ ოჯახისა.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია განვითარებული სოციალიზმის ეპოქის საქართველოს ნათელი და ცოცხალი სურათია, კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის დიადი მანიფესტია, ეს არის ჩვენი წინსვლისა და გამარჯვების ბრწყინვალე ნიშანსვეტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

## ბომბეი ღამით

ციკლიდან „და ისევ მწველ ინდოეთში"

ბომბეი ბრუნავს;
ბრუნავს ცეცხლი
ათასი ქუჩის;
ტრიალებს წითლად
ამღვრეული სამყარო მთელი...
ო, ეს ბომბეიც ჩაეტევა
პოეტის გულში,
ეს ბანგალორიც,
ეს მადრასიც,
აგრაც და დელიც;

ეს დიდი გვალვაც,
მუსონების ეს დიდი წვიმაც,
ეს ვრცელი ზეცაც;
უსასრულო ეს ზღვა და ხმელი,
სადაც კვლავ,
როგორც ათასეულ ზაფხულის წინათ,
ტრიალებს ახლაც
ბებერ შივას
ოთხივე ხელი.

დაიტევს გული,
მგოსნის გული
ამ გამტყდარ ხანშიც,
ამ ქვეყნის ხმაურს,
აგორებულ ცეცხლსა და რკინას...
ვერ დაიტიოს გულმა იქნებ
აგერ ის ბავშვი,
რომ ჩონჩხად ქცეულს
რესტორნის წინ
მკვდარივით ძინავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქუთათელი

## მუხა

ნიკო კეცხოველს

მივყევ ზეკარის გზათა ხვიარებს,
მთები, საირმე შემოვიარე,
ხევში ვიდოდა თეთრი მდინარე,
აქაფებული და მოგრიალე.

კლდიდან მოხეთქილ ლოდზე გამოჩნდა
ბერმუხა მდგარი განმარტოვებით,
ხე იყო ჩემი ხედვის გამოცდა
და მივხვდი, ველარ მივატოვებდი.

დაყურსულიყო ჩიტთა ბახლების
მსგავსი რკოებით მუხის შტოები,
ხეს ტანზე აჩნდა მეხის ნახმლევი,
ავი ჟამისგან დანატოვები.

ირგვლივ ტყე ერტყა შემოჯარული,
ტყე ვერა სცნობდა ბედის განაჩენს,
რომ ხეთა შორის ჟამი ფარული
აჟღრიალებდა ხერხის ქამანჩებს.

მუხა ხედავდა თავის ჯვარცმიდან
ტყეში ქურდივით განაბულ ბიჭებს,
ხეთა კენწეროს ქარი ვარცხნიდა,
კაცი ხერხავდა ტანკენარ ფიჭვებს.

ტყეში აქა-იქ გამოჩნდა ახო,
მერმე გაშიშვლდნენ მთების კალთები,
ბერმუხა შიშობს, მთები არ ნახოს
უდაბნოს ხვატით ღამენათევი.

ხმა ჰყო: „არ მსურს ობლად ყოფნა,
ვნახო ხეთა ამოძირკვა,
დავილევრები ჭირის ოფლად,
რომ გავადნო ლოდის კირქვა“.

თქვა და ვეება ლოდზე ნაზარდი
დადგა ბერმუხა, როგორც გოდოლი,
ერთმანეთს შორის მაშინ დავზავდით
და აშრიალდა მწვანე ფოთოლი.

მივყევ ზეკარის გზათა ხვიარებს,
მთანი ტყიანი შემოვიარე,
ხევში ვიდოდა ისევ მდინარე,
აქაფებული და მოგრიალე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

## ასი წელიწადი

წიგნიდან — „ასი მზე დედის გულისა“

აჰა, ასი წელია,
ასი წელიწადი,
იმ იარებს ვიშუშებ,
მტერო, სამ საუკუნეს
რომ მკლავდი და მწვავდი.

აჰა, ასი წელია,
ასი წელიწადი,
ძმასთან ძმობას დავეძებ,
ცრემლმომდგარი თვალებზე
მე, მართალი ცამდი.

აჰა, ასი წელია,
ასი წელიწადი,
სისხლად გულში გავლილო,
საქართველოს ყვავილო,
მიყვარდი და მწამდი;

ამ სიყვარულს თან ახლავს
სიხარულიც, დარდიც,
მაგრამ იგი ჩემია,
იმით გადამრჩენია
ასი წელიწადი!

აჰა, ასი წელია
ასი წელიწადი,
თავი მიდევს ნუგეშით,
თბილად დედის უბეში,
მზე კი სულში დადის.

* * *

ვიცი, მიწაზე მე რომ დავდივარ,
იქ — ვარსკვლავები სურათს მიღებენ.
ბედნიერი ვარ.
ვწუხვარ ძალიან, —
ბედნიერებას რად ვერ ვიყენებ!

ტოტმა სათქმელი როცა მომანდო,
ეგონა ვიტყვი ისე დიდი ვარ,
მაგრამ მეც ვეძებ ჩემს ელდორადოს
და იმედებით ქარში მივდივარ.

მიწამ სათქმელი როცა მომანდო,
უკეთ ვიტყოდი ალბათ ეგონა.
თუმცა მშობელი, ვიცი ბოლომდე
არ დამაყვედრის თავის დედობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ფრთების გარშემო ჰქრიან ნისლები,
ფერებში ახლა მეფობს ცისფერი
და ყველაფერი გაფაციცებით,
ნატრულო, შენი თვალით მიცქერის.

გკითხულობ: რაა, რად მეჩვენება
მე მისი სახე ყველა საგანში?

— ნუ შეეცდები მის შეჩერებას,
ნუ შეშინდები ამგვარ განგაშით, —

უსასრულობა მიჰძახის ასე
და სულ რაღაცას ვეძებ წვალებით.
შენ, ვენახივით ულამაზესი,
სამშობლოსავით სულ მეყვარები.

## შენი სახელი

მე ვიცი, შენი სახელი ჰქვია
ამ დღის სილურჯეს, ამ მოთბო ნიავს
ამ გატაცებას, მოწოლილს გვიან,
რომელსაც მთელი სიცოცხლე მიაქვს.

ამ ფიქრსაც შენი სახელი ჰქვია,
ამ ნდობას, ეჭვსაც და გულისტკენას,
ნოემბრის წვიმას, აპრილის იას
და უშენობის მძიმე მოთმენას;

ამ წუთსაც, შენზე დარდში რომ მიდის,
და ამ ჩრდილისფერ წოწოლა ნაძვებს,
შენი სახელი ჰქვია ამ სინდისს,
რომელიც მერე შენ გამო ლანძღეს.

შენ გამო ღალატს ვატყობ მეგობარს, —
მინგრევს იმედებს, კიცხვით მარიგებს...
მაგრამ თუ შენი თავი მეყოლა,
ქვეყნად მე რაღა გამაღარიბებს.

## შუამთობა

შუამთობის მოგონება
ახლა რაღაც გადიდდა,
მზე მოჰყავდა მწყემს გოგონას
ფეშტამალის კალთითა.

ისევ შუამთობაში ვარ,
ისევ შუატრფობაში,
ისევ შუაგზობაში ვარ,
ისევ შუაწრთობაში.

ისევ მომეალერსება
იმ იალის ნიავი,
როგორც მაშინ — მწყემსი გოგო,
გოგო ფეშტამლიანი.

ძმებო, სანამ ღიმილია
მთაში, გზაში, ოდაში,
ვიყოთ შუა სიხარულში,
ვიყოთ შუამთობაში.

## იყალთოს თქმული

იყალთოს ვუსმენ და სიტყვის მჯერა,
სიტყვის, მუდამ რომ სდევდა სიკვდილი,
დღეს კი მდუღარე, ვით გულისძგერა
დახსნილი სიტყვის მომაქვს გვირგვინი.

იყალთოს ვუმზერ, ტაოსაც ვხედავ,
ხმანი ქართულნი ჰქუხან ტაოსთან,
ანდა, შატბერდი განა დაბერდა?
ელიან იქაც ამ შოთაობას.

იყალთოს ვუსმენ და მესმის ბევრი
მივიწყებული, მაგრამ სათქმელი,
მე იქიდან ვარ, — ხმლითა და მტევნით,
სადაც წაიქცა ბევრჯერ ქართველი.

მე იქიდან ვარ, ბედკრულ ას წლებთან,
სადაც სისხლი და სიტყვა დაობდა,
სადაც ელიან, მუდამ ელიან
დღეს, პოეზიას და შოთაობას.

* * *

აქაფებული თეთრი ზვირთებით
გემს შეეგება ბოსფორის სრუტე,
მინარეთებიც თეთრად ინთება,
მაგრამ არ ვიცი გულში რა უდევთ...

ნელა მივცურავთ გემბანმიმქრალი
დგანან ანძები, — ლოცმანს ელიან,
ტრაპს ამოევლო ბიჭი — ცისკარი,
— სალამი, ძმებო! მეც ქართველი ვარ.

დადუმებული დარდანელამდე
ის მიუძღვება გემსა და პოეტს,
ჩანს ერთგვარია ჩვენი დარდები,
რომელიც მიგვაქვს, რომელსაც ვტოვებთ.

## ნატვრა შემოდგომაზე

ფოთლის ბულულები ცეცხლებში დადნა,
ვხედავ აკვირტებულს მომავალ მარტს.
რატომღაც მწარეა ეს ჩემი ნატვრა,
მაშინაც, როცა ჩვენ ერთად ვართ.

ეს წვა ადვილდება, თუ გულით გჯერა,
რომ ვინც გენატრება, იმასაც სურს,
შენი ერთი სიტყვის უბრალო ჟღერა
მალამოსავით დაადოს სულს.

* * *

წავიდა...
უცებ დაცხათ იელებს
და მოიწყინეს გზასთან იფნებმა.
„იქნება, ბევრი რამე იქნება“ —
მეჩურჩულება სიცარიელე;

ეზო უხმოა, ვით განშორება,
ხეთა ფოთლებზე ვხედავ-ქარია,
მესმის — არიან, სხვებიც არიან
შესძელი თავისთავის მორევა!

გაველი, შემხვდა დღე უთენია,
ფანჯრის მინები ბაცად მიმზერენ,
მე რომ მზე ვიყო, მოვალ ვიმზევებ,
მაგრამ კაცი ვარ, — გული მტკენია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შენი გარეცხილი პერანგი

შენი გარეცხილი პერანგით,
ცივი, თოვლისფერი ჭაერით,
ჯერ რომ ვერ ასულა ვერავინ,
მგონი იმ გორაზე აველი.

გული გუგუნებდა სხვა ძალით,
სუნთქვა უხაროდა ზამთრისა,
ვთქვი, დღეს ისეთია, რაც არის,
ცეცხლი მინელდება ნატვრისა.

ველი, სიყვარულს რომ შეფერის,
ან და, სიხარულს რომ შემარგებს,
შენთა თვალთა სხივით შეკერილ
სხვა წლის სხვა იისფერ პერანგებს.

ახალ საკისურს და სახელურს,
სულ სხვა სინათლეში გახვეულს,
ჩემი კისრისა და მაჯების
ოფლი გამიმუქებს მრავალჯერ.

მაგრამ თვალები სხვას ხედავენ,
დრო ხომ ავია და ვერაგი,
თავს ვინ მოიწონებს ნეტავი
შენი გარეცხილი პერანგით?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ციციშვილი

# სძლიე სიხარბესა შენსა!..

## მოთხრობა

ასეთი რამ გოდერძი ზენკლიშვილს არასოდეს არ დამართვნია: მალალომ კარგად იცოდა, რომ მის ქმარს გაზეთების კითხვა არ უყვარდა. ხანდახან სამუშაოზე თუ გადაავლებდა თვალს, თორემ სახლში მათი კითხვით თავი არასოდეს შეუწუხებია. ქვეყნის ამბებს რადიოთი გებულობდა. სამსახურში წასვლამდე ჩართავდა ხოლმე მიმღებს და დაწოლის წინაც უკანასკნელ ცნობებს აუცილებლად მოისმენდა. ეგ იყო და ეგ.

ახლა კი ისე ჩაღრმავებულიყო გაზეთში, თითქოს მისი დარდითა და ვარამით სავსე ცხოვრების ყველა კითხვაზე პასუხი სწორედ იქ ეგულებოდა.

მალალომ რამდენჯერმე აურ-ჩაუარა გაზეთის კითხვაში ჩაღრმავებულ მეუღლეს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მიიქცია მისი ყურადღება; მაშინაც კი, როცა გოდერძი წამით გამოხედავდა, და თითქოს გამოფხიზლებული, მზერას ცოლზე შეაჩერებდა, მაშინაც სულ სხვაგან ჰქროდა ამ უჯიათი კაცის გონება.

მალალოს ჩვეულებად ჰქონდა: საიდანაც არ უნდა დაბრუნებულიყო, რა საშური საქმეც არ უნდა ჰქონოდა, რანაირი დაღლილიც არ უნდა ყოფილიყო, პირველ ყოვლისა, საგარეო ტანსაცმელს გაიხდიდა, შეინახავდა, საშინაოს გადაიცვამდა და მხოლოდ ამის შემდეგ მოჰკიდებდა საქმეს ხელს. ტანისამოსის გაფრთხილებას მამისეულ სახლში მიაჩვიეს. მთლად ახალი კი არა, დიდი ხნის ნაცვამ-ნატარები კაბაც რომ ოდნავ გარღვეოდა, დარეჯანი ისე გაიფოფრებოდა, ისეთ წიოკობას ასტეხდა, ისეთ ვაიუშველებელს დააწევდა, გეგონებოდა, რაღაც უბედურება მოხდაო.

ალბათ, იმ ძველი ჩვევის ბრალი იყო, რომ ამჟამად, როცა ორი კარადა ახალი იმპორტული ტანისამოსით ჰქონდა პირთამდე გამოტენილი, მალალო მაინც ისეთნაირად უფრთხილდებოდა თვითეულ კაბას თუ მოსასხამს, თითქოს მხოლოდ მათი ამარა ყოფილიყო.

ახალი თუ რამ ეცვა, დაჯდომასაც კი ერიდებოდა. ცდილობდა სულ ზეზეულა მდგარიყო, ტანისამოსი არ დამეჭმუჭნოს და პეწი არ დაჰკარგოსო. მართალია, ამ შიშს არ ამჟღავნებდა, რაც არავის ამჩნევინებდა, მაგრამ გულში კი გამუდმებით ედო.

ახლა, გოდერძის ასეთ დღეში დამნახავს საგარეო ტანსაცმლის გამოცვლა დაჰვიწყებოდა და ყავისფერი, პრიალა იტალიური ქსოვილის ისევ იმ წყვილში იყო გამოწყობილი, რომელიც მძახლებთან სტუმრობისას ეცვა. ეს მოდურად ნაქსოვი ჟაკეტი და მისი ქვედაწელი მუქმწვანე ქსოვილით იყო საყელოსა, სამაჯურებსა და ქობაზე შემოპირული.

მალალოს შესუქებულ, მაგრამ ჯერ კიდევ მწყაზარსა და ძლიერ ტანს, ეს საგარეო წყვილი განსაკუთრებით აახალგაზრდავებდა. მისი შემხედვარე ვერც კი იტყოდი, რომ იგი სიბერეში გადასული ქალი გახლდათ.

ალბათ, ამიტომ, უყვარდა მალალოს მისი ჩაცმა და საზეიმო დღეებში აუცილებლად ამ უცხოურ ტანსაცმელში გამოეწყობოდა ხოლმე.

მალალოს ეგონა დავბრუნდები თუ არა, გოდერძი მაშინვე მეცემა, სანდრაანთ ამბავს

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 3.

გამომკითხავს, შეკითხვებით სულს ამომხდის. მართლაც ასეც იცოდა: თუ რამე დააინტერესებდა, ადამიანს აღარ მოასვენებდა, შეკითხვებს დააყრიდა და სანამ ყოველივეს წვრილად არ გამოჰკითხავდა, არ მოეშვებოდა.

ახლა კი მეუღლის მოსვლაც ძლივს შენიშნა.

მალალომ ვერ აიტანა ასეთი უდიერი მოპყრობა, ასეთი შეურაცხმყოფელი დახვედრა და როგორც იყო, იმავე საგარეო ტანისამოსით ლოგინზე ჩამოჯდა!

სხვა დროს ამას არავითარ შემთხვევაში არ იზამდა. განა შეიძლებოდა იტალიური ნაქსოვი კაბით ასე ჩამოჯდომა? რომ განიერებულიყო, გახეულიყო, ნაკეცი შეეცვალა, მომჩვარულიყო?

მაგრამ ამჯერად მალალო მაგას აღარ დაგიდევდა. ისე ეუცხოვა ქმრის ქცევა, ისე ჩააფიქრა და დააღონიანა მისმა უსიტყვო დახვედრამ, რაღაც უცნაურმა ჩაღრმავებამ გაზეთში, რომ მხოლოდ ერთი სურვილიღა ამოძრავებდა: რაც შეიძლება ჩქარა გაეგო რა ეწერა იქ, რამ ჩაითრია ასე ძალუმად კითხვას მიუჩვეველი მისი ქმარი.

— გოდო, რომ არ მოხვედი, ძალიან იდარდეს. სანდრა სულ შენსკენ იწევდა, უნდა წავიდე და მანქანით ციმციმად წამოვიყვანოვო. სანამ ცხრაჯერ არ დამაფიცა, შეუძლოდ არის-მეთქი, არ მომეშვა...

გოდერძი უხმოდ იწვა.

გაზეთში აღარ იხედებოდა. ჭერს შესცქეროდა, თვალები ერთი წერტილისათვის მიეპყრო.

— დიდი მხიარულება ჰქონდათ, შენი სადღეგრძელო ერთის ამბით შესვეს. ისე შეგაქეს და შეგამკეს, — იშვიათად შეხვდები ასეთ ამაღლებასა. ნამდვილი მამულიშვილიაო, კარგი მოქალაქეაო, იმნაირი გულის პატრონია, უნდა ყველა შიგ მოითავსოსო, მოსიყვარულე და გამტანი კაციაო... რა ვიცი, რაები არ ილაპარაკეს... ეტყობა ძალიან უყვარხარ და ხათრიც დიდი აქვთ!..

— დედაკაცო, ნეტავი რა გრჯის აგრე რომ ტყუიხარ?

— უი, დამიდგა თვალები, ტყუილს რაში მატყობ, მოსატყუარი რა მაქვს?

— გინდა, ვითომა, შენი ჭკუითა, გულს მომიფონო. აბა, ერთი მითხარი, ჩემს სადღეგრძელოს საიდან შეესწრებოდი, როცა მისვლისთანავე ფეხი დაგიკრავს და უმალვე უკან გამოქცეულხარ?

მალალოს ხმა ჩაუწყდა.

ტყუილად კი არ უფიქრია მრავალჯერ, რომ გოდერძი ნამდვილი ნათელმხილველი, ნამდვილი გულთმისანი არისო.

მართლაც, აბა, ახლა საიდან მიხვდა? მაგრამ მალალოს სიმართლის გამხელისა შერცხვა, თავისი ნათქვამის გამართლება სცადა.

— უმალვე რათა? კარგა ხანს დავრჩი. გავესაუბრე, ნეფე-პატარძალი დავლოცე და ისე წამოვედი... შენა კიდევა ისეთი ახირებული ლაპარაკი იცი, კაცსა გულს დაუზაფრავ...

— კარგი, მაშ ეს მითხარი, თამადად ვინ იყო?

— თამადად? — შეცბა მალალო, — აბა, რა ვიცი, მე აქეთა ოთახში ვიყავი, ხმაზე ვერ ვიცანი.

— ეგეცა შენი მეორე ტყუილი. აქეთა ოთახში ვინ გაგაჩერებდა? რახან სუფრაზე დასხდომას მოუსწარი, ყველაზე საპატიო ადგილს შენ მოგიჩენდნენ.

— ეჰ, ერთი შენცა, მე თვითონ არ მოვინდომე. წასასვლელი ვარ-მეთქი, ქმარს უნდა მივხედო-მეთქი...

— კარგი ერთი და, ტყუილი რაში გჭირდება, აქამდე აგრე რო არ იცოდი.

— ოჰო, ჰო, ჰო, რაც შენ ადამიანის განადგურება იცი...

— დედაკაცო, ანგარიშის საქმე არ არის, შენა სულ ახლახან წასვედი. იმათა ქორწილი კი ნაშუადღევსა აქვთ დანიშნული. ჯერა სუფრასთან დაჯდომასაც ვერ მოასწრებდნენ, არამც თუ ჩემი სადღეგრძელოს შესმასა. ჩემი და შენი სადღეგრძელო სულ ადრე, სულ ადრე, მეოთხეზე ადრე არ დაილევა. ჯერ თამადას დალოცავენ, თამადად თვითონ სანდრა იქნება, მერე ნეფე-პატარძალს, მერე პატარძლის ოჯახსა და მხოლოდ შემდეგ ჩვენა...

პასუხად მალალოს გულამოჯდარი ქვითინი გაისმა.

გოდერძიმ თავი დასწია და თავის ფერხთით გაშოტილ ცოლს დახედა.

— რა დაგემართა, დედაკაცო?!

— შენი მაცქერალი სრულ ჭკუაზე აღარა ვარ, აღარა, — სლუკუნ-სლუკუნით. ამბობდა მალალო, — მე თვითონაც აღარ ვიცი, როდის ვტყუივარ და როდის ვამბობ მართალსა. თავზა მაქვს არეული, ნეტავი რა ვქნა, რა წყალში გადავარდე... ცალკე შენი ამბავი მიღებს ბოლოს, ცალკე იმ ბიჭისა. ხანდახან ვნატრობ, ნეტავი, უეცრად გამისკდეს ეს ოხერი გული, არც ტკივილი ვიგრძნო, არცა ტანჯვა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩე და მოვისვენო. აბა, რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე?

გოდერძი გაქვავებულივით იწვა.

მერე საბანს ზემოთ დადებული თითებგადაწნული ხელები გაიცალკევა, ორივე მკლავი ქვემოთ გააპარა, მალალოს კეფაზე შემოაწყო და თავისი გაუხეშებული თითები ყურსუკანა ძვლებზე ისე წაუსვა, თითქოს შიგ რაღაც მალამო უნდა ჩაეზილოსო.

მალალო ჯერ უფრო აზლუქუნდა, მერე მიჩუმდა და იმ ხატაურა კატასავით გაიტვრინა, ღაბაბის ფხანას რომ დაუწყებენ.

დიდხანს იყვნენ ასე ყუჩად. არც ერთი არ იღებდა ხმას.

— როგორ ატყობ, ცოტა ხომ დაშოშმინდა, საწადელს რო მიაღწია? — იკითხა ბოლოს გოდერძიმ. იგი შვილს გულისხმობდა.

მალალო ლოგინზე წამოჯდა, ნამტირალევი თვალები დასწითლებოდა. ქაკეტზე დაიხედა ხელით გაიუთოვა, აქა-იქ აყოლილი ბურტყლი ჩამოიცილა, ზოგს წკიპურტი გაჰკრა, ზოგიც თითებით მოიშორა. მერე წამოდგა, კაბას ორივე ხელი დაუსვა, გაისწორა, და მხოლოდ ამის შემდეგ დაჯდა.

— აბა, რა გითხრა, კმაყოფილი ჩანს.

— ნეტამც, ეგ დამშვიდდეს, ჩვენი თავი ჯანდაბას.

მალალოს ხმა არ ამოუღია. ლოგინზე გაშლილ გაზეთებს დააკვირდა. მან გაბმული კითხვა არ იცოდა. ცალცალკე ასოებს თითქმის ყველას ცნობდა, მაგრამ მათი ერთად ამოკითხვა, სიტყვასა და წინადადებაში გაერთიანება არ შეეძლო.

მიუხედავად ამისა, გაზეთებს კარგად არჩევდა, გარეგნულად ყველას იცნობდა. ზენკლიაანთ სამი გაზეთი მოსდიოდათ: „კომუნისტი", „თბილისი" და მცირე ფორმატის რაიონული „ქართლის ჩირაღდანი". ოჯახის მეთაური მათი კითხვით თავს არ იწუხებდა, თუ კითხვის იშტაზე მოვიდოდა, სამსახურში გადაავლებდა ხოლმე თვალს. ისე, რომ, სახლში მოსულ გაზეთებს მალალო აგროვებდა და მათი მოტანის თანამიმდევრობის მიხედვით საწოლარეულოში საგანგებო თაროზე აწყობდა. ახალი გაზეთი ძველში არავითარ შემთხვევაში არ აერეოდა, თუმცა რიცხვს არასოდეს არ დახედავდა. რაღაც უცნაური გუმანით გრძნობდა, რომელი გაზეთი იყო გუშინდელი და რომელი გუშინწინდელი.

საათზე წარწერილი რომაული რიცხვების ამოცნობაც უჭირდა. მაგრამ ისე კარგად ჰქონდა დამახსოვრებული საათის ისრების მდგომარეობა, თუ სად, რომელ ადგილზე მათი ყოფნა, რა დროს ნიშნავდა, რომ უშეცდომოდ იტყოდა ხოლმე: — ახლა ექვსი საათი და ერთი ჩარექია. ამაზე მეტი სიზუსტე აღარ შეეძლო, რადგან მხოლოდ მთელი საათების, ნახევრებისა და ჩარექების გაზომვა იცოდა.

აი, ახლაც, თავისი ბასრი მზერით ისე დასცქეროდა ლოგინზე გაშლილ ოთხივე გაზეთს, თითქოს სამუდამოდ ლამობდა მათი იერის დამახსოვრებას, რათა შემდეგ მათივე დახმარებით ქმრის უცნაური ქცევის მიზეზი დაედგინა.

— როგორ ცხოვრობენ, წელმაგრად? — უხალისოდ იკითხა გოდერძიმ.

— ასრე ჩანს, ძალიანაც ღონივრად არიან...

— რატომაც არ იქნებიან, ე სოციალიზმი მაგისთანებისთვინაა გაჩენილი. იქით მხარესა ბარე ოცი წელია არა ვყოფილვარ, სახლი კარგი უდგათ?

— სახლიც კარგი უდგათ და შიგნიდანაც კარგადა აქვთ გაწყობილი.

— ჩვენსაზე უკეთესია? — იჭვნეულად ჰკითხა გოდერძიმ.

მალალო წამით ჩაფიქრდა. ეტყობა, გონებაში თავიანთისა და სანდრაანთ ქონებას ადარებდა.

— უკეთესი შეიძლება არ იყოს, მაგრამ არც უარესია.

— ბიჭოს!

— აბა, რა, — დაამშვიდა ცოლმა, — ერთ ოჯახში სოციალისტური შრომის ორი გმირია და ერთიც დირექტორი.

— ახლა რაისაბჭოს თავმჯდომარეც შეემატებათ და რაღა უჭირთ!..

— რაიო, თავმჯდომარეო?

— ჰო, რა გიკვირს, სანდრა გასწევს, დააწინაურებინებს. აბა, რისთვის შეუვიდა ზედსიძედ?

— ე, მაგანა სიხარბითა ვინძლო სულაც კისერი არ მოიტეხოს, — მალალომ დაეჭვებით გადახედა ქმარს.

— მოიტეხავს. — უხალისოდ გაეპასუხა გოდერძი.

— იიჰ, რა ადვილად ლაპარაკობ? გეგონება ვიღაც გადამთიელზე ამბობდე! გავიწყდება, რომა შვილია შენი!..

— ჩემი შვილობა თვითონ არ ინდომა და რა ვქნა, იქით მივეძალო?

— უნდა მიეძალო კიდეცა და დაიბრუნო კიდეცა. დიახ, ისევ უნდა გაიერთგულო, ისევ უნდა შეიტკბო!..

— ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო. — ჩაიმღერა გოდერძიმ. — ეჰ, დედაკაცო, დედაკაცო, თუ ჭკუა აქვს, მე კი არა, ის უნდა მომეძალოს. ჩემი და შენი საიქიოსკენ გამცილებელიც ეგ უნდა იყოს, მარტო სანდრას ყმობა არ უშველის! მაგ ბიჭს კი ჰგონია, ეს ამოდენა ვირგლა კაცი თუ მყავს მფარველად, მარტო ეგ გამიყვანს ფონსაო, მარტო ეგ მეყოფაო. სანაძლეოს როცა დებ, ისე უნდა დასდო, — აუცილებლად მოიგო. სხვანაირად რა ჭკუა აქვს? ცხოვრებაც სანაძლეოსა ჰგავს, თუ ხედავ, რომ ვერ მოიგებ, იმ გზას ნუ გაჰყვები, ვინ გაძალებს?

მალალომ ხმა არ გასცა. ოთახში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა ცოლ-ქმარი თავ-თავის საფიქრალს მიეცნენ.

— დედაკაცო, ვახშამი მომიმზადე, მომშივდა.

მალალოს კარგა ხანია შემჩნეული ჰქონდა, თუ მის ქმარს მადა უბრუნდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ გუნებაც უკეთდებოდა. ამიტომ მაშინვე სამზარეულოში გაეშურა. გოდერძიმ კი ბალიშის ქვეშიდან ერთი რომელიღაც გაზეთი გამოაძვრინა და მის კითხვას შეუდგა.

მალალო რომ ქმრის დასაძახებლად შემოვიდა, იგი ისევ გაზეთს ჩასცქეროდა. მალალო ფრთხილად მიუახლოვდა საწოლს და გაზეთს გვერდულად დახედა. იგი წინადღის „თბილისი" აღმოჩნდა.

გოდერძი უკანასკნელ გვერდზე დაბეჭდილ რაღაც დიდ წერილს კითხულობდა. მალალომ გაზეთი და წერილის ადგილი დაიმახსოვრა, — ქვედა მარცხენა კუთხე. გადაწყვიტა მარტო დარჩებოდა თუ არა, რაც არ უნდა დასჯდომოდა გაეგო, რას ეხებოდა ეს წერილი და ამით ქმრის ასეთი არნახული დაინტერესების მიზეზი დაედგინა.

მაგრამ არც გოდერძი იყო ნაკლებ მიხვედრილი კაცი.

შეამჩნია თუ არა, რომ მას განსაკუთრებული ყურადღებით უთვალთვალებდნენ, ცოლის ოთახიდან გასვლისთანავე გაზეთი ოთხად დაკეცა და იქვე, სკამის საზურგეზე ჩამოკიდებული პიჯაკის გულის ჯიბეში ჩადო. დანარჩენი გაზეთები კი თვით მალალოსვე მოაკრეფინა, სამზარეულოში ჩაატანინა და მიჩნეულ ადგილზე დააწყობინა.

მალალომ იჭვნეულად გახედა თაროზე შეწყობილ გაზეთებს და იმედი მოეცა, რომ მეორე დილითვე, როცა ქმრის ყურადღება მოდუნდებოდა, საწადელს მიაღწევდა.

მაგრამ რაოდენ დიდი იყო მეორე დღეს მისი გაკვირვება, როცა ყველა გაზეთი ცალცალკე გულდასმით გადაათვალიერა და ის ერთად-ერთი საგანგებოდ შეგულებული „თბილისის" ცალი იქ არ აღმოჩნდა! აი, მაშინ კი მიხვდა, რომ ქმარმა მოატყუა. თავისი ყურადღების კვალი ისე მიხვეტა, თვით ეშმაკიც კი ვერაფერს გაიგებდა.

მეორე დილით, გაახილა თუ არა მალალომ თვალი ქმრისკენ გაიხედა. გოდერძი ისევ ისე იწვა, როგორც წუხელ. ეტყობა ადრე გამოღვიძებოდა, ბალიშებიც იმნაირადვე აეხუხულავებინა და ნახევრად მწო-

ლიარე ამჟღერადაც ფიქრში იყო წასული.

— კაცო, რასა ფიქრობ ამდენსა? — შეეხმაურა მალალო, — გეგონება მთელი ქვეყნის საფიქრალი შენ დაგაწვა. რით ვერ მოიფიქრე, რასაცა ჰფიქრობ?

— მოვიფიქრე. — ყრუდ წარმოსთქვა გოდერძიმ და ცალი თვალით მალალოს გამოხედა.

არ მოეწონა მალალოს არც პასუხის კილოვნება, არც ქმრის თვალების ციალი. ისეთი შიგჩაბრუნებული, ისეთი დარდიანი გამოხედვა ჰქონდა, ქალს გული ძალუმად შეუკრთა.

— აგრე რატომა ზიხარ, ვერ გაიგონე რა გითხრა ექიმმა, არ უნდა გაინძრე, და არც უნდა წამოდგეო? — მალალო გულში ძალიანაც ნანობდა ისეთი უხერხული კითხვა რომ მისცა, რაზედაც ქმარს მრავალმეტყველი პასუხი გამოსტყუა: — „უკვე მოვიფიქრე!".

ნეტავი რა მოიფიქრა ან რა გადაწყვიტა? — ახლა ამაზე დარდმა გადარია მალალო, მოსვენება დაუკარგა, ააფორიაქა, გული რაღაც ცუდს უგრძნობდა შავდათუაანთ ქალს.

ახალდაბინდებულზე მალხაზი მოვიდა. მამას წამლები მოუტანა. გულისკუნთის გამამაგრებელი საშუალება არისო. ერთმა თბილისელმა კარდიოლოგმა მომცაო, უცხოეთიდან ჩამოიტანაო. — თან გოდერძის თავთით მდგარ პატარა კარადაზე ლამაზი ბოთლიკები დაუწყო.

— თუ რამ მოგიდუნდა, იმასა ვეღარაფერიც ვერ უშველის. — ცბიერად გაუღიმა გოდერძიმ შვილს, — ვერც უცხოური და ვერც შინაური.

— ნუ იცი, კაცო, იმედის აგრე გადაწყურვა, — შეუტია მალალომ, — ხამაგისო ხომ ჯერ არაფერი გჭირს.

— ეჰ, ეჰ, ჩემო მალალო, ვის რა ჭირს, იმასა, აბა, ვინ გამოიცნობს.

მალალომ ქმარს საბანი შემოუკეცა, შვილსა და ქმარს თვალი მოარიდა, შეეშინდა არ ასცრემლებოდა.

— ბიჭოუ, — შემობრუნდა გოდერძი,— როგორა გრძნობ თავსა ახალ სამყოფელში? ხომ გირჩევნიან დედ-მამასთან ცხოვრებას? იქა, ძმაოსან, სულ გმირებსა და დირექტორებში ხარ, პატიოსანი თვალიერითა ბაჯაღლოში ჩასმული, აქა კიდევ ერთ საცოდავ კომბინატორსა და ერთ უწიგნურ დედაბერს შუა გქონდა თავი ბოლოკივით ამოყოფილი... — და გოდერძიმ ისე ჩაიხვისვინა, კაცი ვერ მიხვდებოდა რა იყო ეს, არც სიცილსა ჰგავდა, არც ტირილს.

მალალო ისევ საბნის შემოკეცვას შეუდგა. თავი ისე დაბლა ჰქონდა დახრილი, მარტო კეფაღა მოუჩანდა.

— მამაჩემო, — ყრუდ წარმოთქვა მალხაზმა, — რატომ ისერავ ცუდუბრალოდ გულღვიძლს, ან მე რად მაწამებ? შენ თუ არა გტკივა, მე მაინც დამინდე...

— შენ კი დამინდე?

— რა ვქენი მაგის ფასი, რომ ლამისაა მთლად მომიძულო და მომიკვეთო?

— რა ჰქენიო? — თვალები გაუფართოვდა გოდერძის, სუნთქვას უხშირა, ფერი დაჰკარგა...

— გოდო, შენი ჭირიმე შენი, ნუ აღელდები, უბედურება არ დაგვატეხო თავსა!.. ჰეი, ბიჭო, შე მამაძაღლო, ნუ ამღელვარებ ... ბოლოსა და ბოლოს, მამაშენია, რა გინდა, რას გვემართლები!.. — და მალალომ ისევ ლოგინში ჩარგო თავი, მხრები აუცახცახდა.

მაგრამ ამჟღერად თვითონ გოდერძი გადავიდა იერიშზე.

— ამბობ, ისეთი რა ვქენიო, არა?

— დიახ, ისეთი რა? — მალხაზმა ხელები გაშალა.

— მშობლებს ხელი ჰკარი, მიგვატოვე, თვითონ სხვაგან გაიქეცი. გგონია, თუ ჩვენთან იქენი, სახელი გაგიტყდება. ჩვენა სასირცხვო ხალხადა გვრაცხ, განა ეს ცოტაა?

— მაგაზე ხომ უკვე ვილაპარაკეთ, ერთხელ და ამომწურავად...

— ამომწურავად, არა! და ყველაფერიც ამოვწურეთ, ხომა?

— მით უმეტეს, რომ სულ არ წავსულვარ, დროებით დავშორდით.

— ეგ როგორ უნდა გავიგოთ, აგვიხსენი, შენს გაზრდასა!..

— როგორა და ეს ტალღა რომ გადაივლის, ისევ მოვბრუნდები, სულ ხომ ვერ მიგატოვებთ?



[library stamps]

— ტალღა რომ გადაივლის მაშინა, ხომ?

— დიახ!

— ესე იგი დაელოდები სანამ მე და დედაშენს ის ტალღა დაგვახრჩობს. მანამდე კი შენ მეჩეჩზე იჯდები არხეინად, მერე როცა ტალღა გადაივლის და ჩვენ უკვე დამხრჩვალი ვიქნებით, იმ მაღლობიდან გადმოხვალ და დაბლობზე დასახლდები? ასე თქვი, ვგონებ, არა?

— ეჰ, მამაჩემო, რად გინდა ეს ძალად ნაცოდვილარი სიბრძნე, ეს ნაჩორკნი ფილოსოფია? მოვლენებსა და საგნებსა პირდაპირ უნდა შეხედო, რომ ნათლად და სწორად დაინახო, რეალისტურად...

— შენც რეალისტურად იქცევი, ხომ? სანამ ჩვენ გვიჭირს, სხვაგან გარბიხარ, მერე, როცა საფრთხე გადაივლის, ან ჩვენც მას გადავყვებით, სოროდან ამოხვალ და მემკვიდრეობას დაეპატრონები?

— არა, შეუძლებელია ამ კაცთან დამშვიდებული ლაპარაკი, ამასა ქვის კოდვა ჯობია!

— კაცთან კი არა, მამაჩემთანა-თქო, შე ვირო, შენა! — მე ჯერაობითა მამაშენი მქვიან!..

— გოდო, შენი მუხლების ჭირიმე, გოდო, არაფერი აიტეხო, დაწყნარდი!... ჰი, ბიჭო, ჯობია დროზე გაგვეცალო!!...

— ნეტავი რას მემართლებით? ქალი აქეთ არ წამყვებოდა, ამიტომ დროებით სიმამრიანთა გადავედი. დალაგდება ყველაფერი, ბავშვი გვეყოლება და ისევ აქეთ გადმოვალთ... სად არის აქ აბუჩად აგდება, უნდობლობა, მშობლების ღალატი, უპატივცემულობა და ათასი ბრალდება, რომელთაც მე მიყენებთ. ხომ მოგეცით სიტყვა, უკან მოვბრუნდები მეთქი?

— მობრუნდები? — წარბები აზიდა გოდერძიმ და მოულოდნელად უჩვეულო ხმით ჩაიხითხითა. ამ ხითხითისგან მალალოს ტანში გასცრა. ასეთი იქედნური ხითხითი ქმრისაგან ჯერ არა სმენოდა. გაუკვირდა, გოდერძის სიცილი არ უყვარდა, მერე ისიც ასეთი? ამ ხმით ალბათ ტარტაროზები კისკისებენ ჯოჯოხეთში. ავის მაუწყებელი იყო ეს სიცილი მალალოსათვის.

— დიახ, მოვბრუნდები.

—არა, ჩემო ძმაო, ნუღა მობრუნდები. ეს თამაში არ გახლავს!

— როგორ, თუ ნუღარ?

— როგორა და როგორც ვთქვი, ვსიო! — ეს სიტყვა გოდერძიმ სწორედ ისე წამოიყვირა, როგორც ისაკა დანდლიშვილმა იცოდა. მერე თითქოს მოეწონაო, კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა: — ვსიო, ვსიო! — და ლოგინზე გადაბრუნდა, შვილს ზურგი შეაქცია.

მალალო პირდამხობილი ეგდო, ხმას არ იღებდა.

მალხაზმა აღარ იცოდა, რა ექნა. ჯერ რაღაცის თქმა დააპირა: მერე გადაიფიქრა. ერთი ორჯერ აქეთ-იქით ბოლთა დაარტყა, ბოლოს კარი უხმოდ გაიხურა და დაუმშვიდობებლად წავიდა.

მალალო ორ ცეცხლს შორის აღმოჩნდა: ცალკე შვილის დარდი ჰკლავდა, ცალკე ქმრისა.

ვერც გული მოეოხებინა. ეშინოდა ჩემმა ტირილმა გიდერძიზე ცუდად არ იმოქმედოსო, მაგრამ ვერც უცრემლოდ ძლებდა. მალხაზის ამბავი გულს აფთარივით უღლეჯდა.

იმ საღამოს, როცა მალხაზმა კარი დაუმშვიდობებლად გაიხურა, მალალო ლამის წამოხტა: ერთი სული ჰქონდა, ჯერ შვილს ჩავარდნოდა ფეხებში, მერე ქმარს სცემოდა, თავისი თავი შეევედრებინა, დაეფიცებინა, მოჩხუბარნი როგორმე შეერიგებინა, მაგრამ თავს ძალა დაატანა, შეეშინდა ასეთ რამეს გოდერძი ვერ გაუძლებსო და არც განძრეულა.

ძვირად კი დაუჯდა ეს გაუნძრევლობა. იმ წუთების შემდეგ სულ სინდისის ქენჯნას განიცდიდა; თავს უმოქმედობას აბრალებდა. უფრო რომ გავრჯილიყავი, ეგება, მამა-შვილი ასე არ დაშორებულიყო ერთმანეთსო.

ერთხანს სასოწარკვეთილებამაც კი მოიცვა, იფიქრა, მორჩა, გათავდა ახლა ყველაფერი, მალხაზი ჩვენთან აღარ მოვაო.

მაგრამ მოტყუვდა.

მეორე დღესვე, როცა მალალომ ცოტაოდენი თეთრეული დარეცხა და სარეცხს ლო-

ჯიის გასწვრივ გაბმულ ნეილონის თოკებზე კიდებდა, ჭიშკარში მალხაზი შემოვიდა.

მალალო არ მოელოდა შვილის მოსვლას. პირველი მოძრაობა ისა ჰქონდა, გოდერძისთან შევარდნილიყო და ბიჭის მოსვლა ეხარებინა, მაგრამ მალხაზი ხელით ანიშნებდა: — მანდ იდექი, არსად წახვიდეო. ეტყობა, ისიც მიხვდა დედის სურვილს.

— დედაჩემო, ჩამოდი, სიტყვა მაქვს სათქმელი — უთხრა მან, სახლს რომ მიუახლოვდა.

მალალო კიბეზე დაუხანებლად ჩავიდა და შვილს პირველი სართულის დარბაზში შეუძღვა.

ორივენი ფეხზე იდგნენ, ორივეს დაბნეულობა ემჩნეოდა.

მალხაზს დედისათვის სათქმელი სიტყვა წინასწარ ჰქონდა მომზადებული, მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება ასეთ დაძაბულ წუთებში, გრძლად სათქმელი გადაიფიქრა და მოკლედ მოსჭრა:

— დედაჩემო, ერთი თხოვნა მაქვს, უარი არ მითხრა.

მალალო ჩუმად იყო. სხვა შემთხვევაში აუცილებლად დაფათურდებოდა, შვილს დაუყვავებდა, მოეფერებოდა, სათქმელს გაუადვილებდა. ამჯერად კი შვილის წასათამამებლად კრინტიც არ დაუძრავს. გახევებულივით იდგა და თითებით თავშლის ფოჩსა წეწავდა.

— როცა რაიმე გიჭირს, მხოლოდ მაშინ გაგონდებით. იმ დღესაც, ალბათ, რასმე სათხოვნელად მოხვედი, თორემ მამის დარდი შენ არ გექნებოდა. — მალალო არა ცდილა სამდურავის შერბილებას.

— შენც გადაგედო მამაჩემის საყვედურობიანობა?

—რატომ არ მეკითხები, როგორ არის მამაშენი? ხომ იცი, გულით ავადმყოფი ერთ წუთს რომ ასეა, მეორე წუთს შეიძლება სულთმობრძავი გახდეს.

— ცუდად ხომ არ არის? — მალხაზის ხმაში შეშფოთება გაისმა.

— ეჰ, შვილოჯან, გვიან, გვიან, გაგონდება მამაშენი. კაი მამა კი გყავს. როცა აღარ გეყოლებით, მაშინ გაიგებ ჩვენს ფასსა.

— როგორ არის? — კითხვა გაიმეორა მალხაზმა.

— ახლა თითქოს არა უჭირსრა.. აბა, ჩქარა მითხარ, რა გწადია, მეშინიან არ მომიკითხოს, მარტო დარჩენა უმძიმს!

— დედაჩემო, დაიყოლიე როგორმე, ჰანქანა მიყიდოს.

— რა ვქნა, ამას წინათა ყიდვა უნდოდა და არ დაანებე, ახლა კიდევა აქეთა თხოვ ყიდვასა?

— მაშინ სხვა იყო. მაშინ რომ გვეყიდა, შარში გაგვხვევდნენ.

— ახლა ვითომ რა შეიცვალა?

— ახლა სანდრას გამოვატანინებთ, ვითომც იმან გვიყიდა მე და ჩემს ცოლს საჩუქრად, გაიგე? „ჟიგული" გვინდა, ბოლო გამოშვება.

— ჰოდა გიყიდოს, ვინ უშლის, შეძლება არა აქვს თუ?

— ეჰ, ყიდვითა მამაჩემმა უნდა გვიყიდოს. ხოლო რომ არავინ მოგვედავოს, არც ჩვენა და არც მამაჩემსა, ასე ვიტყვით: სანდრამ გვიყიდა თავისი დანაზოგიდანათქო, ახლა გაიგე?

— გავიგე. ფული ჩვენგან გინდა წაიღო. სახელი კი სანდრასი დაარქვა. სწორედ მაგას გისაყვედურებდა გუშინა მამაშენი, ჩემი სახელი გეთაკილება, ისე კი ყველაფერი ჩემეული გინდაო...

— ეგა, ეჭვებაშლილი კაცის საყვედურია. მალე ნახავთ, საქმე სრულიადაც ისე არ არის, როგორც მაგასა ჰგონია. ცხოვრებას ზოგჯერ თუ არ წაუეშმაკე, შამფურზე წამოგაგებს და გულს მაკრატლით ნაკუწნაკუწ დაგიფლეთავს, ისე წვრილად ჩაგიკაფავს, იმ ნაკუწებსა, თავს ერთად ვერ მოუყრი...

მალხაზი ლაპარაკის იშტაზე მოსულიყო. დედისათვის მკლავები კისერზე მოეხვია, თვალებში ჩასცქეროდა და იმნაირად ელაპარაკებოდა, როგორც მოხუცი მასწავლებელი საყვარელ მოწაფეს. ასე იცოდა: თუ რაიმეს ძალზე მოიწადინებდა, დედას შეუტევდა და იმდენს ეჩიჩინებოდა, სანამ გასაკეთებელს არ გააკეთებინებდა.

— ვეტყვი, ეგება დათანხმდეს კიდეც.

მალხაზმა დედა გადაკოცნა და ალაყაფს იქით გაუჩინარდა.

გოდერძი წამომჯდარიყო და გაზეთს კითხულობდა.

მალალო ფეხაკრეფით მიუახლოვდა, გაზეთს დახედა. იგი „თბილისის“ ისევ ის ცალი გამოდგა, გოდერძიმ მაშინ თვალი რომ ვერ მოსწყვიტა. ქალმა კვლავ თვალნათლივ დაინახა, რომ მისი ქმარი ახლაც უკანა გვერდის სწორედ იმ მარცხენა კუთხეს ჩასცქეროდა, რომელმაც იმ დღესაც ასე მოაჯადოვა და მიიჯაჭვა.

— რას იტყვი ახალს? — ჰკითხა გოდერძიმ, გაზეთი დაკეცა და ბალიშის ქვეშ შეიდო.

— რა უნდა გითხრა, ისეთი არა არის რა, მოსაყოლად ღირდეს!

— ი, ბიჭმა რა გითხრა?

— რომელმა ბიჭმა? — გაოცებისაგან პირი დააღო მალალომ.

— რომელმა და შენმა შვილმა. სხვა ვინ მედარდება?

— ია! — აღმოხდა მალალოს. იგი ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო საიდან შესძლო გოდერძიმ მალხაზთან მისი ლაპარაკის შეტყობა.

— რა, არ გინახავს? — ჩაეკითხა გოდერძი და თავის ვეება დიდწამწამა თვალები ცოლს შეანათა. ამ თვალების წინაშე თვალთმაქცობა მალალოს არ შეეძლო.

— მამაცხონებულო, შენა გულთმისანი ხომ არა ხარ? — გულწრფელად გაიოცა გაოგნებულმა მალალომ და ქმარს ხელი თმებში შეუცურა.

— ჩემი ხნისა ვინც მოიყრება, ყველა ბრძენი გახდება. მით უმეტეს, ჩემდენი თუ გადახდება და ჩემდენს თუ გამოსცდის. მაინც რა გითხრა?

— გოდო, ი, შენი კარგი დედ-მამის სულს გაფიცებ, საიდან გაიგე?

— რა დიდი გაგება მაგას უნდა: ის რომ არ მოსულიყო, სხვა ვინმესთვის ან სხვა რაიმესთვის ამდენ ხანსა თავს არ დამანებებდი. ასე არ არის?

მალალო ხმას არ იღებდა. მას ყოველთვის აოცებდა ქმრის ბასრი გონება. გლეხურად სადა, მაგრამ ბრძნული და შორსმჭვრეტელი.

სიტყვის თქმაც ასეთივე იცოდა: უბრალოდ იტყოდა, მაგრამ მძიმედ და ღრმად გამოსდიოდა.

დროდადრო, გეგონებოდა, ეს დუვივით კაცი ბლუ და უტყვიაო. მაგრამ ერთ სიტყვას წარმოთქვამდა და ის ერთი სიტყვა ათზე მეტად ჭრიდა. მხოლოდ, აუცილებელი იყო, ის ერთი ხაჭირო სიტყვა დაგეჭირა, დაფიქრებულიყავი და მასში ჩადებული აზრი გამოგეცნო. ვისაც ეს არ შეეძლო, იგი გოდერძის ვერ უგებდა. გოდერძის მარტივი სიტყვა-მიგება მისი გონების სიდუხჭირედ მოჩანდა და ზორბადაც სცდებოდა.

— მაინც რა გითხრა? — გაიმეორა კითხვა გოდერძიმ და ცოლს დააშტერდა.

— გეტყვი, თუ შენებურად არ ახტი-დახტი.

— თქვი.

— მანქანის ყიდვა უნდა.

— ვისთვინა? — სწრაფად იკითხა გოდერძიმ.

— ვისთვინა და თავის ცოლისთვინა. ეტყობა. არ უნდა ფეხით ატაროს, ნავსი თვალი არავინ დაადგასო. — ქმრის გულის მოსაგებად გაჰკრა კბილი შვილსა და რძალს მალალომ.

— რა ვიცი, მე ყიდვა არ დამანება, საშიში არისო და ახლა თვითონ რომ იყიდოს, თავმჯდომარის მოადგილემა, განა უფრო საშიში არ იქნება ?— ჩაფიქრებით იკითხა გოდერძიმ.

— განა თვითონ ყიდულობს.

— აბა, მაშ ვინა?

— სანდრა გამოუტანს. ვითომ სიძე-ქალიშვილს ფეშქაში მიართვა.

— რატომ ამბობ „ვითომო“, თუ მართლა ყიდულობს?

— იმიტომა, რომა ფული შენ უნდა მისცე!

— ვერაფერი გავიგე, აგი სანდრამ უნდა უყიდოსო?

— რითი ვერ ჩახვდი, ადამიანო, სახელსა სანდრასას არქმევენ, ფული კიდევა შენ უნდა მისცე. აგრე უფრო უსაფრთხო იქნებაო...

— გამოდის, რომა ჩვენა მაინცა ვჭირდებით, არა? — ულვაშებში ჩაიღიმილა

გოდერძიმ. — უჩვენოთ მაინც ვერ გაუძლია. აგრე არ გამოდის? — გოდერძი ჩაფიქრდა, კარგა ხანს ხმა არ ამოუღია.

მალალოს ეგონა, მალხაზის თხოვნას ცივ უარს სტკიცავსო, მაგრამ მოტყუვდა. გოდერძიმ სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო:

— უნდა მივცეთ. ეგება ეს ყველაფერი ოხრად დარჩეს. დეე, ეგ მანქანა მაინც შერჩეს.

— რაებს ამბობ, კაცო, რაებსა? რა უნდა დარჩეს ოხრადა, რათ უნდა დარჩეს ოხრადა?

—იიჰ, ერთი შენცა, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გოდერძიმ და ხელი ჩაიქნია.

ცოტა ხანს იყუჩა, მერე იკითხა: — რა მანქანა მინდაო.

— აი, ახალი გამოშვება რომ არის „ჟიგულისა", ის გვინდაო. რაღაც ნომერიცა თქვა, ღმერთო, მომაგონე... დაიბარე, შენს გახარებასა, გამოელაპარაკე, თვითონ გეტყვის...

— წადი, ძმრის ქოცოს გვერდითა, ხაბუხრე მილში სამალი რომ არის, იქიდანა ფული ამოიღე, ათი ათასი გადუთვალე და მიეცი. უთხარი, ესა, სანდრამ გაახლა გოდერძის ხელითა-თქო, შენა და შენს სჯულიერ მეუღლესა, თქო.

— ათი რად უნდა, კაცო, ის „ჟიგული" ექვს ნახევარი ღირსო?

—მიეცი, უთხარი „ვოლგა" იყიდოს. ხანდრა თქვენისთანა ძვირფასს მემკვიდრეებს „ჟიგულს" ვერ გაკადრებს-თქო.

მეორე დღეს მალალო დილიდანვე დარაჯობდა შვილს. იცოდა მისი ხასიათი; თუ რამეს გულში ჩაიდებდა, ჯანს გაიგდებინებდა, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწევდა. არც არაფერს არ დაერიდებოდა, ოღონდ მიზნისთვის მიეღწია. არც საქმის გადადება უყვარდა, არც მისი დახანება.

მართლაც, ჯერ ცხრა საათიც არ იყო, აღმასკომის თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადების დრო, რომ ზენკლიაანთ ალაყაფის მაღალ რკინის ზღურბლს მალხაზმა გადმოალაჯა და მაშინვე აივანს ახედა, თითქოს წინასწარ იცოდა, რომ დედა იქ ელოდებოდა.

— რა ჰქენი? — მოუახლოვდა თუ არა აივანს, იკითხა შვილმა.

— მოგცა. ღმერთმა სიკეთეში მოახმაროსო.

— ყოჩაღ, მამაჩემო! სწორე გითხრა, არ მეგონა, აგრე უმტკივნეულოდ თუ გაიღებდა... — მალხაზი მხიარულად იღიმებოდა.

— შენა, ბიჭო, კიდევ არ იცი მამაშენის ფასი!..

— ვიცი, დედიჯან, ვიცი, ორთავეხიც ვიცი, ნამდვილი ჯიგრები ხართ! — ძალიან ყარაჩოღულ ყაიდაზე შეჰყვირა მალხაზმა და ორივე ხელი ჰაერში შემართა.

— „ჟიგულის" კი არა „ვოლგის" ფულს მოგცა. „ვოლგა" იყიდეთო. ათი ათასი მოგითვალა. ვინძლო, რძალი არ გამინაწყენდესო...

— უყურე ერთი მაგასა, როგორ გამოუღია ხელი! — თქვა მალხაზმა და დედას უნდობლად ახედა, თან რაღაცას იაზრებდა. მერე ისევ მალალოს შეაცქერდა და გაუბედავად ჰკითხა:

— ამოვიდე, ვინახულო, თუ სხვა დროს ჯობია?

— სხვა დროს ჯობია. სულ ახლახანს მილულა თვალი. ღამეები არა ძინავს, ეტყობა, შიში გაუჯდა. მხოლოდ დილაობით ჩაეძინება ხოლმე. ახლა ცოდოა, ნუ გამაღვიძებინებ. — მალალო კიბეზე ჩამოვიდა და შვილს ხელჩანთა გადასცა.

— კარგი, სხვა დროს იყოს. — უმალვე დაეთანხმა მალხაზი. იგი მიხვდა, რომ დედამ გოდერძისთან მისი შეშვება არ ინდომა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მალხაზს თავისივე ოჯახში კარი გადაურაზეს.

კიდევ ხუთიოდე დღემ შეუმჩნევლად გაირბინა. ამ ხნის განმავლობაში მალხაზმა ერთი-ორჯერ მოინახულა მამამისი. ერთხელ კი მარინეც ეწვიათ. მამამთილი მოიკითხა, რაღაც ტკბილეული მოუტანა და თან ქვეყნის ჭორებიც ამცნო.

კვირის თავზე ახლათახალი რძისფერი „ვოლგა", საყვირის გაბმული გუგუნით ზენკლიაანთ ჭიშკარს მიადგა.

საყვირის ხმაზე სახლიდან მალალო ვამოვარდა. იგი არ მოელოდა, თუ გოდერძის

ავადმყოფობის დროს მათი სახლის წინ ვინმე მანქანას ასე ხმამაღლა დააყვირებდა. მალხაზს უკვე მოესწრო ჭიშკრის განივრად გაღება და საჭესთან მჯდომს ახალი „ვოლგა" ეზოში ფრთხილად შემოჰყავდა.

მალალოს არა იმდენად „ვოლგა" გაუკვირდა, რამდენადაც შვილის საჭესთან ჯდომა. შოფრის როლში მალხაზი ჯერ არ ენახა.

„ნეტავი როდის მოასწრო სწავლა", — გაიფიქრა მალალომ. სწორედ ამ წუთს მალხაზმა მანქანა ზედ სახლზე მოაგდო და კედლისგან ერთი ნაბიჯის დაშორებით მკვეთრად დაამუხრუჭა. ისე დოსტოღრივ წამოვიდა, თითქოს, კედლის განგრევა უნდაო.

შეშინებულმა მალალომ ქვევით ჩაიხედა და მანქანის წინა მინაში რაღაც თეთრ სიშიშვლეს მოჰკრა თვალი. როცა დააცქერდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ეს მისი რძლის ტიტლიკანა ფეხები იყო. მარინეს კაბა აწეოდა, ლამაზად მორგვალებული სქელთავა მუხლები და მუთაქებივით სავსე თეთრი ბარძაყები მოუჩანდა. „აი, ჩასკდა, შენი უსირცხვილო თავი" — გაიფიქრა მან და აივანს საჩქაროდ მოსცილდა.

კიბეზე მალხაზი და მარინე ამოდიოდნენ.

მარინე სახეგაბადრული ჩანდა . იგი შესამჩნევად დამშვენებულიყო: სახე დაწმენდოდა, თვალები უფრო ღმობიერი და ალერსიანი გახდომოდა. სიარულშიც, ქცევაშიც მეტი სიდინჯე და თავდარწმუნებულობა ეტყობოდა.

რძალი მალალოს გადაეხვია, ხელში რაღაც მუყაოს ყუთი შეაჩეჩა, ეტყობა ფეხსაცმელები მოუტანა საჩუქრად და მაშინვე გოდერძის ოთახისკენ გაქანდა. გზა და გზა პრიალა ტყავის მოკლე კურტკაც გაიძრო, კაბაში ჩატანებული სახელოებწაჭრილი ხალათის ამარა დარჩა. უზარმაზარი მკერდი, მოზრდილ მთასავით ადგა, ფართოდ ამოჭრილი გულისპირიდან მისი თეთრყირმიზა ყელი ანათებდა.

„რა თეთრი ყოფილა" — გაიფიქრა მალალომ და თამამ რძალს უკან ჩიჰყვა.

— გამარჯობა, ძია გოდერძი! — შესვლისთანავე მიაძახა მარინემ. საწოლთან მიიჭრა, სწრაფად დაიხარა და მამამთილს შუბლზე სამჯერ ხმამაღლა აკოცა.

— მარინე, გენაცვალოს მალალო, მაგახა ძია არ დაუძახო, ნურც მე დამიძახებ დეიდასა. ჩვენში, ქართლში სხვანაირად არის მიღებული: გოდერძისა მამა უნდა დაუძახო, თუ არ გემეტება — მამათილი უთხარ, მე კიდევა — დედა. თუ არ გემეტება დედა-მალალო დამიძახე. ჩვენს მხრივა, ნათესავი მამაკაცის ცოლებს ძალუები უწოდე, ნათელ-მირონი ვისთანაც გვაკავშირებს, იმათა — ნათლიები, ნათლიდედები ან ნათლიმამები, ერთი სიტყვითა...

— ეჰ, ნახე რაღა შენცა დრო ჭკუის სასწავლებლადა. რა დროს ეგეებია, სუფრა გაშალე, რძალი დამალოცვინე. ახლა, ან ნათელმირონი ვისღა ახსოვს, ანდა შენი ძველისძველი სიტყვები, — გააწყვეტინა გოდერძიმ.

მალალომ გოდერძის საწოლთან პატარა მაგიდაც ისე მოაჩოჩიალა, სუფრაც ისე გაშალა, ხმა აღარ ამოუღია. სამაგიეროდ მარინე გაიკრიფა ენად. გაუთავებლად მოუთხრობდა იმაზე, თუ როგორ იმოგზაურა კრუიზით ევროპის გარშემო და სად რა ნახა.

— ესა, თქვენ გაგიმარჯოთ! — ჭიქა ახწია გოდერძიმ, — მხოლოდ გუშინ მომცეს წამოჯდომის ნებართვა და ახლა უნდა დაგლოცოთ...

— თორემ ისე კი არ წამომჯდარხარ, აი, — დააყვედრა მალალომ.

გოდერძიმ, როგორც „ძველმა კაცმა" ბევრი ილაპარაკა. ბევრი კეთილი სიტყვაც უთხრა ახალჯვარდაწერილებს, გულსავსედაც დალოცა, მაგრამ ბოლოს მაინც თავისებურად გაექილიკა: — ქვეყნისა და ოჯახისათვის ისა ჯობია, — თვალის ეშმაკური ჭუტვით თქვა მან, — რომ, მარტო მამაკაცი კი არ გადადიოდეს ქალის ლოგინში, არამედ ქალიც გადადიოდეს მამაკაცთანა! თორემა თანასწორობა და ემანც, ემან... როგორ ითქმის ის ოხერი სიტყვა?..

— ემანსიპაცია — მიუხვდა მალხაზი.

— ხო, დიახ, ვერც თანასწორობა და ვერც ემანციპაცია ისე არ გამოვა. გაიგე, ჩემო რძალო?

გოდერძიმ ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, მა-

გრამ ღვინო არ შეუსვამს. ჯერ დააცქერდა, ფერს გახედა, მერე თავი ზემოთ შემართა, ჭიქას ძირზე აკოცა და ისევე მაგიდაზე დადგა.

— გავიგე, ბატონო მამამთილო, მაგრამ ჩვენა ეგ არ გამოგვივა.

— ვითომ რატომაო? — შეეჭვდა გოდერძი.

— იმიტომა, რომ ჩვენა ერთი ლოგინი გვიდგას და სულაც ერთად ვწევართ. — მარინეს ლამაზი თეთრი კბილები თვალისმომჭრელად კიაფობდნენ.

— არა, ეგრე არ ევარგება. მეტის-მეტად მიეჩვევით ერთმანეთსა. აიღე და აყიდინე მამაშენსა მეორე ლოგინი. რა, ფული არ აქვს, თუ?

— აქვს, მაგრამ, პატიოსანი შრომითა აქვს. აკი ამიტომაც გვიყიდა ეს „ვოლგა“.

— უი, დამიდგა თვალი! — თითები ტუჩებზე აიფარა მალალომ. მას კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გოდერძიმ ისე მრისხანედ გადახედა, მალალომ მაშინვე ხმა გაკმინდა.

— ვინც გიყიდათ, იმასაც გაუმარჯოს! — თქვა გოდერძიმ, ჭიქა ზემოთ შემართა, ისევ ძირზე აკოცა და ისევ უკანვე დადგა.

— გაუმარჯოს! — შეჰყვირა მარინემ, თავისი ჭიქა მამამთილისას მიუჭახუნა და ღვინო ერთიანად გამოსცალა.

მარინეს სიტყვებმა მალხაზს თავი ჩაალუნინეს.

იგი კინწმოტეხილივით იჯდა და ისე იყო წელში მოხრილი, გეგონება, მთავარი ძარღვი ჩასწყვიტესო.

გოდერძის სახე შესწითლებოდა. მალალო კი ადგილზე ვერ ისვენებდა, ცქმუტავდა, თითქოს ნაკვერჩხალებზე მჯდარიყოს.

სამივე იმაზე ფიქრობდა, რატომ ახსენა მარინემ „პატიოსანი შრომა“.

უკვე დიდიხანია, რაც ზენკლიაანი ისე იყვნენ ამ სიტყვებით შეშინებული, თუ სადმე „პატიოსან შრომას“ ახსენებდნენ, ასე ეგონათ, ეს მათრახი უსათოოთ ჩვენი მისამართით არის ეშმაკურად ნასმარი, ჩვენს დასაძრახად და ჩასაქოლადო.

ახლაც, ამაზე ფიქრში იყვნენ: გამიზნულად იხმარა ეს მხანჯლავი გამოთქმა მარინემ, რათა გოდერძიანი გაეკენწლა, თუ შემთხვევით მოუვიდა, ისე, ნაუცბათევად წამოაყრანტალა და ვისიმე წყენა გულში არ გაუტარებია.

სამივეს დამუნჯებამ სიცივე დაამკვიდრა პატარა მაგიდის ირგვლივ მსხდომთა შორის და თვით მარინეც კი შებორკა.

რძალმა იგრძნო, რომ მოხდა რაღაც ისეთი, რამაც თავის ქმარსა და მის მშობლებს საუბრის იშტა დაუკარგა.

მას აზრადაც არა ჰქონია მათი წყენა და არც ის ახსოვდა „პატიოსანი შრომა“ თუ ახსენა. ეს უბრალოდ მოხდა: სანდრასა და მის ოჯახს იმდენი მტერი და დუშმანი ჰყავდა სამებაში, იმდენი მოშურნე და გამკილავი, რომ დღენიადაგ იმის მტკიცება სჭირდებოდათ — პატიოსანი შრომითა ვცხოვრობთო.

ზენკლიაანი ისე მიეჩვივნენ თავიანთი უცოდველობის აღნიშვნას, რომ სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, ვისთანაც არ უნდა მსხდარიყვნენ, სულ ამას გაიძახოდნენ და სრულიადაც აღარ დაგიდევდნენ, რომ ეს მტკიცება სხვისთვის შეიძლება ერთობ შეურაცხმყოფელი და უსიამო ყოფილიყო.

მარინეს მამის ზნე ჰქონდა გამოყოლილი: მასავით პირდაპირი და შეუპოვარი იყო, მასავით ცოტა უხეში და როყიო, მასავით დაურიდებელი ლაპარაკი იცოდა და სათქმელის პირში თქმა უყვარდა. უკანასკნელ ხანს იგი კიდევ უფრო გაამპარტავანდა, მით უფრო, რომ სამების ერთ-ერთი სასწავლებლის დირექტორად დანიშნეს, ხოლო როგორც რაისაბჭოს დეპუტატი, ალმასკომის წევრი გახადეს, რაიკომის ერთ-ერთი ბოლოდროინდელ პლენუმებზე კი რაიონული კომიტეტის წევრადაც აირჩიეს.

ყოველივე ამან მარინე გაათამამა და საკმაოდ ზვიადი გახადა. არც გაემტყუნებოდა: სამების სამუსიკო სასწავლებლის რიგითი მასწავლებელი, სულ ცოტა ხანში რაიონის ერთი უპირველესი ქალთაგანი შეიქნა და ისე საზეიმო სხდომა არ ჩატარდებოდა, რომ სანდრას ჯიშიან ასულს პრეზიდიუმში ადგილი არა სჭეროდა.

დარბაზში მყოფი მამაკაცებიც ყველაზე მეტად ლამაზ დირექტორს შესცქეროდნენ.

მისი ღონიერი ჩათქვირული ტანი, მოღერებული თეთრი კისერი და მკვრივი მკერდი ისე იტაცებდა მზერას, როგორც ბუზი თაფლს. მარინე ქალური გუმანით, რა თქმა უნდა, კარგად გრძნობდა ამას და პრეზიდიუმში ავაზასავით მომშვილდული იჯდა. ქალს ხომ ისე არაფერი ალამაზებს, როგორც მამაკაცთა ყურადღება.

მარინემ რომ ნახა ზენკლიაანთ რატომღაც ყურები ჩამოყარესო (თუმცაღა ვერ მიმხვდარიყო რა მიზეზით), მათ გასამხიარულებლად გოდერძის შეუტია:

— ბატონო ნამათილო, მამაჩემმა შემოგითვალა სოცშეჯიბრში გიწვევო...

— კაცოუ, — ხელები ასწია გოდერძიმ ე, სოცშეჯიბრი იმ სამსახურში არ გვეყოფა, რომა ოჯახებშიაც, არ გავშალოთ? — რაო, რა მინდაო?

— მოდი ერთმანეთს შევეჯიბროთ, ვინ უფრო მეტს შეეწევა ჩვენი შვილების ახლადშექმნილ ოჯახსაო!.. — მარინეს თეთრი კბილები შუქსა ფენდნენ.

— თქვენა, ძმაოსან, რა შეწევა გინდათ! ერთი დირექტორი ხართ, მეორე კი რაისაბჭოს მეთაურის მოადგილე. თქვენა აქეთ უნდა შეგვეწიოთ ჩვენისთანა უბირსა და უქონელ ხალხსა. — სცადა თქმულის ხუმრობაში გატარება გოდერძიმ. — აი, შესაწევი და ნართლაც უქონელი მე და მალალო ვიყავით, როცა ჯვარი დავიწერეთ. პირდაპირ ნატისუსალი აგვდიოდა. თქვენა კი, ერიჰაა! მარტო ჯამაგირსა სამოცთუმნამდე იღებთ თვეშია, ეგა, ძმაოსა, ძველ ფულზედა ექვსიათასი მანეთი გამოდის!... ექვსი ათასი მანეთი თვეში! საჭმელზე არაფერი გეხარჯებათ და სასმელზე. აგრე, ძმაო, ის ცხონებული ნიკოლოზაც არა ცხოვრობდა, სანამ ტახტიდან გადმოაგდებდნენ...

მალხაზი კი კვლავ დუმდა.

აშკარა იყო რაღაც ქენჯნიდა, კრიჭას უკრავდა.

ცოტა ხანი დაჰყო და წასასვლელად გაიწია, ველარ გააჩერეს. ცოლიც თან გაიყოლა. მარინე კი, ან არ იჩნევდა, ანდა მართლაც ვერა ხედავდა ქმრის უგუნებობას.

ახალჯვარდაწერილების მანქანაში ჩახდომა და მალალოს ოთახში შევარდნა ერთი იყო. ასეთი გაანჩხლებული და გაასპიტებული მეუღლე გოდერძის იშვიათად თუ ენახა.

—უყურე ერთი, ამ კახპა მამაძაღლსა, — აფრქვევდა ქაროზს აჯანყებული მალალო, — რა შოლტები გადმოგვკრა, რა იქედნასავით გველაძუობდა, როგორ დაგვშხამა და დაგვწამლა! პატიოსანი შრომითაო, ესაო, ისაო; მამა უცხონდა, ხულ პატიოსანი შრომითა აქვს მამამისსა იმოდენა ქონება შეძენილი!... ქალაქში რო საკოლმეურნეო წერტი გახსნა, ჩვენი კოლმეურნეობის რაღაც ფირმენი მაღაზია არისო, ზაფხულში, რომ ხილს უგზავნის სავაჭროდ, ზამთარში — კი ბოსტნეულსა, და გაუთავებლად რო ამარაგებს და ამარაგებს, როგორა გგონია, თვითონ ნაგასა არაფერი არ შესდის იქიდანა?.. ჯერ პირი გამოირეცოხს და მერე ილაპარაკოს ჩვენზედა!... ეგ გადაკრული სიტყვები კი, იხევ მამამისს მიათხლიშოს. აი, ჩასკდა იმ ბიჭის თავიცა, თორემა ამ კახპა მამაძაღლსა აგრე როგორ ალაპარაკებდა!..

— არა, ჩემო მალალო, სიტყვებში არ არის საქმე.

— აბა, მაშ რაშია? აგეთი სიტყვები უნდა გაგვიბედოს? აგეთი სიტყვები უნდა გვაკადროს? ანდა, გენაცვალეთ, ცა ქალამნით ხომ არ არის დაფარული, ხედავ რეები თქვა, მანქანაო მამაჩემმა გვიყიდაო!.. შენა კიდევა სოცშეჯიბრში გიწვევდა! გენაცვალეთ, განა მანქანის ფული ჩემივე ხელით არ გადავეცი ამ ჩვენს ლენჩსა?

— ეტყობა, არ უთხრა ვინ მისცა ის ფული და ამ გოგოსაცა მამის მიცემული ჰგონია...

— რათ უნდა ეგონოს, რათა? ვერ გამოიკითხა რითი და ვისი წყალობით ყიდულობდნენ მანქანასა?

— ეჰ, მორჩი ერთი და, ეგება, ეგრე უკეთესიც იყოს...

— უკეთესი რად არის, მამაცხონებულო, ფული შენ მიეცი, შენი სისხლითა, შენი ხორცით ნაშოვნი და ეგ გაიძახის მამაჩემმა მომცაო! აბა, ესა სულერთია?

— ეგება, აგრე ჯობდეს-მეთქი... მაგ ქალს რომ რამე სცოდნოდა, საიდუმლოდ მაინც ვერ შეინახავდა და ადრე თუ გვიან, ქვეყანას მოსდებდა. დედას ეტყოდა, კი-

დევ ვიღაც თავისიანთნ გასთქვამდა და, ბოლოს, ყველა გაიგებდა, რომ ი ფული ჩემი მოცემული იყო. მერე ჭორსა სადავეს ველარ დაუჭერდი: რასაც მომავალში ესენი შეიძენენ, ან რასაც ის ვირეშმაკა სანდრა-ბიჭი შეიძენს, ყველაფერს მე მომაწერდნენ და ისეთ მქონებელ კაცად მიმიჩნევდნენ, რომ ჩემს თავს დააჭერინებდნენ. ახლა კი რა ეთქმით? — სანდრამ თავისი შრომითი დანაზოგით უყიდაო!! აგრე არა ჯობიაო?

— ისემც ჩასკდა სანდრას რეგვენი თავიცა და ამათი ვირეშმაკა ბუნებაცა, — მალალომ ორთავე მხარეს ქოქოლა მიაყარა და გაგულისებულმა კარები გაიჯახუნა.

გუნებაწამხდარი, დაზაფრულ-დამუნჯებული დაბრუნდა მალხაზი სანდრას ოჯახში.

ეს იყო ახლა მისი სახლიც, მისი კარიც და მისი ახლადშექმნილი ოჯახის სამყოფელიც.

მამისეულ ეზოდან რომ გამოვიდნენ, უნდოდა გულის გადასაყოლებლად თავისა ახალი მანქანით სადგურისაკენ ჩაევლო, მაგრამ მარინემ აიჩემა „სახლში წავიდეთო“. ეტყობა, მასაც ეცვალა გუნება.

სიტყვა „სახლის“ გაგონებაზე მალხაზს გუნებაში გაეღიმა; თავის სახლში იყვნენ და სახლად არ მიაჩნდათ, სხვის კარს მიდიოდნენ და ცოლი ამას სახლში წასვლას უწოდებდა!...

სახლი, სახლი! — კაცმა რომ თქვას, ახლა მას საკუთარი სახლი ჰქონდა კიდეც, და არცა ჰქონდა...

სანდრას კი ვეებერთელა სახლი ედგა. ორსართულიანი. მაღალჭერა, განიერფანჯრება. მოთუთიებული თუნუქით გადახურული. უზარმაზარი სარდაფითა და კიდევ უფრო დიდი მარნით.

შეხვიდოდი თუ არა ჭიშკარში, მაშინვე იგრძნობდი მშრომელი და საქმის ერთგული მეურნის ხელს.

წინა მხრიდან სახლს განიერი მოზაიკური კიბე მიუყვებოდა, ბეტონიდან ჩამოსხმული ლამაზი ქართული მუცლიანი რიკულებით დამშვენებული. ეს კიბე მეორე სართულზე განსაცვიფრებელი სიდიდის შეუმინავ აივანს უერთდებოდა. აივნის სვეტები ჭერთან ლამაზად მორკალულ კარედებსა ჰქმნიდნენ და ეს კოხტა პატარა თაღები სანდრას სახლს ძველქართული შენობის იერსა სძენდნენ. ფანჯრებიც ზემოდან ასეთივე თაღებით გვირგვინდებოდნენ.

ალაყაფიდან სახლამდე ბარე ორმოცი მეტრი სიგრძის განიერი ბილიკი მიუყვებოდა. ეს კოხტა გზა მარმარილოს ფილებით იყო მოფენილი. ფილები ნატეხ-ნატეხად დაემტვრიათ და ისე დაეგოთ. მათ შორის ადგილები ცემენტით ამოელესათ. მთელი მისასვლელი მწვანედ გაფოთლილი თალარით იყო გადახურული. ფილებდაგებულ გზას ორივე მხრივ სხვადასხვაფერად შეღებილი რკინის მილები მიუყვებოდა, სვეტებად შეყენებული. ამ სვეტებზე ზემოდან უფრო წვრილი მილები იყო გარდიგარდმო გადებული და საიმედოდ შედუღებული.

მთელს ამ ნაგებობას ვაზი გადაბარდნოდა, ისეთი ხშირფოთლება ვაზი იყო, მის ქვეშ მდგომი კაცი ზეცას ვერ დაინახავდა. თალარის ორივე მხარეს კი ორ გრძელსა და ვიწრო კვალად საუცხოოდ მოვლილი ყვავილნარი გასდევდა. ნაირფერი ყვავილება თვალს ახარებდა. ყველაზე მეტი მაინც ვარდი იყო. რომელი ფერისა და მოყვანილობის ვარდი გინდა აქ რომ არ ეხარებინათ. გაივლიდი ალაყაფს და თავი ზღაპრულ ვარდნარში გეგონებოდა.

ბოროტი ხმები (მათ კი რა გამოლევს ქვეყანაზე!) ამტკიცებდნენ, თითქოს წალკოტად ქცეულ ამ არემარეს თვითონ სანდრა ან მისი ჯალაბობა კი არ უვლიდა, არამედ ერთი მოხუცი კოლმეურნე, რომელიაც დღენიადაგ თავმჯდომარის კარმიდამოზე ტრიალებდა, ხეხილსა და ვაზს უვლიდა, ღვინოს აყენებდა, ყვავილნარს ახარებდა, — გასამრჯელოს კი კოლმეურნეობიდან ღებულობდა. სანდრასთან გატარებულ თვითეულ დღეში ერთი, ზოგჯერ ორი შრომადღეც კი ეწერებაო...

ამ კაცს სახელად სანდალა ერქვა. ცალხელა იყო, ომის ინვალიდი. მაგრამ ისეთი გამრჯე და ისეთი მუყაითი — მის შრომას ორი კაცის ბარაქა მოსდგამდა. არც სანდრა იყო სანდალას ვაშლი: ყოველნაირად ეხმარებოდა თავის „მოურავს“ და

შისთვის არაფერი არა შურდა. დიახ, „მოურავსაც“ ჰქონდა სანდრას ერთგულების მიზეზი...

რაიკომის ახალი მდივნის მოვლინების შემდეგ, ეს შინაურულად შეჩვეული „მებადე“ სანდრამ ისევ კოლმეურნეობაში გაუშვა, მაგრამ ისე კვირა არ გავიდოდა სანდალა არა სწვევოდა და ჩამორჩენილი საქმე წინ არ წაეგდო. სანდალამ თვითონაც არ იცოდა, სად მუშაობდა იგი მუდმივად, და სად დროებით.

ახალდაქორწინებულებს სანდრამ ზემო სართულის ხუთი თვალიდან ორი უკანა ოთახი გამოუყო. ეს დიდი ნათელი ოთახები თავისი კოხტა დაკიდული აივნით, თრიალეთის ქედს გაჰყურებდნენ.

ოთახების ფანჯრებს დილის მზე თითქმის არ ადგებოდა, მაგრამ საღამოთი, ხარკმელთა მინებში შეჭრილი მზის ვარაყოსანი სხივები ბაღის მწვანე ალმურში დაფერილი, ისე შეაოქროსფერადებდა ხოლმე კედლებსა და ჭერს, კაცს გული გადაგეხსნებოდა, გაგიხალისდებოდა.

ერთ ოთახში მარინესა და მალხაზს საწოლი ჰქონდათ გამართული, მეორე კი ერთდროულად მისაღებადაც იყო ქცეული და სამუშაო ოთახადაც. მართალია, მისაღები სხვაც ჰქონდათ, უფრო დიდიც და უფრო მდიდრულად მორთულიც, მაგრამ სანდრამ იძალა: ვინ იცის, ეგება ვინ მოგივიდეს, ვისი საერთო მისაღებში შეშვება არ გინდოდეს და იმას აქ მიიღებთ. წინდახედული კაცი იყო თავმჯდომარე.

ამ ოთახში ფანჯრებშუა უცხოური პრიალა საწერი მაგიდა იდგა. ამ მაგიდას ჯერ არც ცოლი მისჯდომოდა, არც ქმარი, რადგან საწერად და საკითხად არც ერთს არ ეცალა, სახლში თუ იყვნენ, გამუდმებული სტუმრიანობა ჰქონდათ, კარში ყოფნისას კი, აბა, რაში გამოადგებოდათ.

არადა, საწერი მაგიდის უჯრებში უამრავი რამ ჩაალაგებინა გამოცდილმა ორგანიზატორმა სანდრამ. კოლმეურნეობის მდივანს, ვიღაც საერთო ნაცნობების დახმარებით, აშოვნინა უცხოური ფირმების — „პარკერის“ ოლიმპიკის“, „რუაზის“ რამდენიმე მუდმივი კალმისტარი, აუარებელი ბლოკნოტი, უბის წიგნაკი, სხვადასხვა ზომაზე დაჭრილი და სხვადასხვა ფერის საწერი ქაღალდი, ალბომები, უცხოური თუ ჩვენებური სურათებით, წეროს ქილები და ნაირფერი საშლელებიც კი, წარმოიდგინეთ „ფლომასტერის“ ორი დიდი კოლოფიც კი არ დაივიწყა.

საერთო განათლებაზე ცოტა მწყრალად მყოფ სანდრას, ბავშვობიდანვე ერთი სისუსტე სჭირდა: ფერადი ფანქრებისა და საკანცელარიო ნივთებისადმი პირდაპირ უძღები სიყვარული ჰქონდა.

მალხაზს ყველაზე მეტად სანდრაანთ სახლის უკანა აივანზე განმარტოებით ჯდომა შეუყვარდა.

როცა კი მოძალებული მოყვრებისაგან გამოცალკევებას შესძლებდა, მაშინვე აქეთ გამოეშურებოდა ხოლმე. მხოლოდ აქ იყო ნისვენებული. აქ გატარებულმა საღამოებმა ისე შეაყვარა ეს კოხტა, დაკიდული აივანი, ჩუქურთმიანი ხის სვეტებითა და მორგვალებული ქართული რიკულებით, რომ ეს მყუდრო კუთხე სიმამრის მთელ დევერხანა სახლს ერჩივნა.

ქორწილის მეორე დღეს, როცა სანდრას მიერ საგანგებოდ მოპატიჟებული სამების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ხაშზე მოვიდა, ორიოდე ჭიქა „თლაშოის“ გადაკვრის შემდეგ, სიჩუმე მოითხოვა და საზეიმოდ გამოაცხადა, რომ რაისაბჭო კარგი მუშაობისათვის, თავმჯდომარის მოადგილეს, მალხაზ ზენკლიშვილს, გუშინდელი დღიდან ორი კვირის შვებულებით, ხოლო შემდგომაზე სოჭის ოცდაოთხდღიანი საგზურით აჯილდოებს; გინდა თვითონ წავიდეს, გინდა ცოლი გაუშვას (თაფლობის თვე მაინც მოთავებული ექნებათო), გინდა შუაზე გაიყონო. მერე კი ხაშის მოყვარულთა ტაშის გრიალში თავისი ქონიანი ტუჩებით მალხაზს ებდღვნა და დიდხანს კოცნა.

ქორწილის მომდევნო ის ორი კვირა ჯვარცმის დღეებად ექცა ახალ სიძეს.

ხან ვინ მოვიდოდა მოსალოცად, ხან ვინ. სიძე ვალდებული იყო ყველას დახვედროდა, გამასპინძლებოდა, გამოლაპარაკებოდა, თავისი ფხიანობა, სმის უნარი და პურმარილიანობა ეჩვენებინა.

სანდრასა და მის ნეუღლეს ისეთი მრა-

ვალრიცხოვანი ნათესაობა აღმოაჩნდა, მთელი ის ორი დამარეტიანებელი კვირა ყოველ დაჯდომაზე ოცდაათ-ორმოც კაცზე ნაკლები სუფრას არ უსხდა.

სამების რაიონში არ აღმოჩნდა, ცოტათ თუ ბევრად, მოზრდილი არც ერთი სოფელი, რომ სანდრას პურმარილიან ოჯახს იქ რომელიმე მოკეთე, ნათლული, მძახალი, ნათესავი თუ მეგობარ-ამხანაგი არა ყოლოდა.

და მოდიოდნენ განუწყვეტელ ნაკადად. მოდიოდნენ დილით, შუადღეს, საღამოს, გვიან ღამით. ბევრჯერ ნაშუაღამევსაც მიადგნენ დოლგარმონით. რამდენჯერმე გამთენიისასაც კი გაალვიძეს დუდუკის საარით და შემდეგ იქამდე აჭყვიტინეს ზურნა, სანამ მზე არ ამოვიდა.

დილის საუზმეს, რომელსაც სანდრა ცოლის მზითვზე უმჯობესად თვლიდა, სამხრობა ცვლიდა, სამხრობას — სადილი, სადილს — ვახშამი, ვახშამს — ახალი სუფრა და დღეები ისე გადაება, ისე გადაეჯაჭვა ერთმანეთს, როგორც კარგად ნახარები სურის ტოტები.

სადღეგრძელოებს ხომ ბოლო არ უჩანდა! ადგებოდა რომელიმე ჭაბუკი მეცხვარე თუ მეხბორე, მთელ სიცოცხლეში ორად ორი წიგნი რომ ჰქონდა გადაკითხული, და ისე ჩაახვევდა, ისე ჩაახლართავდა, ისე ჩააკარაბაკებდა თავის სადღეგრძელოს, კაცი ვერ გაიგებდა რა ეწადდა; ან ვის ადღეგრძელებდა.

იყო გაუთავებელი ლაპარაკი — ლაპარაკი მომადუნებელი, სახსრებიდან დამშლელი, მთქნარების გამომწვევი, ძილქუშის დამცემი. ყველა ვალდებულად რაცხდა თავს, რაიმე ეთქვა. მაგრამ უბრალო და ყველასთვის ცნობილი ჭეშმარიტება კი არ ეთქვა, არამედ რაღაც ღრმა და ჭკვიანური ებრძანებინა. ეთქვა ყველას გასაკვირად, ყველას დასამახსოვრებლად, გულის ფიცარზე აღსაბეჭდათ, ხელიდან ხელში საგოგმანებლად.

იყო სიტყვების ჯირითი, ფიცილი, აღსარება, მონანიება, რჩევა, ბრძანება, შეგონება და რა თქმა უნდა სიყვარულის განცხადება! — ძმური, ურღვევი, მეგობრული, თავშეკლული სიყვარულისა, რომელსაც საუკუნეებისათვის უნდა გაეძლო და სანდრას შვილთა-შვილებზე ციური მადლივით გადასულიყო.

როგორ არა გავდა ყოველივე ეს მამის სახლში, ვახტანგ პეტროვიჩის მეთაურობით, გამართულ ნადიმებს! იქ სიტყვას — სიმღერა ენაცვლებოდა, სიმღერას — ცეკვა, ცეკვას — მახვილი სიტყვა და შორსგამიზნული ბაასი, რომელსაც მეორე დღეს აუცილებლად რაღაც საქმეც მიყვებოდა: ერთის მოხსნა, მეორის დანიშვნა, მესამის გადაადგილება, მეოთხის გაცოცხვა... აქ კი ცარიელი ლაპარაკი და ლაპარაკი, უსაგნო, უშედეგო, მოსაწყენი.

ასეთ წუთებში მალხაზს ერთი სურვილი ჰქონდა ფეხზე წამომხტარიყო, მთელი ეს ყბედი ხალხი კინწისკვრით კარში გაეყარა, მერე თავის პატარა აივანზე გასულიყო და ხავერდივით რბილი, კუპრივით შავი ვარსკვლავმოოჭვილი სამებური ცისათვის დილამდე ეცქირა. ეცქირა იქამდე, სანამ რიჟრაჟის სუსხი ძვალ-რბილში სასიამოვნო ჟრჟოლად არ გაატანდა და თბილ ლოგინს არ მოანატრებდა.

მაგრამ არც ლოგინში გრძნობდა ახალი სიძე თავს მოსვენებულად.

ჩააქრობდა თუ არა სინათლეს, ვნებაატანილი მარინე მის საწოლში გადმობარგდებოდა, მახრჩობელა გველივით ჩაეხვეოდა, გაუთავებლად ეალერსებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. სიყვარულს ასე დახარბებული, ასე მოწყურებული ქალი ჯერ არ შეხვედროდა. თუ პირველ დღეებში უფრო მალხაზი ეტანებოდა თავის თეძოგანიერ ცოლს, შემდეგ დღეებში პირიქით მოხდა.

ამან კიდევ უფრო გააცივა და მოადუნა ზენკლიაანთ ნაშიერი. ქალის სითამამემ თანდათან გული აუცრუა მასზე. მარინეს კი, პირიქით, ვნება სულ უფრო და უფრო უჩირაღდნდებოდა. ეტყობა, გადაყვავილებული ქალის ეს მოშიებული სიყვარული მისთვის გედის სიმღერა იყო.

მაგრამ ქალიშვილზე აუტანელი მამა გამოდგა.

სანდრა სოფლის გამოცდილი და უნარიანი თავკაცი იყო. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობამ ისე დაარწმუნა იგი

თავის ძალებში, ისე გაამაყა და გააყოჩა, ისე მიაჩვია მბრძანებლობას და თავისი სიტყვისადმი ირგვლივმყოფთა უსიტყვო მორჩილებას, რომ იგივე ჩვევები, შესაძლოა თავისდაუნებურად და თავისდაშეუმჩნევლად, საკუთარ ოჯახშიც დანერგა და შინაურებსაც ისევე ექცეოდა, როგორც კოლმეურნეობის რიგით წევრებს.

თავის მიერ დამყარებული წესები მან სიძეზედაც გაავრცელა და მასაც ისე დაუწყო ყურება, როგორც უკეთეს შემთხვევაში, კოლმეურნეობის ბრიგადირს.

სანდრა უხეში კაცი იყო, მაგრამ გული კეთილი ჰქონდა; თავისნათქვამი იყო, მაგრამ ადამიანის დანდობა და შენახვაც იცოდა. რაც არ უნდა გაგეავებინა, თავისიანს საბოლოოდ არ მოიკვეთდა, სავსებით არ გაწირავდა. თუმცა, ისე შეაჯდებოდა, ისე ღონივრად დაბეჯნიდა, როგორც ახლად მოცელილი თივით სავსე ტომარას.

მალხაზის ჩასიძებამ დიდი სიხარული მოჰგვარა სანდრა ედიშერაშვილს. ცოდო გამხელილი ჯობსო, ასეთ სიძეს არც მოელოდა...

მართალია, მისი ქალიშვილი სამების გასათხოვარ ქალთა შორის ერთ-ერთ უპირველეს სარძლოდ ითვლებოდა, მზითვიც გვარიანი მოსდევდა, თვითონაც მიღებული ქალი იყო და გარეგნობითაც გამოირჩეოდა, მაგრამ სახელი ცოტა შელანძღული ჰქონდა, დრონატარებ ქალად მიაჩნდათ, რის გამოც ბევრი კილავდა და ბევრიც უფრთხოდა.

სიძეს რომ იშოვნიდა, ხანდრას ეს სულაც არ ეეჭვებოდა, — მან კარგად იცოდა, რომ ყოველ ალხანას თავისი ჩალხანა მოეძებნება და ყოველ საქონელს თავისი მუშტარი გამოუჩნდება, მაგრამ თუ მისი ქალი ამისთანა კარგი ზნის გაურყვნელსა და კეთილ ოჯახიშვილს გადაეყრებოდა, გარეგნულადაც ესოდენ ლამაზს და თანამედროვეობითაც თვალსაჩინოს, — ეს კი აღარ ეგონა.

ამიტომ იყო, რომ მალხაზის სიძედ მოკიდებამ ყველაფერი გადაავიწყა და ქალიშვილის ბედნიერად დაბინავების „მაღალ დონეზე“ აღნიშვნა გადაწყვეტინა.

ქორწილზე ორიოდე დღით ადრე, თავისი ერთადერთი ავადმყოფობა, — დიაქრის ტკივილი მოიჩიზჩა და ბეულეტენზე გადავიდა. სახლში კი ნამდვილი შტაბი შექმნა, საგანგებო „ოპერატიული რაზმი“ ჩამოაყალიბა. კოლმეურნეობის ნაცადი თამჯდომარე თადარიგისა და მასშტაბების კაცი იყო.

ერთი გამოცდილი სამეურნეო მუშაკი თბილისში აფრინა, ზუთხის, თართის, შავი და წითელი ხიზილალის ჩამოსატანად; ზეთისხილიც მასვე დააბარა, აუცილებლად ორივე სახის — მწვანე და მელნისფერი მიეყიდეთ; მეორე სანდო კაცი, არაგვის ხათაეებში გაგზავნა, ქართული კალმახის საშოვნელად, ერთ მოზრდილ გოდორზე ნაკლები არ ჩამოიტანოთ; ორი ზორბა დეკეული იალაღებიდან ჩამოარეკინა; გუჯარეთში ექვსი ნაგვიანევი ბატკანი აყიდვინა, ლეთეთელ ოსებს ოსური ლუდი მოახარშვინა, ხაბიზგინებიც იმათვე დაუკვეთა; გუდის ყველი თუშეთში აყიდვინა; გარდატხელი მჭედლიშვილებისაგან თეთრი ატენური ქვევრითვე შეისყიდა, ხოლო გორიდან წითელი ხიდისთაური ამოატანინა...

ჯიბრიანი კაცი იყო სანდრა ედიშერაშვილი; უნდოდა სტუმრებისათვის გოდერძის თავყვერზე უკეთესი ღვინო მიერთმია და უკეთესი სუფრაც გაეშალა.

დანარჩენი სანოვაგე სამებური მოზიდა. ამაზე უკეთესი, არც ბოსტნეული, არც ნიგოზი, არცა ხილი მთელს დუნიაზე არ იშოვებაო. რა თქმა უნდა, არც მტკვრის ცოცხალი დაივიწყა: ხანდალას ორი გამოცდილი მებადური გააყოლა და მთელი სამი დღე ათევზავა.

და გაშალა ხანდრამ ისეთი სუფრა, ხატის რძე რომ არ აკლდა.

უნდოდა მძახლისათვის ნიში მოეგო, მაგრამ ის სახეძაღლი მძახალი (ასე უწოდა იმ პირველსავე, დღეს), გეგონება ჯიბრზე, ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა.

სამი დღე ზანზარებდა ხანდრაანთ სახლის ჭერი, გორიდან ჩამოყვანილი ნაქები მოსიმღერეების მძლავრზე-მძლავრი ხმებისაგან.

თრიალეთის ორწოხებამდე და ძამის ნაპირებამდე უწევდა სამებაში დამკვიდრებული „ცეცხაანთ მრავალჟამიერი“ და

„შევკრათ წითელი". ამ სიმღერების თქმა, მასპინძელმა პირობად დაუდო გორელ მომღერლებს და, რა მეტი ჩარა იყო, იმათაც „შევკრათ წითელი" სახელდახელოდ ისწავლეს. მედუდუკეები თბილისიდან ჩამოაყვანინა, კარგა ბლომად ფულიც დაუჯდა მათი სტუმრობა.

მაგრამ სანდრა ხარჯებს არ ერიდებოდა, — „ამაზე დიდი დღე მე აღარ დამიდგება. ჩემი ქორწილი ხომ ვერ გადავიხადე, იმხანად ბოგანოც ვიყავი და წლებიც უბედური იდგაო. ამიტომ ახლა, ჩემი ქორწილის გემოც, ჩემი ქალის ქორწილის გემოც, ერთად უნდა ჩავატანოო!"..

„ოპერატიულ ჯგუფში" ორი თავისი ძმა, ორი ცოლისძმა, ერთი კარის მეზობელი და ერთიც თბილისელი ნათესავი შეიყვანა და ექვსივეს ისეთი დღე აყარა, სულ ციბრუტივით აზრიალა.

მაგრამ ყველაზე მძიმე დღეში, შესაძლოა თავისდაუნებურადაც, ისევ სიძე ჩააგდო.

მალხაზს გვერდიდან არ იშორებდა.

ერთი წამითაც რომ სადმე გასულიყო, მაშინვე მოიკითხავდა, მოაძებნინებდა, თუ საჭირო იყო, მდევარს დაადევნებდა და კვლავ გვერდით მოისვამდა.

რასაც თვითონ დალევდა და რა სასმისითაც დალევდა, მალხაზსაც იმითვე ასმევდა. არა და სანდრას რომ სმაში მიჰყოლოდა, თვითონაც სანდრასნაირი მსმელი უნდა ყოფილიყო. სანდრას კი მთელ ქართლში ტოლი არ მოეძებნებოდა.

მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ საღერღელ აშლილმა ედიშერაშვილმა გაუთავებელი და დაუსრულებელი კოცნაობა იცოდა. ოდნავ შეეჟინჟღილდებოდა თუ არა, მარცხნივ მჯდომსაც და მარჯვნივ მჯდომსაც ხელს გადახვევდა, შიგ ტუჩებში ჰკოცნიდა და სუფრიდან წამოდგომამდე აღარ მოასვენებდა. იყო ერთი მტლაშამტლუში, კისერზე ხელის წაჭერა და სიყვარულის ნიშნად გულში ჩაკვრა. ხელები კი ისეთი ღონიერი ჰქონდა, რომ მოეწადინა, კამეჩს დაახრჩობდა.

ამიტომ იყო, რომ მის გვერდით ჯდომას ყველა უფრთხოდა. თუ კი შეიტყობდნენ, რომ ამა და ამ წვეულებაზე სანდრაც მოვაო, თამადის ადგილიდან (და განა სანდრა თამადობას ვინმეს დაუთმობდა!), რაც შეიძლება მოშორებით ჯდებოდნენ. ვაი მას, ვისაც სანდრა ნიშანში ამოიღებდა და დათრობას დაუპირებდა.

და, აი, ქორწილის პირველი დღიდანვე, მთელი ორი კვირის მანძილზე, სანდრას სამიზნეში მალხაზი ყავდა ამოღებული და თავისი სიყვარულით, ალერსით, ყურადღებით, სმაში გამოწვევით, ისე მოჰქანცა, ისე გამოსწუწნა ობობასავით სისხლიც, მოთმინებაც, ჯანღონეც, რომ უსიცოცხლო ფიტულს დაამსგავსა.

მალხაზი არც ადრე იყო სწრაფი და შუშპარა. დინჯ ყმაწვილს აჩქარება არ უყვარდა და არც ეხერხებოდა. მაგრამ გასაჭირსა და უსიამოვნების ჟამს, კიდევ უფრო შენელებული ხდებოდა მისი ფიქრიცა და მაჯისცემაც.

ახლაც ამ დღეში იყო. თავი სიმამრის ხელმძღვანელობას მისცა და მორჩილად მიჰყვებოდა მის მიერ ნაჩვენებ გეზს. როცა ასაყოლი იყო, აჰყვებოდა, როცა დასაყოლი — დაჰყვებოდა.

თუმცა კარგად იცოდა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო და თავის დროზე (როცა საჭიროება მოსთხოვდა) აუცილებლად დაჰგლეჯდა სანდრასეულ საბელებს, როგორც უწინ ვახტანგ პეტროვიჩის ჯაჭვები დაგლიჯა.

მაგრამ სრულ თავისუფლებამდე ჯერ კიდევ შორს იყო და ედიშერაშვილებმა ლამის მოიდნეს. დღე, მამა არ აძლევდა მოსვენებას, ღამე — შვილი.

ერთადერთ სიამეს აივანზე ჯდომა და შორეთში ყურება ჰგვრიდა.

მალახზს არც კი წარმოედგინა, სამება ამდენად ლამაზი თუ იყო და ისეთი ღვთაური კუთხე თუ გააჩნდა, როგორც კოშკები.

კოშკებიდან (ასე ერქვა ედიშერაანთ უბანს) თრიალეთის ჩრდილო კალთა მოჩანდა, ზედ შეფენილი სოფლებით, ლაინისფერი ხეობებით და მუქ-ლურჯი ტყეებით, რომელთა შორის თეთრ სირმებად იკლაკნებოდნენ მთის ბილიკები.

სანდრას აივნიდან სამების მთელი სამხრეთ-დასავლეთი კუთხე შეგეძლო დაგენახა, ვიდრე ლეთეთის სანახებამდე. ეს ადგილი

განსაკუთრებით მწვანიანი იყო. აზურმუხტებულ ზვრებს, გაფოთლილ ხეხილის ბაღებს, აბიბინებულ ყანებს თვალს ვერ მოსწყვეტდი.

საათობით იჯდა მალხაზი გაუნძრევლად სელის სკამზე და შელოცვილივით გასცქეროდა ღვთაებრივ სიმწვანეს. იგი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ოცდაათ წელს გადაცილებულ კაცს ბუნების ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ახლა აღეძრა და მისი სიმშვენიერე პირველად აქ, სანდრას აივანზე იგრძნო.

მაგრამ მექორწილენი არც აქ ასვენებდნენ. დრო და დრო, როცა სანდრა სიძეს მოისაკლისებდა, ან ვინმეს შათირად გამოუგზავნიდა ან თვითონ შემობრაგუნდებოდა, უგრძეს მკლავებს ფართოდ გაშლიდა და ძლიერი ხმით ველურად შეჰყვირებდა:

— კაცო, შენა რა ადამიანი ყოფილხარ? იქა სტუმრები გელიან და აქა რა გული გიძლებს? რომელი ფილოსოფოსი ან მხატვარი შენა მყავხარ, აგრე თვალმოუცილებლად გასცქეროდე მანდაურობას?! რა ნახე აგეთი, ხე და ბალახი არ გინახავს? თუ აგრე გენატრება, მემინდვრეთა ბრიგადაში ჩაგწერ და სულაც სიმწვანეში იქნები!.. აბა, წამო, ჩვენებიანთ ნიკალა მოგვივიდა თავისი ცოლ-შვილით, დედიჩემის მხრივა მარტო ეგენი-ღა მყვანან. ეწყინება, თუ ერთი კარგად არ შევამკეთ და მაგრად არ შევუბერეთ.

და რაც არ უნდა ეუარა, სიძეს მაინც თან გაიყოლებდა. სანდრასთან ხომ არაფერი არ გადიოდა!

სასტუმრო ოთახის ზღურბლზე შედგებოდა თუ არა, სტუმრებს მეველესავით დასჭყივლებდა: — იხარე ჭერო, დაბრმავდი მტერო, ესეცა ჩემი სიძეი!... როგორი ბიჭია, ჰა? ახლა ამისი კისერი ნახე, ახლა ამისი მხრები ნახე, ბიჭია კლაპიტონისა! მაშ, არადა დედითქვენისამა, სანდრა კარგ სიძეს ვერ იშოვნიდა. ეი, მაწაოხრებო, დალიეთ ჩემი სიძის სადღეგრძელო! — და კიდევ უფრო ომახიანად შეჰყვირებდა: — ქორწილია, ქორწილი!..

სანდრას ყიჟინისაგან მალხაზს ყურები დასკდომაზე ჰქონდა. არა და, სიმამრი გვერდიდან არ იშორებდა. სანდრას გვერდით ჯდომა კი მჭახე ზარბაზანის მეზობლობას ნიშნავდა. ისე გაჰყვიროდა, ისე დასჭყივლიდა, კაცს საფეთქლის ძარღვები დააწყდებოდა.

მაგრამ ნათქვამისა არ იყვეს, — ერთი ერისკენ, მეორე ბერისკენო, — სანდრა გონიერი ხელმძღვანელი და უებრო მეურნე იყო. ამ ძნელ დღეებში მალხაზი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რა მოკრძალებითა და ნდობით ეპყრობოდნენ მის სიმამრს სამებელნი.

სწორედ სანდრას ხელში იხარა და აყვავდა სამების კოლმეურნეობა. უწინ ჩამორჩენილი და ღარიბი, სანდრამ იგი მილიონერად აქცია და რამდენიმე მაღალი ჯილდო მოუპოვა.

დაუნდობელი ხელმძღვანელი კი იყო! არც თავის თავს აძლევდა შეღავათს, არც სხვას. საზოგადო საქმისათვის ხალხის მტრად გადაკიდებასაც არ ერიდებოდა.

მაგრამ გულისხმიერიც იყო. გარეგნული უხეშობისა, მყვირალა ხასიათისა და მკაცრი მომთხოვნელობის მიუხედავად, გული სუფთა და ალალი ჰქონდა. საკუთარი შეცდომის გამოსწორებაც და დროზე უკან დახევაც იცოდა. ალბათ, ამიტომ უყვარდათ სამებაში. მერე რა, თუ ცოტას თავისკენაც ითლიდა? განა მის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, არ მიითლიდა?? — ასე მსჯელობდნენ სამებელნი და სანდრას ერთგულად მიჰყვებოდნენ: ყველაზე იწერებოდა უსახელო წერილები, ყველას ჰყავდა თავთავისი მომჩივანი, — სანდრას კი არა!.

გულხალვათი კაციც იყო. იცოდა გაჭირვებულის დახმარება. თანასოფლელებს ისე მეურვეობდა, ისე დაზრუნავდა, როგორც კარგი მოყვარე.

სახლიც დოვლათიანი ჰქონდა და პურმარილიანი კაცის სახელიც ჰქონდა დავარდნილი. ახლა, ჩემო ძმაო, — უყვარდა ხოლმე თქმა, — შუღლისა და შფოთის დრო არ არის. უნდა სიამტკბილობით ვიყოთ; ამითა საქმესაც უფრო ვარგებთ და თავთავის ოჯახებსაც.

სანდრას ამ გეზს სამებელები ერთსულოვნად იზიარებდნენ და სანდრას თავკაცობაც შეუვალი იყო.

თვით რაიონული ხელმძღვანელობაც

ცვლამაც ვერ შეარყია სანდრას პოზიციები. ან რა იყო ამაში გასაკვირი: საქმეც კარგად მიჰყავდა; დაუღალავი მშრომელიც იყო; თბილისელი ხელმძღვანელებიც სწყალობდნენ და სამებელთა მხარდაჭერითაც სარგებლობდა. სხვა რაღა იყო საჭირო, რომ ამ დონიერ თავმჯდომარეს თავი მშვიდად ეგრძნო და ერთადერთი ქალიშვილის ქორწილში მთელი გულით არ მოელხინა?

მაგრამ ედიშერაანთ ოჯახის ჭეშმარიტი მეთაური მაინც მარგალიტა იყო. ეს დინჯი, სიტყვაძუნწი და გულკეთილი ქალი, ოჯახის ნამდვილი მფარველი ანგელოზი გახლდათ.

მარგალიტა სამებელთა უძველესი მკვიდრების, როინაშვილების, ჩამომავლად ითვლებოდა და თავისი სამებლობით თავი ძალიანაც მოჰქონდა.

ტანმორჩილი, კაფანდარა ქალი იყო, გამხდარი პირისახითა და ბავშვურად პატარა ხელებით.

თავის ვეება ქმარს მკერდამდეც ვერა სწვდებოდა. ჩია სხეულთან და პატარა პირისახესთან შეუსაბამო თვალები ჰქონდა, უზარმაზარი, შუქიანი, წმინდა და რაღათქმა უნდა თაფლისფერი, — როგორც ყველა ჭეშმარიტ სამებელს.

ხომ პატარა ქალი იყო მარგალიტა როინაშვილი, მაგრამ შრომაში ბადალი არა ჰყავდა! მისნაირი ჯაფაც მთელ სამებაში არავის ადგაა კოლმეურნეობაში მერგოლურად მუშაობდა და საქმე საათივით ჰქონდა აწყობილი. მარგალიტას მებოსტნეთა რგოლი ქართლის რაიონებში თითით საჩვენებელი იყო, კოლმეურნეთა რესპუბლიკურ თავყრილობებზედაც არა ერთხელ შეექთი.

ედიშერაანთ დიდი ოჯახის გაძღოლაც ისევე მარგალიტას აწვა. მაგრამ ამასაც ისე დაუჩივლელად, და რაც მთავარია, კარგად აკეთებდა, მთელი სამება გაკვირვებას იყო. უთენია დგებოდა და ყველაზე გვიან წვებოდა. მთელი დღე ჩაუმუხლავად ტრიალებდა და რა საქმესაც არ მოკიდებდა ხელს, ყოველივე ჩინებულად გამოუდიოდა.

„ბაჯაღლო ოქროს“ ეძახდნენ მარგალიტას სამებელნი და ბევრზე-ბევრი შენატროდა მის ქალობასაც, მის ოჯახსაც.

სანდრა რომ აყაყანდებოდა, აზავთდებოდა და თავის გრძელ მკლავებს ქარის წისქვილივით დაატრიალებდა, საკმარისი იყო მარგალიტას ერთი წარბქვეშიდან უტყვი გამოხედვა, რომ ქმარი მოეთოკა და ჩაეყუჩებინა.

საოცარი შინაგანი ძალა ჰქონდა ამ პატარა ქალს.

ერთი ხმამაღალი სიტყვაც კი არავის არა სმენოდა მისგან, არც დიდს, არც პატარას. მოყვარული გული ჰქონდა, თუ კი გაიგონებდა მავანსა და მავანს ესა და ეს უჭირხო, მარგალიტა მაშინვე იქ გაჩნდებოდა და რა გასაჭირიც არ უნდა ყოფილიყო, ხელს შეაშველებდა. იმასაც ამბობდნენ თუ სანდრას სოფლის თვალში რაიმე ფასი ადევს, ნახევარზე მეტი მარაგლიტას წყალობითო.

ერთადერთი ქალი სამებაში, რომელიც მარგალიტას არ უყვარდა, მალალო იყო.

ეს სიძულვილი ნაადრ ბავშვობაში იღებდა სათავეს.

მარგალიტას მამა, კაცი თამამი და ამაყი, საშუალო გლეხად წოდებული, თავის დროზე უჯიათ კაკოლას უსამართლოდ დაეჩაგრა და რაღაც სადაო მამული წაერთმია. მას შემდეგ, ვერც კაკოლას, და ვერც მისი ოჯახის წევრთა სახელს როინაშვილებს ვეღარ უხსენებდი. უფროსების მიერ ბავშვობაში ჩანერგილი ეს სიძულვილი მარგალიტამ ბოლო დრომდე შეინარჩუნა.

და ბედი არ გინდა, მისმა ქალმა სწორედ მალალოს შვილი შეირჩია ცხოვრების თანამგზავრად!

მიუხედავად ამისა, მარგალიტა წინ არ აღდგომია მარინეს არჩევანს. მართალია, ზენკლიაანთკენ გული არ მიუწევდა, მაგრამ ეშინოდა კიდეც, — ეს საქმე თუ ჩაგშალე (რომ მოენდომებინა კი, იცოცხლე, ჩაშლიდა!), ვინ იცის, როდის გამოგვიჩნდება მეორე ასეთი სასიძო და უკეთესის ძებნაში, ვაი, თუ ესეც დავკარგოთო, ამით კი ქალი სამუდამოდ გაგვიუბედურდებაო.

გონიერი, გამგებიანი, წინდახედული ქალი იყო მარგალიტა და აკი გონივრულადაც მოიქცა; თავისი უმძრახი გრძნობა გულში

ჩაიმარხა და სიძე შეიტკბო, თავის თავს მისადმი სიყვარული აიძულა.

ვინა თქვა, სიყვარული ძალათი არ შეიძლებაო? მოინდომა მარგალიტამ მალხაზისადმი სიყვარული ჰქონოდა და კიდეც გაიღვივა იგი, რადგან დარწმუნდა, რომ სხვაგვარად არ შეიძლებოდა, სხვაგვარად თავის ქალიშვილს მოუკლავდა გულს.

სიდედრის სახით მალხაზმა დიდი შემწე და ქომაგი გაიჩინა.

დაკვირვებული მარგალიტა სულ ჩახმახზე იყო შეყენებული. შეამჩნევდა თუ არა, რომ მისი თავმჯდომარულად პირდაპირი ქმარი, ან ზედმეტად ატაცებული ქალიშვილი მალხაზს თავბრუს ახვევენ, მაშინვე იქ გაჩნდებოდა და სიძეს ქმარშვილისგან დაიხსნიდა. მომაბეზრებელ მიტანებაში მარინე საოცრად ჰგავდა თავის მოუსვენარ მამას!..

მალხაზმა, რომელიც საკმაოდ უნდო კაცი იყო და ადამიანებთან გამინაურება უჭირდა, თავიდანვე კეთილი თვალით შეხედა სათნოებით აღსავსე სიდედრს და მისი სიკეთე ირწმუნა. სიძე თითქოს ყოველ წვრილმანში გრძნობდა შორსმჭვრეტელი ქალის ყურადღებას და ფარულ წახმარებას. იგი ნათლად ხედავდა, რომ მარგალიტა ყოველი ძალით ცდილობდა თამამი ქალიშვილისა და ფიცხი ქმრის დაშოშმინებას, მათ ატეხილ, აბობოქრებულ ბუნებაში სიმშვიდისა და ზომიერების შეტანას.

ჩასიძების ერთი კვირის თავზე მარგალიტამ იმდენი მოახერხა, რომ თუ კი მალხაზი აივანზე გავიდოდა, იშვიათად რომ იქ მას ვინმე გაჰკარებოდა. მარგალიტა მკაცრი დარაჯივით ედგა სიძე-ქალიშვილის ოთახებს და შიგ შესვლას ყველას უკრძალავდა. წარმოიდგინეთ, ეს პატარა ქალი თვით ჯიუტ სანდრასაც კი იგერიებდა!

და აი, სწორედ ამ იშვიათ საათებში დაიწყო თავის მიერ განვლილ გზასა და მომავალზე ფიქრი მალხაზ ზენკლიშვილმა.

ამ ცოტა ხანში იმდენი რამ გადახდა, იმდენი რამის მოწმე და მონაწილე შეიქნა, რომ ყოველივე ამას გონებით გადახარშვა და მკაცრი ანგარიში სჭირდებოდა...

მშობლებთან უსიამოვნებამ, მითდამი გრძნობაზე ჩააფიქრა და დედ-მამისადმი ნამდვილი სიყვარულის ზომა-წონის დადგენა მოანდომა.

მალხაზს ერთი უცნაური ზნე სჭირდა, რომელიც დიდიხანია შეამჩნია თავის თავს: საკუთარ ვერაგულ საქციელზე წვრილ-წვრილ ემშაკობასა და ადამიანთა მიმართ სხვა შეცოდებებზე ნაკლებად ჰფიქრობდა, რადგან ყოველივე ეს, მოუფიქრებლადაც კარგად გამოსდიოდა.

ისეთი ალღო ჰქონდა, გონების გარეშეც კარგად გრძნობდა, როდის რა იყო საჭირო, სად ან ვის მიმართ, რა ხერხი უნდა ეხმარა.

არც თავის ხერხიანობაზე უფიქრია ოდესმე, ესეც თანდაყოლილ ზნესავით მოსდგამდა. ისე ირჯებოდა, როგორც კარგი მოჭიდავე, რომელიც ხშირზე-ხშირად გონების ჩაურევლად მოქმედებს და თავისი ან მოწინააღმდეგის ერთი უბრალო მოძრაობით, თუ სხეულის მდგომარეობით ხვდება რომელ, შემთხვევაში რა ილეთს უნდა მიმართოს.

თავის თავსაც არ უმხელდა, რომ ამ უზარმაზარ ცისქვეშეთში ნამდვილი სიყვარულით არავინ არ უყვარდა. თუ რამ უხერხულ ნაბიჯს გადადგამდა, — განსაკუთრებით ისეთს, ხალხში „უდირსი საქციელის" სახელს რომ ატარებდა, — ცდილობდა მაშინვე დაევიწყებინა და საკუთარი თავის სასაყვედურო მეხსიერებაში არაფერი შემოენახა.

ყველასა და ყველაფერს, რაც კი მას პირადულ ბედსა და მომავალს შეეხებოდა, საკუთარი სარგებლობისა და მომგებიანობის თვალით შესცქეროდა; ყველგან და ყველაფერში მხოლოდ ჭკუის ძალას აღიარებდა. ზნეობა მისთვის ხერხიანობისა და ჭკუამახვილი წინსვლის უბრალო გამონაბოლქვი იყო და მეტი არაფერი.

როცა იტყოდნენ, ეს არ ევარგება, ან ამა და ამ ზნეობრივ ნორმას არ ეთანადრებაო. გულში ეცინებოდა: რა ნორმა უნდა იყოსო ისეთი, რომელმაც გონიერ საქციელზე ხელი აგაღებინოს და სასარგებლო საქმისადმი ზურგი შეგაქცევინოსო. „ნორმა", მისთვის მხოლოდ მოქნილი ტვინის დროული და კარგი ჩანაფიქრი იყო და მეტი არაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთი, რასაც, მისი აზრით, განსაკუთრებით უნდა გაფრთხილებოდა ყოველი ადამიანი, — ეს ხალხის უსაფუძვლო გაღიზიანება იყო.

მისი რწმენით (რომელიც ჯერ არავისათვის არ გაენდო), ხალხს სულ სხვანაირად უნდა მოაჩვენო თავი, ვიდრე სინამდვილეში ხარ და მიზანი მთლათ თუ არა, სანახევროდ მაინც მიღწეული გექნება. ეს თვალთმაქცობა ბავშვობიდანვე კარგად გამოუდიოდა და მშვენივრად ეხერხებოდა. ამიტომ ბევრზე ბევრს მოსწონდა, ხოლო ზოგიერთებს უყვარდა კიდეც.

მაგრამ თვითონ თუ უყვარდა ვინმე, ძალუმად და გულწრფელად ეს აღარ იცოდა!

რომ გეკითხა, ვინ გიყვარს ყველაზე მეტადო, მაშინვე მოგიგებდა — დედაო, მაგრამ რანაირი იყო ეს სიყვარული, — ამაზე ვედარ გიპასუხებდა.

რა იყო ეს, სიყვარული მშობლისადმი, გამზრდელისადმი, ადამიანისადმი, ვინც ყველაფერს გისრულებს, ცხოვრებას გიადვილებს და თვალებში შემოგცქერის, თუ გარკვეულ პიროვნებისადმი, თავისი საკუთარი ქცევით, აზრებით, ხასიათით, — ეს უკვე აღარ იცოდა!

უფრო სწორად, იცოდა, მაგრამ თავის თავსაც არ უმხელდა, რომ დედა მას მიაჩნდა მაღალი გონებისაგან დაცლილ რაღაც კეთილ ძალად, რომელიც ყოველივეს, რასაც აკეთებდა, მხოლოდ დედობრივი ინსტინქტით აკეთებდა და არა მაღალი გონის კარნახით. დედის საქციელში იგი ვერა ხედავდა იმ გააზრებულ ქმედების ნიშნებს, რომელიც გამოიხატება ჯერ საკუთარი პიროვნების სრული შეცნობით, მისი რაობისა და ღირებულების გარკვევით და მხოლოდ ამის შემდეგ მისი შეგნებული შეზღუდვითა და დათმობით.

მამა კი მხოლოდ აღიზიანებდა, ცხოვრებას მოწყვეტილი მოთხოვნებით სიცოცხლეს ურთულებდა, რადაც უცნაური წარმოდგენებისადმი ერთგულებას მოითხოვდა და ისე ირჯებოდა, გეგონება, არა იმდენად შვილის ცხოვრების წარმატებით წარმართვა სურდა, რამდენადაც მისი რაღაც გარკვეული თარგისადმი შესაბამისობა.

მალხაზს გულში ეცინებოდა მამის მიამიტურ სწრაფვაზე, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, თავზე მოეხვია შვილისათვის საკუთარი ბუნდოვანი იდეალები. მოეხვია ისე, რომ თვითონაც არ იცოდა, გამოადგებოდნენ თუ არა ოდესმე მის შვილს ეს უცნაური, ძველ დროიდან გადმონაყოლი წესები, ტრადიციები და ზნეობრივი კანონები.

მაგრამ იყო რაღაც ისეთიც, რაც მას მამისაკენ ეწეოდა. უპირველეს ყოვლისა, ალბათ, გოდერძის ალალი სიყვარული შვილისადმი, მისი მზადყოფნა ყოველივე შეეწირა ვაჟიშვილის კეთილდღეობისათვის.

ამასთან ერთად, მალხაზს არ მიაჩნდა მამამისი სრულყოფილი თანამედროვე ადამიანის სახედ.

მამის სიუხვესა და უშურველობას არაიმდენად მაღალი ადამიანობის გამოვლინებად თვლიდა, რამდენადაც შეზღუდული პიროვნების სურვილად, რომ „ყველაზე კარგი" ოჯახი ჰქონოდა, „ყველაზე კარგი" შვილი ჰყოლოდა, „ყველაზე კარგი" კაცი ყოფილიყო.

„აბა ყოფილიყო მამაჩემი უფრო მაღალი განათლების, უფრო ფართო ინტერესების კაცი, — მრავალჯერ უფიქრია მალხაზს, — უფრო მეტი მიზნები ჰქონოდა, უფრო მეტად ყვარებოდა პირადული სურვილების დაკმაყოფილება, — მაშინაც ასე ვეყვარებოდი? მაშინაც ამდენს იფიქრებდა ჩემზე?"

როგორც ყოველ გულცივ მოთავისეს და პატივმოყვარე ადამიანს, მალხაზს ყველაზე მეტად თავისი საკუთარი ზრახვების გამჟღავნებისა ეშინოდა და ისეთი გამომგონებლობით, უნარით, მოხერხებით მალავდა მათ, რომ მისი „შიშველი მეს" დანახვა ერთობ ძნელი იყო.

ედიშერაშვილებთან ზედსიძედ ცხოვრების ყოველი დღე სულ უფრო და უფრო არწმუნებდა მალხაზს, რომ არც მარინესთან მისი შეუღლება იყო „მთლად ბედნიერი" და მთლად გამართლებული ნაბიჯი.

გარდა იმისა, რომ ახლა თვით მარინეც უფრო „სხვაგვარი" ეჩვენებოდა, იმაშიც დარწმუნდა, რომ ეს ოჯახი ერთობ დაბალი კულტურის იყო.

მალხაზს კი ბავშვობიდან ეწადა უფრო მაღალ კულტურულ წრეში მოხვედრა და „ნამდვილ“ ინტელიგენციაში გარევა. ეს მისი დიდიხნის ოცნება გახლდათ. ლიკამაც იმიტომ მოხიბლა, რომ იგი სწორედ ამ სანუკვარ „მაღალ“ წრეს ეკუთვნოდა; ლიკას ქარაფშუტა დედასაც იმიტომ შესცქეროდა შეღავათიანად, იმიტომ უგულვებელყოფდა მის მრავალ სისულელეს, რომ იგიც „მაღალი“ ინტელიგენტური წრის წარმომადგენლად მიაჩნდა და მწარედ შეძულებული „სოფლურობის“ საპირისპირო ადამიანად რაცხდა.

პროვინციალიზმს მალხაზი ადამიანის თვისობრივ ნიშნად, მისი ხასიათის რაობად კი არა თვლიდა, არამედ უბრალო ტერიტორიულ ცნებად, რომელიც ურღვევად დაკავშირებულია სოფლურობასთან. ამიტომ თავის ბიოგრაფიაშიც ყველაზე არასასურველად სოფელთან სწორედ ეს კავშირი მიაჩნდა, რომელსაც ვერ იქნა და ვერ მოსწყდა, ვერ გამოეთიშა...

მარინეს შერთვის იქით კი გზა არა ჰქონდა.

ისე შეეშინდა ადგილის დაკარგვისა, ამდენი სიძნელეებით მოპოვებული „მაღალ თაროდან“ ჩამოგდებისა, რომ ერთადერთ მხსნელად სანდრასთან კავშირი იგულა.

ამისკენ ერთმა შემთხვევამ უბიძგა.

მაშინ ჯერ კიდევ რაიკომის მდივნად მუშაობდა...

გვიანი შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს, რაიკომში სოფელ წაბლიანიდან დარეკეს, ქათმის ფაბრიკაში რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩამოვიდა და ფაბრიკას ამოწმებსო.

რაიკომის პირველი და მეორე მდივნები ადგილზე არ აღმოჩნდნენ და წაბლიანში მალხაზი გაქანდა.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრს ფაბრიკის დათვალიერება უკვე მოესწრო. და ახლა საინკუბატორო კორპუსის მშენებლობას ამოწმებდა. რაიონის აქტივიდან მას მხოლოდ სანდრა ედიშერაშვილი ახლდა.

სანდრა წამით არ შორდებოდა დიდი თანამდებობის პირს და, როგორც ყველაფრიდან ჩანდა ,მასთან ფრიად ახლო ურთიერთობაში იყო. არც მალხაზი აშორებდა თვალს ხელმძღვანელ ამხანაგს და სულ ფეხდაფეხ დაჰყვებოდა.

დათვალიერებას რომ მორჩნენ, სანდრამ ბიუროს წევრს რაღაც ხმადაბლა წაულაპარაკა. მან კი ჯერ საათზე დაიხედა, მერე ეტყობა თანხმობა განუცხადა, მაგრამ მოშორებით მდგარ მალხაზს გამოხედა და თავის მხრივ სანდრას ორიოდე სიტყვა უთხრა.

—ამხანაგო მალხაზ, ვლადიმერ აბიბოევიჩი გთხოვს ჩვენთან ერთად წამობრძანდე!.. — გამოსძახა სანდრამ და ხელით შავ „ვოლგაზე“ ანიშნა.

მთავრობის ნომრებიან შავ „ვოლგაში“ სამნი ჩასხდნენ; ბიუროს წევრი, სანდრა და მალხაზი. მანქანამ გეზი ედიშერაშვილის სახლისკენ აიღო.

ედიშერაანი მომზადებულნი შეხვდნენ საპატიო სტუმარს.

სანდრამ ისეთი სუფრა დაახვედრა შეცივებულ ვლადიმერ აბიბოევიჩს, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა.

ნახულითა და გაგონილით გაოცებული მალხაზი თან სანდრას მდიდრულ სახლსა და თავმჯდომარის ლამაზ ქალიშვილს ათვალიერებდა, თანაც ცდილობდა ბიუროს წევრისა და ედიშერაშვილის ნალაპარაკევიდან ერთი სიტყვაც არ გამორჩენოდა.

ვლადიმერ აბიბოევიჩმა და მასთან ხელგადახვევით მჯდარმა სანდრამ კი სანაქებოდ მოილხინეს.

საპატიო სტუმარი კარგი მსმელი გამოდგა და გულუხვ მასპინძელს მხარი ვაჟკაცურად აუბა. მაშინ მალხაზმაც თავი მოიქაჩლა, ორი უფროსი ამხანაგის გასახარად, სმაში ერთგულად მიჰყვა და არაფერიც არ დაიკლო.

აი, მაშინ დარწმუნდა მალხაზი რა ახლო, რა მეგობრულ ურთიერთობაში ყოფილა სანდრა ედიშერაშვილი რესპუბლიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან, ვისი სახელიც მთელს საქართველოში ასეთი მოწიწებით წარმოითქმოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მალხაზი უცხო კაცი იყო, არც ვლადიმერ აბიბოევიჩი, არც სანდრა არა ცდილან დაემალათ თავიანთი

ახლო მეგობრობა. შეხუმრებულმა სანდრამ ბიუროს წევრს ერთი-ორჯერ ისეთი რაღაცეებიც უთხრა, ალბათ, სხვა ვერავინ შეჰკადრებდა.

სწორედ მაშინ გაუჩნდა მალხაზს მაცდური სურვილი სანდრასთან დამოყვრებისა.

ის იყო და ის: თვალი ვეღარ მოაშორა თეძოგანიერ, მხიარულ, საკმაოდ თამამსა და ლამაზი პირისახის მარინეს, რომელიც ჯერ კიდევ სკოლიდან ახსოვდა, როგორც ერთი ყველაზე ახტაჯანა გოგო.

ეტყობა სანდრამაც შენიშნა რაიკომის ახალგაზრდა მდივნის ხარბი მზერა, მისი ქალიშვილისაკენ ქვეშ-ქვეშ გაპარებული და ამ ნაცადმა კაცმა, მოსაზრებულმა და გამჭრიახმა, სულ სხვანაირი თვალით შეხედა თავის სტუმარს.

იმ დაუვიწყარ საღამოს მალხაზი ორ რამეში დარწმუნდა:

ჯერ ერთი: რესპუბლიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ედიშერაშვილი უფრო მიაჩნდა და უფრო მეტადაც უჯერებდა, ვიდრე რაიკომის პირველ მდივანს. მალხაზი მოწმე შეიქნა სანდრას მიერ საქმის ოსტატურად „ჩაწყობისა“. მან ისეთი ხელოვნებით და ემმაკური მიამიტობით შეატრიალა რამდენიმე საკითხი, რომელიც ვახტანგ პეტროვიჩს უკვე გადაწყვეტილად მიაჩნდა, რომ მალხაზი ყურებს არ უჯერებდა.

და მეორეც: რომ სანდრას მეტად მომხიბვლელი ქალიშვილი ყოლია, საზოგადოებაში ფრიად გამოსულიც და გარკვეული საზოგადოებრივი წონის მქონეც. ხუმრობა ხომ არ გახლდათ, — მარინე სასწავლებლის დირექტორი და რაიონული კომიტეტის წევრი იყო!

ის სამკაციანი ნადიმი ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, როცა მალხაზს ერთი მიმზიდველი გეგმა ჩაესახა გონებაში. ამ გეგმამ დროთა განმავლობაში თოვლისგუნდასავით იგორა ყმაწვილი კაცის გულში და ვეებერთელა ზვავად იქცა. ამ ზვავმა კი ვახტანგ პეტროვიჩი და მისი ჭირვეული ქალიშვილი ქვეშ მოიყოლა და სამუდამოდ ჩაჩუმქრა.

...ზის ახლა მალხაზი ედიშერაშვილების დიდი სახლის უკანა აივანზე და გონების თვალით გასცქერის იმასაც, რაც ამ დროის განმავლობაში მოხდა და იმასაც, რაც ახლა უნდა მოხდეს.

ეგ არის, რომ პირველი უფრო ნათლად და გამოკვეთილად მოჩანს, მეორე კი ისეთ უკუნეთ ბურუსშია გახვეული, დანახვა კი არა, მიხვედრაც ძნელია...

მარინესთან დაქორწინებიდან სამ კვირაზე მეტი გავიდა...

აივანზე დაფეთებული მარინე შემოიჭრა. სახე ალეწია, რაღაც შეცვლილი ხმით ამბობს:

— მალხაზო, ვლადიმერ აბიბოევიჩი გვესტუმრა!... გაუგია, რომ დავქორწინდით და მოსალოცად ჩამოვიდა!!! ამბობს, სპეციალურად ახალჯვარდაწერილებს ვეახელო! წარმოგიდგენია? მამაჩემმა სიხარულით დავლური დაუარა, შენ გიხმობს... ისეთი ბროლის ვაზა ჩამოგვიტანა, ჩეხურა, კაცს უნახავს გაქდის... აბა, ჩქარა გამოდი, უხერხულია. პატარა ოთახში არიან, რომ არვინ შემოესტროს, — და აღელვებული მარინე სადღაც გარბის.

— სიძეს ვახლავარ! — რიხიანად წარმოთქვა ბიუროს წევრმა, მალხაზისკენ წამოვიდა, ხელი მაგრად ჩამოართვა და დინჯად გადაკოცნა.

— ხედავ, კაცო, რა პატივი გერგო! ჩემი სიძე რო არა ყოფილიყავი, განა აბიბოევიჩის კოცნას ეღირსებოდი? — შესძახა სანდრამ და ახლა თვითონ გადაეხვია ბიუროს წევრს.

სუფრა განცალკევებულ ოთახში გაშალეს, რომ რესპუბლიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელს უცხო არავინ გადაჰყროდა, ქეიფში ხელი არ შეეშალა, მყუდროება არ დარღვეოდა.

იმ დღეს მალხაზმა, ედიშერაანთსა ყოფნის მთელი ხნის მანძილზე პირველად დაუკრა გიტარაზე და პირველად იმღერა.

მარინე შეყვარებული თვალებით შესცქეროდა ქმარს, სანდრა კი წარამარა იოცებდა სიძის მუსიკალურ ნიჭიერებას და სტუმრისაგანაც იგივეს მოითხოვდა.

არც სტუმარი დარჩენილა ვალში. ტაშს გაშმაგებით სცემდა და სულ იმას გაიძახოდა, — ასეთ ნიჭიერ ახალგაზრდას სამე-

ბაში რა უნდა, თბილისში უნდა გადავიყვანოთო!

პირველი სურვილის აღმოცენების შემდეგ სანდრას უკვე მეორე და კიდევ უფრო ძლიერი სურვილი ჰქონდა გულში ჩასახული. იფიქრა, ანაზე კარგი შემთხვევა მე არ მომეცემა და მოდი ბარემ ახლა ვცდი ბედსაო: ბიუროს წევრის მიერ მალხაზის მისამართით გამომჟღავნებული აღტაცება, ხომ უნდა დასხეულებულიყო· რაღაც სასარგებლო შედეგად!

— თბილისში რა უნდა, აქაც დიდი ასპარეზი აქვს, თუ ჭკუით იქნა. — ვითომ სხვათაშორის თქვა სანდრამ და ვლადიმერ აბიბოევიჩს გადახედა.

ბიუროს წევრმა ციმორი დაითრია, ორად გახლიჩა, ხერხემალი გამოაცალა, ერთი ნახევარი მთლიანად პირში გააქანა და სანდრას ჩაშტერებით ჰკითხა:

— მაინც რა?

— ჩემო ლადო, — შინაურულად მიმართა მასპინძელმა ბიუროს წევრს, — განა ბევრი არის ასეთი მარგალიტივით ბიჭი? ასეთი გამრჯე, ასეთი მცოდნე, კარგი ადმინისტრატორი და კარგი ორგანიზატორი? განა ასეთი ოქრობიჭი მოადგილედ უნდა ცდებოდეს და ის ჩვენი უნდილი თავმჯდომარე მხოლოდ იმიტომ თავმჯდომარეობდეს, რომ რაიკომის პირველ მდივნის კბილაა და სადღაც ერთად უმუშავნიათ? აბა, გამოიძახე, გამოელაპარაკე, შეისწავლე, და ნახავ თუ ეგ ოქლაქი თავის სავარძელში უნდა იჯდეს!

— მდააა! — მრავალმეტყველად გააგრძელა აბიბოევიჩმა, სკამიანად უკან გადაქანდა, სკამი უკანა ორ ფეხზე შეაყენა და ერთხანს ასე იყო ჯამბაზივით გაჩერებული. ეტყობა რაღაცას იაზრებდა.

— ამბობ ვერ უძლვება საქმეებს? Так, да? — ბიუროს წევრი რაისაბჭოს თავმჯდომარეს გულისხმობდა.

— ეეჰ, — ჩაიქნია ხელი სანდრამ, — ჭყინტი ყველივითაა! მაგისთანებს ჩვენში უწინა სირისტიანებს ეძახდნენ, ესე იგი ნამიანიო, გაიგე? — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ისე ახარხარდა, ფაჯრებში მინები აწკარუნდნენ, მიწისძვრის დროს რომ იცის, სწორედ იმნაირად.

— А, что будет, если мы и правда назначим его председателем райисполкома, а?

— ჩაფიქრებით იკითხა ბიუროს წევრმა. ამჯერად იგი უკვე მალხაზს გულისხმობდა.

— ხოროშო ბუდეტ! ოჩენ ხოროშო ბუდეტ! — იყვირა სანდრამ, ტაში შემოჰკრა და ბიუროს წევრს საკოცნელად ებღდენა. მერე თავის ჩიქორთულ რუსულზე თვითონვე გადაიხარხარა, მალხაზს ფერდში მუჯლუგუნი ჰკრა და ხელში გიტარა შეაჩეჩა.

ვლადიმერ აბიბოევიჩი ბიუროს ძველი შემადგენლობიდან გადმოყოლილი წევრი იყო. ბევრჯერ დაირხა ხმა, რომ აბიბოევიჩი პენსიაზე გადაჰყავთო, მაგრამ ეტყობა ეს არც ისეთი ადვილი საქმე გამოდგა. შორსა ჰქონდა აბიბოევიჩს ფესვები გადგმული...

აი, ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ უკვე კარგა ხანს გაევლო, რაც ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის გადახალისება მოხდა, ვლადიმერ აბიბოევიჩი ისევ თავის სავარძელში იჯდა, სხვის ბედს განაგებდა და „თავისიანებს" რითაც შეეძლო დაუზარებლად ეხმარებოდა..

სამეხის რაიონში ასეთ „თავისიანად" იგი მხოლოდ სანდრასა თვლიდა.

და არც თუ უმიზეზოდ: ოცდაათიან წლებში ღარიბ-ღატაკ აბიბოევიჩს სანახევროდ ედიშერაშვილი ინახავდა, რომელსაც საოფლიდან კარგა ხვავრიელად უგზავნიდნენ სარჩო-სანოვაგეს. ყოველ შემთხვევაში, პურის ფქვილი, კარტოფილი, ხახვი და ლობიო არასოდეს არ მოჰკლებია.

კურსების დამთავრების შემდეგ, ერთხანს ხაშურის რაიონშიც ერთად იმუშავეს მაწათომზომებად და იქაც ძმაკაცებად დარჩნენ.

ახლა აბიბოევიჩი „მეფისტოლა" კაცი იყო, მაგრამ სანდრას არ ივიწყებდა და ძველ მეგობრობას არა შლიდა.

თავის მხრივ, სანდრაც ყოველნაირად ცდილობდა აბიბოევიჩისათვის ეამებინა და ამას უნარიანად ახერხებდა კიდეც. ძველ ძმაკაცს ძღვენს ძღვენზე უგზავნიდა.

აბიბოევიჩი სუფრის კაცი იყო და პურ-

მარილის ყადრი იცოდა. ამიტომ მის სახლში ნადიმები არ ილეოდა. ყოველ ახალ წელს, მაისისა და ნოემბრის დღესასწაულებზე, თვით აბიბოევიჩისა და მისი ცოლის სახელწოდების დღეებში, შვილებისა და შვილიშვილების დაბადების დღეს, აბიბოევიჩს, როგორც წესი დიდი სტუმრიანობა ჰქონდა და სანდრას ხელშეწყობა რომ არა, ძალიანაც გაუჭირდებოდა თავისი განთქმული „ლადოს სუფრის" გაშლა.

ძუძუთა გოჭები და ბურვაკის სუკები, ხმინდზე გაზრდილი შავი ვარიკები და წიწილები, შვლის ხორცი და მტკვრის ცოცხალი სანდრას თავისივე ნებით ჰქონდა შეწერილი. გარდა ამისა, ისე კვირა არ გავიდოდა, რომ, სანდრას ორი მოზრდილი ყუთი ვაშლი არ გაეგზავნა საამაყო ძმაკაცისთვის. ვაშლი რა თქმა უნდა სულ დარჩეული იყო: ქართლის ჩაშაქრებული ანტონოვკები, თაფლივით ტკბილი შაფრანი, ბროდსკი, კალვინი, რენეტი, სინაპი და ვინ იცის, რა ჯიშს არ შეხვდებოდი ამ ყუთეშში. ნიგოზიც სანდრას ვალდებულებაში შედიოდა. ისეთ პრიალა, ანარჩევა ნიგოზს უგზავნიდა, წვენი ერბოსავით გემრიელი ჰქონდა.

— გინდა, ვაჟკაცო, თავმჯდომარეობა? — ჯიქურად ჰკითხა ვლადიმერ აბიბოევიჩმა მალხაზს.

— რა, ვიცი, თუ ვივარგე... — თავმდაბლურად გაწელა მალხაზმა და ბიუროს წევრს თვალი თამამდ გაუსწორა. მისი პასუხი და მზერა ერთმანეთს არ ეთანადებოდა.

— ივარგებს, მე და ჩემმა ღმერთმა, ივარგებს! — მაშინვე გამოეხმაურა აბიბოევიჩის შეკითხვას სანდრა.

— მაშ, ჩათვალე, რომ უკვე თავმჯდომარე ხარ! — გაბედნძით თქვა აბიბოევიჩმა და მალხაზს მხარზე ხელი დაჰკრა.

— იცოცხლე, კარგია, მაგრამ პირველი მდივანი არ იზამს, — ფრთხილად შეაპარა ბიუროს წევრს სანდრამ.

— რატომ არ იზამს? — წარბები აზიდა აბიბოევიჩმა.

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა სანდრამ, ხომ იცი მაგის ხუშტურიანი ამბავი, იმას უკვე იცნობს და ალბათ მეტსაც ენდობა...

— მაგის ნდობაზეა ქვეყანა დამოკიდებული? — აბიბოევიჩის ხმაში გაღიზიანება იგრძნობოდა.

— დიახ, ბატონო ლადო, — სიტყვა ჩაურთო მალხაზმა, — ალბათ, წინააღმდეგი იქნება...

— ჰო, რაც შეეძლება ხელს შეუშლის, — კვერი დაუკრა სიძეს სანდრამ.

— Пошел он к черту!...

...— იყვირა ღვინით შეჭიკჭიკებულმა აბიბოევიჩმა და მუშტი მაგიდას დაჰკრა, — უყურე ერთი, შენ მაგას!..

— ძალიან ჯიუტია, ჩემო ლადო, რასაც უნდა იმას ჩადის. ამასწინათ, ჩამაცივდა გაღმა მინდვრებში მარტო სოია დათესეო! რა ემმაკად მინდა სოია, მაშინ პური და სიმინდი ვინღა თესოს? ან რა მაგის საქმეა, მე რას დავთესავ, მე ვარ კოლმეურნეობის თავმჯდომარე თუ ეგა? რას ეჩრება ჩემს საქმეში?

— კარგი, კარგი, — მე მოვუვლი მაგას!. შევამოწმებინებ და ვნახავ, როგორ ბრუნდეთ მიყავს სწორი საქმე.

— ახლა კი მოდი ნიშზე ავიდეთ. მიყვარს იქიდან გადმოხედვა. „მაღლა ცაში ავფრინდები, გადმოვხედავ ქვეყანას"... — წაიმღერა ბიუროს წევრმა. მას არც თუ ურიგო პირველი ჰქონდა და საკმაოდ კარგადაც მღეროდა. მალხაზმა მაშინვე მეორე შეაშველა. ბიუროს წევრმა სიამოვნებით გადმოხედა ყმაწვილ კაცს და ხმას უფრო აუწია.

— ამ მინუტში, ლადოჯან, ამ მინუტში!... შენ დარდიმანდობას, შენს ლაზათს, შენს ყარაჩოღელობას ვენაცვალე და შენც გენაცვალე ყანყრატოში! — შეჰყვირა სანდრამ და განკარგულების გასაცემად კარში გავარდა.

„ნიში" თრიალეთის ქედის ერთ-ერთ მაღალ მთაზე გაშენებულ სალოცავს ერქვა. ამ მთის კორტოხიდან მთელი შუა ქართლი მოჩანდა. თვითონ ნიში ცოტა ქვემოდ იდგა, დაბურულ ნაძვნარში. მის მახლობლად ხის ვეება მორებისგან შეკრული და ყავრით გადახურული ჯარგვალი დაედგათ. ქოხს მიწური იატაკი და შებოლილი ჭერი ჰქონდა.

— ამ სოხანეზე მიყვარს ჯდომა ,—

არაერთხელ უთქვამს ნიშზე საქეიფოდ ასულ აბიბოევიჩს და დატკეპნილი თიხის იატაკისათვის ხელის გული დაურტყამს, — სოხანეზე ვარ გაზრდილი, მთელი ჩემი ბავშვობა, ზამთარ-ზაფხულ ასეთ იატაკზე დავრბოდი ფეხშიშველა...

— ახლა კიდევა პარკეტიც ცივად გეჩვენება, არა? — თვალისჩაკვრით შეეკითხებოდა ხოლმე სანდრა და საგანგებოდ წამოღებული ტიკჭორიდან ყანწში ღვინოს ჩამოუსხამდა.

აი, ამ ნიშზე უყვარდა განმარტოებული ქეიფი ვლადიმერ აბიბოევიჩს.

მარგალიტა ყუთებსა თუ კალათებში აუარებელ სანოვაგეს ჩაუწყობდა და შაბათ ან კვირა საღამოს ამოსული ძმობილები ორშაბათ დილამდე ნიშზე რჩებოდნენ.

ძილით აბიბოევიჩს ქოხში კი არა, გარეთ ეძინა, ჯარგვალის გვერდით. წამოღებულ „ლეჟანკას“ გააშლევინებდა, ზედ ორ ლეიბს დაადებინებდა, სანდრას გრძელ ნაბადს წაიხურავდა და დილამდე გვერდშეუცვლელად ეძინა.

— რა ვქნა, — არაერთხელ უთქვამს აბიბოევიჩს, — მამა-ბიძები მესაქონლეები მყავდა და მეც მწყემსობაში გავატარე ჩემი ყმაწვილკაცობა. ასე ძილი ქვეყანას მირჩევნიან. თვალს რომ გავახელ, ასე მგონია, ისევ ჭაბუკი ვარ-თქო.

მეოცნებე კაცი იყო ბიუროს წევრი და სანდრასთან მეგობრობა, მასთან დროსტარება მის ოცნებას ფრთას ასხამდა.

ნიშზე ასვლიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ სამების რაისაბჭოს მორიგ სესიაზე მალხაზ ზენკლიშვილი რაიაღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს, მისი წინამორბედი კი თბილისის ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს.

რაიკომის პირველი მდივანი მართლაც შეეწინააღმდეგა ამ გადაადგილებას და მალხაზის თავმჯდომარედ დანიშვნის თავიდან ასაცილებლად ყველა ზომა მიიღო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, თბილისიდან კატეგორიულად მოსთხოვეს თავმჯდომარედ ზენკლიშვილის დანიშვნა.

მაშინ პირველმა მდივანმა სხვაფრივ გამოაჩინა თავისი ბრჭყალები...

რაიკომის პლენუმზე, რომელიც რაისაბჭოს სესიის მოწვევიდან ორიოდე კვირის შემდეგ შედგა, რაიკომის მდივანმა თავის მოხსენებაში სასტიკად გაილაშქრა რაიონში მოკალათებული წამგლეჯების, სპეკულანტების, კომბინატორების წინააღმდეგ და სოციალისტური ცხოვრების წესის დამრღვევთა შორის ერთი პირველთაგანი გოდერძი ზენკლიშვილი დაასახელა.

ეს ამბავი ყუმბარასავით გასკდა სამებაში და მთელი რაიონი ააფორიაქა.

ხალხი სხვა არაფერზე აღარ ლაპარაკობდა.

ყველას გოდერძის გაკიცხვა, მისი შვილის დაწინაურება და რაიკომის მდივნის მამხილებელი გამოსვლა ეკერა პირზე.

შიგა და შიგ იმასაც ამბობდნენ, თითქოს თვით მალხაზიც მიემხრო აგურის ქარხნის დირექტორობიდან მამის მოხსნას და პენსიაზე მის გადაყვანას. არა თუ არ დაიცვა, პირიქით, იმათ შეუერთა თავისი ხმა, ვინც კიცხავდა და მის დათხოვნას მოითხოვდაო.

— ეგ თუ აკმარეს, მადლობელი უნდა დაურჩეს — დაეჭვებით ამბობდნენ ერთნი.

— ვითომ მაგით გაასწორებენ ქვეყანას? — კითხულობდნენ მეორენი.

— დაბალი ღობე ნახეს და იმიტომ. მაგდენი ვის უშრომია იმ ქარხნის აშენებაზე? — ექომაგებოდნენ ყოფილ დირექტორს მისი მომხრენი.

— აგრე უნდა. იმდენი ჭამა, სანამ არ გასკდა. ახია მაგაზედა! — სძრახავდნენ მოძულენი.

დამთავრდა თუ არა პლენუმი, მალხაზმა და მარინემ გოდერძი ინახულეს.

მალხაზს უნდოდა პირველს ეცნობებინა მამისათვის მომხდარი ამბები, დაემშვიდებინა, დაეიმედებინა. მაგრამ გამოდგა, რომ გოდერძიმ უკვე ყველაფერი იცოდა.

კარებში მალალო შეეგებათ. სევდიანი სახე ჰქონდა, თვალებში ის ძველებური ხალისი აღარ ედგა.

მარინე დედამთილს გადაეხვია და თავისებური პირდაპირობით მიახალა:

— დედა-მალალო, მოსალოციც და მოსასამძიმრებელიც ერთად უნდა გითხრათ..

— რას ამბობ, ქალო, — შეუტია მალალომ, — მისასამძიმრებელი ჩემსა და

თქვენს მტერს ჰქონდეს! სამაგისო რა გჭირს?

— სწორეა, სამაგისო არაფერია. ალბათ, უკეთესიც იქნება. სახლში დაჯდება, მოისვენებს, ჯანმრთელობას მიხედავს. — ჩაურთო მალხაზმა.

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია მალალომ, — ნუგეში მაშინა ჭრის, როცა საქმეს სანუგეშო პირი უჩანს. მე და ჩემი ქმარი ოთხოთხი ფიცრის მეტს აღარაფერს ველით. თქვენ იყავით კარგათ, თორემ ჩვენა...

მალხაზი ისე შევიდა მამის საწოლ ოთახში, თითქოს გამძვინვარებულ ლომთან შედიოდა გალიაში.

გოდერძის ვეებერთელა სხეულს მთელი საწოლი ეჭირა, რამდენიმე დღის გაუპარსავი იყო და ჭაღარა წვერი წამოზრდოდა. ჭაღარა კიდევ უფრო აბერებდა მის ლამაზ სახეს. თვალები სევდიანი ჰქონდა. ფერიც შესამჩნევად დაჰკარგოდა, ეტყობოდა, რომ ბერიკაცის სიცოცხლე თავდაღმართზე დაშვებულიყო.

— გამარჯობა, თავმჯდომარევ, — პირველი მიესალმა შვილს გოდერძი და ნაძალადევად გაუღიმა.

— გაგიმარჯოს მამი. როგორა ხარ, ხომ არ შეგაშინა ავადმყოფობამ?

— და რაიკომის პლენუმმა! — ხუმრობასავით ჩაურთო მარინემ.

—ეჰ, კარგი რამ მჭირდეს მიკვირდეს, ცუდი რა საკვირველია, — ჩაიბუზღუნა გოდერძიმ და მაშინვე ცოლს შეუტია:

— ხილი მაინც მოიტანე, ქალო! ღვინოც წამოაყოლე ხელსა. შვილსა თავმჯდომარეობა უნდა მივულოცო. მაგის დაწინაურებასა და ჩემს პენსიაში გაგდებასა ერთ ჭიქაში გამოვიყვან, ერთმანეთს აწონასწორებენ. აგრე არ არის, ჩემო რძალო?

— არა მამა-გოდერძი, ცოტა ანდებარია!

— ანდებარიო? მე კი თავმძიმე მეგონა. ისე ვანგარიშობდი, რომ თავში ჩემი გატრიზავება ძევს, თქო.

— რას მისტირით იმ ქარხნის დირექტორობას? იმისმა ღუმელებმა გიქნეს, რომ კინაღამ გული დაგიშავეს! რაღა დრო თქვენი სამსახურია!? დაჯექით შინა და შეიტკბეთ სიბერე. ჩვენ, რაც შეგვეძლება, მზრუნველობას არ მოგაკლებთ და მეტი რა გინდა? — მარინე თან ლაპარაკობდა, თან თანხმობის მისაღებად ქმარს შესცქეროდა.

— თქვენ გიყუროთ ხელშია, არა?

— ხელში რად უნდა გვიყურო. რამდენადაც ვიცი, ჩვენი საყურებელი არაფერი გჭირს. ბევრს თუ არა, იმდენს მაინც დავგროვებდი, სიბერე უზრუნველად ვაატარო. მარინე ეშმაკურად იღიმებოდა.

— აგაშენა ღმერთმა, ჩემი საქმე ჩემზე უკეთესად გცოდნია. — თქვა გოდერძიმ და შვილს გადახედა, ნეტავი ეს რაღას იტყვისო.

მალხაზი ჩუმად იჯდა. ხმის ამოღებას არ აპირებდა.

თითები ერთმანეთში გადაეწნა და თავის ფეხსაცმელების წვერებს დასცქეროდა.

— მამაჩემო, ხომ არ გინდა საავადმყოფოში დაგაწვინო?

— რას ამბობ, ბიჭო, საავადმყოფოში რა დამაწვენს, აქ სიკვდილი მირჩევნია, იქ წოლასა.

— ჩვენ საავადმყოფოზე კი არ გეუბნები, თბილისში მოგათავსებ, ლეჩკომბინატშია!

— ეშმაკმა წაიღოს ერთიცა და მეორეც. ცოტა კიდევ ვიწვები და იმ კვირია აუცილებლად წამოვდგები. ეს ექიმები სულ რომ თავდაყირა დადგნენ, მაინც წამოვდგები! ჩემი ამბავი მე უკეთ ვიცი.

— რათ გინდათ რომ წამოდგეთ? სამსახურში თქვენ აღარ გიწევთ წასვლა და კრებებზე. იწექით და იყავით. ჯანმრთელობა დაიბრუნეთ, — თქვა მარინემ და თვალები ქმარს მიაპყრო, სწორად ვთქვი თუ არაო.

გოდერძიმ ისე გადახედა რძალს, რომ ამის შემდეგ მარინეს სიტყვა აღარ დაუძრავს. დრო დაიხელთა და დედამთილს მეორე ოთახში გაჰყვა.

მამა და შვილი მარტონი დარჩნენ.

— ბიჭოუ, დიდ საიდუმლოს რომ ანდობენ ისეთი ხმით დაიწყო გოდერძიმ, ფხიზლად იყავი, ამ მამაოხრებმა ციხის კარამდე არ მიმიყვანონ! თუ რამე დაატყო, მაშინვე შემატყობინე, რაიმეს ვიღონებ.

— აგრეც რო იყოს, ვითომ რას იღონებ? — ჩაიცინა მალხაზმა.

—კაცნი ვართ, ცდასა და ხერხს რა გამოლევს, — კითხვისგან თავი დაიძვრინა გოდერძიმ.

— შენს საქმეს სამაგისო პირი არ უჩანს. მაგრამ ერთი კია, მე აშკარად თავს ვერ გამოვიდებ შენთვის. ფარულად კი, რაც შემეძლება, ყველაფერს ვიღონებ.

— ფარულად არა? — თავისებურად ჩაიხითხითა გოდერძიმ.

— ჰო, აბა, მაშ როგორ გინდა? ავდგე და პირდაპირ შევეკამათო — მამაჩემი სრულიად უცოდველი, უდანაშაულო კაციამეთქი, მამააბრამის ბატკანია და ჩამოეხსენით-მეთქი?

— მაგას არ გეუბნები... — გოდერძის რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა. ხელი ჩაიქნია. — ეჰ, ტყუილი ლაპარაკია, — ყრუდ თქვა მან.

— არაფერი ისეთი შენ არა გჭირს. — დაამშვიდა შვილმა.

— რაცა მჭირს, შენგანა მჭირს... — გაწელა გოდერძიმ.

— ბიჭოს, ეგ ვითომ როგორაო? — იწყინა შვილმა.

— როგორა და, პირველ მდივანს შენი თავმჯდომარეობა არა ნდომებია. და როცა, მიუხედავად ამისა, იმ... იმ სანდრამ ძალით გაგიყვანა თავმჯდომარეთა, ადგა და ეს მოგვერდი მიყო: ჩემით მოინდომა შენი გაფუჭება. ანტიპოდის შვილიაო და აქედან შემოგიარა. ამასობაში კი მე გავიჭყლიტე. პლენუმზე რომ დაგამუშავებენ, ასეთი და ასეთი კაციაო, მერე რაღას გააწყობ?

— გამოდის, რომა, მამაჩემო, მე და შენა ერთმანეთს ვუშლით?

— ჩვენ კი არ ვუშლით ერთმანეთსა, აი, ეს სახლი და ეს ქონება გვიშლის ორთავესა.

— რაო? — ვერ გაიგო თუ ძალად არ გაიგო მალხაზმა. მის ხმაში რაღაც შეშფოთებამ გაიჟღერა.

— რაო და ამ სახლ-კარისა და ქონებისაგან გვჭირს ყველაფერი. ცოტა ფრთხილად რომ მოვქცეულიყავი, კაცი ვერ შემედავებოდა, მაგრამ ახლა ეს ოხერი ეჩხირება ყველასა თვალებში. — გოდერძიმ ხელი ირგვლივ მიმოავლო.

— არა, ეგ არაფერ შუაშია. — ჩაილაპარაკა შვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ რა არის შუაში?

— შენი წარსული, მამაჩემო. დედა რომ გეუბნებოდა, გეყოფა მეტისმეტს ნუ შვრები, აგრე ნუ ქაფავ და სძლიე სიხარბესა შენსაო, უნდა დაგეჯერებინა. რო დაგეჯერებინა, ახლა არაფერიც არ იქნებოდა.

— სიხარბე რო დროზე დამეძლია, არა? — ორაზროვნად იკითხა გოდერძიმ.

— დიახ, სიხარბე!

— მერე მაგის დაძლევა განა აგრე ადვილია? თუ აგრე ადვილია, შენ რატომღა არა სძლევ?

— მე რა მაქვს დასაძლევი, ან რაში მატყობ სიხარბესა? — გაიოცა მალხაზმა.

— რაში და თანამდებობების ძებნაში. რო იცოდე, ეგა კიდევ უფრო უარესი სიხარბეა!...

— ეჰ, მამაჩემო, მამაჩემო, ჩვენა ერთმანეთისა არ გვესმის.

— ოღონდაც, ოღონდაც...

— ამიტომ ჩვენი დაპირისპირების მიზეზი, ან უსიამოვნებების მიზეზი, გარეთ კი არ უნდა ეძებო, როგორც შენა სჩადიხარ, არამედ თვით შენს თავში და არა ამ სახლ-კარში, თუ ქონებაში, თუ სხვა ამისთანეებში...

— თვალი დაუდგა ყველაფერსა. ძალიან თუ გამაბეზრებენ, ავდგები და ყველაფერს მაგათ მივაშავებ, სულაც სახელმწიფოს გადავცემ...

მალხაზის თვალებში შიშმა გაიელვა.

— რას გადასცემ, მამაჩემო?... — ხმადაბლა, კისრის წაგრძელებით იკითხა მან.

— რასა და ყველაფერს, რაც გამაჩნია. შენ ეს აღარა გჭირდება, თვითონ დგეხარ ფეხზე. მე კი ამათ გულისთვისა საციხოდ თავს ვერ გავიხდი. კაცმა რომ თქვას, მარტო შიში არ მამოქმედებს, სინდისიც მქეჯნის, ეტყობა ვერ მოვზომე... ხოოდა, ახლა კეისრისას კეისარსვე დავუბრუნებ. მეც მოვისვენებ და სხვასაც მოვასვენებ...

— მერე მე? მე, ცარიელზე მტოვებ?

— აბა რა გიყო? შენ თვითონ ასე ისურვე. ჩემს მონაგარს წიხლი ჰკარი, გამშორდი, სხვაგან დაემკვიდრე, რაც არ გინდა, ღმერთმა ნუ მოგცეს...

ბიბლიოთეკა

— რას ამბობ, მამაჩემო, აბა დაფიქრდი?

— მე დიდი ხანია ვფიქრობ.

— მე სულ კი არ წავსულვარ! დროებით წავედი, მალე უკანვე დავბრუნდები. ამის მეტი ხომ არც არაფერი გამაჩნია!..

— მალე დაბრუნდები, ხომა?

— დიახ, ცოტა მიწყნარდება თუ არა ვნებათაღელვა..

— ვნებათაღელვა რომ მიწყნარდება, მაშინ არა?

— დიახ, რა არის ამაში ცუდი?

— გამოდის, რომ მე მარტო ამ ქონების დარაჯად გინდივარ! სანამ ცუდბედობა იქნება, ქონებას გიდარაჯო და როცა საშიშროება გადივლის, შენ მობრძანდები და მამის მონაგარზე მშვიდად დაემკვიდრება. ხომ სწორად გაგიგე? თუ გახსოვს, ერთი ასეთი ლაპარაკი ჩვენა უკვე გვქონდა. როგორცა ჩანს, შენ იქიდანა არაფერი დასკვნა არ გამოგიტანია.

მალხაზმა ველარ აიტანა ეს საუბარი, წამოხტა და ფეთიანივით მეორე ოთახში გავარდა.

ასეთი აუწრაფებულობა დინჯსა და აუღელვებელ რაისაბჭოს თავმჯდომარეს ჯერ არასოდეს არ გამოუმჟღავნებია.

მამამისმა ისეთი საშინელი განზრახვა ამცნო, ისეთი საფრთხე დაანახვა, რომ ახალგაზრდა კაცს ჩვეულმა მოთმინებამ უღალატა და ამღელვარებული გარეთ ბურთივით გაისროლა.

კიდევ კარგი მალალო და მარინე სამზარეულოში საქმიანობდნენ, ვახშმისთვის ქადებს აცხობდნენ, თორემ ამ ზომამდე დაფეთებული მალხაზის დანახვა ალბათ ჭკუაზე შეშლიდათ.

იმ საღამოს მამა-შვილს ამ საქმეზე კრინტი აღარ დაუძრავთ.

გოდერძი, სახეზე შეყინული ღიმილით, ისე შესცქეროდა შვილს, თითქოს ნიშნის მოგებით უსიტყვოდ ესაუბრებაო.

მალხაზი წარბშეჭმუხვნილი იჯდა.

სიტყვა არ წამოცდენია.

უხერხულობის გასაფანტავად ზენკლიაანთ გართობა ნარინემ იკისრა და პირი არ გაუჩერებია, თუმცაღა გრძნობდა, რომ მის საუბარს არავინ ყურს არ უგდებდა.

ასე ცივად და უცხოდ ზენკლიშვილები ჯერ არ დაშლილან.

მალხაზმა ისე გადააბიჯა კარის ზღურბლს, არც მამისათვის შეუხედავს და არც დედისათვის.

იმ ღამეს გოდერძიმ კიდევ გამოაძვრინა საიდანღაც ოთხად დაკეცილი „თბილისი" და ერთსა და იგივე წერილს, ვინ იცის მერამდენედ, კითხვა დაუწყო. მალალომ თითქოს ვერ შეამჩნია ეს ამბავი, მაგრამ გულში მტკიცედ გადაწყვიტა შეეტყო, რა ეწერა იმ გაზეთში ან რატომ მალავდა მას გოდერძი ასე საგულდაგულოდ.

გაზაფხული შეუმჩნევლად მოეპარა სამებას.

თოვლი როგორღაც ერთბაშად აიხვეტა და მისგან შეწოვილმა სინესტემ მიწა ჩვეულებრივზე უფრო შავი გახადა.

კვირტები დაიბერა, საკარმიდამო ნაკვეთები გადაიბარა, ბელურები უფრო მხიარულად აჟღრუტულდნენ.

კრიალა ჰაერში შორს გაისმოდა გამოზამთრებული ხბორების ბღავილი და ფერდებშელეწილი ძროხების ზმუილი.

შოშიები გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ. ისხვლებოდა ბაღ-ვენახები. ზვრებში შავი ბოლი ტრიალებდა, დამზრალ ლერწებს, განასხლავ რტოებს და წალამს წვავდნენ. სამებელი კოლმეურნეები თესვისათვის ემზადებოდნენ.

უკვე გვარიანად თბილოდა, გოდერძის გარეთ გასვლის უფლება რომ მისცეს.

ეს ამოდენა კაცი ახალფეხადგმულივით დაფარფატებდა, და კიბეზე ცოლის მკლავზე დაყრდნობილი ადი-ჩამოდიოდა.

შესამჩნევად გამხდარიყო, მხრები ჩამოეყარა, ძველებურად წელში გამართული აღარ იყო, მუცელიც დაპატარავებოდა.

სახეზე სათნო ღიმილი დასთამაშებდა, სიცოცხლესთან ხელახალმა შეხვედრამ რომ იცის, როცა რწმენადაკარგული და სასოწარკვეთილი ადამიანი კვლავ იმედს მოიცემს და საკუთარი თავის განახლებას ეზიარება.

გაზაფხულის სითბომ, მზით მოოქროვილმა ჰაერმა და უკვდავების წამალივით შესარგო სამებურმა წყაროებმა ერთბაშად

ფეხზე დააყენეს ყოფილი მეტივე. გოდერძის ძლიერმა სხეულმა, ნისმა სანაქებო ჯანმა ღონის ახალი შემომატება იგრძნო, ავადმყოფობა დაჯაბნა და სულ რაღაც ნახევარ თვეში თავისი გულითა და სურვილებით ისევ იმ ძველებურ ზენკლიაანთ ბიჭად აქცია, ორმოცდაათი წლის წინ ჭიდაობაში ცალი რომ არა ჰყავდა.

აპრილის პირველ კვირაში, რამდენიც არ უშალეს, ვენახი სვენებ-სვენებით გადაბ რა და მეზობლის ვაჟთან ერთად ვაზებს გამორჩევით სარები დაუცვალა.

საკარმიდამო ნაკვეთზე უჩვეულო მონდომებით ფუსფუსებდა.

აპრილის შუა რიცხვებში კი ისევ მოუვიდა მოკლე-მოკლე ბარათები: ერთი სახალხო კონტროლში იბარებდა, მეორე გამომძიებელთან უხმობდა, მესამე რაიკომის ინსტრუქტორთან ეპატიჟებოდა.

და დაიწყო გოდერძის მოგზაურობის ახალი თალია.

ისევ მოუხდა ადრე დაწერილი განმარტებითი ბარათების უჯრებიდან ამოღება, სხვადასხვა განცხადებების ამოქექვა, მათი გადაწერ-გადაკეთება, მისამართების ცვლა..

ხანდახან მთელი დღეები მიდი-მოდიოდა რაიკომიდან სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტში, იქიდან პროკურატურაში და პირუკუ.

მალალომ დრო მოიცა და იმ საიდუმლო გაზეთის საგულდაგულო ძებნა დაიწყო, მისი ქმარი ასეთი ინტერესით რომ ჰკითხულობდა.

სულ გადაქექა სახლის ყველა კუთხე კუნჭული, ყველა უჯრა თუ კარადა, მაგრამ ის უცნაური გაზეთი ვერ იპოვა.

ბოლოს, შემთხვევით წააწყდა: როიალს თავი ახადა, რათა სითბოსგან გამრავლებული ჩრჩილის საწინააღმდეგოდ შიგ ნაფტალინი ჩაეყარა და ბრინჯაოდაფერილი რკინის იმ სამკუთხედის ქვეშ მოჰკრა თვალი, როიალის სიმები რომ არის გადაჭიმული.

ქმრის ესოდენ ამაფორიაქებელი 1973 წლის „თბილისი“ გამოდგა. მის უკანა, მეოთხე გვერდის მარცხენა ქვედა კუთხეში დაბეჭდილ წერილს, რომელსაც გოდერძი ასე დიდხანს და ასეთი ყურადღებით ჩაჰკირკიტებდა. უცნაური სათაური ჰქონდა.

თითქმის მთელი დღე მოანდომა მალალომ მის კითხვას და ძლივძლივობით გაჰვიდა ბოლოში. გავიდა და თმები ყალყზე დაუდგა.

შეამცივნა. თავბრუ დაეხვა.

სვენებ-სვენებით მილასლასდა ონკანთან, ცივი წყლით კეფა რომ დაესველებინა. ყურებს უკან კისერი გახევებული ჰქონდა, თავიც სტკიოდა.

აი, თურმე რა მოუნდომებია მის სჯულიერ მეუღლეს! სწორედ იმიტომაც იყო ამ ბოლო დროს დღენიადაგ გაზეთში თავჩარგული! სწორედ იმ გაზეთმა ჩააგონა ეს გაუგონარი საქმე. ტყუილად კი არ ამბობდა მამამისი კაკოლა: — „თუ გინდ ცნობა დაჰკარგო, გაზეთი იკითხეო“. ეშმაკის გამოგონებულს უწოდებდა იგი გაზეთს და ჭირისდღესავით სძაგდა. „მაგან რომ ხალხის სასიკეთო რამე წეროს, ან მთავრობა დახურავს, ანდა თავისით გაკოტრდებაო; გაზეთი შენს მხარეს რატომ დაიჭერს, თუ რამეს დაბეჭდავს, ეგა ან თვით მისთვის იქნება სასარგებლო, ანდა იმისთვის, ვისაც იგი ეკუთვნისო“.

დრო გამოიცვალა, მაგრამ მალალო გაზეთს ისევე კაკოლას თვალებით შესცქეროდა.

მალალო მთლათ ახალგაზრდა და გამოუცდელი ქალიშვილი იყო, როდესაც მამამისი, ბრძნად აღიარებული კაკოლა, ოჯახის წევრებს თავის დაკვირვებებსა და შეხედულებებს უზიარებდა.

თვალებდაჭყეტილი, სუნთქვაშეკრული უგდებდა ყურს მრავალრიცხოვანი ჯალაბობა ოჯახის თავის მკაფიო ქადაგებებს, არაფერი სათუო და საეჭვო შიგ რომ არ იყო; საერთოდ, ყოყმანი და აზრთა სხვაობა კაკოლას არა სჩვეოდა: ან ისე გადასჭრიდა, ან ასე. შუა გზა და საშუალო აზრი არც უყვარდა. არც გაორება ახასიათებდა. აუცილებლად ერთ რამეს ამოირჩევდა, — გზა იქნებოდა, ფიქრი, შეხედულება, რწმენა თუ ანგარიში.

და თუმცა იმ დროიდან დიდმა ხანმა განვლო, მალალოს არა და არა, მაინც მოა-

გონდებოდა ხოლმე მამამისის მსჯელობანი, აღსავსენი სიმტკიცით, დამარწმუნებლობით, საკუთარი სიტყვის რწმენით და ისეთი სიამაყით, მხოლოდ ბრძენზე-ბრძენ ხალხს რომ სჩვევია.

იგი სიძულვილით, შინაგანი გაბოროტებით დასცქეროდა გაზეთს, რომელმაც ამდენი შიში, ძრწოლა, უსიამო მოლოდინი აღუძრა; გაზეთს, რომელსაც შეიძლება მთელი მისი ოჯახისათვის საბედისწერო შედეგები მოეტანა და მომავალში სრულიად სხვა სვე ერგუნებინა.

იმ დღიდან ფერი იცვალა ხალისიანმა და ტკბილმა მალალომ. ყრუ, ცივი, ჩაფიქრებული გახდა. დღე ნიადაგ რაღაცას იაზრებდა, რაღაცას ანგარიშობდა, რაღაცას ვარაუდობდა. მისი გონება სულ მუდამ სხვაგან ჰქროდა. დაბნეულობა, გულმავიწყობა, სიზანტე დასჩემდა.

— ეი, დედაკაცო, — შეუტევდა გოდერძი, — რა ღვთის წყრომაა შენს თავსა? გამოიღვიძე, შე დალოცვილო, დიდიხანია ჩამოვედით, ხარები გამოუშვი!..

მალალო მორცხვად გაუღიმებდა ხოლმე ქმარს და ისევ თავის სადარდებელს მიეცემოდა. ღიმილიც საწყალობელი დასჩემდა, დამნაშავური, ცოდვის გამომსყიდი.

— ნეტავი რა ემართება ამ საცოდავს, ან რა არის მის თავსა? — დარდობდა გოდერძი და აღარ იცოდა რა ეღონა, ან საიდან მოეკლო თავისი გაუცნაურებული მეუღლისათვის.

არც განგაშის ატეხვა ეწადა, უფრო არ დავაშინო ქალიო, არც შვილის ჩარევა უნდოდა და არც საქმის ბედის ანაბარად მიშვება შეიძლებოდა. — დიდ საგონებელში ჩავარდა ძველი მეტივე.

ბოლო დღეებში კი გოდერძის წინააღმდეგ მიმართული იერიშები ახალი ძალით განახლდა. ეტყობა მისი და მალხაზის მტრები ცდას არ აკლებდნენ, რომ მამაშვილი დაეზიანებინათ.

იმდღევანდელი შელაპარაკების შემდეგ კი, აღარც მალხაზი გაჰკარებიათ. ახლა მიზეზიც ჰქონდა: მარინეს ორსულობის პირველი ნიშნები გამოაჩნდა, პირისღებინება დასჩემდა და ქმარს გვერდიდან აღარ იშორებდა. განუწყვეტლივ მიზეზობდა, ანჩხლობდა.

მაგრამ გოდერძი ადრევე მიხვდა, რომ შვილის მოუსვლელობის მიზეზს სხვა საფუძველი ჰქონდა.

მალხაზის გაუცხოება, მისი შინმოუსვლელობა იმ მიზეზთან რომ იყო დაკავშირებული, რამაც ქმარი ესოდენ ჩაკეტილი, ასე გულამღვრეული გაუხადა, და რამაც გაზეთი რამდენიმე ათეულჯერ გადააკითხინა — ამას მალალოც კარგად გრძნობდა.

მაგრამ, რაც მეტს ჩაჰკირკიტებდა გონების თვალით ამ ძნელსა და საჭოჭმანო საკითხს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ გოდერძის განზრახვა ერთადერთი გამოსავალი იყო ღრმა და ბნელი ჭიდან, რომელშიც ზენკლიაანი აღმოჩნდნენ...

ასე თანდათან რომ არ შეჩვეოდა ამ აზრს, პირდაპირ რომ ეტკიცა მისთვის გოდერძის თავისი უცნაური გადაწყვეტილება, მალალო, ალბათ, ვერ გადაიტანდა ბედის ულმობელ დარტყმას და, თუ გადაიტანდა, მტრად გაუხდებოდა ქმრის დაუნდობელ, გამანადგურებელ გეზსაც და შესაძლოა, თვით მასაც. განა შეიძლებოდა ოჯახის, განსაკუთრებით კი შვილის ასე გაწირვა, ასეთი გაუგონარი ნაბიჯის გადადგმა?

მაგრამ ახლა, როცა მალალო თავისით ჩახვდა გოდერძის ზრახვებსა და სურვილებს, როცა მან თვითონვე ამოიკითხა, ქმრის ჩანაფიქრი, შეიტყო მისი გადაწყვეტილება, შემდეგ კი ხანგრძლივად იფიქრა ყოველივე ამის ვარგისიანობაზე, — ისე შეეჩვია მეუღლის საშიშ გეზსაც და იმასაც, რასაც მისი სისრულეში მოყვანა მოუტანდათ, რომ აღარც აღარაფერის ეშინოდა და აღარც აღარაფერი უკვირდა! პირიქით, სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა ქმრის აზრის სიმართლესა და საფუძვლიანობაში!

დიახ, მხოლოდ ამით შეიძლებოდა საფრთხის აცილებაც და ხალხში დაგდებული იმ კეთილი სახელის დაბრუნებაც, რომელიც ზენკლიაანთ ადრე ჰქონდათ და რაც, როგორც ეს ყველაფრიდან ჩანდა (თუმცა თავად აქამდე ეს არ უწყოდნენ), ახლა ასე შებღალულა და წაბილწულა...

მალხაზის განდგომამ, მშობლებზე მისმა გულაცრუებულობამ თავისი ჰქნა: მალალო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის ვაჟიშვილს ღვიძლი დედ-მამა იმაზე მეტად არ უღირდა, ვიდრე სხვა ირგვლივმყოფნი, ვთქვათ, სანდრა ან მარგალიტა და რომ მას ყოველ წუთს ძალუძდა (თუ კი მისი პირადი კეთილდღეობა მოსთხოვდა) სულაც ზურგი ექცია საკუთარი მშობლებისათვის და ამაში ვერავითარ მომაკვდინებელ ცოდვას ვერ დაინახავდა.

გოდერძი კი ისევ ძველებური გაბოროტებით ებრძოდა თავის თავს.

მას ჯერ საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა ჯვარცმითა და წამებით შეგროვებული თავისი ქონების საბოლოო ბედი.

მაგრამ, ისევე, როგორც ფხვიერ მიწაში მოხვედრილი საღი მარცვალი გაღვივებასა და ყლორტის ამოყრას იწყებს, ისე გოდერძის გულში ჩაწვეთებულმა აზრმა ზრდა და გამაგრება-გაძლიერება დაიწყო.

რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო აღარ ეჩვენებოდა თავისი საქციელი არაჩვეულებრივად.

მართლაც, რა იყო ამაში დაუჯერებელი! ქონება დააგროვა? — დიახ, ბატონო დააგროვა.

როგორ? — ქურდობით?..

რამდენადაც არ ეჯავრებოდა ეს სიტყვა, ბოლოს მაინც შეეჩვია აზრს, რომ მისი საქციელი ყველაზე ახლო ისევ ქურდობასთან იდგა. თუმცაღა, კაცმა რომ სთქვას, ეს ბოლომდე მაინც არა სჯეროდა.

— „განა მე ქურდი ავრ? — იოცებდა იგი — ქურდობა სხვაა, ხოლო მარიფათი, შოვნის უნარი, გაწაფულობა, ხერხიანობა კი სულ სხვა! — ფიქრობდა გოდერძი — თუმცაღა განა იურისტებსა და სამართლის მსახურთ ამას დააჯერებ? რამდენიც არ უნდა იხტუნო, ისევ ქურდობას დაარქმევენ...

„კარგი, დაუშვათ ქურდი ვარ, მაგრამ თუ ნაქურდალს უკან გიბრუნებ, შეცდომებს ვაღიარებ და პატიოსან შრომას მინდა მივყო ხელი, განა უფლება გაქვს ზურგი შემაქციო და იმ ძველი ცოდვებისათვის გაუთავებლად მჯიჯგნო? მჯიჯგნო ცოდვებისათვის, რომლებიც შენ თავის დროზე ვერ შენიშნე და ვერც ბრალად წამომიყენე? ახლა კი, როცა მე თვითონ ვაღიარე ჩემი შეცდომები, თვითონ გეუბნები, რომ ცუდად შევტოპე-ნეთქი, ახლა უნდა ჩამყვე ღდინში? — ახლა, როცა მე თვითონ მოვედი შენთან მოსანანიებლად და საქმის გასასწორებლად, ახლა უნდა მეძახო ქურდი? ახლა უნდა მიკიჟინო გუშინ ბრუნდედ რატომ დადიოდიო? ხომ შემეძლო სულაც არ მოვსულიყავი, სულაც არ მომენანიებინა? ხომ შემეძლო სულაც არაფერი მეთქვა, სულაც არაფერი მომეცა?! მოვედი, ვინანიებ, გაძლევ, — მეტი რაღა ეშმაკი გინდა?“.

გოდერძი ამჩნევდა, დარჩებოდა თუ არა მარტოდმარტო, მაშინვე ვიღაც უხილავთან დავას იწყებდა და ისე ცხარედ ეკამათებოდა, ისე ეჩხუბებოდა, იმ „ვიღაცას“, რომ გარედან შემხედვარეს გიჟი ეგონებოდა.

ეს უხილავი მოკამათე ხან მალალო იყო, ხან ვახტანგ პეტროვიჩი, განსაკუთრებით ხშირად კი ისაკა დანდლიშვილი.

ისაკა სახეს თავისებურად მანჭავდა და სულ ერთნაირად ეუბნებოდა:

„შენა, უფროსოჯან, ეტყობა ტვინის გაწყალება გეწყება. არის ერთი ასეთი ავადმყოფობა. აბა, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვა აზრად თავისი ქონება უარაფროდ და არაფრისგულისათვის სხვის სასარგებლოდ დასთმოს, რაო, გაზეთში წერიაო? გაზეთში რა, ტყუილებსა ცოტასა სწერენ? რა იცი ეგება ეგეც მეგაზეთეების მოგონილი ტყუილია! აბა, გაგიგია მაგისთანა კაცი? ეგა, უფროსჯან, შენისთანა ხალხის მოსატყუებელი ფანდია, შენისთანა დამჯერეებს უყრიან საკენკად! წადი, აკენკე და ანკესს რომ წამოეგები, ისე ნოგისვრიან ნაპირზე, ისე გაგალებინებენ ზღართანსა, როგორც ლოქოს. დახრჩობითაც ისე დაიხრჩობი, როგორც თევზი იხრჩობა, უწყლოობითა“...

მოკამათედ ბევრი ყავდა, მაგრამ არც ერთხელ არა ყოფილა შემთხვევა, რომ ამ უჩინარ მოწინააღმდეგეთა შორის მალხაზი მოლანდებოდეს...

მალხაზი არც ერთხელ არ ეზმანა, თუმცა გულში ძალიანაც ეწადა შვილთან კამათი გაემართა. გულით ეწადა გაეგო, რას ეტყოდა ან რა ბრალდებებს წაუყენებდა!

მით უფრო, რომ თუ კი ვისმეს შეეძლო და უფლებაც ჰქონდა ამ საკითხზე მასთან დავიხა, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, სწორედ მალხაზს.. .

მაგრამ საჭირო იყო, ჯერ მალალოსათვის ემცნო წილებული გადაწყვეტილება.

ასე იყო მიჩვეული: აუცილებლად ცოლზე უნდა შეემოწმებინა თავისი აზრის სისწორე, თუ სიმრუდე. აგერ, ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ყოველთვის ასე ხჩადიოდა, ვითომ ახლა რატომ გაეკეთებინა გამონაკლისი.

გულში იმედს არა ჰკარგავდა, რომ ყოველთვის გამგები მეუღლე, ამჯერადაც აუცილებლად გაუგებდა. ცოლთან უწინდელი საუბარიც ახსოვდა, როდესაც მალალომ ასე ადვილად მიიღო მისი ჯერ კიდევ ნაუცბათევი აზრი ძველ სახლში გადაბარგების შესახებ და ამ სამძიმო ნაბიჯის გადადგმისათვის სრული ნზადყოფნა გამოამჟღავნა.

მიუხედავად ამისა, განზრახულის განდობა მეტის მეტად გაუჭირდა...

არ ახსოვდა, რომ ცოლისათვის სათქმელი სიტყვა ოდესმე ასე გასძნელებოდა, როგორც ამჯერად.

დიდხანს უდარაჯა, დიდხანს ურჩია დრო. ასეთი დადარაჯებულობაც ჯერ არ ახსოვდა; სათქმელს ყოველთვის პირდაპირ და დაურიდებლად მიახლიდა ხოლმე პირში, ახლა კი რამდენიმე დღე უკან დასხდევდა, მაგრამ განზრახულის გასაწხელად ენა არ უბრუნდებოდა.

აღარც მეტი დახანება შეიძლებოდა და გოდერძიმაც თავს ძალა დაატანა.

... ცოლი ბოსტნის თავში დაიმარტოხელა. თუმცა, რა დამარტოხელება უნდოდა, დღენიადაგ მარტოობით იყვნენ გამოყრუებული!

მალალო, საგანგებოდ შეკრულ დაბალ ყუთებში ჩარგულ პამიდვრის ჩითილებს: რწყავდა. ჩითილებს ის-ის იყო მიწიდან ტანი ამოეყარათ და სანამ წამოიზრდებოდნენ, წოლონიერდებოდნენ, სანამ კვლებში გადარგავდნენ, ზენკლიაანი მათ ამ მყუდრო კუთხეში ინახავდნენ.

აქ მზის გულიც იყო და რწყვაც უადვილდებოდათ, რადგან ონკანთან შეერთებული შლანგი აქამდე თავისუფლად წვდებოდა. ზენკლიაანთ ნაკვეთის ბოლომდე კი, სადაც პამიდორი ეთესათ, დიდზე-დიდი მანძილი იყო: აბა, ნორმას ხომ არ იკმარებდა ფართო მასშტაბების მოყვარული მისი ქმარი, აწიტომ ნაკვეთიც ორი კომლისა ჰქონდა.

გოდერძი განიერი ნაბიჯით მიუახლოვდა საქმეში გართულ მალალოს.

— რწყავ?...

— ვრწყავ. აქეთ მოდექი, წყალი შემოგესხმება!

— შემესხას. შაქრის ხომ არა ვარ, რომ დავდნე...

მალალომ დაკვირვებით ახედა ქმარს და წაშინვე მიხვდა, რომ ამ მყუდრო კუთხეში გოდერძიმ შემთხვევით არ შემოაბოტა.

— თქვი, რა გაგჭირვებია. — დაუყვავა მალალომ და თავისი თაფლა თვალები ალერსიანად მიაპყრო.

— რა უნდა გამჭირვებოდეს... გოდერძიმ შლანგი გამოართვა. — ისე გამოვიარე. მე შენ გეტყვი, სამსახური არ მიშვებს, საქვეყნო საქმე არ მაცლის თუ რა? წთელი დღე ასე არ დავყიალებ, კუთხიდან კუთხემდე?..

— გოდო, ნუ მელაკუდაობ! ვიცი, რისი თქმაც გინდა, თქვი! გგონია ვერ გაგიგებ?!

— დიდება შენდა ღმერთო!.. — თვალთმაქცურად გადაიწერა პირჯვარი გოდერძიმ და ცოლს უხერხულად გაუღიმა. გულში კი მისადმი არაჩვეულებრივი სითბოც იგრძნო, სიბრალულიც და ისეთი დარცხვენილობაც, თითქოს, რაღაც დიდი შეცოდება მიუძღოდა.

— გოდოო, მე თანახმა ვარ.

— რაზე ხარ, დედაკაცო თანახმა? — სწრაფად იკითხა სახტადდარჩენილმა გოდერძიმ, დაბნეულობისაგან შლანგი ხელიდან გაუვარდა, თვალები გაუფართოვდა, სახე წამოუწითლდა.

შლანგი ხტუნაობას მოჰყვა, გველივით დაიკლაკნა, წყალი მიასხ-მოასხა, ცოლქმარს ფეხები დაუწუწა. მაგრამ ამისათვის არც ერთს ყურადღება არ მიუქცევია.

გოდერძი ისევ ცოლს შესცქეროდა. უსიტყვოდ იდგა. ფეხები გაელაჯა, თვალები დაწყლიანებოდა.

— გოდოო, იმ დღესა გაზეთს რო კით-

ხულობდი, აი, იმასა, ქონების გადაცემა რო წერია შიგა, ისა, ნეც წავიკითხე. — თქვა მალალომ და თექის ჩუსტით ფეხზე შესხმული წყლის წვეთების წმენდას მოჰყვა.

გოდერძი გახევებული იდგა. სახეზე ალმური ასდიოდა, ცხვირის ნესტოები ნაჭენები ცხენივით უთრთოდა.

— სად იპოვე ის გაზეთი? — ისე იკითხა, თითქოს ვიღაც ყელზე ხელს უჭერდა და ყველაზე მთავარი ამ გაზეთის მიგნების ამბავი ყოფილიყო.

— როიალში იდო.

— მერე იქ რას დაეძებდი, რა დაკარგე?

— იმ გაზეთს ვეძებდი.

— რა ჭირად გინდოდა?

— მინდოდა გამეგო რაზე ჩაგაფიქრა და რაში ჩაგითრია ისეთში, რომა მთელი თვე ვერავის ვერ გვამჩნევდი და არც გენაღვლებოდა, თუ რა დღეში ვიყავი... — მალალომ უნებლიეთ წამოცვენილი ცრემლები შეიწმინდა.

— ახლა ჩახვდი? — ხმის კანკალით ჰკითხა გოდერძიმ.

— ჩავხვდი.

— მერე?...

— მერე და როგორც საჭიროდ მიიჩნიო, ისე მოიქეცი. მე ყველაფერზე თანახმა ვარ.

გოდერძის მთელს სხეულში ცხელმა ტალღამ დაუარა, კრიჭა შეეკრა ენა ჩაუვარდა. არ ეგონა, თუ მის შესახვედრად ცოლი ასე მტკიცედ და ასე ერთგულად წამოვიდოდა. რაც მთავარია, უყოყმანოდ მამაცურად, უდრტვინველად!..

მაგრამ თქმით კი სულ სხვა რამე უთხრა, თავისი განცდა და მღელვარება შენიღბა:

— რას დაეძებდი იმ გაზეთსა, შენთვის სხვა რა დამიმალავს, რომ ეგ დამემალა. როცა დრო დადგებოდა, თვითონვე გეტყოდი.

— ვიცი, რომ მეტყოდი, მაგრამ ეგრე ჯობდა. უიმგაზეთოთა პირდაპირ რომ დაგეხალა, შეიძლება გაგჯიუტებოდი, ერთბაშად არ დაგთანხმებოდი, ახლა კი... — მალალომ თავის თაფლა თვალებით ქმარს გულღიად შეხედა და მორცხვად გაუღიმა.

გოდერძის უნდოდა ცოლს სცემოდა, გულში ჩაეკრა, თვალები დაეკოცნა, მადლობა ეთქვა, მაგრამ ყოველივე ამის მაგივრად უსიტყვოდ გაბრუნდა და სახლისკენ მძიმე ნაბიჯით წავიდა. ქართველი კაცის ცოდო-მადლიანმა წარმოდგენამ ვაჟკაცობასა და სიმტკიცეზე გულის გადახსნის უფლება არ მისცა.

როცა ამ დევკაცს, ავადმყოფობის შემდეგ შესამჩნევად მოტეხილს და ბეჭებჩამოყრილს, თავისი უკვე მოშვებულ-მოლვედილი ვეება სხეული ბოსტნის კვლებზე მძიმედ გადაჰქონდა, მალალომ გულზე შემოწოლილ სიბრალულს ვეღარ გაუძლო, სახე წინსაფარში ჩარგო და დიდხანს იდგა ქმრის საცოდაობით გულმოკლული.

მეორე დღეს, გოდერძიმ ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს და ჩვეულებრივზე უფრო მუყაითად ისვა ლოყებზე ელექტროსამართებელი.

მერე ულვაშების კრეჭას მოჰყვა და სარკეს ხან ერთი მხრიდან შემართავდა, ხან მეორედან.

მალალო შორიდან ფრთხილად გარს უვლიდა, შეუმჩნევლად ზვერავდა. ხან რაზე შევიდოდა საწოლ ოთახში, ხან რაზე. მიზანი ერთი ჰქონდა: ქმრის არც ერთი ნაბიჯი, არც ერთი მოძრაობა მხედველობიდან არ გამოპარვოდა.

— „ნეტავი, სად ეწყობა ასე გულდაგულ?" — ფიქრობდა მალალო და ქმრის მზადებას თვალს არ აშორებდა. ცნობისმოყვარე კაკოლას ნაშიერს თვალთვალის ისეთი ალღო ჰქონდა, კარგი მზვერავიც კი ვერ დაიქადნიდა.

— სად მიიპრანჭები ასრე ძიენა? — ვითომც არაფერიაო, ისე შეეკითხა მალალო.

— რაიკომის მდივანთან.

— უკვე? — შიშნარევად იკითხა მალალომ.

— გამოსაშვებ სისხლსა რაც ადრე გამოუშვებ, ისა სჯობია. — წაიბუტბუნა თავისი აჩემებული ანდაზა გოდერძიმ.

— გოდო, შენ არაფერი გესწავლება, მაგრამა, თუ აბარებ, ბარემ ისე ჭკვიანურად ჩააბარე, რომ მაგიერში თავი წმინდად დაგანებონ და აღარაფერში აღარ გედავონ...

აბა, რა ჭკუა იქნება მთელი ქონება მაგათ მიაშავო და კიდევ გოსკონტროლში გათრიონ დასაკითხად?...

— დედაკაცო, ეგა თვითონ იციან. მე თავის გამოსასყიდლად კი არ ვაძლევ ქონებასა, ეგ საქმე სხვაა, ის საქმე — სხვა.

— რას ამბობ, კაცო, ყველაფერი იმათ უნდა გადასცე და აქეთ არაფერი ირგო? მე მეგონა. სულაც იმიტომ აძლევ, რომ მოგეშვან და თავი დაგანებონ-მეთქი, შენ კიდევა?!.. — მალალომ სიტყვა ვეღარ დაამთავრა, იგი გაოცებული შესცქეროდა თავის უჯიათ ქმარს.

— ნუ გეშინიან, ყველაფერი კარგად იქნება. — დაამშვიდა ცოლი გოდერძიმ.

მალალო დიდხანს გასცქეროდა, როგორ მიალაჯებდა ზენკლიაანთ ორღობეში მისი ვეება ქმარი. გუშინდელთან შედარებით უფრო მხნედაც გამოიყურებოდა, უფრო მტკიცედაც მიაბიჯებდა.

— ღმერთო, შენ მოგვხედე, მოწყალე თვალით. — გაზეპირებულივით წარმოსთქვა მალალომ და ბოსტანს მიაშურა.

გაზაფხულის მზე ისეთი მწველი იყო, თითქოს ერთი დაკვრით სურდა ახლად გამოღვიძებული ბუნების სითბოთი ავსება.

რაიკომის მდივანმა დიდხანს ალოდინა. ვეება მოსაცდელში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. იმ დღეს მდივანს მიღება ჰქონდა.

ზენკლიშვილი ჯერ გაშეშებულივით იჯდა, იქაურობას თავგაუნძრევლად ათვალიერებდა მარტო თვალის კაკლებს ატრიალებდა აქეთ-იქით, მერე ფიქრმა და ოცნებამ აფრა მოსტაცეს და ხან რა დაუყენეს თვალწინ, ხან რა.

ნაცნობმა მისაღებმა ვახტანგ პეტროვიჩი გაახსენა.

ვინ იცის, რამდენჯერ შემოსულა ამ ნათელ დარბაზში! მაშინ მის სტუმრობაა სულ სხვა პეწი და ეშხი ჰქონდა. იცოდა, რომ კარს უკან კეთილგანწყობილი ადამიანი ელოდებოდა.

— ახლა? — ახლა ისიც აღარ იცის, მიიღებს მდივანი, როცა მის ვინაობას გაიგებს, თუ უარით გამოისტუმრებს, — „ჯერ განყოფილების გამგეს მიმართეთო".

ვახტანგ პეტროვიჩი რომ ყოფილიყო და მალხაზსაც ახე არ დაეხლართა საქმეები, მაშინ სულ სხვაგვარად წარიმართებოდა გოდერძის ბედი.

აი, თურმე რა შესძლებია ერთ უცხო კაცს, თუ ძალა აქვს და ხელსაც გულწრფელად შეგაშველებს!.. ის პირველი შემთხვევაც გაახსენდა, ვახტანგ პეტროვიჩს უჯრაში ფულის შეკვრა რომ ჩაუჩარა და ხელი კინაღამ მოაწყვა. ძლივს მოასწრო პეტროვიჩმა უჯრიდან ხელის ამოგლეჯა!.. რა ჩინებული თამადობა იცოდა! როგორ უყვარდა ლაზათიანი ქართული ქეიფი!.. რა ეშხი ჰქონდა, კაცი მართლაც ის იყო. მის შნოს სხვა ნურავინ დაიკვეხნის!..

უკვე დაღამებული იყო, როცა გოდერძი ჭაღებით გაჩირაღდნებულსა და ესოდენ ნაცნობ კაბინეტში შეიწვიეს.

პირველი მდივანი დაღლილი ჩანდა.

იგი ფეხზე არ წამომდგარა, თავი დაუქნია, სკამზე ხელით მიუთითა, დაბრძანდითო და რაღაც ქაღალდს ჩაუღრმავდა.

გოდერძის ორიოდეჯერ ყავდა იგი შორიდან თვალმოკრული, მაგრამ პირისპირ არასოდეს არ შეყროდა. ამიტომ შეუმჩნევლად ათვალიერებდა.

მდივანი ორმოცი-ორმოცდაორი წლისა იქნებოდა. საშუალო ტანის, ტანხმელი კაცი, დიდი შუბლით და გვერდზე გადავარცხნილი გვარიანად შემელოტებული შავი თმით.

— გისმენთ. — თქვა მან და გოდერძის წარბქვეშიდან გამოხედა. თვალები ეკლიბნი და მკაცრი ჰქონდა.

გოდერძი სულ სხვაგვარ დასაწყისს მოელოდა. ასეთმა თავდაჭერილმა და ცივმა მიღებამ ცოტა არ იყოს შეაცბუნა, თითქოს დააბნია კიდეც.

— მე გოდერძი ზენკლიშვილი გახლავართ, აგურის ქარხნის ყოფილი დირექტორი.

— გიცნობთ. — თქვა მდივანმა და ისევ წარბქვეშიდან გამოხედა.

— ერთ საქმეზე გავბედე თქვენი შეწუხება...

— თუ არ ვცდები, თქვენ ავად იყავით? — იკითხა მდივანმა და მის სიტყვებში რაღაც საყვედურის მაგვარმა კილომ გამოჟონა.

— ვიყავი. ახლა, თითქოს, გამოვრჩი.

— თქვენმა ქარხანამ, უფრო სწორად თქვენმა ყოფილმა ქარხანამ, — გაასწორა მდივანმა — ამ კვარტალის გეგმა ვერ შეასრულა. ეს, ალბათ, მოგეხსენებათ?

— სამწუხაროდ, კარგადაც მომეხსენება.

— რა არის თქვენის აზრით ქარხნის ჩამორჩენის მიზეზი? ალბათ, კოლექტივის ცუდი მუშაობა, ასეა, ხომ?

— პატივცემულო პირველო მდივანო, მე სულ სხვა საქმისათვის გეახელით. ქარხანას ახლა სხვა დირექტორი ყავს და ჩამორჩენის მიზეზები ჩემზე უკეთესად იმას ეცოდინება.

— თქვენ, თქვენ რატომ არ უნდა იცოდეთ? განა არ შეგტკივათ გული იმ საწარმოზე, რომლის აშენებასა და ამუშავებაში გარკვეული... — აქ მდივანი ცოტა წაბორძიკდა ეტყობა მას „დამსახურება" უნდოდა ეთქვა, მაგრამ ეს სიტყვა ზედ ენის წვერზე, დაიჭირა — ...წვლილი მიგიძღვით? — თქვა მან.

— როცა მე იქ ვმუშაობდი, ჩამორჩენა არა გვქონდა.

— თქვენ გინდა თქვათ, რომ თქვენმა წამოსვლამ უარყოფითად იმოქმედა საწარმოს მუშაობაზე?

— არა, მაგის თქმა არ მინდა, არც მეთქვამს.

— მაშ, რას ამბობთ? — მდივანს მოთმინება ელეოდა. მან ხმას აუწია.

— აგურის ქარხანაზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ.

— ნაშ რა საქმეზე მობრძანდით? — მდივნის ხმა სულ უფრო და უფრო მწყრალი ხდებოდა.

— პირად საქმეზე.

მდივანი შეყოვნდა. სახეზე უკმაყოფილება აღებეჭდა. იფიქრა, რაღაც თხოვნით მომმართავსო. ფანქარი აათამაშა, გოდერძის დაკვირვებით გახედა და უხალისოდ მიუგდო:

— გისმენთ.

ზენკლიშვილი სკამზე ისე აცმუკდა, გეგონება ეკლებზე იჯდა და მათგან თავის დაღწევას ლამობდაო.

— სახლის გადაცემა მინდა, თავისი ბარგი-ბარხანითა. — გაუბედავად წარმოთქვა გოდერძიმ.

— აბა, ეგ რა ჩემი საქმეა? — უკმაყოფილოდ გაშალა ხელები მდივანმა, — ამაზე რაიაღმასკომს უნდა მიმართოთ. იქ, სადაც თქვენი შვილი მუშაობს... — ორაზროვნად დააყოლა მან და მოძრაობით აჩვენა, ლაპარაკი დამთავრებულიაო. მერე თითქოს პასუხი ეცოტავა, დაუმატა: — ყიდვა-გაყიდვის საქმეებს იქ აწესრიგებენ, — და ფეხზე წამოდგა.

— ყიდვა-გაყიდვა რა შუაშია, გადაცემა მინდა. — ამაყი და უეცარი გაფიცხებით შეედავა გოდერძი.

— გადაცემა, თუ გასხვისება? — ბრაზიანად შემოხედა მდივანმა, — ვის გინდათ მიჰყიდოთ? — მდივანი მტრულად და თვალდაუხამხამებლად გამოსცქეროდა, იგი წარბშეკრული და ზედმეტად გაჯგიმული იდგა.

— კი არ უნდა მივყიდო, ისე მინდა გადავცე, ანაზღაურების გარეშე.

— გასაგებია, გასაგებია, — მოთმინება დაელია მდივანს, — ესე იგი, გინდათ გააჩუქოთ. ვის გინდათ აჩუქოთ?

— ვისა და სახელმწიფოს, მთავრობას.

— რაო? — სახე დაუგრძელდა მდივანს, იგი ისევ სავარძელში ჩაჯდა, საზურგეს მიეყრდნო, მერე სკამიდან წინ გადმოიხარა და მაგიდას იდაყვებით გადაეყრდნო.

— სახელმწიფოს, მთავრობას, აბა, სხვა ვისა? — მშვიდად გაიმეორა გოდერძიმ.

მდივანი რაღაცას გამალებით იაზრებდა. მერე უფრო მშვიდად და რბილად ჰკითხა:

— მაშასადამე, თქვენ გინდათ თქვენი სახლი თავისი მოწყობილობით გადასცეთ სახელმწიფოს?

— დიახ.

— სავსებით უსასყიდლოდ?

— უსასყიდლოდ.

— თქვენის ნებით? — დააზუსტა მდივანმა და კიდევ დაკვირვებით გამოხედა, მაგრამ ამჯერად მისი თვალები ისე მკაცრნი აღარ იყვნენ.

— ჩემის ნებით და ჩემის ცოლის თანხმობით.

— მოცილეები ან თანამესაკუთრეები ხომ არავინა გყავთ?

— არავინ არა მყავს...

— თქვენი შვილი?.. შვილი თანახმაა? — ფრთხილად შეაპარა მდივანმა.

— შვილი ცალკე ცხოვრობს. ამ სახლზე ნებით აიღო ხელი, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა გოდერძიმ.

— თქვენ მაინც უნდა ჰკითხოთ მას,— ურჩია მდივანმა. იგი გაცილებით უფრო ზრდილობიანი და კეთილგანწყობილი გახდა.

— უარს ვერ იტყვის... არ იტყვის — გაისწორა გოდერძიმ, — ვიცი.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა. ბუზის გაფრენას გაიგონებდი. მხოლოდ დიდი კედლის საათი ტიკტიკებდა შორეულ კუთხეში.

— რა გრჯით საამისოდ, ან რატომ დგამთ ასეთ ნაბიჯს? — დაინტერესდა მდივანი, — ხომ არავინ გაძალებთ, შანტაჟს ხომ არავინ გიწყობთ, ერთი სიტყვით, მინდა ვიცოდე, — უფრო დაბეჯითებით წარმოთქვა მან, — გარედან პროვოცირებული ხომ არ არის ეს თქვენი საქციელი? — მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო, სავარძლიდან წამოდგა საწერ მაგიდას შემოუარა და გოდერძის ზრდილობიანად მიმართა:

— აქეთ მობრძანდით, უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკოთ. — და ოთახის მეორე კუთხეში მდგარი რბილი სავარძლისაკენ გაიპატიჟა.

მართლაც გულიანად ილაპარაკეს.

მდივანი ისე ურჩევდა კითხვებს, ისეთი თანამიმდევრობით გადადიოდა ერთი შეკითხვიდან მეორეზე, რომ ცოტა ხანში იმაზე ბევრად მეტი იცოდა მოსაუბრის შესახებ, ვიდრე მისდამი მირთმეული ქაღალდების წყალობით. და რომ ქაღალდები ზენკლიშვილის საქმეზე მდივანს ბევრი წაეკითხა, ამას გოდერძი თავიდანვე ადვილად მიხვდა.

გულახდილმა საუბარმა გოდერძისაც მოულბო გული და მდივნისკენ შემოუბრუნა. ზენკლიშვილი მიხვდა, რომ მდივნის სიმკაცრე მთელი იმ საქმის წინასწარი მსვლელობით იყო გაპირობებული, რომელიც მის წინააღმდეგ სახალხო კონტროლმა და პროკურატურამ აღძრა... მისდამი სხვაგვარ დამოკიდებულების უფლება მდივანს არცა ჰქონდა, თორემ თავისთავად იგი სრულიადაც არა ყოფილა გულღრძო და ბოროტი ადამიანი. პირიქით, მეტად თავმდაბალი, გულისხმიერი, გამგები გამოდგა.

საუბრის დასასრულს მდივანი ძველებურად აღარ ბურღავდა თვალებით მოსაუბრეს და მეტად ლმობიერად, აშკარა ინტერესით და თანაგრძნობითაც კი შესცქეროდა.

მდივნის მფარველობითმა კილომ, უბრალოებამ და აშკარა კეთილგანწყობამ, რომელთაც მისი პირველი გაღიზიანებული შემოტევა შეცვალეს, გოდერძის სათქმელი გაუადვილა და მანაც თავისებურად ძუნწად, მაგრამ გულმართლად მოუთხრო მდივანს მთელი თავისი ძნელი ცხოვრებაც და ამჟამინდელი გასაჭირიც.

— ჩავთვალოთ, რომ პრინციპულად უკვე შევთანხმდით. ხვალ მოვალ თქვენთან და დანარჩენი საკითხები, მათ შორის პრაქტიკულიც, ადგილზე გადავწყვიტოთ. — მდივანმა გოდერძის ხელი გამოუწოდა და მაგრად, ვაჟკაცურად ჩამოართვა.

ბევრჯერ გამოჰყოლია სიხარული ამ ნაცნობი კაბინეტიდან გოდერძი ზენკლიშვილს, მაგრამ ახლანდელი იქიდან გამოსვლა, სულ სხვა იყო. კარი რომ გამოიხურა, ასე ეგონა, ახლად დავიბადეო. წელში გამტეხი სიმძიმე მხრებიდან ჩამოეხსნა, უცნაური სიმსუბუქე იგრძნო.

— ნეტავი, რა მიხარიან, მთელი ცხოვრების მონაგარი გადავეცი და დარდის მაგივრად სიხარულს განვიცდი! — ფიქრობდა გაკვირვებული გოდერძი და სახლისკენ განივრად მიალაჯებდა. აღარც ჩხვლეტას გრძნობდა გულის არეში, აღარც კისრის დაძაგვრას, წნევის აწევის დროს რომ იცოდა.

მალალო აივანზე იდგა, გზას გამოსცქეროდა.

სახლისკენ მომავალი გოდერძი რომ დაინახა, შეტოკდა. მაგრამ მხნე სიარულზე უცდომელად შეატყო, რომ საქმეს კარგი პირი უჩანდა და გული მოიცა, ქმარს წარბგახსნილი შეხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაჟია თუ ქალი? — ჰკითხა ალაყაფში შემოსულ გოდერძის.

— ვაჟია! — მიუგო მან და ქუდი მოიხადა, ცხვირსახოცით ოფლიანი თავის შემშრალებას მოჰყვა.

— მაინც რა გითხრა? — ძალადმოგონილი სიმშვიდით შეაპარა მალალომ.

— ხვალ წოვლენ. ჩაიბარებენ.

— ური დედა, აგრე მალე?

— რაზე ვაჭანჭალოთ საქმე?

— მერე ძველ სახლსა დაგვა-დაწმენდა არ უნდა? აქეთა ოთახში დამზადების კანტორასა ნიორი ეყარა, ალბათ, სულ ნივრის სუნადა ყარს იქაურობა...

— მერე რა, ისე წარმოიდგინე, ვითომც ხაშსა ვჭამთ. — კბილები დაკრიჭა გოდერძიმ. — აქეთ გზობაზე რომ მოვდიოდი, დამზადებაში შევიარე, უფროსი ვნახე, ვუთხარი, სახლი დღესვე დამიცალე, თუ რამე შიგ გიწყვია გაზიდე-თქო, ხვალ აუცილებლად უნდა გადავიდე და არ დამალალატიანო, ისიც გეყოფათ, რომ იმ სახლსა რაცა ხანია უსასყიდლოდ ხმარობთ-მეთქი. დამპირდა ხვალისათვის აუცილებლად დაგვილ-დაწმენდილს დაგახვედრებო.

— კაცმა რომ თქვას, ი, ბიჭისთვის შენი პირით უნდა გეთქვა. აქამდეც უნდა გეთქვა! შენი ნათქვამი სხვაა და სხვისი პირით მიტანილი, კიდევ სხვაა.

— დედაკაცო, რით ვერ ვუთხარი? აკი იმ დღესაც იმიტომ გაიქცა ნიშადურამოსწულივით, რომ ეგ ვუთახრი. ხომ ხედავ, აღარ გვეკარება, გაგულისებულია.

— დაუძახე, დაუყვავე, უთხარი, რომ სხვა გამოსავალი არა გვქონდა...

— გამოსავალი გვქონდა, მაგრამ მაინც აგრე მოვიქეცით. — გამომწვევად თქვა გოდერძიმ.

— ვის ეჯიბრები, დალოცვილო?!

— არავისაც არ ვეჯიბრები. როცა შეიტყობს, რომ სახლის გადაცემას ვაპირებ, თვითონვე მოიჭრება. აი, ნახავ, თუ მაშინვე არ მოვარდეს.

მალხაზი მართლაც „მოიჭრა“.

ახალდაბინდებულზე გადმოვიდა და მხართეძოზე წამოწოლილ მამას თავზე დაადგა. არც გამარჯობა უთქვამს, არც ხმა ამოუღია.

ჩუმად ჩამოჯდა საწოლთან მდგარ სკამზე და მამას საყვედურიანი თვალები მიაპყრო.

ერთხანს ასე ისხდნენ გარინდულნი. მაგრამ გოდერძიმ ვერ გაუძლო სიჩუმეს.

— რას იტყვი? — ჰკითხა მან და შვილს თვალი გაუსწორა.

— შენ რას იტყვი, თორემ მე სათქმელი აღარაფერი მაქვს. მე შენს წინაშე არაფერი შემიცოდია.

— გამოდის, რომ ჩემს განმარტებას ელი და ცოდვილადაც მე მიგაჩნივარ?

— როგორა გგონია, მაშ უბრალო ხარ?

— შენა, ჩემო ძმაო, ჩემზე ადრე აიღე ხელი ამ ქონებაზედა და მე რა, შენზე ნაკლები გგონივარ? თხა, თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო... თუ შენ არ გინდა, არც მე მინდა. იმას მივცეთ, ვისაც უნდა.

— საიდან დაასკვენი რომ მე არ მინდა?

— თუ გინდოდა აქ არ იყავი? რაზე გამექეცი, რაზე გამეცალე?

— ხომ გითხარი, დროებით მივდივარ-მეთქი...

—დროებით — მე არ ვიცი, როცა ამ სახლ-კარს დაცვა და ყურადღება უნდოდა, სწორედ მაშინ მიღალატე, განზე გადექი, სეირის მაყურებელივით გამინაპირდი. გინდოდა მე გადამეტანა მარტოდ-მარტო მთელი ჭაპანწყვეტა. და, თუ ბოლო კეთილი გამოდგებოდა, მაშინ ისევ მობრძანდებოდი. არა ძმაოსან, მე ამის დამცველი არა ვარ. შენ თუ გინდოდა, შენვე უნდა დაგეცვა. შენვე უნდა დახაკუთრებოდი.

— თუ გაგიგია სადმე არაკად, რომ მამა თავის ღვიძლ შვილს ასე უწყალოდ მოქცეოდეს?

— და შენ თუ გაგიგია, რომა შვილი მამასა ასე უმიზეზოდ განდგომოდეს, სახლიდან გაქცეოდეს?

— ათასჯერ გითხარი, მე არ გაგყრივარ, მხოლოდ დროებით გადავედი-მეთქი.

— გინდოდა გეცქირა როგორ გადავყვებოდი ჩვენგანვე დაგროვებულ ქონებას. თუ გადავყვებოდი, — ჯანდაბას, თუ არა და, — ისევ ჩემთან მოხვიდოდი.

მალხაზი დარწმუნდა, რომ მამასთან კამათი უიმედო იყო. რომ მოხუცს (ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა მამას „მოხუცი" უწოდა) მტკიცედ ჰქონდა სახლის გადაბარება გადაწყვეტილი, ხოლო თუ იგი რამეს გადაწყვეტდა, ცოცხლადაც რომ დაგეწვა აღარ გადათქვამდა.

მალხაზი მძიმედ წამოდგა.

— კარგი, მამაჩემო, რახან არ იშლი, როგორც გენებოს. მაგრამ ამიერიდან ნურარც ჩემი იმედი გქენება.

მალხაზის სიტყვები საშინელ წყევლასავით გაისმა.

გოდერძი გაფითრდა, ძალაუნებურად თვალები მილულა. რა ძალამ დაახუჭინა, თვითონაც არ იცოდა. მაგრამ მისი გონება კვლავაც გამალებით მუშაობდა.

— აგრე იყოს. შენი იმედი არც ადრე მქონდა. ისე კი იცოდე: — ამას იქით მაინც ნუ მიატოვებ მახლობელს გასაჭირში. თუ მიატოვებ, აუცილებლად გადაგხდება. ათმაგად გადაგხდება, დღეს თუ არა, ხვალ მაინც გადახდება. და რაც მთავარია, ხძლიე სიხარბესა შენსა!..

მალხაზი გავიდა.

გავიდა თუ არა, გოდერძიმ გულთან საშინელი ჩხვლეტა იგრძნო და მაშინვე ორად მოიკეცა.

— არა, აგრე ადვილი არა ყოფილა შვილისათვის რაიმეს გამოწირვა!

არ მოელოდა, ახე თუ დადრეკდა მისადმი სიბრალული. მაგრამ სალზე უფრო სალი და უჯიათზე უფრო უჯიათი იყო ძველი ნეტივე.

წელში მოხრილი წავიდა და ლოგინზე ჩამოჯდა, ისე იყო მოკუნტული, თითქოს ახალ შემოტევას ელოდებოდა. და როცა საშინელი, ხახსრებიდან დამშლელი ტკივილი კვლავ გაუმეორდა, ლოგინზე გულაღმა გაიშხლართა. „არა, არ დავუძახებ — გაიფიქრა გუნებაში. — რაც იქნება, იქნეს. ნეტავი გამათავოს, რომ მოვრჩე ამ წამებულ სიცოცხლეს".

მალალოს არ დაუძახა.

მალალო კი თითქოს ჯიბრზე არა ჩანდა. ალბათ, მალხაზს ელაპარაკებოდა.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ ტკივილი მალე გაუყუჩდა.

იგრძნო თუ არა შვება, ფრთხილად წამოდგა და წელში მოხრილი, პატარ-პატარა ნაბიჯებით სასტუმრო ოთახში გავიდა.

ზენკლიაანთ დიდ ტახტზე მალალო მიგდებულიყო და ხმადაბლა ქვითინებდა.

გოდერძი ფრატუნით მიუახლოვდა ცოლა, გვერდით მოუჯდა და თავისი ნიჩაბივით განიერი და მძიმე ხელი თავზე გადაუსვა. თქმით კი არაფერი უთხრა, რადგან არ შეეძლო: ესეც პირველი შემთხვევა იყო მისი ბავშვობის შემდეგ, როცა ძველ მეტივეს ცრემლები ახრჩობდა.

შუაღამე უკვე გადასული იყო, როცა ალაყაფის პატარა კარი გაბარტყუნდა და გარეთა კიბეზე ფეხის ხმა გაისმა.

ზღურბლს ედიშერაანთ სანდრამ გადმოალაჯა. დაუკაკუნებლად, გაუფრთხილებლად შემოაბოტა და შუა ოთახში, უზარმაზარ ხესავით აეყუდა.

ახე იცოდა. საკუთარ სახლში შედიოდა თუ უცხოსთან კარს არასოდეს არ დააკაკუნებდა. არც ხმას გაიღებდა. პირდაპირ შეალაჯებდა. ნებართვის აღება შეურაცხყოფად მიაჩნდა. „მტერთან მე არ შევალ და მახლობელსა რა გაფრთხილება უნდაო",— თავს იმართლებდა იგი, როცა შინაურები დაანაწყენებდნენ.

გოდერძიმ უსიტყვოდ წამომართულ სანდრას ახედა თუ არა, მაშინვე მალალოს სიტყვები მოაგონდა: — „გენაცვალეთ, — იტყოდა ხოლმე სანდრას დანახვაზე მალალო, — რა შკაფივით კაცია ეგ მამაცხონებული! ეგ არის, უჯრები არა აქვს"...

— აქვს! — გაესუმრა ერთხელ გოდერძი, — მაგის უჯრები მარგალიტა, მარინე და ფუსეა. ფუსე-მოურავს მეტსახელად იმ ინვალიდ კოლმეურნეს ეძახდნენ, რომელიც სანდრას სახლში ფუსფუსებდა.

სანდრა არც ხმას იღებდა, არც ჯდებოდა. გაშეშებული იდგა.

— გაზრდა ხომ არ გინდა, კიდევა? — შეეკითხა გოდერძი და სკამზე მიანიშნა, დაჯექიო.

— ეეჰ, ჩემო მძახალო, მძახალო, — თავი გადააქნივ-გადმოაქნია მოსულმა, — ვერა ყოფილხარ დალაგებული კაცი...

— შენა? მთელი შენი სიცოცხლე კოლმეურნეობას ალაგებ და მაინც ვერ და-

გილაგებია! — გოდერძი სახუმარო კილოს არ ეშვებოდა.

— კოლმეურნეობა სხვაა. იქა, საკოლმეურნეო ქონება მეფობს და ათასი პატრონიცა ჰყავს. სახლში კი კერძო საკუთრება ბატონობს და, ამიტომ, უფრო ადვილია მოსავლელადა... მაგრამ, რა თქმა უნდა, — სანდრამ სიტყვა გაწელა, — არა ყველასათვისა. ზოგსა ისე შეუძვრება ხუშტური გონებაში, როგორც ხარსა ბუზანკალი, და ჰაი და ჰაი, გადარევს და გადარევს, შენსავითა!...

— ღვინო გინდა? — უბოროტოდ ჰკითხა გოდერძიმ.

— ახლა არც ღვინო მინდა, არც წყალი. ისე ვარ გამშრალი, დანა რო დამარტყა, სისხლი არ წამომივა.

— რა, ხანაშენოდ ხომ არ გამოგწოვეს?

— შენ გამომწოვე, შენა! — დაიბუზუნა სანდრამ და უზარმაზარი მუშტი მაგიდას დასთხლიშა.

გოდერძიმ ცალი წარბი მომშვილდა. ასე იცოდა, როცა გული ბოღმით გადაევსებოდა.

მალალომ შიშით გახედა ქმარს. ცუდად ჰქონდა ქმრის წარბის მოზიდვა დაცდილი.

— სანდრო ედიშერაშვილო, — დინჯად წარმოთქვა გოდერძიმ, — ამ სახლშია მუშტებსა მარტო მე ვიქნევ! გაიგე?

სანდრა მიმხვდარიყო თავის შეცდომას და ახლა, აკანკალებული ხელებით სიგარეტს უკიდებდა. გულში ნანობდა თავის აფეთქებას. იცოდა, რომ გოდერძისთანა კაცთან დინჯი, გულში ჩამწვდომი საუბარი ჯობდა.

— რაზე დაკალი შენივე ხელითა ის შენი ბიჭი? — ბოღმაგარეული ხმით იკითხა სანდრამ და გოდერძის მწყრალად გახედა.

— მე, ჩემო ძმაო, — დინჯადვე დაიწყო გოდერძიმ, — რაც შემეძლო შევეწიე, ზრდაშიაც და კაცად გახდომაშიაცა...

— კაცო! — შეიცხადა სანდრამ, — შენი შვილია და მაშ არ უნდა შეწევნოდი? ეგ რა დასაკვეხნია! აბა, მაშ, არ უნდა შეხმარებოდი?

— მაიცა, მაიცა, სანდრა-ბიჭო!

— რომელ მამას უქნია ანგარიში შვილისთვინა? თუ შეეხმარე და გზა გაუწალდე ეგა შენი მოვალეობაა! მაგრამ ახლა რომ ადექი და უჯიშო ძროახსავითა შენვნითვე მოწველილსა ფეხი რო ჰკარი და გადააქციე? — სანდრა ისე იყო აღელვებული, თავს ვეღარ ჰფლობდა, ხელ ერთავად ბორგავდა, ცეცხლსა ჰყრიდა.

— ეგა, ჩემო ძმაო, — საუბრის კილოს დაბლა დაწევა სცადა გოდერძიმ, — ისეთ თანამდებობაზეა და ისე გავიდა ასპარეზზედა, ცხოვრება არ გაუჭირდება. ჩემზე მეტს შეიძენს... რატომ უნდა გაეტიროთ, იმასა, რასაც მე ჩემ წილადა ვთვლი და ვისაც მინდა იმაზე გავცემ?

— კაცო, შენა რა, მთვარიდან ხომ არ ჩამოვარდი? არ იცი, რომ მაგისთანა ხელობის კაცსა, როგორიც შენი შვილია, დღეს რომ ყველაფერი აქვს, ხვალ შეიძლება სულაც არაფერი ჰქონდეს? არ იცი, ამათი ამბავი? ჯერ ბედაურზე შეგსვამენ, მერე კი თვითონვე გადმოგაგდებენ! ისე გადმოგაგდებენ, ვირსაც არ გაღირსებენ, ანდა ისე გადმოგაგდებენ, ცხენსა ფეხქვეშ გაეთელინები.

— ეხლა, რაც არ უნდა ილაპარკო, უკვე გვიანია. დღეს შევპირდი პირველ მდივანსა, რომ ყველაფერს მაგათ გადავცემ. მერე თვითონ იციან.

მძახალი ერთბაშად მოტყდა. ხმა ჩაუვარდა.

— როდის ელაპარაკე? — ძლივს გახაგონად იკითხა მან.

— დღეს დილით.

სანდრა ჯერ გაშტერებული შესცქეროდა გოდერძის, მერე წამოიმართა და ღვარძლიანად თქვა:

— ბარაქალა, ბარაქალა. მამა კი არ, მამალი მგელი ყოფილხარ.

და ისევე უსიტყვოდ გადაალაჯა კარის ზღურბლს, როგორც შემოვიდა.

ცოტაც და ნისი ნაბიჯების ხმა სიბნელეში გაითქვიფა.

მალალო უჩუმრად დატორტმანობდა, ოთახიდან ოთახში უსაქმოდ დალასლასებდა. ეტყობა თავგზა ჰქონდა არეული.

აღარც ლაპარაკის თავი ჰქონდა აღარც რისიმეს კეთებისა.

იგი ძრწოლით ელოდა ხვალინდელ დღეს, დღეს, როცა ვიღაც უცხო ადამიანებს მთელი მათი მონაგარი უნდა ჩაებარებინათ და ზენკლიაანი ცარიელ-ტარიელი დაეტოვებინათ.

ღამე არც ერთს თვალი არ მოუხუჭავს..

გოდერძი და მალალო საუზმედ ისხდნენ. და თავიანთი ძველი ჩვეულებისამებრ ლამბაქებიდან ჩაის უხალისოდ ხვრეპდნენ, როდესაც გარეთა კარზე მიმაგრებული ზარი ფრთხილად აწკარუნდა. გოდერძიმ კარგად იცოდა, რომ არც მათი მეზობლები, არც მალხაზი ზარს არ დარეკავდნენ. მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო ეს ადრიანი სტუმარი?

ზღურბლზე ისაკა იდგა და დამნაშავესავით იღიმებოდა.

— კაცო, შე რა ახლმთვრესავით გამოჩნდები ხოლმე, — შეუტია გოდერძიმ დანდლიშვილს, გულში კი ძალიანაც ესიამოვნა მისი ჩამოსვლა. ისაკას რჩევის გაგონება არასოდეს არ იყო უსარგებლო.

— შენა, შენი თქვი, თორემა მე ყოველთვისაც მახსოვხარ.

— საიდან გაჩნდი?

— თბილისში მივდიოდი და გზათ გამოგიარე. — იცრუა ისაკამ.

მან არ გაუმხილა გოდერძის, რომ წინადღით მალხაზმა სამების რაიაღმასკომიდან ახალქალაქის რაიაღმასკომში ტელეფონის გაუთავებელი რეკვა ასტეხა, იქაურ კოლეგებს ისაკას მოძებნა სთხოვა და სატელეფონო ლაპარაკი დაუთქვა.

შეშინებული ისაკა თითქმის ძალით მიიყვანეს ტელეფონთან. მალხაზმა მისი მონახულება რომ სთხოვა, ისაკამ მანამდე არ მისცა დასტური, სანამ არ დააფიცა, რომ საქმე მხოლოდ გოდერძის შეეხებოდა და ყოფილი მთავარი ბუღალტრის სამებაში ჩასვლას არავითარი ხიფათი არ მოელოდა.

იმედმოცემული ისაკა მაშინვე დაფაცურდა, შემხვედრ მანქანაში ჩაჯდა, ბორჯომში საჩქაროდ ჩავიდა, იქიდან კი დილის მატარებელს სამებაში გამოჰყვა. უნდა ითქვას, რომ დანდლიშვილი ერთობ დაუზარელი კაცი იყო.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე და „ლესტროიტორგის" ბაზის ყოფილი ბუღალტერი დიდხანს იყვნენ მალხაზის კაბინეტში ჩაკეტილები.

ისაკა აღელვებას ვერა მალავდა და გაოცებისაგან სულ ხელებს შლიდა: იგი იმდენად დააბნია და შესძრა ნაამბობმა, რომ ნათქვამის ნახევარი ბუნდოვნად ესმოდა და მალხაზს ორ-სამჯერ უხდებოდა სიტყვის განმეორება.

— უფროსოჯან, შენთან ერთი ძალიან საჩუმათო საქმე მაქვს. — ისაკამ მალალოს შიშნარევად გადახედა, ჩემ რძალსა, ალბათ არ ეწყინება, ორი წუთით რომ გავმარტოვდეთ.

— თქვენ აქ იყავით, მე წავალ. — მალალომ კარი გაიხურა. მაგრამ რადგან ისაკამ იცოდა მისი სიყვარული წაყურადებისადმი, კართან მივიდა, გამოაღო, გარეთ გაიხედა და როცა დარწმუნდა მალალო მართლა წასულაო, კარი უფრო ძლიერად გამოიხურა, მჭიდროდ დაკეტა.

— ვახ, კაცო, კაცო, — ხელები თავზე წაივლო ისაკამ, — ეგ რა გიქნია, ეგ რა მოგიფიქრებია, ეგ რა გადაგიწყვეტია!?

— დაჯე, დაჯე, არ წაიქცე. ახლა შენი ვიშვიში მაკლია, შენმა ცხონებამა. თუ გული მიგდის წადი, ჩემს ლოგინზე წამოწექი.

ისაკა არ მოელოდა ასეთ ნახევრად-სახუმარო, ნახევრად-აგდებულ კილოს. ვიშვიში, მართლაც, შეწყვიტა და გოდერძის დააცქერდა.

— ვინ ჩამოგიყვანა, მალხაზმა?

ისაკა წამით დაიბნა, მერე გაცხარდა:

— ვახ, გოდერძიჯან, არ მიჯერებ? მე მაგის კაცი ვარ? ახლა არ გითხარი გზად გამოვიარე-მეთქი! ჩვენი მეგობრობის გულისათვისა, თორემა ყოველ აქ ჩამოსვლაზე სიცოცხლეს ვათავებ, ასე მგონია, აი, ახლა წამავლებენ ხელს, აი, ახლა-მეთქი და ვირის აბანოში ამომაყოფინებენ თავსა., ამისმა მადლმა, მართალს ვამბობ.

— კარგი, კარგი, მაგის რა მადლიცა გაქვს, ისიც კარგად ვიცი. აბა, რა გინდო-

და, მკითხე, სანამ პასუხების გუნებაზე ვარ.

— კაცო, მართალია?

— მართალია.

— სულა?

— სულა!

— სახლ-კარი. ეზო-კარმიდამო, ავეჯი, ყველაფერი??

— ყველაფერი.

— ისა? — ხმას დაუდაბლა ისაკამ.

— რა ისა?

— ისა რაღა, ცოტაოდენი მაყუთი რომ გქონდა და ცოტაოდენი ოქროულიცა...

— ის, არა.

— ვაჰ, რატომა? — ეშმაკურად შეიცხადა ისაკამ.

— აღარ მაქვს, შემომეხარჯა;

— იიი!! — ისევე ეშმაკურად ჩაიღიმილა ისაკამ.

— ამისმა მადლმა.

— ვახ!

— რა ვახ, შენი მადლი, მადლია და ჩემი არა?

— ჰო, კარგი, მჯერა. ეტყობა ჭკუა ჯერ მთლად არ დაგიკარგავს.

წამით ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ისაკა თითქოს გონს მოეგოვო და ისევ შეიცხადა:

— ვაჰ, კაცო, კაცო, ეს რა გადაგიწყვეტია, ეს რა ჩაგიდენია, ეს რა მოგიფიქრებია! ჯერ ამდენი აგროვე, აგროვე და წერე ბუჰ, ძველი კნიაზივითა სულ რასხოდში გაუშვი?

— გავუშვი.

— არ გენანება?

— არა.

— დაიფიცე!

— გეფიცები შენი მეზობლის ცოლსა, აი, სქელკურტუმა სირანუშა რომ გყავს.

— ვახ, კაცო, კაცო, სულ ეგრე უნდა იხუმრო? სიცოცხლე მიდის, ქონება მიდის, კარგი ხალხი მიდის, შენ კიდევა ხუმრობ და ხუმრობ!

— მაშ არა და შავებს ჩავიცვამ. ე, ჩემი მალალო კარგად ნყავდეს, თორემ ძე, მეტი არაფერი მინდა.

— ვაჰ, კაცო, კაცო, იმაზე მაინც დაფიქრდი შენი მაგისთანა ნაბიჯითა, რა მაგალითს აძლევ ხალხსა? მთავრობას რომ მოეწონოს შენი ფეშქაში და ყველას რომ მოგვთხოვოს, თქვენც ეგეთი შტუკა ჰქენითო, მერე???... ვახ, კაცო, კაცო!.. — ისევ დაიწყო მოთქმა ისაკამ, მაგრამ გოდერძიმ მუხლის თავი გაჰკრა.

— აბა, გეყოფა ვაჰ-ვაჰები. შენი ვიში მაკლია, რაღა!... ჩემი თავკვერი თუ გინდა, ცოტას დაგალევინებ, მერე კი მოუსვი. აქა, რაიკომის მდივანი უნდა მოვიდეს. ალბათ, სხვებსაც მოიყოლიებს.

— რად უნდა მოვიდეს? — სწრაფად იკითხა შეშინებულმა ისაკამ.

—სახლკარი უნდა ჩავაბარო!

— უკვე, ახლა?

— ახლა.

— ვაჰ, კაცო, კაცო, როგორ იღუპავ თავსა, როგორ ძალათი იხჩობი თავთხელშია...

მალალომ ღვინით სავსე ყარყარა სურა, ცივად მოხარშული ხორცი და მწვანილი შემოიტანა.

უხმოდ ჭამდნენ.

მოშიებული ისაკა გემრიელად იღმურძლებოდა.

გოდერძის ლუკმა არ ჩასდიოდა, მხოლოდ ღვინოს ეძალებოდა.

„ჩუმად სმენ, ჩუმად პურობენ სიმღერას არ იტყვიანო“... გაიხსენა ძველი სიტყვები გოდერძიმ.

— ეჰე, ჩემო საყვარელო უფროსოჯან, ჩვენი სიმღერა უკვე მორჩა.

ესეც პირველი შემთხვევა იყო, როცა გოდერძი ისაკაზე ადრე შეთვრა და მრავალი დღის უძილარს თავი მკერდზე ჩამოუვარდა.

ისაკამ დიდხანს უყურა ჩათვლემილ გოდერძის. იგი სინანულით დასცქეროდა ოდესღაც უთერობ მსმელსა და საოცარი ჯანის კაცს, ახლა დროს ასე რომ მოეტეხა და დაეძაბუნებინა.

ნაშუადღევს, გოდერძის ალაყაფთან შავი „ვოლგა“ შეჩერდა. სწორედ ის, რომელიც უწინ ვახტანგ პეტროვიჩს ემსახურებოდა. შოფერიც იგივე იყო, ზემოუზნელი ესტატე, ჭორფლიანი ჭაბუკი, პეტროვიჩის ყოველ სურვილს უსიტყვოდ რომ გებულობდა.

გოდერძი სტუმრებს ჩაეგება.

რაიკომის პირველ მდივანს, რაიაღმას-

კომის თავმჯდომარის მოადგილე, რაიკომის საერთო განყოფილების გამგე და რაიაღმასკომის განათლების განყოფილების გამგე ახლდა.

ყველანი ახლები იყვნენ და გოდერძი არც ერთ მათგანს არ იცნობდა.

ეზოში რომ შემოვიდნენ, რაიკომის მდივანი სახლის წინ შედგა და დიდხანს უყურა ზენკლიშვილის ლამაზ შენობას. მერე ეზო მოათვალიერა და მოზაიკურ კიბეებს დინჯად აუყვა.

გოდერძი ხედავდა, როგორ პირდაღებულები შესცქეროდნენ ყოველ ძვირფას ნივთს სტუმრები. როგორი განცვიფრებით გადადიოდნენ ერთი ოთახიდან მეორეში. ხან პარკეტს ათვალიერებდნენ, ხან ფარჩის უცხოურ შპალერებს, ხან ლამაზად შეღებილ ჭერს და განიერ ლავგარდანებს. შუშიან კარადებში გამოფენილ ბროლსა და ფაიფურს თვალს ვერა სწყვეტდნენ.

რაიკომის საერთო განყოფილების გამგემ, სიღარიბეში გაზრდილმა გაღმასოფლელმა ჭაბუკმა, დარბაზში ჩამოკიდებულ ჭაღს თავაწეულმა იმდენი უარა, კინაღამ თავბრუ დაეხვა. იგი მარტო თვალებს აღარ უჯერებდა და მისგან აქამდე უნახავ ნივთებს ხან ხელს შეახებდა, ხანაც თითს ატაკებდა ხოლმე.

გოდერძიმ შეამჩნია ,რომ მდივანი ჯერ საძილე ოთახში მდგარ დიდ საწოლთან შეჩერდა, შემდეგ კი სასტუმროში, კედელთან მიდგმულ ბანქოს სათამაშო მაგიდას დააცქერდა. „ალბათ მართლა ბეზბოროდკოსი და მიურატის ნაქონი ნივთები ჰგონია, — გაიფიქრა გოდერძიმ, — ეტყობა, პროკურორისა და სახალხო კონტროლის ინფორმაციას უჯერის. ის კი არ იცის, რომ ყველაფერი ეს ისაკას მიერ შეთხზული ჭორია, რა ძვირად მიჯდება იმ მაცდურის ხუმრობა“...

მალხაზის ოთახი უფრო გულდასმით დაათვალიერეს.

— ჩვენ შევეკითხეთ თქვენს შვილს, ისე, რა თქმა უნდა, არ შეგვეძლო — მოუბრუნდა რაიკომის მდივანი გოდერძის, — ხომ არ მოისურვებდა ამ ორ ოთახში ცხოვრებას. მაგრამ მან კომუნალურ სახლში არჩია ბინის მიღება, აი, ბაზართან რომ ვაშენებთ...

— თავისი საქმე თვითონ იცის.

— აქ ყველაფერი ბევრია, გარდა წიგნებისა.—თქვა მდივანმა და მალხაზის ოთახში აყუდებულ ორ მაღალ კარადაში წიგნების თვალიერებას მოჰყვა.

— მე და ჩემმა ცოლმა ისე გავლიეთ წუთისოფელი, წიგნებისათვის არ გვეცალა. ჩემს შვილს კი ეგეც ყოფნიდა.

საერთო განყოფილების გამგემ წინასწარ დამზადებული და მანქანაზე დაბეჭდილი აქტი ამოიღო. აქტს რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ და გოდერძიმ მოაწერეს ხელი.

თავმჯდომარის მოადგილემ უკანასკნელი განკარგულებები გასცა: მეორე სართულზე ორი ოთახი, ერთი მალხაზისა და ერთიც მომიჯნავე, თბილისიდან ჩამოსულ პასუხისმგებელ მუშაკთა სასტუმროდ გადააკეთეთო. დანარჩენი ოთახები კი საბავშვო ბაღს გადაეცითო. ჭურჭლეულობა რაიაღმასკომის სასადილოს ჩააბარეთო, ხალიჩები კულტურის სახლს; სურათები, — მხარეთმცოდნეობის მუზეუმს; წიგნის კარადები, — რაიონულ ბიბლიოთეკას; ჭაღები — პარტკაბინეტს; სამუშაო კაბინეტი, — ამომრჩეველთა კლუბს, უკეთესი ნივთები სასტუმროდ გადაკეთებულ ოთახებში გაიტანეთო.

წიგნები გოდერძის მალხაზისათვის უნდა გაეგზავნა. მარნის მოწყობილობა, სარდაფში მყოფი იარაღ-ხელსაწყოები, სამზარეულოს ავეჯი, ლოგინები, თეთრეული ტანისამოსი, პირადი ნივთები და სხვა საოჯახო წვრილმანი ზენკლიშვილებს თან უნდა წაეღოთ.

ყველა საქმე რომ მოითავეს პირველმა მდივანმა გოდერძის ხელი მაგრად ჩამოართვა, თვალებში ჩახედა და მადლობა უთხრა.

გოდერძი დიდხანს გასცქეროდა როგორ მისრიალებდა ზენკლიაანთ ორღობეში ვახტანგ პეტროვიჩის ყოფილი „ვოლგა“.

...მალალო მხოლოდ მაშინ ამოვიდა სარდაფიდან, როცა სტუმრები წავიდნენ. თავჩაღუნული დადიოდა, თვალები დანისლული ჰქონდა.

იგი ქმართან მივიდა. თავი მკერდზე მიადო და გაყუჩდა. გოდერძი გაუნძრევლად

იდგა, არ უნდოდა ნალალო ჩამოშორებოდა.

ამიერიდან ისინი ამ ოდესღაც თავიანთ სახლში, მხოლოდ უბრალო სტუმრებიღა იყვნენ...

მეორე დილით ძველი სახლის მოსანახულებლად წავიდნენ.

ყავრით გადახურულმა, ორთვალა პატარა სახლმა, წინ მოშენებული ლურჯი აივნით, სამსაფეხურიანი კიბით და აგურის კედლებით, შორიდანევ თვალებში შემოანათა. თუმცა გვერდით მრავალი ახალი შენობა წამომართულიყო, ის ძველი სახლი ყველაზე გამორჩეულად მდგარი ეჩვენათ.

ხაკვირველი ის იყო, რომ კედლები აქამდე არ გახუნებოდა, ისევ ისეთივე წითელი ჰქონდა, როგორც უწინ.

სახურავზე ყავარი ჩაშავებულიყო, ნაწიბურებთან ჩამპალიყო, ქვენა მხრიდან კი ალაგ-ალაგ ხავსი მოჰკიდებოდა.

ეზო ხასხასა ბალახს დაეფარა. ახლადამოყრილი ძურწა უჩვეულოდ მწვანე ჩანდა. ჯინი იმდენად დაძველებულიყო, იფიქრებდი, ხელი რომ შევახო, ფერფლივით ჩაიშლებაო. საქათმის სახურავი ქარს წაეღო, საღორე კი ისე იყო დაფერდებული, გეგონება გვერდზე წამოწოლას ლამობდა.

მალალო და გოდერძი დიდხანს იდგნენ აქეთ-იქით გადაქანებულ ძირმოძპალ მესერთან, მის წაწვეტებულ სარებზე ხელები ჩამოედოთ და ძველ სახლს უსიტყვოდ შესცქეროდნენ.

ორთავეს ისეთი გრძნობა ჰქონდა, გეგონება მკვდრეთით აღმდგარ ძველთა-ძველ ნაცნობს გადაეყარნენ.

რაღაც სინანულითა და სევდით გასცქეროდნენ პატარა სახლს, სადაც უწინ ამდენი ტკბილი დღე გაეტარებინათ, ახლა კი ამდენი სისხლის ამატოკებელი მოგონება ჩაბუდებულიყო.

მალალომ ვეღარ გაუძლო ასე დგომას,— შევიდეთ, — თქვა მან, ღობეში დატანებულ ფიცრულ კარებს მავთულის რგოლი მოაშორა და მაღლა აწევით შეაღო.

გოდერძი ცოლს ნიჰყვა.

პატარა კიბე რომ აიარეს, და აივანზე იატაკის შეუღებავ ფიცრებზე ფეხი შედგეს, გოდერძიმ ნავად შეკრული ხელისგულები ტუჩებთან მიიტანა — ჰაუ, ჰაუ-ო, დაიყვირა, ქუსლით იატაკს ცემა დაუწყო. ცარიელმა ოთახებმა მისი ბუბუნა ხმა ქვევრივით ჩაიხვიეს და კიდევ უფრო გაძლიერებულად გამოსცეს.

ეს დიდედისგან ჰქონდა ნასწავლი: დიდიხნით დაცარიელებულ სახლში რომ შეხვალ, უნდა ხმა გაიღო, კედლებსა და ჭერხოს შენი მოსვლა აგრძნობინო, თუ ავი სულები ჩაბუდებულან, გარეთ გააძევოო...

ოთახები მეტის-მეტად პატარა და დაბალი ეჩვენათ. თითქოს სიგრძე-სიგანეში მოეკლოთ, ხოლო ჭერი ძირს ჩამოშვებულიყო.

წელგამართული გოდერძი საქოჩრით ლამის თავხეებს შეხებოდა. ალბათ, ამიტომ აღუდგა ძველი ჩვევა და ძველ სახლში ფეხის შედგმისთანავე წელში მოიხარა. გაახსენდა, რომ სიჭაბუკეში აქ შემოსვლისას სწორედ ასევე იღუნებოდა. მხოლოდ ახლა მიხვდა, მაღალჭერა სახლებს კაცის წელში გაძართვა რომ სცოდნია. ეტყობა, ამიტომაც დადიოდნენ მიწურებში მცხოვრებნი ქედდადრეკილნი...

მალალოს და გოდერძის ფეხის ყოველი გადადგმისას სხვენიდან მიწის პაწია გოროხები აცვიოდათ.. მართალია, ჭერი და დირეები აწ უკვე გახუნებული ლურჯი ქაღალდით იყო აკრული, მაგრამ ქაღალდი ისე გამხმარიყო და დაშაშრულიყო,

მუქლურჯად შეღებილი პაწია ფანჯრები საწყალობლად გამოიყურებოდნენ. თითქმის ყველა მათი მინა პატარა უსწორმასწორო ნატეხებისგან იყო შედგენილი. ჭდეების ადგილზე დროთა განმავლობაში მტვერი ჩამჯდარიყო და მინებს, ნატეხთა დაკავშირების ადგილებში, მუქი ზოლები გასდევდა.

აქა-იქ ბათქაშიც ჩამოშლილიყო, ხოლო მოგვიანებით მიშენებულ პაწია სამზარეულოს შეუღლესავი აგურის კედლები აბლაბუდებს დაეფარა. ეს სამზარეულო ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ ააგო გოდერძიმ. მისი ერთი კედელი ძველი გაზეთებით იყო აკრული. გაზეთებიც ერთიანად გაყვითლებულიყო და დამსკდარიყო. გოდერძიმ კისერი წაიგრძელა, სათაუ-

რებს ჩააშტერდა. გაზეთები 1946 წლით იყო დათარიღებული.

— ეჰეი, რამდენი დრო გასულა! — თქვა მან და მალალოს ღიმილით გადახედა. გადახედა და ერთბაშად შიში იგრძნო: რა იქნებოდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს დალოცვილი, ეს მადლიანი, ეს ერთგული ადამიანი მის გვერდით არა მდგარიყო!..

— მალალო, ჩემო მალალო! — თავის ქნევით წარმოსთქვა გოდერძიმ და თავისი მძიმე ადლიანი ხელები ცოლს კისერზე შემოაჭდო.

ქალი გაიტრუნა. ქმრის ალერსი მას ყოველთვის აღელვებდა.

დიდხანს იდგნენ ასე.

ზენკლიაანთ ჭიშკართან მანქანის თუხთუხი გაისმა. „ვოლგიდან" რაიკომის პირველი მდივანი გადმოვიდა.

— გამარჯობათ, ახალმოსახლეებო! — მხიარულად მიესალმა ცოლქმარს ეზოში შემოსული ვაჟა ქავთარაძე.

გოდერძი მდივანს ჩაეგება, სახლისკენ წამოუძღვა. მას თანდათანობით უფრო მოსწონდა ეს გარეგნულად ეკლიანი, მაგრამ პირდაპირი და მხნე ახალგაზრდა კაცი, ადამიანებისადმი დამოკიდებულებას სრულიად დაუფარავად და უშიშრად რომ ამჟღავნებდა.

გოდერძი იმ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელთაც პირშიმთქმელი, როხროხა, თამამი მამაკაცი (გინდაც, იგი ცოტა უხეში და ხეპრე ყოფილიყო), უფრო გულწრფელად და გულმართლად მიაჩნიათ, ვიდრე ზრდილი, მშვიდი, თავდაჭერილი ინტელიგენტი. მოკრძალებულობა და მამაკაცური კდემა ხშირად აცდუნებდა ხოლმე ყოფილ მეტივეს.

ეს, ალბათ, დიდი ხნის გარდასულ იმ დროისადმი გაღებული ხარკით გახლდათ, როცა ადამიანები უფრო ჯიქურად, უფრო დაუფარავად, უფრო დაუზოგავად უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ პირუთვნელ აზრს.

— იმ თქვენი სასახლის შემდეგ, პირველ ხანებში, გაგიჭირდებათ აქ ცხოვრება, — ღიმილით უთხრა მდივანმა მალალოს.

— ჯანი და სიამტკბილობა თუ იქნა, კაცი ყველგანაც გასძლებს. — დარბაისლური სიდინჯით წამოიწყო გოდერძიმ,— ანითა ჯობნის იგი ყველა სულიერსა. რაც უნდა მძიმე დღეში იყოს, თუ სული დალხენილი ექნა, ყველაფერს აიტანს. მაგრამ თუ სული უბორგავს, სიხარბე ახელებს, წადილი აგიჟებს, — ვერსადაც ვერ მოისვენებს. ესა, პირადად ჩემს თავზე გამოვცადე და ამიტომ უტყუარია!..

საუბარი მეტად ფილოსოფიურ ხასიათს იღებდა და მდივანმა არ მოისურვა მსჯელობაში ჩაბმულიყო. მან ჯერ სახლს ირგვლივ შემოუარა, მერე კიბეს აუყვა, ოთახები დაათვალიერა, სახურავში წვიმა ხომ არ ატანსო დაინტერესდა.

ბოლოს, ცოლ-ქმარს ფრთხილად შეაპარა: „თუ მოისურვებთ, ამის სანაცვლოდ კომუნალურ სახლში ორ ოთახიან ბინას გამოგიყოფთო", და როცა მტკიცე უარი მიიღო, სახლის შესაკეთებელი მასალის გამოყოფა დაპირდა, ნივთებისა და ავეჯის გადმოსაზიდად საბარგო მანქანის გამოგზავნა აღუთქვა. შემდეგ, კი ისე მოახერხა, რომ წასვლის წინ გოდერძი გაინაპირა.

— პატივცემულო გოდერძი, — მდივნის ხმა უჩვეულოდ თავაზიანად ჟღერდა, იგი მოსაუბრეს სათნოდ შესცქეროდა, — ჩვენ ვიფიქრეთ, რომ თქვენისთანა კაცმა, მთელი სიცოცხლე შრომაში ჩაბმულმა, შესაძლოა პენსიაზე თავი გარიყულად იგრძნოს, მით უმეტეს, ჯერ კიდევ ჯანი მოგდევთ. ამიტომ გადავწყვიტეთ ერთი საქმე შემოგთავაზოთ...

გოდერძიმ ისე შეხედა ამ შავთვალწარბა ახალგაზრდა კაცს, თითქოს, მდივანს ხელმეორედ დაებრუნებინოს მისთვის ერთხელ წართმეული სიცოცხლე.

— თუ მაგ სიკეთეს მიზამთ და კიდევ მამსახურებთ.. — ხელები გაშალა ზენკლიშვილმა, — არ შეგარცხვენთ, სახლში ჯდომა მიმძიმს...

— ქვემო ჭალის მახლობლად ხეხილის სანერგის დაარსებას ვაპირებთ. გვინდა, ამ საქმეს გამოცდილი და შრომისმოყვარე კაცი ვუსარდლოთ. ყველანი მადლიერი და-

გირჩევით, სანერგის ხელმძღვანელობას თუ ითავებთ...

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! — რიხიანად დაიბუბუნა გოდერძიმ და წელში გასწორდა.

— მადლობთ. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ პასუხს სწორედ ასეთს გვეტყოდით. მაგრამ საქმე საშურია. აქ დაბინავება - მოწყობისათვის ალბათ, ერთ კვირას იმყოფინებთ, შემდეგ კვირას კი რაიკომში გელით, — მდივანმა გოდერძის ხელი მაგრად ჩამოართვა, თან თავისი ძუნწი, მაგრამ ხალასი ღიმილი შეაფრქვია...

მალალო გაოცებული იყო: თითქოს ყველაფერი დათმეს, სხვას გადასცეს, მაგრამ გადასაზიდად მაინც იმდენი ბარგი-ბარხანა დაუგროვდათ, რომ ავტობაზიდან გამოგზავნილ დიდ სატვირთო მანქანას ხუთი გზობა დასჭირდა, ვიდრე ზენკლიაანთ ნივთებს, ავეჯის ნაწილს, ლოგინ-ქვეშაგებს და სხვა ხარახურას ძველ სახლში გადაზიდავდა.

რა არ იყო აქ: გერმის ლეიბები, ყურთუკის ბალიშები, ყანაოზის საბნები, დიბასაფარებლები, აბრაშალები, ხავერდის მუთაქები, ჯეჯიმები, ხალიჩები, ორხოვები; მალალოს ახალგაზრდობის დროინდელი ბლონდის ჩიქილები, დარაიები, სიასამურის ორი ბეწვი, ძველებური გალიბანდი; მალალოს და გოდერძის საზამთრო თუ საგაზაფხულო პალტოები, კაბები, კოსტუმები, ქურქები; მალხაზისათვის შემონახული საკოსტუმეები, მაცივარი, ქილები, ბოთლები, დოქები, სურები, ყანწები, აზარფეშები, კულები; სარკეები, საკერი და სარეცხი მანქანები, ახალი თუ ნახმარი ფეხსაცმელები, გოდერძის ნაბადი, ტაშტები ტაფები, საცრები, კარადები, ნაგიდები, ქვაბები, როდინები, ხორცის საკეპი მანქანები; საარაყე ქვაბი თავის ზარფუშით, თუშფალანგები, ტოლჩები; გოდერძის სახელოსნო იარაღები: გაზები, ჩაქუჩები, სალაშინები, ხელეჩოები ცულები, წალდები. — ყველაფერი ის, რასაც მუყაითი ქართველი გლეხკაცი და ოჯახისმოყვარული დიასახლისი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ეძებენ, ყიდულობენ, აგროვებენ, ინახავენ, ზედ დაჰკანკალებენ.

მალალოს ძველი ქალის სიხარბე სჭირდა, დარეჯანისაგან გამონაყოლი: გაუთავებლად აგროვებდა სალოგინე თეთრეულს: — ბალიშის საურებს, ზეწრებს, საბნის ჩარსავებს. ახსოვდა დედის შეგონება: „ქალმა იმდენი უნდა იმეცადინოს, ორ დუჟინზე ნაკლები თეთრეული არა ჰქონდესო“. მალალომ ორი ოთხზე აიყვანა, მაგრამ მაინც ეცოტავებოდა.

ბარგის გადმოზიდვაზე მალალომ ქმარს მაშველი არააყვანინა; არ უნდოდა საოჯახო ქონებაში ვინმე ჩაეხედვინებინა. ყველაფრის დაფარვისა და დასაიდუმლოების ჩვევა ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი.

მაგრამ ამან მაინც ვერ უშველა: მეზობლები ისე საგულდაგულოდ ზვერავდნენ და ადევნებდნენ თვალყურს ზენკლიაანთ გადმოსახლებას, რომ არც ერთი წვრილმანი არ გამოჰპარვიათ.

გოდერძის ახალი სახლიდან ძველ სამოსახლომდე კარგა ბლომად მანძილი იყო და მთელ ამ გზაზე ფარული ჭვრეტა წამითაც არ შეწყვეტილა. უთვალთვალებდნენ ყოველი ფანჯრიდან, კარის ღრიჭოდან, ფარდის უკნიდან, ღობის გადაღმიდან, ზოგჯერ კი სრულიად აშკარად და დაუფარავად.

ქართლის სოფელმა საოცარი ჭვრეტა იცის. ალბათ, ყიზილბაშობიდან მომდინარე: ისე ოსტატურად, ისე ფარულად დაგზვერავენ, ვერც კი გაიგებ. რძლები, დედამთილები, ძალუები, მამიდები, მულები, მახლისწულები თვალთვალის ისეთ საიდუმლო ქსელსა ქმნიან, შეუტყობლად ბუზის გაფრენაც არ დარჩებათ.

— დედა, დედა, რა უხვეჭიათ, რა უგროვებიათ, რამდენი რამა ჰქონიათ! ვერ იქნა და ვერ გადმოზიდეს. ბარე ათი მანქანა ზიდავს და ზიდავს...

— რას ამბობ ქალო, რის ათი, რა ათი? რატომ ოცი არ იქნებოდა?

— ჰო, ჰო, ჰო, თქვენი ჭირიმეთ, რამდენი უნდა ჰქონებოდა, რომა სახელმწიფოსთვისაც ამდენი დაეტოვებინა და კიდევ ამდენი დარჩენოდა!

— იჰ, ქა, ნეტავი რა გეხარბებათ, ცარიელი ქვაბები და საცრებიღა დარჩენიათ.

— უყურე, უყურე, აქანდაზსა და ზედადგარსაც რომ არ ელევა! აი, ჩასკდა შენი თავი, ნეტავი რა ჭირათ უნდა?

— ნუ იცით, ქალებო, აგეთი ლაპარაკი, თქვენ რომ გქონოდათ მუქთად შეელეოდით?

— ჩვენა და ეგენი ერთნი ვართ? რაც მაგათა აქვთ, იმის მეათედი მომცა და ბედნიერი ვიქნები.

— შენ, რა გგონია, ყოველ ოჯახს თავისი ქონი მოსდგამს. აბა, შენ აიყარე, ნახავ რომ ოცი მანქანაც არ გეყოფა.

— მე რათ უნდა ავიყარო, ჩემი მტერი და დუშმანი აყრილიყოს...

საღამოჟამს ზენკლიაანთ პატარა სახლი საწყობს დაემსგავსა: გროვებსა და ხროვებში გზას ვეღარ აგნებდნენ. აღარც ის გაეგებოდათ სად რა ელაგათ. მხოლოდ მეორე დღის დამლევს შესძლეს ნივთების დახარისხება. რაც ყოველდღიურობისათვის არა სჭირდებოდათ, ერთ ოთახში დაალაგეს, მეორე კი საცხოვრებლად მოიწყვეს.

და წაეწყვნენ ერთმანეთს დღეები, ახალი კუთხე-კუნჭულის გამართვაზე ზრუნვით აღსავსენი...

პირველი ღამე მძიმეზე-მძიმე გამოდგა ცოლ-ქმრისათვის. ვერ იქნა და ვერც ერთმა ვერ მოხუჭა თვალი.

ძველი ზმანებები, მოგონებათა ნაგლეჯები, ამბავთა კორიანტელი, ერთ გაუთავებელ ჯაგრის საბელად დაგრეხილი, ცოლსაც და ქმარსაც დილამდე სტანჯავდა.

სიზმრად ქცეულმა წარსულმა ისე გათანგა, ისე გაკოჭა, ისე დაიმონა ერთიცა და მეორეც, რომ დრო-ჟამი აერიათ, დღევანდელი გუშინდელს გადაეწნა, ცხადი ფიქრს გადაეჯაჭვა, ოცნებამ სადავე წაართვა და...

...პატარა გოდერძი დიდედა სიდონიას გაღმა მინდვრებში კაჭაჭის საკრეფად გაუყვანია. გვიანი შემოდგომაა. ლეგა ღრუბლებს ცა დაუფარავთ. მინდვრებში ქარბორბალა დაჰქრის. შეშა სულ ცოტა ჩამოზიდეს ტყიდან და უნდა ზამთრისათვის შემოინახონ. ახლა კი, სანამ თოვლს დადებს, კაჭაჭით მიდიან იოლად. ორივეს ჯვალოს ტომარა წამოუკიდია. დროდადრო ტომარას ჩაწოილებენ, მოგროვებულ კაჭაჭს შიგ ჩაყრიან და ზურგწახრილები ისევ წინ მიიწევენ. დასალიერზე შავ ღრუბლებს ელვა სერავს, მაგრამ ხმა არ ისმის. ალბათ, ჭექა-ქუხილი კავკასიონის ორწოხებში ჩაინთქა. უეცრად, საშინელი გრუხუნი დედამიწასა სძრავს. ელვა ზღაპრულ გველივით სულ ახლოს იკლაკნება და მეხი არე-მარეს აყრუებს. დიდედა პირჯვარს იწერს. მისი შემხედვარე დაფეთებული გოდერძიც გამალებით ლოცულობს. ეს პირველი მეხის დაცემაა ბიჭუნას ხსოვნაში...

...წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში დიდი ხალხმრავლობაა. გალავნის შუაში მაისის ბალახი გაუთიბავთ და საჭიდაო მოედნად უქცევიათ შუაუბნელმა ლადა ქვრივიშვილმა ყველა კოშკელი და გოხელი ფალავანი წააქცია. ჩალისფერ ჩოხაში გამოწყობილი სოსო მაღალაშვილი, ყოველთვის გოხელთა მხარე რომ უჭირავს, ცოფიანივით დარბის, სიბრაზით დორბლებსა ჰყრის, საჭიდაოდ ვარგის ბიჭებს ათვალიერებს. მზერა გოდერძიზე შეაჩერა.— ეი, შენა, წინ წამოდექ! — ბრძანებს მაღალაშვილი და გოდერძის დაკვირვებით ათვალიერებს. მხარმკლავებს უსინჯავს, წვივებსა და ბარძაყებზე აკვირდება. — რკინისაგან ჩამოსხმულივითაა ეს მამაძაღლი! ამას თუ ოდნავ მაინც ხერხი ექნა, წაუქცევი ფალავანი დადგება! — აღტაცებით ამბობს სოსო-კნიაზი და გოდერძის წრეში აგდებს.

— თუ არ წაექცევინები, აი, ამ ხანჯალს გაჩუქებ! — თან შავტარა და შავქარქაშა ხანჯალს ჩოხის ჯიბიდან თავს ამოაყოფინებს, გოდერძის ახარბებს.

ქვრივიშვილის რკინის მარწუხისებურმა ხელებმა ჭაბუკ გოდერძის მხარმკლავი დაულურჯა. ლადას ისეთი მიტანება აქვს, ვნებააშლილ ბუღასაც კი დააფრთხობს და გააქცევს. იერიში იერიშზე მოაქვს, ცდილობს თავისი ნაქები შუაკაური გოდერძის გამოსდოს. მარჯვენა ფეხზე ისეთი ცერათითი აქვს, ურმის ბორბალს რომ გამოჰკრას, ფერსოს თავის სოლებიანათ გამოამტვრევს. მაგრამ არც გოდერძია გამოუცდელი. ლადა ოსტატურად მოჰქანცა, მერე კისრულით წამოიღო და თეძოიერით აფართხალებული მოწინააღმდეგე ზურგით მი-

წას გააკრა. მაღალაშვილი ფაფახს მიწაზე ახეთქებს, თან გამაყრუებლად ხარხარებს.

ზურნა საცეკვაოს უკრავს. გამარჯვებული გოდერძი ცეკვით წრეს უვლის... ამ დროს მალალოს თვალებს წააწყდება...

პირველი ელდა. ცეკვაში პირველი გამოთხოვა. პირველი შეხვედრა. პირველი სიყვარული და პირველი პაემანი შავდათუაანთ საბძელთან...

...ახლა კაკოლასთან ის სამახსოვრო შეხვედრა დაუდგა თვალწინ, როცა სოფლის მამასახლისმა ჭაბუკი გოდერძი თავის ბაღში გადაიპატიჟა, გაენდო, ფული ასესხა და ფსონით მეტივეთა არტელში შეაყვანა

...და, აი, მისცურავენ ვეება თეთრი მორებისგან კოხტად შეკრული ტივები ახალღაბიდან მცხეთისაკენ. ორთაყვირთან გოდერძი დგას. მეტივეები ფხიზლობენ. იწყება ყველაზე ძნელი გზა: ქარელთან, ბერიკლდის ვიწროებში შეცურდნენ. ამ ადგილას დედამტკვარს დაცალკევებული ტოტები ერთად შეუკრეფია, შლეგივით მიჭქუხს და ვიწრო კალაპოტში ტივს ისე მიაქანებს, კაცს თავბრუ დაეხვევა.

მარცხნივ, ბრეთის მხრივ, უზარმაზარი ქარაფი აღმართულა და გაშმაგებულ მტკვარს ურბნისის სანახებამდე გაბმულ მთად მიუყვება.

აჩანჩქრებული დინება ტივს სალზე ისვრის. თვალშეუდგამი მოყვითალო ტინი მტკვარს მკერდზე იხუტებს და მარჯვნივ ახევინებს.

ბერიკლდესთან არაერთი ტივი დამსხვრეულა. ამიტომ წინა ორთაყვირთან ბებერი ილა დგას. მართალია ღონე აღარ ერჩის, მაგრამ მრავალ ნაცადი მეტივეა, მტკვარი ზეპირად იცის. როცა წყალდიდობაა და გზა ძნელია, ორთაყვირთან ილა დგება.

— აბა, ბიჭო, დაილოცა შენი მარჯვენა! — უყვირის იგი გოდერძის, — შეგიძახებ თუ არა, რაც შეგეძლება მარჯვნივ მოუსვი, თუ არა და ზედ შევასკდებით... გოდერძი იძაბება, მის დევგმირულ მკლავებს ძარღვები ებერება და საოცარი ღონე ტივს ბერიკლდის შვერილს აცდენს.

მძიმედმსუნთქავი გოდერძი კმაყოფილი იღიმება. ტოტებაკეცილი მარჯვალი აცვია. წელს ზემოდ გაშიშვლებულა. კაშკაშა მზეზე ბრინჯაოსფრად ელვარებს წყლის შხეფებით შესველებული მისი ამირანული სხეული.

— ახლა უფლისციხემდე არა გვიჭირსრა, მერე კარსანთან ცოტას გავიჭირვებთ და მცხეთას თავს დავუკრავთ, — პირჯვარს იწერს ბებერი ილა.

მიწაწაყრილ მორებზე ცეცხლს აჩაღებენ სამხრობა მოვიდა. ტივზე გამობმული გოდორი თევზით ავსილა. ტიკჭორაში ლალისფერი ხიდისთაური ელით, ცოტაც და გოდერძის რაკრაკა ხმა მეტივურის ჰანგებს ისე გამოიყვანს, ისე ააჩუქჩურთმებს, კაცს გრძნობა აგიდუღდება...

...ხადგურის უფროსის თხაც მოელანდა. თანაც ისე მკაფიოდ და ისე ცხოვლად, პირდაპირ ცოცხალივით დაუდგა თვალწინ: საოცრად თეთრი ბალანი დავარცხნილივით ჰკიდია ფერდებზე. რქებიც საოცრად სწორი აქვს. აუჰ, რა გაშმაგებით ეძგერა წვერებცანცარა გოდერძის რგვალ ხერხს და იმავე წამს კისრამდე ორად გაფატრული იქვე უსულოდ დაეცა!

ახე იცის, როცა ცხოვრებას უადგილო ადგილას ურქენ და თვითონვე ციმორივით გაიფატრები... რა წითელი სისხლი ჰქონდა, ან რამდენი გადმოუვიდა! მთელი ტბა დააყენა. გოდერძიც რომ ახე გაფატრო, იმასაც ბევრი სისხლი წამოუვა, ამიტომაც უხდება გაზაფხულობით წურბლების დასმა. წურბლებს მალალო უჭერს. ამ საქმის ნამდვილი ოსტატია. დილაადრიან წავა შუშის დიდი ქილით მღვდლიაანთ ჭაობებში, სქელ ლელიანში ფეხებს ჩაყოფს და ჩახევარ საათში იმდენი წურბელა მოეკიდება, ლამის ქილა აავსონ.

წურბლებმა და სისხლმა უამური ფიქრები მატლებივით აუფუსფუსა და ასლანა თათარი მოაგონა...

ასლანა მისი კბილა ბიჭი იყო.

ერთხელ ნოდარიანთ კალოებზე თბილისიდან ჩამოსულმა მსახიობებმა სცენები გაითამაშეს. გულუბრყვილო სოფლის ბიჭი იყო მაშინ გოდერძი. შელოცვილივით შესცქეროდა ნატო გაბუნია-ცაგარელისა და გიორგი არაგველ-იმზნელის თამაშს. ნატო

სამებელთა რძლის დაი იყო, გიორგი კი ნეზობელი სოფლის, არადეთის, მკვიდრი. საჩება ორთავეს თავიანთ დედულეთად მიაჩნდათ.

გოდერძი თავის თანატოლ ბიჭებთან ერთად კალოს გარეთ შეხვეტილ ბზეზე მოკალათებულა. მუხლებში მოკეცილ ფეხების
სათვის მკლავები შემოუხვევია და ზედ ნიკაპი ჩამოუდია. ამ დროს საიდანღაც ასლანა გაჩნდა. მჭიდროდ მსხდარი ბიჭები გასწი-გამოსწია და მსახიობთა თამაშით მოჯადოებულ გოდერძის გვერდით მიუჯდა.

გოდერძი თვალად და სმენად არის გადაქცეული. მოსულისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მაგრამ გვერდიდან მაინც შეამჩნია, რომ ასლანამ რაღაც მსხვილი ჯოხი აუთამაშა ყურთან. გოდერძი ისეა სანახაობით გართული, რომ ასლანას ოინბაზობისათვის არა სცალია. იგი ისევ მსახიობებს გასცქერის.

ორიოდე წუთის შემდეგ ჯოხი კვლავ აქანავდა მის საფეთქელთან. გულმოსული გოდერძი ასლანასკენ შებრუნდა, რათა აბეზარ ბიჭს თავში ხელი ჩასთხლიშოს, გააჩეროს, მაგრამ მის შემხედვარეს ლამის ძარღვებში სისხლი გაეყინა...! მის საფეთქელთან ასლანას უბიდან წამომართულ ვეებერთელა შავ გველს ენა გამოუყვია, თავს საზარლად ახანხალებს და გოდერძისაკენ იწევს....

გოდერძიმ ერთი მოკლედ შეჰყვირა, ელვისუსწრაფესად წამოიჭრა და ფეთიანივით გვერდზე გახტა.

აქეთ-იქიდან უკმაყოფილების შეძახილები გაისმა: — სსს, თქვე არდასაცალებლებო, — დაუცაცხანეს ბიჭებს.

გოდერძის, გული ჩიტივით უფართხალებს, ასლანას მოჯადოებულივით გასცქერის.

ასლანამ კი გველს ხელისგული ნაზად გადუსვა და მანაც ისევ მის უბეში ჩაჰყო თავი. მორჩილად ჩაიმალა. ისე დამჯერად დამოკლდა და ჩაიკეც-ჩაიწელა, გეგონება საგანგებოდ გახედნილი ყოფილიყო!..

გოდერძის ციებიანივით აკანკალებს. ცხოვრებაში ისე არაფერი ეზიზღება და ისე არაფრისა ეშინიან, როგორც წყლეულისა. მცურავის უბრალო გახსენებაზეც კა-
სისხლი ეყინება. ახლა კი. ეს უსახელო სი-
სასიზღრე, ტივი და ბოროტად დაკლაკნილი, თავისი გლისპი, ლორწოიანი სხეულით ბიჭის შიშველ მკერდს ეხახუნება...

გოდერძი სულით ხორცამდე შესძრა ამ სანახობამ.

იგი ძრწოლით შეჰყურებდა ფერხწორთხმით მჯდომ ასლანას, რომელიც მას დაჟინებით გამოსცქეროდა და მხრების შეუმჩნევი მოძრაობით გველს ხან თავს ამოაყოფინებდა, ხანაც ისევ ჩააყოფინებდა. ერთი ორჯერ გარედან ხელი შეახო და იმ წყეულმაც ისე უცებ გამოჰყო თავი, იმნაირად წამოიმართა ბარე ერთი მკლავის სიგრძეზე, ისე გაიწელა და გაშეშებულმა თავი აქეთ-იქით ისე გადააქნივ-გადმოაქნია, შორიდან მართლაც მსხვილი ჯოხი გეგონებოდა.

წარმოდგენაზე მყოფნი ვერ ხედავდნენ ამ სურათს, რადგან ასლანა მათ უკან იჯდა. ორიოდე მახლობლად მჯდომი ბიჭი კი ეტყობა, დიდიხნის შეჩვეული იყო ამ სეირს და არავითარ ყურადღებას მას აღარ აქცევდა, მთელი გულისყური მსახიობებისკენ ჰქონდათ მიპყრობილი.

გოდერძიმ ვეღარ გაუძლო საშინელების ცქერას და სახლისკენ მოჰკურცხლა. ისე გარბოდა, გეგონება ის წყეული ფეხდაფეხ მისდევდა, მისისინებდა.

ვერც ღამე დაიძინა, იმნაირადვე ტრიალებდა ლოგინში, როგორც ახლა... ისიც მოაგონდა, როგორ დაიმარტოხელა ასლანა თათარი, როცა იგი საქონელს დიდ კოროხში საძოვრად მიერეკებოდა. ასლანა მოხუც სოგრატა ავთანდილაშვილთან ერთად გოხელთა საქონელს მწყემსავდა და ყრუ სოგრატას მეხრედ დაუდიოდა.

გოხაზე, რკინიგზის მიწაყრილის გადაღმა, სესკელაანთ ბაღებთან დაუდარაჯდა გოდერძი, თათრის ბიჭს. ხელში უზარმაზარი შვინდის კომბალი ეჭირა.

ასლანამ შორიდანვე მოჰკრა მას თვალი და ნახირის ბოლოში მიმავალ კამეჩებს ამოეფარა, უნდოდა როგორმე უჩხუბრად გასცლოდა. მაგრამ გოდერძიმ ნახირს თავიდან დაუარა და გზა მოუჭრა.

— დააგდე ეგ სახრე და წელს ზემოდ

გაუშვებდი! — მრისხანედ უბრძანა მან ასლანას.

ასლანა წამით შეყოყმანდა, მაგრამ ბრძანება მაინც შეასრულა.

— ახლა შარვლის ჯიბეები გადმოატრიალე!..

ასლანამ ეს ბრძანებაც უსიტყვოდ შეასრულა.

— ახლა შარვალი ჩაიხადე!..

— არ ჩავიხდი! — გაჯიუტდა ასლანა.

— არ ჩაიხდი და ამ კომბალს ხომ ხედავ? აქვე გაგაფრთხობინებ სულსა!... — გოდერძიმ ხელში კომბალი შეათამაშა.

მუქარამ გაჭრა. ასლანამ შარვალი ჩაიხადა და დედიშობილა დარჩა.

— ახლა ეგ შარვალიცა და ხალათიც ცალცალკე დაბერტყე!..

ასლანამ ორივე ცალცალკე დაბერტყა და ისევ მიწაზე დააგდო.

გოდერძი რომ დარწმუნდა, ასლანას შარვალ-ხალათში გველი არ უდევსო და ვერც მომისვესო, გული მოიცა, თათრის ბიჭს მიუახლოვდა, კომბალი მარცხენა ხელში გადაიტანა, მარჯვენით კი ისეთი ალიყური სტკიცა, ჩასკვნილი ასლანა ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა.

— აქეთ მოდექ! — უბრძანა გოდერძიმ და როცა ცრემლმორეული თავჩაღუნული ბიჭი ხელმეორედ მიუახლოვდა, ახლა მარცხენა ლოყაში გააწნა თავისი ნაქები ალიყური. გოდერძის სილა მუშტზე უარესი იყო. მის შემორტყმას ვერც ერთი თანატოლი ვერ უძლებდა.

— მეტს ნუღარა მცემ და რასაც გინდა შეგისრულებ, — თქვა ბოჩოლა მოზვერივით თავჩაღუნულმა ასლანამ.

— ის წყეული რომ მცემოდა და ებენა, მაშინ რას აპირებდი?

— არ გეცემოდა.

— ვითომ რატომ?

— გახედნილი მყავს.

— იი!!

— ჰო, ალახის მადლმა!

— იცი კია ხედნა?

— ვიცი, თუ გინდა შენც გასწავლი!

— რა ჭირად მინდა! — აღშფოთდა გოდერძი. — არა სტყუი?

— წამომყევი, როცა მოგინდება და გაჩვენებ. აი, გაღმა კუნძულის რიყეში, რამდენიც გინდა, იმდენია. ნახავ როგორ დავიჭერ!

— ვინ გასწავლა ეგ მამაძაღლობა?

— მამაჩემმა. ჩვენს ოჯახში ყველამაც იცის!

მეორე დილით, გოდერძიმ თავისი უბნის ათამდე ბიჭი შეკრიბა და გრძელი ჭოკებით შეიარაღებულებს გაღმა კუნძულისაკენ გაუძღვა.

ასლანა იქ დახვდათ. ტანთ გაეხადა. ქვიშაზე წამოწოლილიყო.

არჩილტოტი ფეხით გასტოპეს და გაღმა კუნძულზე გავიდნენ.

ამ ადგილას მტკვარი სამ ტოტად მოედინებოდა და ორ კუნძულსა ჰქმნიდა — გაღმასა და გამოღმას. გამოღმა კუნძულზე სამებელები რიყის ქვას აგროვებდნენ, ქალაქის სახლებისათვის, შემდეგ კი თავიანთ ურმებით გაჰქონდათ. ახლაც, ნაპირის გასწვრივ, რიყის ქვები შეექუჩებინათ. ოცდაათამდე ყორე დაითვლებოდა.

ასლანა წინ მიდიოდა. ხელში წვნიკი, ...გრამ მოგრძო ჯოხი ეჭირა. უკან, თხუთმეტ-ოცი ნაბიჯის დაშორებით ბიჭები მიჰყვებოდნენ, კეტებ მომარჯვებულები.

ასლანა ერთ-ერთ უფრო მოზრდილ ყორესთან შეჩერდა, ირგვლივ შემოუარა, დაკვირვებით შეათვალიერა და ფეხშიშველა ფეხით ორიოდე ქვა ზედიზედ გადმოაგორა. შემდეგ ხელისგულები შეატყუპა, ტუჩებთან მიიდო და შიგ რაღაც ჩასჩურჩულა. კარგა ხანს იდგა ასე, გაუგებრად ბუტბუტებდა.

და ჰოი, საკვირველებავ!...

ყორის ძირიდან შავად მბზინავმა გველმა თავი გამოჰყო, პირი დააღო, ორკაპიანი ენა გაასანსალა, სისინი ასტეხა და ნელ-ნელა გამოცურდა! უზარმაზარი იყო. რომ დაგეჭირა და თავდაღმა დაგეკიდა, ალბათ პატარა სიმაღლის კაცს გაუტოლდებოდა.

ელდადაცემულმა ბიჭებმა უკან დაიხიეს, უფრო შეჯგუფდნენ, კეტები მაღლა შემართეს.

— მშვიდად, წყნარად, არა ავნოთ რა. მაგას მე მოუვლი! — გააფრთხილა თანატოლები ასლანამ.

გველი შორს როდი გასრიალდა. იქვე, ყორისგან ორიოდე ნაბიჯზე შეჩერდა და თითქმის მთელი სიგრძით გაშლილი გაიტ-ერინა.

ასლანამ ბუტბუტითა და ხამუშ-ხამუში სტვენით ირგვლივ დინჯად შემოუარა. თან ჯოხს მიწაზე მიაფხოჭიალებდა, ქვიშაზე გაწოლილ გველს გარშემო წრეს ავლებდა. იქ სადაც რიყის მაგიერ ქვიშა იყო, ზედ ჯოხის კვალი დააჩნდა.

გველი გვერდზე გასრიალდა, მაგრამ შე-მოხაზულ ადგილს რომ მიადგა, უკან გა-მობრუნდა და ახლა სხვა მიმართულებით გაცურდა. მაგრამ იქაც ისე შედგა, თითქოს ქვიშაზე დამჩნეული ჯოხის კვალი უბრა-ლო ხაზი კი არა, რაღაც გადაულახავი ზღუდე ყოფილიყო.

ამ დროს ასლანამ მეორეჯერ შემოუა-რა ირგვლივ. ეს წრე კიდევ უფრო ვიწრო იყო. გველის მოძრაობამ სისხარტე დაკა-რგა. იგი გაცილებით უფრო შენელებულად მიიკლაკნებოდა და რაღაც გამოუცნობი სიზანტე ემჩნეოდა. ასლანამ მესამედ შე-მოუარა და კიდევ უფრო პატარა წრე შე-მოარტყა. ახლა იგი გველისაგან სულ ორი-სამი ნაბიჯით იქნებოდა დაშორებული. მცურავი გატვრენილი იწვა. იგი მთელი სიგრძით გაშლილიყო და უმოძრაოდ ეგ-დო. მხოლოდ კუდს აქანავებდა ოდნავ. ბი-ჭები შიშით შესცქეროდნენ უზარმაზარ შავ გველს, ასე თვინიერად რომ გაწოლილიყო ქვიშაზე.

ასლანამ ორიოდე ნაბიჯი ფრთხილად გა-დადგა, მერე საოცარი სისხარტით დაიხარა, გველს ელვისუსწრაფესად ყელში სწვდა და ხელი თავს ქვემოთ ჩაავლო.

წყეული საშინლად დაიკლაკნა და თვა-ლის დახამხამებაზე ასლანას მიშველ ხელს რკალებად შემოერტყა. იგი ჯერ გამწარე-ბით იგრიხებოდა, მაგრამ ბიჭი არ დაბნე-ულა, მაღლა შემართულ ხელში გველი უმოძრაოდ ეჭირა და ეტყობოდა, რომ თი-თებს თანდათან უფრო უჭერდა.

ასპიტმა კლაკვნას უკლო. იგი სულ უფ-რო და უფრო ნაკლებად იხლაკნებოდა და ბოლოს, თავის ხელზე შემოხვეული, სუ-ლაც დაწმყნდა, უმოძრაო შეიქნა. ასლა-ნამ იგი სახესთან მიიტანა, თვალებში ჩა-აშტერდა, რაღაც ჩაჰბუტბუტა და ბიჭები-სკენ წამოიდო.

— მანდ გაჩერდი! — შესძახა გოდერ-ძიმ. თანაც კომბალი შემართა. ბიჭებმა ჯოხები მოიმარჯვეს. ასლანა შედგა.

— ახლავე დაახრჩე! — უბრძანა გოდე-რძიმ, — ან ქვა აიღე და თავი დაუჩეჩქ-ვე!..

— არა, მაგას არ ვიზამ! — ჯიუტად გა-აქნია თავი ასლანამ.

— რატომ?

— მერე ლოცვა აღარ გაჭრის. ჯადოწა-მერთმევა. ეგ დიდი ცოდვაა. გინდა წამო-ვიღებ, გინდა გავუშვებ...

— მაშინ მაიცა, ჯერ ჩვენ გავალთ წყა-ლგაღმა და მერე გაუშვი. მაგრამ უფრო ღრმად შედი ვერხვნარში, იქ გაუშვი.

ბიჭები ტოტში შეცვივდნენ და წყლის ღვაფუნით გაღმა გამოსწივს. ასლანა კი კუნძულის სიღრმისკენ წავიდა... შემარ-თულ მკლავზე გარს შემოხვეული გველი ეჭირა...

ხომ უამრავი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ეს სურათი გოდერძის ახლაც თვა-ლწინ უდგას და ასე ჰგონია, თითქოს ის ჰავი ასპიტი ასლანას მკლავს კი არა, მას ჰხვევა და გულმკერდზე ღონივრად შემო-სალტული საშინლად იგრიხება, იკლაკნე-ბა, თან თავისი ორკაპა ენით მარცხენა ძუ-ძუს თავთან ჩხვლეტს...

და მაინც, ძველ სახლში გადმოსვლის შემდეგ, ერთმანეთზე წაწყობილ უძილო ღამეებში გოდერძის ყველაზე ხშირად ფრონტზე მომხდარი ამბავი ელანდებოდა.

ვინ იცის, რამდენი ისეთი შემთხვევა მოაგონდა, რომელიც სამუდამოდ მივიწყე-ბული ეგონა და არც კი წარმოედგინა, ოდესმე თუ გაახსენდებოდა, ანდა ასე ცოცხლად თუ დაუდგებოდა თვალწინ.

განსაკუთრებით ხშირად აგონდებოდა ორმოცდაერთი წლის ოცდახუთი დეკემბ-რის სუსხიანი ღამე, როცა აუტანელ ყინვა-ვასა და თოვში ტამანიდან გადასხმულმა ქართველმა მედესანტეებმა ქერჩის სრუტე გადასცურეს, გერმანელთა გააფთრებული წინააღმდეგობა გადალახეს და ქერჩის ნა-ხევარკუნძულზე პლაცდარმი აიღეს.

იმ ღამეს ზღვა საშინლად ღელავდა და

პატარა ბუქსირმა, რომელზედაც გოდერძის დანაყოფი იმყოფებოდა, ძლივს მიაღწია ქერჩის მიწამდე. კამიშ-ბურუნის რაიონში სისხლისმღვრელ ბრძოლების შემდეგ, გოდერძის ბატალიონი, სხვა ნაწილებთან ერთად, იერიშზე გადავიდა და სოფელი ალექსანდროვკა აიღო.

გუშინდელივით ახსოვს, როგორ მიუახლოვდნენ სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს...

დილის ბინდ-ბუნდში რაღაც შენობები მოჩანდა. იერიში საარტილერიო მომზადების გარეშე დაიწყო და გოდერძი თავის ოცეულის სხვა მეომრებთან ერთად, წელში მოხრილი, მოკლე-მოკლე გადარბენებით ამ შენობებს უახლოვდებოდა.

ალექსანდროვკას მისასვლელთან გერმანელებს სოფლის შემომსალტავი ღრმა სანგარი გაეთხარათ და იქიდან ავტომატების ცეცხლს მოიერიშეებს უშენდნენ.

— ნეტავი, იქამდე მიმაღწევინა. — ნატრობდა გოდერძი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გამოსროლილი ტყვიების საპირისპიროდ მირბოდა. მას და მის მეგობრებს გეზი იქით ეჭირათ, საიდანაც ცეცხლის ენები გულისშემძრავი კაკანით მათკენ იწვერებოდნენ.

როგორც იქნა, მიაღწიეს იმ წყეულ სანგარს. გზა და გზა კი მრავალი დაეცა. ხან მარჯვნივ ეხეთქებოდნენ დამზრალ მიწას ხან მარცხნივ, მაგრამ დაუზიანებლები მაინც წინ გარბოდნენ. ყველას ახსოვდა მეთაურის მკაცრი შეგონება: „არ შედრკეთ, არ შეჩერდეთ, — ეს უფრო მომაკვდინებელი იქნება, დაჭრილებს სხვები აღმოუჩენენ დახმარებასო".

აი, თავის მეგობარ სერჟანტ იპოლიტე გვალიასთან ერთად გოდერძი მტრის სანგარში ჩახტა. სანგარი გრძელი იყო, იგი მხარმარცხნივ და მხარმარჯვნივაც მიუყვებოდა. მასში უკვე მიდიოდა ხელჩართული ბრძოლა...

— ნუ შეყოვნდებით, წინ! — იყვირა სერჟანტმა გვალიამ და გოდერძიც განივი სანგრიდან მტრის მხრისაკენ გათხრილ გრძივ სანგარს სირბილით მიჰყვა. რაღაც ყუთებს გადაახტა და როცა ერთხელ კიდევ მოუხვია, დაინახა, მისკენ რამდენიმე გერმანელი მორბოდა... წინას ცალი ხელით ავტომატი მაღლა შეემართა და ნახევრად თავშებრუნებული ამხანაგებს რაღაცას უყვიროდა.

— აუჰ, — თავისდა უნებურად აღმოხდა გოდერძის და სანამ გერმანელი მისკენ შემოტრიალდებოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხიშტი შიგ ფერდში აძგერა... წინ რომ გაიხედა, დანარჩენი გერმანელები აღარა ჩანდნენ, ეტყობა, საპირისპიროდ წამოსული ჩვენი მებრძოლების დანახვაზე სხვა სანგარში გადაუხვიეს, ხელჩართულ ბრძოლას თავი აარიდეს.

აბა, რა დიდი დრო ხიშტის შეყრას უნდა, მაგრამ გერმანელის ფერდში ხიშტის ძგერება გოდერძიმ ისე მძაფრად შეიგრძნო, გეგონება იმ ხიშტმა ცოცხალ სხეულში კილომეტრიანი გზა განვლო და მისი ყოველი გოჯით გადაადგილებაც კი ისე ჩაებეჭდა გონებაში, გეგონება, ხიშტი თვით მას ერჭობოდა... ღონივრად დაძგერებულ ხიშტს ჯერ რაღაც ძვლიანი შეხვდა. ის ძვალი დაიდრიკა თუ განზე გაიწია და ფოლადი ოდნავ აირეკლა, მაგრამ გზა მაინც მისცა. მერე ხიშტმა რბილი ხორცი გაიარა და კვლავ რაღაც მაგარს წააწყდა. გოდერძის არ ესმოდა ხიშტის სხეულში შერჭობის ხმა, მაგრამ შაშხანის კონდახის აკანკალებაზე შეატყო, რომ ხიშტმა იმ რაღაც მაგარს ხრაჭა-ხრუჭი თუ ჯახანი გააღებინა, მერე კი სადღაც გარეთ გამოჰყო თავი...

— „კაცი გავხვრიტე", — გაუელვა გონებაში და ხიშტი სასწრაფოდ უკან გამოაძრო.

გერმანელი ისე ჩაიკეცა, ისე ჩაიფუშა, როგორც კუთხეში მიგდებული სველი ნაბადი.

ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, ალბათ წამიც არ დასჭირვებია, მაგრამ გონება დროზე უფრო მალი ყოფილა და ეს მყისიერი ამბავი გოდერძიმ ისე აღიქვა, ისე განიცადა, თითქოს მისი ხიშტი მთელი ერთი საათის განმავლობაში ნელ-ნელა ერჭობოდა იმ უბედურ გერმანელს.

ხიშტის ძგერება კი კარგად ახსოვდა, მაგრამ მომდევნო საათები ამას რომ მოჰყვა, თითქოს ერთ წამად დაიკეცნენ, ერთ

თვალისდახამხამებად შეიკუმშნენ. ახსოვდა როგორ გაირბინა გერმანელთა გრძელი სანგარი და აქეთ-იქიდან შემოერთებულ მებრძოლებს მიჰყვა. ყველანი წინ გარბოდნენ და დრო და დრო, როცა სროლა ძალზე გახშირდებოდა, გაქანებულები მიწას ეტყეპებოდნენ. მერე მიფოფხავდნენ, მერე ისევ ფეხზე დგებოდნენ და ისევ წინ გარბოდნენ. პირველსავე გზაჯვარედინზე სახლს ამოეფარნენ და სანამ ჩასაფრებულ გერმანელთა ტყვიამფრქვევი ხელყუმბარებით არ ჩააჩუმეს, წინ ვერ წაიწიეს.

— აბა, ბიჭო, სინჯე შენი ღონე, ეგება მიუწვიო. — უთხრა სახეანთებულმა ანტონა ჩიკვაიძემ და თავისი ხელყუმბარა გოდერძის გაუწოდა.

გოდერძიმ რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოიქნია ყუმბარა და, მართლაც, იმ სასახლემდე მიუწვია, რომლის ფანჯარებიდან ტყვიამფრქვევი ცეცხლს დორბლებად ჰყრიდა. მაშინ სხვებმაც გაუწოდეს რიგრიგობით ყუმბარები დევკაცს და გოდერძის ნაქებმა ღონემ ხუთი თუ ექვსი ყუმბარა ისე გასტყორცნა, ალბათ, იქამდე ნაღმსატყორცნიც ვერ მიუწევდა. უკანასკნელი ყუმბარა აფეთქდა თუ არა, მებრძოლებმა ყიჟინი დასცხეს. იერიში ისევ გაგრძელდა...

მესამე დღეს დივიზიის მეთაურმა ძაპახიძემ და კომისარმა მუსერიძემ გოდერძი ზენკლიშვილს გულზე მედალი „მამაცობისთვის“ მიაბნიეს და ვაჟკაცობისათვის მადლობა უთხრეს.

კიდევ უფრო ხშირად იგონებდა გოდერძი ორმოცდაორი წლის მაისს, როცა აკმონაისთან მდგარ 224-ე ქართულ დივიზიას მეზობლები შემოეცალნენ და მარტომარტო დარჩენილს იმ შენაერთთა უკანდახევა უნდა დაეცვა, რომლებიც სარდლობის მითითებით იხევდნენ. 12 მაისი ჯოჯოხეთად იქცა: ფაშისტების სატანკო შენაერთი იერიშზე გადმოვიდა და ბრძოლებით დასუსტებული ქართული დივიზიის განადგურება განიზრახა.

ასეულს, რომელშიც გოდერძი მოხვდა, სულ ორად-ორი ავტომატი გამოუყვეს. ასმეთაურმა ერთი მათგანი გოდერძის გადასცა. პირველ ხანებში გოდერძის გაუჭირდა შეჩვეულ შაშხანის მაგიერ ავტომატიდან სროლა, მაგრამ მალე შეეჩვია და, რომ იგი შაშხანაზე უკეთესი იყო, ამაშიც მალე დარწმუნდა.

გოდერძის ოცეულის მებრძოლები სანგრებში ისხდნენ, როცა მტრის ტანკები შემაზრზენი გრუხუნით იერიშზე წამოვიდნენ. მებრძოლებს ყუმბარების გარდა ტანკსაწინააღმდეგო სითხით სავსე ბოთლებიც დაურიგეს. გიჟურად გამოქანებული მტრის ტანკი გოდერძის სანგარზე ამოიჭრა და ბუღრაობა დაიწყო, მებრძოლების სანგარში ცოცხლად ჩამარხვა სურდა. შავად გამურული თეთრჯვრიანი ტანკი თავისი ღერძის ირგვლივ რამდენჯერმე შემოტრიალდა და განიერი მუხლუხოებით სანგრის ბრუსტვერი გადაასწორა.

ტანკის სანგარზე შემოვარდნისთანავე გოდერძი და რამდენიმე მებრძოლი სანგარს სირბილით გაუყვნენ და ათიოდე მეტრით რომ დასცილდნენ, მობუღრავე ტანკს ბოთლები ესროლეს. მოხდა საოცრება! ტანკი ცეცხლის ალში გაეხვია. იგი ჯერ წინსვლას შეეცადა, მაგრამ ეტყობა ცეცხლსა და ბოლში გზა ვერ გაიკვლია. სითხემ კი ტანკშიაც შეაღწია და შიგნით ხანძარი გააჩინა. ტანკი შედგა, ადგილზე ათუხთუხდა და მისი ქვედა სათადარიგო ხვრელიდან ორი ტანკისტი ფაცი-ფუცით გამოძვრა. აი, მაშინ დააფასა გოდერძიმ ახალი ავტომატი: მიწაზე გართხმულთ ცეცხლის ჯერი დააყარა და თვალნათლივ დაინახა როგორ მოიკრუნჩხნენ, როგორ გაშეშდნენ მისი ტყვიებით დაცხრილული გერმანელი ტანკისტები.

თითქოსდა როგორ უნდა ეგრძნო ავტომატიდან გასროლილი ტყვიებით მტრის სხეულის განგმირვა, მაგრამ ყოველი ჯერის მიზანში მოხვედრისას ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ადამიანებს გაფრენილ ტყვიას კი არ ახვედრებდა, არამედ მკერდში დანას ურჭობდა და ხედავდა როგორ ეფლობოდა, როგორ თანდათან შედიოდა ფოლადი ქერათმიან მამაკაცთა სხეულში...

და ახლა, როცა თვალებდაჭყეტილი ლოგინზე იწვა, ხან ასლანას ხელზე შემოხვეული გველი ელანდებოდა, ხან ხიშტზე წამოგებული გერმანელი, ხანაც ის ორი

ტანკისტი, ათიოდე ნაბიჯიდან ავტომატის ჯერით რომ დაცხრილა...

მერე ფრონტიდან დაბრუნების პირველი დღე მოაგონდა, როცა გვერდით მჯდომმა პატარა მალხაზმა მკლავზე ხელი წაატანა და ჯიქურად ჰკითხა:

— „მამი, შენ რა, ცუდად ომობდი?

— ცუდად რატომ ვომობდი, ბიჭო?

— მაშ, რატომ მოგცეს მხოლოდ ერთი ორდენი?... ზოგსა კიდევა, გული სულ მოჭედილი აქვს"...

საკვირველი ის არის, რომ მერმინდელი ამბები გოდერძის ან აღარ აგონდება, ანდა მეტად მქრალად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უდგება თვალწინ. შემდეგდროინდელის მეხსიერებაში აღდგენას ცეცხლივით უფრთხის. ცდილობს აღარ იფიქროს მაზე. იცის, რომ სიამოვნების მაგივრად ტკივილს აგრძნობინებს. ამიტომაც გაურბის გულდაგულ...

ასე მიჰყვნენ ერთმანეთს დღეები სიზმარეული ხატებით აღსავსენი, როცა ზენკლიშვილი წარსულში უფრო მეტ სიამეს პოულობდა და მისი გახსენებაც უფრო ახალისებდა, ვიდრე დღევანდელობა...

მალალომ ინდენი მაინც იძალა, ეზო გადააბარვინა, ბოსტანი გამართა და რაც მათ პატარა ოჯახს სჭირდებოდა, ყველაფერი დათესა. მართალია, ბოსტნეული ნაგვიანები იყო, მაგრამ სულ არარაობას მაინც ესა სჯობდა. — აბა, ერთი კონა ქინძისთვის კარდაკარ ხომ არ ვივლიო, — თავს იმართლებდა შავთდათუაანთ ქალი და თავის პატარა კვლებს ყოველ საღამოს გულმოდგინედ რწყავდა.

ძველ სახლში გადმობარგების შემდეგ გოდერძისაც გაახსენდა, რომ უწინ, ზოგიერთი საოჯახო საქმე ეხერხებოდა; ცოტა-ცოტა კალატოზობაც შეეძლო, დურგლობაც, ზეინკლობაც. როცა ვითარებამ მოითხოვა, აღმოჩნდა, რომ, არათუ არც ერთი ამ ხელობათაგანი არ დავიწყებია, არამედ რისიმე კეთება სიამოვნებასაც კი გვრიდა.

ყოველივე ამან ღრმად ჩააფიქრა ზენკლიშვილი. მართლაც, აბა, რას აკეთებდა აქამდე? მივიდოდა „ლესსტროიტორგის" კანტორაში თუ აგურის ქარხანაში და ან სავარძელში იჯდა, ან საწარმოს ირგვლივ უვლიდა, ანდა თათბირებს ესწრებოდა და მასალებზე დარბოდა. ფიზიკურ შრომას სრულიად განერიდა და აგერ რამდენი წელია უბრალო ჩაქუჩიც კი არა სჭერია ხელში.

თუ სახლში რამე იყო გასაკეთებელი, მაშინვე საუკეთესო ხელოსანთან კაცს აფრენდა და ისინიც, სირბილით მოვარდნილები, სულ თვალებში შესციცინებდნენ. ლურსმანი, უბრალო ლურსმანიც რომ ყოფილიყო კედელში ჩასაჭედებელი, იმისთვისაც კი ხელოსანი მოჰყავდა! შენი ჭირიმე, ფული არა ჰქონდა, ოსტატის გასასტუმრებელი!!

ერთადერთი, რასაც სხვის დაუხმარებლად აკეთებდა, ღვინის დაყენება იყო. თავის ნაქები თავკვერისათვის ყურძნის დაწურვას, ქვევრებში ჩასხმას, გადაღება-გადმოღებას, — არავის არ ანდობდა.

ახლა კი ყველაფერს თვითონ აუდიოდა, და, წარმოიდგინეთ, ეს გარემოება ახარებდა კიდეც!

წინა ოთახისათვის შპალერი იყიდა და მალალოს დახმარებით კედლებზე ისე მშვენივრადააკრა, კაცს ნამდვილი ოსტატის ნახელავი ეგონებოდა. მერე სახლზე მოშენებული სამზარეულოს გადაკეთება დაიწყო, ჭერი აუმაღლა, შიფერით გადახურა. ფანჯარაც გამოუჭრა, რადგან გაზის ინსპექტორი გაზქურის დადგმის უფლებას არ აძლევდა, „ვენტილაცია საკმარისი არ არისო".

— „ჰაი, დედასა, ძველი ძალა მქონოდა, ვნახავდი როგორ იუარებდა". — ფიქრობდა გოდერძი და ადამიანების მისადმი დამოკიდებულების შეცვლა, არაიმდენად აბოროტებდა და აღიზიანებდა, რამდენადაც ინტერესს უღვიძებდა და რაღაც დამცინავ გრძნობას უჩენდა.

საქმე, მართლაც უებარი წამალი გამოდგა გულიდან დარდის გადასაყრელად და ცოლიც, ქმარიც განუწყვეტლივ ფუსფუსებდა, გამუდმებით რაღაცას საქმიანობდა, თან ისეთი მოწადინებითა და ხალისით შრომობდნენ, გეგონება, ორივენი ბავშვები ყოფილიყვნენ და მთელი ცხოვრება ჯერ კიდევ წინ ედოთ.

იმ კვირას, რომელიც მდივანმა ოჯახში

ყოფნისა და შინაური საქმეების მოსაწესრიგებლად მისცა, გოდერძის წამითაც არ ჩაუმუხლავს. პირველ რიგში, სახურავის გამოცვლა და ღია აივნის შუშაბანდად გადაკეთება გადაწყვიტა. მართალია, ამ სამუშაოს ერთ კვირაში ვერ ნოათავებდა, მაგრამ მთავარი იყო საქმის დაწყება, თორემ ზოგიერთი რამის დამთავრებას სამსახურიდან დაბრუნების შემდეგაც მოახერხებდა.

ერთ ნშვენიერ დღეს მასალების შესაძენად თავის ყოფილ ბაზას მიადგა.

ყველაფერი ეუცხოვა. დიდი აბრა ჩამოეხსნათ, კანტორის შენობა ყვითლად შეეთხუპნათ, თანამშრომლები სულ ახლები აეყვანათ, თვით ბაზა კი მთლად დაცარიელებულიყო.

ახალმა დირექტორმა ლოყებღაჟღაჟა კაცმა იცნო გოდერძი. თვითონ მივიდა მასთან, სალამი მისცა, მოიკითხა. როცა გოდერძის თხოვნა მოისმინა, — ცოტაოდენი აგური, ცემენტი, კრამიტი და ხე-ტყის მასალა მინდაო, — მხიარულად გაიცინა:

— ძია გოდერძი, შენა ძველი დრო ხომ არა გგონია, როცა „ლევისა“ და „პრავის“ ერთად იღებდი და აღარ იცოდი, მასალები სად წაგეღო. ახლა მარტო იმას ვიღებ, რაც გეგმით ნიშის და ზოგჯერ იმასაც ვერა. ხე-ტყე კი აი, აქ აწყვია. თუ რამ მოგეწონა, მოგიზომავ და წაიღე..

გოდერძიმ ხე-ტყეს თვალი შეავლო და ცხვირი აიბზუა, ასეთ მასალას იგი თავის დროზე საშეშოდ თუ იმეტებდა.

მაშინ ზენკლიშვილი ქსანში ჩავიდა, იქ „დოსტები“ მონახა, ერთი მანქანა კრამიტი და ერთი მანქანა აგური ჩამოიტანა. მერე გორს ესტუმრა. ძველი მეგობრები იქაც მოძებნა და ცოტაოდენი ხის მასალა გაჭირვებით იშოვა. მერე ხელები დაიკარწახა და მუშაობას შეუდგა. ხუროც თვითონ იყო, კალატოზიც.

მეორე კვირის ორშაბათს ახალ სამუშაოზე გამოცხადდა...

სამების დასავლეთით, ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით ყოფილი ვაჭრის, მარაგამოვის ბაღის გვერდით, სანერგისათვის ადგილი გამოეყოთ. რამდენიმე წლის წინ, იქ პატარა საკოლმეურნეო სანერგე ყოფილა, მაგრამ რაღაც მიზეზისა გამო გაუუქმებიათ და ყველაფერი გავერანებულა. ახლა ეს საქმე ხელახლა უნდა დაეწყოთ.

დილაადრიან მისული გოდერძი დიდხანს იდგა მავთულბადით შემოღობილ მოზრდილ ნაკვეთთან, რომლის ერთ ნხარეს რაღაც გამხმარი ნერგები წამოჩრილიყვნენ, ხოლო ბოლოში ახლო-ახლო დარგული პატარა ნაძვები. ნაძვებს კარგად ეხარათ და ახლა სიხშირისა გამო ერთ მთლიან მწვანე კედლად ამართულიყვნენ.

ეს იყო და ეს.

შემოღობილი ნაკვეთის გვერდით, გზის პირას პატარა ქოხი იდგა. გოდერძიმ დიდხანს უარა ქოხს გარშემო, მერე ჟანგიანი ლურსმნით ჟანგიანივე ბოქლომი გააღო და შიგ შევიდა. იქ პაწია მაგიდა, თუნუქის ღუმელი და ორი ფეხმორყეული სკამი დახვდა. მაგიდაზე ცარიელი ბოთლი და თევზის კონსერვის ჭუჭყიანი ქილა ეგდო.

შუადღემდე იცადა ზენკლიშვილმა, მაგრამ კაცის ჭაჭანება არა ჩანდა.

მაშინ რაიკომში გადაწყვიტა მისვლა. პირველი მდივნის შეწუხებას მოერიდა და განყოფილების გამგეს მიადგა. გაკვირვებულმა გამგემ დიდხანს აფახულა წამწამები, — აბა, ხალხი საიდან გაგიჩინოო, მაგრამ ბოლოს, მდივანთან მაინც დარეკა და გოდერძის ნათქვამი გადასცა.

ყურმილი მაშინვე მრისხანედ აბუბუნდა და განყოფილების გამგეს სახე ისე დაუმძიმდა, გეგონება, რეზინისა ჰქონდა და და ხელით გაუწელესო...

ყურმილმა ბუტბუტი მალე შეწყვიტა, მაგრამ დაბნეულ გამგეს ჯერ კიდევ დიდხანს ეჭირა იგი ყურთან მიდებული. როცა გონს მოვიდა, გოდერძისთან ბოდიში მოიხადა, მეორე დილითვე ხალხის გაგზავნას შეჰპირდა, თვითონ კი წამოხტა და ქუდმოგლეჯილი სადღაც გავარდა. გოდერძიმ ულვაშებში ჩაიცინა, მიხვდა, რომ ქავთარაძემ გამგეს ცხელი დღე აყარა და სადღაც გაგზავნა.

მართლაც, მეორე დილით გოდერძის სანერგეში მისვლა და იქ საბარგო ავტომანქანის მოგრიალება ერთი იყო. ძარიდან

რიგრიგობით ოთხი მამაკაცი და ორი ქალი გადმოვიდა. მეშვიდე, ახალგაზრდა ჩაუქი კაცი, ასე ოცდაორი-ოცდასამი წლისა, კაბინიდან გადმოხტა. მას საოცრად სანდომიანი სახე ჰქონდა და მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ სწრაფი, ფიცხი, ენერგიული ახალგაზრდა იყო.

გოდერძის იგი პირველივე შეხედვით მოეწონა. ამ ყმაწვილ კაცს წაბლისფერი გრუზა ქოჩორი, ლამაზი ჭროღა თვალები ,ღონიერი მხარმკლავი და ძლიერი კასერი ჰქონდა.

— გამარჯობათ, ძია გოდერძი! აჰა ჩამოგიყვანე ბრიგადა. ასე მითხრეს, კიდევ მოგაშველებთ ხალხსაო. — მხიარულად მიაძახა მან ზენკლიშვილს. — თქვენაო, მუშაობა გაშალეთო და ხალხს კიდევ მოგაშველებთო...

— გამარჯობათ ხალხნო და ჯამაათნო! — მიესალმა გოდერძი მოსულებს. ორმა ნამაკაცმა მისალმებაზე უხალისოდ უპასუხა, დანარჩენები ჩუმად იდგნენ.

— ძალიან ხალხი და ჯამაათი ჩვენ არა ვართ! — ღვარძლიანად თქვა ერთმა, — ხან იქით მიგვაგდებენ საქმეზედა, ხან აქეთ.

— ეგე, ზრდილობითვინა თქვა, თორემა, განა თვითონ კი არ იცის, რომ ჩვენა ჯამაათი არა ვართ. — გამოექომაგა გოდერძის მეორე და ხმადაბლა ჩაიქირქილა.

— სადაური ხარ, ვაჟკაცო? — მიუბრუნდა გოდერძი ახალგაზრდა კაცს, რომელიც, როგორც ყველაფრიდან ჩანდა, დანარჩენებს მოთავეობდა.

— სამებელი ხარატიშვილი გახლავართ, ზემო უბნელი, ზაალიკოს მეძახიან.

— რომლისა ხარ? — დაინტერესდა გოდერძი.

— მამაჩემსა ზურაბი ჰქვიან.

— პაპასა?

— ალექსი.

— რომელი, აი ნალბანდობაც რომ იცოდა?

— დიახ, იმისა.

— შენ გაიხარე. კარგი კაცის ჩამომავალი ყოფილხარ.

გოდერძიმ მოსულები შეათვალიერა, მერე ვინაობა გამოჰკითხა. ქალები სანდრას კოლმეურნეები გამოდგნენ, ორივე ხანში შესული, მაგრამ, ეტყობა, შრომას მიჩვეული და გამრჯე. კაცები ორმოცდაათ წელზე ნაკლებისა არ იქნებოდნენ. სამი მათგანი სუსტი აგებულების ჩანდა, ერთი კი კარგა მოსული ვაჟკაცი იყო.

მძღოლმა და ზაალიკომ მანქანის ძარიდან რამდენიმე ბარი, ორიოდე წერაქვი, თალაყინი, წალდები, ცულები და კიდევ რაღაც იარაღი გადმოიღეს, ქოხში შეიტანეს.

— ყოველი დილის შვიდ საათსა და 30 წუთზე, გარდა შაბათ-კვირისა, ჩემი მანქანა „ზაგოტზერნოს“ საწყობთან დაგელოდებათ, თქვენს აქ მოსაყვანად. გთხოვთ არ მალოდინოთ, ხვალ კი აგრონომსაც მოგიყვანთ. — მძღოლმა მანქანა დაქოქა და სამებისაკენ გააქანა.

ტრიალ მინდორში რვა ერთმანეთს გაუცნობი ადამიანი დარჩა.

ასე უმწეოდ გოდერძის თავი ჯერ არ უგრძვნია.

არ იცოდა, რა ეღონა, საიდან დაეწყო, ან რით დაეწყო. და უცებ, ჯარიდან გამოყოლილი ერთი ჩვევა მოაგონდა:

— ხალხნო, — თქვა გოდერძიმ და როგორც ჩვეულებად ჰქონდა კეფა მოიფხანა, — მოდით, ჯერა ერთმანეთს გავეცნოთ, ვთქვათ ვინა ვართ, სადაურნი ვართ, რანი ვართ. მერე, ამ ჩვენს საქმეზედაც მოვითათბიროთ. საიდან დავიწყოთ, რანაირად დავიწყოთ. თუ შველა და დახმარება გვჭირდება, ისიც მითხარით, რა ვითხოვო. მე, ჩემო მომავალო მეგობრებო, მიწა დიდიხანია არ მიჩიჩქნია. ამიტომ ბევრი არა ვიცი რა, მაგრამ თქვენი იმედი მაქვს, ისევ თქვენ უნდა დამაკვალიანოთ...

ზენკლიშვილის უბრალო სიტყვებმა თითქოს გაალხვო მოსულთა გულებზე შემოსალტული ყინული. მართლაც, დასხდნენ და დიდხანს იმსჯელეს.

გოდერძი გაოცებით შესცქეროდა ამ გარეგნულად უბრალო ხალხს, რომელთაც, სულ რაღაც ორიოდე საათის წინ ასეთი უნდოპლობითა და ქედმაღლობით უთვალთვალებდა.

თურმე, ნუ იტყვი, რამდენი სიბრძნე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილება დაუგროვებია თვითეულ მათგანს!..

არა, არ მოელოდა ზენკლიშვილი ასეთ რამეს! — ეტყობა, ხალხის ცნობასაც კადაეჩვია და ცხოვრებასაც ჩამორჩა. ალბათ „ლესსტროიტორგის“ ბაზასა და აგურის ქარხანაში ჯდომამ უქნა ყველაფერი; შინ მხოლოდ მალალოს და მალხაზს შეჰყურებდა, გარეთ კი ვახტანგ პეტროვიჩსა და მის „თანამებრძოლთ“. აკი თვითონაც გახლდათ ერთი მისი თანამებრძოლთაგანი...

აიღე თუნდაც ეს ზალიკო; როგორი გონებაგახსნილი და თადარიგიანი ვაჟი ყოფილა, საქმის რა სიყვარული და წყურვილი ჰქონია! ეჰ, ასეთი ბიჭი გოდერძას რომ ყოლოდა, მასზე ბედნიერი კაცი, ქვეყანაზე არ მოინახებოდა!..

იმ ნაუცბათევ, მაგრამ სასარგებლო ამხანაგურ თათბირზე ბევრი რამ გადაწყვიტეს. პირველ რიგში ასორმოცდაათამდე ორმო უნდა ამოეღოთ. მარტო ამ საქმეს რამდენიმე დღე დასჭირდებოდა. ნაკელიც უნდა სასწრაფოდ შემოეზიდათ, მუშახელზედაც ახლავე უნდა ეზრუნათ... და როცა გოდერძიმ გადაუდებელი საქმეები აღნუსხა, მათი სიმრავლისაგან თავბრუ დაეხვა... ძველი მეტივის ცხოვრებაში ახალი ჭაპანწყვეტა იწყებოდა.

ისევ ჩვეული ფხა მოიცა ზენკლიშვილმა. სკრაში ჩავიდა, ხეხილის ნერგები გამოსთხოვა და თუმცა უკვე გვიანი გაზაფხული იდგა, მაინც არ შეშინდა, სილაში შენახული ჯერაც გაუფოთლავი ნერგები მანქანაში ბელტებიანად ჩაალაგებინა, სველი ჯვალოები გადააფარა, დიდის ვაი-ვაგლახით ჩამოიტანა და თითქმის ყველა ახარა. მერე, თავისი ერთგული თანაშემწე რაიაღმასკომში იმდენი არბენინა, სანამ გვერდით მდებარე რამდენიმე ჰექტარი ნასვენი მიწა სანერგისათვის არ შემოაერთებინა. იცოდა, რომ, ასე თუ ისე, მალხაზი რაღაცაში მაინც დაეხმარებოდა. მერე, რამდენიმე ასეული მეტრი რკინის მილები იშოვნა, რაიკომის მდივანს ტუმბო გამოსთხოვა, სანერგის უკან მტკვრის ტოტზე პატარა წყალსაქაჩი გაამართვინა და ნერგებს წყალი გაუჩინა. თან უკვირდა, რას ფიქრობდნენ ისინი, ვინც ამ ურწყავ ადგილზე სანერგეს აშენებდაო!..

უქმად წამსაც არა ჰკარგავდა. თუ სხვა რამ საქმე არა ჰქონდა, მუშებს ეხმარებოდა, ორმოებსა თხრიდა, ნერგებს ირგვლივ მიწას უთოხნიდა, ფესვებიანად ამოღებული ახალგაზრდა ნაძვები სხვა ადგილზე გადაჰქონდა, ღობეს ურიგებდა.

თანამშრომლებს შეუყვარდათ ახალი უფროსი, თუმცა იგი სიმკაცრესაც საკმარისს იჩენდა და მომთხოვნიც იყო. ამიტომ არც საქმიანი შეხლა-შემოხლა მოჰკლებია.

ჯიუტი და თავისნათქვამი კაცი იყო გოდერძი. ვერ იტანდა, თუ ვინმე დადგენილ წესს არღვევდა ან დაუდევრობას იჩენდა. ერთხელ როცა სანერგის მუშას, იონათამს, ორმო დაუწუნა და მისი გაღრმავება-გაგანიერება მოსთხოვა, იონათამმა გოდერძის გასაგონად ამხანაგებს გადაულაპარაკა:

— ამასა ჰგონია, თუ გნაცს გაგვაცლის, ამისთვის ჩინ-მედლებს დაჰკიდებენ. ის კი არ იცის, საქმეს ფეხზე წამოაყენებს თუ არა, მაშინვე პანღურს ამოჰკრავენ, როგორც აქამდე უქნეს.

გოდერძიმ ყური მოიყრუა მაგრამ, ნათქვამმა შიგ გულში გაჰკენწლა.

მალალო კი ისევ მარტოობაში აღამებდა დღეებს. რა ექნა? გოდერძი მთელ დროს სანერგეს ანდომებდა, ხოლო მეზობლიაანთ ქალებთან ჭორაობა მალალოს არასოდეს არა ჰყვარებია.

მოთმინების ფიალა რო აევსო, ერთ დილით ქმარს შეუვალად განუცხადა: — გოდო, ასე ცხოვრება მე აღარ შემიძლიან, რამე იღონე, თორემ დარდი გადამიტანს..

დიდხანს შესცქეროდა გოდერძი აჯანყებულ მეუღლეს, დიდხანს აფახულებდა თავის გრძელ წამწამებს და ბოლოს, თითქოს რაღაც აზრს მიაგნოო, უთხრა:

— თუ მარტოობა არ გინდა, წამო სანერგეში იმუშავე. იქა შენთვისაც მოინახება საქმე.. .

— წამოვალ, რატომაც არ წამოვალ! — ცხარედ თქვა მალალომ და დოინჯშემოყრილი ქმარს წინ დაუდგა.

გოდერძის რაღაც თბილი ტალღა შემოეგზნო და სუნთქვა აუხშირა. უნდოდა მალალოს სცემოდა, მკლავებში ჩაებღუჯა,

მაგრამ ყოველივე ამის ნაცვლად ხმაგაბზარულად უთხრა:

— ბატონი ბრძანდები. მაგას რა ემჯობინება. — და ოთახიდან ისეთი მომლხარი გავიდა, თითქოს რაიმე დაემავებინოს. მაგრამ მალალომ კარგად იცოდა, რომ ამ დროს მის ვეებერთელა მამაკაცს გული სიხარულით უთრთოდა.

იმ დღის იქით, გოდერძი და მალალო სამუშაოზე ერთად მიდიოდნენ, მთელ დღეს სანერგეში ატარებდნენ და სახლშიც ერთად ბრუნდებოდნენ. სხვებთან მხარდამხარ შრომამ მალალოც გამოაცოცხლა, ფერზე მოიყვანა. სანერგეში სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა მისი კისკისი.

უჩვეულო ხალისმა, უცნაურად მომძლავრებულმა წადილმა გარჯისამ შრომისუნარი გაუათკეცა გოდერძი ზენკლიშვილს. ისე ეჭიდებოდა საქმეს, როგორც სიჭაბუკეში, როდესაც დედასა და დიდედასთან ერთად დაქცეულ ოჯახს ფეხზე აყენებდა.

თუ სხვებს შაბათ-კვირა უხაროდათ, რათა საკუთარი საქმე წინ წაეწიათ, გოდერძის უქმე დღეებში თითქოს რაღაც აკლდა. აქეთ-იქით დაკარგულივით დაბორიალობდა, ადგილს ვერა პოულობდა და თუმცა საქმე ოჯახშიც გამოულეველი ჰქონდა, გულს ისე ვეღარ უდებდა, როგორც გადმოსახლების პირველ დღეებში.

თუ მაშინ ასე ეგონა, ახლა კი მორჩა, ოჯახის მეტი არც არა მინდა, არც არა მაინტერესებსო, ახლა იმ სანერგეზე დარდი აღარ ასვენებდა და იმ წუთებშიც კი, როცა შინაურ საქმეს აკეთებდა, ისევ მასზე ფიქრობდა.

ამ საქმიან ფუსფუსში მაისიც მიიწურა.

მაისი კი ყველა თვეზე მეტად უყვარდა გოდერძის.

მაისში მოჰკრა პირველად თვალი მალალოს; მაისში დაამარცხა მანამდე წაუქცევი მოჭიდავე ლადა ქვრივიშვილი; მაისში იქორწილა; მაისს ყოველთვის რაღაც სიხარული მოჰქონდა მისთვის.

ახლაც მაისი იდგა სამებაში. მაგრამ ეს მშვენიერი ვარდობის თვე ამჯერად ლამის ისე გაპარულიყო, მისი მათრობელა სიტკბოება ხეირიანად ჯერ არც კი ეგრძნო.

ირგვლივ კი ყველაფერი ზურმუხტისფერად ბზინავდა. გაზაფხულის წვიმებმა სამების შემოგარენიც ააბიბინეს. სიმწვანემ ყველა ფერები შთანთქა და ყველგან მხოლოდ იგი ბატონობდა. თვით სპარსთაველსაც კი ეცვალა თავისი ჟანგიანი სახე. მის ქორფა ძურწაში ყაყაჩოები წითლად ღუოდნენ.

შაბათ დილით ზალიკო გადმოვიდა და გოდერძის შუშაბანდის შეღებვაში დაეხმარა.

ახლა ყველა ძირითადი საქმე მოთავებული ჰქონდათ. სახურავი კრამიტით იყო გადახურული, აივანი შემინული და შეღებილი, სამზარეულო გაფართოებული და კეთილმოწყობილი, ეზოს ახალი მწვანე ღობე ერტყა.

ზალიკომ შუშაბანდის შეღებვა რომ დაამთავრა, გოდერძიმ თავისი ორლულიანი თოფი გამოუტანა და ორივე ხელით გაუწოდა. დარცხვენილმა დიდხანს იუარა, მაგრამ გოდერძიმ ძალით გადაკიდა მხარზე.

— როცა აღარ ვიქნები, ამით მაინც მომიგონებდე. — ღიმილით შესთხოვა გოდერძიმ და დიდხანს გასცქეროდა როგორ მიალაჯებდა თოფგადაკიდებული ზალიკო თავის სახლისკენ.

„რა იქნებოდა ერთი ასეთი კეთილი ბიჭი ღმერთს ჩემთვისაც გამოემეტებინა", — ვინ იცის მერამდენედ გაიფიქრა გოდერძიმ.

„ნამდვილმა ბიჭმა" კი მხოლოდ ერთხელ მოიგონა თავისი დედ-მამა. წინა შაბათს, როცა გოდერძი გორში გაემგზავრა რკინა-კავეულის მაღაზიაში, რაღაც იარაღების საყიდლად, ზენკლიანთ ახლად შეღებილ ჭიშკართან „ვოლგა" მოსრიალდა.

მალალოს მუხლების კანკალი აუვარდა, შვილისა და რძლის შესახვედრად ნაბიჯი ვეღარ წადგა.

მალხაზი უფრო დამშვენებულიყო. ხორცი მოესხა. პატარა ღაბაბი დასდებოდა. უწინდელზე უფრო დინჯად იქცეოდა. თავმომწონე იერი ჰქონდა. დედა გადაჰკოცნა,

მამა მოიკითხა. მერე ჯიბიდან რაღაც ქაღალდები ამოიღო და კითხვას შეუდგა.

რუმბივით დამრგვალებული მარინე, ორსულობის მიუხედავად მარდად მოძრაობდა და განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. ლოყები ჩასცვენოდა, ღაწვები გამობეროდა, სახეზე ჭორფლისნაირი ლაქები ედო. მან დედამთილს ზაფხულის საკაბე მოართვა და ახლა იმას უხსნიდა, როგორ უნდა შეეკერინებინა იგი მალალოს.

მალალოს კი ყელში რაღაც ბალღამივით მწარე გასჩხეროდა და ცრემლებს ძლივს იმაგრებდა. ახალგაზრდები დიდხანს არ დარჩენილან, რაღაც მოიმიზეზეს და როგორც მოულოდნელად ნოვიდნენ, ისევე მოულოდნელად გაჰქრნენ.

— „სულ უცხოებივით, სულ უცხოებივით, ირჯებიან, ისე მოგვინახულეს, გეგონება გადამთიელებს ესტუმრნენ“. — ტირილით იმეორებდა მალალო.

კვირა დილით გოდერძიმ უჩვეულო მოწყენილობა იგრძნო. გული თითქოს რაღაცას მისტიროდა. უხალისოდ ისაუზმა და დარდის გასაქარვებლად მტკვრისკენ გავლა გადაწყვიტა, იქით გაუწია გულმა. „თუ კაი წყალი იქნა, ვიბანავებ კიდეც“ — გაიფიქრა მან.

მშვენიერი დარი იდგა.

დინჯი სიარულით გოხის ბოლოს გამდინარე ფშანეს დაუყვა. მერე ბაბლიძეანთ ბაღებთან რკინიგზის მიწაყრილი გადაიარა და ვრცელ ამწვანებულ მინდორზე გასულმა, ღრმად ამოისუნთქა.

ბებნისის მხარეს ბერიკლდე ამართულიყო. იგი მზით იყო განათებული და ნისი აყალომიწისფერი ციცაბოდ აშვერილი ფლატე ოქროთი მოვარაყებულსა ჰგავდა.

ბერიკლდის უკან აქოჩრილი კოროხი მწვანედ ბზინავდა. კიდევ უფრო შორს, კავკასიონის ლაინის-ფერი მთაგრეხილი გაწოლილიყო. აქა-იქ ამოშვერილი მწვერვალების თეთრი ჩაჩქნები მზეზე ლაპლაპებდნენ.

ამ მინდორზე თავის ყრმობისას ბევრჯერ უთამაშნია გასვლა-ბურთა. მერე ხომ აღარც ბურთისათვის ეცალა და აღარც ლახტისათვის...

და აი, კვლავ ამ მინდორზე დგას, რომელიც მდინარეს შეუვიწროებია, ნაპირების ნელ-ნელი ჩამორღვევით თითქმის გაუნახევრებია. ახლა მტკვარი რკინიგზის გვერდით მიედინება. ძველად, გოდერძის მეტივეობის დროს კი ბერიკლდის ძირში მიშხუოდა. ბერიკლდე მის ხმაურს აძლიერებდა. უწინ საბანაოდ რომ წავიდოდნენ კარგა დიდხანს უნდა ევლოთ მტკვრამდე, რომ მიეღწიათ. ჩანს, ბოლო წლებში წყლის ტალღას ღონივრად უმუშავნია, მიწები წაუღია, სამებას დაახლოვებია და დღეს გაშმაგებით ლოკავს გოხის თიხიან ნაპირებს.

სადაც მტკვარს ფშანე უერთდება, წყალში შეჭრილი ბექი გაჩნდა. ბექს ქვემოთ ონავარი მდინარე (განსაკუთრებით წყალდიდობისას) მარჯვენა ნაპირს მთელი ძალით ეხეთქებოდა და მიწები რომ არ წაეღო, არ გაევერანებინა, ნაგლეჯი ქვებით ვეებერთელა ჯებირი აღუმართეს.

ირაოდ წამოსული მტკვარი ამ ჯებირს ეხეთქებოდა და გეზს იცვლიდა. სწორედ ეს ქვაყრილი იყო გოხის წალეკვისაგან გადამრჩენელი. სამებლებმა ჯებირს, მისი ამგები რუსი ინჟინრის მიბაძვით „დამბა“ შეარქვეს.

დამბასთან მოზრდილი მორევი გაჩნდა. იგი მახრჩობელა ტრიალას წარმოადგენდა. ქვაყრილს მიხეთქებული წყალი ქაფქაფასავით დუღდა, ბუტბუტებდა და გამალებით ბრუნავდა. იქ, სადაც მორევი გამდინარე მტკვარს უერთდებოდა, ორი დინება იქმნებოდა: მტკვრის ტალღები ქვევით მიექანებოდნენ, ხოლო მორევში დატრიალებული წყალი აღმა მიემართებოდა. ამ სხვადასხვა მიმართულების დინებათა შორის მკვეთრი ხაზი ჩანდა და, ვაი, იმ გაუფრთხილებელს, ვინც ამ საზღვრის გადაცურვას მოიწადინებდა, ხოლო ამისათვის საჭირო ღონე და გამოცდილება არ ეყოფოდა. მტკვარი მას ბლაგვი მაკრატელივით შუაზე გაღუნავდა, ფეხებს გადაუხლართავდა და ისე ჩაითრევდა, ისე ჩაიგრეხდა, კაცს ცნობაზე მოუსვლელად დაახრჩობდა.

დამბის ტრიალა სამებელი ჭაბუკების საყვარელი ადგილი იყო. მაგრამ თვით მორევში მხოლოდ თამამი და კარგი მოცურავეები ბედავდნენ შესვლას. დანარჩე-

ნები ცოტა ქვემოთ ბანაობდნენ. ყველაზე მამაცნი კი დამბიდან დავდაყირა ხტებოდნენ, წყალში ღრმად ყვინთავდნენ.

გოდერძი სწორედ ამ მორევს წაადგა თავს. თვითონაც არ იცოდა რამ მოიყვანა აქ. მის ახალგაზრდობაში არც ეს მორევი იყო, არც ჯებირი.

შემაღლო ფოტორის თავზე მდგარი გოდერძი ძველი, ნაცადი მეგობარივით დასცქეროდა მშფოთვარე მდინარეს, რომლისადმი სიყვარული დღესაც არ გაჰქარვებოდა.

კარგა ხანს იდგა ასე. შორსა ჰქროდა მისი ფიქრი, მეტივეობის ნაინანატრ დროს დასტრიალებდა თავს...

როდის როდის გამოერკვა და ტანთ გახდა დაიწყო. ბავშვობიდან შეჩვეული ტალღისათვის მხარულის გაკვრა მოუნდა. ეს ყოველთვის ამშვიდებდა, სიხარულსა ჰგვრიდა.

ჯერ იფიქრა, სულ მთლად გავიხდიო. ასე იყო დაჩვეული ბანაობას. მაგრამ სიშიშვლისა მოერიდა, ახლო-მახლო ადამიანები დალანდა: გაღმა ვერხვნარში ვიღაცეები ტოტებსა ჰკაფავდნენ; ცოტა ქვემოთ, ორი მამაკაცი რიყის ქვებს აგროვებდა; უფრო ქვევით ბავშვები ჟრიამულობდნენ, ეტყობა ანკესებს ამზადებდნენ წყალში ჩასაყრელად. იმათ ქვევით კი შოფრები მანქანებს რეცხავდნენ. ერთი სიტყვით, მტკვრის ნაპირებზე, როგორც ყოველთვის, ხალხმრავლობა იყო.

გოდერძიმ მალალოს შეკერილი მუხლამდე ჩამოგრძელებული ტრუსები გაისწორა (ნალაზიაში მისი ზომისა არ იშოვებოდა), და დამბისაკენ გაემართა. მდინარე მოდიდებულიყო, ცოტა მღვრიეც ჩანდა. ალბათ, სათავეებში წვიმამ მოუსწრო.

ჯებირის ნაგლეჯმა ქვებმა ფეხის ტერფები ატკინეს და გოდერძიც კონცხზე მისვლამდე წყალში გადაეშვა.

წყალი ძალზე ცივი ეჩვენა. მაისში სხვა დროსაც ებანავა, მაგრამ ახლა ნეტისმეტად ცივი იყო. ერთხანს უკან გამობრუნებაც კი მოინდომა, მაგრამ სიჯიუტემ ნება არ მისცა. თავისი ნაქები მხარული გაჰკრა.

გაეხარდა, როცა მკლავის ორიოდე მოსმით მორევი გადასცურა და დედამტკვრის აჩანჩქერებულ ტალღებამდე მიაღწია. ღონე ისევ ერჩოდა, ძველებური სიმსუბუქით მისცურავდა. კიდევ ორიოდე მოსმა და ტალღებმა ქვემოთ გააქანეს. სწორედ ამ დროს საწინააღმდეგო მდინარებამ ფეხები გადაუგრიხა და ბოლომძიმე ჯოხივით შვეულად დააყენა.

— „უყურე ერთი ამას, როგორ განითამამდა“ — შეხუმრებულ მეგობარზე რომ გაიფიქრებენ, ისე გაივლო გულში გოდერძიმ, წყალი ღონივრად გააპო და ისევ მორევში შემოდგაფუნდა.

მერე თითქოს მტკვარს ეჯიბრებაო, კვლავ აჩანჩქერებული ტალღებისკენ გასცურა და ისევ დედამტკვარში აღმოჩნდა. სწრაფი დინებისა და ერთ ადგილზე შეჩერებული მორევის ვერაგულმა საზღვარმა კვლავ მოუნდომა სიღრმეში ჩათრევა, ფეხებიც კვლავ გადაუგრიხა, მაგრამ გოდერძიმ ამჯერადაც იძალა და ტრიალადან გამოაღწია.

— „ხომ გიტირე დედა, გეგონა დავბერდი?“ — სიხარულით გაიფიქრა მან და წყალში ჩაიყურყუმელავა.

— „ღმერთს სამება უყვარს, გოდერძი ზენკლიშვილო“, — გაუელვა გონებაში და მესამედ მიაშურა აჩანჩქერებულ ტალღებს.

ჯერ დინებას მისცა თავი, მერე ისევ მორევში შემოცურა. ტრიალამ ფეხები გადაუგრიხა მაგრამ გოდერძიმ კვლავ მოიქნია თავისი ვეებერთელა მკლავი და... ძუძუს ქვემოთ გონებისდამაბნელებელი, მშანთავი ტკივილი იგრძნო. აქნეული ხელი მოჭრილი მანეულივით დაუვარდა, სხეული ერთბაშად მოუდუნდა, განძრევა აღარ შეეძლო. იმავე წამს თითქოს ბეჭის ქვემოთაც ჩასცეს ხანჯალი...

ღონიერმა ჭავლმა ფეხები გადაუგრიხა და წყალში ჩასძირა.

— „ვიხრჩობი!“ — გაიფიქრა გოდერძიმ, აუტანელი ტკივილის მიუხედავად ხელები აიქნია, ზედაპირზე ამოტივტივდა და რამდენადაც შეეძლო ხმამაღლა დაიყვირა — მიშველეთ... ამ დროს ტალღამ კიდევ ჩაიხვია და ღრმად ჩააყურყუმალავა.

— „ეგება ასეც ჯობდეს“ — გაუელვა

თავში და მტკვარს მინებდა... იმავე წამს გონებაც დაჰკარგა.

გოდერძის განწირული ყვირილი მტკვართან მყოფთ მისწვდა.

ჯერ ისინი გამოიქცნენ, ვინც გაღმა ვერხვებს კაფავდა, მერე ისინიც დაედევნენ ტალღებს, რიყეზე ქვებს რომ აგროვებდნენ, მერე მოთევზავე ბიჭები აყვირდნენ — „კაცი იღრჩობაო“, საიდანღაც კიდევ ვიღაცები გაჩნდნენ და ახმაურდნენ მტკვრის ნაპირები.

შეიქნა გადაძახილი, ყვირილი, საშველად ხმობა. ხალხი ტალღებს მისდევდა, წყალს დასცქეროდა, ერთმანეთს აგულიანებდა. იყო ერთი ყაყანი, წიოკობა, ვიშვიში. ვიღაც სოფლისკენ გაიქცა, ვიღაც ხიდისკენ გაქანდა, ამბის მისატანად...

გოდერძი კი არა ჩანდა...

ახალ ხიდს ქვემოთ, ყოფილ სატიოსთან უკვე ხალხი შეკრებილიყო.

ყველა იმაზე მსჯელობდა გამორიყავდა წყალი დამხრჩვალს თუ ქვემოთ ჩაატარებდა. ამ ადგილას, მტკვარი მარჯვენა ნაპირთან უფრო ღრმად მოედინებოდა, ვიდრე გაღმა მხარეს. ამიტომ თუ გამორიყვა იყო, აქ უნდა გამოერიყა.

— „მოაქვს, მოაქვს“ — გაისმა ავტობაზის ეზოსთან მყოფი ბავშვების ყვირილი და რამდენიმე კაცი წყალში ერთდროულად შეცვივდა.

— აგერა, აგერა, თავი უჩანს, თავი! — დაიყვირეს შეჯგუფებულებმა და თითქოს მათ შეძახილზე წყალმა გოდერძის კეფა და ბეჭები გამოაჩინა.

მაშინვე ეცნენ და უსულო სხეული ნაპირამდე მოატივტივეს, მშრალზე გამოიტანეს. მერე ხელში აიტაცეს, თავდაღმა დაიჭირეს და ხან მუცელზე უტყაპუნეს, ხანაც ღონივრად ზილეს, რათა ხელოვნური სუნთქვით გონს მოეყვანათ, მაგრამ ამაოდ. გოდერძის სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ემჩნეოდა.

— ნუ აწვალებთ, მაგ საცოდავს, ხომ ხედავთ ცოცხლებში აღარა წერია, — თქვა ერთმა დროულმა კაცმა.

სახე გალურჯებული, რუმბივით მუცელგაბერილი გოდერძი ბალახოვან კორდზე დაასვენეს და წელს ქვემოთ ვიღაცის მიერ მოტანილი ნარმა გადააფარეს.

ხალხი ხმაგაკმენდილი დასცქეროდა მის დევგმირულ სხეულს, ახლა კიდევ უფრო უზარმაზარი რომ მოჩანდა.

— აი, დედასა რა ვაჟკაცი იყო! — ჩაილაპარაკა ერთმა.

— ამ ცხოვრების გემოც ნახა, აცხონა ღმერთმა, — გაეპასუხა მეორე.

— ნახე, კაცო, რა მხარმკლავი ჰქონია, ესა მტკვარსა როგორ უნდა დაეხრჩო?

— ვერა ხედავ, უცებ ჩალურჯდა, ალბათ გულმა უღალატა.

— ჰო, ნამდვილად გული გაუსკდა. თვარე მაგასა წყალი ვერ მოერეოდა...

სულ ახლოს მოტოციკლის თუხთუხი გაისმა და მილიციის ინსპექტორმა ხალხის წრე გაარღვია. იგი უცხო კაცი ჩანდა, სამებაში ახლად დანიშნული.

— შეიცანით, ვინ არის დამხრჩვალი? — ჰკითხა მან ხალხს.

— მაგასა ვინ არ შეიცნობს, ზენკლიაანთ გოდერძია. აი, ბაზის დირექტორი რომ იყო — უპასუხა თეთრწვერა მოხუცმა.

— არა, კაცო, ახლა სანერგის დირექტორი იყო. — გაუსწორა მეორემ.

— რაიაღმასკომის თავმჯდომარის მამაა. — განმარტა ვიღაცამ.

— რაო? — გაიკვირვა ინსპექტორმა. თავმჯდომარის მამაა? — მის ხმაში შეშფოთება გაისმა.

— აბა, ახლავე გასწი, — უბრძანა მან მოტოციკლეტისტს და აღმასკომში შეატყობინე. თქვენ კიდევ, მოქალაქენო, გთხოვთ დაიშალოთ, აქ სასეირო არაფერია!..

ამ დროს ხიდის ყურეში ქალის შეცხადებული კივილი გაისმა.

მეზობლიაანთ ქალებს თმაგაშლილი მალალო მოჰყავდათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

## რომანი ოთხ წიგნად

## წიგნი მესამე

### თავი XV

საზეიმო წუთებისათვის შესაფერი მხიარულება ყველაზე ნაკლებ იმერთა მეფე სოლომონს ემჩნეოდა. სოლომონი პირველად იყო ისნის სასახლეში, თვალს სჭრიდა აქაური პალატების ბრწყინვალება, კარისკაცთა და სასახლის მსახურთა ჩაცმულობა, წარმტაცი ჭედი, სასახლის ფართო სარკმლებიდან ერთის მხრივ შურისციხისა და მეორეს მხრივ მამა-დავითისაკენ რომ იშლებოდა და რაც უფრო ღრმად ეცნობოდა ტფილისურ ყოფას და ზნეჩვეულებებს, საკუთარი უბადრუკობა გულს მით უფრო უწვრილებდა და უბეჩავებდა.

მარტო ის რად ღირდა, რომ მეფე თეიმურაზი საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქში გორგასლისეულ ტახტზე იჯდა და ქვეყანას იქიდან განაგებდა. გინდოდა თუ არა, მტერსაც და მოყვარესაც ამისთვის ანგარიში უნ და გაგეწია. მტკვარგაღმა გუგუნებდა მრავალქირნახული სიონის ზარი, მას ათობით სხვა სამრეკლო უბანდა მხარს და მწვანე მთებს შუა მოქცეული კოპწია ქალაქი ოქროს ვარაყში აცურებულ სამლოცველოს ემსგავსებოდა.

მუხრანის კარით ისანში რომ შემოდიოდნენ, იმერთა მეფეს, როგორც დიდებულ სტუმარს, ომში თანამდგომსა და აწიერიდან მოყვარეს, ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები შეაჩვედრეს: ქალაქის თავი, ბოქაულთუხუცესი, ხელოსანთა, ვაჭართა, კულტის მსახურთა, აშუღთა, მესტამბეთა, მგალობელთა და სხვათა და სხვათა უსტაბაშები. ამას გარდა, ბანებსა და სხვადასხვა ფერად შეღებილ რიკულებიან აივნებზე საზეიმოდ ჩაცმულ-დახურული მოქალაქეები გადმომდგარიყვნენ, ვაშას გაიძახოდნენ და იმერთა მეფესა და მის მხედრობას თავზე ყვავილებს აყრიდნენ.

სოლომონს თვალები აუჭრელდა და მუხლებში სისუსტე იგრძნო. როდისღა ღადგებოდა ის ბედნიერი დღე, თანამდგომი მეფეები ან მეფეთა ელჩები მასაც სამეფოს დედაქალაქში, მამაპა-

* იხ. „მნათობი", № 1, 2, 3.

პისეულ და შემდეგ მისივე ხელით აღდგენილ-გამშვენიერებულ სასახლეში რომ მიეღო და ისე, როგორც თეიმურაზ მეფეს, მათთვის ქუთაისის თავი. ბოქაულთუხუცესი, ხელოსანთა, ვაჭართა, მესტამბეთა და სხვათა და სხვათა უსტაბაშები წარედგინა. ეს სანატრელი დრო სოლომონს ახლა უფრო შორს ეჩვენებოდა, ვიდრე ოდესმე, მაგრამ თავში ათასგვარ გეგმებს აწყობდა, დღითიდღე რწმენით იმსჭვალებოდა და გულს იმედით ივსებდა.

ერთადერთი მთავარი საფიქრალი და თავსატეხი სადღეისოდ არჩილ ბატონიშვილისა და მეფე ერეკლეს ასულ ელენეს მომავალი ქორწინება ჰქონდა. ეს ბედნიერი აზრი თვით სასძლოს პაპამ, მეფე თეიმურაზმა წამოჭრა, წამოჭრა ისე უცაბედად და თითქოსდა ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, რომ საამისოდ მოუმზადებელ სოლომონს ისღა დარჩა, მოყვრული კავშირის მოწადინე ქართლის მეფისათვის წრფელი მადლობა მოეხსენებინა და გზიდანვე, ტფილისის კარში შესვლამდე, ლიხს გადაღმა კაცები ეფრინა ბატონიშვილ არჩილის აქ ჩამოსაყვანად.

სხვა დროსა და სხვა გარემოებაში სოლომონი უკეთეს მოყვარეს ვერც ინატრებდა, ვიდრე მთელს ქვეყნიერებაზე სახელგანთქმული მონარქი კახბატონი ერეკლე იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სიფაშოში მსტოვრად შეგზავნილმა ნატრია საჭურისმა ვაჭარ ისხაკა თეთრუაშვილის პირით ლევან აბაშიძის შავბნელი განზრახვის ამბავი აცნობა, უსაყვარლეს პატარა ძმაზე, არჩილზე ფიქრი ღამე ძილსართმევდა და დღისით მოსვენებას.

სოლომონს გულს უფრო ის უკლავდა და საგონებელში აგდებდა, რომ თვით არჩილმა აქამდე არაფერი იცოდა. ყმაწვილ ბატონიშვილს ვერ გაეგო, რად შეიცვალა სათაყვანებელი უფროსი ძმა მის მიმართ, რა მოხდა იმ ავად მოსაგონარ დღეს ალში, თეიმურაზთან და ერეკლესთან შესახვედრად რომ გადმოვიდნენ, ვინ რა უთხრა მეფეს, ვინ რა ჩააწვეთა.

ერთადერთი ადამიანი, ვინც ყველაფერი იცოდა, მაგრამ გაცხელა არ შეეძლო, მეფის აღმზრდელი, სახელმწიფო ბეჭდის მცველი გიორგი წულუკიძე იყო. ამას ბატონიშვილიც გრძნობდა და მეთვალყურედ მიჩენილ თავადს თვალებში მუდარით შეჰყურებდა. გიორგი წუხდა, რომ მეფის ბრძანების თანახმად პირზე ბოქლომი უნდა სდებოდა და ყოველნაირი ღონით ცდილობდა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ჭაბუკი ბატონიშვილისათვის როგორმე ნუგეში ეცა.

მთავარზე უმთავრესი ის იყო, რომ არჩილი გარეშე პირთაგან კაცს-სულიერს არ შეხვედროდა, გარე სამყაროსთან რაიმე კავშირ-ურთიერთობა არ დაემყარებინა და თუ თავად არ ეცდებოდა, არც სხვებს ეცადათ და არ მოეხერხებინათ მასთან საიდუმლო ქსელების გაბმა. სხვაზე მეტი საშიშროება ოდიშიდან ელოდათ, სადაც სამეფოდან გაძევებულ დიდ დედოფალ თამარს ედო ბინა. თამარს შეეძლო, თავისი მრავალნაცადი ქალური მზაკვრობა ეხმარა, ოტია დადიანის გული ხვეწნა-მუდარით მოელბო, მონატრებული უმცროსი შვილი, არჩილი, ოდიშში, დადიანის კარზე დაებარებინა, საიდუმლოდ ლევანის ყველა განზრახვა გაეცნო და მისთვის გონება მოეწამლა...

სოლომონს გამბედაობა არ ჰყოფნიდა, ორივე ძმის, მეტადრე თითქმის შინაურ პატიმრობაში მყოფი არჩილის წინაშე მეტი გულახდილობა გამოეჩინა და სანამ ის ყველაფერს სხვა, ნაკლებ სანდო წყაროებიდან არ გაიგებდა, გაურკვევლობის ბურუსი გაეფანტა. ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა: დღეს თუ არა, ხვალ, როგორც კი მოიცლიდა, ძმები აუცილებლად მოეხმო და პირისპირ მოლაპარაკებოდა. მაგრამ რამდენჯერაც ეს დააპირა, გაუბედაობა ისევ მოერია, შიშობდა, ვაითუ სწორად ვერ მიმიხვდნენო. და მოლაპა-

რაკება იმდენჯერ გადასდო. ამასობაში დრო ჩიდიოდა და აი, ქართლის მეფის წინადადებამაც მოუმზადებელს მოუსწრო!

სოლომონი ხაფანგში გაება: ახლა უკან დახევა შეუძლებელი ჩანდა. თავის უარს ან შეყოყმანებას ვერაფრით ახსნიდა,რიგიანად ვერ დაასაბუთებდა, მხოლოდ მოყვრობის მოსურნე თეიმურაზისა და ერეკლეს გაარცებდა, გაანაწყენებდა და დაუმსახურებლად შეურაცხყოფდა, არა და, შესაძლოა, სწორედ ახლა იბეჭდებოდა ბორკილი, ერთხელ და სამუდამოდ საკუთარ ხელფეხზე რომ უნდა დაედო. ძლევამოსილი ერეკლე მეფის სიძედ ქცეული არჩილ ბატონიშვილი უკვე ანგარიშგასაწევი, სახიფათო ძალა ხდებოდა. თუ ბაბუა ლევანის ჩაგონებით ავ ზრახვას გულში ჩაიდებდა და უფროს ძმას გადაუდგებოდა, არჩილი იმერეთის ტახტის ხელში ჩაგდებასაც ადვილად შესძლებდა.

იქნებ თეიმურაზიცა და ერეკლეც საბოლოოდ სწორედ აქეთ უმიზნებდნენ? იქნება სწორედ ამ გზით აპირებდნენ საქართველოს გაერთიანებას, ერთი სკიპტრის ქვეშ მის მოქცევას?

სოლომონმა ღამე თეთრად გაათენა. ჩამოდგა წუთი, როდესაც იმასაც კი ფიქრობდა. მთელ ამ გაწამაწიაში ლევან აბაშიძის უჩინარი ხელი ურევიაო. ეჭვმა და უნდობლობამ იმდენად დასჯაბნა, კინაღამ რაღაც უმნიშვნელო საბაბი არ მოიმიზეზა და შინ სასწრაფოდ უკაბრუნება არ ბრძანა. რაც სურდათ, დაე, ის ეფიქრათ! სასიძოს ხვალ დილას ელოდნენ. ნიშნობა სოლომონის დაუსწრებლადაც დიდებულად ჩატარდებოდა. განზრახვა ნაჩქარევი იყო და მალე იძულებული გახდა, ამაზე უარი ეთქვა. თუ უცხოეთში გადახვეწილმა ლევან აბაშიძემ იმდენი მოახერხა,რომ ქართლ-კახეთის გვირგვინოსანი მეფეები დღესაც მისი კარნახითა და ჩაგონებით მოქმედებდნენ, ასეც და ისეც, სოლომონს ყველა გზა უკვე მოჭრილი ჰქონდა, ისღა რჩებოდა, ტახტზე ნებაყოფლობით ეთქვა უარი, ვარციხიდან სახლეული დაებარებინა და ზედმეტი მიხტომ-მოხტომისა და სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, როგორც ვინმე კერძო პირი, სამშობლოს გასცლოდა.

უკვე მოთენებული იყო, არჩილ ბატონიშვილისა და მისი მხლებელი იმერი დიდებულების ისნის სასახლეში მოსვლა რომ აუწყეს. ახალი ჩაძინებული სოლომონი ძიძიშვილმა ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ გამოაღვიძა. ნიკოლოზას, რომელიც ძმის საქმეების ასე თუ ისე მოგვარების შემდეგ, ომში მყოფ მეფეს პირველი დაეწია, ფეხები უკან რჩებოდა, ამ დალოცვილმა, რავარც იქნა, თვალი მოატყუა და ჩემს დათვურ ბრახუნზე მართლა რომ გამოეღვიძოს, ხომ მომკლა საცოდაობამო.

სოლომონი მსწრაფლ, უსაყვედუროდ წამოდგა, თითქოს არც სძინებოდეს, ძოწისფერი ახალუხი გადაიცვა, პირი დაიბანა, გამოეწყო და მხოლოდ ამის შემდეგ მოიკითხა, ვინ ახლდა არჩილს და შესძლებდა თუ ვერა ბატონიშვილი დაუყოვნებლივ აქ მოსვლას.

თურმე ნუ იტყვი, არჩილიც და გენათელი მიტროპოლიტი იოსებიც, რომელიც სხვებთან ერთად ძმას იმერეთიდან ჩამოჰყვა, უკვე აქ, წინკარში ბრძანდებოდნენ და მთელი ნახევარი საათი ელოდნენ, როდის ინებებდა ბატონი მეფე მათ მიღებას.

სოლომონი თავად გამოვიდა შორი გზიდან მოსული ბატონიშვილების შესახვედრად.

ძმები მოწიწებით მოუახლოვდნენ. იისფერ სამგზავრო ანაფორაში გახვეულმა და ასეთივე კუნკულით დავდახურულმა მიტროპოლიტმა იოსებმა მეფეს ჯვარი გადასახა, ხელზე ამთხვევინა, მერე თვით გადაეხვია და ამქვეყნიურ ამაოებაზე ფიქრით გატანჯული გვირგვინოსანი ძმა გულში ჩაიკრა. სოლომონის ალერსს გადაჩვეულ არჩილს ჩვეულებისამებრ გული აუჩუყდა და ცრემლები მოეძალა. რა გატირებს, შე სულელოო, ენის წვერზე მოადგა სო-

ლომონს დედმამიშვილის გასამხნევებელი ალერსიანი კითხვა, წინასწარ ღიმილიც მოერია, მაგრამ დღეს არჩილი უკვე სრულწლოვანი კაცი იყო, დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე დგებოდა და სიტყვას სხვაგვარი, აწინდელისაგან განსხვავებული ჟღერადობა რომ არ მიეღო, ეს აღარ ჰკითხა. ორივეს აღმოსავლური სინატიფით მორთულ თაღებიან დარბაზში შეუძღვა, ოთხი ფართო, აგრეთვე თაღებიანი სარკმლით მეტეხსა და სიონს შუა გაწოლილ მდორე მტკვარს რომ გადაჰყურებდა, და ნიკოლოზას უსიტყვოდ ანიშნა, ყველა ეს სარკმელი მჭიდროდ მიეხურა. როდესაც მეზობელ პალატებში გამავალი კარები საიმედოდ დაიკეტა, გობელენის მძიმე კრეტსაბმელებიც ჩამოუშვეს და ძმები სულ მარტო დარჩნენ, სოლომონი ბამბუკისფეხებიან სელისსკამზე ჩამოჯდა, ვეება სპარსული ხალიჩით ჭერამდე დაფარული კედლის წინ, და ბატონიშვილებიც თავის პირისპირ დასხა.

— ჩვენ გვინდოდა, მოლოცვით დაგვეწყო, — ჩამოვარდნილი მყუდროება, რომელშიაც მხოლოდ მტკვრის დუდუნი და მეტეხის კლდესთან მომდგარი მეტივეების კანტიკუნტი შეძახილები იჭრებოდა, იოსებმა დაარღვია და გულზე ოქროს ძეწკვით დაკიდებულ ბრდღვრიალა ჯვარს ორივე ხელი შეახო, — ალთან ძაან გივაჟკაციათ და მოხისთანაც თავი გამოგიჩენიათ. კუდამოძუებული გარბოდნენ ლეკებიო. ქვეყანა იმერეთის ჯარის მამაცობაზე ლაპარაკობს. მომილოცავს, ძმაო, ეს ერთი და სხვა მრავალი! მეტადრე ერისთვიშვილებს გიქებენ. რა მოიმოქმედეს ნეტა ამისთანა საარაკო! ქრისტეს სახელით დათხეული სისხლის წილ ღმერთი ყველას ცოდვებს შეუნდობს და იმ ქვეყანაში სასუფეველს დაუმკვიდრებს. ეს შენი პირველი დიდი ლაშქრობა იყო, სოლომონ. მამაზეციერმა, იდიდოს მისი სახელი უკუნითი უკუნისამდე, ინება და გამარჯვება გვარგუნა!

— ამინ! — თქვა სოლომონმა და დარცხვენით უმცროს ძმას მიუბრუნდა, მხარზე ხელი გადაჰხვია. — შენ? შენ კი არ მილოცავ?

— გილოცავ! — არჩილმა თავი ასწია, მეფეს თვალებში შეხედა და მერე ისევ ჩაღუნა. — ურჯულო მიწყივ დაგემარცხებინოს!

— მტერი ურჯულოც მტერია და რჯულიანიც! — გულღიად გაიცინა მეფემ.

— ყველა დაგემარცხებინოს! — არჩილი კიდევ უფრო გაწითლდა და თავი მხრებში ჩარგო.

— მადლობელი ვარ, საყვარელო ძმებო, — თქვა მეფემ და უახლოესი ადამიანების ხილვით გამოწვეული სიხარული და წამიერი უდარდელობა, თვალებში რომ ჩასახვოდა, ნელ-ნელა გაუქრა. — ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემი გამარჯვება, დიდი თუ მცირე, ორივეს გაგახარებთ. ქვეყანა მართლა ისე კი არ გადაბრუნებულა, ღმერთმაც ნუ ქნას! სანამდი საქმეს შევუდგებოდეთ, მოდი, ჯერ ქვეყნისა და სახლეულის ამბავი მითხარით, ოღონდ მოკლედ, უკვე მოდღლევებულია და ვაითუ მასპინძლებმა დილაადრიან მოგვაკითხონ!

— საგანგებოდ მოსახსენებელი მგონი არაფერი მომხდარა, ძმაო, — ორივეს მაგიერ უპასუხა მეფეს იოსებმა, რადგან სოლომონი სწორედ მას ეკითხებოდა, თუმცა თვალი არჩილსაც ვადაჰკრა. — გიორგი გურიელიშვილის უსაქციელობა და ბოლოს თათარში გადავარდნა ადრევე შეგატყობინეთ...

— საწყენია, — სოლომონი დაფიქრდა. გულში სინდისის ქენჯნამ გაჰკრა, რადგან უსამართლოდ დამდაბლებული გურიელიშვილის წინაშე თავს მთლად პირნათლად ვერ გრძნობდა. — უთუოდ ვიღაცამ გაახელა, აგულიანა უბედური და დალაგებული საქმე აგვირია.

— მეც აგრე მეგონა, სხვისი სიტყვის აშყოლი კაცი ჩანს, — დაემოწმა მიტროპოლიტი.

— მამიდაჩვენის თანამეცხედრე ბატონი მამია როგორ შეხვედრია ამ ამბავს?

— ის თავიდანვე შიშობდა, სოლომონ, ძმის მომთმენობა არ ეჯერა. მამიას სიფხიზლე და წინასწარი თადარიგი რომ არა, საქმე მის საზიანოდ დამთავრდებოდა და ჩვენც ახალ დავიდარაბაში გავეხვეოდით.

— თუკი ზურაბ მიქელაძე მიაშველეთ ჯარით?

— მივაშველეთ, მართალია, მაგრამ, თვით ბატონი მამია რომ მაგრად არ მდგარიყო, ამ მცირედი ჯარით ვერაფერს გავაწყობდით.

— მაშ, ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ ამჯერად მშვიდობით გადავრჩით.

— ასე გამოდის, თუ, რასაკვირველია... — გურიელყოფილმა გიორგიმ ბაბუაჩვენ ლევან აბაშიძესთან დანაშაულებრივი კავშირი არ შეჰკრა და ურუმის ჯარით უკან არ მოგვიტრიალდაო, უნდოდა დაემატებინა მიტროპოლიტ იოსებს, მაგრამ მეფემ დაასწრო, აღარ დააცალა:

— სხვა? კიდევ რა ამბავი მოგვიტანეთ?

— აგარიანი, მადლობა უფალს, ჯერჯერობით მიწყნარებულია, ახალციხიდან ბაიბური არ ისმის, ციხეებშიც სიწყნარეა. ეტყობა, საჩვენოდ ვერავინ მოიცალა, სხვა საზრუნავი გამოუჩნდათ. ღვთის მადლით და ჩვენი ლოცვა-კურთხევით, ხალხმა წლის მოსავალი მიაკარა. მოვირთვლეთ. ცერცვი, ლობიო და მუხუდო იმდენი მოვიდა, თუ მშვიდობიანობა იქნება, მგონია გაისადაც ქე გავიტანოთ თავი. ენდროს, კანაფსა და სელსაც ვერ დავემდურებით. აბრეშუმმა გაამართლა. ოცდაოთხი საპალნე მარტო ვარციხის სასახლეში მოიტანეს და ბეღლები აავსეს. ეს იმას გარდა, რაც მოურავებს ადგილზე აქვთ გადანახული. ლომკაცმა ექვსი ახალი ნალია ააშენებინა, ქვევრების მიმატებაც დასჭირდა. წრეულს ფუტკარიც ღალიანი იყო. თაფლი და სანთელი ქვეყანას არ შემოაკლდება. ბაზარს გაიაფება ეტყობა. გლეხს წლის სარჩო შემოუვიდა და ცოტ-ცოტას გასაყიდადაც იმეტებს. ლაშხეთში დიდი თოვლი ჩამოყარა. იქაური საქმე დროებით შეჩერებულია, სანამ ხელახლა გამოიდარებდეს, ანდა გამოიზაფხულებდეს. ნადირია მომრავლებული, სოლომონ. კაციაშვილს არ ახსოვს ამდენი ნადირი ჩვენში. გაშვებულ პირუტყვს ერჩიან. ერთი ორგან ადამიანსაც ქე მიტევებია ის წყეული!

— მგელი თუ დათვი?

— სიმინდობაზე მარტო დათვი იყო, დაბაზებული სიმინდი მორეჯგვა, ახლა მგელიც გაჩნდა. ამბობენ, დიდი ზამთრის დადგომისას იცის ასეო. მთაში საზრდოს ველარ შოულობენ და დაბლა ჩამოდიან.

— ნადირი ვერას დაგვაკლებს, თუ ღმერთი შეგვეწია და კაცს გადავურჩით, — სოლომონს თვალებში ისევ ღიმილი ჩაუდგა და ძმებმაც გაიღიმეს. — დედოფალი რასა იქს, ალბათ, ველარც შემოვირიგებ, ოდიშიდან ხომ არაფერი ამბავია?

— კაცო ჩიჩუა გვეწვია ძღვენით, დედოფალს კაციას მოკითხვის წიგნი აახლა.

— ჩემს სიმამრ ოტიას ხომ არაფერი უჭირს?

— ბატონი დედაჩვენის უქეიფობას და ზოგ სხვა რამეს იტყობინებაო.

დედის ხსენებაზე სოლომონი შეკრთა, შეტოკდა, თვალები მოენისლა, გულმა უგრძნო, ახლა რაღაც საწყენს გავიგებო.

— უქეიფობას? — ძალ-ღონე მოიკრიბა და, მეფემ და არა შვილმა, როგორადაც შეიძლო, ძმას ცივად, თითქმის ათვალწუნებით ჰკითხა: — მაინც რა სჭირსო?

— გულს უჩივისო, სოლომონ. აქაც ხომ წამდაუწუმ რაღაც წვეთებს და სასუნებლებს ხმარობდა. გონი დაუკარგავს, ძლივს მოუბრუნებიათ, — იოსებმა უფროს ძმას თვალი აარიდა და ხმაში უნებლიეთ შეპარული თრთოლვა ნებისყოფის არაჩვეულებრივი დაძაბვით დაიოკა. — არჩილს ნატრულობსო... — თქვა ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც წუთიერ სისუსტეს საბოლო-

ოდ სძლია და გარეგნული შეუვალობა დაუბრუნდა.

ძმებისაგან შეუმჩნევლად სოლომონმა ტუჩზე იკბინა. დღეს იყო თუ გუშინ, ზუსტად ამას რომ ფიქრობდა? მაშ, ექსორიაქმნილი აბაშიძის ასული არჩილს უკვე ნატრულობს და ამ ნიადაგზე გონიც ეკარგება? ხომ არ მოასწავებს ეს იმას, რომ ლევანის შემოგზავნილმა კაცებმა უკვე შეაღწიეს ოდიშში, ყველა საიდუმლო რკალიც გაარღვიეს და გამოცდილ მონადირესავით ფრთხილი ოტია დადიანის თვალწინ თამართან შეხვედრაც შესძლეს?

— შენთან მოუთათბირებლად და თანხმობის მიღების გარეშე არჩილის გაშვება თავს ვერ ვიდეთ, — საქმიანად განაგრძო მიტროპოლიტმა იოსებმა. — არჩილის სასახელოდ უნდა მოგახსენო, რომ არც ამას გაუწევია მაინცდამაინც, თუმცა დედა ძალიან ენატრება. შენს წყენინებას მოერიდა. სოლომონს ვერ ვაწყენინებო.

— დედოფალი რა აზრზე ბრძანდებოდა?

— მისმა უმაღლესობამ დაგვარწმუნა ყველა, ოდიშში არჩილის გაშვება თვით მეფესთან შეუთანხმებლად არამც და არამც არ ეგებაო და ძმასაც ასევე მისწერა.

— გონიერი ქალია მარიამი, იესე, და ჩვენი ერთგული, თავისი გონიერება და ერთგულება ამჯერადაც გამოუჩენია. შენი დიდი მადლობელი ვარ, ძმაო არჩილ, სულმა რომ არ წაგძლია... — სოლომონმა მუხლზე დაადო ძმას მძიმე ხელი და თვალებში შეხედა. — ახლა რას ფიქრობ, ღავნიშნოთ მეფე ერეკლეს ასული ელენე, თუ...

— როგორც შენ იტყვი, სოლომონ, — არჩილს არ შეუმჩნევია მეფის შეკითხვაში ჩაქსოვილი ალერსიანი ხუმრობა. — მე მზად ვარ, ყველა შენი თხოვნა და ბრძანება აღვასრულო!

— გმადლობ, ძმაო, — სოლომონმა უმალვე შესცვალა ხუმრობის კილო და ყმაწვილი კაცის გულიდან ამონახეთქ სიტყვებს მხურვალედ უპასუხა: — მეც ვეცდები, მუდამ ისე მოვიქცე, გული არასოდეს გატკინო და იესესთან ერთად ნამდვილი ძმობა გაგიწიო. იცი შენ: ღმერთმა, იდიდოს მისი სახელი, სამივე უბედურ ვარსკვლავზე გაგვაჩინა, ჭიპით მამულზე გამოგვაბა და ქვეყნის მონა-მორჩილის მწარე ხვედრი გვარგუნა. შენს ხვედრს, როგორც ღვთის განგებას, კაცი ვერსად გაექცევი და ჩვენც არჩევანი არა გვაქვს, ბედისწერის გაკვალულ გზას უნდა მივდიოთ. არჩილ და იესე, ჩემი ერთგული ძმები ხართ ორივე და ურიგო იქნება, დაგიმალოთ: ლიხთიმერეთში ტყვის სყიდვის აღკვეთამ და ოსმალების წინაშე ნებით თუ ძალით ნაკისრ ბევრ ძველ ვალდებულებაზე უარის თქმამ სულთნის კარზე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ჩამოვარდნილ შუღლსა და უკმაყოფილებას, თითქოსდა არ კმაროდეს, კიდევ უფრო აღვივებენ ჩვენი მიწაწყლიშვილები, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზის გამო სამშობლოდან რომ გადახვეწილან, ამჟამად დიდი ვეზირისა და თვით სულთნის თვალწინ ტრიალებენ და უკეთუ ავკაცობის გასამრჯელოდ იმერეთის ტახტს მიიღებენ, მზად არიან, მტერს მშობელ ქვეყანაში, ცეცხლითა და მახვილით შემოუძღვენ. მე მომეპოვება სარწმუნო ცნობები, რომ მტრული ძალები ჯერ ვერ გაერთიანებულან, პირიქით, ერთმანეთსაც ექიშპებიან და, ჩვენდა საბედნიეროდ, ცალ-ცალკე მოქმედებენ.

— რაღაი სრულ ნდობას გვიცხადებ და ამდენს გვიმხელ, ხომ არ შეიძლებოდა, ცოტა უფრო მისახვედრად გელაპარაკა? — შესაფერი წუთი შეარჩია და შენიშნა იოსებმა.

— მე თქვენ არაფერს გიმალავთ, იესე, — ოდნავ გაცხარდა მეფე, რადგან მღვდელმთავრის სიტყვებში შეუნიღბავი ირონია იგრძნო და შუათანა ძმას მუგუზლებივით ანთებული თვალები შეანათა. — თუ გეტყვით, მხოლოდ იმას გეტყვით, რასაც ვფიქრობ! ბატონიშვილი თეიმურაზი, ბიძაჩვენ მამუკას ძე, ჩვენი გულის ბიძაშვილი, და

ბაზუაჩვენი ლევანი ერთმანეთს დანასისხლად გადაკიდებიან. მიზანი ორივესი ერთია: ჩემი ტახტი სწადიათ, მაგრამ ტახტი უმეფოდ ხომ არ იქნება, ჩემს შემდეგაც ხომ ვინმე უნდა გამეფდეს! თეიმურაზის ნატვრა და მისწრაფება ყველასთვის ცხადი და ნათელია. ერთხელ და ორჯერ არ განუცხადებია, იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე მე ვარ და ტახტიც მე მეკუთვნისო. მაგრამ რას ფიქრობთ, რა აზრისა ბრძანდება ამაზე ჩვენს მიერ შერისხული და დამდაბლებული ლევან აბაშიძე?

უმცროსმა ძმებმა ერთმანეთს შეხედეს და მერე ორივე სოლომონს მიაჩერდა.

— ლევანს თათრის რჯულზე შემდგარი თეიმურაზი არ უნდა მეფედ, იცის, ურჯულო მეფე აქ ფეხს ვერ მოიკიდებს და კიდევაც რომ მოიკიდოს, ლევანს ვერ დაუვიწყებს ძველ ნაწყენობას!..

— მაშ, გამოდის, ბაზუა ლევანს ტახტი თავისთვის უნდა? — ვეღარ მოითმინა და გვირგვინოსან ძმას პირში შეეჭრა გაგონილით შეფიქრებული იოსებ.

— არა! — გადაჭრით უპასუხა მეფემ. — არა! ბაზუა ლევანმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, სამკვდრო-სასიცოცხლო დოყი ჩამოაგდოს ჩვენს სამს შუა, ღვიძლი ძმები ერთმანეთს გადაგვკიდოს და, როგორც კი ფაშა ჰაჯი-აჰმადის ან არზრუმის სერასკირის ხელისშეწყობით გზიდან ჩამომიცილებს, საქმე რომ სადავოდ არ გაიხადოს, ტახტზე თავისი უმცროსი შვილიშვილი არჩილი დასვას.

ეს უკანასკნელი სიტყვები, რომელთა ხმამაღალი გამჟღავნება და ძმებისათვის გაზიარება სოლომონს ასე უჭირდა და ემძიმებოდა, ზარბაზნის ქუხილივით გაისმა მყუდრო დარბაზში. ერთხანს საშიში ძმა სდუმდა და თავის საფიქრალს მისცემოდა, შემდეგ კი ჩამოვარდნილი სიჩუმე ისევ სოლომონმა დაარღვია:

— არჩილი, ლევანის აზრით, უწლოვანია, ადვილად გაბრიყვდება, მოფერებით თვალებს აუხვევს და დაიყოლიებს.

ვიდრე ჭკუაში ჩავარდებოდეს და თავზე ხელს მოისვამდეს, სამეფო [illegible] თვით ლევანს, აწ უკვე არგვეთის ერისთავს და მეფის პირველ კარისკაცს, ექნება ხელში!..

ბალღური სლუკუნი მოისმა. სოლომონმა და იოსებმა ერთსა და იმავე დროს შეხედეს უმცროს ძმას. არჩილ ბატონიშვილი ტიროდა, გული ამოსკვნოდა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და სველ ღაწვებს გზის მტვერში ამოსვრილი მუშტებით იწმენდდა.

— რა გატირებს, ბიჭო, არა გრცხვენია? — აქეთ-იქიდან მოაშურეს უფროსმა ძმებმა. — რა გაქვს სატირალი? სუ, მოგვეჭრა თავი, ვინმე შემოგვესწრებს!

გულამოვარდნილი არჩილის დაწყნარება-დაშოშმინება ადვილად არ მოხერხდა. ბოლოს, როგორც იქნა, თავს მოერია, გაიმართა და სოლომონმა ძლივს გაარჩია მის მიერ სლუკუნით ნათქვამი:

— მერე ამისთვის ამომიღეთ თვალში? ჩემი რა ბრალია! ჯერ გეკითხა...

ახლა სოლომონმა დაირცხვინა, თავი ჩაღუნა:

— კაცნი ვართ. მეც ეჭვი მომერია, რა არ ვიფიქრე...

— დამშვიდდით ორივე და გონი მოიკრიბეთ! — მიმართა ძმებს მიტროპოლიტმა იოსებმა. — მაღალ ღმერთს მადლი უნდა შევწიროთ, პარაკლისი უნდა გადავიხადოთ, რომ ახლა მაინც გავუხსენით გული ერთმანეთს და პირშავი მტერი არ გავახარეთ!

— ჭეშმარიტად, იესე! — თითქოს თავის თავს გამოუტყდა მეფე. — ეჭვი იმისთანა ოხერი რამე ყოფილა, თუ ფეხქვეშ გაგიგდო, მერე თავს აღარ აგაწევინებს. მე არჩილის იმედი მქონდა, ჩვენ ხომ ერთმანეთს შევფიცეთ ერთგულება, მაგრამ ეშმაკს არ ძინავს, ეშმაკმა თვით ქრისტეს მოციქულიც კი იცთუნა და ღალატის გზაზე დააყენა.

— ჩვენ ღმერთმა დაგვიფაროს! — იოსებმა პირჯვარი გადაიწერა.

— არ მინდა, კაცებო გამაყოლეთ და ახლავე შინ დამაბრუნეთ! — წამოიძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხა უცებ არჩილმა და უჩვეულოდ გაცეცხლებული ზეზე წამოიჭრა. — თუ არა და, ვერაფერი დამაკავებს, მარტო გავიქცევი!..

— რაიო? — ერთხმად აღმოხდათ მოულოდნელობისაგან შეცბუნებულ სოლომონსა და იოსებს. არჩილის, მათს ხელში გაზრდილი ღლაპის, ამდაგვარ გადარევას ჯერ არც ერთი არ შესწრებოდა.

— არ ვირთავ ცოლს! არ მინდა! გამიშვით!..

იოსებმა იმარჯვა, სანამ წინკარში დადარაჯებული მხლებლები და ამალის წევრები ხმაურის გაგონებაზე დარბაზში შემოცვივდებოდნენ და ეს ამბავი ძალაუნებურად კიდევ უფრო გახმაურდებოდა, არჩილს წინ გადაუდგა და მაჯაში ხელი სტაცა.

— გონს მოდი, ვექო, ხომ არ დაგავიწყდა, ვინა ხარ და აქ რისთვის მოსულხარ! იმისთანას ნურაფერს შეიკადრებ, რაც ბატონიშვილობით არ გეკადრება და ნურც ჩვენ გვკადრებ. რა ქვია... არ ირთავს ცოლს! როგორ თუ არ ირთავ, შენს ნებაზე მიდექ-მოდექის უფლება, ერთი მითხარი, ვინ მოგცა! ეგ ისწავლე ამხელა კაცმა? მაგას გეჩიჩინებოდით? მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, შენ ნუ მომიკვდები, სწორედ ეგ არის!

— არ მინდა, არაფერი არ მინდა, იესე, ოღონდ გამიშვით. ჩვენს ძმობას გაფიცებ, მამის სულს გაფიცებ, ორივეს გეხვეწებით, მუხლმოყრილი გემუდარებით, — არჩილმა დაიჩოქა და მღვდელმთავარ ძმას მუხლებზე მოეხვია. — ჯერ ხომ არაფერი დანაშაული მიმიძღვის, ჯერ ხომ არაფერი დამიშავებია. იმ ზომამდე ნუ მიმიყვანთ, ღმერთს მართლა შევცოდო და... ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი ასწილ მირჩევნია! მიბოძეთ ნება, ბერად აღვიკვეცო! შორს წავალ, იერუსალიმში წავალ, ან სინას მთაზე, აქეთ სულ აღარ მოვიხედავ. რა გინდათ მეტი! არც დედას ვნახავ, არც არავის. მაშინ ყველა დაწყნარდება და შიში აღარავის ექნება, რომ ვინმეს ტახტს შევეცილები!

— ადე, არჩილ, გონს მოდი, იცოდე! — შეუტია იოსებმა და მხარში ისე ღონივრად ჩასჭიდა ხელი, თითებში ტკივილი იგრძნო. — შენ იმისთანა ობროდულ რამეს ითხოვ, ვინმე გარეშემ რომ გაგიგონოს, მტრისას და ავისას, ჭკუიდან გადასული ეგონები. გინდა, ქვეყანა გააცინო და ძმებსაც ლაფი გადაგვასხა თავზე? ნუ, შენს გაზრდას!.. ადე, შეურიგდი სოლომონს. ამხელა გზა ტყუილა გამოგვაროწიე, შე კაცო? სად შენ და სად ამისთანა კვინტების ყრა. გეკადრება? სოლომონ, — მიტროპოლიტი ეჭვებით გაწვალებულ და ამავე დროს უმცროსი ძმის წრფელი მუდარით სულით ხორცამდე შეძრულ მეფეს მიუტრიალდა. — უთხარი რამე, რატომ არაფერს ეუბნები? თუ შენც ასე გირჩევნია? ამ ხალხს რაღა პასუხს აძლევთ, კაცო, კახბატონი ერეკლე და ქართლის მეფე თეიმურაზი თქვენ ნიკოლოზა და დათუნა ნაფიჩვაძეები ხომ არ გგონიათ?

— რას ამბობ, იესე, შენგან არ მიკვირს, ძმაო? — დაღვრემილმა და ფარხმალ-დაყრილმა სოლომონმა ტყვიასავით დამძიმებული თავი ასწია და ხმის კანკალი ძლივს დაიოკა. — აგრე რომ მერჩივნოს, აქ რისთვის დაგიბარებდით, საკუთარი თავის მტერი ვარ თუ? მეც ვიცი და შენც, რატომ გვეუბნება მაგას არჩილი. არჩილის ადგილზე რომ იყო, რაც მართალია, მართალია, კაცი შეიძლება უარეს აზრსაც დაადგე. მაგრამ, ხალხი არა ხართ? ერთი, ჩემს გულშიც ჩამოიხედეთ!

ეს რომ თქვა, სოლომონს გაახსენდა ბარბაროსული წეს-ჩვეულება, მეჰმედ ფათიჰის — ოსმალეთის პირველი სულთნის — სიკვდილის შემდეგ კონსტანტინოპოლის სერალში რომ დამკვიდრდა: ყოველი ახალი სულთანი, ტახტზე ასვლის დღესვე, ვალდებული იყო, იმ ქვეყანაში გაესტუმრებინა ყველა დედმამიშვილი, კაცი თუ ქალი, ვისაც კი ოდესმე ტახტის მოცილეობა შეეძლო

გაეწია. სისხლისმსმელმა მეჰმედმა ეს ანდერძად დაიბარა და ბევრი მისი შთამომავალი, ვითომდა ერთგული და გაწუხრელად გამტარებელი წინაპრის ანდერძისა, მეჰმედის დანაბარებს უაღრესი კეთილსინდისიერებით ასრულებდა. მაგრამ ვის სჭირდებოდა დღეს ამ სისხლიანი ამბის მოგონება? შინაურებზე ისედაც გულაღრენილ სოლომონს ისღა აკლდა, მეზობელ ხელმწიფეთა სისასტიკის მაგალითები გადმოეღო და თავისი ხელმწიფური ძალაუფლების განმტკიცების მიზნით საკუთარ ძმებს დარეოდა!

„ღმერთმა დაიფაროს ჩემი ძმები ტახტის აშკარა ან ფარული ღალატისაგან, — გაიფიქრა მეფემ. — მეც დამიფაროს, ღალატის წილ სიკვდილი მივუზღა. რა მართალიც არ უნდა ვიყო, ვიცი, ერი მაინც არ მაპატიებს და შემაჩვენებს. ჯერ მოღალატე დედაჩემის სამშობლოდან გაძევებაც ვერ მომინელებია!“

— ადრე მე არჩილს ნავარძეთის მეფეებისეული სასახლე და მამული ვუბოძე საუფლისწულოდ და პირობად ისიც დავუთქვი, ციხეს, სასახლეს და კარის ეკლესიას ჩემი სახსრებით აღვადგენ-თქვა. სასახლე დაგვიძველდა. რამდენი ხანია, შიგ აღარავის უცხოვრია. თუ ოსტატებმა ხელი არ შეავლეს და ზოგი რამ ახლებურად არ გადააკეთეს, დღესდღეობით საცხოვრებლად ვგონებ არ გამოდგეს, ამიტომ, იესე, მე შევცვალე ჩემი ადრინდელი გადაწყვეტილება — ნავაძეთი სახასოდ დავიტოვე, ხოლო არჩილს ვარგუნე საზანოს ყოველმხრივ გაწყობილი სასახლე, ციხე და კარის ეკლესია, იქაური ყმა-მამულითა და საძებარ-უძებრით!

გულწრფელად გახარებულ მიტროპოლიტ იოსებს, რომ მოყვარულ ძმებს შორის ისევ თანხმობა და ურთიერთხდომა მყარდებოდა, თვალებში შუქი ჩაუდგა.

— ვაშა, სოლომონ, ბარაქალა, სწორედ დიდებული, შენი მეფობის შესაფერი გადაწყვეტილება მიგიღია!

— მე უკვე გავეცი განკარგულება, იესე, მოურავს თეთრიც მივაშველე, საზანოს მისი ახალი მფლობელის და ჩვენი სათაყვანო რძლის — ბატონიშვილ ელენეს მისაღებად ამზადებენ. სასახლე მშვენიერ ადგილზე დგას. უკეთეს გადასახედს კაცი ვერც ინატრებ. ჰაერი, წყალი, ზაფხულ — სიგრილე, ზამთარ — სითბო. გარს სანადირო ადგილები და ნაყოფიერი მინდორ-ველები აკრავს. ციხეც მაგარია და მტრისაგან მიუდგომელი. ღმერთმა ორივეს ჯანის სიმრთელესა და ბედნიერებაში მოახმაროს!

— ამინ, ღმერთმა გისმინოს, მეფეო! — დაილოცა მიტროპოლიტი იოსები.

— დავივიწყოთ, რაც მოხდა, არჩილ, — სოლომონმა ახლა კი გაბედა და უმცროს ძმას შეხედა, თვალი თვალში გაუყარა. დარწმუნებული იყო, ახალი საბოძვრით უზომოდ გავახარებ და ყველა წყენას, რაც კი აქამდე ჩემდა უნებლიეთ მიმიყენებია, ერთბაშად გამოვისყიდიო. — მე ხომ შემეძლო, ბიჭო, ბოლმა გულში ჩამეხვია და საქმე ისე წარმემართა, არც შენთვის და არც იესესათვის არაფერი გამემხილა. გულში ჩახვევას მე ყოველივეს გამჟღავნება ვარჩიე და ახლა ძმებმა განმსაჯეთ, მტყუანი ვარ თუ მართალი!

არჩილი წამოდგა. ერთხანს ისევ გარინდებული იყო, ცრემლებს ნამალავად ყლაპავდა და მეფის მზერას გაურბოდა. იმის შემდეგ, რაც უკვე ითქვა, უჭირდა გადაწყვეტა, რა გზას დასდგომოდა. ბოლოს ისევ დათმობა არჩია, რადგან მოვალეობაც აქეთ უბიძგებდა და ხელგამოწვდილ გვირგვინოსან ძმას, რომელიც დღეს ძველებურად კეთილი და მისანდო ჩანდა, ყინულივით ცივი ხელი შეაშველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი XVI

ზამთარმა მოყრუულ მისვლა-მოსვლაში გაიარა. ნიშნობას ქორწილიც მალე მოჰყვა. ყველიერის აღება ახლოვდებოდა და თუ ჯვარისწერასა და ქორწილს დიდმარხვამდე ვერ მოასწრებდნენ, მომდევნო ორმოცდაშვიდი დღე, ვიდრე აღდგომამდე, კიდევ უნდა მოეცადათ.

ელენე და არჩილ ბატონიშვილებმა ჯვარი სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში დაიწერეს და სამდღიანი ქორწილის შემდეგ, პაპამ, ქართლის მეფე თეიმურაზმა რომ გადაუხადათ, მაყრიონითა და ჯორკიდებულით ლიხის მთაც გადმოვლეს. ჯვარისწერას ქართველ მეფეთაგან მხოლოდ სოლომონი არ დასწრებია. სოლომონი უკვე ოსმალთა მომავალი ლაშქრობის მოსაგერიებელ სამზადისში იყო გართული, ერთი წუთი მოცლა არ ჰქონდა და ქართლს ხელახლა გადასვლა ვეღარ მოახერხა. ეს, ალბათ, საჭიროც არ იყო. მეტისმეტ გაშინაურებასა და თავის დამდაბლებას სარგებლობის მაგიერ იქნებ ზიანიც მოეტანა და დღევანდელი პირზე კოცნა ხვალ სანანებელი გახდომოდა.

მაყრიონმა პირველი ღამე გორში გაათია. გორის მოურავმა ოთარ ამილახვარმა გულუხვი სუფრა გაშალა და მექორწილეთ სანაქებოდ უმასპინძლა. ორი ღამე ჩხერის ციხეშიაც მოუხდათ შეჩერება. უღელტეხილზე დიდი თოვლი იდო, აქა-იქ გზა ზვავებსაც ჩაეხრამა, ქვენა ქარიც საეჭვოდ უბერავდა და უხიფათო მგზავრობას მეტად საეგებიოდ ხდიდა. ჩხერისა და ხარაგაულის ციხეების ყოფილმა მფლობელებმა, გიორგი და ნიკოლოზ აბაშიძეებმა, ამით ისარგებლეს და ახალგაზრდა ნეფე-დედოფალს, მეფის უახლოეს ნათესავებს, სახლეულითურთ ფიანდაზად გაეგნენ, ვინძლო ამით სოლომონი ვასიამოვნოთ და მის მიერ დამდაბლებული აბაშიძეების მიმართ გული მოვულბოთო.

სოლომონი ძმასა და რძალს შორაპანთან, ძირულის პირზე მოეგება. საზანოს სამემკვიდრეოდ გადაცემის სიგელიც აქვე უბოძა, ასაბიას თავისი მხლებელი ჯარიც შეუერთდა და ახალდაქორწინებულები სასახლემდე ზარითა და ზეიმით მიაცილა. საზანოში დიდხანს არ გაჩერებულა, მიუხედავად ახალბედა მასპინძლების ხვეწნა-მუდარისა, პატივი დაგვდე, ჩვენს ჭერქვეშ დილამდე მაინც მოისვენეო, ნაშუაღამევს აიყარა და მენაპირე ჩიჯავაძეების კუთვნილი სებეკას ციხის დასახედავად გაემგზავრა საჩინოში. ათეული წლობით მიტოვებული, შამბითა და ნარ-ეკლით გადავლილი, ოდესღაც კი ძლიერი, ოთხივე მხრივ მიუვალი ციხე ჩიჯავაძეებს მეფის მითითების თანახმად შეეკეთებინათ, თითქმის თავდაპირველი სახით აღედგინათ და ახლომახლო სოფლების საიმედო თავშესაფრად ექციათ. სოლომონი ამდენს არც კი მოელოდა. ციხის მშენებელ ოსტატებს, რომელთაც ძმები იამანიძეები, ბასილა და კვირიკა, მოთავეობდნენ, ისე გულდაგულ ემუშავათ, მათს ნახელავს წუნი არ დაედებოდა.

„ადრე თუ გვიან, ყველა ეს ციხე და საფარი ჩემივე დასანგრევი გახდება, აქედან ფეხის ამოკვეთის შემდეგ მტერი რომ ისევ არ შემომესიოს და შიგ არ მოიკალათოს, ადვილი როდია აქედან მაგათი გამოდენა, მაგრამ ჯერჯერობით, სანამ აქეთ მჭირდება თავის დაცვა და მტერი გარედან მაწვება, ციხეები მტკიცე უნდა ვიქონიო და გზები მიუვალი!“ — ფიქრობდა სებეკას ნახვით გამხნევებული სოლომონი, როდესაც ნანგრევებიდან თითქოსდა სასწაულის ძალით ამოზიდული ციხის ორადლიან კედლებს, ტალანებს, საიდუმლო ხვრელებს, სხვადასხვა მხარეს მიმართულ სათოფურებს, კუპრის ჩასასხმელ ჭუჭრუტანებს და წვიმის წყლის მოსაგროვებელ ქვის ვეება გობებს ათვალიერებდა. აქ ყველაფერი, ყოველი წვრილმანი და მსხვილმანი, გათვალისწინებული იყო ხანგრძლივი ალყის დროს მტრის მოზღვავებული ურდოს მოსაგერიებლად

და არამცთუ მისაგერიებლად, იქით იერიშის მისატანად და ზიანის მისაყენებლად. მეფემ ხუროების დაჯილდოება ბრძანა, კვირიკა და ბასილა იამანიძეებს კი პირადად ესაუბრა, ხელობა შეუქო, მარჯვენა დაულოცა და თითო ქისა ვერცხლი უწყალობა, რამაც დამსწრე ერი ერთობ გაახარა და დადუმებული შემოგარენი ხელმწიფის სადიდებელმა ვაშამ და ყიჟინამ აახმიანა .

ნასამხრობებს სასახლეში ფუსფუსი ატყდა. დედოფალთ-დედოფალი მარიამიც ადრიანად მობრძანდა ქსენონიდან, ტანზე გამოიცვალა, ბატონიშვილ დარეჯანის ოთახში განმარტოვდა და ხელსაქმეს მიუჯდა, რათა გარე-გარე ხეტიალში გართულ თანამეცხედრეს აქ დახვედროდა და ზოგი რამ, რაც მეფის ქართლიდან მობრუნების შემდეგ უთქმელი და მოუთათბირებელი დარჩა, აქ ეთქვა, ახალ დაბინდებულზე ბერი ლორთქიფანიძემაც მოატანა გვიშტიბის ციხიდან და როდესაც ბატონის შინ არყოფნა აუწყეს, ცხენიდან არც კი ჩამომხდარა, მაშინვე წასვლა დააპირა, ვითომ გზაში შევხვდებიო, მაგრამ ბოლოს ისევ დარჩენა ამჯობინა, რადგან მეფეს სწორედ ასე დაებარებინა, ვინც მოვიდეს და მე მიკითხოს, სასახლეში მომიცადოსო.

გადაბმული მგზავრობითა და ღამისტეხით გაწამებული სოლომონი მხოლოდ გამთენიის ჟამს გამოჩნდა, ბოქაულთუხუცესი ბერი წულუკიძე მოიკითხა და დედოფალთან ასვლის მაგიერ მასთან ერთად დილეგს მიაშურა. სასახლე ფეხზე დადგა, თუმცა სანთლები არც აქამდე ჩაუქრიათ და რაკი ყოველ წუთს მეფის მოლოდინი ჰქონდათ, არც თვალი მოუხუჭავს ვისმე. თვით კარის მწირველი მღვდელი სვიმონ წერეთელიც კი ფხიზლობდა. სამეფოში მოგზაურობისას სოლომონს მარტო ციხისთავი და ქეშიკთუხუცესი ქაიხოსრო აგიაშვილი ახლდა მცირე ამალითურთ, დანარჩენი დიდებულები და კარისკაცები კი, ვინც სხვადასხვა საქმის გასარიგებლად დაებარებინა, ისევე როგორც ქვემომხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე, აქ, სასახლეში ელოდნენ.

ღრმა სარდაფში ჩამავალ ქვის კიბეზე სოლომონმა ექვსი საფეხური ჩაიარა, საჭვრეტდატანებული რკინის კარის წინ გაჩერდა და ბოქაულთუხუცესს მოუბრუნდა:

— ბერი, ჩვენს ყურამდე მოვიდა ამბავი, რომ შენ, სიყრმის მეგობარს, ჩემთან სათხოვარი გქონია და აქამდე არაფერს მეუბნები.

— სათხოვარი? მე სათხოვარი მქონია? — წულუკიძე ჯერ დაიბნა, რადგან ერთბაშად ვერ მიხვდა, მეფე რას ეკითხებოდა, მერე კი ყველაფერი გაახსენდა და ცოტა არ იყოს უკმეხად მიუგო: — არავითარი, მეფეო!

ქვითკირის მკვიდრ კედლებში ჩამაგრებული მხრჩოლავი მაშხალების შუქზე სოლომონმა თანშეზრდილ ახალგაზრდა თავადს წამიერი მზერა შეავლო და თვალი თვალში გაუყარა.

— მართალი მითხარი, მე მინდა სისწორე ვიცოდე!

ბერიმ იწყინა, მით უფრო იმის გამო, რომ მარტო არ იყვნენ, ბატონი მესამე პირის, ქაიხოსრო აგიაშვილის თანდასწრებით ელაპარაკებოდა და ეს წყენა, როგორც ყოველთვის, არც დაუმალავს:

— ჩემს დამცირებას რატომ ინებებ, მეფეო, როდის მომხდარა, სიცრუე მომიხსენებია!

— არცროდის, ჩემო ბერი, — სოლომონმა მოულოდნელად უკან დაიხია, დაუტკბა და უნებლიეთ ენას მოუკიდა. — მაგრამ ხომ იცი, ხანდახან გარემოება გვაიძულებს, საკუთარ თავს ყოველთვის არ ვეკუთვნით. არც შენ და არც მე!

— თუ ჩემს მაგიერად ვინმემ ენა დაასველა, — ბერის მზერა აგიაშვილისაკენ გაექცა და მერე ისევ მეფეს მიაპყრო წამოგზნებული სახე. — ვფიცავ ველიეთის წმიდა გიორგის, ან მტრობით მოსვლია, ან უცოდინარობით. საკადრისი არც ერთი არ არის. მზად გახ-

ლავარ შენს წინაშე პასუხი ვაგო და ვისაც გნებავს, პირში წარვუდგე!

— ნუ ფიცხობ, ბერი, რაჭველი კაცი და აგრე ფიცხი მე არ გამიგონია. აგრე რომ იყოს საქმე, შენ რომ დახატე, მე სულ სხვანაირად გეტყოდი, ანდა სულაც არ გეტყოდი არაფერს, გამოკითხვას სხვას მივანდობდი. მადლობა ღმერთს, მოხელე ბევრი მყავს. ორივემ ერთიმეორეზე უკეთესად ვიცით, რა საგანსაც ვუტრიალებთ და არ აჯობებდა, მეტი გულახდილობა გამოგვეჩინა? ბოლოსდაბოლოს, წელანაც გითხარი, სიყრმის მეგობრები ვართ, სიცოცხლის უკეთესი დრო ერთად გაგვიტარებია. ნეტავი იმ დროს, ბერი, მე და შენ რომ ხოტევურაში ფეხშიშველი დავრბოდით და ლორჯოებს ვიჭერდით! რას არ გავიმეტებდი, ოღონდ ერთი წუთით ჩემს ბავშვობაში დამაბრუნა. თუმცა არც იქ მეგულება რაიმე სასიხარულო. ეგ იყო, პატარები ვიყავით და ცხოვრების მძიმე ლოდი ჯერ ზურგზე არ გვეკიდა.

— მე არაფერს გიმალავ, სოლომონ, თქვენო უმაღლესობავ! — ქვა და კლდესავით მდუმარე აგიაშვილს თვალი ჰკიდა და კვლავ თავისი მტკიცება განავრძო ბერი წულუკიძემ — ღვთისა და ჩემი მეფის წინაშე გულწრფელი ვარ. თუ საჭიროა, ბრძანე და ახლავე ხატზე დავიფიცებ!

— რას გვიბრძანებ შენი დის, გულქანის, ქმარზე, ტყვისმსყიდველ ქაჯაიაზე?

წულუკიძემ ცივი ოფლით დაცვარული შუბლი მოიწმინდა.

— შენ, ბოქაულთუხუცესს, ის აქ დილეგში გყავს გამოკეტილი და ჩემს მსჯავრს მოუთმენლად მოელი. ისიც გეცოდინება, ქვემომხრის სარდალ ბერი ლორთქიფანიძეს ქუთაისში რა წამოსძახეს.

— არა, არ ვიცი, — გულწრფელად აღიარა ბოქაულთუხუცესმა.

— თითქოს ჩვენ ყველას გადაგვემალოს ტყვისმყიდველი ქაჯაია, ვინაიდან ის თქვენი, შენი და გიორგის, სიძეა და დასჯას არც ვუპირებდეთ.

— ენას, თუ ნებაზე მიუშვი, ყველაფრის თქმა შეუძლია, მეფევ, მითუმეტეს, გამწარებული კაცის ენას.

— პირდაპირ, შეუფარავად მითხარი: რას იზამდი, ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავი?

— რასაც შენ იზამ, ბატონო!

სოლომონი დაფიქრდა.

— მერე დას, გულქანს, რა პასუხს აძლევ? თქვენთან რა მაქვს დასამალი, დედოფალმა გამანდო: შენი და ბატონ ჩემს სიმამრს ხლებია ოდიშში და ჩემთან შუამდგომლობა უთხოვია. ცოლისძმა კაციასაც ბევრი არ უფიქრია და ღვთის გარეწარი კაცო ჩიჩუას ხელით დისთვის წიგნი უცხლებია, ქაჯაიას თავი შენ გვაჩუქეო.

— უფრო ადრე ჩემთან გახლდა გულქანი, ბატონო, ცხარე ცრემლით შემევედრა, დედ-მამის სული მაფიცა. ლვიძლი დის სათხოვარზე მოსვლა ტახტის წინაშე დანაშაულად ნუ ჩამეთვლება!

— ორივე გნახათ?

— დიახ, ორივე.

— მერე? რა პასუხი მიეცით?

— არ დავანებეთ შენი შეწუხება. კანონი ყველასთვის კანონია. მით უფრო ჩვენთვის, მე და ჩემი ძმისათვის. ყველა შემოგვცქერის. თვალში ბეწვს ეძებენ. არც დედოფალთან მივუშვით. ეტყობა, მაშინ გადაწყვიტა და უკითხავად ოდიშში გაგვეპარა. კინაღამე მოვკალით, მაგრამ რაღა დროს!

— ჩემმა სათაყვანებელმა ცოლისძმამ ორწყალშუა ჩამაგდო. მე ვიცი, ეს ამბავი კეთილად არ დამთავრდება.

— აქეთ მობრძანდი, ბატონო, — როდესაც საჭვრეტდატანებული რკინის კარი ჭრიალით გააღეს, ბერიმ ერთ-ერთი აბრდღვიალებული კვარი ჩამოიღო კედლიდან და გზის გასანათებლად ხელში დაიკავა. — განცალკევებული საკანია, მერხებიც გვიდგას...

სოლომონმა ტალანს გაჰხედა.

— ეს ყველაფერი ასე როდის მოაწყვე?

— ჯერ ბევრია გასაკეთებელი, მე-

ფევ, ძველ ჯურღმულებს ვაწმენდინებ, ათასი ხარახურა გარეთ გაგვაქვს.

— რა ჰქონიათ შიგ?

— ზოგან ხორბალი, ზოგან ფეტვი და ქერი, ალაგ-ალაგ ჩასავალი ქვევრები გვხვდება, უხსოვარ დროს ჩაყრილია, — ბერიმ რატომღაც დამალა, ორ ადგილას გროვად დაყრილი ჩონჩხები რომ იპოვნეს და იქვე მიწა მიაყარეს, ცარიელი საკნის კარი შეაღო, სოლომონი და ქაიხოსრო აგიაშვილი გაატარა, მერე მხრებში ოდნავ მოიხარა, საკანში თავადაც შევიდა და ბრდღვიალა კვარი, ტკაცუნით რომ იწვოდა და irგვლივ საკმევლის სუნს აყენებდა, კარს ზემოთ ნაპრალში ჩაამაგრა. — ყველა გაახლოთ, მეფევ?

— ყველა... — სოლომონი ფიქრში გაერთო და უცებ გამოერკვა. — არა, მარტო ქაჯაია!

წულუკიძე გარეთ გავიდა და მალე ისევ დაბრუნდა.

— ბორკილები ავხსნათ, ბატონო? — ნამძინარევი ხმით დაიძახეს ტალანში, და რგოლზე აცმული გასაღებებიც აჩხარუნდა. სადღაც ჯურღმულში ყრუდ დაიჭექა ურდულმა, კარი გრუხუნით გაიღო.

— ახსენით! — გაეპასუხა ბოქაულთუხუცესი.

— დავიღალე, მართალი გითხრა, ბერი, — გამოტყდა მეფე და წამით თვალები მილულა. -- ფეხზე ძლივს ვდგავარ.

— მოისვენო, ბატონო, უნდა, კაცი ხარ, რკინა ხომ არა!

— ღვინო გვარიანი დასდგომიათ ჩიჯავაძეებს, — მეფემ ეს გულითადი რჩევა არაფრად ჩააგდო და ახლა ქაიხოსრო აგიაშვილს მიმართა. — ნამდვილი ზედაშეა!

— კარგია, — დაემოწმა ქაიხოსრო. — ანამყოლ რომ დაიწმენდდეს...

— შენ თუ კილი არ უპოვნე! .. სასახლეში ხომ არაფერია ახალი? — მეფემ აგიაშვილს თავი ანება და ისევ წულუკიძეს ჰკითხა.

— ლვოვისაგან მალემსრბოლი გეახლა.. .

სოლომონი გამოცოცხლდა, დაქანცულობის ყველა ნიშან-წყალი ერთბაშად გაუქრა.

— რაო? საიდან? მერე აქამდე აჯანჯლებ და არ მეუბნები?

— ყიზლარიდან, მეფევ. გზაში ლეკები დასცემიან, მცველი რაზმი გაუფანტავთ და ლვოვი ტყვედ ჩაუგდიათ.

— იქეთობას თუ აქეთობას?

— ისე ჰგავს, რომ იქეთობას.

— ვაი, შენ ჩემო თავო! მერე?

— ყიზლარის ციხისთავს გაუგზავნია შუაკაცები და ფული. ოთხ თვეს ორმოში ყოლიათ დამწყვდეული. თურმე დიდძალ გამოსასყიდს ითხოვდნენ. სამი დღეა, რაც სიმაგრეში ვიმყოფებით და ღმერთს მადლობას ვწირავ, იმ კაციჭამიებს ცოცხალი რომ გადავურჩით.

— ვითომ ვერწმუნოთ? — ორივე დიდებულს ჰკითხა მეფემ, თავი გვერდზე გადაჰხარა და მუგუზლებივით აელვებული თვალები მოწკურა. — რა ხანია, უკან ველოდით, ის კი, თურმე ნუ იტყვი, ყიზლარის ციხე-სიმაგრეში ზის და დროს ატარებს. სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო, ხომ გაგიგონიათ? ყველა ჩვენ გვატყუებს და აბუჩად გვიგდებს. თუმცა შეიძლება მართალიც იყოს. ლეკებმა ჭკუა ვერა და ვერ ისწავლეს, თვით დიდი რუსეთის ხელმწიფეიმპერატორსაც არ ეპუებიან!

— ახალციხიდან ჰასან ისკანდერმა და მაჰმუდ ასისთავმა მოგვაკითხეს, ბეგლარ-ბეგის რაყამი გაახლეს, — დაუმატა ნათქვამს წულუკიძემ.

სოლომონს დამცინავი ღიმილი გაუკრთა თვალებში.

— აგრეც მოველოდი. უთუოდ გვიწყრება, ქართლში რა გინდოდათ, რა უფლების ძალით შედგით ფეხი სხვის სამფლობელოში, საჩივარს საჩივარზე წერს სპარსეთის ელჩი და აჩიკ-ბაშების გიაური მეფის ჯეროვან დასჯას მოითხოვსო.

რაყამი, როგორც წესია, დალუქული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახლავს, ბატონო, შენს დაუსწრებლად გახსნა ვერ გადავწყვიტეთ. ისე, უნდა მოგახსნო, ისკანდერს თავი უდიერად უკავია. ჩემი ხალხი მივუჩინე, სულმა არავის წასძლიოს და ახალ დავიდარაბაში არ გაგვხვიოს-თქვა.

— სწორედ მოქცეულხარ. კიდევ? დედოფალი შეუძლოდ ხომ არ ბრძანდება? — სულ ბოლოს დაუსრულებელი ლოდინით ქანცგამოლეული თანამეცხედრე მოიკითხა სოლომონმა.

ბერი წულუკიძე შეყოყმანდა. ორჭოფული პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს გარეთ, ტალანში, ხმაური ატყდა. ეტყობოდა, პატიმარი გამოიყვანეს. ისინი მსწრაფლ დადუმდნენ და სმენად გადაიქცნენ. მაღალმა, ტანადმა ვაჟკაცმა, ბეჭებსა, წელსა და ნიდაყვებზე სისხლსა და ტალახში მოსვრილი, ოდესღაც თეთრი ჩოხის ნაფლეთები რომ ეკიდა და ქლალწვერწამოზრდილი მწითური სახე უსწორმასწოროდ წამოსივებოდა, თავი დაღუნა და ნახევრადბნელ საკანში გულხელდაჭდობილი შემოვიდა. უთუოდ არ ელოდა, თუ აქ, წულუკიძის ჯურღმულში, როგორც დილეგს შეარქვეს, თვით მეფეს ნახავდა, ეგონა, ისევ დასაკითხავად მიჰყევარო და დამხვდურთ მედიდურად, იმ კაცის თვალით შეხედა, რომელსაც თავისი ბედი უკვე გადაწყვეტილი აქვს და აწი არც კაცისა და არც თვით ღმერთისა აღარ ეშინია. მერე ბინდბუნდში ერთბაშად იცნო ცოლისძმა ბერი წულუკიძე, მიუკარებელი და მოუსყიდველი მოხელე მეფისა, იცნო ქეშიკუთხუცესი ქაიხოსრო აგიაშვილი და ბოლოს თვით მეფეც, აღელვებისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა და ვეღარც კი გაიგო, ზურგით კედელს როდის აეკრა.

— ახლო მოდი! — უბრძანა სოლომონმა და შუბივით გამჭოლავი მზერა შუბლზე მიაბჯინა. — შენა ხარ, კაცო, ქაჯაია?

— მე გახლავარ! — აქამდე ამაყმა და ქედმოუდრეკელმა ტუსაღმა მორჩილად გადმოდგა ერთადერთი ნაბიჯი, მეფის მომნუსხავ მზერას ვერ გაუძლო და თვალი აარიდა.

— სახელი?

— გვანიში... გვანიში ქაჯაია, ბატონო... თქვენო...

—საით იყურები, აქეთ შემომხედე!

ქაჯაიამ სახე ასწია და შეეცადა, მეფისათვის თვალი გაესწორებინა, მაგრამ ეს ახლაც ვერ შესძლო.

— სად მინახიხარ, თუ იცი? — დამარცვლით ჰკითხა სოლომონმა. —რაღაცა ძალიან მემცნაურები!

ეს, ალბათ, ყველაზე უფრო საშინელი სიტყვები იყო, რომლებიც შეიძლებოდა დილეგში თავისი ფეხით მოსულ მეფეს ტუსაღისათვის ეთქვა.

— არსად, თქვენო სიმაღლევ, — ქაჯაია უეცრივ წახდა, თითქოს ჯალათის ზეაღმართული ცული დაანახესო, სიმწრის ოფლი დაასხა, ვაჟკაცი კაცისათვის ესოდენ სათაკილო თრთოლვამ აიტანა და ორივე მუხლი მოიყარა. — პირველად ახლა გამეხსნა ცა და დაგინახე!..

სოლომონმა ადგილი მოინაცვლა, რადგან პატიმარს მისივე ჩრდილი სახეზე ეცემოდა და ახლა გვერდიდან შეხედა, რომ თავისი ვარაუდი ერთხელ კიდევ შეემოწმებინა.

— მე და შენ ოცხის ციხესთან შევხვდით ერთმანეთს. მას აქეთ ორი-სამი წელიწადია. მე ურუმის მხედრობა მახლდა. აქეთ მოვდიოდი. შენ ტყვეები მიგყავდა გასაყიდად. სწორია თუ არა? მართალი მითხარი, ტყუილი არ გაბედო!

— არა, ბატონო, შენი სახელის ჭირიმე, — იუარა ქაჯაიამ და ხელები გაასავსავა — მაღალ ღმერთს ვფიცავ, მრისხოს ბრავალძლის წმინდა გიორგიმ, მეხი დამეცეს, შერცხვენილი და ულვაშგაპარსული ვიყო, თუ სხვა ვინმეში არ გეშლებოდე!

— ვითომ? ნამეტურ მეეჭვება, — მშვიდად თქვა მეფემ. შიშისაგან საცოდავად მოკუნტულ პატიმარს თვალს არ აშორებდა. მერე ბერი წულუკიძეს მი-

უბრუნდა. — როსაფ მაჭავარიანი რომ იყოს ახლა აქ!..

— აქ გახლავს, თქვენო უმაღლესობავ, ქაიხოსრო წერეთელს ჩამოჰყვა გუშინ!

— ახლავე დააძახებინე. იქნება მე მართლა თვალი მატყუებს და ეს კეცი სხვას მივამსგავსე. არ მინდა, ვისმე ტყუილად ბრალი დავდო და ცოდვაზე ცოდვა მივიმატო, წმიდა გიორგის რისხვას ეს ოჯახკეტიანი თავზე ტყუილად ხომ არ დაიტეხდა!

არ გაუვლია ხუთ-ექვს წუთსაც, საკანის კარში ჩვეულებისამებრ სალაშქროდ ჩაცმული, განუყრელი ჩაბალახით თავწაკრული, ფრიალო კლდესავით მაგარი და ახოვანი როსაფ მაჭავარიანი ჩამოდგა, მარჯვენა ხელი გულზე მიიდო, ბეჭებში ოდნავ მოიხარა და მეფესა და დიდებულებს თაყვანი სცა.

— მომიახლოვდი, როსაფ, — ისე მიმართა მოსულს სოლომონმა, რომ ამ ორად ორ სიტყვაში მთელი ის მადლიერება და სინანული ჩააქსოვა, სამშობლოსა და ტახტის დავდადებული მაჭავარიანის ყოველი გახსენება რომ აღუძრავდა.

მაჭავარიანი მიეახლა, ცალ მუხლზე დაიჩოქა, მეფის კაბის კალთა, როგორც საომარი ალამი, ორივე ხელით ტუჩებთან მიიტანა და ზედ კრძალვით ეამბორა.

— რასაიქ, როგორ გიკითხო, ჩემო როსაფ, — სოლომონმა მხარზე ხელი დაადო და წამოაყენა. — ხომ არ მომიხუცდა, კაცო, შენი თავი?

მაჭავარიანმა გაიღიმა, დიდებულებს გადახედა, დიდრონ, წითურ ულვაშებზე შრომაში გაუხეშებული ვეება ხელი გადაისვა და რკინისმკვნეტელა კბილების ზოლი გამოაჩინა.

— ჩემზე ჯაბანს კიდევ მოვერევი, მწყალობელო მეფევ!..

სოლომონსა და დიდებულებს გულიანად გაეცინათ. წამით ყველას გადაავიწყდა, რომ აქ, ნახევრადბნელ, შმორის სუნით ავსებულ ჯურღმულში, მეხუთე კაციც იყო და თავის ხვედრს ელოდა.

— ამ ვაჟბატონს თუ იცნობ, როსაფ? — იკითხა უცებ მეფემ და მაჭავარიანი ტუსაღისაკენ მიატრიალა. — აბა, ერთი კარგად დააკვირდი!

ჩოხაჩამოხეული და ნაგვემი ქაჯაიას დანახვაზე, რომელსაც თუნდ მოხარშულს იცნობდა, როსაფი ისე ძალუმად შეტოკდა, თავი კინაღამ ჭერს აარტყა.

— ამას ვინ არ იცნობს, დიდებულო მეფევ, — ასისთავის მარჯვენა ხელმა თავისთავად მოძებნა სატევარის ტარი, მარცხენამ კი ქარქაში ჩაბღუჯა. — ცხენიდან გადმოვაგდე, მოკვლა მინდოდა, იანიჩრებმა გამომწიწკნეს ხელიდან ოცხის ციხესთან, მერე შენც მობრძანდი. ბიჭო, — იგი პატიმარს მიუბრუნდა და შეძრული ხმით უთხრა: — პირი ქვისკენ მიქნია, ბოვშიანი ქალი მაინც სად დაკარგე, შე ურჯულო, რა ეიღე საფასური, იმათი ცოდვა საფლავშიაც ჩაგყვება და არ მოგასვენებს!..

— მარტო მაგას? — გულის სიღრმიდან ამოთქვა მეფემ. — არავის არ მოგვასვენებს, როსაფ. თუ კაცნი გვქვია და პირჯვარს ვიწერთ. უღონო ვიყავით, თავს ზევით ძალა არ გვქონდა. ახლა რაღას იტყვი, ღვთის მგმობელო? — ამ სიტყვებით უკვე ხმაგაკმენდილ, საქციელწამხდარ ქაჯაიას მიმართა. — ღმერთიც ტყუილად დაიფიცე და მეფის წინაშეც ტყუილს ბედავ? რას ამბობს, ბერი, აღიარა თუ არა დანაშაული? თანამზრახველებს თუ ასახელებს?

— ასახელებს, ბატონო მეფევ, ჩიჩუას ადებს ხელს, — სიძის მუდარით აღსავსე სახეს, რომელიც უსიტყვოდ ეუბნებოდა, ხომ ხედავ, შე უჯიგრო, ახლა მიჭირს თუ მიჭირს, მისაშველე რამეო, თვალი აარიდა და სოხანეს დაჰხედა.

— აგრეც ვფიქრობდი.

— სანამ კაცო ჩიჩუას გვერდში არ მომიჯენთ და ორივეს ერთად არ გაგვასამართლებთ, მანამდე ჩემი პირიდან სწორი სიტყვა არ ამოვაო.

სოლომონისათვის ეს ამბავი მთლად ახალი არ იყო, რადგან ჩიჩუას ავკაცობა ბევრჯერ სმენოდა, მხოლოდ ის აკვირვებდა, რაღა მაინცდამაინც ჩიჩუას აგზავნიდა დადიანის ძე კაცია დისა და სიძის წინაშე შუამდგომლობის გასაწევად, ვინმე სხვა უფრო სვინდისიერი და დაფასებული დიდებული ოდიშში არავინ ჰყავდა? ან თვით ჩიჩუა როგორ ბედავდა ცხენისწყლის აქეთ გადმობიჯებას?

„ცოლისძმა ჩემთან წაჩხუბების საბაბს ეძებს და სატყუარად ანკესზე წამოგებულ კაცო ჩიჩუას მიგზავნის, — გაიფიქრა მეფემ. — ალბათ, იმედი აქვს, რომ სული წამძლევს, ჩიჩუას შევიპყრობ და დილეგში ჩავაგდებ. ამის შემდეგ კაციას სრული უფლება მიეცემა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს და კეთილისმყოფელი ჩემი სიმამრი ჩემს წინააღმდეგ აამხედროს! ეს რომ ასე არ იყოს, არც გულქან წულუკიძის ქალს მოუსმენდა და, მითუმეტეს, არც კაცო ჩიჩუას გვაახლებდა უგვანო წიგნით. საკითხავია, თვით ბატონი ჩემი სიმამრი როგორ უყურებს ამ საქმეს? ნუთუ იმდენად მოხუცდა, სადავეები სულ გაუშვა ხელიდან და სამთავროს მართვაგამგეობა სიცოცხლეშივე ვაჟიშვილს მიანდო?“

მარიამ დედოფალს თანამეცხედრისათვის არაფერი დაუმალავს, თუმცა ცდილობდა, ყოველივე მსუბუქი ფერებით დაეხატა და მეფე დაერწმუნებინა, ჩემს ძმას უბრალო გულმოწყალება ამოქმედებს და რაიმე ქვენა გრძნობა მის განზრახვაში არ არისო. დადიანის ძე კაცია და რაიმე ქვენა გრძნობა არ ამოქმედებდეს? ქვენა გრძნობების გარეშე ცხოვრებაც ხომ არ შეუძლია! გამჭრიახი ჭკუითა და სალი გონებით დაჯილდოებული მარიამი ან გულუბრყვილობას იჩენდა და ამის გამო ბევრს რასმე ვერ ხედავდა, რადგან დედმამიშვილის ბუნებრივი სიყვარული აბრმავებდა, ანდა იმავე სიყვარულის კარნახით თვალს ხუჭავდა და ცდილობდა, ის არ დაენახა, რაც არ სურდა. სოლომონი დედოფალს არ შეკამათებია, გრძნობდა ქალის გამოუვალ მდგომარეობას და აღარ მოინდომა მისი კიდევ უფრო შეწუხება. თავი ისე დაიჭირა, თითქოს საქმიანი საუბრით, მეფესა და დედოფალს შორის არცთუ იშვიათად რომ იმართებოდა, ერთობ კმაყოფილი დარჩა და ამ ორივესათვის საჩოთირო საგანს შემდგომ აღარასოდეს დაუბრუნდებოდა.

— ბერი, — მცირე დუმილის შემდეგ მიმართა სოლომონმა წულუკიძეს. — ვხედავ, გიმძიმს დაკისრებული საქმის გაძღოლა. დამნაშავე შენი ახლო ნათესავია და წინ ბევრი დაბრკოლება გელობება. ბატონო ქაიხოსრო, — მეფე ახლა ციხისთავსა და ქეშიკთუხუცესს მიუბრუნდა. — ამიერიდან შენ გაკისრებ საქმის ბოლომდე მიყვანას. დაიხმარე, ვისაც საჭიროდ მიიჩნევ და ყველაფერი ძირისძირამდე გამოიძიე, ჩვენ მართალი უნდა ვიყოთ ღმერთთანაც და კაცთანაც. ნურავის და ნურაფერს მოერიდები, თუნდაც დანაშაულის კვალმა ჩემს კარზე მოგიყვანოს!

— მზად გახლავარ, ბატონო მეფევ, შენი ბრძანება პირნათლად შევასრულო! — მიუგო აგიაშვილმა. — თუკი ბატონი ბერი... — მან გაუბედავად, კრძალვით შეხედა წულუკიძეს და სათქმელი აღარ დაამთავრა, თან იმას ნანობდა, სიტყვა „პირნათლად“ არ უნდა მეხმარაო. ბერის, შესაძლოა, ესეც საწყენად დარჩენოდა.

— რას ბრძანებ, ქაიხოსრო, — მოაგება ბოქაულთუხუცესმა. — მე ვერ გავბედე და ბატონ მეფეს ეს ვერა ვთხოვე, რაღაი თავად ინება და ეს საქმე ამაცილა, რა მეთქმის მადლობის მეტი!

— ოღონდ ამთავითვე იცოდე, — გააფრთხილა მეფემ აგიაშვილი. — დამატებითი გამოძიებისათვის ერთ კვირაზე მეტს ველარ მოგცემთ. წეღანაც ვამბობდი, ხალხი უკვე აყაყანებულია. დღეის სწორს, არა უგვიანეს, საქმე უნდა გაირჩეს და ყველამ ის უნდა მიი-

ლის, რაც ღვთისა და ტახტის წინაშე დაუმსახურებია.

— სრული იმედი იქონიეთ, თქვენო უმაღლესობავ!..

რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც მედილეგეებმა სამარცხვინოდ მობოშებული და მუხლმოკვეთილი ბრალდებული კვამლით სავსე საკნიდან გაიყვანეს და მეფემ ასისთავი როსაფ მაჭავარიანიც დაითხოვა, ხანგრძლივი უძილობისაგან ცვილისფრად გაფერმკრთალებულ ლაწვებზე ხელი მოისვა და ორივე თავადის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ჩვენი გასაჭირი მაშინ იკითხე, თუ დადიანის ძე კაციამ მოყვრული წიგნი ახლა თვით მე გამომიგზავნა და ამ გარეწარის შეწყალება მომავალი თანადგომის პირობად დამიდო!

## თავი XVII

ასე შორს დადიანის ძე კაციას აღარ შეუტოპავს. დისაგან მიღებული პასუხმა და ერთობ თავშეკავებულმა მიღებამ, ოდიშიდან წარგზავნილ წარჩინებულთ იმერთა სამეფო კარზე რომ გაუმართეს, კაცია შეაფიქრიანა და გაბედულ მოქმედებაზე ხელი ააღებინა. შესაძლოა, ყოველივე ეს მოურჩენელი სენით შეპყრობილი, დღენიადაგ სარეცელზე მიჯაჭვული მთავრის ყურამდეც მივიდა და თავისი სიბერის ერთადერთ იმედს, სამეგრელოს მომავალ მთავარს, ბატონ კაციას, მამამ საქციელი არ მოუწონა. ასე იყო თუ ისე, ზუგდიდმა პირში წყალი ჩაიგუბა და აღარც ავს იტყობინებოდა და აღარც კარგს.

საეჭვო ხმები, ხალხში რომ დაირხა, სოლომონს გზაშივე ამცნეს, მაგრამ საგანგაშო ამბავი, რომელიც ქუთაისში დატრიალდა, სასახლეში ქვემომხრის სარდალმა ბერი ლორთქიფანიძემ მოიტანა და მან ყველა ფეხზე დააყენა.

ალება-დღეს ქუთაისს მოხეტიალე ბალაგანი ეწვია და ზედ რიონის პირზე, ბალახვანში დაიბანაკა. სამასხარაო ჭრელ-ჭრულეებში მორთულმა სახიობებმა, მიუხედავად თოვლისა და ცივი ქარისა, გაშლილ ადგილას შეუჩერებლივ რომ უბერავდა, სახელდახელო ასპარეზი რიყეზევე გამართეს და მაყურებელი რომ ბლომად მოეზიდათ, თავიანთი პირველი წარმოდგენა ქალაქის უსაქმურთ, ქურდ-ბაცაცა მაწანწალებს, სახელოსნოებთან გამოპარულ მოცუღლუტო შეგირდებს და თვალისხეირის მოყვარულ გარეუბნელ ბალღებს უჩვენეს. იმავე საღამოს მთელი ქალაქი და ახლომახლო სოფლები ბალაგანზე ლაპარაკობდნენ. ხმამ დანარჩენი ქვეყნისაგან მაღალი კედლით გადაღობილ ციტადელშიაც შეაღწია. შუაღამეს რაღა მოხერხდებოდა, მაგრამ გათენდა თუ არა, ბალაგანს ხალხი ყოველი მხრიდან მოაწყდა. ასე გასინჯეთ, თვით იანიჩრები და ასკერებიც კი მოვიდნენ ქუთაისის ციტადელიდან და მაყურებელთა ბრბოს შეერივნენ. აზრადაც არავის დაჰბადებია, პირისპირ ან მიპარვით მათთვის რაიმე ევნო. ცნობისწადილს ყველას გული ერთნაირად დაეპყრო და ყველა ზღვართან ერთად, მათ რომ ჰყოფდა, სიცივეც დაევიწყებინა.

არავინ უწყოდა, ვინ იყვნენ სახიობნი, აქ საიდან და როგორ მოსულიყვნენ, ან გზა საით ედოთ. ისინი თითქოს ციდან ჩამოფრინდნენ და როდესაც წასვლის დრო და ჟამი მოაწევდა, ასევე ყველას თვალწინ გაუჩინარდებოდნენ, ვითარცა უხორცონი. ეს მათთვის, ამ ორფეხა და ორთვალა ჯადოქრებისათვის, საძნელო საქმე არ უნდა ყოფილიყო. რომელიღაც უცნაურ კილოკავზე ტატყანებდნენ, არც თათრულს ჰგავდა, არც სპარსულს, არც არაბულს და არც რომელსამე ფრანგთა ენას. მხოლოდ ერთი ჩია, ყვავილისაგან

ცხვირპირდაჩეხილი და ნიკაპჩამოგრძელებული ქოსა ამტვრევდა ქართულს და ისიც ისე ულმერთოდ. ნახევარსაც ვერაფერს გაუგებდი, თუმცა ამბობდა, მეც თქვენი სისხლი და ხორცი ვარ, გურჯი, ძალიან პატარა ვიყავი, მე უბედური უცხოეთის ბაზარზე რომ გამყიდეს და ენა კი არა, დედამიწის ზურგზე უგზოუკვლოდ ნაწანწალებს ისიც ვეღარ მომიგონებია, საცოდავი ჩემი დედ-მამა ამ ქვეყნის რომელ კუთხეში ცხოვრობდა და ან თავად მე რა მქვია ნათლობის სახელიო.

ამის გამგონე ქალები და ბალღები იცრემლებოდნენ. კაცსაც ბევრს მოსწყდა ნამალევი ცრემლი, ყველას თავისი დაკარგული ახლობელი უდგებოდა თვალწინ. ცდილობდნენ, ეს საბრალო ხეიბარი რითიმე ენუგეშებინათ, თუმცა ისიც ადვილად მოსალოდნელი იყო, რომ მოხეტიალე სახიობი უსირცხვილოდ ცრუობდა და ყველა ქვეყნის ადგილობრივ მკვიდრთ, სადაც კი განგების ძალით ყოფნა მოუწევდა, ამ მრავალნაცადი ხერხით აბრიყვებდა, რათა სასმელ-საჭმელი დაეცინცლა, კუჭი გამოეძღო და მშიერი ამხანაგებიც დაეპურებინა.

მეტისმეტი ხელმომჭირნეობა და წუწურაქობა არც აქაურებს გამოუჩენიათ. სიხარულით მოარბენინებდნენ, ვისაც რა გააჩნდა და დაცარიელებულ აბგებს კეცებიდან წამოყრილი პიწკინა მჭადებით, ჭყინტი ყველით, პრასის, ჭარხლის, ნივრისა და კომბოსტოს წნილით, სახსნილოთი და სამარხვოთი ავსებდნენ. სასურველი სტუმრებისათვის, ვისგანაც ცის გახსნას და ათას სასწაულს მოელოდნენ, არც ძველი და ახალი ღვინო დაუკლიათ, მხოლოდ ჭურჭელს ვერ ელეოდნენ, ღვინოს სხვა ჭურჭელში — ჩაფში, თუნგში ან ტაგანაში გადაუცლიდნენ, სველ ტიკჭორას კი ფაქიზად დაახვევდნენ და იდლიაში ამოიჩრიდნენ.

ვისაც ბედი სწვეოდა და წარმოდგენა უკვე ენახა, უამისოდაც გაღვივებულ ცნობისმოყვარეობას კიდევ უფრო აღვივებდნენ და სხვებზე მეტ მოუთმენლობას იჩენდნენ. სხვა სანახაობაზე მეტად ხალხს მოშინაურებული მურა დათვებისა და მათი ოინების ნახვა იზიდავდა. ეს დათვები, თავიანთ გამწვრთნელებთან ერთად ხიდან ხეზე გაბმულ თოკზე დასეირნობდნენ, ბრდღვინვა-ბრდღვინვითა და ალმასივით ალესილი კბილების ღრჭენით ყირას ჭიმავდნენ და შემდეგ მიწაზე ბურთივით დამრგვალებული ვარდებოდნენ. ბევრს ვერც დაეჯერებინა, რასაც საკუთარი ორთავ თვალით ხედავდა. დათვები კი არა, დათვის ტყავში გახვეული კაცები არიანო, მაგრამ ჰაერში გაჭიმულ თოკზე სეირნობა და მისთანანი კაცისთვისაც მიუწვდომელი იყო და თუ ამას ვინმე მაინც ახერხებდა, რასაკვირველია, ზებუნებრივი ძალები, ღმერთი ან ეშმაკი ეხმარებოდა.

ხალხს, მეტადრე ბავშვებს, დათვებზე არანაკლებ აჯადოებდა ორი წავივით შავი მაიმუნი, რომლებიც სიცივისაგან მობუზულნი ძიგძიგებდნენ ბამბუკის გალიაში, ალტაცებული ბრბოს ღრიანცელს აინუნშიაც არ აგდებდნენ, წამდაუწუმ მეყალიონე ბერიკაცებივით ახველებდნენ, იპურჭყებოდნენ, და ყველაზე უფრო აბეზართ სისხლივით წითელ უკანალს აჩვენებდნენ.

— ეგეც თქვენ, ეგეც თქვენ, მამა ვაცხონე მაგათი, აღარ მოეშვებით?

ხალხი, თითქოს ყველა სადარდელი და თავში საცემი ერთბაშად გადავიწყებიაო, იცინოდა, ხარხარებდა, ერთიმეორეს ასკდებოდა.

მაიმუნებს მათზე არანაკლებ საკვირველი დასანახავი ორი ჯუჯა ჰყავდათ მიჩენილი, ქალი და კაცი. თუ ზურგის მხრიდან შეხედავდი და წინასწარ შეთვალთვალებული არა გყავდა, იქნებ ორივე ბავშვებად მიგეღო, რადგან სამოთხ წელზე მეტს არც ერთს არ მისცემდი. მიუხედავად ამისა, გაურკვეველი ასაკის ჯუჯა-ქალი უკვე მოხუცებული იყო, თუმცა ერთი ციდა ფუმფულა ტანი კვლავ კოხტად და მოხდენილად ეჭირა. სახე ნაღვლიანი და დანაოჭებული ჰქონდა. ირგვლივ მოზურზუტე მილე-

თის ხალხს და თავის სამარცხვინო სიშიშვლეს, ჭიპამდე აზიდული მარმაშის მოკლე კაბა რომ ვერ უფარავდა, იოტისოდენა ყურადღების ღირსადაც არ ხდიდა. სამაგიეროდ, კაცი, უფრო სწორად, კაცუნა, გოროზი და ეჭვიანი ჩანდა. ახლობელი ქალის სიშიშვლეს, რომლის დაუბრკოლებლივ ხილვა ყოველ გარყვნილსა და არამზადას შეეძლო, ჯერაც ვერ შესჩვეოდა და მზად იყო, ყველა სრულფასოვანი მამაკაცისათვის თვალები ამოეთხარა, ამის სულ მცირედი შესაძლებლობა რომ ჰქონოდა. ხალხს, უფრო კი შუაბაზრის ლაზღანდარა ბიჭბუჭობას, სიცილადაც არა ჰყოფნიდა ჯუჯა რაინდის წრესგადასული ეჭვიანობა.ის მხოლოდ პირველი ყვავილობიდან კარგა ხნის წინათ გამოსულ, ბევრის მნახველ ჯუჯა-ქალს აბრაზებდა, ვინაიდან, თუ გამომეტყველებას დაუჯერებდი, საბრალო ვაჟისადმი გულში რაღაც სიყვარულთან მიმსგავსებული გრძნობა ჰქონდა და ვგონებ კიდევაც ეცოდებოდა.

სანახაობა ცარცით სახემოთხუპნულმა ჯამბაზებმა დაიწყეს. ისინი სულ სამნი იყვნენ და ვარდივით გადაშლილი ფორთოხლის ლებნებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. თავზე სამივეს მაღალი, წოწოლა ქუდი ეხურა, ოსმალური ფესკის მინამსგავსი, წიწიბოზე ფუნჯგამობმული. ტანთ წითელი და ყვითელი ფარჩის ფართხუნა შარვლები და ფარჩისავე ფართოსახელოებიანი, გულმოღეღილი პერანგები ემოსათ. ნახერხმობნეულ ასპარეზზე პირდაპირ კარვიდან ისკუპეს, მიწას ხელები მწყობრად დაჰკრეს, ჰაერში ჩიკორივით დაბზრიალდნენ, მერე ასევე მწყობრად, შეთანხმებულად, მიწაზე დახტნენ და გამხიარულებულებმა, თითქოსდა ამათზე ბედნიერი ქვეყნიერებაზე კაცი-სულიერი აღარ მოიძებნებაო, ხელები ასწიეს, მუხლებში ოდნავ ჩაიხარნენ და მაყურებელს ოთხივე კუთხივ თავი დაუკრეს.

ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა სანახაობა ჯერ არ იწყებოდა და წინ ჯერ კიდევ მეტი, ამაზე უფრო საკვირველი და თვალწარმტაცი ამბები ელოდათ.

შემდეგ ის ყვავილისაგან ცხვირ-პირდაჩეხილი, ნიკაპჩამოგრძელებული ქოსა კაცი გამოვიდა. თავზე ჩალმა ეხურა, ფეხთ უძიროები ეცვა, ბეჭებზე კი თოვლივით თეთრი ხალათი წამოესხა.

ამას, როგორც ნაცნობსა და თავისიანს, ხალხი კიდევ მეტი ყიჟინითა და ჟრიამულით შეეგება. ქოსამ, ბრბოს რომ აღმოსავლური წესით მიესალმა, ხელები მოიფშვნიტა და ფაყვე ტაში შემოჰკრა. სადღა იყო საცოდავი ხეიბარი, სულ ცოტა ხნის წინათ გულუბრყვილო მსმენელებს თავს რომ აბრალებდა და ულვთოდ დამტვრეული ქართულით სამწუხარო ამბებს მოუთხრობდა! ახლა ის ძლევამოსილი ხონთქარივით ლაღი და ყოვლისშემძლე ჩანდა. ტაში შემოჰკრა თუ არა, ორმა ბრჭყვიალასაყურებიანმა დერვიშმა კარვიდან ოთხკუთხა მაგიდა შემოიტანა. მაგიდაზე მტრედებით სავსე გალია იდგა. ქოსამ გალია წკეპად აიღო, თავს ზემოთ ასწია, რომ შიგ შეყუჟული მტრედები ყველას დაენახა, წრე შემოატარა, პაწია ჯადოსნური ჯოხი მიუკაკუნა და გალია ზე შეისროლა. ის რომ ჰაერში გადატრიალდა და ქოსამ ჰაერშივე დაიჭირა, პირდაღებულ მაყურებლებს განცვიფრების გმინვა აღმოხდა: გალია ცარიელი იყო, მტრედები სადღაც გამქრალიყვნენ. ატყდა ჩურჩული, მითქმამოთქმა და პირჯვრისწერა, ღმერთო დიდებულო, შენი სახელის ჭირიმე, ნუ გადაგვრევო. ხალხი ამ დღეში იყო, როდესაც იმავე დერვიშებმა, მაგიდა რომ შემოიტანეს, კარვიდან მტრედები გამოაფრინეს და თითქოს ეს საკვირველი ჯადოსნობა სწორედ მათ ჩაედინოთ და არა ქოსას, მაყურებლებისათვის თავის დასაკრავად გარეთ გამოვიდნენ.

ქოსამ ამასობაში ჩალმა მოიხადა, ერთ-ერთ დერვიშს გადაუგდო და თავზე რაღაც ქოთნისმაგვარი ფარფლებიანი ქუდი დაიხურა. ქუდზე წყლით

პირამდე გაპიპიწებული ჰიქა ედგა. ჯერ წრეს შემოუარა, თანაც ისე, ჰიქიდან რომ ერთი წვეთი წყალიც არ გადმოღვრია, მერე ჰიქა ორივე ხელით ფრთხილად ჩამოიღო, მაგიდაზე დადგა, ზედ თავისი ქოთნისმაგვარი ფარფლებიანი ქუდი დააფარა და ქუდს ჯოხით შეეხო. ქუდი რომ აიღო, გაოცებულმა ხალხმა ერთხელ კიდევ ყრუდ ამოიხვნეშა და ხელახლა ატყდა ჩურჩული და გამალებული პირჯვრისწერა: ჰიქა იმავე ადგილას იდგა, მაგრამ ის წყლით კი არა, უკვე რძით იყო სავსე!..

— ქრისტე ეს ყოფილა, მე და ჩემმა ღმერთმა! — წამოიძახა კიკინებჩამოზრდილმა თავყვითელა ბიჭმა. — მითხარი ერთი, ამაზე მეტი რა ქნა ქრისტემ!

— ღმერთს ნუ სცოდავ, შე საპყარო, ქრისტე კი არა, ავი სულია, ვერ უყურებ, დასავსებ თვალებს რანაირად აყვარყვარებს? — შეუტია მას ნაბდისქუდიანმა შუახნის გლეხმა.

— აცალეთ, კაცო, თავის საქმე, არ გინდათ, ითამაშოს? — აღშფოთდა ვერცხლის ქამრით წელდამშვენებული ვაჰარი და ორივე დატუქსა.

ქრისტეს სახელის ხსენება საბედისწერო გამოდგა. მაყურებელთა ბრბო თვალის დახამხამებაში ორ უთანაბრო ნაწილად გაიყო. ერთნი სანახაობის გაგრძელებას მოითხოვდნენ და განი, განიო, ყვიროდნენ, ხოლო მეორენი, მტრულად განწყობილნი, ყოველივე ამას სულის წამწყმედ ჯადოქრობად, ეშმაკეულის მიერ ცდუნებად თვლიდნენ და ბალაგანის დასარბევად ხელებდაკაპიწებული მიიწევდნენ.

ეს იქნებ ასე მომხდარიყო და ბალაგანისაგან ბუნდღაც აღარ დაეტოვებინათ, რადგან მოხეტიალე სახიობთა ქომაგნი გაცილებით ცოტანი აღმოჩნდნენ, ვიდრე მტრები, თანაც ქომაგების რიცხვი წუთ-წუთობით მცირდებოდა, უცაბედად ატეხილ აყალმაყალს ციხიდან გამოგზავნილი ცხენოსანი იანიჩრების რაზმი რომ არ შესწრებოდა და აღგზნებული რბო იარაღის ძალით არ გაეფანტა.

აგარიან მეციხოვნეთ თვით მოხუცებული იანიჩარ-აღა მოუძღვა, ხალხი ჯიქურ, ცხენდაცხენ გაარღვია და გეზი პირდაპირ ათასი საიდუმლოებით სავსე კარავისაკენ აიღო. მალე კარვიდან წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად გადაცმული, სასაცილოდ შეღებილ-შეთითხნილი სახიობები გამოიყვანეს, ჯიკავ-ჯიკავითა და ცემა-ტყეპით ერთიმეორეს ჯაჭვით გადააბეს და სამსხვერპლო პირუტყვის ჯოგივით წინ გაირეკეს. დაფეთებული მაიმუნები გალიის კედლებს აწყდებოდნენ და ყურისწამღებად წიოდნენ, ბრჭყალებდაჭრილი, დაბეჩავებული, პირზე ტყავის სადრუნჩეწამოცმული მურა დათვები კი ადამიანებზე მეტ უდრტვინველ მორჩილებას იჩენდნენ და პატივახდილ პატრონებს ძუნძულით მისდევდნენ. ჯუჯები ჭრელი ხურჯინის სხვადასხვა თვალში ჩაეტენათ, ხავერდის მუთაქებივით და შიგ რომ არ ამოგუდულიყვნენ, ზემოთ მხოლოდ თავები უჩანდათ. ჯუჯა-ვაჟი თვალებს გოროზად აცეცებდა, ისევ მზად იყო, გულის რჩეულის შეუბღალავი ნამუსის დასაცავად თუნდ მთელ საკაცეთს შებმოდა, მაგრამ ხელ-ფეხი გაბორკილი ჰქონდა და განძრევაც ვერ მოეხერხებინა. ბევრის მნახველი და გადამტანი ჯუჯა-ქალი სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ეტყობოდა, ქვეყნიერებაზე აღარაფერი უკვირდა და თავი ისევე ღირსეულად ეჭირა, როგორც ადრე...

ხალხმა პირი იბრუნა და ახლა იანიჩრებს შემოესია, გაგვაგებინეთ, რა ხდება, ამ ცოდვის შვილებს სად მიაწოწიალებთ, ვისთვის რა დაუშავებიათო.

ცნობისმოყვარეთა თავგამოდებულ მოძალებას იანიჩრები მათრახებით იგერიებდნენ. ნაბრძანები იყო, იარაღი არამც და არამც არ ეხმარათ. პასუხის ღირსადაც არავის ხდიდნენ, თუმცა რიგიანად არც მათ გაეგებოდათ, რა ხდებოდა, სად ან რისთვის მიათრევდნენ ლუკმაპურის საშოვრად საიდანღაც ჩამოხეტებულ მაწანწალებს.

ბალახვანს ხეირიანად გაცილებული არც კი იყვნენ, ხალხში რომ ახალი ქრი-

ამული და აურზაური ატყდა. იანიჩრებმა, ემანდ საფრთხეს არ გადავეყაროთ და ცხვირი არ წავამტვრიოთო, სამასხარაო ჭრელ-ჭრულებში გახვეულ ტყვეებს მათრახები უშხუვლეს და ცხენებიააჩქარეს.

უხსოვარ დროს აშენებული ქვის ხიდზე, რომლის უკანაც, ერთი-ორი საათის სავალი გზის მოშორებით, კრაზანების ბუდე გვიშტიბის ციხე იდო, აჩიკბაშთა ცხენოსანი რაზმი შემოდიოდა და ქუჩას ფილაქანზე ასხლეტილი ფლოქვების თქარუნი ავსებდა. რაზმს წინ მძიმედ შეჭურვილ საომარ ცხენზე ამხედრებული და თავადაც საომრად ჩაცმული წარჩინებული ბატონი მოუძღვოდა. ეს იყო სწორედ ქვემომხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე, რომელსაც ჩვეულებისამებრ, სამეფოს დასავლეთი საზღვარი შოევლო, აქა-იქ მეციხოვნეები შეეცვალა და თავისი ფიცის კაცების მცირე ლაშქრითურთ ახლა ხელმწიფესთან შესაყრელად ვარციხისაკენ მიემართებოდა.

ხალხი, თოფ-იარაღში ჩამჯდარ თავისიანებს რომ თვალი ჰკიდა და ომებში გამობრძმედილი ჭაღარა სარდალიც იცნო, გათამამდა და ციხის კედლებს გარეთ დაგულებულ იანიჩრებს წინასწარ ჩასაფრებული ნადირივით მიეტანა.

— თავი დოუარეთ, არსად წაგივიდეთ ეგ ურჯულოები! — დასჭყივლა ბრბოში ვიღაცამ და ეს ერთი მოწოდება საკმაო გამოდგა, რომ ხალხს მხნეობა მოეკრიბა, შენივთებულიყო და იმათ დასაცავად, ვისაც წელან თვით უპირებდა კბილით დაფლეთას, გადამთიელ მტერს შებმოდა. საიდანღაც გაჩნდა თოფი და დამბაჩა, სხვებმა სატევრები იშიშვლეს, დანარჩენებმა მარგილებს სტაცეს ხელი და ქუჩის გასწვრივ გაყოლებული ტყრუშული ღობე წამს ფიჩხის უწესრიგო გროვად აქციეს. სისხლის დაღვრა თითქმის გარდაუვალი ხდებოდა, სრულიად შემთხვევით შემოსწრებულ ფიცის კაცებს რომ არ ემარჯვნათ და გამხეცებულ ბრბოსა და შისაგან საქციელწამხდარ აგარიან მეციხოვნეთა შორის არ ჩამომდგარიყვნენ.

— რას სჩადით, თქვე შეჩვენებულებო, გინდათ, დედა-ბუდიანა ამოწყდეთ და ქვეყანაც პირწმინდად ამოაგდოთ? — მჭექარე ხმით შესძახა ბერი ლორთქიფანიძემ, ქამრიდან დამბაჩა იძრო, ჰაერში დასცალა და ცხენი ყალყზე შეაყენა. — დეიხიეთ უკან, დაყარეთ იარაღი, ვის ვეუბნები მე!

— არ გოუშვა, თავადო, ეს ღორისშვილები, ციხეში შეგასწრებენ! — პასუხის მაგიერ გაისმა ხალხში და ლორთქიფანიძის ფიცხელი შეძახილით შეყოყმანებული ბრბოც ხელახლა შეინძრა, შეტორტმანდა, ცალ მხარეს გაიწელა და კალაპოტიდან ამოვარდნილი ღვარცოფივით წინ გაექანა.

სარდალმა დეზი ჰკრა ცხენს, მხლებელ ფიცის კაცებს უსიტყვოდ ანიშნა, მომყევითო და ხალხს დაედევნა. ქუთაისის ციხისთავ მამედ-ალი კიკიან-ფაშასთან ურთიერთობის გამწვავება ახლა არ ივარგებდა და მეფეც პირველ საყვედურს მას, ბერი ლორთქიფანიძეს, ეტყოდა, თუ რაღაცის გამო გადარეული ხალხის დაშოშმინებას ვერ მოახერხებდა და ან ერთი და ან მეორე მხრიდან სისხლი დაიღვრებოდა.

შუა ბაზარში, ასიოდე წლის წინათ დროის უკუღმართობით გაუქმებული და ქურდბაცაცებისა და ყომარბაზების ბუნაგად ქცეული ძველისძველი საყდრის წინ, ბრბო ვიღაც თავჩალმიან მხედარს შემოსეოდა, თოფ-იარაღი აეყარა, მათრახიც კი წაერთმია, ცხენისათვის ალვირში ხელი ჩაევლო და, თუმცა მხედარი მაინც წინააღმდეგობას ეწეოდა, აქეთ მოათრევდა.

ბერიმ სადავე მოზიდა ცხენს და გააჩერა. მოედანი ხალხით იყო სავსე. შეშინებულ ვაჭრებს დუქნები დაეკეტათ, დარაბებიც საიმედოდ ჩაეგმანათ რკინის ურდულებით და გულხელდაკრეფილნი ქუჩაში სეირის საყურებლად გამოსულიყვნენ. ხალხის მიერ შეპყრობილი და განიარაღებული ოსმალო

თვით იანიჩარ-აღა იყო. იანიჩარ-აღას ბერი იცნობდა. ხან მეფის ბრძანების აღსასრულებლად და ხანაც სხვა საქმის გამო, ციტადელშიაც და ციტადელს გარეთაც, რამდენჯერმე კიდევაც შეხვედროდა. როგორც კი ახლო მოიყვანეს, ოსმალურად მიაგება:

— სალამ ალეიქუმ, მეჰმედ-აღავ, ამისთანა რა შეგიცოდავს, კაცო, რომ ხალხი ციხეში აღარ გიშვებს?

იანიჩარ-აღამაც შორიდანვე იცნო ბერი ლორთქიფანიძე, გულში იმედი გაეღვიძა, ბრბოს მძვინვარებისაგან იქნება ამან მაინც მიხსნასო და თავი მოისაწყლა, ქვემომხრის სარდალს ხალხის უმრავლესობისათვის გაუგებარ ოსმალურ ენაზევე უპასუხა:

— შეასმინე ამათ, თავადო, რომ ჩვენ ჯარისკაცები ვართ, ცათა სწორი ბედნიერი სულთანის ერთგულების ფიცი მიგვიღია და რასაც ზემდგომი უფროსი გვიბრძანებს ის უნდე მოვიმოქმედოთ, თუ არა და, მაღალი ალაჰისა და მისი წინასწარმეტყველის ნებით, დედა გვეტირება!

— შეუშვით ხელი, — მიმართა ხალხს ლორთქიფანიძემ და ყურადღება დაძაბა. — თქვას, რა უნდა!

— ქალაქში მოხეტიალე ჯამბაზები და მუშაითები შემოვიდნენ, — აცალა, ვიდრე ჩამოეხსნებოდნენ და კვლავ ოსმალურად განაგრძო ბებერი ხარივით კისერდანაოჭებულმა იანიჩარ-აღამ. — ჩვენი წერილობითი ნებართვისა და დასტურის მიუღებლად ბალახვანში სახალხო სანახაობა ვამართეს. მის აღმატებულება ფაშას, — საძულველ უფროსს —მამედ-ალი კიკიანს, იანიჩარ-აღა ისე არ ახსენებდა, წინ „მისი აღმატებულება“ რომ არ დაერთო და ამით თავისი მოწიწება არ გამოეხატა. — რაყამი აქვს ახალციხიდან. ამ ჯამბაზებს ჩვენ დიდი ხანია ვუცდით და ვუდარაჯებთ. ზოგმა თქვა, ჯიქეთში ვნახეთო, ზოგმა — სამურზაყანოშიო. გუშინ მაღალი ალაჰი შეგვეწია და...

— რას ემართლებით? — მოხეტიალე ბალაგანის მოსვლა იმერეთში ყოველთვის დიდ დღესასწაულად მიაჩნდათ, მისი გამოჩენა კარგად ჰქონდათ დაცდილი, ხმაც დადიოდა, სახიობები კარგი ფეხისა არიანო, მათი ოინების ცქერა თვით ბერი ლორთქიფანიძესაც სხვებზე ნაკლებ როდი უყვარდა და იანიჩარ-აღას ეს დამცინავად ჰკითხა.

იანიჩარ-აღა ერთი შეყოყმანება შეყოყმანდა, გავამხილო თუ არა, რაც მისმა აღმატებულება ფაშამ გამანდოო და როდესაც დარწმუნდა, სხვანაირად თავს ვერ დაიხსნიდა და აქედან ცოცხალი ვერ გააწევდა, უთქმელობას ისევ თქმა ამჯობინა:

— დანამდვილებით მოგახსენებენ: ამ ჯამბაზებში და მუშაითებში ორი ავსტრიის მსტოვარი ურევია, სამხედრო შინაარსის ცნობებს კრებენ და ვენაში იმპერატორის კარზე აგზავნიან. ქვეყანა მსტოვრებით აივსო. სანამ საქმეს თავსა და ბოლოს არ გავუგებთ, ტუსაღებს ვერ გამოვუშვებთ ციხიდან. ისინი უკვე იქ არიან. შეიძლება ტრაპიზონში და იქიდან სერალში გაგზავნაც დაგვჭირდეს. მე ციხისთავის ბრძანებას ვასრულებ, თავადო, კიდევაც რომ ამკუწოთ, მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია. ერთი უბრალო ჯარისკაცი ვარ. ფაშას მიუგზავნეთ კაცები, ან თავი დაიმდაბლეთ და ციტადელში მიბრძანდით, იქნება მისმა აღმატებულებამ... ახლა კი გვიქენით სიკეთე, უბრძანეთ, ამ ხალხს, ჩამოგვეცალოს, ბედნიერი სულთნის ნებას ნუ ეურჩებიან და მხედრული მოვალეობის შესრულებაში ხელს ნუ გვიშლიან!

— რომ არ ჩამოვეცალოთ? — მამლის ყივილივით გაისმა ხალხში. — რა ფეხებს მოგვჭამს?

ბრბო ამ სიტყვებს სიცილითა და ღრიანცელით შეხვდა. ენაკვიმატი აიტაცეს და კარგა ხანს ჰაერში აბურთავებდნენ.

ბერი ლორთქიფანიძემ მათრახიანი ხელი ასწია, სმენა და გაგონება მოითხოვა. იანიჩარ-აღამ ამით ისარგებლა და როგორც კი უთავბოლო ყაყანი მინელდა და წუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა,

როყიო წამოძახილის საპასუხოდ სარდალს მიმართა, ოღონდ ისე, რომ მოედანზე ყველას გაეგონა:

— ჩვენ იძულებული გავხდებით, იარაღი ვიხმაროთ და ქალაქს ზარბაზნები დავუშინოთ!

— რა თქვა?

— რაიო?

— რას ვიზამო, რასაო? — ისევ აყაყანდა ხალხი.

— იარაღს ვიხმართ, ქალაქს ზარბაზნებს დოვუშენთო.

— ჯერ ციხეში შეიტანოს სული და და ზარბაზანით მერე დაგვემუქროს!

ლორთქიფანიძის ზურგსუკან მდგომ ფიცის კაცებს ერთი ჭაღარა მხედარი გამოეყო და თავისი სანდომიანი სახისათვის შეუფერებელი მჭახე ხმით დაიძახა:

— სმენა იყოს და გაგონება! სარდალი სიტყვას ბრძანებს!..

— ძმებო და შვილებო, — ღმობიერად დაიწყო ბერიმ, როგორც კი ხალხმა ყურად იღო დარბაისელი ფიცის კაცის მოწოდება და ოდნავ მიწყნარდა. — იანიჩარ-აღა მართალს ამბობს, ის ჯარისკაცია და თავის ჯარისკაცურ მოვალეობას ასრულებს. ბევრმა, ვინც თათრული იცით, უკვე გაიგეთ, რაც თქვა: ჯამბაზებში, ჩვენ რომ უბრალო მაწანწალა სახიობები გვგონია, ორი ავსტრიის იმპერატორის მსტოვარი ურევია. ჩვენ, ლიხთიმერეთი, სულთნის ყმადნაფიცი ქვეყანა ვართ, ჩვენს მეფეს, მის უმაღლესობა სოლომონს, სულთნის ულალატობის ფიცი აქვს დადებული...

— ტყვისმსყიდველი ქაჯაია როუყავით, თქვენ თუ კაი ხალხი ბრძანდებით? — მორღვეული კლდის ნატეხივით ისროლი ვიღაცამ შუაგულ მოედანზე. — როუყავით ტყვისმსყიდველები, ჩვენი სისხლის მწოველები?!

ბერი შეცბა, ფერი ეცვალა, არ მოელოდა, თუ მის წოდებას, ოჯახიშვილობას, ქვეყნის წინაშე დამსახურებას და ჭაღარას ვინმე ამღენს შეჰბედავდა, ქაჯაიას ამბავსაც მას მოჰკითხავდა და წლობით ნაგროვებ გესლსა და შხამს თავზე გადმოაღვრიდა.

— მოიცათ, ხალხო! — საქმეში ისევ ფიცის კაცი ჩაერია. — რომელია, ქვეყნის პატრონობას რომ იჩემებს და ყველა სხვას ლაფში გვსვრის? ზრდილობა სად დაკარგე, ყმაწვილო! გვეცი პატივი, ორი სიტყვა ჩვენც გვათქმევინე!..

— სად არის, სად, გვანიში ქაჯაია? — უფრო დაჟინებით გაიმეორა იმავე ხმამ ხალხის წიაღში. — სად არიან მისი დამქაშები? ამ ხელებით დევიჭირე! კიდამე ხანჯალი გამიყარეს მუცელში... გადამალეთ, ხომ? გული არ დაწყვიტოთ მეფის ყონაღ წულუკიძეებს? აბა, სხვა ვინმე ჩაგვარდნოდათ ხელში! ეგ არის თქვენი სამართალი?

ბერი დაიბნა, გულს მოწოლილი მრისხანებისაგან ნიკაპი უცახცახებდა, უნდოდა დაეძახა, ვინ არის ეს შფოთისთავი, შეიპყარით, ხელებზე ბორკილი დაადეთ და ახლავე აქ მომგვარეთო, მაგრამ მიხვდა, მსგავსი მოთხოვნის წამოყენება გამიზეზებულ ხალხს უფრო აალელვებდა და გადარევდა, მას კი სამუდამოდ სახელს გაუტეხდა და ისევ მრავალნაცადი ლმობიერი სიტყვებით სცადა ხალხის დამშვიდება:

— მომითმინეთ, ძმებო და შვილებო, ყური მათხოვეთ!..

ახლა უკვე სხვები აყვირდნენ:

— ძმებო და შვილებო!..

— თქვენი ძმები და შვილები მაშინ ვართ, როცა გაგიჭირდებათ და დანას კისერზე მოგაბჯენენ, მაშინ ვართ თქვენი ძმები და შვილები?

— სხვა დროს ძაღლივით გვყიდით და წურბელასავით ჩვენს სისხლში იხრჩობით!

— ჭირი მაგათ და გადაშენება! არ გვინდა მაგათი არაფერი! მაგათ თავს ისევე გადამთიელი თათარი მირჩევნია. ქემაინც ვიცი, რომ საშველი არ არის და არ არის! მაგათ დაგვასვეს თათარი თავზე, მაგათ გაგვყიდეს, რჯულიც მაგათ წაგვიპილწეს და ხატიც!..

ბერიმ შეატყო, ვითარება მეტისმე-

ტად დაიძაბა, იგი უკვე საშიშ სახეს იღებდა და ბედს იწყევლიდა, რომ გზად მომავალი უნებლიეთ ამ შარსა და დავიდარაბაში გაეხვია. ხალხის ამგულიანებელი და დამწვარზე მდუღარის დამსხმელი ბოროტმოქმედის ძიება და შეპყრობა ახლა დაგვიანებული და მოუხერხებელი იყო, რადგან ყველა მას უდგა გვერდში და არავის გაცემას არ მოინდომებდა, მაშ, რა ეღონა?

— მოგვეცით იანიჩარ-აღა! ჩვენ ვიცოდეთ და მაგან! ჩვენს საქმეში ნურავინ ერევა! იანიჩარ-აღა მოგვეცით!

ფიცის კაცები მჭიდრო რკალად შემორტყმოდნენ შიშისაგან ენაჩავარდნილ იანიჩარ-აღას და სარდლის ბრძანებას ელოდნენ. იქნებ მართლა აჯობებდა, ეს ერთი ზვარაკი ხალხისათვის მიეგდო და ამით მისი რისხვა დაეცხროთ?

ლორთქიფანიძემ სხვა გადაწყვეტილება მიიღო:

— ციხის კარიბჭემდე უნდა მივიყვანოთ, მომყევით, ღმერთი არ გაგიწყრეთ, იარაღი არავინ იხმაროს!..

ამ დროს იჭექა სწორედ ზარბაზანმა სადღაც წყალგაღმა და ქუხილმა მთელი მიდამო შესძრა. გავარდა კიდევ ერთი, ორი...

## თავი XVIII

სროლა ციტადელიდან ასტეხეს და კარგა ხანს არც შეუწყვეტიათ. ქალაქი შიშის ზარმა მოიცვა. ცოტა დრო როდი იყო გასული, რაც აქ ზარბაზნის ხმა აღარავის გაეგონა! მხოლოდ ნაშუადღევს გახდა საჩინო, რომ სროლას არც მსხვერპლი და არც რამე სხვა ზარალი არ მოჰყოლია. ზარბაზნებს ხალხის შესაშინებლად და დასაწყნარებლად ისროდნენ. ციტადელში გამაგრებულ კიკიან-ფაშას, როგორც ჩანდა, მტრის ჯეროვანი დახვედრის დაუღალავ სამზადისში გართულ სოლომონზე ნაკლებ როდი სჭირდებოდა დიდი შრომითა და გაძრომ-გამოძრომით ჩამოგდებული ზავი. უკეთუ მრავალრიცხოვან მარბიელ ლაშქარს ·არ გამოაგზავნიდნენ და აჩიკ-ბაშთა თავგასული მეფის ბედს იარაღის ძალით არ გადაწყვეტდნენ, ამასობაში იქნებ მაშველი ჯარი მაინც მოსვლოდა და გული საგულეში დაეგულებინა.

ვარციხეში ჯეროვნად შეაფასეს ქუთაისელ მეციხოვნეთა სიფრთხილე და წინდახედულობა. მოხეტიალე სახიობების შეპყრობა და ციტადელის ოთხკედელშუა გამომწყვდეევა სხვა ვითარებაში მეფეს ძალის გამოყენების მშვენიერ საბაბად გამოადგებოდა , მაგრამ ქარქაშიდან ხმლის ამოწვდა დღეს მაინც ნაადრევი ჩანდა და დარბაზის ერიც თითქმის ერთხმად წინ აღუდგა შეურაცხყოფისაგან აპილპილებულ სოლომონს, რომელიც ქუთაისში ელჩების გაგზავნას, კიკიან-ფაშას წინაშე გულისწყრომის გამოცხადებას და შეპყრობილთა გამოსახსნელად მოთხოვნის წაყენებას ვარაუდობდა.

სოლომონი მალე დარწმუნდა, რომ ეს მუქარით აღსავსე მოთხოვნა, თუ იგი არ შეგისრულებიათ, შედეგი, რაც ამას მოჰყვება, საკუთარ თავს დააბრალეთო, სასიკეთოს არაფერს მოიტანდა, პირიქით, შესაძლოა, კიდევ უფრო წაეხდინა საქმე, რადგან საიმედო საფარში მყოფი ფაშა ყურსაც არ შეიბერტყავდა და სოლომონი იძულებული გახდებოდა, ციტადელის ხანგრძლივი და ძვირად ღირებული ალყისათვის მიემართა.

— მაშ, რას მირჩევთ როგორ მოვიქცე? — დაეკითხა გაალმასებული მეფე დარბაზის ერს. — თუ კიკიანს ეს თავგასულობა შერჩა და ჩემგან საკადრისი პასუხი ვერ მიიღო, ხვალ შეიძლება სასახლეშიაც შემომივარდეს, არ იკმაროს, ჩემი პალატები რომ უკავია, და

აქ თავისი მართვა-გამგეობა დამიწესოს! რა უფლების ძალით დააკავა ხალხი, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ, ციხის კედლებს გარეთ? ვინ მისცა ნება, ჩემს საბატონო ქვეყანაში რომ პარპაშობს და აქ ჩირადაც არავის აგდებს?

უწმიდესმა კათალიკოსმა ბესარიონმა, რომელსაც მეფის ძმა გენათელი მიტროპოლიტი იოსები, დედოფალთ-დედოფალი მარიამი და ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძეც მოიარებით მხარს უჭერდნენ, სახელმწიფო ბეჭდის მცველმა გიორგი წულუკიძემ, მოლარეთ-უხუცესმა პაპუნა წერეთელმა, ფარეშთ-უხუცესმა ზურაბ მიქელაძემ და ქვემომხრის სარდალმა ბერი ლორთქიფანიძემ რიგ-რიგობით გაიმეორეს თავიანთი მოსაზრება კიკიან-ფაშასთან გონივრული ზავისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნების თაობაზე. დროული და საქმეში ჩახედული კაცები: ბერი ლორთქიფანიძე, გიორგი წულუკიძე, პაპუნა წერეთელი და ზურაბ მიქელაძე ქუთაისის ციხის დალაშქვრას ახლო ან შორეული მომავლის საქმედ თვლიდნენ, როდესაც იმერეთში რუსხელმწიფის ქრისტესმოსავი ჯარი შემოვიდოდა და აულებელი ციხის საშ-ოთხადლიან კედლებს ზარბაზნებს მიუშვერდა.

გულში ამათ მხარეზე იხრებოდა ციხისთავი და ქეშიკთუხუცესი ქაიხოსრო აგიაშვილიც, ვის აზრსაც ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ მეფე ისე იყო აღგზნებული და გაცეცხლებული, ყოველთვის პირუთვნელი ოკრიბის ბატონი ამჯერად თავს იკავებდა და ცდილობდა, არც მწვადი დაეწვა, არც შამფური. ბატონის სიფიცხე მხოლოდ შედარებით ახალგაზრდებს — ბოქაულთუხუცეს ბერი წულუკიძისა და ზემომხრის სარდალ ქაიხოსრო წერეთელს გადასდებოდა. ისინი მზადყოფნას აცხადებდნენ, უკეთუ კიკიანი-ფაშა მეფის კანონიერ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა, ლაშქარი დაუყოვნებლივ შეეყარათ და ციტადელი ალყის მარწუხებში მოექციათ.

სოლომონი უკვე დაეჭვებული იყო. სიყრმის თანაზიარ წულუკიძისა და წერეთლის მიმართ გულში წრფელი მადლიერება აღეძრა, მაგრამ აღარ ჩქარობდა: სხვისთვის ყველაფრისათვის რომ თავი დაენებებინა, არტილერიის უქონლად ციხეს აბა რას დააკლებდა, ალყა ეს თვით მას დააზარალებდა, ძალებსა და სახსრებს დაუქსაქსავდა. მერე რითღა შეგებებოდა საფაშოდან შემოზვავებულ ურუმთ?

მამედ-ალი კიკიან-ფაშას მეორე დღეს მაინც ეწვივნენ იმერეთის მეფის ელჩები — თამაზა მესხი და სულთამ ავალიანი — და ციხისთავს სოლომონის თავშეკავებული დანაბარები გადასცეს: მე არ ვიცი, ვინ არიან ეგ მოხეტიალე სახიობნი, შენ რომ ბალახვანში იმ დღეს შეგიპყრია, მაგრამ ვგონებ უმჯობესი იქნებოდა, თავად არ გარჯილიყავი და ყოველივე ჩვენთვის გემცნო კაცის პირით, განა მე, ბედნიერი სულთნის ერთგული ყმა და მოხარკე, უცხო ხელმწიფის მსტოვრებს, თუკი ასეთები ჩემს საბატონო ქვეყანაში ფეხს შემოსდგამდნენ, თავზე ხელს გადავუსვამდი და საკადრის პასუხს არ გავცემდიო?

კიკიანმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სოლომონის მიერ გამოგზავნილი კაცები პატივით მიიღო, კიდევაც გაუმასპინძლდა, გონების სასწორზე აწონა მეფის ორაზროვანი სიტყვები და სინანული გამოთქვა, რომ უბრალო გაუგებრობამ კინაღამ ახალი გაუგებრობა ჩამოაგდო და აჩიკ-ბაშთა ბრწყინვალე ბატონი, პირადად მისი კეთილისმყოფელი. სოლომონი არ მოამდურა. იქვე დასძინა, მე, ჩემმა მზემ, დიდი ალაჰის მადლმა თავიდან ეგ ამბავი არც კი გამიგია, იანიჩარ-აღას ჩემდა დაუკითხავად წაუყვანია ხალხი და იქ რაღაც უწესოება ჩაუდენიათ. ამჟამად დამნაშავეები დატუსაღებული მყავს და ციხის დილეგში სასჯელს ვახდევინებო.

რაღას ეტყოდი? კიკიან-ფაშას ყველაფერი გაეთვალისწინებინა, რომ იტყვიან, თავად ჰრიდა და თავადვე კერავდა.

თამაზა მესხმა მადლობა მოახსენა დიდმნიშვნელოვანი ცნობების მოწოდებისათვის, რომლებსაც სიტყვასიტყვით გადასცემდა თავის მეფეს, და ჩვეული სიფრთხილით, როგორც მხოლოდ თამაზა მესხს შეეძლო, შეპყრობილი მაწანწალების ამბავი გამოიკითხა.

ციხისთავი კიკიანი-ფაშა ამჯერად უფრო ფრთხილი და სიტყვაძვირი გამოდგა, ვიდრე მისი მოადგილე იანიჩარ-ალა და ზოგადი, თითქმის არაფრისმთქმელი პასუხით დაკმაყოფილდა, წუთით ფიქრში გაერთო, მძვინვარე გამომეტყველება მიიღო, მერე ვითომც უეცრივ გამოერკვა და საუბარი მაშინვე სხვა საგანზე გადაიტანა.

საღამოს, კარგად რომ დაბინდდა და ყველა სულდგმულმა თავის ბუდეს მიაშურა, რკინის ვეება ფურცლებით შეჭედილი ციხის ალაყაფის ჭიშკარი გააღეს და მოხეტიალე სახიობები, მშიერ-მწყურვალენი და ჩამოფლეთილ-ჩამოკონკილნი, შიმშილითა და სიცივით არანაკლებ შეწუხებული მაიმუნებითა და დათვებითურთ, ქუჩაში გამოყარეს. მათ აღარც ფაფარშეღებილი ცხენები გააჩნდათ და აღარც ოთხთვალა ფორნები, რითაც ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ და ბარგი გადაჰქონდათ, მაიმუნების გალიაც კი წაერთმიათ და ციტადელში დაეტოვებინათ.

დასს მისი განუყრელი სამი წევრი აკლდა: ორი ჯუჯა და ყვავილისაგან სახედაკენკილი, ნიკაპჩამოგრძელებული ხეიბარი, განცვიფრებული მაყურებლის თვალწინ სასწაულს სასწაულზე რომ ახდენდა და თავს უცხოეთის ტყვეთა ბაზარზე ოდესღაც გაყიდულ გურჯად ასაღებდა.

ჯუჯები და ხეიბარი, ორმოციოდე მხედრისაგან შემდგარი ბადრაგის თანხლებით, მომდევნო დილას გაგზავნეს ყულევში თუ გონიოში, სადაც სამივეს ხომალდის აშმორებულ სარდაფში ჩაჰყრიდნენ და კონსტანტინოპოლის შორეულ გზას გაუყენებდნენ.

მაგრამ ნამდვილად ასე მოხდა? შეპყრობილი სამეული მართლაც ავსტრიის იმპერატორის მსტოვარი იყო და კოკა წყალზე გაუტყდა? ვის შეეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, აუტკივარ თავს ვინ აიტკივებდა? მას შემდეგ, რაც იანიჩრებმა წინ გაიგდეს და ციტადელის ოთხკედელშუა დაამწყვდიეს, ჯუჯები და ხეიბარი თვალით აღარავის უნახავს, მხოლოდ, ბადრაგი დალანდეს და ისიც მაშინ, როდესაც იგი უკან მობრუნდა და ჩაძინებული ყარაულის გამოსაღვიძებლად ციხის ალაყაფზე კონდახების რახუნი ასტეხა.

მეფე სასახლის მეორე სართულზე, სატახტო დარბაზში ჩაიკეტა, სადაც ჩვეულებრივ დარბაზისერი იკრიბებოდა და რუსხელმწიფის საქმეთა რწმუნებულ კაპიტან ლვოვის წიგნის ხელახლა წაკითხვა ინება. წიგნი გიორგი წულუკიძესთან ინახებოდა სასახლის წიგნსაცავში და უმალვე მოართვეს. ლვოვის მიერ საკმაოდ გამართული ქართულით შედგენილ წიგნს სოლომონი უკვე იცნობდა, ორჯერ თუ სამჯერ თავიდან ბოლომდე გადაკითხული ჰქონდა, მაგრამ დილითვე ვიდრე ადგებოდა და მესაწოლე ფარეშების დახმარებით ტანთ ჩაიცვამდა, აზრი აეკვიატა, იქ ვგონებ რაღაც გაურკვეველი დამრჩაო და მთელ დღეს ახსოვდა, რომ წიგნი უნდა მოეტანინებინა და ერთხელ კიდევ დაკვირვებულად წაეკითხა.

იმერთა სამეფო კარზე ერთობ მიღებული და თავისი პიროვნული მომხიბლავობის წყალობით თითქმის შინაურ კაცად გადაქცეული კაპიტანი ლვოვი წიგნში იმასვე იტყობინებოდა, რაც ყიზლარის სანაპირო ციხე-სიმაგრიდან გამოგზავნილმა ფელდიგერმა მარიამ დედოფალსა და იმერთა მეფის კარისკაცებს სიტყვიერად აუწყა. ასე და ასე იყო ჩემი საქმეო, ლეკების ტყვეობიდან აქაური ციხის კომენდანტმა გამომიხსნა, რაც ქართულად მოურავს უნდა ნიშნავდეს, და ახლა რომ სული მიდგია, ანდა სხვა მართლმორწმუნე ქრისტიანებთან ერთად ტყვეებით მოვაჭრე ყირიმელ თათრებს არ მიმყიდეს, სწორედ მას უნდა ვუმადლოდეო.

ფელდიეგერს, ბრძანებისამებრ, ჯერ კახეთი მოევლო, თელავს მისულიყო, სადაც რწმუნებულ ლვოვს ასეთივე წიგნით კახბატონ ერეკლეს ხლებოდა, შემდეგ მეფე თეიმურაზიც მოენახულებინა ისნის სასახლეში და ქართლ-კახელ მოლაშქრეთაგან შემდგარი მცველი რაზმის თანხლებით, ურომლისოდაც უცხოს კი არა, შინაურსაც არსად წაესვლებოდა, ბოლოს ლიხის მთაც გადმოელახა.

დანარჩენს, რასაც ახლა სხვადასხვა გარემოების გამო ვერ გატყობინებთ, პირადად შეხვედრისას დაწვრილებით მოგახსენებთო, იწერებოდა დასასრულ კაპიტანი ლვოვი, იმისთანა არეული დრო დაგვიდგა, დღეს ქაღალდს ადვილად ვერ ვენდობით, ვაითუ მტერმა იგდოს ხელთ და თავს ღვთის რისხვა დაგვატეხოსო.

— მაინც როდისთვის ვიქონიოთ მისი აღმატებულება რწმუნებულის მოლოდინი? — საგანგებოდ მოწვეული თამაზა მესხის პირით ჰკითხა მოწყენილმა სოლომონმა ფელდიეგერს, უზადო თეთრ პანტალონებსა და ღილებგალაპლაპებულ ლურჯ საალუმო მუნდირში გამოწყობილ პირტიტველა რუსის ოფიცერს, რომელიც ჯერ ისევ სასახლეში იყო, საპატიო სტუმრის ყველა უფლებით სარგებლობდა და მოთმინებით ელოდა, როდის მიიწვევდნენ სადაც ჯერ არს კაპიტან ლვოვთან პასუხის გასატანებლად.

— ჯვრის უღელტეხილზე ისევ დიდი თოვლი დევს, — უპასუხა ძეწკვივით გაჭიმულმა ოფიცერმა, დეზებიანი ქუსლი ქუსლს მიარტყა და სამკუთხა ქუდი, მოხდენილად მოკეცილ მარცხენა ხელში რომ ეჭირა, თითქმის იღლიის ქვეშ მოაქცია. — ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა გადმოსვლა, მეგზურებად ადგილობრივი ოსები დავიქირავეთ, მაგრამ, გაგონილი გექნებათ, ნაკლებ სანდონი არიან და გასამრჯელოსაც მამასისხლად იღებენ. თერგზე ხიდები ჩანგრეულია. ორგან ხიდი ჩვენ გავადებინეთ. სხვაგან ცხენდაცხენ გადმოვედით. მალე თოვლი დნობას დაიწყებს, თერგი ადიდდება და გზები სულ შეიკვრის. ერთი სიტყვით, ჩვენ ღმერთმა გაგვიმართლა და უხიფათოდ ვიარეთ...

ახალგაზრდა ფელდიეგერთან ლაპარაკი წყლის ნაყვა და დროის უთავბოლო ხარჯვა იყო, რომელი გრაფი პანინის რწმუნება მას ჰქონდა, მაგრამ ეს საუბარი მეფეს რაღაც მხნეობას მაინც ჰმატებდა და ფელდიეგერს ღიმილით ჰკითხა:

— გამოდის, რომ თიბათვემდე უნდა ვუცადოთ? ვაითუ მაგ დროს ძვლებიც აღარსად იქნეს ჩვენი?

ფელდიეგერმა ნაღველში გავლებული ხუმრობა ვერ გაიგო, ანდა გაფაციცებულმა თამაზა მესხმა, მეფის სიახლოვეს წონასწორობა რომ ეკარგებოდა და სიტყვას სიტყვაზე ძლივს აბამდა, რიგიანად ვერ უთარგმნა ბატონის ნათქვამი, სოლომონს კვლავ სიტყვაშეუბრუნებელ მორჩილებაში მყოფი ჯარისკაცის მჭექარე ხმითა და სხაპასხუპით უპასუხა:

— მისი აღმატებულება კაპიტანი ლვოვი ყოველ ღონეს იხმარს, რომ თქვენს უმაღლესობას პირველი შესაძლებლობისთანავე ეახლოს!

— ახლა როგორ აპირებ-თქო, — მეფემ თვალები ასწია და სიმწრის ოფლში გაწურულ თამაზა მესხს შეხედა. — აქ დარჩება ლვოვის ჩამოსვლამდე თუ ისევ უკან უნდა გაბრუნდეს?

— ნაბრძანები გვაქვს, უკან გავბრუნდეთ, თქვენო უმაღლესობავ, თუ მიწამ არ გვიყო პირი, ადიდებულმა მთის მდინარემ არ მოგვიტაცა, ანდა სადმე ზვავმა არ დაგვიტანა, — ახალგაზრდა ოფიცერს, ეტყობოდა, სიამაყეს ჰგვრიდა ნამდვილი თუ წარმოსახული საშიშროებანი, რომელთა გადალახვა სამსახურებრივმა მოვალეობამ დააკისრა. — ღმერთი მოწყალეა, როგორმე გავაღწევთ. აქ შევიტყეთ: მამისონზე თოვლი ნაკლებია, ისე არ იქნება, გადასვლა

ვერ შევიძლოთო. თქვენი მოწყალე დახმარების იმედით ვცდით ბედს...

— არ გირჩევდით უკან გაბრუნებას. ქედზე ამ დროს ამინდი ყოველთვის იცვლება. აგერ რომ მზეა, მეორე წუთში ცა ცაირად ჩამოდის. შეიძლება, ზვავებმა გზა გადაგიკეტოთ და ვეღარც იქით წახვიდეთ და ვეღარც აქეთ წამოსვლა მოახერხოთ. თუ კიდევ ცოტა ხანს ჩვენთან დარჩებოდით, თქვენ და თქვენს მხლებლებს შესაფერ ბინას მოგიჩენდით და დიდმარხვის გაშუალებამდე იმერეთის სასურველი სტუმრები იქნებოდით.

— ქართველების საარაკო სტუმართმოყვარეობა ცნობილია, თქვენო უმაღლესობავ, ჩვენ ამაში ახლაც ვრწმუნდებით, მაგრამ ნუ გაგვირისხდებით, თუ ზემოთხსენებული მიზეზის გამო იძულებული გახლავართ, სტუმრად დარჩენაზე ამჯერად უარი მოგახსენოთ: სამსახური სამსახურია!

„რაიმე შეეშლება თუ? ასე რანაირად წვრთნიან მაინც? პირიდან სულ თაფლი ამოსდის,“ — გაიფიქრა მეფემ, ნაღვლიანი მზერა მხარმარჯვნივ მჯდომ გიორგი წულუკიძეს მიაპყრო და შემდეგ თამაზა მესხს გადაულაპარაკა:

— წაიყვანეთ და რაც შეიძლება, პატივი ეცით. არაყი და ღვინო არ დააკლოთ, იცოდე, მაგათ სასმელი უყვართ. საღამოს, საქმეებს რომ მოითავებ, ისევე მოხვალ და ბატონ გიორგისთან ერთად მოვითათბირებთ, რა მისწეროთ რუსს ჩემს მაგიერ, ამათ კი, თუ მეტს აღარ დაიცდიან და ჩვენი პურმარილი არ გაუტკბათ, გზას ხვალ დავულოცავთ და წესამდე მცველ რაზმსაც გავაყოლებთ. წესში ერისთავი როსტომი იზრუნებს და მამისონზე როგორმე მშვიდობით გადაიყვანს.

— ვუთარგმნო, თქვენო სიმაღლევ?

— უთარგმნე, რაც სათარგმნელია და წადი, მეტი აღარ გვცალია. ჰასან ისკანდერს და მის იანიჩრებს მოარიდე. მანდ ახლოს ტრიალებენ. ტანზე მაინც ვერ გამოიცვალა მაგ ოჯახქეტიანმა? ხალხში ხმა დაყარეთ, ეს აქამდე უნდა გექნათ, რომ ევროპიელი სწავლული კაცია, ინდოეთს მიემგზავრება და გზად აქ გამოიარა. ეს დალოცვილი რუსხელმწიფე თუ დახმარებით არაფერს გვეხმარება, თავის ხალხს რაღას გვიგზავნის წამდაუწუმ, აგარიანს რისთვის მიხელებს, დაბმულ ძაღლს კიდევ გახელება ეჭირვება?

თამაზა მესხი და რუსი რომ გავიდნენ, კარი ნიკოლოზა ნაფიჩვაძემ შეაღო და ზღურბლზევე გაჩერდა.

— ამბავი! — მოჰხედა სოლომონმა.

— ჰასან ისკანდერს ვეღარ ვაკავებთ, ბატონო მეფე, ან მიხედე და ან...

— არ ცალია-თქო, უთხარი, შე დათვო, ხომ დაგავალე, ერთხანს მანდ აყურყუტე-მეთქი

— ვუთხარით, არ ვუთხარით, ბატონო? ახლავე წავალ და, ალაჰის მადლმა, ღღეის სწორს ათი ათას ურუმს შემოგისევთ, მე თქვენ ვინ გგონივართ აქაო!

— ენა ნუ წაგიგრძელებია, ნიკოლოზა, რამდენჯერ გითხარი, — სოლომონმა ისევ გამზრდელს გადაჰკრა თვალი და კინაღამ გაეცინა. — რასაც გარეთ გაიგონებ, ყველაფერი მეფესთან კი არ უნდა წამოტორტლო, ბიჭო!

— ჩემზე გაქ დიდი გული, ბატონო, თავათ მიეცი პასუხი, მე ვისი ტიკი-ტოშარა ვარ, კილამ კაცის ცოდვა რო დევიდევი! მამია გურიელი გეახლა. ასი კაცი ამალა მოჰყვა. რა ენაღვლება; მისი იხარჯება რამე თუ? ამდენ ხანს დედოფალთან ბრძანდებოდა, ახლა დედოფალი ქსენონშია, გურიელი ეგერ ჯის და იცდის.

— რას მივაწეროთ მაგის მოუპატიჟებელი გამოჩენა? — სოლომონმა წულუკიძეს გადაჰხედა, თუმცა ეს მისთვის არ უკითხავს, თავისთვის თქვა, ნაფიჩვაძეს კი უსიტყვოდ ანიშნა, შენ წადიო. — ისევ გურიელიშვილი გიორგი ხომ არ მოადგა კარზე და სამთავროს ხომ არ ეცილება?

— არა მგონია, გიორგი გურიელისშვილს ასე მალე მოეწყოს ხელი და მობრუნებულიყოს, — მიუგო წულუკიძემ. — ის ისე არ მოვა, თუ კარგა ძალა

ურუმის ან ლეკის ჯარი არ მოიყოლა. ეგეც საკითხავი გახლავს, გაუმართავს ხელს ჰაჯი-აჰმადი თუ არა, გუშინ არ იყო, დამდაბლებული მამიას აღზევება რომ მოითხოვა?

— შენგან არ მიკვირს, ბატონო გიორგი? ის იმის აღზევებას მოგვთხოვს, ვინც მეტს ჩაუჩხრიალებს ჯიბეში და ლამაზ-ლამაზ გოგო-ბიჭებსაც გუნდად მიართმევს. დღეს მამია, ხვალ — პეტრია, ზეგ — გოჩია! მაგისთვის სულ ერთი არ არის? მთავარია, თეთრი და გოგო-ბიჭები არ შემოაკლდეს!

— სწორს ბრძანებ, — დაემოწმა გიორგი. — ამასაც მოვესწარით, რომ კაცურ სიტყვას ფასი აქვს დაკარგული.

— სიტყვამ ფასი ახლა დაკარგა? — მეფემ ამოიოხრა და სულ ერთი წამით ფიქრს აედევნა, მაგრამ უმალვე გამოერკვა და გამზრდელს კრძალვით მიმართა: — იქნება გაბრძანებულიყავი და შეგეყოლიებინა, სანამ მე ბეგლარბეგის კაცებს შევხვდებოდე. რამდენიც არ უნდა გადავდო, ხომ ვიცი, კიდევ ერთი შეხვედრა სიკვდილის დღესავით არ ამცდება. ჰასან ისკანდერს ჭკუა არ დაუშლის, ნიკოლოზას თქმისა არ იყოს, მართლა წავა და ფაშასთან დაგვაბეზღებს ლვოვთან გასაგზავნ წიგნს საღამოს შევადგენთ, უფრო მოცლილი დრო გვექნება.

ხოტევის ციხის პატრონი მიხვდა, მეფეს მარტოდმარტო დარჩენა უნდოდა ბეგლარბეგის კაცებთან და გურიელის შესაყოლიებლად განზრახ ისტუმრებდა, გულში წყენამ გაჰკრა, ნეტავი რა საიდუმლო გასჩენია, ჩემთან რა აქვს დასამალავიო, მაგრამ ეს არ შეიმჩნია, მძიმედ წამოდგა, გაზრდილს თავი ოდნავ დაუკრა და კარისაკენ დინჯი ნაბიჯით გაემართა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ტიხონოვი

## წინანდალი

მოველ, ვიხილე ალაზნის ველი,
ჰა, ალაზანი ჩემს თვალწინ ღელავს,
ჭაღარა, როგორც თქმულება ძველი
და ახალგაზრდა, როგორც სიმღერა.

მივუალერსე წინანდლის ვაზებს
და შემოდგომის დღეებს, — მზიანებს.
აქ ფრინველებმა, უეცრად, თავზე
ფრთების შრიალით გადამიარეს.

ჩემს თვალწინ იდგა ღვინის მორევი,
ღვინის მდინარე მღეროდა მშვიდად.
— იყავით მარად დარდის მომრევნი,
ბრძენი ოსტატი ხალხს ასწავლიდა.

და ასე, ასე სიტკბოულევი
წითელი, თეთრი თუ შავი ფერის,
მღეროდნენ თეთრი ნაკადულები
და მომეჩვენა — მარანიც მღერის.

დღე სულის მოთქმას აღარ მაცლიდა,
პირბადრი მთვარე უმზერდა ღრმა ხევს.
ძირში ჩავხვდე ჭიქას დაცლილს და
იქ ვნახე ტურფა ასულის სახე.

ტყემ გადამიხსნა, უეცრად გული,
მე ეს მშვენება მათრობს და მაგზნებს.
ჩემს ნათელ ფიქრებს მე თქვენთვის ვუვლი,
ჩემს გულს, მთლიანად, ვთავაზობ ამ გზებს.

რადგან სწადია სიმღერა ნაღდი,
თვით ფოთოლს, ხისვან მოწყვეტილს ქარში.
რადგან ამ მხარეს თუმც, ვერ დავსახლდი,
ფიქრების კარავს მე კვლავაც აქ ვშლი.

რადგან მგზავრი ვარ, უგზებოდ ვერ ვძლებ
და სიძნელეებს ბევრჯერ შევები.
მე მოვდიოდი პიტალო კლდეზე
და მომენატრა სუნთქვა ტყეების.

და დღეს ვიხილე ალაზნის ველი,
ჰა, ალაზანიც ჩემს თვალწინ ღელავს,
ჭაღარა, როგორც თქმულება ძველი
და ახალგაზრდა, როგორც სიმღერა.

* * *

ასჯერ ნათქვამი მიამბე გზნებით
გამეორებამ რა დააშავა.
გავლილი არის სავალი გზები,
კვალი არ დარჩა, წვიმამ წაშალა.

შემოდგომამ ბევრს მოუღო ბოლო,
ფოთოლი გამხმარ ჩალის ფერია.
ხსოვნა შემოგვრჩა უცვლელი მხოლოდ,
მას დაბერება არ უწერია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ლექსის დღე დადგა!
ლექსის დღე დადგა!
რითმა იშვა და სივრცეს მიარღვევს.
უნდა იქროლოს, ელიან რადგან
როგორც სიმართლეს, როგორც სიმაღლეს.
კოსმონავტივით სერავს ის სივრცეს,
უსაზღვრო მთა-ბარს გულადად ზვერავს,
ხან ანთეოსად სწადია იქცეს,
თვალით სვამს მიწის მიწიერ მზერას.
ხელის გულიდან,
მოედნებიდან,
ფრინველის ფრთებით აფრინდეს ლექსი.
გულებს ხალისად მოედოს მინდა,
რადგანაც ლექსებს გულში აქვთ ფესვი.

მსურს სიხარულის ნიაღვარებით
შეძრას, ახაროს გულები ჩვენი.
ლექსები, — ჩვენი თანამგზავრები,
უნდა გვავსებდნენ სიმართლის რწმენით.
ვით შორს, სამხრეთით სუყველას ესმის,
საგაზაფხულო ელჭექის ექო,
ასე აფეთქდეს ქართული ლექსი,
ქართულმა ლექსმაც დე, ასე ჭექოს.
რომ განაახლოს, აღელვოს გული
სიტყვამ, —
ბრწყინვალემ, როგორც მაისმა.
დე, ლექსი ქართულ მიწაზე თქმული,
მეხის ხმასავით ცაშიც გაისმას.

* * *

მსურდა უბრალო სიმღერა მეთქვა,
დაე, რაც უნდათ ისა თქვან სხვებმა.
რომ იგრძნოთ სიტყვის გულისებრ ფეთქვა
და არ დაუწყოთ ლექსიკონს ძებნა.

მასშია სუნთქვა ხის და ბალახის,
ის ძლიერი და სხივნათელია.
ღვარჭნილი სიტყვა გროშად არა ღირს,
წასულა, ქარსაც გადუთელია.

ნათელი სიტყვა არის ოცნება,
გულით ნათქვამი მეტად სწამთ გულებს.
მე ვიცი, ელის სიტყვას მოცელვა,
თუ ნაღდი გრძნობა არ ასულდგმულებს.

თარგმნა **ბერდია ბერიაშვილმა.**

კოლაუ ნადირაძე

# ვედრების თასი

ჩამოდგა ღამე დუმილით სავსე —
ჩემი ვედრების დამტევი თასი.
იწყებენ გაშლას
ფურცლები ვარდის,
თვლემენ ვენახში
მტევნები ვაზის,
თავის გულისთქმას მე ღამე მანდობს...
ნიავი მაკრთობს,
არ მეძინება.
იდუმალება, ვით ლოცვა ქვეყნის,
იწყებს ჩემს სულში
მწყობრად დინებას!

დრო ჩემში შედგა, თუ მაინც მიჰქრის?!
ყველგან,
ო, ყველგან
ჰყვავის ნიავი!
არ მსურს მან ვისმეს გადაცეს ფიქრი,
ეს მაჯისცემა,
წვა თუ სიამე!

ჩამოდგა ღამე — ვედრების თასი —
ჩემი ვედრების
უძირო თასი!
იწყებენ გაშლას
ფურცლები ვარდის,
თვლემენ ვენახში
მტევნები ვაზის,
აივსო ჩემშიც პირამდე თასი.
თავის გულისთქმას მე ღამე მანდობს,
ნიავი მაკრთობს,
არ მეძინება.
იდუმალება, ვით ლოცვა ქვეყნის
იწყებს
ჩემს სულში
მწყობრად დინებას...

ღამის მორევში, როს ვიწყებ ლოცვას,
რაღაც ჩვენება,
ზეციური,
ჩემს წინ ჩნდება,
ჩემს წინ ინთება!
ის, ხელუხლები,
ხორცშეუსხმელი,
ბრწყინავი მზისებრ,
ჩნდება,
ქრება და...
კვლავ მევლინება!
მაგრამ, გაივლის,
გაივლის წამი,
კიდევ წუთი,
და მერე ისევ,
ო, ისევ, ისევ
უხილავ ცრემლთა, დაფარულ ცრემლთა
მწვავე ცეცხლი,
დამდაგველი,
ნეტარებად
გულს ეფინება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი ბაზაძე

## დრუბლის მაიმუნი

დიდი ხანია ამ კედლებს შორის
შენს სიცილს ღამე არ უთევია.
დიდი ხანია მტვრის თხელი თალხი,
შიშველ როიალს ახურავს მხრებზე.
დიდი ხანია ქარის ხმა მიწყდა,
ქარის ხმა მიწყდა და მიინავლა.
დიდი ხანია ჩემს თვალში მთვარის
ჩრდილები თრთიან, როგორც ნერვები...

ეს მერამდენედ გინატრე უკვე:

ფანჯრის რაფაზე ზის მაიმუნი, —
უკანასკნელი საჩუქარი შენგან მოძღვნილი...
მე გამახსენდა სამხრეთის ცა,
მზე ჩამავალი ჰორიზონტზე,
რომელიც დღემდე ჩემს მშიერ მზერას
ათბობს სისხლისფერ მშვენიერებით...

...ის კი თვალების ირიბი ჭრილით
მისჩერებია ოთახის სივრცეს...
დიდი ხანია ჩვენ ერთმანეთის
თვალწინ ვშიშვლდებით,
როგორც ძვირფასი ქალის სხეული
ჩვენს ტკივილივით თანდაყოლილ სიზმრებში...
მე მინდა ახლა ხმამაღალი
სიტყვა, სიტყვები,
უფრო მართალი ,ვიდრე მე ვარ
და უფრო წმინდა, ვიდრე სიჩუმე
უდრტვინველი;
ვიდრე ახლახან დედის საშოდან
სამყაროს კართან შემომდგარი
ბალღის ტირილი.
არ ვიცი სწორედ რამდენს იწონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩემი გული:
ტკივილისა და სიხარულის ვეება სკივრი;
სიკეთისა და ბოროტების წითელი მღვიმე,
აზვირთებული ცრემლის სათავე...
მგონია თითქოს ფიქრს შევაბერდი
და ძლივს ვიხსენებ შენი თბილი სხეულის
სუნთქვას.

ეს მერამდენედ გინატრე უკვე:

რატომღაც მინდა გავაყოლო თვალი იმ წყვდიადს,
სადაც შენი სინათლე გაქრა,
ასე მგონია ფარდის მიღმა დგეხარ და უცებ
გადასწევ ფარდას —
ჩემი სურვილის ამოქოლილ აკრძალულ
ზღუდეს.
მე უნიღბო სახით დაგხვდები
და უეცარი აღტაცებისგან
აირბენს კედელს
ნასახსოვარი მაიმუნის პატარა ჩრდილი,
და მერე ჩემი სიხარულიც ვეღარ დამალავს
თავს და ხელების ნეტარ მსხვრევით
მოგეახლება.
თუმც ვერ შევძელი დავიწყება ამ მძაფრი განცდის,
მაინც უბრალოდ შევეგუე და შევეთვისე
ფანჯრის რაფაზე მაიმუნის
გაღრეჭილ სახეს,
მისი რეზინის ცხვირსა და ყურებს
და თავხედ პოზას.
რამდენი რამით შეიძლება გაერთოს ფიქრი
და მეც ვერთობი.
მარტოობის მიშველ მინდორზე
ძოვს უხედნელი რემა ჩემი ტკივილებისა.

ეს მერამდენედ გინატრე უკვე:

უნდა დავხატო მოგონების ტანი, სხეული,
აქვეა ღრუბლის მაიმუნი
ფანჯრის რაფაზე,
ვიწრო შუბლით და მოძრაობის ნატიფ სურვილით.
და სარკმლის მიღმა
გაზაფხულის ვნება ამორბის,
ამორბის თოვლის მკვეთრი სინათლე
და მზედამწვრალი შემოდგომის ამორბის სითბო...
შენ შორს ხარ ახლა
გაქცეული ჩემს არსებიდან
და ალბათ შენშიც ნელა მთავრდება
ჩემით ნაპოვნი სამოთხის მიწა.
უნდა დავხატო მოგონების ტანი, სხეული:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს სიკვდილივით მარტივ წარსულთან
მე ვდგევარ მარტო, —
ბრმა მოგზაური საკუთარი სახლის კარებთან.
და ვით ფიქრის ყვითელ ბილიკზე
შენი ძვირფასი ტერფების კვალი, —
ვერ დამითმია ჩემი ცოდვაც
და სახაცილო უცოდველობაც —
ვერ დამითმია, როგორც განძი
უნიშნოდ შიშველ ველზე დაფლული,
რომელსაც მუდამ დაეძებენ
პოვნის იმედით.

ეს მერამდენედ გინატრე უკვე:

სტალაქტიტები — ჩემი სიზმრები
ხსოვნის ყვითელ ჭერს ჩამოზრდია,
ვით მაიმუნის უმოძრაობა
გრძელი ოთახის გაყინულ სივრცეს
მე არ გეძახი — ფერად ბგერების
ვაწევარ მძიმედ ბასრ ნამსხვრევებს.
მე არ გეძახი...
მე დუმილთან ვსაუბრობ მხოლოდ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი შეთეკაური

## მერმისი

დღეის რტოებს და მომავლის ფესვებს
უკეთუ ჰანგებს
წარუძლვნი საქებს —
შენ ბელტში სალი მარცვალი თესე,
შენ გზისპირ სწორი ალვის ხე დარგე!

ხალხს მხოლოდ ცხადი მიაგე სიტყვა,
საქმედ აღბეჭდე სიკეთე ყველგან,
რომ შენი ხსოვნა ძალიან დიდხანს
ამ ქვეყნად კაცურკაცობას ერქვას.

რომ შენი წყაროც არ იყოს უქმად —
ყანას რწყავდეს და
კვებავდეს ელდენს,
უნათოს შენი სხივების შუქმა
სიკეთის გზებს და
სიკეთის კედელს.

და მერმისს შერთე ყველა სიკეთე,
ყველა სიუხვე დღეების რიგით, —
წინ გაიხედე,
    წინ გაიხედე,
        წინ გაიხედე —
            ჰორიზონტს იქით!

## შემართება

მე თავზე შენი ზეცა დამნათის,
ვარ შენს მიწაზე ყალყზე შემდგარი,
ჩამაცვი შენი შრომის ჰალათი,
ჩამაცვი შენი ბრძოლის ბეგთარი;

ჩამაცვი შენი ზღვის აკვალანგი,
ჩამაცვი შენი ზეცის სკაფანდრი,
მე სხვა ვერ ვნახო წმინდა ალაგი,
მზის ქვეშ ასეთი ფერით ნაბადრი;

და სად განცდები უფრო გელიან,
სად გულს სიფიცხე გაუფენია —
შრომის ველია,
ბრძოლის ველია,
ზღვის ფსკერია თუ
ზეცის ფერია—

სად ისმის შენი ძახილი წინსვლის —
ამ ძახილს წამსვე მე ფეხზე ვხვდები
და ჩემი ოფლი
და ჩემი სისხლი
და ჩემი სული
და ჩემი ფრთები —

მსურს შენს სიახლეს მივაგო ძალად,
ომში მტერს რისხვის ვაგემო ჭურვი,
ვპოვებ ზღვის ფსკერზე ნიჟარის ქალაქს,
ცაზე ვარსკვლავებს ავიღებ შტურმით!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ოღონდ ბრძანე,
შენ ოღონდ მიხმე
და შენთვის ვცოცხლობ
და შენთვის ვკვდები;

შრომაა ოფლი,
ბრძოლაა სისხლი,
ზღვის ფსკერი სული,
ცა არის ფრთები!

მე შენთვის ვფხიზლობ!
მყარად თუ შეცვლით —
მე მესმის სუნთქვა შენივე პულსის,
მე ვიდაგები შენივე ცეცხლით,
მე ვისუსხები შენივე სუსხით...

## წყარო

ეს ცის კამარა შენში ხვავდება,
შენში ლაჟვარდის იღება კარი,
შენ ხარ წერტილი,
კი არ თავდება
სადაც იწყება მდინარის პწკარი.

ეს შენ ხარ,
შენ ხარ
სულ სხვა თილისმა.
შენ წიფლის ძირში
ხარობ და ცხარობ,
შენ წყარო გქვია,
მაგრამ დიდი ზღვა
იწყება შენგან,
პატარა წყარო!..

* * *

მიწის ოხშივარს აჰყევი ღელვით
და მაღლა-მაღლა
სიმებად ილტვის
სინესტე ფესვის,
სინედლე ღერის,
სიმწვანე ფოთლის
სიქორფე კვირტის...

და...
იკეცება შორი მანძილი
როგორც აფრა და
როგორც სიგელი,
არ გეშინია —
ცაში არწივის,
ხმელეთზე ვეფხვის,
ზღვაში ზვიგენის;
არ გეშინია
და გული მკერდში
და სისხლი, სისხლი ძარღვში ხმაურობს,
არ გეშინია სივრცეში შეჭრის
და ახლაც, ახლაც სამოგზაუროდ

შენ მოინიშნე იმ ცის თაღები
და ფიქრებს სულში გააქვს ზანზარი,
არა!
ამ მთების გინდა აღება
და როგორც ჯარი,
გული დასძარი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბოგოხიძე

## სახსოვარი

მახსოვს ხონი... ცადაწვდილი ტაძრები,
ნაციხარი და ცხენისწყლის ნაპირი;
მონასტერთან მოშრიალე ნაძვები
და ტყისპირას ღამისთევა აპრილის...

მათხოჯის მთა, კოხტა ეზო-სახლები
და ყანებში საოცნებო ბილიკი,
ასხის ქედის მწვანე იალაღები,
ნაპრალებში წყაროების ლიკლიკი.

მაგონდება დადიანის სასახლე,
წყარიათი და კლდეები კიბულის;
ბიძის წვერი, თეთრი და მოცახცახე ,
ვით ჩანჩქერი, მთიდან გადმოკიდული.

. . . . . .

მახსოვს გორდის ყანა-მწვანე ხავერდი,
იქ მე ბევრი წუთი მაქვს სახსოვარი;

ერთხელ თურჩუს მთის მწვერვალზე ავედი
და ვიხილე ზეცა—მზით ნაქსოვარი.

ორივ ხელი ცისკენ მქონდა გაწვდილი,
ვიყავ დღის და განთიადის მსურველი;
მზის იმედით ვიზრდებოდი ყმაწვილი
და მათრობდა ვარდ-ყვავილთა სურნელი.

მზრდიდა ლექსი — გრძნობით
ნათილისმარი,
მგოსნურ სულში შთაგონება ბორგავდა;
ჩემთვის ტრფობა იყო ტკბილი სიზმარი
და მხიბლავდა გოგო-იას რომ ჰგავდა...

მახსოვს მთები, ცადაწვდილი ტაძრები
ნაციხარი და ცხენისწყლის ნაპირი,
მონასტერთან მოშრიალე ნაძვები,
ყვავილებით გაბადრული აპრილი...

## სიმონის გახსენება

რაც ის წავიდა
დამზრალ ბაღში ათჯერ დათოვა,
ცა გაიბადრა
თეთრ სუდარის შესადარისად;
სიმონმა ტკბილი
საქართველო ადრე დატოვა
და ვერ იხილა
გაელვება მზიან დარისა.

ათი წელია
რაც მის ბაგეს არ უმღერია,
მაგრამ ლექსები
კამკამებენ სიცოცხლის წყაროდ;

პოეზია და
სიყვარული განუყრელია,
სიკვდილის ჩრდილი
შთაგონებას ვერ მიეკაროს!

ალბათ პოეტი
გაიხარებს ცივ სამარეშიც,
მეგობრის ფერფლი
სიყვარულის ვარდად ამოვა;
ტრფობის ყვავილი
სურნელს აკმევს მშობელ მხარეში,
არა მგოსნის სულს, —
მხოლოდ სხეულს ესალამოვა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო ურჯუმელაშვილი

# ერთი ქართული ბატალიონი

## წინათქმა

როგორც ცნობილია, ქართველმა ხალხმა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად ფრონტზე 700.000-მდე მებრძოლი გაგზავნა, მათგან 300.000 კაცი შინ ვეღარ დაბრუნდა. ქართველმა მხედრებმა სამამულო ომის ყველა ფრონტზე თავი დიდად ისახელეს. თვით ტყვეობაში მოხვედრილი ქართველი მეომრები, რომელთა რიცხვი ძალზე მცირე და უმნიშვნელო იყო, არ შედრკნენ, ქედი არ მოუხარეს მტარვალს და არაერთი გმირული ფურცელი ჩაწერეს სამამულო ომის ისტორიაში.

ათიოდე წლის წინათ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ წავიკითხე იური ბენის წერილი, საიდანაც შევიტყვე, რომ 1942 წელს, ყველაზე მძიმე და მრისხანე წელს, როცა საბჭოთა წყობილების ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, გერმანელებმა კავკასიაში გადმოისროლეს ტყვეებისაგან შედგენილი ქართული ბატალიონი. ამ ბატალიონის მებრძოლებმა, კაპიტან ვიქტორ ჰიჰინაძის მეთაურობით, ქალაქ ტუაფსეს მისადგომებთან მოაწყეს ორგანიზებული გადმოსვლა წითელი არმიის მხარეზე.

ამ ფრიად მნიშვნელოვან ამბავში, ქართველ მებრძოლთა დიდ გმირობასა და საბჭოთა წყობილების უსაზღვრო სიყვარულთან ერთად, ჩვენი უღალატო ხალხის მოძმე ერებისადმი ერთგულება და თავდადება დავინახე.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ წამებულ ბატალიონზე, მის მამაც მებრძოლებზე მხატვრული ნაწარმოები დამეწერა.

ომის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ის მრისხანე, მღელვარე დღეები ისტორიად იქცა. ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, ზოგი რამ არქივებმა თუ შემოინახა, ისიც მშრალად, ორიოდ სიტყვით.

ადვილი როდი იყო საჭირო მასალის შეგროვება. ვინახულე ბატალიონის ყოფილი მებრძოლები, დაღუპულთა ოჯახის წევრები, რომლებმაც ბევრი მნიშვნელოვანი და საყურადღებო რამ მიამბეს. საქართველოს უშიშროების კომიტეტმა ნება დამრთო გავცნობოდი არქივს, და ბოლოს და ბოლოს, საკმაო მასალა დავაგროვე.

ჩემი განზრახვა იყო დამეწერა მხატვრული ნაწარმოები და, არა ისტორია, ვცდილობდი აღმედგინა ბინდით მოცული სურათები, ამბების დამაკავშირებელი ეპიზოდები.

ნაწარმოების ზოგიერთ მოქმედ პირს, გასაგები მიზეზის გამო, გვარი შევუცვალე. მათ რახანია დანაშაული იგრძნეს, ცოდვები მოინანიეს, სათანადო სასჯელი მოიხადეს.

დასასრულს, მინდა მადლობა გადავუხადო იური ბენს, ალექსანდრე გოგორიშვილს, ალექსანდრე მირიანაშვილს, ვახტანგ ყურაშვილს ნაწარმოებზე მუშაობის დროს კონსულტაციისა და საქმიანი რჩევა-დარიგებისათვის.

**ავტორი**

**1941 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში** ბერლინიდან წამოსული თვითმფრინავი აღმოსავლეთ პრუსიაში, ლეტცენის აეროდრომზე დაეშვა. თვითმფრინავიდან გადმოვიდნენ გერმანიის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში ფონ შულენბურგი და გერმანიის ყოფილი სამხედრო ატაშე მოსკოვში გენერალი კესტრინგი. ისინი შავ „მერსედესში“ ჩასხდნენ და „მგლის ბუნაგისაკენ“ გაემართნენ, გერმანიის არმიის მთავარსარდლობის შტაბი რომ იყო დაბანაკებული. „მგლის ბუნაგი“ რასტენბურგის დაბურულ ტყეში აეგოთ. ყოველ ნაბიჯზე გუშაგი იდგა. მთელი მიდამო ირგვლივ ისე იყო შეკრული და დაცული, ვერცერთი სულიერი შიგ ვერ შეაღწევდა.

ჭიშკართან სს-ელებმა ფონ შულენბურგსა და გენერალ კესტრინგს საბუთები გაუსინჯეს. მანქანა ეზოში შევიდა და ქვით მოპირკეთებულ გზაზე გასრიალდა. აქეთ-იქით, ნარგავების ქვეშ დადგმული ბარაკების სახურავებზე, ფხვიერი მიწა დაეყარათ და ფოთლოვანი მცენარეები დაერგოთ.

სულ ბოლოს ნაძვნარში იდგა ჰიტლერის რკინა-ბეტონის ბუნკერი, გარშემო ორპირი მავთულხლართის მესერი რომ ერტყა.

მანქანიდან გადმოსულმა ფონ შულენბურგმა და გენერალმა კესტრინგმა სს-ელ გუშაგებს სპეციალური საშვი წარუდგინეს და ჰიტლერის სადგომში შევიდნენ.

ჩაბნელებული ოთახები, ფანჯრები რომ ჩრდილოეთით დაეტანებინათ, მუხის ავეჯით იყო გაწყობილი. ნავთისა და ნატისუსალის შემაწუხებელი სუნი იდგა.

ჰიტლერი ვერ იტანდა ქინქლებსა და კოღოებს, ამიტომ ბანაკის ირგვლივ სს-ელები სწვავდნენ ნავთში ამოვლებულ ჩვრებს, ახრჩოლებდნენ ცეცხლზე დაყრილ ნედლ ფესვებს.

ჰიტლერის მორიგე ადიუტანტმა სტუმრებს მოახსენა, ფიურერი წუხელ ფრონტიდან გამოძახებულ გენერლებთან გვიანობამდე თათბირობდა, მერე ცალკე ბრაუხიჩსა და იოდლს ესაუბრა, მთელი ღამე თეთრად გაათენა. ახლა სძინავს და ლოდინი მოგიხდებათო.

ადიუტანტს ასე ეგონა, მაგრამ ჰიტლერს ეღვიძა და მოუსვენრად ტრიალებდა საწოლში. ღამით სამჯერ მიიღო ძილის წამალი, მაგრამ ვერა და ვერ ჩაეძინა. აკვიატებულ ფიქრს ვერ იცილებდა.

ვერაფერი გაუგია, რა ხდება?! ეგონა თვენახევარ, ორ თვეში წითელ არმიას ბოლოს მოუღებდა, რუსეთს წამოაჩოქებდა! უკვე მესამე თვე იწურება, გამარჯვება კი არ ჩანს.

იქნებ ისიც ნაპოლეონივით შეცდა?! იქნებ მართალია, რომ ამბობენ, რუსეთის დამარცხება შეუძლებელიაო. ეს დაწყევლილი მოსკოვიც ნამდვილი ჯადოა. ოჰ, ერთი როგორმე ხელში ჩაიგდოს, მყისვე დაანგრევს, გადაბუგავს, მიწასთან გაასწორებს, წალეკავს!

ნეტავი ბრაუხიჩსა და ჰალდერს რა ეშმაკი შეუჯდათ თავში, როგორ ვერ ხვდებიან, რომ ამ ეტაპზე უპირველესი ამოცანა, რაც უნდა განახორციელონ, მხოლოდ მოსკოვის დაპყრობა როდია. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, სამხრეთით, დონეცის ქვანახშირის საბადოს ხელში ჩაგდება, ყირიმის დაპყრობა, სადაც თავმოყრილია წითელი არმიის საჰაერო ძალები, რომლებიც ბომბავენ რუმინეთის ნავთობის მრეწველობის ობიექტებს. ამასთან, აუცილებელია მოსკოვს მოწყვიტონ კავკასია, რომელიც წითელ არმიას აწვდის საწვავს, სურსათს, ხოლო რუსეთის მრეწველობას — მდიდარ ნედლეულს. ჩრდილოეთით კი, რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს გერმანიისა და ფინეთის არმიების შეერთება, რათა ბალტიის ზღვაზე გაბატონდნენ და ლენინგრადს უფრო მჭიდროდ შემოერტყნენ.

ბრაუხიჩი კი კაჭკაჭივით ერთსა და იმავეს გაიძახის, ჩვენი მთავარი ამოცანაა მტრის შეიარაღებული ძალების განადგურება, რისთ-

ვისაც ყველაზე სწრაფი და სწორი გზა — მოსკოვზე შეტევის გაგრძელებააო. მართალია, რუსები მოსკოვს იოლად არ დათმობენ, ძლიერ წინააღმდეგობას წავაწყდებით, ძვირად დაგვიჯდება ეს ოპერაცია, მაგრამ ხელში ჩავიგდებთ მარტო დედაქალაქს კი არა, ქვეყნის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრსა და უდიდეს სარკინიგზო კვანძსაც; ეს დანაკარგი კი საგრძნობლად გააუარესებს მთელი წითელი არმიის სამხედრო მოქმედებასო.

ბრაუხიჩს თავი გამოჩენილ სტრატეგად მოაქვს, თავისი საომარი გეგმების მეტი არაფერი სწამს! ალბათ, დიდი მხედართმთავრისა და ყველა გამარჯვებათა სულის ჩამდგმელის სახელის მოხვეჭაზე ოცნებობს!

გენერალ ბოკის პოზიციაც გასაგებია! თურმე თავს პარიზის დამპყრობლად თვლის და, ალბათ, სურს მოსკოვის დამპყრობლის სახელიც მოიპოვოს!

კარგი და, გენერალ გუდერიანს რაღა ღმერთი უწყრება, რატომ მიაჩნია ბრაუხიჩის პოზიცია სწორად? გუდერიანი ურიგო გენერალი როდია, მაგრამ იმას ვერ მიმხვდარა, მოსკოვი პარიზი არ არის. ჯერ ერთი, როგორც ბრძოლებმა გვიჩვენა, შეუძლებელია პირდაპირი დარტყმით მოსკოვის აღება. მეორეც, პარიზის დაცემისთანავე მარშალმა პეტენმა მყისვე ხალხს მიმართა, საფრანგეთი კაპიტულაციაზე უნდა დათანხმდესო.

მოსკოვი კიდევაც რომ ავიღოთ, რუსები 1812 წლის მსგავსად ომს მაინც არ შეწყვეტენ!

ნეტავი ბრაუხიჩმა ეს რაღას აიჩემა, საჭიროა არმიის ზამთრისათვის მომზადების თადარიგს შევუდგეთო? ალბათ, ჰგონია, რომ „ბარბაროსას“ გეგმა ჩაიფუშა! შტერი! როგორ არ იცის, ქვეყნად არ არსებობს ძალა, რომელიც წინ აღუდგება ფიურერის ნებას! არ არის არმია, რომელსაც არ სძლევს, არ გაანადგურებს ვერმახტი! ასეა, მაგრამ...

ფელდმარშლები, გენერლები, არწმუნებდნენ, წითელი არმია განადგურებულია, მალე მისი ნარჩენები თვალუწვდენელ ტყეებსა და ტრამალებში გაიფანტება, რუსეთს ფარ-ხმალს დავაყრევინებთო, მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო.

წითელი არმია თითქოს მკვდრეთით აღსდგა, უფრო ორგანიზებული, ძლიერი გახდა. მისი ოფიცერთა კადრები გამოიწრთო ბრძოლებში, ხოლო გენერლები გამოცდილნი და გამჭრიახნი გახდნენ. მოწინააღმდეგე ბევრად ძლიერი გამოდგა, ვიდრე ვარაუდობდნენ. რუსებს იმაზე უფრო მეტი ტანკები, თვითმფრინავები აქვთ, ვიდრე ეგონათ!

ნეტავ რა იქნება შემდეგ?! ვაითუ...

ეს ბოლო სიტყვა ჰიტლერმა გულში რამდენჯერმე გაიმეორა და თვალდახუჭულმა წაიბურტყუნა კიდეც. მერე კი ინქითად, თითქოს საკუთარ თავზე გულმოსულიაო, ბალიშს მუშტები დაუშინა: რატომ ორჭოფობს, არ იჩენს სიმტკიცეს! ალბათ არც ერთი გერმანელი ჯარისკაცი ამას გულში არ გაივლებს. მაშ, სირცხვილი არაა, რომ მას — ფიურერს ასეთი აზრები ებადება? გერმანიის არმია, მისი, ფიურერის არმია უძლეველია! კიდევ რამდენიმე ძლიერი დარტყმა და რუსეთს დაამარცხებს. ინგლისსა და ამერიკასაც წირვას გამოუყვანს. მსოფლიოს მბრძანებელი შეიქმნება!

ასე კი ბჭობდა, მაგრამ გონებაში უნებლიეთ ხელახლა გაუელვებდა ხოლმე, — ვაითუ...

მისდაუნებურად ფიქრი ისევ მოეძალა.

კი, მაგრამ რუსეთთან ომმა ხომ სულ სხვა ხასიათი მიიღო. იქნებ სიმართლეს ამბობენ, გერმანიის არმია ჯერ არ შეხვედრია ძლიერ მეტოქეს, მხოლოდ რუსეთში წააწყდა მედგარ ძალასო. არა, ეს რუსების მოჭორილია, კომუნისტური პროპაგანდაა. ვერმახტი უძლეველია, დაუმარცხებელია!

ჰიტლერს ძილი თავს სტაცებდა, მაგრამ ელდანაცემივით მალიმალ ილვიძებდა, აქეთ-იქით იხედებოდა, მერე ისევ საბანში ეხვეოდა, კვნესოდა, ბურტყუნებდა.

ამ ყოფაში იყო ორიოდე საათი, მერე თვალი გაახილა, წამოდგა. მაგიდას მიუჯდა საუზმეს წაეტანა. დიდ ლუკმებს სანახევროდ დაუღეჭავს ყლაპავდა. ყელზე რომ არ დასდგომოდა, თბილ რძეს ხვრეპდა.

ნასაუზმევს სამუშაო ოთახში გავიდა.

თვალი გადაავლო ფრონტიდან გამოგზავნილ არმიათა შტაბების ცნობებს და მაგიდის ქიმზე დამაგრებულ ღილაკს თითი დააჭირა.

მყისვე კარი გაიღო და ჰიტლერის ზორბა ადიუტანტი გამოჩნდა, ოთახში ფეხი შედგა თუ არა, ბულდოგივით შეჰყეფა:

— ჰაილ ჰიტლერ!

— ფონ შულენბურგი და გენერალი კესტრინგი თუ მოვიდნენ? — იკითხა ჰიტლერმა.

— მობრძანდნენ, ჩემო ფიურერო!

— შემოვიდნენ!

ადიუტანტი გავიდა თუ არა, ჰიტლერმა ჰალსტუხი შეისწორა, თეთრ პერანგზე ნაცრისფერემბლემიანი ქინძისთავით რომ დაემაგრებინა; მერე მაგიდაზე ნიდაყვდაყრდნობილი ხელი შუბლს შეუყენა და თავი ქალაღდებში ჩარგო.

კარები რომ გაიღო, ჰიტლერმა ორიოდე წამით დააყოვნა და წამოდგა, თან შუბლზე ჩამოვარდნილ ბლუჯა თმაზე ხელი ჩამოისვა. ოთახში შესულ ფონ შულენბურგსა და გენერალ კესტრინგს გულგრილად შეხედა:

— ჰაილ ჩემო ფიურერო! — ხელის გაშვერით მიესალმა ფონ შულენბურგი.

— ჰაილ ჰიტლერ! — თავის მხრივ შესძახა კესტრინგმა.

რაკი ფიურერი ფეხზე იდგა, სტუმრები დაჯდომას რას გაბედავდნენ, მაგრამ ჰიტლერმა ბრაზით უბრძანა:

დაჯექით!

ფონ შულენბურგი განებივრებულ კაცივით ჩაეშვა სავარძელში.

კავალერიის გენერალი კი მორცხვ მოწაფესავით სავარძლის ნაპირზე ჩამოჯდა.

ჰიტლერი მაგიდის კიდეს ორივე ხელით დაეყრდნო, ისედაც წინ წამოწეული კუშტი, მოქრუშული სახე უფრო წაიგრძელა:

— ბატონებო! მე ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენ ჩემდამი უსაზღვროდ ერთგულნი ხართ. უდავოდ გაფასებთ... არ დამვიწყებია თქვენი ერთობლივი მოხსენება — არ ვიცით წითელი არმიის ძალა, მაგრამ გაფრთხილებთ, თქვენ ამ ძალას სათანადოდ ვერ აფასებთო. ამასთან გემდურებით, თქვენ ვერ მოგვაწოდეთ ზუსტი ცნობები წითელი არმიის რაოდენობაზე, მის ბრძოლის უნარიანობაზე ვერ შეძელ რუსების უშრეტი რეზერვების ამოცნობა, თუმცა დავანებოთ ამას თავი. დიახ, გიმეორებთ, თქვენ ჩემს ერთგულ ადამიანებად მიმაჩნიხართ, ამიტომაც მოგიწვიეთ. — ჰიტლერმა. ბლუჯად ჩამოვარდნილ თმაზე კვლავ ჩამოისვა ხელი და დასძინა — იაპონია და თურქეთი საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებას აყოვნებენ! აბა, წარმოიდგინეთ, როგორ გაადვილდებოდა, დაჩქარდებოდა ჩვენი გამარჯვება, იაპონელებმა რომ ციმბირი დაიპყრონ, ხოლო თურქები კავკასიაში შეიჭრნენ? ისინი კი შიშობენ, უმოქმედებას იჩენენ. რაიხსმინისტრმა გებელსმა შესანიშნავი იდეა წამოაყენა: შევქმნათ კავკასიელთა ეროვნული შენაერთები. თურქეთის მთავრობა მერყეობს, თავის ტერიტორიაზე გერმანელთა ნაწილების გატარებას ვერ ბედავს, ეს რუსეთთან ომის დაწყებას უდრისო! — ჰიტლერმა თითები ნერვიულად დაისრისა და წყენით თქვა. — მათხოვრები, დამაცადონ, მაგათთვისაც მოვიცლი! კავკასიურ შენაერთების გატარებაზე კი თურქები უარს არ იტყვიან! ამ შენაერთების მისია ხომ რუსებისა და ბოლშევიზმისაგან თავიანთი ხალხების განთავისუფლება იქნება! გენერალო კესტრინგ, ეროვნული შენაერთების შექმნას თქვენ გავალებთ!

გენერალი კესტრინგი მყისვე ფეხზე წამოხტა, სხაპასხუპით მოახსენა:

— ჩემო ფიურერო, მე ჯარისკაცი ვარ, თქვენი სიტყვა ჩემთვის წმინდათაწმინდა ბრძანებაა!

ჰიტლერს შუბლი გაეხსნა:

— ფონ შულენბურგს, თქვენ კი გენერალ კესტრინგის პოლიტიკურ მრჩევლად გნიშნავთ!

შულენბურგიც ფეხზე წამოდგა:

— ჩემო ფიურერო, მზად ვარ გემსახუროთ თქვენ და გერმანიას!

ჰიტლერი გაშლილი ხელისგულებით მაგიდის კიდეს დაეყრდნო:

— თუ წინდახედულად, გონივრულად ვიმოქმედებთ, ნაციონალურ ბატალიონებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. ამას ორი მხარე ექნება, წმინდა პროპაგანდისტული და პრაქტიკული. პროპაგანდის მიზნით ბატალიონებს უნდა მისცეთ ეროვნული დროშები, ემბლემები, ფორმა. ეს დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე. პრაქტიკულად კი ბატალიონებს ჯერჯერობით ფრონტზე გამოვიყენებთ, როგორც საბრძოლო ერთეულებს, ამასთან ისინი დამსჯელი რაზმების როლსაც შეასრულებენ... არ იქნება ურიგო. თუ ლეგიონერებს ეროვნულ გრძნობას გაუღვიძებთ. სამშობლოს სიყვარულს მილიონობით ადამიანი, მთელი ხალხები ეწირებიან. ბატალიონის მეთაურად გამოცდილი გერმანელი ოფიცრები დანიშნეთ. ქვედანაყოფებში აგენტურა იყოლიეთ!

— ჩემო ფიურერო, მზად ვარ მთელი ჩემი ცოდნა, გამოცდილება, თუ საჭიროა სიცოცხლეც მოვახმარო დიდ გერმანიას! — საზეიმოდ განაცხადა ფონ შულენბურგმა.

გენერალი კესტრინგი ჰიტლერს წინ ისე გამოეჭიმა, თითქოს იმით იმას უდასტურებდა, რის თქმასაც აპირებდა.

— ჩემო ფიურერო, თქვენს მითითებებს სამოქმედო პროგრამად მივიღებთ!

ლაპარაკის ექსტაზში შესულ ჰიტლერს თვალები უელავდა: — ბრაუხიჩი ამ საქმეში მერყეობს, ჟენევის კონვენციით არ გვაქვს უფლება ტყვეები საბრძოლო მიზნებისათვის გამოვიყენოთო. ფელდმარშალს ავიწყდება, რომ ახლა კონვენციები კი არა, ქვემეხები წყვეტენ საკითხს. მთავარია, გავიმარჯვოთ.. გამარჯვებულები კი არ განიკითხებიან!

ჰიტლერი შეჩერდა, ჩქარი ნაბიჯით მივიდა კედელზე გაკრულ მსოფლიო რუკასთან, თითებგაფარჩხული მტევანი გადააფარა ორ ზღვას შუა მოქცეულ ამიერკავკასიას:

— რუსეთის მეფეები საქართველოს თავიანთ იმპერიის მარგალიტად თვლიდნენ, ჩვენთვის იგი ძირითადი დასაყრდენი პუნქტი იქნება ირანსა, ერაყსა და ინდოეთისაკენ გასაჭრელად! — და მყისვე ჩქარი ნაბიჯით უკან გამობრუნდა. ხელისგულებით ისევ მაგიდის კიდეს დაებჯინა, — ლეგიონერთა შერჩევაში დაიხმარეთ ემიგრანტები. ოღონდ გაფრთხილებთ, არავითარი ოფიციალური დაპირება არ მისცეთ, საქართველოში დამოუკიდებელი რესპუბლიკის, ან სამეფოს შექმნის თაობაზე. ისე სიტყვიერად, ან მფრინავი ფურცლებით, რასაც გინდათ იმას შეპირდით. ქართველნი და სომეხნი ოდესღაც ძლიერი ერები იყვნენ, ისინი

უთუოდ შეეცდებიან; ახლაც გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვონ კავკასიაში! ამასთანავე მოსახლეობა უნდა დაარწმუნოთ, რომ მათ ქვეყანაში ისე მკაცრად არ მოვიქცევით, როგორც რუსეთსა და უკრაინაში.

— ჩემო ფიურერო, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა შევქმნათ გერმანული სულით აღჭურვილი, რაიხის ინტერესებისადმი ერთგული ბატალიონები! — თითქოს ფიცს სდებსო, საზეიმოდ განაცხადა გენერალმა კესტრინგმა.

— გენერალო, ბატალიონებს თქვენ შექმნით, მაგრამ საშიშია, მერე თქვენვე არ წაგლეკონ მათ. ამიტომ პირველი დღიდანვე ქვედანაყოფებში დაამყარეთ რკინისებური, მკაცრი დისციპლინა. არავის დაინდოთ, არავის შეიბრალოთ, სიკვდილის შიში ადამიანს ყველაფერს ჩაადენინებს. ამთავითვე ლეგიონერებს ჩააგონეთ, რომ დღევანდელ ეტაპზე ჩვენი მიზანია: კავკასიელი ხალხების ბოლშევიზმისაგან განთავისუფლება!

ჰიტლერი შეჩერდა. მერე ხელი კვლავ თმაზე ჩამოისვა:

— ფონ შულენბურგ, რატომ დუმხართ? კავკასიის საკითხებში პრიორიტეტს თქვენ გაკუთვნებთ. როგორც რიბენტროპისაგან ვიცი, ადრე საქართველოში გიმოღვაწიათ?

— სიმართლე მოუხსენებიათ, ჩემო ფიურერო, — ერთგვარი სიამაყის გრძნობით მიუგო ფონ შულენბურგმა. — მე, გახლდით გერმანიის ელჩი საქართველოს მენშევიკურ მთავრობაში! საქართველოს მრავალი სახელოვანი მეფე და მხედართმთავარი ჰყავდა. ქართველნი ამაყნი, ლაღნი, თავისუფლების მოყვარული ხალხია, მათი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მუსულმანურ სამყაროს ესაზღვრებიან, თანაც რიცხობრივად პატარა ერია. ქართველ ხალხს გაუძნელდა სარწმუნოებისა და თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ამიტომ რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა. ახლაც ეს ქვეყანა რაიხის პროტექტორატის გარეშე ვერ იარსებებს.

— იმასაც ამბობენ, ურჩი, მამაცი, შეუდრეკელი ხალხიაო?

— დიახ, ჩემო ფიურერო, ქართველნი არიან მამაცნი, შეუდრეკელნი, განსაცდელსა და ბრძოლაში უშიშარნი!

ჰიტლერმა ტუჩები ააცმაცუნა, თითქოს რაღაც უსიამოვნო გრძნობამ მოიცვა, ნერვიულად თითები დაისრისა და თქვა:

— როზენბერგის იდეა ბერლინ-თბილისის ღერძის შექმნის შესახებ მაეჭვებს! კავკასიელთა ბატალიონების შექმნა სარისკო საქმედ მიმაჩნია. ქართველებს, ისევე როგორც სომხებს, არ ვენდობი!

ღამით ჭექა-ქუხილი იყო. ცაზე ცეცხლის გველები დასრიალებდნენ. სახურავებზე წვიმა შხაპუნობდა. ვინ იფიქრებდა ამ საშინელ ტაროსს მზიანი, წყნარი დილა შეცვლიდა.

მოკამკამე ცა უფრო მაღალი და ლურჯი იყო.

მზე ბლუჯა-ბლუჯა სხივებს ჰფენდა ამწვანებულ მინდვრებს, შეფოთლილ ტყეებს, მავთულხლართებში ჩამჯდარ ბარაკებს.

ლაჟვარდში ჟივილ-ხივილით მქროლავი ჩიტუნები ჰიმნს უმღეროდნენ განახლებულ ბუნებას.

საზრდოს ძებნაში გართული მწერები ბზუილით დაფრინავდნენ.

სოროებიდან ამომძვრალი ჭიანჭველაც გაზაფხულის მადლით ტკბებოდა.

მხოლოდ ილაჯგაწყვეტილ, მშიერ-მწყურვალ ასობით ტყვეს, მავთულხლართებშემოვლებულ ეზოში რომ დალასლასებდნენ, ბუნების ზეიმი გულს უკლავდა, ურვას უმძაფრებდა.

ბანაკის ჭიშკარს შავი მსუბუქი მანქანა მოადგა.

გუშაგმა ჭიშკარი ფართოდ გაალო.

მანქანა შეგრუხუნდა ატალახებულ ეზოში და ადმინისტრაციის შენობის წინ შეჩერდა.

მანქანიდან ორი შუახანს გადაცილებული მოქალაქე გადმოვიდა. ერთი მაღალი იყო, მხრებში მოხრილი, გაჭაღარავებული, მეორე — დაბალი, მუცელგადმოვარდნილი, დანაოჭებულ შუბლსა და დიდ მელოტ თავზე ლურჯი ცხვირსახოცით მალიმალ ოფლს იწმენდდა.

ადმინისტრაციის შენობიდან გამოსულ ტყვეთა ბანაკის უფროსს რომ მიესალმნენ, მაღალმა მოახსენა:

— ჩვენ „კავკასიელთა გადმოხაზირებელი შტაბის“ წარმომადგენლები ვართ, გერმანიის არმიის სარდლობის რწმუნება გვაქვს თანამემამულე ტყვეებს გავესაუბროთ, — და ნათქვამის დასადასტურებლად მოწმობა უჩვენა.

— არ შეიძლება ტყვეებს შორის არ იყოს ისეთი კაცი, ვინც ამხანაგებში ავტორიტეტით სარგებლობს, ვისაც პატივს სცემენ, აფასებენ, ენდობიან. თუ ვინმეა ასეთი, ჯერ იმას გამოუძახეთ! — განაცხადა დაბალმა.

ბანაკის უფროსმა ბადრაგს უბრძანა, ტყვე ვიქტორ ჭიჭინაძე მომგვარეო, და სტუმრები ადმინისტრაციის შენობაში შეიპატიჟა.

უფროსის ოთახში შევიდნენ თუ არა, მაღალმა იკითხა:

— ბატონო ობერლეიტენანტო, ხომ არ ურჩობენ ჩვენი თანამემამულეები?

— არა! გამგონე, დაუზარელი ხალხია! ოღონდ ერთი რამ მაოცებს: მორჩილად შემოგვცქერიან, გულდასმით გისმენენ, ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებენ, მაგრამ თვალში მედიდურობა გამოუკრთით, თითქოს აბუჩად გიგდებენ, არარაობად გთვლიან.

— აი ასეთები ვართ ქართველები! — თქვა

დაბალმა თან მანჭვა-გრეხით მლიქვნელურად გაიცინა.

ოთახში ვიქტორ ქიქინაძე შემოვიდა. გაუ პარსავი იყო. უძილობით უპეები ჩალურჯებოდა. ჯერ ობერლეიტენანტს მიესალმა, მერე უცნობებს დაუკრა თავი.

— ქიქინაძევ, ესენი თქვენებურები არიან! — უთხრა ობერლეიტენანტმა ტყვეს და ცერით სტუმრები უჩვენა.

მყისვე დაბალმა მიამიტი ბავშვივით შესძახა ქართულად:

— შე ღმერთძაღლო, ქართველი ხარ? ახლო მოიწი, ბიჭო, ხელი მაინც ჩამოგართვა!

რაკი ქიქინაძემ ნაბიჯის გადადგმა შეაყოვნა, დაბალი თვითონ გაექანა მისკენ. ხელი ჩამოართვა, გადაეხვია და გადაკოცნა.

მაღალმაც გაუწოდა ქიქინაძეს მარჯვენა, არ გადაუკოცნია, მაგრამ ხელზე ხელი ღონივრად, ხანგრძლივად მოუჭირა.

— მე წავალ, თავისუფლად, გულახდილად ისაუბრეთ! — თქვა ობერლეიტენანტმა და ოთახიდან გავიდა.

— საიდან ხარ, ძმობილო? — გერმანელის გასვლისთანავე შეეკითხა ტყვეს მაღალი.

— თბილისელი ვარ!

— ერთი კერისანი და ერთი ცეცხლისანი ვყოფილვართ! — წამოიძახა დაბალმა და თავი ისე გადააქნ-გადმოაქნია, თითქოს უნდოდა ეთქვა, დახე, აქ სად შეგვყარა ბედმაო.

— ეჰ, რა კარგად უთქვამს იმ დალოცვილ რუსთაველს, „ვაჰ სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა“... დავსხდეთ, რა ფეხზე ვდგევართ! — და მაგიდას მიუჯდა.

დაბალმა სკამი შესთავაზა ქიქინაძეს და თვითონაც მის გვერდით მოიკალათა.

— ახლა ისეთი დროა ბევრის სალაპარაკოდ არავის სცალია. ჰოდა, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ! — თქვა მაღალმა, ჩაახველა და მშვიდად განაგრძო, — ჰიტლერმა გადაწყვიტა შექმნას ქართული ნაციონალური ბატალიონები.

— რისთვის?! — სიტყვა გააწყვეტინა ქიქინაძემ.

— საქართველოს განთავისუფლებისათვის,— მიუგო მაღალმა. ჩვენ, ქართველებს ახლა გვეძლევა შესაძლებლობა აღვადგინოთ თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო!

— ვითომ? — მიუგო ქიქინაძემ და მცირე დუმილის შემდეგ მშვიდად განაგრძო. — ჯერ ერთი, საქართველო კარგა ხანია უკვე თავისუფალია... მეორეც, არა მგონია, რომ გერმანელები ჩვენი, ან სხვა რომელიმე ერის გულისათვის გაისარჯონ.

— როგორ გეკადრებათ?! — გაოცებით შესძახა დაბალმა, — ნუთუ არ იცით, რომ ჰიტლერს ერთი წმინდათაწმინდა მიზანი ამოძრავებს: გაანთავისუფლოს დამონებული ხალხები ბოლშევიზმისაგან?!

— ვერ დაგიჯერებ!

— რა საწყენია, რომ ასეთი განათლებული, ერისათვის საჭირო ოფიცერი — ბოლშევიკებს გადაუბირებიხარ! — დანანებით თავი ჩაიქნია დაბალმა და ისე მტკიცედ განაცხადა, თითქოს აქ მეორე აზრი არ შეიძლება არსებულიყო — ჰიტლერს ჩვენ ხალხთან მეგობრობა სურს. ამიტომაც ჰქმნის ქართულ ბატალიონებს, — თანამოსაუბრეს თვალი გაუშტერა და ხმის აწევით ჰკითხა — იქნებ გგონია, თუ ჩვენ არ დავეხმარეთ, გერმანია დამარცხდება?

ქიქინაძე დუმდა, არ უნდოდა საუბრის გამწვავება, ვაითუ ნერვებმა მიმტყუნონ, მოღალატენი რასაც იმსახურებენ, ის ვაკადრო, შემომელანძღონო.

ეს კი დაბალმა ისე გაიგო, ვითომ სიტყვა მოვუჭერიო, და ჩააცივდა:

— აბა, მიპასუხე, მიპასუხე!

— კი, ბატონო, მოგახსენებ, — მიუგო მშვიდად ქიქინაძემ. — ჩვენ, სამივე ქართველები ვართ, მაგრამ საქმე ისაა, რომ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების ადამიანები ვართ. ასე ერთბაშად ვერც მე შეგაცვლევინებთ თვალსაზრისს, თქვენც ამაოდ დაშვრებით! მაგრამ ჩვენთვისაც და თქვენთვისაც არ უნდა იყოს ძნელი გასაგები, რომ ძლიერი, გაბატონებული ერები ცდილობენ პატარა ერების გათიშვას, მათ დამორჩილებას. ცხადია, ჰიტლერსაც ეს ამოძრავებს, უნდა ქართველი ერის დაყოფა, ჩვენი ქვეყნის დაპყრობა.

— დავუშვათ, ეს ასეა. მერე ჩვენ, ერთი მუჭა ქართველები გერმანიის არმიას გავუმკლავდებით?

მაღალმა დაუმატა:

— ომის დროს ყველაფერი იარაღით, ძალის გამოყენებით წყდება. გერმანიის ერთიორი მძლავრი დარტყმა და რუსეთის იმპერიას ბოლო მოეღება. განა ამ ავბედითობის ჟამს უფლება გვაქვს, ზურგი შევაქციოთ, განზე განვუდგეთ ჩვენს სანუკვარ, სათაყვანებელ ქვეყანას? სხვა გზა არაა, ამთავითვე ძლიერს, გამარჯვებულს უნდა შევეკედლოთ. ჰიტლერი უნდა ვთხოვოთ შემწეობა. ფიურერი ღირსეულად დააფასებს ქართველი ლეგიონერების სამსახურს, ერთგულებას. ფაქიზად, სათუთად მოეპყრობიან ჩვენს მშობლებს, ცოლშვილს, მთელს ქართველ ხალხს!

— დიახ, ფიურერი არავის არაფერს დაუკარგავს, ყველას მისაგებელს მიაგებს! — სიტყვა ჩაურთო დაბალმა.

— ერთი სიტყვით, — განაგრძო მაღალმა, — ვიცით, რომ ტყვეებში ნდობით სარგებლობ, თანამოძმეებს სჯერათ შენი, ერთგულ ადამიანად გთვლიან. ჩვენ შენზე დიდ იმედებს ვამყარებთ. უნდა მხარში ამოგვიდგე, დაგვეხმარო.

კაპიტან ჭიჭინაძეს თვალი ფანჯრის მიღმა ცისთვის გაეშტერებია, თითქოს ლურჯ შორეთში რაღაც სანუკვარს ხედავსო.

და მართლაც, მის თვალწინ აღიმართნენ საქართველოს მთები, გადაიშალა მინდვრები, ბაღ-ვენახები, სოფლები, ქალაქები, თვალწინ წარმოუდგნენ ცოლი, პატარა ქალიშვილები, მშობლები, ახლობელ-ნათესავები.

ნუთუ გერმანელები საქართველოშიც შეაღწევენ, ქვეყანას ააოხრებენ, გააცამტვერებენ, ბავშვებსა და მოხუცებს გაჟლეტენ?

ის კი ამ განსაცდელის ჟამს შორს, ძალიან შორს იქნება, იარაღაყრილი, დამონებული. ვერ გამოადგება ქვეყანას, სამსახურს ვერ გაუწევს განსაცდელში მყოფ ქართველ ხალხს!

მოღალატე ემიგრანტები კი წინადადებას აძლევენ ჩაეწერონ ნაციონალურ ბატალიონში, რათა გერმანელთა მხარდამხარ იბრძოლონ თავისი ძმების, დების წინააღმდეგ.

ოჰ, ნეტავი ერთი მართლა ხელში იარაღი ჩააგდებინა, რომ დედა უტირონ ქვეყნისა და ხალხის მოღალატე ამ კაცუნებს!

და უცებ გულში გაჰკრა, მტერი ხომ თვითონვე გვთავაზობს იარაღს, მაშ, რატომ არ უნდა დავთანხმდეთო.

ბოდა, რა, ცარიელი ხელებით რას გახდებიან? ორჯერ გაიქცა ტყვეობიდან, ორჯერვე შეიპყრეს; დღე არ გავა, ხუთი-ექვსი კაცი შიმშილით არ მოკვდეს. დასუსტებული, სახომიხდილი ტყვეები დახურული მანქანით ვითომ აბანოში მიჰყავთ, მაგრამ უკან ჯერ არავინ დაბრუნებულა.

ვინც ბატალიონში არ ჩაეწერება, დასჯიან, აწამებენ; თუკილა სიკვდილი უწერიათ, ღირსეულად მაინც დაიხოცნენ. განა იარაღით უფრო არ გაუადვილდებათ ბრძოლა, თავისუფლების მოპოვება?

— კიდევაც რომ დაგთანხმდეთ, მე არ ძალმიძს ასეთი რამ შევთავაზო ტყვეებს! — თქვა ბოლოს ჭიჭინაძემ.

— რატომ? — შეეკითხა მაღალი.

— იმიტომ, როე ისინი არ მოისურვებენ გერმანელების მხარეზე ბრძოლას!

— არ მოისურვებენ და... —თქვა მრისხანედ დაბალმა, მაგრამ მიხვდა, მუქარით საქმეს უფრო წაახდენო, ამიტომ სიტყვა შეაბრუნა. — ეჰ, აი ასეთი საცოდავები ვართ ქართველები! ნეტავი სიცოცხლეს რისთვის ვწირავთ? გერმანია რუსეთს ებრძვის;საქართველოს ხომ არა? ჩვენს ხალხს არავითარი საფრთხე არ მოელის! პირიქით, გერმანია თუ გაიმარჯვებს, ასრულდება ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება: დავიბრუნებთ ღვთით ბოძებულ თავისუფლებას. ქართველები ხომ, რანაირი პოლიტიკური იდეებითაც არ უნდა გვქონდეს თავი გამოტენილი, ერთსულოვანი ვართ ეროვნულ საკითხში. აი სწორედ ეს მაიმედებს, თუ თანამოძმეებს საფუძვლიანად ავუხსნით ვითარებას, ჩვენი საქმე წარმატებით დაგვირგვინდება!

ჭიჭინაძემ პასუხი დააგვიანა:

— არა, არაფერი გამოვა, ტყვეებს ვერ დავიყოლიებთ!

— ვნახოთ, უცებ შეიძლება იუარონ, მაგრამ ავუხსნით, გავაგებინებთ რაშიცაა საქმე. არ მეგულება ქართველი, ამ განსაცდელის ჟამს, მამულის გადასარჩენად იარაღი არ აისხას!

გერმანელები მოედანზე თავმოყრილ ქართველ ტყვეებს რიგში აყენებდნენ, მაგრამ კომენდანტმა ადმინისტრაციის ფანჯრიდან გადმოსძახა, არ არის საჭირო, სტუმრებს მათთან გულთბილი, მეგობრული საუბარი სწადიათო.

ტყვეებმა მოსულების ვინაობა და განზრახვა არ იცოდნენ.

ზოგი ამბობდა, რომელიღაც ქართველ კომისარს ეძებენო, ზოგი ამტკიცებდა აგენტები არიან, ჯანმრთელ, ღონიერ ჭაბუკებს არჩევენ გერმანიაში გასაგზავნადო.

ტყვეები მორჩილებით, თავის დახრით შეხვდნენ სტუმრებს.

— გამარჯობათ, ჩვენებურებო! — შორიდანვე შესძახა დაბალმა, მოსაჩვენებლად აცრემლებულ თვალებს ხელისგულებით რომ იწმენდდა.

— გაგიმარჯოთ! — მიუგეს იმით გახარებულმა ტყვეებმა, ამ გაჭირვებასა და უბედურებაში თანამოძმეებს რომ შეხვდნენ. და ერთმანეთს გადაულაპარაკეს, ქართველები ყოფილან, იქნებ ღმერთმა ჩვენკენაც გადმოიხედოსო.

მაღალმა ხელი შემართა, რაც მისალმებასთან ერთად გაფრთხილებასაც ნიშნავდა, მომისმინეთო, და რბილი, ცრემლნარევი ხმით დაიწყო:

— ქართველნო, ძმებო, ჩვენებურებო, ახე გასაწყლებულებს, დაბეჩავებულებს რომ გხედავთ, გული მიკვდება თვალი ცრემლით მევსება. ეს რა დღეში ხართ? მაშ, ქვეყნად სამართალია? ან ღმერთს რა შესცოდეთ, ან ხატს? ვინ დაგწყევლათ, ვინ ჩადგა თქვენს ცოდვაში, ვინ გარგუნათ ასეთი წყეული ხვედრი?

ამ ფარისევლური ღაღადისა და ცრემლების შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— დღეს დაჰკრა განკითხვის ჟამმა! კომუნისტური რუსეთი სულს ღაფავს. საბჭოთა კავშირში შემავალ პატარა ერებს სმის ამაღლება. თავისუფლებისათვის ბრძოლა მართებთ.

აი, სწორედ ამიტომ ჰიტლერმა გადაწყვიტა, ჩამოაყალიბოს რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების სამხედრო შენაერთები. იქმნება ქარ-

თული ბატალიონებიც. ვისაც უყვარს საქართველო, ვისთვისაც ძვირფასია ქართული სიტყვა, იარაღი უნდა აისხას, რადგან უბრძოლველად ბედნიერება არ მოიპოვება. ჰოდა, ძმებო, სააკაძის შთამომავალნო, ქართველ ემიგრანტთა ბიუროს სახელით მოგმართავთ: ჩაეწერეთ ქართულ ბატალიონში, იბრძოლეთ ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვანი სამშობლოს გადასარჩენად!

ტყვეები ერთმანეთს ქვეშ-ქვეშ უმზერდნენ, თითქოს იმის გაგება ეწადათ, ვის რა აზრი უტრიალებდა.

დაბალმა ტყვეებს თვალი მოავლო, მიხვდა, რომ მათი წინადადება არავის ეპაშნიკა და გულმოსულმა შეხძახა:

— ბიჭებო, რა ყურები ჩამოგიყრიათ, რას გაჩუმებულხართ? რატომ გავიწყდებათ, ვისი გორისანი ხართ!

— როგორ? მოძმეთა წინააღმდეგ ვიბრძოლოთ? — განრისხდა ერთი ტყვე.

დაბალმა მისი გვარი იკითხა. ხარკაძეაო, უთხრა ბანაკის უფროსმა.

მაღალმა თავითფეხამდე შეათვალიერა ხარკაძე და აღელვებით განაცხადა:

— თანამოძმეებთან რა ხელი გვაქვს! ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის, ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის უნდა ვიბრძოლოთ!

დაბალმა კი თავის მხრივ დაუმატა:

— გერმანიის ჯარები შევლენ თუ არა საქართველოში, ხალხი აღსდგება კომუნისტების წინააღმდეგ. თქვენ კი გინდათ გულხელდაკრეფილი ისხდეთ, შიმშილით მიიხრწნათ, სული ამოგხდეთ. ასეთ სამარცხვინო ხიკვდილს, განა არ გირჩევნიათ შეიარაღდეთ, ქვეყანას, ხალხს გამოადგეთ?

ხარკაძეს პასუხის გაცემა ეწადა, მაგრამ მაღალმა ხელი გაიშვირა მისკენ, თითქოს პირზე უნდა ააფაროსო, და ტყვეებს მიმართა:

— დროა, გაიგოთ, სამშობლოს ერთგულება, პატრიოტიზმი თქვენისთანა საწყალი ხალხის დასამორჩილებლად, გასაბრუებლადაა მოგონილი... ომის ჩარხს კი სულ სხვა ინტერესები ამოძრავებს. მითხარით, გამაგებინეთ, რისთვის სწირავთ სიცოცხლეს? შიმშილით სული ამოგხდებათ! ბატალიონში კი გაჭმევენ, გასმევენ, ჩაგაცმევენ, ჭიანჭველებივით აღარ გაგხრესენ. თუ ღვიძლი ძმები არა, ქართველნი ხომ ვართ, მაშ მოგვენდეთ, ჩვენი სიტყვა ირწმუნეთ!

ტყვეები ეჭვის თვალით შესცქეროდნენ ორატორს, დუმდნენ.

მაღალი და ბანაკის უფროსი განმარტოვდნენ. რაღაცაზე საუბრობდნენ ხმადაბლა. ბოლოს ტყვეებისაკენ გამოემართნენ.

ბანაკის უფროსმა მრისხანედ დაიყვირა. მისი სიტყვები თარჯიმანმა რუსულად თარგმნა:

—ვისაც არ გსურთ ბატალიონში ჩაწერა, ხელი ასწიეთ!

ხელი არავის აუწევია.

ტყვეებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე მზერა კაპიტან ჭიჭინაძეზე გადაიტანეს.

კაპიტანმა ჭიჭინაძემ კი ქართულად მიმართა ამხანაგებს:

— ბიჭებო, ავისხათ იარაღი და სამშობლოს დავუმტკიცოთ, რომ მისი ერთგული შვილები ვართ!

როგორ! ნუთუ კაპიტანი ვიქტორ ჭიჭინაძე, ვისაც მთელი არსებით სძულს ფაშისტი დამპყრობლები, ვინც ამხანაგებს ამხნევებდა, არ გატყდეთ, სულით არ დაეცეთ, ჩვენი მამალიც დაიყივლებს, ან ტყვეობიდან გავიქცევით, ან მტერთან ბრძოლაში დავიხოცებითო, — მოუწოდებს იარაღი აისხან, მტრის მხარეზე იბრძოლონ? ნუთუ გატყდა, სულით დაეცა, გერმანელებს მიეყიდა?!

ხარკაძემ თავი ისე დაიჭირა, ვითომ მიხვდა, რას გულისხმობდა ჭიჭინაძე სიტყვებით — სამშობლოს დავუმტკიცოთ, რომ მისი ერთგული შვილები ვართო, ამასთან, სახტად დარჩენილი ამხანაგების ფიქრსაც ჩასწვდა.

— სიმართლეს ამბობს კაპიტანი ჭიჭინაძე, ცარიელი ხელებით ვერაფერს გავხდებით. ვერც სამშობლოს ვარგებთ რამეს, ჩვენც ტყვეობაში დავიხოცებით! და ჭიჭინაძეს მიუბრუნდა. — ამხანაგო კაპიტანო, მწამს, მჯერა შენი, გენდობი, საცა შენ, მეც იქ მიგულე!

და აქეთ-იქიდან გაისმა შეძახილები:

— თანახმა ვარ, ჩამწერეთ?

— მეც თანახმა ვარ!

— მეც ვეწერები!

— მეც...

შეძახილებმა სულ უფრო იმატა, და, ასე ამგვარად, ორასი ქართველი ტყვე ჩაეწერა ქართულ ბატალიონში.

ისინი ღამის ფრინველებივით მიჰქროდნენ. მიფრინავდნენ. არც გზა ილეოდა, არც ღამეს უჩანდა ბოლო.

ეშინოდათ გერმანელები ძაღლებით არ გამოსდევნებოდნენ, ჩქარობდნენ, სულის მოსათქმელადაც არ ჩერდებოდნენ, არც ტალახს ერიდებოდნენ, არც გუბეებს, ტბორებსა და ჭაობებში მიტოპავდნენ.

იცოდნენ, გერმანელები ტყეში დაუწყებდნენ ძებნას, ამიტომ ტევრს ერიდებოდნენ, მინდორმინდორ ალალბედზე გარბოდნენ.

ალიონზე პატარა მდინარის პირას, ლერწიანში დაიმალნენ.

არემარეს შავი ღრუბლები დასწოლოდა. ტყისპირებსა და მდელოებზე ნისლი იწვა.

გადაწყვიტეს რიგრიგობით თვალი მოეტყუებინათ.

როცა ზაქრო სურამელი ფხიზლობდა, ავტომატი დაშალა, გაწმინდა, დისკოდან ვაზნები გამოიღო, დათვალა და ისევ ფაქიზად ჩაალაგა.

— რამდენი ვაზნაა? — შეეკითხა ვასია კოლდუნოვი.

— შენ, რა, გღვიძავს? ოცდაათი.

— ცოტა ყოფილა! თუმცა ესეც კმარა! რა ღმერთი გაგვიწყრება, ორი ტყვიით ერთ გერმანელს მაინც არ გავუხვრიტოთ შუბლი? დანით კი ერთს მაინც როგორ ვერ მოვუღებ ბოლოს!

— ჯანდაბას, ოღონდ ნაღდი იყოს, ერთ ფრიცზე სამ ვაზნასაც არ დავიშურებ!

კოლდუნოვმა, ძილს რომ თავი არ წაერთმია და დრო მოეკლა, ბავშვობა გაიხსენა. ქარქაშიდან მახვილი ამოიღო, ხელში შეათამაშა, საოცარი სიმარჯვით ისროდა, მიწაში არჭობდა. მერე დანის სროლაშიც წაივარჯიშა, ხეს ოცჯერ მაინც სტყორცნა და მხოლოდ სამჯერ ააცდინა, თან სულ უფრო მარჯვედ ისროდა და ღეროში ღრმად ასობდა.

თავისუფლება ორივეს ისეთ დიდ სიხარულს ანიჭებდა, დაღლასაც არად აგდებდნენ. შიმშილი გადაავიწყდათ, მხოლოდ იმას ნაღვლობდნენ, მხარეების განსაზღვრა გვიძნელდება, ალალბედზე მივდივართ და მოულოდნელად მტერს არ გადავეყაროთო.

ხელმარჯვნივ ორი-სამი კილომეტრის დაშორებით ტყე მოჩანდა, მარცხნივ ტრიალი მინდორი გადაშლილიყო. მინდვრის იქით სახლების კონტურები გამოკრთოდნენ ბუნდოვნად. გამოქცეულების ვარაუდით, შარაგზაც აქეთ უნდა ყოფილიყო...

დაბინდდა თუ არა, გზას გაუდგნენ. ტყე იყო ულრანი, ბნელი, იდუმალი.

დახლართულ ჩირგვებში ძლივს მიიკვლევდნენ გზას. თუმცა სად იყო გზა, ალბათ ამ ადგილებში ჯერ ადამიანს ფეხი არ დაედგა. ხავსსა და ხმელ ფოთოლში იფლობოდნენ, ეკლით სახე ეკაწრებოდათ, ტანსაცმელი ეფხრიწებოდათ.

დაიღალნენ, ძალა აღარ შესწევდათ, ძილი მოერიათ.

მიწაზე ტოტებდაშვებულ ნაძვის ქვეშ, ბუჩქის ძირებში გამოგლეჯილი ბალახი დაიგეს და დაწვნენ, ზევიდან პალტო დაიფარეს და მყისვე მკვდრულ ძილს მიეცნენ.

გათენდა, ტყე გაბრწყინდა. ანაზდად ნაძვის თავზე რაღაცამ გაიშხუილა. ორივე ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ მაშინვე მიწას გაეკრნენ. სულგანაბული ირგვლივ იხედებოდნენ. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ეტყობა, რომელიღაც ფრინველმა გადაგვიქროლაო, გული დაიმშვიდეს და გზას გაუდგნენ.

ორივე ილაჯგაწყვეტილი მიაბიჯებდა. მალიმალ ჩერდებოდნენ, გარშემო იხედებოდნენ, თუ როგორ სტანჯავდათ შიმშილი, ერთმანეთის ჩაცვენილ, მოქანცულ თვალებში კითხულობდნენ. ნაშუადღევს პატარა მოწანწკარე წყაროსთან შეჩერდნენ. ხელ-პირი დაიბანეს, ცივი წყლით გული გაიგრილეს და ხის ძირას მიწვნენ.

— ეჰ, ნეტავი რაიმე ნადირს მაინც გადავეყაროთ, — წაილაპარაკა სურამელმა.

— ასანთი რომ არ გვაქვს! — ისე დანანებით თქვა კოლდუნოვმა, თითქოს გარეული ღორი უკვე ეჭირათ და ჯოხზე წამოგებულ სუკს შეწვალა აკლდა.

ნელ-ნელა გაჰყვნენ პატარა ნაკადულს, კორძიან ხის ძირებში რომ მიიკლაკნებოდა.

შიმშილი უფრო გაუმძაფრდათ, არაქათგამოცლილნი ძლივს მილასლასებდნენ.

კვლავ შეისვენეს.

უცებ ქათმების კრიახმა დაარღვია ტყის სიჩუმე.

ორივე დაფეთებული წამოვარდა.

მათგან ასიოდე ნაბიჯზე, ნაკადულის პირას მწვანე მოლზე გარეული ქათმები დაგოგმანობდნენ.

— ხედავ? — აკანკალებული ხმით შეეკითხა კოლდუნოვი.

სურამელმა თავი დაუქნია, ხის ძირას წაწვა და ამხანაგს ხელით ანიშნა, რაღას უდგეხარ, დაწექიო.

— ესროლე, ესროლე!—ბუტბუტებდა კოლდუნოვი და სურამელისაკენ მუცლით მიხოხავდა.

— მეშინია, მდევარმა სროლის ხმაზე არ მოგვაგნოს! — მიუგო სურამელმა, ქათმებს თვალს რომ არ აშორებდა.

— ტყე უკაცრიელია, რისა გეშინია, მთავარია არ ააცდინო, გაიგე?

ფრინველებმა თითქოს საფრთხე იგრძნეს, შეყელყელავდნენ, დაიჭიმნენ, უცებ ერთი აფრინდა და ხის ტოტზე დასკუპდა.

კოლდუნოვმა ხელი უბიძგა ამხანაგს და, ამჯერად კი არ სთხოვა, უბრძანა:

— ნუღარ აყოვნებ, ესროლე!

გაისმა ჭახანი, ფრინველი ნაკადულში აფართხალდა, დანარჩენებმა იხუვლეს და გაფრინდნენ.

ისინი წამოხტნენ და ნანადირევისაკენ გაიქცნენ.

კოლდუნოვმა სურამელს გაუსწრო და მოკლულ ფრინველს, როგორც ცოცხალს ისე დააცხრა.

— აი, ქათამიც ამას ჰქვია, დახე, რა ვარდივით ხორცი აქვს! — ამბობდა სიხარულით აცრემლებული კოლდუნოვი და გამოცდილი მუშტარივით გალუმპულ ფრინველს ბარკალს უსინჯავდა.

ორივე ქათმის გაბდღვნას შეუდგა. ჩქარობდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ.

ბუმბული რომ გააცალეს, კოლდუნოვმა ქათამი გამოწელა.

— ეჰ, ასანთი რომ მოგვცა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა! — თქვა სურამელმა.

— მაშ, მაშ, როგრო შევბრაწავდით! — წაიმღერა კოლდუნოვმა, ნერწყვი გადაყლაპა და დასძინა — ის კი არა... — და ხმაში აღელვება დაეტყო.

— რის თქმა გინდა? — უმალ იკითხა სურამელმა.

ერთმანეთს თვალი გაუშტერეს და ორივემ ერთდროულად მორიდებით თქვა:

—რა უჭირს, უმი ვჭამოთ!

და კოლდუნოვმა ქათამი შუაზე გახლიჩა. ჯერ ხორცს წიწკნიდნენ, ჭამა უმძიმდათ, მაგრამ რომ ეგემრიელათ, გაუტიეს და, ალბათ, არასოდეს ასე მადიანად ერბოში შემწვარი ვარიაც არ ჩაუკნატუნებიათ.

თითო ბარკალი შეინახეს, ეს ხელუხლებელი მარაგია, ვინ იცის, წინ რა მოგველისო.

წყალს დაეწაფნენ, წყურვილი მოიკლეს და ისევ ნაკადულს გაჰყვნენ.

დაბნელდა.

უფრო იდუმალი გახდა ტყე.

შემზარავად, ავისმომასწავებლად მოჩანდა ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი.

ერთბაშად ცაში ატყორცნილმა ცეცხლის ბურთმა ცა გაანათა. მათგან ხელმარჯვნივ, რაღაც ასიოდე ნაბიჯზე, ავტომატებმა დაიჭექეს, ტყვიამფრქვევი აკაკანდა.

ისინი მიწას განერთხნენ.

მანათობელი ტყვიები ფოთლებს სხეპავდა, მცენარეთა ღეროებს ხლეჩდა, მიწას თხრიდა.

სიბნელეში თვალი შეასწრეს წაკუზულ ლანდებს, მოკლე გადარბენით რომ მოიწევდნენ წინ და ხეებს ეფარებოდნენ.

— სანამ გარს შემოგვერტყმიან, გავიქცეთ! — წასჩურჩულა სურამელმა.

— უმჯობესია ჩავსაფრდეთ, სეტყვასავით წამოსულ ტყვიას შორის ვერ წაუვალთ! — მიუგო კოლდუნოვმა.

— ოცდაცხრა ტყვიით რას გავხდებით... ბევრნი არიან!

მოხრილები გაიქცნენ, ხეებს ეფარებოდნენ...

უეცრად კოლდუნოვს მხარში ტყვია მოხვდა, გულზე თითქოს ჰვალი დაადგა, თვალზე ბინდი გადაეკრა.

„ რა დროს დავიჭერი?! — ელვასავით გაურბინა, მაგრამ თავი იმით ინუგეშა, ეტყობა ჭრილობა მძიმე არ არის, თორემ ბეჭში რომ გაევლო, წამაქცევდაო. ორიოდე ნაბიჯი გადადგა და მარცხენა ხელი გაუშეშდა, სული ძლივსღა მოითქვა.

ზაქრო მყისვე ამხანაგთან გაჩნდა.

კოლდუნოვი ხეს მიყრდნობოდა, სიმწრით კბილებს აკრაჭუნებდა. სურამელი მიხვდა, ამხანაგი მძიმედ იყო დაკოდილი, მაგრამ ამაზე ლაპარაკს თავი აარიდა და მუდარით უთხრა:

— ვასია, უნდა გაიჭირვო, თორემ დავიღუპებით!

— რა ვქნა, არ შემიძლია! — შეეცადა მშვიდად ეთქვა, მაგრამ მისმა ცრემლნარევმა ხმამ გასცა გულში დაგუბებული ნაღველი.

— ნუ გეშინია, დაგეხმარები! — და წელზე ორივე ხელი შემოხვია, ცდილობდა აყვანას, მაგრამ ტყვიებმა ყურის ძირში გაუზუზუნა. შეწყდა თუ არა სროლა, სურამელი წამოხტა და ამხანაგი მხარზე წამოიკიდა. ფრთხილად ფრთხილად, ემუდარებოდა კოლდუნოვი. სურამელს ჯერ მსუბუქი ეჩვენა დაჭრილი, მაგრამ ოციოდე ნაბიჯი რომ გაიარა, დამძიმდა. წაქცეულ ხეებს აწყდებოდა, ხმელ ფოთლებსა და ხავსში იფლობოდა, ტოტებს ლამის თვალები დაეთხარა, მაგრამ მაინც არ ტყდებოდა, მძიმე უღელდადგმული ხარივით ქედდახრილი მიტორტმანობდა.

მდელოზე გავიდა. მარჯვნივ ბუჩქებს ჩაჰყვა, მერე ტყის სიღრმეში შევიდა, ამხანაგი ტოტებგაშლილ ფიჭვის ქვეშ დააწვინა.

— ახლა კი შენს ჭრილობას მივხედოთ!—ისე მშვიდად წაილაპარაკა სურამელმა, გეგონება, წინასწარ იცოდა, რომ მისი იარა უმნიშვნელო. იოლი მოსარჩენი იყო.

კოლდუნოვმა გულსაკლავად ამოიგმინა, წასულია ჩემი საქმე, აღარაფერი მეშველებაო.

სურამელმა დაჭრილს ქამარი შეხსნა, პერანგი აუწია და მარჯვენა ბეჭზე ჭრილობა მოუსინჯა. ხვრელი ღრმა იყო, ნატყვიარზე ბევრად დიდი, მსხვრევადი ტყვია მოხვედროდა.

სურამელმა კოლდუნოვის პერანგს კალთა მოახია, ოთხად დაკეცა და ჭრილობაზე დააფარა. ფეხზე ორივე ტოლალი შეხსნა და იარა შეუხვია.

კოლდუნოვი ხმამაღლა ოხრავდა. მოელვარე თვალებით ამხანაგს მისჩერებოდა, თითქოს რაღაცის თქმა სურდა. ბოლოს ხრინწიანი ხმით წაიბუტბუტა:

— ზაქრო, ძმაო, სიარული აღარ შემიძლიან, შენც ვერ შესძლებ ჩემს ტარებას! ველარაფერს მიშველი, ხაფანგში ვართ გამომწყვდეული! ჰოდა, შენ მაინც უშველე თავს.

— ვერა, ვერ მიგატოვებ! — მტკიცედ, დაბეჯითებით მიუგო სურამელმა.

განსაცდელში ადამიანი თავის უბედურებისადმი განუსჯელი ხდება. კოლდუნოვს თავას თავზე მეტად ამხანაგის ბედი აწუხებდა. თან იმასაც ფიქრობდა, მე დაჭრილი ვარ, იქნებ მტერმა შემიბრალოს, არ მომკლანო. ამ მამაც ქართველს კი ხელში ავტომატი უჭირავს, მტერს ზედ შეაკვდებაო. აფსუს, რა ვაჟკაცი დაიღუპება! ნეტავი შეეძლოს ხსნა! სურამელი ხომ თავს არ ანებებს, მისი გულისათვის სიცოცხლეს სწირავს, მაშ, რატომ იმან არ უნდა იზრუნოს ამხანაგზე? მოდი და თავს მოიმკვდარუნებს, მაშინ სურამელი წავა, მტერს გასცილდება.

კოლდუნოვმა ერთბაშად ამოიკვნესა, ჩუმად, თავისთვის წაილუღლუღა.

— ოჰ, დედა, ჰაერი არ მყოფნის, სული მე-

ხუთება! — თან ხელ-ფეხი დაჭიმა, თავი გვერდზე გადაუვარდა.

— ვასია, ვასია! — ჩასძახა მუხლებზე დაჩოქილმა სურამელმა და თავი წამოუწია.—გამაგრდი, მე აქ ვარ, გამაგრდი!

კოლდუნოვმა თვალები ფართოდ გაახილა, უმწეოდ ხელი მისკენ გაიშვირა:

— მშვიდობით, ზაქრო, თვალთ მიბნელდება, ვკვდები!

— ბიჭო, იქნებ მტერს თავი დავაღწიო, მითხარი, ვის მივწერო, ვის გავაგებინო შენი ამბავი?

— არავის.., უთვისტომო ვარ.. მყავს საცოლე... იგი ციმბირშია, მისამართი არ ვიცი! — და კვლავ გაიჭიმა, ოდნავ წამოიწია, მაგრამ უმალ კისერი მოსწყდა, თავით მიწას დაენარცხა... სუნთქვა შეიკრა. მხოლოდ ერთი თვალი მოხუჭა, მეორე კი ოდნავ ღიად დარჩა.

სურამელი ამაოდ ჩასძახოდა, ვასია, ვასია, რა დაგემართა, ხმა ამოიღეო.

კოლდუნოვი კრინტს არ სძრავდა, უძრავად იწვა, სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

სურამელს ტანში უსიამოვნო გრძნობამ დაუარა, შიშმა აიტანა. მართალია კოლდუნოვი მძიმედ იყო დაჭრილი, სისხლდაწრეტილი, უმწეო, მაგრამ ამხანაგი გვერდით რომ ეგულებოდა, იმედი ეძლეოდა, მხნეობა ემატებოდა. ახლა კი გაავებულ გერმანელების პირისპირ მარტო დარჩა.

ფრთხილად დაამტვრია ნაძვის ტოტები და კოლდუნოვს დააფარა.

ცაში ერთბაშად შუშხუნამ ტკაცანი გაიღო და ტყისპირი ლურჯად განათდა.

ასიოდე მეტრის დაშორებით წაკუზულ გერმანელებს შეასწრო თვალი, ბუჩქიდან ბუჩქზე რომ გადმორბოდნენ.

სურამელი საფარისკენ გაიქცა, მოულოდნელად ცეცხლს დავუშენ, მდევარს შევაჩერებ, მერე კი ტევრს მივცემ თავსო. ჩასაფრდა თუ არა, ცაში კვლავ ავარდა შუშხუნა.

რაკი ტყისპირი უკაცრიელი იყო და საეჭვოს ვერაფერს ხედავდნენ, გერმანელები მდელოზე შეჯგუფდნენ, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, აქეთ-იქით ხელებს იშვერდნენ, ბოლოს რამდენიმემ მისკენ აიღო გეზი, დანარჩენები კი მოპირდაპირე მხარეს წავიდნენ.

— დროა! — გულში შესძახა სურამელმა და ცეცხლი გახსნა.

მდევარნი აქეთ-იქით გაიფანტნენ, ზოგი მიწაზე დაეცა, ზოგმა კი სირბილით ბუჩქებს მიაშურა.

სურამელს უნდოდა ორი-სამი ტყვია შემოენახა, მაგრამ გრძელი ჯერი მისცა და ავტომატი მთლად დაცალა.

ტყვია რომ შემოელია, წამოხტა და ჩაბნელებულ ტყეს შეერია.

გენერალი გულცმანი, გამცილებელ მეავტომატეთა თანხლებით, მსუბუქი ავტომანქანით მიეშურებოდა იმ ადგილისაკენ, გაპარულმა ტყვეებმა მდევარს წინააღმდეგობა რომ გაუწიეს.

მანქანა ოღროჩოღრო გზაზე მირახრახებდა.

გენერალი ხან ტყისპირას ატეხილ ბუჩქებს აყოლებდა თვალს, ხან მუხლისთავებზე გაშლილ რუკას დასცქეროდა.

მდელო, საცა ბრძოლა მოხდა, მიახლოებით ტევრის შუაგულში მდებარეობდა.

შუაღამისას გულცმანს რომ მოახსენეს, ტყვეების კვალს მივაგენითო; იმანაც მაშინვე პოლონეთის რაიხსკომისარს დეპეშით აცნობა ეს ამბავი.

შუაღამე გადასული იყო, მაგრამ გენერალი არ იძინებდა, წუთიწუთზე ელოდა როდის აცნობებდნენ, ტყვეები ხელთ ვიგდეთო. უნდოდა ეს ამბავი შეფისათვის პირადად შეეტყობინებია.

გენერალს განსაკუთრებით ის ანიჭებდა უსაზღვრო სიამოვნებას, რომ გაქცეულთა მეშვეობით პარტიზანთა ადგილსამყოფელს მიაგნებდა. მძინარე რაზმს მოულოდნელად თავს დაესხმოდა, ერთიანად მუსრს გაავლებდა. ალბათ თვით ფიურერი გაიგებდა მისი ხიმამაცის ამბავს. ბრძანებაში მოიხსენიებდა და, იქნებ...

მისი თანაკურსელები სამხედრო აკადემიიდან ფელდმარშლები გახდნენ. ის კი, საფრანგეთში უქმად მჯდომი, დღემდე ვერ ეღირსა დაწინაურებას.

თავში ეს ნეტარი აზრები უტრიალებდა გენერალ გულცმანს, როცა აცნობეს, გაქცეულებმა ცეცხლი დაგვიშინეს, ორი ჯარისკაცი მოგვიკლეს, ოთხი დახჭრეს და ტყეში მიიმალნენო.

ნუთუ ხელიდან გაუსხლტნენ დამნაშავენი! არა, ეს დაუჯერებელია! საათნახევარში დაჭრილი ტყვე დაბურულ ტყეში ათ კილომეტრს ვერ გაივლის. ის კი არა, სალ-სალამათი კაციც ვერ შეძლებს ამას. მაშასადამე, ისინი აქედან შორს არ იქნებიან!

მხოლოდ ის აფიქრებს, ვაითუ ტყვეები ვერ გამოტეხოს, ვერ აალაპარაკოს, თურმე რუსები საიდუმლოს გათქმას, სიკვდილს ამჯობინებენ!

ამასაც ვნახავთ, რა ვაჟკაცები არიან! მადლობა ღმერთს, გენერალ გულცმანს ასეთ საქმეში გამოცდილება არ აკლია. არაერთი ფრანგი პატრიოტისათვის ამოუდგმევინებია ენა. რუსებსაც აალაპარაკებს, ყველაფერს დააფქვევინებს, თუ გაჯიუტდებიან, ორივეს ენას გაზით ამოჰგლეჯს.

ტყეში შემავალ ვიწრო გზასთან გუშაგები იდგნენ.

ფელდფებელმა ხელის აწევით შოფერს მანქანა გააჩერებინა, მწყობრი ნაბიჯით წარსდგა

გენერალთან და მოახსენა, ეს გზა იმ მდელოსაკენ მიემართება, სადაც გაქცეულებთან შეტაკება მოხდაო.

კოლდუნოვი ფიჭვის ხშირ ტოტებქვეშ იწვა. ისე იყო სასოწარკვეთილი, მოთენთილი, თავის აწევა უჭირდა, გალვიძებული ტყის სუნთქვას გრძნობდა, ჩიტუნების ჟღურტული ესმოდა.

კოშმარული სიზმარივით ახსოვს წუხანდელი საშინელებანი.

ღამით მალი-მალ ილვიძებდა, მიწაზე გდებით ნეკნები სტკიოდა, კბილს კბილზე აცემინებდა, გული ეროდა. გათანგული იყო, დახველება არ შეეძლო, გულ-მკერდში აუტანელ ტკივილს გრძნობდა.

ვარსკვლავებმა სინათლე დაჰკარგეს. განთიადის მაუწყებელმა ხიომ დაუბერა მოეჩვენა, რომ არწივი ბოინობდა ცაში. მერე კი მიხვდა, ყვავ-ყორნები დახჩხაოდნენ თავზე.

მის სიკვდილს თუ ელიან? დააცხრებიან, თვალებს დასთხრიან!

თვალებს ხუჭავდა. ცდილობდა საკუთარ გულში, მცირედი იმედის ნაპერწკალი ეპოვა, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს ნახულობდა. ბოლოს ეს აზრი დაებადა, ხომ შეიძლება პოლონელმა პარტიზანებმა მიპოვნონ და გადამარჩინონ, ან აქაურ მცხოვრებლებს ხმა მივაწვდინო.

არა, ეს მხოლოდ ამაო ილუზიებია!

ალბათ, გერმანელები, სანამ გაქცეულებს არ იპოვნიან, ტყეში კაცს არ გააჭაჭანებენ!

ნეტავ პირში ნერწყვი რალამ გაუშრო? ერთი ყლუპი წყალი რომ დაალევინა, შვებას იგრძნობს, ტკივილი შეუმსუბუქდება. თვალები ებლიტება, ბურანში მიდის!

ძილ-ღვიძილში მყოფს ძრავის გუგუნი შემოესმა. გაიფიქრა, ან ტყის თავზე თვითმფრინავები მიფრინავენ, ან აქ, სადღაც ახლო, შარაგზააო. წვალებით ოდნავ გვერდზე გადაბრუნდა, ყური მიწას დაადო, ხმენად იქცა. გუგუნი უფრო გარკვევით ისმოდა, ამასთან ტოტების მტვრევის ხმა, ხმელი ფიჩხის ლაწანი გაიგონა. მალე ტყიდან მანქანა გამოგრუხუნდა და შუა მდელოზე შეჩერდა.

მანქანიდან ვილაცეები გადმოხტნენ და ხმამაღლა ალაპარაკდნენ, განსაკუთრებით ერთი წვრილი, ხრინწიანი ხმა გამოირჩეოდა ყველასაგან. ეტყობა უფროსი იყო, ხელქვეითებს უყვიროდა, განკარგულებებს აძლევდა..

კოლდუნოვი მათ ლაპარაკს ვერ იგებდა, თუმცა ამას არც ცდილობდა, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ გერმანელები იყვნენ.

„მშვიდად იწექი“! — ეჩურჩულებოდა თავის თავს, — დაჭრილს, უიარაღოს, ღონეგამოცლილს აღარაფერი მოგეთხოვება. ოღონდ გამაგრდი, სიმშვიდე შეინარჩუნე. ადვილი შესაძლებელია, წუხანდელივით ვერც ამათ შეგნიშნონ, ჩაგიარონ, გადარჩე!“

გენერალი გულცმანი, შუბლშეკრული და განრისხებული, ფერად ხალიჩასავით გაფენილ მდელოზე ფეხებს ქარიან ცხენივით განზე ადგამდა; ფეხდაფეხ იმ ბატალიონის მეთაური მისდევდა, რომლის ერთ-ერთ ოცეულს გაქცეულ ტყვეებთან შეტაკება მოუხდა.

— კაპიტანო! — მხარს ზემოდან მკვახედ გადასძახა გენერალმა ბატალიონის მეთაურს.

— გისმენთ, ბატონო გენერალო!

— შენც და შენი ჯარისკაცებიც გერმანიის არმიის მუნდირს არცხვენთ!

— ბატონო გენერალო, ან ქაჯები არიან, ან ეშმაკები! ქარივით მიჰქრიან... დაწევა შეუძლებელია. აი, აქ თვითონვე ჩაგვისაფრდნენ...

— სირცხვილია, სირცხვილი, კაპიტანო! ორი კაცი როგორ გაგიმკლავდათ? კარგი და, მერე რა ღმერთი გაგიწყრათ, როგორ ვერ გაბოჭეთ?

— ბატონო გენერალო, ან ფრთები გამოისხეს, ან ქვესკნელში ჩაძვრნენ!

— კაპიტანო, რას ბოდავ! ისინი შორს ვერ წავიდოდნენ! — და ადიუტანტს მიუბრუნდა, შტაბის უფროსს ბრძანება გადაეცი, სასწრაფოდ ძაღლები გამოგზავნონო.

გენერალი ნამთვრალევი იყო. წინა დღეს იმდენი დალია, ახლა გული აწუხებდა, თვალები უბნელდებოდა, კუჭ-ნაწლავი ეწვოდა. ტყის პირს რომ მიუახლოვდნენ, მხლებლებს ანიშნა — მომშორდითო, და იქვე ტოტებგართხმულ ფიჭვის ქვეშ შეძვრა.

ეს რა ხმა ისმის? მგონი ვილაც უახლოვდება! კაცია თუ ნადირი? ჯანდაბას, ვინც უნდა იყოს, მოსახდენი დაე მოხდეს. წამისად გონება უბნელდება, ტკივილები უყუჩდება, გულზე ეშვება. თუ ეს სულის ნელ-ნელა ამოხდომაა, არც ისე ძნელი ყოფილა სიკვდილი!

კოლდუნოვმა წვალებით წამოიწია, ხეზე მიყრდნობილი გენერალი რომ დაინახა, გაიფიქრა ხომ არ მეჩვენებაო, თვალები დაახამხამა და ფართოდ გაახილა.

დიახ, მისგან ხუთიოდე ნაბიჯზე, მაღალი ქერა გერმანელი ხეს მიყრდნობოდა, უცნაურად იგრიხებოდა, თითქოს ისიც სულსა ლევსო...

ომ, როგორ უნდა გერმანელს ყელში სწვდეს, ყანყრატო გამოლადროს, კატასავით წაახრჩოს!

და უეცრად მასში გაილვიძა ბრძოლის ჟინმა. ხელები დამუშტა, ძალ-ღონე მოიკრიბა, თვალში ცეცხლმა გაუელვა.

მთელი ტანით დაიძაგრა, ფრთხილად წამოდგა, მწვავე ტკივილისაგან კბილები დააკრაჭუნა, ჯიბიდან ფინური დანა ამოიღო, ფრთხილად მოიმარჯვა და რაც ძალი და ღონე ჰქონ-

და, გენერალს ესროლა. ბასრი მახვილი გულცმანს ბეჭებში ღრმად ჩაესო, იგი დატორტმანდა, ძირს გაგორდა და ფართხალი დაიწყო.

ტყისპირას გაჩერებულმა გერმანელმა ოფიცრებმა მიწაზე აფართხალებული გენერალი რომ დაინახეს, დაიბნენ, უცებ ვერ გაიგეს რა ხდებოდა, წარამარა ხელი პისტოლეტისაკენ გაურბოდათ და, ამჯერად ესეც შეაგვიანეს. ბოლოს ტოტებგართხმულ ფიჭვთან მიირბინეს და კოლდუნოვს ტყვია დაახალეს. თვალებგადატრიალებული გენერალი კი უკვე მოუსავლეთში იყო.

ზაქრო სურამელმა მგლის მუხლი გამოაბა. არაფერს ერიდებოდა. მიარღვევდა ბუჩქებს, ფიჩხყრილებს. თავპირზე ხვითქი გადასდიოდა.

ეგონა, ვფიქრობო, მაგრამ ხმამაღლა წარმოთქვამდა, დედა გიტირეთ, გერმანელებო, კოლდუნოვის სამაგიერო ხომ გადაგიხადეთ, ახლა, თუ ბიჭები ხართ დამეწიეთო.

ზაქრო მთის შვილი იყო. ტყესა და ღრეში, ჭიუხებსა და სალ კლდეებზე ნახეტიალი, ნაწრთობი, გაკაჟებული.

ფეხდაფეხ სიკვდილი მისდევდა, მხოლოდ გაქცევით შეეძლო თავის გადარჩენა, ავტომატი გადააგდო, ცარიელი რის მაქნისია, ზედმეტ ბარგად მაწევსო, გზაში შემთხვევით ნაშოვნი პალტოც ბუჩქნარში ისროლა, მთავარია მტერს თავი დავაღწიო, თორემ სიცივეს როგორმე გავუძლებო.

სინათლემ იმატა, ჰაერი უფრო გამჭვირვალე გახდა. ტყე შეთხელდა, ხეები დიდვარჯებიანი გახდა, ტოტები უფრო განზე გაეშალათ.

ტყისპირზე გავიდა, წინ ვრცელი ველი გადაიშალა. ხელმარჯვნივ, ასიოდე მეტრზე ფართო შარაგზა გადიოდა, კანტიკუნტად რომ მიმოქროდნენ მანქანები.

მარჯვნივ, რვაასიოდე მეტრის დაშორებით, პატარა სოფელი მოჩანდა. საჭმლის შოვნას მხოლოდ იქ შესძლებდა, მაგრამ შესვლა ვერ გაბედა, იცოდა მდევარი ასე იოლად არ მოეშვებოდა, ამიტომ შეუსვენებლივ გზას განაგრძობდა.

ქართული ბატალიონის მეთაური კაპიტანი ფონ ეიხბერგი ხელქვეითებს დღენიადაგ ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდა:

— უნდა დავივიწყოთ წარსული. თქვენ დიდი პატივი დაგდოთ ფიურერმა, თავის უძლეველი არმიის მეომრებად რომ გაგხადათ, ქვეყნად არცერთ არმიას, მით უმეტეს. წითელ არმიას, არ გააჩნია ისეთი მეცნიერულად დამუშავებული სამხედრო ტაქტიკა და სტრატეგია, ომის წარმოების ხელოვნება, როგორიც გერმანიის არმიას, ჩვენ ერთი დარტყმით გავანადგურეთ, ნაცარტუტად ვაქციეთ მრავალი სახელმწიფოს არმიები.

რუსეთსაც შავ დღეს დავაყრიდით, მაგრამ ხელი შეგვიშალა უგზოობამ, გაუვალმა ჭაობებმა, ნაადრევმა ცივმა ზამთარმა — შარშან, ოქტომბერ-ნოემბერში მოსკოვი დროებით გადარჩა. ჰიტლერმა შეიმუშავა გენერალური გეგმა: ჯერ უნდა ავიღოთ სტალინგრადი, დავეუფლოთ კავკასიას, რათა მოსკოვს გადავუჭრათ მთავარი სასიცოცხლო არტერიები და მერე ზურგიდან შემოვლით ავიღოთ იგი.

დიდი ბრძოლები, დიდი გამოცდა მოგველის! ახლანდელ ომში, სიმარჯვესა და მოქნილობასთან ერთად, ბრძოლის ბედს სწყვეტს იარაღი! მხოლოდ ქარიშხლისებური ცეცხლით შეიძლება მტრის განადგურება, მისი ფსიქიკის მოშლა. ამიტომ ზედმიწევნით უნდა დაეუფლოთ იარაღს, ისწავლოთ მიზანში სროლა, ცეცხლის მართვა, ბრძოლის წარმოება!

ბატალიონის მთელ შემადგენლობას დილიდან საღამომდე ავარჯიშებდნენ სამწყობრო, თუ საცეცხლე მომზადებაში.

მესამე ასეულს მეთაურობდა კაპიტანი ჭიჭინაძე, სიმკაცრითა და მომთხოვნელობით ყველასაგან რომ გამოირჩეოდა.

კაპიტანი ჭიჭინაძე ვისაც ენდობოდა, ვის გამტანიანობაშიც ეჭვი არ ეპარებოდა, აფრთხილებდა: ძმებო, არ დამემდუროთ, არ გამკიცხოთ, ეს საჭიროა საერთო საქმისათვისო.

კაპიტანი გუმანით ხვდებოდა, ბატალიონში იყვნენ გერმანელების მიერ გადაბირებულები, მოღალატენი.

ეს აზრი იმან უფრო განუმტკიცა, რომ ბატალიონში მოავლინეს სს-ელი ზონდერფიურერი ზალუპი. თავის სიდაბლე რომ დაეფარა, ივი მაღალქუსლიან ჩექმებს იცვამდა, ჩვეულებრივზე მაღალციანი ქუდი ოდნავ ზემოთ აწეული ეხურა. დაბალი შუბლი დღენიადაგ მოქრუშული ჰქონდა, წარბები შეჭმუხვნილი, ჭროღა თვალები — მოჭუტული. კაცი იფიქრებდა, ზალუპს არასოდეს გაუცინია და კიდევაც რომ მოიხუროს, ნიღაბივით სახეზე მაინც არ შეეტყობათ.

ზონდერფიურერ ზალუპის განკარგულებით ნავახშმევს, მესამე ასეულიდან ექვსი ლეგიონერი წაიყვანეს სოფლის განაპირა საბძელში.

შუაღამით ასეულში მხოლოდ ტყვე მძინარიშვილი დაბრუნდა.

კაპიტანმა ფონ ეიხბერგმა ოფიცერთა შეკრებაზე განაცხადა, ზონდერფიურერმა ზალუპმა მოახდინა საეჭვო პირებისაგან ბატალიონის გაწმენდაო, სინამდვილეში კი აი რა მოხდა.

კედელზე დაკიდული ჭრაქი საბძელს ოდნავ ანათებდა. ზონდერფიურერი ზალუპი, თითქოს საინტერესო თეატრალურ სანახაობას ელოდებაო, სიგარეტს დინჯად აბოლებდა, თან ბოლთას სცემდა, გერმანელმა ჯარისკაცებმა ტყვეები საბძელში შერეკეს და უკანა კედელთან დააყენეს. თვითონ კი, მათ პირისპირ, ქანდა-

კებასავით დაეყუდნენ და ავტომატები შუბლში დაუმიზნეს.

ზონდერფიურერი ზალუპი მარცხნიდან მოჰყვა. ტანდაბალ ტყვეს შეუბღვირა და გამართული რუსულით შეეკითხა. თანახმა იყო თუ არა იგი გერმანელების ყურმოჭრილი მონა გამხდარიყო, გაეცა თავისი თანამოძმენი, დაესმინა ისინი. ნაწამები ჯარისკაცები ჯერ დუმდნენ, მერე კი ერთმა რომ გაბედა და უარი თქვა ამ სამარცხვინო საქციელზე, ოთხი ტყვე აჰყვა მას და ზონდერფიურერს უარი სტკიცეს. განრისხებული ზალუპის ბრძანებით ხუთი ლეგიონერი იქვე დახვრიტეს.

მარტო ერთი, მძინარაშვილი აღმოჩნდა სულმოკლე.

ზონდერფეიურერმა ჯარისკაცებს უბრძანა, საჭირო აღარა ხართ, გარეთ გადითო. თვითონ კი დახვრეტილ ლეგიონერების გასწვრივ ბატონკაცურად გაიარ-გამოიარა და მძინარაშვილის წინ შეჩერდა. თვალი თვალში გაუყარა და გამარჯვებული კაცის უდარდელობით შეეკითხა:

— აბა მითხარი, ტყუილ-უბრალოდ რისთვის გასწირეს სიცოცხლე?!...

— ჰო! — უაზროდ წაიბუტბუტა მძინარაშვილმა.

ზონდერფიურერს მძინარაშვილის აბნეულობაზე გაეღიმა, მისი „ჰო“ თანხმობად ჩათვალა და ლმობიერად განაგრძო:

— ხომ ხედავ, მე შენ სიცოცხლე გაჩუქე. დამიფასე ეს ამაგი, ერთგული იყავი, ასი ყური გამოისხი, ასი თვალი იქონიე. დაუყოვნებლივ მაცნობე იმათ შესახებ, ვინც გაქცევას, ან სხვა ბოროტებას განიზრახავს! რატომ დუმხარ, ამათი ნუღარ გერიდება! — და ცერი იქვე გაშოტილი გვამებისაკენ გაიშვირა. — მკვდრებმა ყველაზე უკეთ იციან საიდუმლოს შენახვა!

— ჰო! — ამჯერადაც ეს აჩემებული სიტყვა წამოროშა.

კაპიტანი ჭიჭინაძე გამახვილებული ალღოსა და გამჭრიახი გონების წყალობით უმალ მიხვდა ყველაფერს და თანამებრძოლები გააფრთხილა.

*

ჰიტლერს ეგონა წითელმა არმიამ თავისი რეზერვები ამოწურა მოსკოვთან. დაიმედებული იყო, რომ 1942 წლის ზაფხულის კამპანიაში წარმატებას მიაღწევდა. ამიტომ არავის ყური არ ათხოვა, მოსკოვის დაპყრობის გეგმა დროებით გვერდზე გადასდო, და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გაენადგურებინა საბჭოთა ჯარები დონის დასავლეთით, დაეპყრო სტალინგრადი, ჩრდილოეთ კავკასიის ნავთობის რაიონები, გადაელახა კავკასიონის მთავარი ქედი და შესულიყო ამიერკავკასიაში.

მსოფლიოს ბატონობაზე მეოცნებეს ამიერკავკასია უნდა გადაექცია პლაცდარმად, საიდანაც ერაყში გადაისროდა მოტორიზებულ კორპუსს და ინდოეთისაკენ გაიჭრებოდა. ამასთან, განზრახული ჰქონდა შეექმნა განსაკუთრებული შტაბი, არაბული სამყაროს საკითხებს რომ უხელმძღვანელებდა.

ჰიტლერი იმასაც ვარაუდობდა, ამ ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში, იაპონია და თურქეთი, საბჭოთა კავშირის საზღვრებზე ჯარებს რომ უყრიდნენ თავს, გერმანიის გარდუვალ გამარჯვებაში დარწმუნდებოდნენ და რუსეთის წინააღმდეგ ომს დაიწყებდნენ.

სამხრეთზე შეტევისათვის ჰიტლერმა შექმნა ფელდმარშალ ლისტის სარდლობით ჯარების ჯგუფი „ა“, რომელშიც 170 ათასამდე მეომარი იყო გაერთიანებული.

ჯგუფს შეიარაღებაში ჰქონდა 1130 ტანკი, 4540 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, ათასამდე თვითმფრინავი.

საბჭოთა ჯარის ნაწილები, ეს უბანი რომ უნდა დაეცვათ, 1942 წლის ივლისში გაერთიანდნენ ჩრდილო-კავკასიის ფრონტად, რომლის სარდლად მარშალი ბუდიონი დაინიშნა.

რა თქმა უნდა, წითელი არმიის ნაწილებს არ შეეძლო მტრის ჭარბი ძალების მოგერიება და ისინი ორგანიზებულად უკან იხევდნენ.

ჩრდილოეთიდან ჯარის ნაწილებმა რომ ამიერკავკასიაში შეაღწიონ, ან კავკასიონის მთავარ ქედს დასავლეთისაკენ უნდა შემოუარონ შავი ზღვის სანაპიროთი, ან აღმოსავლეთიდან — კასპიის ზღვის სანაპიროთი, ანდა გადალახონ ვიწრო უღელტეხილები, რომლებიც ჯარების გადაჯგუფებისათვის არაა ხელსაყრელი, რადგან ზამთარში ჩამოწოლილი ზვავებით იფარებიან და გაუვალი ხდებიან.

ჰიტლერელ გენერლებს არ გასძნელებიათ იმის გამოცნობა, რომ ყველაზე უკეთესი გზა ამიერკავკასიაში შეჭრისათვის იყო მაიკოპ-ტუაფსეს მიმართულება. აქ რკინიგზის ლიანდაგს გასდევს ფართო შარაგზა. თანაც არმავირიდან, რომელიც მათ ხელში იყო, ასოცდაათი კილომეტრიღა რჩებოდა შავი ზღვის სანაპირომდე.

სამხრეთის ჯარების სარდლის ფელდმარშალ ლისტის ბრძანებით ტუაფსეზე შეტევისათვის გენერალ რუოფის სარდლობით შეიქმნა დამრტყმელი ჯგუფი „ტუაფსე“, რომელშიც ათამდე დივიზია და საკავალერიო კორპუსი გაერთიანდა. ამასთან, რუოფის განკარგულებაში იყო დიდძალი ავიაცია, შორსმსროლელი არტილერია და სხვადასხვა გვარეულობის სამხედრო ნაწილები.

მტრის არაერთი შეტევა მოგერიებული იქნა. ალაგ-ალაგ წითელი არმიის ნაწილები კონტრშეტევაზეც გადავიდნენ და მოძალადე ჰიტლერელებს კუდით ქვა ასროლინეს.

გერმანელები ყოველგვარ ღონეს ხმარობ-

დნენ, რათა განევითარებინათ შემდგომი წინსვლა, გასულიყვნენ შავი ზღვის სანაპიროზე, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდნენ.

ჰიტლერი ცოფებს ჰყრიდა.

ასე არასოდეს სწყურვებია გამარჯვება! თუ ახლა სამხრეთით წარმატებას ვერ მიაღწევს, მსოფლიოსათვის ცხადი გახდება, რომ გერმანიას აღარ შესწევს ძალა ომის გაგრძელებისა და დამარცხება უწერია. თქმა არ უნდა, იაპონია და თურქეთი რუსეთს ომს აღარ გამოუცხადებენ. ამას ვინ ჩივის! ვაითუ მოკავშირე სახელმწიფოებმაც უგანონ და მოწინააღმდეგესთან საზავო ხელშეკრულება დასდონ.

ჰიტლერმა სამხრეთის ფრონტზე თავის წარმომადგენლად სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი იოდლი გაგზავნა და უბრძანა, ფელდმარშალ ლისტის ჯარებს დაუყოვნებლივ განეახლებინათ შეტევა, გადაელახათ კავკასიონის მთაგრეხილი და ხელში ჩაეგდოთ ამიერკავკასია.

იოდლი კავკასიაში ჩავიდა მტკიცე გადაწყვეტილებით, შეესრულებია ფიურერის ბრძანება.

ფრონტზე სავალალო მდგომარეობა იყო. განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებოდა ტუაფსეს მიმართულებით მომქმედი ჯარები.

მაღალი მთები, გაუვალი ტყეები, უგზოობა, დანგრეული ხიდები, ადიდებული მდინარეები, საბრძოლო წარმატების შემთხვევაშიც, არმიის წინსვლას უთუოდ შეაფერხებდა, ამასთან არმიის მომარაგება საბრძოლო მასალებითა და სურსათით გაძნელდებოდა.

და, რაც მთავარია, საბჭოთა მეომრები ისე მედგრად, შეუპოვრად იდგნენ, როგორც კავკასიონის მაღალი, უდრეკი მთები.

გენერალ-პოლკოვნიკი იოდლი ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას რომ გაეცნო, ფელდმარშალ ლისტს მხარი დაუჭირა და მიზანშეუწონლად ჩათვალა შეტევის განახლება.

იოდლის მოხსენებამ ჰიტლერი გააცოფა.

ეს რა ხდება? რას სჩადის ეს იოდლი! ის ფრონტზე გაგზავნა სპეციალური დავალებით: ლისტის არმიას დაუყოვნებლივ განეახლებინა შეტევა. იოდლი კი, ლიბერალი ინსპექტორივით შეუდგა ჯარების ბრძოლის უნარიანობისა და ფრონტის მომარაგების საკითხების შესწავლას. ეს კიდევ არაფერი! დგას ახლა და, თითქოს მის ჯინაზე, მის გულის გასახეთქად ამტკიცებს, რომ ლისტის ჯარები იმდენად შეფერთხილი, დასუსტებული, ბრძოლის უნარმოკლებული არიან, შეტევის განახლებაზე ლაპარაკი არ შეიძლებაო.

მართლაც რას ჰგავს? ეს ხომ წმინდაწყლის ბრძანების არშესრულებაა! მერე ვისი ბრძანებისა? თვით ფიურერისა. აღმაშფოთებელია. ამას არ აპატიებს იოდლს, ფელდმარშალმა ლისტმაც თავი მოაბეზრა, მისი სახელის გაგონება არ უნდა!

ალბათ ჰგონიათ, ფიურერი გატყდა, სიმტკიცე დაჰკარგაო!

ნურას უკაცრავად!

მისი სათაყვანებელი ფრიდრიხ დიდისა არ იყოს, ყოველგვარი უბედურების ჟამს მასაც შესწევს უნარი გამოავლინოს ხასიათის სიმტკიცე- ლისტს გუდანაბადს ააკვრევინებს, „ტუაფსეს ჯგუფის“ ჯარების სარდალ რუოფსაც ზედ მიაყოლებს. სამხრეთის ფრონტის საქმეებში უფრო ოპერატიულად ჩაერევა და გამარჯვებისაკენ წაიყვანს თავის ძლევამოსილ არმიას!

ჰიტლერმა „ა“ ჯგუფის შევსება განიზრახა. როცა გენერალური შტაბის რეზერვების ფრონტზე გადაყვანის საკითხს იხილავდა, გადაწყვიტა კავკასიელ „მოხალისეთა“ ბატალიონები სამხრეთის ფრონტზე გადაეყვანა. გენერალური შტაბის მესვეურები შეაფიქრიანა ჰიტლერის განზრახვამ, მაგრამ ყველა დუმდა, კრინტს არავინ სძრავდა.

ხანდახან დუმილიც ხომ პასუხია!

ჰიტლერს არ გასძნელებია ამის გაგება და იყვირა:

— მიმიფურთხებია კონვენციებისა და ფარატინა ქაღალდებისათვის! ამასთან უნდა იცოდეთ, რომ „მოხალისეთა“ მორალურ სულს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა განსაზღვრავს. რაკი ვუტევთ, რაკი წინ მივიწევთ, „ მოხალისენი“, ჩვენს მხარდამხარ იბრძოლებენ! და თავს თავიანთი ხალხების გამანთავისუფლებლად ჩასთვლიან!

— ჩემო ფიურერო! ჭეშმარიტებას ღაღადებთ, მაგრამ იქნებ სჯობდეს „მოხალისეთა“ ბატალიონები ჩვენს ზურგში მომქმედ პარტიზანებთან საბრძოლველად გამოვიყენოთ! — მორიდებით თქვა გენერალმა ჰალდერმა,

— არა! — შესძახა ჰიტლერმა, უკმეხი, ამაყი, თავის თავში დაჯერებული კაცის კილოთი, — ჩვენ უნდა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა რუსეთის ზურგი შიგნიდანვე დავანგრიოთ. საბჭოთა ხალხები გავთიშოთ, ერთმანეთზე ავაშხედროთ. ამიტომ საჭიროა მოწინააღმდეგის ზურგში გავავრცელოთ მფრინავი ფურცლები, ხალხს ვაუწყოთ, რომ ჩვენ მხარეზე იბრძვიან მათი თანამემამულენი, რომ ჩვენი მიზანია კავკასიის პატარა ერები ვიხსნათ კომუნისტური მონობისაგან.

— ჩემო ფიურერო, მგონი უკვე დროა რუსული გამანთავისუფლებელი არმიის მსგავსად, შევქმნათ კავკასიის გამანთავისუფლებელი არმია! — თქვა გენერალმა იოდლმა.

— ანგარიშგასაწევია შენი წინადადება, ოღონდ არმია ძირითადად უნდა დაკომპლექტდეს მაჰმადიანი ტყვეებისა და მოხალისეებისაგან. ქართულ ბატალიონებს კი დაუყოვნებლივ გალავისერით კავკასიის ფრონტზე. იმას მაინც გა-

ვიგებთ, რა ძალა შესწევთ და იმსახურებენ თუ არა ნდობას?!

კაპიტანმა ფონ ეიხბერგმა დღის ოთხ საათზე ქართული ბატალიონის ოფიცერთა შემადგენლობა შეკრიბა, ოფიცრებს ორიოდე სიტყვით გააცნო ამოცანა: ნაბრძანები გვაქვს სამხრეთის ფრონტზე ვამგზავრება, უახლოეს რკინიგზის სატვირთო ბაქნამდე მანქანებით წავალთ, მერე ეშელონით გავემგზავრებითო.

საღამოს ექვს საათზე საბრძოლო განგაში გამოცხადდა.

რაღაც ოციოდე წუთში ბატალიონი სალაშქროდ გაემზადა.

ლეგიონერებს მთელი დღის კუთვნილი მშრალი ულუფა დაურიგეს.

ნავახშმევს სატვირთო მანქანები მოვიდნენ. მესამე ასეულის მებრძოლები სამ მანქანაზე მოთავსდნენ, მეოთხეზე საბრძოლო მასალები და ნივთები დაუდეს.

ამასობაში დაღამდა.

კაპიტანი ფონ ეიხბერგი კოლონას მსუბუქი მანქანით გაუძღვა.

ვიქტორ ჭიჭინაძე მესამე ასეულის პირველ მანქანის კაბინაში იჯდა.

შოფერი ოცდაორი-ოცდასამი წლის გერმანელი იყო, მოჩერჩეტო, მოლაყბე. დაიძრნენ თუ არა, ჩაირთო, ლობე-ყორეს ედებოდა. ენას წაღმაუკუღმა ატრიალებდა, ათას სისულელეს როშავდა, თავი კი ბრძენად მოჩქონდა.

ჭიჭინაძე გზას გასცქეროდა, შოფერს გულს არ უჩვენებდა. ხოლო მან კაპიტანს ესეც კი შებედა, რა პირს მარიდებ, ნუთუ იმდენი არ იცით, გზას საუბარი ამოკლებსო.

შოფერს ცნობისმოყვარეობის ჭია ულიტინებდა. უნდოდა გაეგო კაპიტანი და მისი ხელქვეითნი, სრულიად უცნობ, გაუგებარ ენაზე რომ ლაპარაკობდნენ, სადაურები იყვნენ. გერმანული ხომ მხოლოდ კაპიტანმა იცოდა, მაგრამ მისი აქცენტი ვერ გამოიცნო. იგი ბევრს ეცადა მაგრამ სიბნელეში კაპიტნის ხალათის სახელურზე გაკეთებული წარწერაც ვერ ამოიკითხა.

— ბატონო კაპიტანო, გერმანული სამხედრო ფორმა კი გაცვიათ, მაგრამ სხვა ეროვნებისანი ჩანხართ!

ჭიჭინაძე წუთიწუთზე ელოდა ამ შეკითხვას, გერმანელისკენ მიიხედა და ღიმილით უთხრა:

— იტალიელები ვართ:

— რას ამბობ, შევხედეთ თუ არა, გავიფიქრე, ნამდვილად იტალიელები არიან-მეთქი.

ჭიჭინაძეს უნდოდა შეეკითხვოდა, ასე რატომ გეგონა, იტალიელებს რა გვიგავსო, მაგრამ გადაიფიქრა, სჯობია შევწყვიტო ეს უსიამოვნო ლაპარაკიო. შოფერს ისევ ზურგი შეაქცია და მარჯვნივ, გზისპირს გააყოლა თვალი.

შოფერი კი არ ჩერდებოდა, რა დაგემართათ, იტალიელები ასე რამ გაგალარიბათ, საკუთარი ტანსაცმელი ვერ ჩაგიცვამთო. მუსოლინი ვითომ ფიურერობს, მაგრამ ჰიტლერთან რას მოვა, კოჭებამდე ვერ მოსწვდებაო.

შოფერი თავის უპირატესობაში დარწმუნებული კაცივით კაპიტანს უკვე ამაყად ელაპარაკებოდა, მის ხმის კილოშიც ქედმაღლობა გამოსჭვიოდა, აქაოდა მე მაღალი რასის შვილი ვარ, შენ კი მემაკარონე იტალიელი ყოფილხარო.

კოლონა შეჩერდა.

ოფიცრებს ბატალიონის მეთაურთან გამოუძახეს.

ეიხბერგთან მიმავალი ჭიჭინაძე კმაყოფილი იყო, რომ შოფერთან არ გაამწვავა ისედაც უსიამოვნო საუბარი.

საიდან იცის, რა კაცია? შეიძლება განგებ ლაყბობს, სინამდვილეში კი მოჩენილია, მის ანკესზე წამოგებას ლამობს!

კაპიტანმა ფონ ეიხბერგმა ასეულის მეთაურებს უბრძანა ქვედანაყოფები მანქანიდან ჩამოესხათ და გზისპირას, ტყეში დაბანაკებულიყვნენ.

რკინიგზის ბაქანი, სადაც ბატალიონი უნდა დაეტვირთათ, აქედან შორს არ იყო. ბატალიონის მეთაურის ვარაუდით, ეშელონს ხვალ, ნაშუადღევს ჩამოაყენებდნენ.

ტყვეობიდან გაქცევის ხუთი დღის შემდეგ ზაქრო სურამელი რკინიგზის ერთ პატარა სადგურთან მივიდა.

ბნელოდა. სადგურში დიდი შუქი არ ენთო. ლიანდაგის გაყოლებით აქა-იქ ნათურები ბჟუტავდა.

იმის შიშით, გერმანელებს არ შევეჩეხოო, სადგურის შორიახლო ჭალისაკენ გასწია, ღამეს იქ გავათევ, დილით მივიხედ-მოვიხედავ და საითაც ემჯობინება, იქით წავალო.

შარაგზის გასწვრივ ძლივს მილასლასებდა. ფეხისგულები დაუსკდა, თითები გამოეყელა, დაუწყლულდა, თითოეული ნაბიჯის გადადგმა მტანჯველ ტკივილს აყენებდა. სიბნელეში მანქანის ფარები რომ აბრდღვიალდებოდა, მიწას ეხუტებოდა.

გზის პირას ორ გუშაგს წააწყდა. გერმანელებმა ერთმანეთს რაღაცა გადაულაპარაკეს, მისკენ დაჟინებით იცქირებოდნენ.

„ჩავვარდი!“ — გაუელვა სურამელს, მიწას გაეკრა, გაინაბა.

გუშაგები მისკენ გამოემართნენ და შორიახლო შეჩერდნენ, ხელში ავტომატები ეჭირათ.

სურამელს მოეჩვენა, თითქოს მისკენ მიშვერილ ავტომატის ლულიდან ცეცხლი გადმოიღვარა. თვალები დახუჭა, ეგონა ტყვიები მკერდს დაუცხრილავდა, მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდა, ავტომატის ჭახანი და ტყვიების ზუილი არ გაუგონია.

„იქნებ სიზმარია!“ — გაიფიქრა და თვალები გაახილა.

არა, ეს სიზმარი არ იყო. მის შორიახლო ორი გერმანელი იდგა.

— მოგვეჩვენა, არავინ არაა! — თქვა პირველმა ქართულად.

— რას ამბობ, ცხადლივ დავინახე, ბუჩქებში მიიმალა, — მიუგო მეორემაც ქართულად.

ეს რა უბედურებაა მის თავს? ეტყობა, მკუაზე შეეშალა, მოჩვენებები აქვს. აბა, მაშ რა დაერქმის ამას? გარკვევით ხედავს. გერმანელები არიან, ქართულად კი ლაპარაკობენ? — მსჯელობდა სმენად გადაქცეული სურამელი.

— არავინაც არაა, თუ გინდა მივიდეთ და ვნახოთ! — თქვა პირველმა.

— ასე სჯობია! — მიუგო მეორემ და ამხანაგს წინ გაუძღვა.

—ხელები მაღლა, თორემ გესვრით! — შესძახა უცებ წინ მიმავალმა.

— ქართველი ვარ, არ მესროლოთ! — უნებლიეთ დაიყვირა სურამელმა და ხელებაწეული წამოდგა.

— რას ამბობ, ბიჭო, შენ აქ რა გინდა, რას იმალები?!

— ჯანაბა და დოზანა! გზა ამერია, უგზოუკვლოდ დავეხეტები!

თუ სიკვდილი მიწერია, მირჩევნია ამათ ხელში მოვკვდეო, გაიფიქრა სურამელმა და გუშაგებს თავისი თავგადასავალი გაანდო.

— შე საცოდავო, წელს ზევით ტიტველი ხარ, არა გცივა? — უთხრა პირველმა.

— რახან ცოცხალი გადავრჩი, ამას აღარ ვჩივი! — მიუგო სურამელმა.

— წავალ, ხალათს მაინც მოგიტან, თორემ შენი ასე გამოჩენა არ ივარგებს! — და პირველი სიბნელეში მიიმალა.

— თუ ძმა ხარ, გამაგებინე, თქვენ ვინღა ხართ? — შეეკითხა მეორეს მორიდებით სურამელი.

— რა გითხრა, ჩემო კეთილო, თავად არ ვიცით, რანი ვართ, რას წარმოვადგენთ! — და ხელი ძსე ჩაიქნია, ვითომ არც ჩვენ გვადგია ნაკლები დღეო.

— მაინც ვინა ხართ!

—ტყვედ ნამყოფი წითელარმიელები!

— მერე გერმანული ფორმა რატომ გაცვიათ?

— გრძელი ისტორიაა. ასე უცებ ვერ მოგიყვები!

ამასობაში პირველი გუშაგი დაბრუნდა:

— ჩვენს ოცეულში ზედმეტი ტანსაცმელი არავის აღმოაჩნდა. ერთს სამოქალაქო ჯემპრი ჰქონდა და ეს მოგიტანეო.

დაკაწრულ, დაწყლულებულ ტანზე ზაქრომ ჯემპრი ძლივს დაიცვა. კანის საშინელი ქავილი დაეწყო.

— ჩვენ ძალას არ დაგატანთ, გინდა დარჩი, გინდა წადი! — უთხრა სურამელს პირველმა გუშაგმა.

ეროვნული

სამი დღე მშიერ-მწყურვალი დაეხეტებოდა. მარტოობა სტანჯავდა, გული ელეოდა, ამხანაგი ენატრებოდა, ლაპარაკი სწყუროდა. მტერს გაურბოდა, ემალებოდა, მაგრამ შიმშილისათვის, მის არსებაში რომ მოეკალათა და გულღვიძლს უწვავდა, თავი როგორ დაეღწია, სად გაქცეოდა? გზა იმან არ იცოდა და კვალი. ირგვლივ გერმანელები იყვნენ. ვინ დაეხმარებოდა, ლუკმას ვინ გაუწვდიდა?!

და ამ გასაჭირში იგი შეხვდა თანამემამულეებს. მათმა ნახვამ სამშობლოს სიყვარული უფრო ძალუმად განაცდევინა, ქართული სიტყვის გაგონებამ ცრემლი მოჰგვარა. დედაენის ზემოქმედების ძალას ხომ კაცი ყველაზე ძლიერად მაშინა გებულობს, როცა სამშობლოდან შორსაა! ასე ადვილად როგორ მიატოვოს თანამოძმენი? მეთაურს ნახავს, იქნებ იმან ასწავლოს, როგორ მოიქცეს!

და სურამელმა ხმაში ცრემლი გაურია:

— მიმიყვანეთ თქვენს მეთაურთან! იქნებ იმან მირჩიოს, რა გზას დავადგე?!

კაპიტანი ჭიჭინაძე ბუჩქის ძირას იწვა. ფეხის ხმის გაგონებისთანავე, საწვიმარი ლაბადა გადაიძრო, წამოდგა.

გუშაგებმა რომ მოახსენეს რაშიც იყო საქმე, კაპიტანმა მათ საგუშაგოზე წასვლა უბრძანა.

— ამხანაგო კაპიტანო, ზაქრო სურამელი ვარ! — შესძახა გულაჩუყებულმა სურამელმა.

— რას ამბობ, ბიჭო, აქ საიდან გაჩნდი? — წამოიძახა ჭიჭინაძემ. ადრე, ტყვეობამდე ისინი ერთ პოლკში მსახურობდნენ.

სურამელმა კაპიტანს უამბო, რაც გადახდა.

— ეს რა უბედურება გამოგივლია?! გულით მწადია დაგეხმარო. თუ დარჩები, როგორმე ბატალიონში ჩაგწერ! ოღონდ შენს წარსულზე ნუ ილაპარაკებ. ჩვენს რიგებში არიან გამცემები, ჯაშუშები!

— ამხანაგო კაპიტანო, თქვენ თუ მიბრძანებთ, თუგინდ ჯოჯოხეთში წავალ. მაგრამ გამაგებინეთ, რატომ ჩაიცვით გერმანული ფორმა, რატომ აისხით მათი იარაღი?! ვის წინააღმდეგ განგიზრახავთ ბრძოლა?

— ვისაც ცხვრის ტყაპუჭი აცვია, ყველა ცხვარი როდია! გაჭირვებამ, უიმედო მდგომარეობამ გვაიძულა ასე მოვქცეულიყავით. ცარიელი ხელებით რას გავხდებოდით, იარაღით აღჭურვილნი კი ძალას წარმოვადგენთ, ბრძოლის უნარი შეგვწევს!

კაპიტანის თანაგრძნობა და მეგობრული ტონი სურამელს ანუგეშებდა, გულს უმაგრებდა. ისე მტკიცედ, დაჯერებულად ლაპარაკობდა, ეჭვი არ იყო, იგი შესძლებდა ლეგიონერთა დარაზმვას, წითელი არმიის მხარეზე მათ გადაყვანას.

— ამხანაგო კაპიტანო, სხვა გზა არა მაქვს,

დავრჩები, მოგენდობით, თქვენს ხვედრს გავიზიარებ!

— მეც ამას გირჩევ, ჩემო ძმაო! მხოლოდ ასე უნდა თქვა, ომამდე ჯარში ოფიცერი შემომელახა და სასჯელს ლვოვის საპატიმროში ვიხდიდი-თქო. გერმანელებმა ქალაქი რომ დაიკავეს, პატიმრებმა თავს ვუშველეთ. ყველამ ახლობლებს მიაშურა, მე კი არავინ შემიკედლა ციხქვეშ დავრჩი, მიუსაფარი და უგზოუკვლოდ დავეხეტებოდი-თქო. ახლა დაწექი, დაიძინე, დილაზე მოვაგვარებ შენს საქმეს!

— ეჰ, შიმშილით კუჭი მეწვის, რა დამაძინებს?

— რა გიშველო, ღამეა, ყველას სძინავს. თუმცა ვსინჯავ. იქნებ ჩემს ორდინარეცს ჰქონდეს პური შემონახული, — კაპიტანი ჭიჭინაძე შორიახლო ბუჩქთან მივიდა და მიმქრალ კოცონთან ჩაძინებული ორდინარეცი მურად თხილაიშვილი გაალვიძა.

— რა გნებავთ, ამხანაგო კაპიტანო?! — წაილაპარაკა ნამძინარევი ხმით ორდინარეცმა და ფეხზე წამოხტა.

— პური ხომ არ გაქვს?

— მაქვს, ამხანაგო კაპიტანო!

— შევხება მივილეთ, მშიერია, აჭამე!

— არის, ამხანაგო კაპიტანო!

მურადმა ხაველე ჩანთიდან პურის პატარა ნაჭერი ამოიღო, სურამელს გაუწოდა:

— დილამდე ამაზე გადაიარე! ხვალ ძლომაზე გაჭმევთ!

სურამელმა პური კი არ გამოართვა, ხელიდან გამოსტაცა და პირში გააქანა. ლუკმას დაულეჭავს ყლაპავდა, თან მოელვარე თვალებს აქეთიქით აცეცებდა, თითქოს იმისი ეშინია, ხელიდან არავინ გამომტაცოსო.

— ნუ ჩქარობ, ნელა ჭამე! — გააფრთხილა მურადმა.

— არა, არ ვჩქარობ!

ორდინარეცმა კარდალით წყალიც მიაწოდა, დააყოლე, თორემ შენ ისე მადიანად ილუკმები, ყელზე დაგადგებაო.

დილით მურადმა სურამელი ძლივს გაალვიძა.

— ბიჭო მთელი წლის უძილო ხომ არა ხარ, ადექი, ფეხსაცმელები და წაღები მოგიტანე, ჩაიცვი... მერე ბატალიონის მეთაურთან უნდა წარგადგინოთ...

მზე ახალი ამოსული იყო. მოწმენდილ ცაზე მერცხლები დანავარდობდნენ. შარაგზაზე ლეგიონერების გუნდებს სამწყობრო მომზადებაში ავარჯიშებდნენ.

სურამელმა გზისპირას რუში დაბეჟილი, დასისხლიანებული ფეხები დაიბანა, ფეხსახვევები დაიხვია და წაღები ჩაიცვა.

წაღები ეხამუშებოდა, გამოყელილი თითები უფრო ასტკივდა. კოჭლობით და ბორძიკით ძლივს მივიდა ასოლე ნაბიჯზე გაჩერებულ სამზარეულოსთან.

მზარეულმა კარდალი ფლავით გაუვსო, პურის ორმაგი ულუფა მისცა და გააფრთხილა, თუ არ გეყოს, ნუ მომერიდები, დაგიმატებო.

სურამელი ფლავს გემრიელად შეექცეოდა, თან გზაზე მოსიარულე გუნდებს თვალს ადევნებდა;

მეთაურები მწყობრს გვერდით მისდევდნენ და ხმამაღლა ქართულად უთვლიდნენ:

— ერთი, ორი... ერთი, ორი... ერთი, ორი... სამი...

თავი სიზმარში ჰგონია; ამდენ ქართველს სად მოუყარეს თავი! ეტყობა, მართლა იარაღით აპირებენ თავისიანებთან გადასვლას, თორემ როგორ შეიძლება ყველა სამშობლოს მოღალატე, გამყიდველი იყოს!

სურამელმა ისაუზმა თუ არა, თხილაიშვილმა უთხრა, გამომყევიო, და წინ გაუძღვა.

ბუჩქების სიღრმეში ფანერით გადახურული სატვირთო მანქანა იდგა, მეავტომატე გვრმანელი რომ დარაჯობდა.

აქვე იყო კაპიტანი ჭიჭინაძე, რომელიც გერმანელ ოფიცერს ემუსაიფებოდა.

ისინი მანქანის შორიახლო შეჩერდნენ.

ოფიცერმა სურამელი ეჭვით შეათვალიერა და მანქანაში ავიდა.

კაპიტანმა ჭიჭინაძემ კი სურამელს თითით ანიშნა, ჩემთან მოდიო.

ზაქრო კაპიტანთამ მივიდა, მიესალმა.

ჭიჭინაძემ, თითქოს იმისი ეშინია, არავინ გაიგონოსო, ხმადაბლა უთხრა:

— ახლა ბატალიონის მეთაურს წარვუდგენ შენს თავს! გულუბრყვილო სახე მიიღე. წარბებს ნუ სჭმუხნი, შუბლი გახსენი, კაპიტანს მორჩილად თვალ-წარბში უმზირე, რაც გითხრას, ყველაფერზე თავი დაუქნიე!

როდის, როდის კაპიტანმა ეიხბერგმა ფეხისკვრით გამოაღო ჩარდახის კარი, ზღურბლზე შეჩერდა, თვალი ჯერ ცას შეავლო, მერე მანქანასთან გაჩერებულებს გადმოხედა.

მისი გაოფლიანებული სახე, ჩაწითლებული თვალები მეტყველებდა, რომ ეს-ესაა ძლომაზე ექამა და საკმაოდ ზარხოშადაც იყო.

ძარაზე მიდგმულ ექვსსაფეხურიან კიბეზე დინჯად ჩავიდა. გერმანელი ოფიცერიც ფეხდაფეხ ჩაჰყვა.

ჭიჭინაძე მწყობრი ნაბიჯით გაემართა ბატალიონის მეთაურისაკენ, მხედრულად გამოეჭიმა და მოახსენა:

— ბატონო კაპიტანო, წუხელ გუშაგებმა დააკავეს ჩვენი თანამემამულე, რომელიც სასჯელს ლვოვის საპატიმროში იხდიდა! კომუნისტები სძულს, სურვილი აქვს ჩაეწეროს ბატალიონში.

— ჰმ! ეს რამხელა ვაჟკაცია! მძიმე წონის მოკრივესა ჰგავს! — თქვა კაპიტანმა ეიხბერგმა, სურამელი თხემით ტერფამდე აზომა, მერე მიუახლოვდა, პატარა ცისფერი თვალებით და-

აცქერდა, ერთხელ კიდევ შეათვალიერა და ჭიჭინაძეს შეეკითხა:

— საიმედოა?

— დიახ, ბატონო კაპიტანო!

— შენს თავზე იღებ პასუხისმგებლობას?

— ვიღებ, ბატონო კაპიტანო.

— მაშ, ჩააცვით ტანსაცმელი, მიეცით იარაღი ჯერჯერობით რიგითად ჩარიცხეთ! ერთგულად იმსახურებს, ათეულს ჩავაბარებთ, ეფრეიტორის ჩინს მივცემთ!

დილით მესამე ასეულის ზემდეგმა ხარკაძემ სურამელს გერმანული ტანსაცმელი მისცა, ჩაიცვი, შაშხანასაც გამოგინახავო.

სურამელმა ჯემპრის ღილები გაიხსნა, მაგრამ უცებ ხელი შეუჩერდა, გერმანული შარვალი და მუნდირი ბუჩქის ძირას დაყარა, თვითონაც იქვე დაემხო და სახეზე ხელები აიფარა.

ჰაი, დედასა! რა შავი დღე გაუთენდა, მტრის ტანსაცმელს იცვამს. კაპიტანმა კი დაამშვიდა. ეს საჭიროა ჩვენი მიზნის მისაღწევადო, მაგრამ ასეთი საქციელი მაინც სამარცხვინოა, არავინ მოუწონებს. რა ქნას, სხვა გზა არა აქვს, უნდა თანამოძმეთა ბედი გაიზიაროს, საცა სხვა, ისიც იქ... დრო ყველაფერს ნათელს მოჰფენს!

მაგრამ მაინც უმძიმს, სიკვდილი ურჩევნია საძულველი ფორმის ჩაცმას. ო, ნეტავი თავზე ზესკნელი ჩამოენგრეს, მიწამ პირი უყოს და თან ჩაიტანოს!

ფეხის ხმამ გაუწყვიტა ფიქრის ძაფი.

— შენ რა, წუხელ ვერ გამოიძინე! — უთხრა ხარკაძემ და ავტომატი გაუწოდა. — ბედი გქონია! ღმერთსა ვთხოვ, რამდენი ტყვიაც გაგესროლოს, იმდენი ჩვენი მტრისათვის შუბლი გაგეხვრიტოს.

სურამელმა ზლაზვნით გაიძრო შარვალი და ჯემპრი. გერმანული ტანსაცმელი ჩაიცვა, მკერდზე ავტომატი ჩამოიკიდა.

იგი მესამე ოცეულში ჩარიცხეს.

ოცეულის მეთაური ლეიტენანტი კახიძე დაბალი, მუხასავით ჩასხმული ვაჟკაცი იყო. მონდომებით, საქმის დიდი სიყვარულით ასწავლიდა მებრძოლებს სამხედრო საქმეს. ამხანაგებს ურჩევდა, ისწავლეთ აუცდენელი სროლა, ხელჩართული ბრძოლის ილეთები, მალე მტერს შევეჭიდებით. მხოლოდ იარაღით, მხოლოდ ცეცხლით მოსპობთ, გაანადგურებთ მოწინააღმდეგესო.

კახიძე იმის შესახებ კი დუმდა, სახელდობრ, ვინ იყო მათი მტერი, ვის წინააღმდეგ მოუხდებოდათ ბრძოლა.

ლეგიონერები, თითქოს იდუმალი ფიქრით შეკრულანო, ამ საგანზე კრინტს არ ძრავდნენ.

კახიძის ოცეულში იყო თიანეთელი ჭაბუკი ვარდიაშვილი. იგი იმ ხუთეულის შემადგენლობაში შედიოდა, ჭიჭინაძე რომ უდგა სათავეში და, რომლის ხელმძღვანელობითაც უნდა განხორციელებულიყო ბატალიონის წითელი არმიის მხარეზე გადასვლა.

სურამელი ოცეულში მივიდა თუ არა, ვარდიაშვილი გამოელაპარაკა:

— გამარჯობა, ჩვენებურო, ვერ მიცანი?

— გაგიმარჯოს! — მიუგო სურამელმა და ცნობისმოყვარეობით დააცქერდა. უყურა, უყურა და, ბოლოს მხრები აიჩეჩა:

— თითქოს სადღაც მინახიხარ, მაგრამ, ვერ გიხსენებ!

— გულმავიწყი ყოფილხარ! მე კი, დაგინახე თუ არა, გიცანი! გახსოვს, დუშეთელები თიანეთში რომ ჩამოხვედით საჭიდაოთ? შენ და ჩემი ძმა დაგაშველეს — პურმარილი ჩვენსა გაიშალა! მე შინ შევვიანებით მოვედი, ცოტა რომ შევქეიფიანდი, მეზურნეები მოვიყვანე...

— ჰო, ახლა კი გამახსენდი! — მიუგო სურამელმა. ერთმანეთს ძმებივით გადაეხვივნენ და გადაკოცნეს.

სურამელი სიხარულით ცას ეწია. ვარდიაშვილი კომკავშირის რაიკომში მუშაობდა ინსტრუქტორად. წესიერი, სამაგალითო მუშაკი იყო.

სურამელმა მხოლოდ საღამოთი მოახერხა მისი დამარტოხელება, ორივე სამზარეულოში მორიგეობდნენ და ნავახშმევს ადრე განთავისუფლდნენ.

საღამოს ამოკითხვის ჟამი იყო. ახეულები ხაზზე იდგნენ. ისინი ბუჩქის ძირას იწვნენ. ახლო-მახლო არავინ ჭაჭანებდა, ხელს არავინ უშლიდა.

სურამელმა შორიდან დაიწყო:

— ნეტავი როდემდის ვისხდებით აქ?

— რას გაიგებ, პარტიზანებს რკინიგზის ხიდი აუფეთქებიათ, მატარებლების მოძრაობა შეწყვეტილია!

— ამბობენ, ვითომ სამხრეთის ფრონტზე გვიპირებენ გადასროლას!

— ჰო, იქა გვგზავნიან!

— ნუთუ თანამოძმეებთან მოგვიწევს ბრძოლა?!

— არა, ეს არ მოხდება!

—ეჰ, ჩემო ძმაო, ომი ისეთი რამ არის, ძმა ძმასთან იბრძოლებს, ტყვიამფრქვევებს დაგიყენებენ, თუ შეტევაზე არ გადახვედი, ტყვიას ზურგში დაგახლიან, წინ წახვალ, უნდა ისროლო, მოწინააღმდეგე მოჰკლა. არ ესვრი, დაინდობ? ის გესვრის, ის არ დაგინდობს!

— აქამდის არ მივიყვანთ საქმეს! არ დაგიმალავ. ბატალიონის უმრავლესობას ერთი მიზანი გვამოძრავებს: ან დავიხოცებით, ან წითელი არმიის მხარეზე გადავალთ. ამ საქმეს მამა ხელმძღვანელობს.

— მამა ვიღაა?

— კაპიტან ჭიჭინაძეს მებრძოლები ასე ეძახით!

განგაში ნასაუზმევს გამოცხადდა.

რაღაც ოციოდე წუთში ბატალიონი სალაშქროდ გაემზადა.

კაპიტანმა ფონ ეიხბერგმა ოფიცრებს ამოცანა გააცნო ნაბრძანები გვაქვს ეშელონით სამხრეთის ფრონტზე გავემგზავროთო.

ეშელონი სადგურის მოშორებით სატვირთო ბაქანზე ჩამოაყენეს.

ლეგიონერებმა ვაგონები იარაღ-საჭურვლით დატვირთეს, თვითონაც შიგ ჩასხდნენ და ეშელონი სადგურიდან გავიდა.

კახიძის ოცეული ბოლო ვაგონში მოხვდა.

სურამელი და ვარდიაშვილი ტახტის მეორე სართულზე, ერთმანეთის გვერდით იწვნენ.

— ეჰ, ნეტავი, რას გვიქადის მომავალი? — გულამოსკვნით წაილაპარაკა სურამელმა და დასძინა, — რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო ნისლით იბურება ხვალინდელი დღე!

— შენც ადექი და ფიქრს შეეშვი... მონები ვართ, ყურმოჭრილი ყმები, ამაზე უარესი რაღა უნდა დაგვემართოს! — მიუგო ვარდიაშვილმა.

— ის მაღარდებს, ბატალიონში ერთსულოვნება არ არის. ამ საღამოთი ზონდერ-ფიურერმა ზღუპმა დამიბარა, ჩემი ვინაობა გამოიძია. კითხვებს მინაცვლებდა, ამოყვითლებული თვალებით მაშტერდებოდა, თითქოს მტაცებელი მხეცია და მსხვერპლს უთვალთვალებსო. ბოლოს ფოტოგრაფს ჩემი სურათი გადაალებინა. ეტყობა ვიღაცამ გამთქვა!

— შენც მოკეტე, დოღრიალა ნუ ხარ: გულს ნუ გაიტეხ, ბატალიონი ძირითადად ერთსულოვანია! რა ვუყოთ, თუ ვინმე რაღაცას მამაძაღლობს! ხომ იცი, ოჯახი უგონჯოდ არ არისო.

ნაშუაღამევს, მატარებელი რომელიღაც სადგურის ჩიხში გააჩერეს, ლიანდაგებზე ჯარით დატვირთული ეშელონები იდგა. ბაქანზე გერმანელი ოფიცრები დაიარებოდნენ. სადგურის მიდამოებში საზენიტო ქვემეხებს პირდაღებული ხახა ცისკენ აეშვირათ.

ნასადილევს ლეგიონერებს ნება დართეს ვაგონებიდან ბაქანზე ჩამოსულიყვნენ, გაევლ-გამოევლოთ, ფეხი გაეშალათ. ზოგმა ბაქნის უკან პატარა ბაზარს მიაშურა, ვინ ხილით პირი გაისველა, ვინ კიდევ პური არაყზე გაცვალა.

ბოლო ვაგონთან პოლონელ მოხუც მოქალაქეს ლეგიონერები შემოხვეოდნენ.

პოლონელს ხელში ოქროს კოვზები და ვერცხლის დანა-ჩანგალი ეჭირა, ვყიდი, გინდა ფული მომეცით, გინდა სურსათიო.

— ეჰ, ძია კაცო, დანა-ჩანგალი რა ოხრად გვინდა, საჭმელი იყოს, თორემ ხის კოვზებითაც გემრიელად შევექცევით! — იცინოდა ხარკაძემ.

მოხუცმა უბის ჯიბიდან ოქროს მაჯის საათი ამოიღო:

—იქნებ ეს მაინც იყიდოთ?

— ჰმ, საათი კარგია, მაგრამ ჯიბეგამოფხეკილები ვართ, არც სამისო სურსათი გვაქვს! — თქვა ერთმა ლეგიონერმა.

მოვაჭრეებთან კაპიტანი ჭიჭინაძე მივიდა:

— აქ რა ბაზარი გაგიმართავთ?

— ამხანაგო კაპიტანო, პოლონელი მოხუცი ოქროულობას ჰყიდის, — მიუგო ვარდიაშვილმა.

—ბიჭებო, ოქროულობის საყიდლადა გაქვთ საქმე? — გაეღიმა ჭიჭინაძეს.

— ამხანაგო კაპიტანო, აბა, ერთი ნახეთ, რა მშვენიერ საათს გვთავაზობს? უფულობას რა ვუთხრა, თორემ ამას ხელიდან ვინ გაუშვებს? ოცეულში ხომ საათი გვენატრება! — თქვა ხარკაძემ.

ჭიჭინაძემ მოხუცს მიმართა, აბა, ერთი მაჩვენე, როგორიაო.

მოხუცმა კაპიტანს საათი გაუწოდა.

ჭიჭინაძემ საათს დახედა, შვეიცარული ყოფილაო, თქვა, მერე გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ყურზე მიიდო, მოუსმინა.

— რას აფასებ, მოხუცო? — შეეკითხა კაპიტანი.

— სადაური ფული გაქვთ?

— გერმანული!

— ოცდაათი მარკა მომეცით, ზუსტად მუშაობს, ღირს!

— მოგცემ! — მიუგო ჭიჭინაძემ. ქისა ამოიღო და მოხუცს ფული ჩაუთვალა.

— გმადლობ, კაპიტანო! — თქვა პოლონელმა, ფული უბის ჯიბეში შეინახა და სადგურისაკენ წალასლასდა.

ჭიჭინაძემ მაჯიდან საათი შეიხსნა და ხარკაძეს მისცა, მიჩუქებია, ჩემს სახსოვრად გქონდესო, და ნაყიდი ოქროს საათი გაიკეთა.

ხარკაძემაც მოირგო საათი და კაპიტანს მადლობა გადაუხადა.

შებინდებისას ორთქლმავალმა გახანგრძლივებით დაიკივლა და დაიძრა.

ჯარისკაცები ფაციფუცით აცვივდნენ ვაგონებში.

ბაქანზე მდგომი კაპიტანი ჭიჭინაძე, ჯარისკაცებს რომ აჩქარებდა, ადგილები დაიკავეთო, ბოლო ვაგონს შეახტა.

ეშელონმა სადგურს ჩაუქროლა, რყევითა და რახრახით გადავიდა მთავარ ლიანდაგზე, მანიშნებელი უკან მოიტოვა და ტრიალ მინდორზე გაიჭრა.

კაპიტანი ჭიჭინაძე ერთხანს ხარიხაზე გადაჭუდებული გასცქეროდა ვაგონებს. მერე კი ჯარისკაც ვარდიაშვილის გვერდით დაჯდა, ორივე მხარეს ტახტზე ჩამომსხდარ მებრძოლებს თვალი შეავლო და ლეიტენანტ კახიძეს მიმართა:

— ხომ არავინ გვაკლია?

— ყველანი ვართ, ამხანაგო კაპიტანო!

— ბიჭებო, კუთხეში ვიღაცაა მიკუნჭული! — წაილაპარაკა ხარკაძემ და უცნობი შეანჯღრია:

— გესმის შენა, რას იბუზები, აბა, ერთი წინ წამოდექი!

იგი უფრო მოიკუნტა, ნამძინარევი ხმით ჩაიბურტყუნა:

— რას ჩამაცივდი, რა გინდა?

— რაო, რაო? ახლავე წამოაგდეთ! — ბრძანა ჭიჭინაძემ.

ორმა ლეგიონერმა ფეხებში ხელი ჩაავლეს და ტახტიდან გადმოისროლეს. — მძინარაშვილი ყოფილა, მეორე ოცეულიდან!—თქვა ვარდიაშვილმა.

— აქ როგორ მოხვდი? — და ჭიჭინაძე სანთელივით გაყვითლებულ მძინარაშვილს ისე მრისხანედ დააშტერდა, თითქოს უნდოდა გასამართლებელი საბუთის მოძებნის შესაძლებლობა არ მიეცა.

— ამოიღე ხმა, შენ გეკითხებიან! — დაუტატანა მეორე ოცეულის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა გრიგოლ ბარამიძემ, მაღალმა, წარმოსადეგმა ვაჟკაცმა.

— მატარებელი უცებ დაიძრა და აქ მოვასწარი ამოსვლა! — დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით აცახცახებულმა, ძლივს ამოილუღლუღა მძინარაშვილმა.

— მერე, რაღას იმალებოდი? — მკვახედ, გამკიცხავად მიმართა ჭიჭინაძემ.

— შეუძლოდ ვარ, მუცელი მტკივა!

„ვიცი რა მუცლის გვრემაც გაქვს!“ — გაიფიქრა ჭიჭინაძემ, და თუმცა სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა, მაინც თავი ვერ შეიკავა და აყვირდა:

— ნუ ცბიერობ, თორემ...

— რას მემუქრები, მე არაფერი დამიშავებია!

— არამზადა ხარ, მოღალატე! — დაუტატაან ხარკაძემ და ნიკაპში მუშტი ამოსცხო.

„მომკლავენ!“ — გულში გაჰკრა მძინარაშვილს და თავდაცვას შეტევა ამჯობინა:

— ჩვენ სუყველა არამზადები ვართ, მოღალატენი!

წუთით დუმილი ჩამოვარდა. მძინარაშვილის სიტყვებმა ყველაზე რაღაც მაგიური ძალით იმოქმედა.

კაპიტან ჭიჭინაძეს სახე წამოუწითლდა, გაცეცხლდა, მაგრამ რისხვამ ვერ დაუბნია გონება და თავის ფიცხი ხასიათის მიუხედავად, დინჯად, აუღელვებლად თქვა:

— შე კაი კაცო, როგორ არ გრცხვენია! იმის მაგივრად, რომ ცოდვები მოინანიო, პატიება გვთხოვო, აქეთ გვედავები, მოღალატეებად გვნათლავ?

მარტო ჭიჭინაძის სიტყვებმა კი არა, უფრო მისმა მეგობრულმა ტონმა მძინარაშვილს გული მოულბო. იგი შესცქეროდა კაპიტანს იმ ადამიანის უნუგეშო გამომეტყველებით, ვინც მიხვდა, რომ ბრძოლა წააგო და საჭიროა ფარხმლის დაყრა. უეცრად მუხლის თავებზე დაეცა და ბავშვივით აქვითინდა:

— ამხანაგო კაპიტანო, შენს ასეულში ყველაზე გარეწარი, სინდის წამხდარი ვარ! ზალუპმა სიკვდილის მუქარით გადამიბირა. ულირსი საქმე დამავალა. სიკვდილის ღირსი ვარ, მაგრამ გევედრებით, ნუ გამწირავთ. სამი მცირეწლოვანი შვილი მყავს, ცოლი ლოგინადაა ჩავარდნილი. შემინდეთ, შემიწყალეთ, ცოლ-შვილს ნუ გამიუბედურებთ.

— ეს რომ მარტო ჩემზე იყოს დამოკიდებული, იქნებ კიდეც... — უნდა ეთქვა, მეპატიებიაო, მაგრამ შეჩერდა. ჭიჭინაძე ბუნებით კეთილშობილი, ლმობიერი, მგრძნობიარე ადამიანი იყო; ომი, სამსახურებრივი მოვალეობა აიძულებდა გამოეჩინა სიმკაცრე, მომთხოვნელობა, მაგრამ მაშინ, როცა მრისხანე, შეუბრალებელი უნდა ყოფილიყო, უცნაური მერყეობა შეიპყრობდა ხოლმე.

ყველა ჭიჭინაძეს შესცქეროდა, ის იყო მეთაური, პირველი სიტყვა მას ეკუთვნოდა.

— გვითხარი, კაპიტანო, რა სასჯელი დავადოთ მოღალატეს? — იკითხა ხარკაძემ.

ჭიჭინაძემ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. მძინარაშვილს შეეკითხა:

— ეს მაინც გაგვაგებინე, ვინ გითხრა, რომ აქ ვიკრიბებოდით?

მძინარაშვილს თავი ჩაეღუნა, კრინტს არ სძრავდა.

— სთქვი, შენ გეკითხებიან? — მუჯლუგუნი წასცხო ხარკაძემ.

— ეტყობა ეს მარტო არაა, სხვებიცა ჰყავს თანამზრახველნი! — თქვა ლეიტენანტმა ქორიძემ.

— სიმართლეს ამბობ, — დაუდასტურა ჭიჭინაძემ და მძინარაშვილს მიმართა: — რატომ დუმხარ, გვითხარი, ვინ გაგაგებინა, რომ დღეს ვიკრიბებოდით?

— ამხანაგო კაპიტანო, რა ვქნა, ვერ დავასახელებ! — ცრემლნარევი ხმით თქვა მძინარაშვილმა.

— რატომ, რისა გეშინია?

— ისინი ანდერძს ამიგებენ! ოჯახს დამიქცევენ! — და პატარა ბავშვივით აქვითინდა.

— რახან არ ასახელებს, მაშ იმათ მაგივრადაც ამან აგოს პასუხი! — განაცხადა ბარამიძემ.

— რას ველოლიავებით, ტყვია დავახალოთ შუბლში! — წაილაპარაკა რომელიღაც ლეგიონერმა.

ეს სიტყვები მძინარაშვილს თავში კომბალოვით მოხვდა, გაფითრდა, ხელფეხი აუცახცახდა, გაოგნდა. გულს უხერავდა ამხანაგების ლანძღვა-კრულვა, შეჩვენება:

— ფუ, შენს კაცობას!

— აი, შე ლაჩარო, ქვეწარმავალო, ეშმაკის კერძო!

— მარტო ჩვენ კი არა, მთელი საქართველო გაყიდე!

— ჩვენებური მაინც არ იყოს ეს ტიალი!

ხარკაძემ გამეტებით მუშტი კისერში ჩაარტყა. ვარდიაშვილმა კი მუცელში მუხლი ამოსცხო.

პირქვე დამხობილი მოღალატე ჭიაყელასავით გაიწელა, ჭიჭინაძესაკენ გახოხდა, ორივე ხელით ფეხებზე შემოეჭდო:

— კაპიტანო, ბიჭებო, ქართველები არა ხართ, მაპატიეთ!

ხარკაძე და ორი მებრძოლი მძინარაშვილს ეცნენ, პირზე ცხვირსახოცი შემოახვიეს და კარისაკენ დაითრიეს.

მძინარაშვილი გახელდა, როგორღაც მებრძოლებს გაუსხლტა, პირზე აკრული ცხვირსახოცი მოიცილა და აღრიალდა:

— კაპიტანო, კეთილო ადამიანო, მიშველე, შემიბრალე!

— ამხანაგებო შეჩერდით! — ხელი შემართა ჭიჭინაძემ. — იქნებ.. ეჰ, მეც არ ვიცი, როგორ ვთქვა... ჰო, ძმებო, შეწყალება ხომ იმიტომ არსებობს, დამნაშავეს ცოდვები მივუტევოთ!

— არავითარი შეწყალება, სიკვდილი მოღალატეს! — თქვა მტკიცედ უფროსმა ლეიტენანტმა ბარამიძემ.

მებრძოლებმა მყისვე კვერი დაუკრეს:

— მართალს ამბობს უფროსი ლეიტენანტი!

— სიკვდილი ამხანაგების გამყიდველს!

ორმა ლეგიონერმა მძინარაშვილს ფეხებსა და მხრებში ხელი ჩაავლო, სავსე ტომარასავით გაიქნ-გამოიქნიეს და წყვდიადში გადაისროლეს.

ბოლო მოუღეს თუ არა მოღალატეს, ყველა რაღაც უცნაურმა ძრწოლამ შეიპყრო, თვალს არ აცილებდნენ ღია კარებს, რომლის მიღმა ავის მომასწავებლად ჩამოწოლილიყო უკუნი.

ვაგონის კარები მჭიდროდ დახურეს.

დუმილი ხარკაძემ დაარღვია:

— რას ჩაფიქრებულხართ, ამხანაგებო! რაც დაიმსახურა, ის მიიღო!

— ჭეშმარიტად! — კვერი დაუკრა ჭიჭინაძემ. ისიც უნდოდა ეთქვა, ეს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ჩვენს რიგებში სხვაცაა გამყიდველი, ფრთხილად, ვინც არ უნდა იყოს მოღალატე, ასეთივე ბედი ეწევათ, მაგრამ გადაიფიქრა, მუქარა კარგს არაფერს მოგვიტანს, სჯობია მეტი წინდახედულობა გამოვიჩინოთ, ვიწრო წრეში მოვითათბიროთო.

ხელი შემართა, რითაც ამხანაგებს ანიშნა, შეჩერდითო, და თქვა:

— მეგობრებო, გერმანელები უთუოდ გამოიძიებენ, რა დაემართა მათ მსახურს! თუ ვინიცობაა დაგვკითხეს, ყველამ ერთნაირად უნდა ვილაპარაკოთ, ამ ღამით მძინარაშვილი არ გვინახავს-თქო!

ჭიჭინაძემ ჩაახველა, ერთი წამით უფროს ლეიტენანტ ბარამიძეს შეხედა, შეუმჩნევლად თვალი ჩაუკრა და განაგრძო:

— ამხანაგებო, ფელდმარშალ პაულიუსის არმია სტალინგრადისაკენ მიიწევს! დღეს-ხვალ გერმანელები კავკასიის ქედს მიადგებიან და საქართველოში შევლენ. საბჭოთა არმია კატასტროფის წინაშეა; ასეთი არმიის მხარეზე გადასვლა ტყუილუბრალოდ თავის გაწირვაა, უაზრო სიკვდილია!

— ამას რას ამბობ, ამხანაგო კაპიტანო! — შესძახა ზემდეგმა ხარკაძემ.

— განა ამისათვის შეგვკრიბეთ?! — იყვირა თავის მხრივ ლეიტენანტმა ქორიძემ.

— მაშ, რა ვქნათ? გერმანიის არმია წითელ არმიაზე ღონიერია, ეტყობა მართლაც უძლეველია... ძალა კი ისეთი რამ არის, გინდა არ გინდა, მის წინაშე ქედი უნდა მოიხარო!

— რა უნდა დაგიმალოთ და ამ ბოლო დროს, მეც ასეთი შეხედულება შემექმნა. — თქვა უფროსმა ლეიტენანტმა ბარამიძემ, — ქართველი ერი მცირერიცხოვანია. ჩვენ ძლიერის, ღონიერის მხარე უნდა დავიჭიროთ. ჰიტლერის გამარჯვება ეჭვს არ იწვევს! ამიტომ სჯობია გერმანელებთან მხარდამხარ შევიდეთ საქართველოში!

— გამოდის, რომ მოგვატყუეთ, გაგვაბრიყვეთ, გერმანელთა ტანსაცმელი ჩაგვაცვით! — თქვა ერთგვარი მუქარით ლეიტენანტმა ქორიძემ.

— ასე გამოდის! — კვერი დაუკრეს ლეგიონერებმა.

ხარკაძე კრინტს არ სძრავდა, ოღონდ დანანებით თავს იქნევდა, რითაც თითქოს ამხანაგებს უმოწმებდა, დახეთ, ეს როგორ შეგვაცდინესო.

— ამხანაგებო, ოფიცერი ვარ, არ შემიძლია თქვენი მოტყუება. სიმართლის თქმისათვის ნუ დამძრახავთ, ნუ დამემდურებით, რატომ გავიწყდებათ, რომ ჩვენ ომში ვიმყოფებით! ბრძოლის ველზე კი ყოველ წუთს შეიძლება შეიცვალოს ვითარება, ის, რაც გუშინ იყო სწორი, მიზანშეწონილი, დღეს შეიძლება მცდარად, უაზრობად იქცეს! დამიჯერეთ, მერწმუნეთ, ჩემი შეხედულებების შეცვლა მდგომარეობის ბრალია — თავი იმართლა ჭიჭინაძემ.

არავის არაფერი უთქვამს. სალაპარაკოდ აღარც იყო დრო, ეშელონი რომელიღაც ჩაბნელებულ სადგურში შეჩერდა.

— შევიძლიათ წახვიდეთ თქვენ ვაგონებში... ლეგიონერებს გააცნოთ ვითარება, აუხსენით, რომ წითელი არმიის მხარეზე გადარბენა ეს საკუთარი ხელით ყელის გამოჭრაა!— მიმართა ამხანაგებს ჭიჭინაძემ და უფროს ლეიტენანტ ბარამიძეს ხელი წაავლო ჩურჩულით უთხრა,

დარჩი, შენთან სალაპარაკო მაქვსო. ისინი ვაგონიდან ჩავიდნენ და ლიანდაგის პირას მდგარ ჯიხურს ამოეფარნენ.

— ჩვენ რიგებში კიდევ ვიღაცაა გამცემი!— უთხრა ხმადაბლა ამხანაგს ქიქინაძემ.

— აშკარაა! აბა, მაშ, როგორ გაიგეს, რომ ბოლო ვაგონში ვიკრიბებოდით! — მიუგო ბარამიძემ, — თუმცა, ერთი რამ მაკვირვებს, თუ სხვაცაა მოღალატე, მაშ რატომღა შემოგზავნეს მძინარაშვილი?

— აი, მეც სწორედ ეგ მაოცებს! — მცირე ფიქრის შემდეგ კი დასძინა, — შეიძლება ასე განგებაც მოიქცნენ. იფიქრეს, მძინარაშვილს რომ გამოავლენენ, დამშვიდდებიან, დიდ სიფრთხილეს აღარ გამოიჩენენო.

— კარგი და, ვისზე ეჭვობ, ვინ შეიძლება იყოს მოღალატე?!

— ძნელია თქმა, მაგრამ ერთი კი ცხადია, იგი გამოცდილი, ფრთხილი, წინდახედული ჯაშუშია! ამიტომაც თათბირზე რის თქმაც მინდოდა, იმის საწინააღმდეგო ვილაპარაკე! თუ გერმანელებმა ჩვენი განზრახვა შეიტყვეს, იარაღს აგვყრიან, დაგვხვრეტენ! ფრონტი აღარც ისე შორსაა, ყოველი ნაბიჯი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს!

— ამხანაგო კაპიტანო, პირობას გაძლევ, რომ მეორე ასეული მუდამჟამს მზად იქნება საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად!

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, მე მჯერა შენი! მჯერა შენი ასეულისაც... ხვალ საღამოს ბატალიონი ტუაფსეს მისადგომებთან საბრძოლო პოზიციას დაიკავებს, გერმანელებს სწადიათ თანამოძმეებთან გვაომონ, ერთმანეთის სისხლი დაგვაღვრევინონ. ამ საშინელების თავიდან ასაცილებლად ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ. პოზიციის დაკავებისთანავე ჩვენს წარმომადგენლებს წითელი არმიის სარდლობასთან გავგზავნით. მოქმედების გეგმას პრაქტიკულად შევიმუშავებთ შექმნილი მდგომარეობის მიხედვით. ელოდეთ ჩემს ბრძანებას!

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩონ ჩხოლი
შუა საუკუნეების კორეელი პოეტი

# ოცდაორი სიჯო

## ეული წერო

1.

ირაოს ჰკრავდა ლურჯ თავანზე — სიმაღლით მთვრალი
დაეშვა წერო და ახლოით მოავლო თვალი

მიწას — იქნება მწუხარი და ეულად მდგარი
მოკვდავთა შორის ვინმე ელოდეს...

მაგრამ ძეკაცნი ქუფრად შეხვდნენ: შეაჭრეს ფრთანი —
აწ ვეღარ იფრენს ცაში ვეროდეს!

2.

ღაფრთიანება რომ ძალმედვას, უფრთოდ მყოფელი,
კვლავ რომ ვწეოდ ფრთათ, ოდესმე მათი მფლობელი,

გავიქროლებდი ლურჯ თავანზე — წკვარამ სოფელით
თითქოსდა ცისკენ ისარი სტყორცნეს...

კვლავ ვიხილავდი ნათლიერით გარემოფენილ
სამყაროს, სადაც ვცხოვრობდი როსმე!

* * *

კომუნგოს სიმი ავაჟღერე ბამბუკის ჯოხით,
კომუნგოს სიმზე ხმებმა იალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცურდა ჰანგი, გაზაფხულის ღვარივით ოხვრით,
ყინულის ქვეშ რომ მიდის ტიალად.

ისევ ჩამოვკარ კომუნგოს და თითქოს ლოტოსის
ფოთლებზე წვიმამ გადაიარა.

* * *

ო, როდის შევძლებ, მოვუქნიო ფრთები კაეშანს,
ცაში ავიჭრა მზვაობარი და იქ დავეშვა

სადაც პენლაის ცისფერი და შორი ლანდია,
სად ჩემი სატრფო მელის და გოდებს...

თუმცა არასდროს გავფრინდები, მაგრამ მწადია
გული ამგვარი ოცნებით ქროდეს!

* * *

მთვარეს და ვარსკვლავთ ამოვიჭრი გულიდან, ცისკენ
ავტყორცნი... დაე, დაუსრულებლივ

იქროლონ ცისკენ, ჩვენს ზემორე ოთხმოცდაათი
ათას ლის სიგრძით რომ დგას ულევი.

იქ იბრიალონ, გაანათონ ქვეყნის თავანი,
სადაც, ძვირფასო, შენ მეგულები!

* * *

მიქცევის ჟამზე, როს ნაპირი უკაცურია,
მე შენ მოგელი. კვალად შენი ხილვა მწყურია.

ამოივაკებს როს მთოვარე ქედების თავზე,
მე შენ მოგელი. კვალად შენი ხილვა მწყურია...

როსღა გიხილავ, სასურველო? წალმობით სავსე
წახველ და გზები მოქცევისა დანისლულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მეფე თავს ადგას თავანად, თავად
ბრბო კი მიწაა, სნებით ნატორი.

მაგრამ თუ ფიქრობს წამითი წამად
ჩვენს საწუხარზე ჩვენი პატრონი,

მაშ რატომაა, რომ მწარე ჭამადს
მთის ბალახისას — ვხვრეპავთ მარტონი!

* * *

სიმს კომუნგოსას ჩამოვკარი, სიმი ღვთიური
აჟღერდა, სული დამიმშვიდდა, ისევ ამავე

თრთოლვით შევეხე მეორე სიმს, იგიც ღვთიური
ხმით აქვითინდა... მოვთქვამთ სამივე...

როგორ დაგვტოვებს მწუხარება, როს ქვეყნიური
განშორებანი სულს გვიშხამავენ!

* *

შეხედე: უშქარ მარგალიტს ისხამს
ლოტოსი, როცა დგება სისხამი...

აწ მოვაგროვებ და შორს, ქალაქში
ვაახლებ სატრფოს, თუკი ინებებს.

დე, მირიადი წვეთის კაშკაში
მეუფეს ჩემსას გულს ულხინებდეს!

* * *

ვარსკვლავ-ნოინი როს ამოდის და შუქით ავსებს
თავანს, გრილოში მოვანების პალატთა თავზე,

გავხედავ: ტყისებრ ზღვა მუქდება, ხოლო რიფები
და ტყენი ზღვისებრ სიგრილეს სვამენ.

ბჟუტავს ვარსკვლავი, სიშორენი ნათელს იფენენ
და შეუმჩნევლად იწურვის ღამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კხედავ: შემოდის შემოდგომა, ხეებს შებურვილთ
სცვივა ფოთოლი. ქრიან ქარები.

და ცივა, ცივა... და წვიმებით აზვირთებული
მდინარე თავქვე მიექანების.

ასი ლის იქით მელის სატრფო... გზივარ ეული
და თვალზე ძილი არ მეკარების!

* * *

გაფრინდა წერო, მიეფარა დასალიერსა,
ვხედავ,
ტერასა ჭალის პირთან დაცარიელდა...

აწ წეროს კვალზე მეც თუ წავედ,
ჟამთა დასები
დამაშორებენ ჩემს მხარესთან, ვიცი, სავსებით...

ო, სულერთია, აქ დავრჩები თუ წავალ სადმე —
მო, მეგობარო, შევსვათ თასები!

* * *

ჩემსკენ მეხუთე საგუშაგოს ზარის გუგუნი
მოდის პინლაის მწვერვალის წვერით.

ქალაქის კედლებს გადმოუვლის ქარი და მოაქვს
ხმა, გულსა ზედა წუხილის მჩენი...

ნუთუ შორეთში გადახვეწილს მომწვდება კიდევ
აწ ეს გუგუნი პინლაის წვერით?

* * *

როცა მოვკვდები, როცა ქვეყნით განვიწირები, —
ტალღებმა ზიდონ ჩემი სხეული.

დაე, ხანგანის მეჩეჩები ხერხონ კბილებით,
ფქვან ნაპირები, მათგან ძლეული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემზე უამბონ ჩემს სასურველს... მე კი უგრძნობი
მატარონ მგზავრი ხანმოთეული.

* * *

ვუმზერ: ნეფრიტის სასმისი ბრწყინავს.
და ვტკბები, როგორც ათი წლის წინათ.

არ შეუცვლია ჟამთა ცვლას, ისევ
მჭვირვალებს, ელავს სამოსი მისი...

ვაგლახ, გული კი ჟამს ედარების —
იცვლება დროთა ფერისცვალებით!

* * *

კვლავ შენთან ერთად უნდა შევსვა ღვინო მანამდე,
სანამ ეს ღვინო სულის ღმერთია...

კვლავ შენთან ერთად უნდა ვჭამო მწარე ბალახი,
სანამ სიმწარე მატკბობს ერთიან.

უნდა ვიარო ქუჩა-ქუჩა, ვვლიდე ქარდაქარ
მანამდე,
სანამ ქალამანი არ გამცვეთია!

## ვიხსენებ წარსულს

### I

იყო დრო, მამრი, სვიანი და ხმადათაფლული,
მეფის პალატთა წიაღ ვვლიდი, მწუხრში ჩაფლული

და ვდარაჯობდი მეუფის ძილს, თავზე უნებურ
რომ ედგა ხოლმე სიზმრის არილი...

აჰა: ყოველი — ის პალატნი და მსახურება
და კვანხვამუნის ბჭეც — გამქრალა აწ სიზმარივით.

### II

„სუჩხენი" ვიყავ მე იმჟამად და სინ გუნმანთან
ღამამეგობრა ჭეშმარიტის ჭვრეტის გუმანმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ იქ, ხელმწიფის კარიბჭესთან ბევრჯერ დარაჯნი
მიგვიყვანია — ვინც იცავდა მეფის პალატებს...

კვალად შთენილა ჩემს თვალებში კვალი მარადი
იმ დღეებისა და მეუფის — მოაქჟამამდე.

* * *

დარეკავს ჟამი, ხე გახმება, აღარ ანათებს
მისი სიმწვანე... თუმც სოფლიდან მოაქჟამამდე

ჩრდილს აწყდებოდა ჯამაათი... ფოთლით მოსილი
არად აგდებდა დღეთა სიალეს...

ვაგლახ, ჩამოხმა ზეზეულად, ცად აჩხვერილი,
ზედ ჩიტიც აღარ გაიფრთხიალებს!

* * *

მაღალ კოშკიდან — რომ ლივლივებს რვა საუკუნის
ქერზე მაღალი, ნათლით მოცული, —

ლითონის ზარის შორეული და ყრუ გუგუნი
მოიწევს ჩემსკენ, მოდის, მოცურავს...

მოდის ზარის ხმა თითქოს ველებს ლოკავს თითებით
და საღამოის დუმილს ერწყმის და ენივთების.

### ვისთვის?

სად დაიხაფრე, მენავევ, ნეტავი?
მიჰკერებია ნავი ნავთსაყუდელს.
ვდგევარ ეული მდინარესთან,
დამცქერს მნათობი დამავალი
და აღარ ვუწყი, მიმწუხრისხანს რა მელოდება,
სატრფოს ზრახვანიც ვერ აღწევენ შორით ჩემამდე.
წამომპარვია შუაღამე
სამარესავით...
აჰა: მთოვარეც აღმოსავლით ამოიმართა,
ვისთვის აღმოხდა იგი, ნეტავი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

უახლოვდება ორმოცდაათს ცხოვრება ჩემი,
ისევ ნუნუას ვეძალები და ისე ვცხოვრობ,

როგორც ვცხოვრობდი დიდი ხნის წინ და მეღიმება,
ვითარცა მაშინ; უმიზეზოდ ვიღიმი მხოლოდ,

რადგან ყოველი, რაც ოდესმე გულს მიხარებდა
გადავიწყებით დამეწყრილა ბოლოს და ბოლოს!

თარგმნა **ჯარჯი ფხოველმა**

ლადო მრელაშვილი

# დღეს ასნი და ათასნი გურჯაანელნი

## მეურნეობის დირექტორი

კარდანახის მეურნეობას მიწის დიდი ხავარგულები არა აქვს. რაცა აქვს, იმაზედაც თითქმის ვენახებია გაშენებული. 800 ჰექტარ ვენახიდან 500 ჰექტარი სარწყავ ზოლშია მოყოლილი და, უფრო მეტად კი, თავად ნიადაგია ძლიერ ქარბტენიანი. ეს იმის ბრალია, რომ თავის დროზე, ვენახის გაშენებამდე, იქ სადრენაჟო-სამელიორაციო სამუშაოები არ ჩაუტარებიათ. ახლა, ამის გამო, — ატმოსფერული ნალექების შედეგად ზედაპირული წყლების შეერთება ხდება გრუნტის წყლებთან (გრუნტის წყლები 30-40 სანტიმეტრის სიღრმეზეა), რაც იწვევს ნიადაგის დაჭაობებას.

ამის გამო და აქედან გამომდინარე, ხშირად ვენახებში მექანიზაცია გამორიცხულია, კარდანახელი გლეხი (მუშა) იძულებულია მამაპაპურ ზურგის სასხურებელ აპარატს დაუბრუნდეს და ვაზის ძირები და მწკრივთა შუა მიწაც თოხით დაამუშაოს.

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში შრომის ნაყოფიერება ნაკლებია.

უნდა ისიც ვთქვათ, რომ ვენახების ეს ფართობები მოქცეულია მოყინვის ზოლში 1971-1977 წლებში 500 ჰექტარი ფართობი სამჯერ მოიყინა 100 პროცენტით. ამან დააკნინა ვაზი და ამის გამო ვენახების საერთო სახე არ არის დამაკმაყოფილებელი.

საჭიროა, აღნიშნულ ფართობებზე გაბედულად დავაყენოთ „ამორტიზირების" საკითხი, — ესე იგი ამოვძირკვოთ ეს ვენახები. მერე დაიქსელოს ეს მიწები სადრენაჟო არხებით, ჩატარდეს ყველა ღონისძიება ქვენიადაგის წყლების დასაწრეტ-დასაშრობად და შემდეგ ამ ფართობებზე ხელახლა გაშენდეს ვენახები.

და, როდესაც ამ დამშრალ მიწებზე დავიწყებთ ვენახების გაშენებას, საჭირო იქნება განიერ რიგებიანი და მაღალშტამბიანი იყოს ზვრები, რათა საშუალება მოგვეცეს მექანიზაციის ფართოდ დანერგვისა, რაც ხელით შრომას გამორიცხავს. საჭიროა აგრეთვე სეტყვასაც რაღაც მოვუხერხოთ... რაო? სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები გაქვთო? — როგორ არა გვაქვს, მაგრამ ისე ვერ შველის საქმეს, როგორც საჭიროა. ნახავდით, ალბათ, გურჯაანის თავშიცა და სხვაგანაც მრავალგან დადგმულია ეგ დანადგარები, მაგრამ რა გამოვიდა? — წელს კარდანახის ყველაზე საუკეთესო ზვრები გაანადგურა სეტყვამ. მეურნეობისა 300 ჰექტარი და საკარმიდამო 400 ჰექტარი ვაზის ყვავილობის დაწყებამდე 50-60 პროცენტით მირეგვ-მორეგვა.

მთელი დასეტყვილი ფართობიდან — 500 ჰექტარი საქართველოს მევენახეობის განთქმული მიკრორაიონი „წარაფები" განადგურდა.

მევენახეობასა და მეცხოველეობას როგორ შევათავსებთ გურჯაანელები? — ძალიანაც კარგად. ჩვენს რაიონში მეცხოველეობის კონცენტრაცია-სპეციალიზაცია ძალიან შედეგიანი გამოდგა. ამ გაერთიანებამ საზოგადოებრივი მეურნეობები გაანთავისუფლა პირუტყვის მოვლა-პატრონობისაგან, რამაც საშუალება მოგვცა მთელი ყურადღება გადაგვეტანა მევენახეობის განვითარებაზე. ასევე გახლავთ საკვებ-მოპოვების გაერთიანება. მე მგონი ამით დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ საზოგადოებრივი მეურნეო-

ბების მეცხოველეობის საკვებით მომარაგების საკითხში.

ამას გარდა ჩემის მხრით მაქვს ერთი მოსაზრება: კარგი იქნება თუ მეფრინველეობა კვლავ აღდგება იმ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სადაც წინათ ამის ტრადიცია იყო. ესეც რეზერვია მეცხოველეობაში, მე რომ მკითხო.

ისიც კარგი იქნება, თუ სოფელს მოსახლეობის პირუტყვისათვის ცალკე საძოვარს გამოვუყოფთ... მაგრამ სად არი...

## ღვინის ქარხნის დირექტორი

**ჩვენს ზონაში, — ჩვენი ქარხნის სამოქმედო ზონაზე ვამბობ, რომელშიც კარდანახი, ბაკურციხე და კოლაგი შედიან, ამ ზონაში ქარხანა მზად არი არა მარტო 12.000 ტონა ყურძენი მიიღოს, გადაამუშაოს და დააბინაოს (გეგმით ამდენი გვაქვს), არამედ 20.000 ტონასაც არხეინად აუვა, თუ შესაბამისი ტარით იქნება უზრუნველყოფილი. გეგმის შესრულებისათვის კი ყველაფერი მზადა გვაქვს, ოღონდ საჭირო ტარის საკითხია მოსაგვარებელი და იმასაც სეზონის დაწყებამდე მოვაგვარებთ.**

**ჩვენს ზონაში დგება საქართველოს საუკეთესო ღვინოები:**

**„წარაფები" — მას მსოფლიო გამოფენაზე მთავარი ჯილდო — დიდი ოქროს მედალი აქვს მიღებული.**

**„საამო"** — შემაგრებული სამარკო ღვინო, **რომელსაც 4 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი აქვს მიღებული.**

**„ანაგა"** (შემაგრებული) — ვერცხლის მედალი.

**„ხიხვი"** — 3 ოქროს მედალი.

**„კარდანახი"** (შემაგრებული) — 5 ოქროს მედალი.

**1976** წელში ამ ქარხანაში დაყენებულმა **ღვინომ — „კარდანახი — კახური", გამოფენის მთავარი ჯილდო, დიდი ოქროს მედალი მიიღო.**

**— რაო? ღვინის ხარისხის სიკარგეზე ბრძანებთ?**

— ღვინის ხარისხის სიკარგე ვენახის გასხვლიდანვე იწყება. ეს უკვე სოფლის მეურნეობის მუშაკთა ვაჟკაცობაზეა დამოკიდებული: თუ თავის დროზე დაამუშავებს, სასუქებს საჭირო რაოდენობითა და თავის დროზე შეიტანს, ვენახის დამუშავების აგროტექნიკური ყველა პროცესი თუ თავის დროზე ჩატარდება, რა თქმა უნდა, მაღალხარისხოვან ყურძენს მივიღებთ. ამის შემდეგ კი უკვე ჩვენი საქმეა, რასაც ყოველთვის კარგად ართმევენ ხოლმე თავს კარდანახელი მეღვინეები.

მეცხოველეობას რით ვეხმარებით? აბა, ჩვენ, მეღვინეებს რა შეგვიძლია? — აგერ ქარხნის ეზოში თუ რამე მოვა, სიამოვნებით გავუთიბავთ, მაგრამ ეს თითის ლოკვასავით გამოვა, და, თუ სადმე თავად რომელიმე მეურნეობას ან კოლმეურნეობას ექნება გასათიბი, არც ჩვენ დავზოგავთ თავს და მივეხმარებით თიბვაშიცა და დაბინავებაშიც.

## კოლმეურნეობის თავმჯდომარე

**ჩუმლაყის კოლმეურნეობას 1.240 ჰექტარი გამოსაყენებელი მიწა აქვს:**

**200 ჰექტარი ვენახი;**

**25 ჰექტარი ხეხილი;**

**20 ჰექტარი თუთა;**

**340 ჰექტარი** კი სახნავ-სათესი და ბაღჩა-ბოსტანი.

აქედან სახელმწიფოს უნდა ჩავაბაროთ:

ყურძენი — **6.000** ტონა;

ბოსტნეული — **550** ტონა;

მარცვლეული — **400** ტონა;

ხილი — **350** ტონა;

ბაღჩეული — **400** ტონა.

მესაქონლეობისათვის რჩება მხოლოდ საურმეები, ღობისძირები და ალაზნის ჭალები. ეს ის ჭალებია, რომლებიც ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინ განადგურდა.

ჩუმლაყის, ახაშენის, გურჯაანის, ჭანდრის, ვეჯინისა და ბაკურციხის ბოლოები დიდებული ჭალები იყო, სადაც საუკეთესო სამშენებლო მასალად ვარგისი ჯიშის ხეები ხარობდა: მუხა, იფანი, წაბლი, ვერხვი, მურყანი და სხვა ბევრგვარი. მრავლად იყო ფრინველ-ნადირი და ასე გახინჯეთ — გარეული ფუტკარიც. შორს გაუხედავმა თვალმა და გულმა დაუნანებლად მორევ-მორევა ბუნების ეს დიდი საუნჯე, მთლად პირისაგან მიწისა ახვეტა ჩვენებური ხის გასაგისი და მათ მაგიერ კაუჩუკის ხის გაშენება დაიწყო სატყეო მეურნეობამ. მაგრამ ხელოვნური კაუჩუკის მიღებამ მოსპო ეს კაუჩუკის ხეები და ახლა მთლად გავერანებულია ალაზნის უზარმაზარი ჭალები. ამიტომაც არი, რომ ალაზანი მთელ ამ სიგრძეზე წელიწადში ხუთ-ექვსჯერ მაინც იცვლის კალაპოტს და მიაქვს ვარგისი, ნოყიერი მიწები. ნადგურდება საუკეთესო სავარგულები, ნაკალაპოტარში კი მემრე ალარაფერი მოდის.

ალაზნის ის განადგურებული ჭალები მას შემდეგ დაჭაობდა და გაუვალმა ბარდ-ეკალმა და შამბ-კაჭაჭმა დაიდო ბინა. ღმერთმა კარგად გვიმყოფოს, ჩვენი მდივანი, მოვიდა თუარა, ძალიან ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. ამოდენა მშენებლობები გურჯაანში და გურჯაანის გარეთ, ამოდენა ზვარ-ვენახებისა და ხეხილის, ამოდენა ბაღეულ-ბოსტნეულის გაშენება, მოვლა და მოყვანა, აბა, თქვენ რაღა გესწავლებათ,

პატარა ამბავი არ არი. განსაკუთრებით კი ამ მეცხოველეობის კომპლექსმა დიდი გამოცდის წინაშე დაგვაყენა. თქვენ ალბათ, დაათვალიერებდით, როგორ არი იქ ყველაფერი აწყობილი, რა სისუფთავე და როგორი მექანიზაციაა... ჰოდა, იმას ვამბობდი, მოვიდა თუ არა ჩვენი მდივანი, მაგის კაბინეტის კარებს ხალხი ისე მიეხვია, როგორც მებალის ქოხს ბუზი. ისიც ყველას იღებდა, არავის ეუბნებოდა უარს და ხშირად ამ მიღება-რჩევა-დარიგებასა და მათი ათასგვარი საქმეების მოგვარება-მოწესრიგებაში დახთენებია. აბა, ერთი თქვენ წარმოიდგინეთ: კაცი ერთია და იმის ნახვის მსურველი ათასი. ყველას რომ მოუსმინო და დაეხმარო, უზარმაზარი დრო, ენერგია და ნერვები გინდა. ერთ დილას, ფანჯარაზე ვიღაცამ დამიკაკუნა. კვეხნად ნუ ჩამითვლით, მაგრამ ძალიან ადრე ვდგები ხოლმე. გამიკვირდა: ეგრე ადრე ვინ უნდა იყოს მეთქი. გავიხედე — ჩვენი მდივანია. მითხრა: „მთელი ღამე ერთ ადგილზე ჯდომით დავიღალე, ათასი კაცის ჭირვარამის მოსმენამ ცოტა არ იყოს დამქანცა და მინდა დავისვენოო. ვენახებს გიქებენ, წამო ერთი დამათვალიერებინე, ცოტა გულს გადავახალისებო“.

წავედით.

როგორც კი სავსე ვენახებში შეაბიჯა, სახიდან გადაეყარა დაღლილობა, მწკრივებში დადიოდა, რომელიც უფრო ძაან მოეწონებოდა, იმ ვაზებთან მიდიოდა, რქა-ფოთოლზე ხელს უსვამდა, ჩაუცუცქდებოდა, მტევნებს ხელში იღებდა, ვაზის ძირების დამუშავებას ამოწმებდა, მწკრივებშუა ხარეველა ბალახს ეძებდა, ყურძნის ფეროვანებასა და სიმძიმეს სინჯავდა. მთელი ორი საათი მუხლჩაუხრელად იარა და მატარა.

მეკითხებოდა, როგორი მოსავლის იმედი მქონდა. როგორ ვიყავით მომზადებული სართვლოდ, რით და როგორ შეიძლებოდა მკრეფავებისა და მზიდავების დაინტერესება, რომ შემჭიდროებულ ვადაში აგვეღო მოსავალი და ათას სხვა რამეს. მერე მითხრა: „ეხლა კი დავისვენეო. არ გეწყინოს, ეგრე უცებ რო გტოვებ. მინდა ძირისძირობამდე ვიცოდე გურჯაანელი კაცის ჭირ-ვარამი და საცინ-სალხენიო“, და ისევ რაიკომში წავიდა.

ის იყო, რთველი მოვათავეთ, რო ერთ დილაუთენია ისევ დამადგა თავზე: „ერთი, ალაზნის ნაჭალარებში ჩავიდეთ, დავათვალიეროთო“. წავედით. ეკალ-ბარდებმა და ჭყანტობებმა შიგნით არ შეგვიშვეს. მაშინ ერთ გადარჩენილ კაკალზე იგეთი სისხარტით ავიდა ეს ამოდენა კაცი, პირი ღია დამრჩა. ავიდა და, სადამდისაც კი თვალი მიუწვდა, დაათვალიერა, მერე ჩამოვიდა იქიდან და მითხრა: აი, რო გაიძახოდით საქონლისთვის საკვები არა გვაქვსო, ამაზე კარგი რეზერვი რაღა გინდათო? იმავე წელს, სადაც მისწვდა, ყველგან გაათიბინა ბალახი. მემრე მოიწვია კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, მეურნეობის დირექტორები, დაგვსხა ერთ ვეება სატვირთო მანქანაზე, თითონაც მაღლა ძარაზე ამოვიდა და ისევ იმ ნაჭალარებში ჩაგვიყვანა. „აბა, ეხლა, თქვენც ყველამ ჩემთან ერთად დაათვალიერეთო. ბერიკაცებს ვესაუბრე და ასეთი რამ მითხრეს: წინათ, ალაზნის ჭალებში, კამეჩი მთელ ზამთარს თავისი პირით გამოვიდოდა. (ესე იგი ადამიანის დაუხმარებლადო) და ახლა ეს ადგილები უნდა საძოვრად გამოვიყენოთო. ჭერემის ადგილები საზაფხულო საძოვრებად, ხოლო აქაურობა საზამთროდო.

მართლაც პირუტყვისათვის იმ ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ ადგილებში აშენდა ღია ფარდულები, — ამას დიდი თანხები არ დასჭირვებია, აშენდა პირუტყვის სახუქი პუნქტი და საკვების მოპოვებისათვის საჭირო რამეები. სოფლის გარშემო, სადაც კი ხელი მიგვიწვდა, ვენახები გავაშენეთ. ყურძენი მოდის — ფული გვაქვს, მაგრამ მეცხოველეობის პროდუქტები არადამაკმაყოფილებელი რაოდენობისაა. ეგეთი ცალმხრივი სპეციალიზაცია, როგორც ეტყობა, არ უნდა იყოს სწორი. აი, აჰა, მეჭურჭლე აკეთებს კოკას, რომელშიც ბევრი წყალი ჩადის, მაგრამ მარტო კოკა ხომ არ არის საკმარისი ოჯახში? — სურაც საჭიროა, ლიტრაც, ჭიქლაც, ჩარექაც, ხელადაცა და ცალყურაც. ანდა სასწორის საწონები აიღე — ყველანაირია საჭირო. ამიტომ მეცხოველეობაც საჭირო აღმოჩნდა. წინათ ყოველ კოლმეურნეობას ყველაფერი ცოტა-ცოტა ჰყავდა, მაგრამ მაინც ჰყავდა, საჭიროების შემთხვევაში, მაშინვე ვაკმაყოფილებდით მოსახლეობის მოთხოვნილებას, მემრე, რაკი ცხვრისა და ფრინველის ფერმები გავამსხვილეთ, ეს ყველაფერი მოვსპეთ კოლმეურნეობაში და წავიდა ბარაქაც.

ამას გარდა, თითონ მოსახლეობამაც საკუთარ კარმიდამოში უნდა მოამრავლოს ფრინველი. ამისათვის კი უნდა საინკუბატორო მეურნეობა იქნეს კარგად დაყენებული, რო ხალხმა წიწილებისთვის სადმე სხვაგან და შორს არ ირბინოს, — დრო არ გააცდინოს...

## დედამიწის სიღრმული სითბოს გამოყენების სამმართველოს უფროსი

გურჯაანში როგორ მოვხვდი? — სრულიად შემთხვევით. ცენტრალური კომიტეტის მოსაცდელ დარბაზში ვისხედით. ბიუროზე ვიყავით გამოძახებულნი. გვერდით ვიღაც ახოვანი, სანდომიანი სახის ვაჟკაცი იჯდა. ერთი-ორჯერ შევხედე და შევატყვე, რომ ცნობისმოყვარე თვალით მიცქერის. მერე ადგა და პირდაპირ მკითხა — ვინ ვიყავი. მეც ვუთხარი, ვინც ვიყავი.

თავად გურჯაანის პარტრაიკომის პირველი მდივანი აღმოჩნდა. თერმული წყლების ძიების გენერალურ გეგმას ვადგენდით და გურჯაანი ღრმა ბურღვითი სამუშაოების ჩატარების პერსპექტიულ რაიონად გვქონდა შეტანილი. გამიხარდა მისი გაცნობა. პირდაპირ მითხრა: გურჯაანის რაიონს ცხელი წყალი, რა თქმა უნდა, აინტერესებს, მაგრამ პირველ რიგში მაინც ცივი წყალი ესაჭიროებაო. ჩამობრძანდით, გაეცანით რაიონს და კონსულტაცია გაგვიწიეთო.

მეც ავდექი და ჩავედი.

დავათვალიერე სოფლები: ჭანდარი, კოლაგი, ვეჯინი და ბაკურციხე. ველაპარაკე ხალხს. დიასახლისებმა შემომჩივლეს: საღამოს სამუშაოდან შინ დაბრუნებულები, ხელებს ღვინით ვიბანთო. წამიყვანეს და თავიანთ წყაროებზე ისეთი რიგები მაჩვენეს, როგორიც ომის დროს ნავთის პუნქტებთან იყო გამართული.

დავათვალიერე სოფლის ბოლოები და თითქმის ყველგან ვიპოვნე გეოლოგიური ფანჯრები.

მდივანს ვუთხარი:

თუ ამ ზონაში 200 მეტრის ხიღრმის ორ ჭაბურღილს გავიყვანთ და თუ სატუმბავსადგურიან 6 კილომეტრის სიგრძის წყალსადენს ავაშენებთ, სრულიად უზრუნველვყოფთ ამ დასახლებულ პუნქტებს სასმელი და სამეურნეო წყლით-მეთქი. ესე იგი — სოფელ ჭანდარს, ჭანდრის ღვინის ქარხანას, ჭანდრის კოლმეურნეობას, მოსახლეობას, მესაქონლეობისა და მეღორეობის ფერმებს, სოფელ ვეჯინს, ვეჯინის საბჭოთა მეურნეობას, ვეჯინის დასასვენებელ სახლსა და მთლიანად მოსახლეობას... ოღონდ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, მე იურიდიული უფლება არა მაქვს ცივი წყლის მომარაგებისათვის სამუშაოების შესასრულებლად რომ ვიზრუნო. ხოლო, თუ ჩვენი მთავრობა გაზის მრეწველობის საკავშირო მინისტრის წინაშე დააყენებს ამ საკითხს, ჩვენი სამმართველო უმოკლეს ვადაში შეასრულებს ამ სამუშაოებს-მეთქი. ამ საქმის სასწრაფოდ გადასაწყვეტად ისიც აქეზებდა მდივანს, რომ გურჯაანში მთავრდებოდა ღვინის საკუპაჟე ბაზის მშენებლობა, რომელსაც დიდი რაოდენობის წყალი სჭირდებოდა. ამ საქმეში ჩაერია ჩვენი კვების მრეწველობის მინისტრი და აგრეთვე სამტრესტის მმართველი. ამის საფუძველზე ჩვენი მთავრობის თავმჯდომარემ გაზის მრეწველობის საკავშირო მინისტრს — ამხანაგ ს. ა. ორუჯევს გაუგზავნა თხოვნა. ორუჯევი გაეცნო მასალებს, სამართლიანად სცნო ხალხისა და სოფლის მეურნეობისათვის სასმელი და სამეურნეო წყლის დროული მიწოდება და თანხმობა შემოთვალა.

მაშინვე ჭანდრის ბოლოზე გავბურღე მიწა და იქიდან ისეთმა შადრევანმა ამოხეთქა, დღეღამეში 600 კუბური მეტრი რაოდენობის ცივ წყალს იძლევა. და, რაკი ჩვენთან არის თავმოყრილი: ბურღვა, დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია, ამან შეგვაძლებინა უმოკლეს ვადაში — სულ ხუთ-ექვს თვეში დაგვემთავრებინა სამუშაოები. სხვა შემთხვევაში ამ სამუშაოებს სამი წელი მაინც დასჭირდებოდა. იგი გავუშვით გასული წლის 7 ნოემბრისათვის.

ახლა კარდანახისათვის მთხოვეს წყლის რესურსების გამოძებნა.

დავათვალიერე სოფლის ბოლოები.

აქ 1964 წლიდან მიმდინარეობდა კარდანახის ღვინის ქარხნისა და სოფლის წყალმომარაგების სამუშაოები, რომლის საპროექტო ღირებულება მილიონ სამასიათას მანეთს შეადგენდა.

1968 წლისათვის მხოლოდ 600 000 მანეთის სამუშაოები იყო შესრულებული.

სოფელ კარდანახიდან ალაზნამდე და ალაზნის გაღმა 300 მილიმეტრიანი ორმაგი მილი გაიყვანეს, საიდანაც სოფლისთვის წყალი უნდა მიეწოდებინათ. სათავე ნაგებობის ზონა 60 ჰექტარამდე დიდებულ სავენახე ფართობს მოიცავდა. იქ გრუნტის წყლის აღებას გულისხმობდნენ, რომელიც სანიტარულად არასრულყოფილია და ხშირად ჭუჭყიანდება.

ჩვენ ავდექით და ასეთი რამ გავაკეთეთ: ჰიდროგეოლოგიურ ფანჯარას ალაზან გაღმა კი არ დავუწყეთ ძებნა, არამედ სოფელთან ახლოს, დაახლოებით 5-6 კილომეტრის დაშორებით. აქ აღმოვაჩინეთ ეს ფანჯარა, ორგან გავიყვანეთ ჭაბურღილი და საუკეთესო სასმელი თვისებების დღეღამეში 10.000 კუბმეტრმა ცივმა წყალმა ამოხეთქა იქიდან. ორი თვის განმავლობაში ავაშენეთ სატუმბავი სადგური და კარდანახის ღვინის ქარხანასა და სოფელს წყალი მივაწოდეთ. მარტო ამ ღონისძიების გატარებით დაზოგილ იქნა ნახევარ მილიონზე მეტი მანეთი და 2.000 ტონა წყლის მილი, რომელიც მიწიდან უნდა იქნეს ამოღებული, რათა რაიონის წყალმომარაგებას მოხმარდეს.

როდესაც ეს ძველად ჩაყრილი მილები სოფლიდან მეექვსე კილომეტრზე, ჭაბურღილებთან გადავჭერით, იქიდან მელიები გამოცვივდნენ. ჩვენ ერთი თალია გავვოცდით: ეს რა ამბავიაო. მაგრამ როდესაც ამ მილებს ვრეცხავდით და წყალმა იქიდან აუარებელი ფრინველის ძვლები და ბუმბული გამოიტანა, მაშინვე მივხვდით, რომ ეშმაკი და ჭკვიანი ნადირები 1968 წლიდან ამ 300 მილიმეტრიანი წყლის მილებს მეტროსავით იყენებდნენ. მილებს ალაზნის პირას რომ თავი ჰქონდათ, ბოლო შუა კარდანახში, არყისახდელთან მთავრდებოდა. ჭალიდან შემოდიოდნენ ამ მილში მელიები, მიწის ქვეშ გადიოდნენ 15-16 კილომეტრს და ზედ არყისსახდელთან ამოდიოდნენ, სადაც ძველ, გადაყრილ ჭაჭას უამრავი ქათმები და ინდაურები ეხვეოდნენ. აქ იჭერდნენ ამ ქათმებსა და ინ-

დაურებს, შედიოდნენ უკანვე მილებში, იქ ლაზათიანად პურმარილობდნენ და მერე სავსე მუცლებით ამავე „მეტროთი“ ბრუნდებოდნენ უკან — ქალაში. სოფლის რომელ მურასა და ბოთვერას მოუვიდოდა აზრად, რომ სადაც ისინი იწვნენ და ზარმაცად თვლემდნენ, ანდა გამოხრული ძვლისთვის ერთმანეთს თავპირს აჭამდნენ, მათ ქვეშ მსუქანი ინდაურების ბარკლებს, თავად სიზმარშიაც რომ არ მოლანდებიათ მელიები მიირთმევდნენ. და ეს ხდებოდა ხშირად დღისით-მზისით.

შუა გზაზე გადავჭერით ის ძველი ჩაყრილი 300 მილიმეტრიანი მილები და გადავარჩინეთ უქმად მიწაში გდებასა და ჟანგისა და დროისაგან შეჭმას. ამასთანავე სასწრაფოდ ჩავაყენეთ ხალხის სამსახურში.

ეს რომ გურჯაანის რაიკომის მდივანმა ნახა, მალე ჭამაში მოდისო, მითხრა: „მოდი, ერთი გეგმა შევადგინოთ ასეთი დევიზით: ყველა სოფელი და სოფლის ყველა მცხოვრები უზრუნველყოფილი იქნეს სასმელი და სამეურნეო წყლით!“ ჩვენც მეტი რა გვინდა? — ოღონდ სახიკეთო საქმე გაგვაკეთებინე და ვის მოაგონდება დაღლა და დასვენება?

შევადგინეთ ეს გეგმა, წარვუდგინეთ ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს. მოეწონა. მოგვიწონეს აგრეთვე პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც — ესეც ყურძნის დიდი მოსავლისათვის ბრძოლის ერთ-ერთი დიდი რგოლიაო და ჩვენც გავაჩაღეთ მუშაობა.

ახლა სოფელ მუკუზანში ვმუშაობთ.

აქ, სოფლიდან 12 კილომეტრის დაშორებით, ადრიდანვე იყო აშენებული სათავე-ნაგებობანი.

ჩვენ შევცვალეთ ეს მიმართულება და ახლა ხელსაყრელ პირობებში ჭერემის ხევიდან თვითდინებით მიწოდებულ იქნება დღე-ღამეში 3.000 კუბმეტრი წყალი ექვსი კილომეტრით უფრო ახლოდან, ვიდრე წინათ აშენებული სათავე-ნაგებობაა. იგი საპროექტო ხარჯთაღრიცხვას შეამცირებს სამჯერ და 150.000 მანეთის ფულად ეკონომიას მისცემს სახელმწიფოს.

## მე თვითონ

დასაბამიდან ქართველი კაცი ბუნების გამუდმებულ გარდამქმნელთა იმ კატეგორიას დაეწყვილა, რომელთაც განუზომელი მადლი დასდეს კაცობრიობას, მისმა მაძიებელმა გონებამ ხეხილისა და მარცვლეულის ისეთი ჯიშები შექმნა, რომლითაც მსოფლიომ საქართველო ვაზისა და ხორბლის ერთ-ერთ სამშობლოდ აღიარა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო 600-მდე ვაზის ჯიში რომელ ქვეყანას ექნება კიდევ?

ქართული ფუტკრისას ხომ ალარაფერს ვამბობ, რომლის მოშენებაც ახლა დედამიწის თითქმის ყველა კუთხეში სურთ.

ჩემს თვალწინ მიმდინარეობდა ხორბლის ახალი ჯიშების გამოყვანა. აგერ, სულ რაღაც ოცდათხუთმეტიოდე წლის წინ თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობის აგრონომმა სიკო მახათელაშვილმა „ტკაცუნასა“ და „ქართული კრუგის“ შეჯვარებით მრავალტაროიანი სიმინდი მიიღო.

მაგრამ უკანასკნელ ხანს ამ გარდაქმნებმა ისე გაგვიტაცა, ჩვენი სიამაყე, ათასეული წლების დიდი შერჩევითა და რუდუნებით, უზარმაზარი შრომისა და სისხლის ფასად დამჯდარი თუშური ცხვარი სულ გადავაჯიშეთ. ახლა ორივე ალვანში რამდენიმე ათასი სულიდა თუ დახანხალებს.

ჩვენი მიწების სავარგულთა სპეციფიკურმა განლაგებამ, ჩაისა და ვენახისათვის მათმა გამუდმებულმა ათვისებამ, მეცხოველეობას პრიორიტეტი წაართვა და უკანა პლანზე გადაიყვანა.

სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ვალიკო უტიაშვილის თქმისა არ იყოს, კატისა და სურის გარდა, ლიტრაც საჭიროა ოჯახში. ხოლო მეცხოველეობა, ვგონებ, ლიტრაზე მეტიც უნდა იყოს.

ადამიანის გემოვნების გაზრდამ, მისმა სასიცოცხლო მოთხოვნილებებმა, განუწყვეტელმა ლტოლვამ კომფორტისა და ესთეტური სიამოვნებისადმი, უზარმაზარი პრეტენზიები წაუყენა მეცხოველეობას.

მახსოვს: ჯერ კიდევ ჩვენი პლანეტის ფლორისა და ფაუნის დაცვის პრობლემა ასე გადამჭრელად და მკაცრად არ დასმულიყო კაცობრიობის წინაშე, როდესაც დასავლეთელი ჟურნალისტები ევედრებოდნენ იტალიელ პოპულარულ მსახიობს: „ჯინა, შეიბრალე ლეობარდები“ (მოდაში ლეოპარდის ტყავის ქურქის შემოტანის გამო). ახლა კი ამ „დუბლიონკებმა“ ცხვრის ფარებს არც თუ ხუმრობით დაუქნია თითი.

ძროხის ხორცისა, რძისა და რძის პროდუქტების უდიდესმა როლმა ადამიანის ორგანიზმის შენებასა და სიცოცხლისუნარიანობაში, მისმა თითქმის ყოველდღიურმა აუცილებლობამ, დღის წესრიგში მეძროხეობის შემდგომი განვითარება დააყენა. იქნებ დავაგვიანეთ კიდეც? რა თქმა უნდა, არც ერთი ქკუათმყოფელი ოჯახი ჯერ ავეჯს კი არ შოულობს, უპირველეს ყოვლისა, სახლს იშენებს და მხოლოდ ამის შემდეგ დარბის ავეჯისა და სხვა ნივთების საშოვნელად. აუცილებლობა ისეთი ვერაგი რამ არი, თვითონ არასოდეს შეგახსენებს თავს, უზრუნველ მონებივრეს და სილამაზის სიკეთით

ჩამტკბარს გიჟელებს და მწარედ განანებს იმ განვლილი „ქრიჰინის ზაფხულს“.

აი, სწორედ ამ აუცილებლობამ მოითხოვა, ჯეროვანი ყურადღება მიგვექცია მეძროხეობისათვის.

განვლილმა, წინ გაუხედავმა ორმა ათეულმა წელმა აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. დაუკვირვებელმა, გულგარეთა, აცაბაცა სიარულმა იმ ფრიად საჭირბოროტო საკითხში, რომელსაც მეცხოველეობა ჰქვია, ძლიერ შეამცირა ძროხის სულადობა საქართველოში. გასულ კვირას ერთმა კაცმა მითხრა: „მარტო თბილისის გარეუბნებიდან 25.000 სული ძროხა გადიოდა ყოველ დილით ნახირში არც თუ ძალიან დიდი ხნის წინათ, მერე, რაკი ქალაქში საქონლის ყოლა აიკრძალა, ის ძროხები ხალხის დანის ქვეშ დააწვინესო“. ასეთი „ურა“ კამპანიები სხვადასხვა რამეზე ბევრი გვახსოვს, რომელნიც მალე საზიანოდ ქცეულა, მკაცრად დაგვიგმია მათი წამომწყებნი და შემდგომ თაობას სანანებლად გამხდომია.

რომ უთქვამთ: მართალი ის კი არ არი, ვინც მართალს ამბობს, არამედ ის, ვისაც უჯერებენო, ვფიქრობ დროა, რომ დრომოჭმულად გამოცხადდეს. ასეთი იკლო-ბაკლო ნათქვამებით ფონს ვერ გავალთ. მართალი — მართალი უნდა იყოს, თავს მოხვეული შეცდომა — შეცდომა! ამას არც ნიღაბი უნდა და არც ურიდობა. თუ სიმართლეს პირდაპირ არ ჩავხედეთ თვალებში, სხვანაირად არაფერი გამოვა.

მარტო ის რად ღირს: ვეებერთელა გახალევარზე ალაზნის ჭალები რომ პირაღებით გაკაფეს კაუჩუკის ხის დარგვის საბაბით და უზარმაზარი ადგილები ადიდებული მდინარის სათარეშოდ აქციეს. აბა, ნახეთ რა ზარალი მიაყენეს ბუნებასა და თავად სოფლის მეურნეობას. ის ადგილები ახლა ჭყანტობებით, ლელით, მაყვლით, კვრინჩხით, ასკილით, ძეძვით, ძუძუმაყვალათი, გოჭშოთი და ლაქაშით არი დაფარული.

გურჯაანის რაიონი უმთავრესად მევენახეობის რაიონია. ეს ის რაიონია, რომელიც თითქმის მთელი საქართველოს ყურძნის მოსავლის ერთ მეოთხედს იძლევა. თანაც, კარდანახის ღვინის ქარხნის დირექტორის გრიგოლ მჭედლიშვილისა და მთავარი მეღვინის ვახტანგ ხიმშიაშვილის სიტყვას თუ დავუჯერებთ (მათი ნათქვამი კი საბუთებით არი განმტკიცებული), საუკეთესო ღვინოების დედაც არი. ძირისძირობამდე მოვიარე კარდანახის ბოლოები და გაოცებული დავრჩი: მევენახეებს აქ ისევ მამა-პაპურად მოეკიდნათ ზურგზე სასხურებელი აპარატები და ისე სწამლავდნენ ზვრებს. აქ ჭარბტენიანობა იმდენად საგრძნობია, რომ გზებიც კი მანქანების საბურავებისაგან არხებივით არი გათხრილი. ერთ ადგილას ამ „არხებში“ გამავალი „კოლხოზნიკი“ სულ ლაჯდა მიწაზე და კარდანახის მეურნეობის დირექტორი ნოდარ ღლიღვაშვილი იძულებული გახდა საჭისათვის თავი ენებებინა, სამი ოთხი კილომეტრის მოშორებით მომუშავე ტრაქტორთან ფეხით წასულიყო და მანქანა იმით ამოგვეთრივნა. ამან კარგა ორი-სამი საათი დაგვაკარგვინა. ზამთარში ეს ადგილები, რა თქმა უნდა, ხშირად მოიყინება ქვენიადაგის წყლების ახლოს ყოფნის გამო. ამიტომ სრულიად ვეთანხმები მეურნეობის დირექტორს, რომ ამ ადგილებს თანდათანობით ამოძირკვა, სადრენაჟო-სამელიორაციო სამუშაოების ჩატარება და ხელახლა გაშენება უნდა. ამის გარდა, ეს ადგილები მლაშობებია, „შოროქნები“ და აქ მარტო უბრალო დაშრობითი სამუშაოები საკმარისი არ იქნება. აქ საჭიროა ეგრეთ წოდებული — მოთაბაშირება, ანუ განკირიანება, — კირისაგან გაწმენდა-ჩარეცხვა, რათა მერე ნამდვილ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად იქცეს. და ამგვარი „შოროქნები“ და ჭარბტენიანი მიწები მარტო კარდანახის ბოლო კი არ არი, არამედ აგრეთვე ბაკურციხის, კოლაგის, ვეჯინის, ჭანდრის, გურჯაანისა და ჩუმლაყის ბოლოებიც.

კარდანახის მეურნეობის ზვრების დათვალიერებისას თვალში მეცა ერთი მეტად დამახასიათებელი რამ: ვენახებში მწკრივებშორის მრავალი რკინა-ბეტონის სარი ბეტონშემოფცქვნილი იდგა და მხოლოდ მსხვილი მავთულების ჩონჩხილა მოჩანდა. ზოგან კეთროვანივით აქაიქ შემორჩენოდა ბეტონის „ხორცის“ ნაფლეთები და მათი სიმძიმით წელში გალეულნი მიწაში ცხვირით წარჭობილიყვნენ. ასეთივე დღეში იყო ზვრების გარშემო შემოვლებული მავთულის სარებიც. და უფრო უარესი: მთლად ახალი, ჯერაც უხმარი სარები ვენახების თავში ვეება გროვებად ეყარა და მზესა და წვიმაში „ლპებოდა“. იმდენად უხარისხო ნამუშევარი იყო, რომ შედგმამდე გახცვივნოდა ბეტონი. დაშლილიყო ქვიშად და ცემენტად და ახლა ერთმანეთზე უპატრონო ჯარისკაცთა გვამებივით ეყარა განუკითხავად. თითქმის ყველა სოფლის ვენახების თავებში ნახავთ ასეთ გორებს და გული სინანულითა და ბოღმით აევსებათ: განა ამაზე არ დაიხარჯა რკინა, ცემენტი, ქვიშა და ადამიანის შრომა? ქარხნიდან რატომ გამოუშვეს სარეალიზაციოდ ასეთი საქონელი? ან ნუთუ პატრონი არა ჰყავთ ასეთ ქარხნებს. ასე თვალდათვალ და ასე აშკარად როგორ უშვებენ დღისით-მზისით ძარცვა-გლეჯას? ამაში ხომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ფული გაიღეს? და, როგორ ფიქრობთ, განა მარტო გურჯაანის რაიონია ასეთ სარებშეჩერებული? ზარალის ანგარიში ეკონომისტების საქმეა, მაგრამ ვფიქრობ, ამითი მიყენებუ-

ლი ზარალი ჩვენი მევენახეობისათვის, მცირე არ უნდა იყოს.

მეცხოველეობა გურჯაანში დღემდე ჩამორჩენილი დარგი იყო. ძველი, მამა-პაპური გზით სიარული რაკი აღარ შეიძლებოდა, სიახლეები გახდა საჭირო. და, მართლაც მშრალი პირუტყვისაგან მეწველის გამოცალკევება და მისი კონცენტრაცია ფრიად სასარგებლო გამოდგა. მანამდე მწყემსი კაცი ხანთლით საძებარი იყო მთელ რაიონში, ახლა კი მათი შოვნის პრობლემა მოიხსნა და უფრო მეტიც: ბევრი მესაქონლე გათავისუფლდა და ვენახს მუშახელი შეემატა. მექანიზმებმა შეცვალა ხალხი: საკვების მიცემა, ნაკელის გატანა, დარწყულება და წველაც მექანიზებულია. მაგრამ მთავარი მაინც საკვები ბაზის სიმტკიცეა. აქ აღებულ იქნა კურსი ვაზისათვის გამოუსადეგარ, მიგდებულ, დაყამირებულ და დაჭაობებულ ტყე-ბუჩქნარიანი მიწების ათვისებაზე. ამ მიწებიდან ბევრს ადრე ხალხი ხმარობდა, მერე დაუდევრობისა და განურჩევლობის გამო უყურადღებოდ მიგდებული აღმოჩნდა და გაიბარდა. განსაკუთრებით ის ადგილებია აღსანიშნავი, რომელიც „ლელის ტერიტორიად“ არი ცნობილი. იგი კარგა ხანს იყო გადაქცეული იოლი გზით გამდიდრების მოყვარულ. მოსურნეთა ასპარეზად. ახლა ყველა ეს მიწა მეცხოველეობის განვითარებს სამსახურშია და გურჯაანელები უკვე წელიწადში ორი და მეტი მოსავლის მოყვანისათვის იბრძვიან.

დავათვალიერე ალაზნის პირები, სადაც სასენაჟე, ერთმანეთში არეული რამდენიმე ჯიშის მარცვლეულია დათესილი (ქერი, ხვილა, ხორბალი, შვრია) და მიუხედავად მათი შოროქნიანობისა, ამ მიწებზე ისეთი მოსავალი ღაღანებდა, ავ თვალს არ ენახვებოდა; ხოლო, თუ აქაც სადრენაჟო-საშრობი სამუშაოები ჩატარდება, მოსცილდება ზედმეტი მარილები და განკირიანდება, ამ ფართობებზე ორი და სამი მოსავლის მიღება შეიძლება. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ამ თვალიერების დროს მინდვრებში ხშირად მხვდებოდა შარშანდელი უხეში საკვების ხელუხლებელი ზვინები და მათი რიცხვი იმდენად დიდი იყო, ამ ახალი მოსავლის გარეშეც შეეძლო რაიონს თავისი პირუტყვის გამოკვება.

ამას გარდა, რეზერვების თვალსაზრისით, თივის დასამზადებლად შეიძლება ბალახის გათიბვა: ზვრებში საურმე გზებზე, სარწყავი არხის პირებზე, ქარსაფარ ზოლში, რკინიგზის პირებზე (განსხვისების ზოლში), სოფლის თავში, ეგრეთწოდებულ „მიგდებულ მიწებზე“, შინ მოუსვლელთა ტყეპარკებში, ხეხილის ბაღებში და ტყის პირებში.

შარშან თურმე რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ვენახებში მწვანე ოპერაციების დროს ნარჩენი საფურჩნი დაასილოსეს, აკაციის მწვანე ფოთლებისაგან ფქვილიც (ბრიკეტები) კი დაამზადეს. ყურძნის დაწურვის შემდეგ დარჩენილი ჩენჩო საკვებად გამოიყენეს მეღორეობაში. ესეც, რა თქმა უნდა, რეზერვია, მაგრამ ვაზის ნაფურჩნის დასილოსება კი არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, რადგან ახლა ვენახებს ისეთი ძლიერი შხამ-ქიმიკატებით წამლავენ, როგორიც ციანია. ხოლო, თუ მაინცა და მაინც არ დავიშლით და დავასილოსებთ, მაშინ საგულდაგულოდ უნდა შეირჩეს, რათა შხამნაპკური ფოთოლი ან ყლორტი არ შეჰყვეს შიგ.

სასუქი პუნქტების დათვალიერებისას თვალში მეცა იდეალური სისუფთავე. თეთრხალათიანი მომვლელები ისე დადიოდნენ განყოფილებიდან განყოფილებაში, უფრო ანგელოზები გეგონებოდათ. შევხედე მათ და ვინატრე: ნეტავ ჩვენი რესტორნებისა და სასადილო-სახინკლეების მზარეულებსა და მიმტანებს ამათ ნახევარი სისუფთავისაკენ მქონდეთ მიდრეკილება-მეთქი. აქ, რეგულარულ მომვლელთა გარდა, ზაფხულობით კომკავშირელი ბიჭები და გოგონებიც მუშაობენ. და, რამდენადაც მე მომეჩვენა, ფრიად დიდი ხალისითაც. ბევრმა მათგანმა, რომელთაც უკვე დაამთავრეს საშუალო სკოლა, მთელი წლით აქ დაიდო ბინა. და, სანამ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარებდეს მისაღებ გამოცდებს, სიამოვნებით ემსახურება ამ წუთისოფლის ოთხფეხა სტუმრებს. ხოლო ზოგიერთიც სამუდამოდ დარჩა აქა და ამ ახალი წამოწყების წარმატებაში დაიდო წილი.

ზიარის კომპლექსმა ხომ მართლაც განცვიფრებაში მომიყვანა!

იქ შემსვლელი ვინც უნდა იყოს — მომვლელი თუ უცხო სტუმარი, უეჭველად სანიტარული გამტარი უნდა გაიაროს. იქ საგანგებო დეზოსალიჩაზე (სადეზინფექციოდ) იწმენდენ ფეხებს, მერე იხდიან ტანსაცმელს, იცვამენ სპეცტანსაცმელს და მხოლოდ ამის შემდეგ შედიან პირუტყვთან.

აქ მრავალი განყოფილებებია: საკვების შესამზადებელი საამქრო, ხბორების გამოსაზრდელი, ვეტ-ბლოკი-იზოლატორი, სადაც ავადმყოფი პირუტყვის მკურნალობა ხდება, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მაკე პირუტყვისა და სამშობიარო განყოფილებებია თვალში საცემი.

მაკე პირუტყვის განყოფილებაში ძროხებისათვის სრულიად განსხვავებული კვებაა. იგი ორ პერიოდად არის გაყოფილი. პირველი პერიოდის ხანგრძლივობა ხუთი თვეა. ამ დროს ძროხას ყოველთვის მეტი ულუფა ეძლევა. განსაკუთრებით წვნიანი საკვებია საჭირო, სილოსი, ჭარხალი და სხვადასხვა ძირხვენები — კომბოსტოსა და სტაფილოს ნარჩენები. მეორე პერიოდში საჭმლიდან თანდათან გამოდის

წვნიანი საკვები და ულუფაში პროპორციულად დიდდება უხეში საკვები, როგორიც გახლავთ, სენაჟი, კარგი ხარისხის თივა, სიმინდის ჩალა და საგაზაფხულო ხორბლის ნამჯა. იგი ეძლევათ შემზადებული სახით და მასში ერევა კომბინირებული საკვები (უხეში საკვები დიდი რაოდენობით შეიცავს უჯრედანას და ამიტომ წინასწარ ხდება მისი ცხელ ორთქლში გატარება).

ამ განყოფილებიდან მშობიარობამდე ორი თვით ადრე გადაჰყავთ სამშობიარო განყოფილებაში. აქაც კვებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ყურადღება ექცევა აგრეთვე ცურის მასაჟსა და მოციონს — ჰაერზე გასეირნებას, ხოლო, როგორც კი მშობიარობის დრო მოუწევს, რათა წესიერად იმშობიაროს და ყოველგვარი გართულება აცილებულ იქნეს თავიდან, ძროხას უკვე აღარ სცილდებიან ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი და მომვლელები. სამშობიაროში ახლადმოგებული ხბოები ერთ კვირას რჩებიან, შემდეგ კი ხახბორე განყოფილებაში გადაჰყავთ, ხოლო დედა პირუტყვი საწველ განყოფილებაში გადადის.

წველასაც თავისი განსაზღვრული საათები აქვს. განსაზღვრული საათები აქვს მათ დასუფთავებასაც, მათ დასვენებასა და ჰაერზე სეირნობას.

ზიარის კომპლექსის ხსენებამ თავად სოფელი ზიარი გამახსენა. ეს სოფელი, უფრო უკეთ, ნასოფლარი, არც თუ ისე დიდი ხნის წინ დიდებულ და ხალხმრავალ სოფელს წარმოადგენდა. ჰქონდათ მშვენიერი სახლ-კარი, ეზო-ყური და ბაღჩა-ბაღები, ჰყავდათ ბლომად საქონელი და ფრინველი. ესევე იყო იქვე ახლო მდებარე სოფელი ფხოველი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სოფელი ჭერემი, რომელიც რესპუბლიკური გზიდან თვრამეტი კილომეტრით დაშორებულ მთებში—ჭერემის ხევზე მდებარეობდა. იქაური ტყეები ოდითგანვე სავსე იყო მუხის, წაბლის, პანტისა და მაჟალოს ხეებით. სოფელში თითო მეკომურს ორი-სამი ძროხა ჰყავდა, ღორი რამდენიც უნდოდა, ფრინველი აუარებელი,—ეს როგორც მთიანი სოფლებისთვის არის გათვალისწინებული. მშვენივრად ცხოვრობდნენ ჭერემელები. მათი დოვლათით სავსე იყო ველისციხისა და გურჯაანის ბაზრები. იქაურ სიმინდს გემოთი და სუნით ტოლი არ ჰყავდა მთელ კახეთში. სოფელი მთებში იყო, აქ ხვნა-თესვა და მოსავლის აღება გვიან ხდებოდა გრილი ჰავის გამო და ამან დაღუპა კიდეც იგი. რაიონის ადრინდელ თავკაცებს მაინცა და მაინც ჭკუაში არ მოსდიოდათ, რომ სარაიონო გეგმის შესრულებას ჭერემელთა ციფრები აკლდა ხოლმე. ჭერემი შედარებით გვიან აღგენდა თავისი წილი გეგმის შესრულების „ტაბულას". და, აი, რათა ზემდგომი ორგანოებისათვის სარაიონო გეგმის ერთდროული შესრულება რაც შეიძლება ადრე ეცნობებინათ, რაიონის იმ დროინდელ თავკაცებს აზრად მოუვიდათ მთელი სოფლის აყრა და გურჯაანსა და სხვა სოფლებში ჩამოსახლება.

ასე დაღუპა მშვენიერი სოფლები უგუნურთა სიბეცემ და პატივმოყვარეობამ!

აი, ესეც ხევსურეთის მაგალითი შუაგულ კახეთში!

ფეხით დავიარე მთელი გურჯაანი და მისი გარშემონი, ასფალტოვან შარაზე მძივად ასხმული, ერთურთზე მიჯრილი სოფლები. სასიამოდ გამაოცა მათმა ნაუცბადევმა ცვლილებამ. მთელი რაიონის გადამკვეთი გზის პირები ბაკურციხიდან აკურამდე გაგანიერებული, გაწმენდილ-გასუფთავებულია და ახლა თითქმის ყველგან ასფალტის დაგება მიმდინარეობს. ეზოს პირი ღობეები და გალავნები ბრტყელი, თანატოლი ქვებით ისეა მოპირკეთებული, თვალი ზედ დაგრჩება. ასეთი „ძველი, კახური სტილი ბატონობს ახლა მთელი გურჯაანის ღობეების „არქიტექტურაში". ვეება ქვებითა და თითქმის ლოდებით მოკირწყვლა მიდის სასოფლო გზებისა. მთავარი შარიდან სკოლამდე ამავალი გზა ვნახე ჩუმლაყში. ისე ოსტატურად და გულმოდგინედ კირწყლავენ, რომ ალბათ, რამდენიმე ათეულ საუკუნესაც გაუძლებს და აპოესის გზასაც კი დაჩრდილავს თავისი მდგრადობით.

გაგაოცებენ თავიანთი გიგანტურობით გურჯაანის თავში სასმელი წყლისთვის აშენებული აუზები. შიგ შუა ქალაქში უზარმაზარი კომპლექსი შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად. გურჯაანის თითქმის ყველა სოფლებს აქვთ საკუთარი ხელითა და სახსრებით გაშენებული შინმოუსვლელთა ტყე-პარკები, სადაც ყოველ დაღუპული ვაჟკაცისა თუ ქალის სახელზე თითო ხე არის დარგული. ამ ხეებს ლითონის ფირფიტები ჰკიდია ზედ იმათი გვარ-სახელითა და დაბადებისა და დაღუპვის წლებით, ვის უსაფლაო ობელისკადაც ქცეულა იგი. ყოველმა დედამ, დამ, ცოლმა და შვილმა იცის თავიანთი ღვიძლისა და ახლობელის ხე და დრო-დადრო მათ ისე მიაკითხავენ, როგორც დაღუპულთა სხეულიდან გაფრენილსა და ამ ხეში ხელახლა აღორძინებულ მათ უკვდავ სულს.

გურჯაანის რაიონის სოფელთა თავკაცებს: მიხეილ იაშვილს, ვალერიან უტიაშვილს, ნოდარ ღლიღვაშვილს, ოთარ ჯოხაძეს, რობიზონ მღებრიშვილს, მურთაზ დათუნაშვილს, თამაზ აბრამიშვილს, შალვა გულაშვილსა და სხვებს ამათდ არ დაუხარჯავთ ათეული წლობით თავიანთი ნიჭი და მონდომება. მათი შრომის ნაყოფი ისე ახატია სოფლებსა და გზაშარებს, როგორც ხანჯლის ქარქაშს ვერცხლის ზარნაში.

დავათვალიერე გურჯაანელთა ისტორიული ძეგლები, ეს უძველესი ძეგლები საქართველოსი. მზრუნველი პატრონის ხელი დასტყობია არა მარტო თავად ძეგლებს, არამედ მათ გარშემო ეზო-ყურესა და. ასე გასინჯეთ, მათ მიმდებარე ტყეებსაც კი. მისასვლელი გზები გაფართოებულია და ერთ დროს მაყვალ-ბარდით გაბუწკნარებულ ნაბილიკარებზე ახლა მანქანები დადიან.

ზაფხულის განმავლობაში რამდენჯერმე ჩაველი გურჯაანში. ფეხითა და მანქანით მოვიარე მთელი რაიონი. ათასნაირ ხალხს შევხვდი და ველაპარაკე, მაგრამ მათი პირველი მდივანი კი ვერა და ვერ ვნახე. ყოველთვის ერთი ფეხით ხან მინდორში მასწრებდა გასვლას, ხან ვენახებში, ხან მშენებლობებზე, ხან გზების მოპირკეთებაზე, ხან რომელიმე ისტორიული ძეგლის შესაკეთებელ სამუშაოებს მიაშურებდა, ხან დედამიწის სიღრმული სითბოს გამოყენების სამმართველოს უფროსს — გიორგი ნანიტაშვილს — მიჰყვებოდა სხვადასხვა ობიექტებზე და კიდევ რა ჩამოსთვლის ეგრე მოუხელთებელი კაცის საქმიანობის ნუსხას. ისევ რაიკომის მესამე მდივანს მოსე სამადაშვილს ჩავავლებდი ხოლმე ხელს და ხან ალმა დამყავდა, ხან დალმა.

თხემის ძვლის დაზიანების გამო ახლო ხანებში მოსეს რაღაც მძიმე ოპერაცია გადაუტანია. ექიმებისაგან აკრძალული აქვს მზეზე გასვლაც კი, მაგრამ იგი თავზე ცხვირსახოცს იფარებს და ისე დამიძღვება ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, ერთი სოფლის ზვრებიდან მეორე სოფლის ზვრებამდე გაგანია სიცხეში. რა დროსაც არ უნდა მიხვიდეთ რაიკომში, უთენია თუ გვიან ღამემდე, თუნდაც შაბათი და კვირა იყოს, მოსე იქ დაგხვდებათ. იგი საკმაოდ კარგი განათლების მქონე და ნაკითხი კაცია, მაგრამ ხელში მაინც ან წიგნი უჭირავს, ან კალამი, ან მთხოვნელებს იღებს, ანდა მზად არი რაიონის საწარმოებსა თუ ზვარ-მინდვრებში გასასვლელად.

ბოლოს ორშაბათი დღე შევარჩიე და, როგორც იყო, პირველი მდივანი თავის კაბინეტში შევისწარი. მაგრამ, ჰოი, ღმერთო, ნეტავ გენახათ მისი კაბინეტის წინ — მოსაცდელ ოთახში და გარეთ დერეფნებში რა ზღვა ხალხი დამხვდა. ამდენი ხალხის განმკითხველს ან რა დრო უნდა შერჩენოდა ჩემისთანა კაცისთვის, ან რა ენერგია უნდა ჰყოფნოდა ყველა მათ მიღება-გასტუმრებაში. შევხედე მათს ლოდინითა და მოლოდინით დაძაბულ თუ დაქანცულ სახეებს და უმალვე მივხვდი, ჩემი გამოჩენით რა დისონანსს შევიტანდი დღევანდელ დღეს მათს ცხოვრებაში. მეც ხომ საკმაო დრო უნდა წამერთვა არა მარტო კაბინეტში მყოფისათვის, არამედ ამ მუშა ხალხისათვისაც, რომლებსაც თუ არა აუცილებლობა და საჭიროება, თავიანთი ვენახებიდანა და მინდვრებიდან, ბაღჩა-ბაღებიდან და ბოსტნებიდან კეტით ვერ გამორეკავ.

კვლავ სხვა დროისათვის გადავდე ამ მოუხელთებელი კაცის ნახვა და უკან გამოვბრუნდი. ნელ-ნელა ვიკვლევდი გზას მომლოდინეთა შუა და ჩემამდე მოდიოდა ერთურთისათვის გაზიარებული მათი ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრები თუ ფრაზები. ვიღაცას ვიღაცისთვის ვენახი გაეკაფნა და დამნაშავის საპოვნელად აქ მოსულიყო, ვიღაცას ვიღაცის ხარჯზე ბინა გაეფართოებინა და ისიც აქ იყო, ვიღაც დედაბერი ავყია რძალს დაეჩაგრა, ისიც აქ ელოდა სამართალს...

მეტი აღარც გავჩერებულვარ, გამოვბრუნდი იქიდან და ისევ ჩემს დაუზარელ მოსეს მივაკითხე...

— არ შეგიშვეს, თუ არ შეხვედი? — გამჭრიახი თვალი შემავლო მოსემ და გაიღიმა.

მისმა ერთი შეხედვით მკაცრმა სახემ გულღია კაცის იერი მიიღო და მეც მეგობრული საუბრისათვის განვეწყე.

— ამ კაცს გავუშვებ და მერე საითაც გინდა იქით გავუტიოთ.

ვიღაც ახალგაზრდას ჯარში წასვლამდე ვაჭრობაში ემუშავნა, ჯარიდან დაბრუნებულიყო და ახლა თავის ადგილს ითხოვდა.

მოსე დახმარებას შეჰპირდა, გაისტუმრა და მერე მე მომიბრუნდა:

— შენ არ გეწყინოს, რომ დღემდე ვერ მოახერხე ჩვენი მდივნის ნახვა. იმას რა უნდა ჰკითხო ისეთი, რომ მეც არ შემეძლოს იმაზე პასუხის გაცემა. ის ისეთ არაფერს გადასწყვეტს ხოლმე გასაკეთებლად, თუ მე, რაიკომის მეორე მდივანს — თენგიზ გილიგაშვილსა და რაიაღმასკომის თავმჯდომარე — როსტომ ნასარიძეს არ გვკითხა რჩევა. ეხლა რაღა გინდა, ზვრებში საბრიგადო სახლები ხომ დაათვალიერეთ, სადაც მშრომელებს ყოველგვარ ამინდში შეუძლიათ პურის ჭამა და დასვენება. მელაანში, მინდორში, კალოზე მოწყობილი მზის აბანოც ხომ ნახე. ახლა გადაწყვეტილია ყველგან დაინერგოს იგი. ვფიქრობთ მშრომელთა ანაზღაურების გადიდებაზე. ძლიერ გაიზარდა კაცდღის ღირებულების ანაზღაურება, მაგრამ გვინდა უფრო მეტად გავზარდოთ. ამას ემატება მორალურ-მატერიალური წახალისება ყოველგვარი ფორმებითა და მეთოდების გამოყენებით. ამ განუწყვეტელმა მზრუნველობამ, მათი შრომის დაფასებამ, შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ თავისი კვალი დააჩნია ჩვენს რაიონს ყველა სფეროში. ახლა გადაწყვეტილი გვაქვს საკარმიდამო ვენახებისათვის უფასოდ გავცეთ შაბიამანი. მევენახეებს უფასოდ მივცეთ სპეცტანსაცმელი. ამის მიზა-

ნი კი ის არი, რომ შინიდან გახამებული პერანგით გამოსულ ყოველ მშრომელს თავისუფლად შეეძლოს სამუშაოზე ტანსაცმლის გამოცვლა. მუშაობის შემდეგ იბანოს იქვე, მინდვრად თუ ვენახად აბანოში, კვლავ ჩაიცვას თავისი სუფთა, გახამებული პერანგი და ისე დაბრუნდეს შინ მანქანით. ახლა თუ გინდა წავიდეთ და გურჯაანის ბოლოზე აშენებულ კვების ბლოკს დაგათვალიერებინებ. იქ საკმაოდ მაღალკვალიფიციური მზარეულები გემრიელ კერძებს ამზადებენ, რომლებიც მოძალებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს ეძლევათ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს. ხომ იცი ამ დროს როგორია მუშა კაცისთვის ცხელი საჭმელი... საღამოთი კი, ანდა ამაღამ, მგონი, ჩავიგდებთ ჩვენს მდივანს ხელში.

და ჩვენ წავედით კვების ბლოკის დასათვალიერებლად...

## ბოლოთქმა

გრიგოლ აბაშიძეს აქვს ერთი ასეთი ლექსი, — „ჯაჭვგაუხდელი“. შემდეგ ეს სახელი მან მთელ ლექსთა კრებულსაც კი შეარქვა. ალბათ ბევრს ახსოვს ეს სტრიქონები: „ქართველს ჯაჭვმანი აკვანში ეცვა, ძილშიაც იყო ჯაჭვგაუხდელი“. სწორედ ამ ჯაჭვგაუხდელობამ შემოგვინარჩუნა ის მიწა-წყალი, ის ბუნება, ყელყარყარა მთათა ხიქათქათე და ნებივრად გაწოლილ ველთა სიმწვანე, იმ უძილოდ გატეხილმა ღამეებმა და ხმლის ჩახუნში ჩავლილმა დაუღამებელმა, დაუსრულებელმა დღეებმა. ქართველი კაცი მიწყივ დარაჯად ედგა თავის წარმომშობ და მარჩენალ მიწას. თუ სადმე ტყეში ახოს გასტეხდა, მის ნაცვლად მეორე ადგილს ხატის ტყედ გამოაცხადებდა და იქიდან წოწკის გატანას ვინ ჩივის, ფეხის დადგმაზედაც კი ტაბუს დაადებდა. ასე მოვიდა დღემდე იგი და ჩვენამდე მოიტანა არც თუ ისე ძალიან ნირშეცვლილი.

ახლა კი ისე შევუტიეთ ჩვენი უახლესი ტექნიკით ჩვენს ტყეებს, რომ, სულ რამდენიმე თვის წინ მთელი კახეთის მშვენება, და არა მარტო კახეთისა, — ქალაქი თელავი და მისი ახლო-მახლო სოფლები კინაღამ ღვარცოფს წავალებინეთ.

„დრუჟბა“ ხერხის კერძო პირებისთვის მიყიდვამ ხომ სულ მოუთავა ხელი ჩვენს ტყეებს. ბევრი კი არ უნდა: მისცემ ორ-სამ თუმანს მეტყევეს (ან შეიძლება მეტიც მისცე), მერე შეხვალ ტყეში და ჩეხე, როგორც მოგეგუნებება. ჯერ, რა თქმა უნდა, საჭიროა ტრაქტორისთვის გზის გაყვანა, რათა იგი ამორჩეულ ხემდე მიიყვანო, მერე საჭიროა ხის ირგვლივ მიაწვინო დიდი და პატარა ხე თუ ამონაყარი, რათა მის წაქცევას არ შეუშალოს ხელი, მერე კი მიადექი და თვალის დახამხამებაში დასცი ძირს, რამდენიც მოგეხასიათება, ტყის გოლიათები, მერე ჩამოიტანე და საშენ მასალად მიყიდ-მოყიდე!

ვფიქრობ, არა მარტო ჩვენმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, არამედ პირველ რიგში, იმ სავაჭრო ორგანოებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ „დრუჟბა“ ხერხი არ ჩაუვარდეთ ხელში კერძო პირებს, უნდა აიკრძალოს მისი მიყიდვა კერძო პირებისათვის და ვისაც აქვს იგი, მათაც ჩამოერთვათ. თორემ მე ადრე ერთ ნარკვევში უკვე ვთქვი სულხან-საბას ერთი არაკი ქვევრის პირზე ორი ჯამის დადგმის შესახებ და ახლა აღარ გავიმეორებ. მეტყევისათვის თვალყურის სადევნებლად სხვა მეტყევის დანიშვნა არაფერს მოგვცემს, რადგან ერთი თუმნის ნაცვლად ახლა უკვე ორი თუმანი შეიყვანს იმ „დრუჟბას“ ტყეში (დაე, ეს თქმა შემინდონ იმ მეტყევეებმა, რომელთაც პატიოსნად და უმწიკვლოდ უმსახურიათ მეტყევეებად, ან ახლა მსახურობენ).

მხოლოდ არმით ნაშოვნი ფულის პატრონნი არიან განურჩეველნი იმისადმი, რაც ახლა ხდება ჩვენს ირგვლივ და ჩვენს მიწაზე. მათთვის მხოლოდ დღევანდელი დღე არსებობს და მომავალი არცთუ მირაჟად განუჭვრეტიათ.

ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობისას ვაკის ახლანდელ პარკში — გამარჯვების პარკში, სადაც მაშინ ორიოდე აკაკი და მყრალა ხე იდგა, ფეხბურთს ვთამაშობდით. ივლისში უკვე ბალახი იყო მოშუშული და ხრიოკს მტვერი ასდიოდა. უნივერსიტეტის ეზოც ნიკო კეცხოველის დაუღალავმა შრომამ და მისმა მცდელობამ აქცია იმად, რაც ახლა არი. თელავის ინსტიტუტი ხომ თითქმის რიყეში იქნა აშენებული, მისი რექტორის — ნიკო ქორთუას მცდელობამ, მუდმივმა ფუსფუსმა და თავისი მშობელი ბუნების სიყვარულმა ვეება შენობის ირგვლივ შვიდ ჰექტარამდე პარკი გააშენებინა. სადაც ახლა დაუთვლელი ცაცხვი, ფიჭვი, კედარი, წაბლი, ნაძვი და კანადური ვერხვი აშოლტილა. ამას წინათ ვიყავი მასთან და თითქმის სულ სათითაოდ დამატარა ყოველი ხე თუ ბუჩქი. თელავის გამანადგურებელ წლევანდელ ღვარცოფს დასავლეთის მხრიდან დაერტყა მისი პარკისათვის და ქვა-ღორღში მიენაშა. იდგა, სინანულით დასჩერებოდა გამწყრალი ბუნების ამ ნაავკაცარს და თითქოს მხოლოდ თავის გასაგონად ამბობდა: „როგორც კი გამოცდები ჩათავდება, ერთი ახოცი-ახორმოცდაათი მანქანა მიწა უნდა მოვატანინო, აქ უნდა დავაყრევინო და ბაღის ეს მხარე ისევ უნდა აღვადგინო“.

და ბოლოს, ვისთვისაც ჯერ არს, მათი

ყურადღების მისაქცევად მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო ის ნათქვამი, რაც უკვე ვთქვი ადრინდელ ნარკვევ „სოფლის სატკივარში“.

თუ ჩვენ არ გავადიდებთ ყურძნის შესასყიდ ფასებს, შეიძლება კახეთის გულში, კერძოდ კი გურჯაანში ხელიდან გამოგვეცალოს ვენახები საკარმიდამო ნაკვეთებზე. ისეთ უძვირფასეს კულტურას, როგორიც ქართველი კაცისთვის არის ვაზი, მოსახლეობის ნაწილმა ზურგი აქცია, გაკაფა ისინი და ახლა მის ადგილას საზამთროს, ნესვს, კიტრსა და სხვა ბოსტნეულს თესავს, იმას რომელსაც ბაზარსა და დამზადების პუნქტებში ყურძენზე მეტი ფასი აქვს. თანაც ვაზზე შედარებით ადვილი მოსავლელია. წელს, მაგალითად, საზამთროს 45 კაპიკად იძენდნენ მოსახლეობისაგან დამზადების პუნქტები. ასეთსავე ფასს იძლევიან კილოგრამ რქაწითელში ყურძნის დამზადების პუნქტები. ჩვენ თუ ადრე ვენახების გაკაფვას მარტო შაჰ-აბასს ვუკიჟინებდით, ახლა მისი საკუთარი პატრონი გაგვხდომია საკიჟინოდ. ეს მოვლენა, ჩემი აზრით, ფრიად დამაფიქრებელი და საგანგაშოა. თუ დროით არ მივხედეთ და ძირშივე არ მოვსპეთ, გურჯაანელთ სხვა რაიონებიც მიჰბაძავენ და მაშინ არა თუ ვალდებულებების, არამედ გეგმის შესრულებისთვისაც მოგვიხდება ქუდის მოხდა. მოიყინა და იმიტომ გავკაფეო, — საბაბია; მერე რა არი თუ სავენახედ ხელახლა გადაბრუნებულ მიწაში დროებით საზამთრო დავთესეო — საბაბია; რა მოხდა თუ ვაზებში ნესვი და კიტრი შევთესეო, — ესეც საბაბია. ვაზის საუკეთესო მეწყვილედ ლობიო ითვლება, რომელიც აზოტს აგროვებს და, საერთოდ, პარკოსნები, რომელნიც რიგებს შორის გასდევენ ვაზებს. ასევეა ხახვი და ნიორი, ხოლო რაც შეეხება საზამთროსა და ნესვის ახლანდელ შეთესვას, იგი ვენახებს გაკაფვით ემუქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

# თეთრი ვერხვი

## ალიო მირცხულავას დაბადების 75 წლისთავის გამო

კლდეზე ვდგევარ თეთრი ვერხვი,
მხრები ამიტოტებია,
ვინმე ხრამში თუ გიდასცდა,
ხელი გამიწოდებია.

ალიო მირცხულავა

ქალაქი მარტო ერთი გრძელი ქუჩისაგან შედგებოდა, რომელსაც პატარა ღელის — ჩხოუშიას გასწვრივ უზარმაზარი ჭადრების ლამაზი ხეივანი გასდევდა, მეცხრამეტე საუკუნეში რომ გააშენა აქ პოეტმა რაფიელ ერისთავმა. ამ ხეივანს გარდა სხვაც ბევრი რამ სანახავი იყო ზუგდიდში, მარტო მიურატის სასახლე რად ღირდა! იქ ხომ იშვიათი სურათები ინახებოდა, უცხო ქვეყნებიდან ჩამოტანილი, თვით ნაპოლეონის დროინდელი; ვინ უნდა ჩამოსულიყო ზუგდიდში, რომ ეს სასახლე არ მოეკითხა და შორიდან დიდხანს არ ეთვალიერებინა.

მაგრამ თხუთმეტი წლის ბიჭს, ზუგდიდის გიმნაზიის მოსწავლეს გული მიურატის ამ სასახლისაკენ კი არა, მისა საჯაიას წაფერდებული ოდისაკენ მიუწევდა. იქ ეგულებოდა ყველაზე უფრო სანუკვარი რამ და მთელ თავისუფალ დროს მისას ოდაში ატარებდა. მასპინძელიც მიჩვეული იყო მის ხშირ მოსვლას და როცა ბიჭი დაიგვიანებდა, მალიმალ გზისაკენ ცქერას დაიწყებდა ხოლმე; როცა ის ჭიშკარს შემოაღებდა, მისა მხიარულად გადასძახებდა:

— მოხვედი დურჩე? * სად იყავი აქამდე?

დურჩე ოდაში შევარდებოდა და როგორც დამშეული კაცი საჭმელს, ისე დააცხრებოდა მისას ბიბლიოთეკას. ვექილს კი მართლაც მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონდა — მიჯრით მიწყობილი იყო ერთმანეთზე პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ტურგენევის, ნეკრასოვის, შექსპირის, შილერის, შელის, ჰაინეს, და კიდევ ვინ მოსთვლის, რომელ მწერალთა მდიდრულად გამოცემული ტომები, ოქროთი ამოტვიფრული ყდებით. იქვე ეწყო ლარიბულად გამოცემული წიგნები ქართველი მწერლებისა. ხარბად დააცხრებოდა ხოლმე ბიჭი ამ წიგნებს, ვიდრე ვექილი თავზე არ წამოადგებოდა და თავის ბატიფეხურით ნაჯღაბნ არზას არ შეაჩეჩებდა — გადამიწერე, შენ კარგი ხელი გაქვსო; ბიჭიც გადაუწერდა და იმ დღის ბეგარა მოხდილი იყო, ვექილი სასამართლოში გასწევდა თავის წუთისოფელივით არეულ-დარეული და გაუთავებელი საქმეების მოსაჭახრაკებლად, ბიჭი კი ახლა სულ მარტო რჩებოდა იმ წიგნებთან, ჩაიკეტებოდა და ვეღარ ახსოვდა მაშინ ზუგდიდი, ვეღარ ახსოვდა, რომ გარეთ 1919 წელი იყო, რომ ქალაქში არ იყო სურსათი და ერთადერთ თორნესთან გრძელი რიგები იდგა; აღარაფერი აღარ ახსოვდა გიმნაზიის მოწაფეს — ის ხან პუშკინის ლექსების ჯადოსნურ სამყაროში იყო, ხან ჩუმად ყურს უგდებდა შელის „ოზიმანდიას" მომხიბვლელ მელოდიას, ხანაც მოლიერს ჩაუჯდებოდა და თავბრუს დახვევამდე კითხულობდა.

* დურჩე-თავთეთრა (მეგრ.).

ერთხელ ის ჰაინრიჰ ჰაინეს ლექსს „სიზმარს“ წააწყდა, წაიკითხა და თითქოს რაღაც ნაცნობად მოეჩვენა; არა, აქამდე ეს ლექსი არ წაუკითხავს, მაშ რატომ ეჩვენება ნაცნობად? და ბიჭს უცებ ახსენდება ქართული ხალხური „წუხელი სიზმარი ვნახე, ნეტავ დედა რაო?“ ამ სიზმარში ჭაბუკს ეჩვენება, რომ ალვის ხე წაქცეულა; დედას ეკითხება, ეს რას ნიშნავსო და დედა ტირის — ეს შვილო შენი ტანიაო; წყალს რაღაც კიდობანი მოაქვს და შვილის კითხვაზე „ნეტავ დედა რაო“, დედა უპასუხებს — „შვილო, შენი კუბო არის, ვაჰ, შენს დედასაო“; მერე რაღაც მორღვეულ მიწას დაინახავენ და შვილის კითხვაზე დედა უპასუხებს, — „შვილო, შენი სამარეაო“. სულ ასე იყო ჰაინეს ამ ლექსშიც: იქაც სიზმარი იყო და სიზმარში ჭაბუკი ლამაზ ბაღში იმყოფებოდა. იმ ბაღში უცნობი ქალწული თეთრ ტილოსა რეცხავს; როცა ჭაბუკი ეკითხება — რად გინდა, რომ რეცხავო, ის უპასუხებს — ეს შენი კუბოს სუდარააო; მერე ნაჯახის ცემის ხმა ესმის ჭაბუკს და როცა კითხულობს, — რათა სჭირთ ხესო — უპასუხებენ — ფიცრები გვინდა შენი კუბოსათვისო; ბოლოს ბაღში წააწყდება ადამიანებს, რომლებიც მაღალ ორმოსა სთხრიან და აქაც კვლავ ეტყვიან, — ეს შენი სამარეაო.

ჰაინეს „სიზმრის“ ამ საკვირველმა მსგავსებამ ქართულ ხალხურ ლექსთან ჭაბუკი გააოცა. მან გადაწყვიტა ეთარგმნა ეს ლექსი.

ერთხელ, მიხა სასამართლოდან რომ დაბრუნდა, ბიჭმა ქაღალდი გაუწოდა და ვედრებით უთხრა — წაიკითხეო. ვექილმა დახედა, ლექსი იყო, სათაურად წარწერილი ჰქონდა — „სიზმარი“, ჰაინედან.

მიხამ ჩაიკითხა თარგმანი, მოეწონა, მძიმედ ჩაფიქრდა, თითქოს ერთი ლექსის კი არა, ადამიანის ბედსა სწყვეტსო, მერე უთხრა თავის უმცროს მეგობარს:

— იცი, ბიჭო, რას გეტყვი... მე მომწონს, მაგრამ, რა ვიცი... იურიდიული საქმე რომ იყოს, იცოცხლე, მაგრამ პოეზია ჩემი სფერო არ არის. აქეთ რომ მოვდიოდი, წელან ბაღში ლეო ქიაჩელი დავინახე... წამომყევი, ვაჩვენოთ, ვნახოთ რას იტყვის...

მალე ორივენი ქუჩაში იყვნენ.

ლეო ქიაჩელი ბაღში მათ შორიდანვე დაინახეს, მაგრამ ბიჭს ახლა თითქოს მუხლებმა უმტყუნეს, ნაბიჯი წინ ველარ გადადგა, სახელოვან მწერალთან მიახლოება ველარ გაბედა და რამდენს არ ეხვეწა ვექილი, ფეხი ველარ მოაცვლევინა. მერე მიანება თავი გაჯიუტებულ და დამორცხვებულ ბიჭს და თვითონ გასწია ქიაჩელისაკენ; შორიდან ხედავდა ბიჭი, როგორ ჩამოართვა ვექილს ლეომ ის ქაღალდი, თვალებთან სულ ახლოს მიიტანა, ერთხანს იკითხა, მერე რაღაც საუბარი გააბეს, მერე ალიოსკენ გამოიხედეს, გამოსწია კიდეც ქიაჩელმა — მისკენ, ძველი ანდაზისა არ იყოს, თუ — მუჰამედი არ მიდის მთასთან, დაე, მთა მივიდეს მუჰამედთანო, მაგრამ ჰაინეს მთარგმნელმა დაჰკრა ფეხი და გაქცევით უშველა თავს. მიხამ იმ დღეს ალიო ველარსად იპოვა.

მეორე დღეს მიხა საჯაია თავის უმცროს მეგობარს უწყრებოდა:

— ჰაიტ, შე გლახა, შენა... სად გაიქეცი... შენი ლექსი ლეოს ძალიან მოეწონა... თქვა, ჰაინეს ლექსის განწყობილება კარგად არის დაჭერილიო. შენი გაცნობა უნდოდა, წერა უეჭველად განაგრძოსო, მისგან ძალიან კარგი პოეტი დადგებაო, გვარიცა მკითხა და ისიც, სადაურიაო. ვუთხარი, ხორგელი მირცხულავა არის-მეთქი, შენ კი, რა მიყავი, რა დღეში ჩამაგდე...

არ ეგონა ახალგაზრდა პოეტს, თუ „ტარიელ გოლუას“ ავტორი მის ნაწარმოებს ასე ახლოს მიიტანდა გულთან. ეს მისთვის ძლიერი სტიმული იყო, ეს თითქმის უკვე მისი ლიტერატურული ნათლობა იყო.

ახეთი იყო პირველი ნაბიჯი პოეტ ალიო მირცხულავასი. „შემოგვრჩა თუ არა ის შენი თარგმანი-მეთქი“, ვკითხე ალიოს, როცა ამ ამბავს მიყვებოდა. „არაო, სადღაც გამებნაო“, მიპასუხა. თავის ლიტერატურული მოღვაწეობის ნამდვილ დასაწყისად მას მიაჩნდა ჯანყისა და შფოთის განწყობილებით აღსავსე ლექსი „ცეცხლიანი ისარი“, რომლითაც მისი ორტომეულის პირველი წიგნი იხსნება და რომელიც დათარიღებულია 1921 წლით.

* * *

ალიო მირცხულავა დაიბადა 1903 წელს, 15 (28) აპრილს, სოფელ ხორგაში, საკმაოდ შეძლებულ ოჯახში. ლიტერატურისადმი სიყვარული მას ჯერ კიდევ თავის ოჯახში აღეძრა, პაპის — ნიკოლოზის ზეგავლენით, რომელიც თავის დროისათვის საკმაოდ მოწინავე გლეხკაცი იყო. ალიო იგონებდა ხოლმე, პაპაჩემმა ბერძნული და რუსული ენები იცოდაო. ნიკოლოზ მირცხულავას ოჯახი განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით — ვის არ ნახავდით აქ. ბავშვი გულმოდგინედ ისმენდა დარბაისელ სტუმართა დინჯ საუბარს იმ დროთა ვითარებაზე, ომზე, მთელ მსოფლიოში რომ ბობოქრობდა, ქართულ ლიტერატურაზე, ათას სხვა საჭირბოროტო საკითხებზე...

ხორგის პირველდაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ბავშვი ფოთის საქალაქო სასწავლებელში შეიყვანეს, შემდეგ ზუგდიდის გიმნაზიაში, აქედან ფოთის გიმნაზიაში გადადის, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებს მოწაფეთა ხელნაწერი ჟურნალის „ჩირაღდნის“ გამოშვებაში. 1920 წელს, მენშევიკების ბატონობის ხანა-

ში, ის კომკავშირის არალეგალურ ორგანიზაციაში შედის და აქტიურად იბრძვის, რათა მოსწავლე ახალგაზრდობის რაც შეიძლება ფართო წრეები მიიზიდოს და დარაზმოს თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

**1921** წელს ალიო მირცხულავას უკვე თბილისში ვხედავთ. ის საქართველოს კომკავშირის ყრილობის დელეგატია ხობიდან; ამავე ხანებში იგი გადმოდის თბილისში საცხოვრებლად და მუშაობას იწყებს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში, პარალელურად სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. **1923** წელს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მივლინებით, ალიო მირცხულავა მიემგზავრება მოსკოვს, ვალერი ბრიუსოვის სახელობის ინსტიტუტში ვ. ბრიუსოვი ამ ინსტიტუტის რექტორიც იყო და ლექციებსაც კითხულობდა პოეტიკაში. ამავე ინსტიტუტში სწავლობდნენ მიხ. სვეტლოვი, იოსებ უტკინი, ალ. ბეზიმენსკი, ჯეკ ალტაუზენი, ვიქტორ გოლცევი; ინსტიტუტის ხშირი სტუმრები იყვნენ ვლ. მაიაკოვსკი, სერგეი ესენინი, ბორის პასტერნაკი, ნ. ასეევი, ილია სელვინსკი; ისინი გამოდიოდნენ მსმენელების წინაშე თავიანთი ახალი ნაწარმოებების კითხვით. ამრიგად, ალიო, რომელიც ამ დროისათვის საქართველოში უკვე საკმაოდ ცნობილი ახალგაზრდა პოეტი იყო, ერთბაშად მოექცა იმ წრეში, სადაც იქმნებოდა ახალი პოეზია, იკაფებოდა ახალი გზები, სადაც თავს იყრიდნენ სიტყვის ყველაზე უფრო გამოჩენილი ოსტატები. უეჭველია ამან, მთელმა ამ ატმოსფერომ უდიდესი და უალრესად კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ალიო მირცხულავას შემოქმედებაზე.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ალიო მირცხულავა უფრო აქტიურად ებმება მჩქეფარე ლიტერატურულ ცხოვრებაში; ის მუდამ მოწინავე პოზიციაზეა, მუდამ ერთგულად ემსახურება პარტიის და ხალხის საქმეს — წლების განმავლობაში ის სათავეში ედგა საქართველოს მწერალთა კავშირს, იყო მთავარი რედაქტორი ჟურნალ „მნათობისა", ხოლო სამამულო ომის წლებში პოეტმა უმალ ფრონტს მიაშურა — ინახულა ჩვენი მებრძოლები მოსკოვის მისადგომებთან, იყო ჩრდილო-კავკასიის ფრონტზე, შემდეგ შეჰყვა ჩვენს გამარჯვებულ ჯარებს ახლად განთავისუფლებულ ხარკოვში. ვრცელი ციკლი ლექსებისა, რომლებიც მიძღვნილია სამამულო ომისადმი, აღსავსეა იმ ცოცხალი და განუმეორებელი შთაბეჭდილებებით, რომლებიც პოეტმა ბრძოლის ველზე მიიღო.

## ომამდელი წლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიდანვე მინდა აღვნიშნო: ალიო — ძალიან პოპულარული პოეტი იყო, მისი მგზნებარე, დაელექტრონებული სტრიქონები განსაკუთრებით უყვარდა ახალგაზრდობას. აქ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. ომის წინა წლები იყო. ბათუმში ალიოს პოეზიის საღამო გაიმართა და ახლო მეგობრები თან ვახლდით. იქიდან გამობრუნებულები მცირე ხნით იმერეთში, სოფელ ეწერში შევჩერდით. ღამე იქ გავათიეთ და დილით ახლო მდებარე სოფლებისაკენ გავწიეთ; უკან რომ ვბრუნდებოდით, რომელიღაც სოფლის გზაზე შხაპუნა წვიმამ წამოგვისწრო და ყველაზე ახლო ეზოში შევაფარეთ თავი; იქ, დიდი კაკლის ხის ქვეშ, წვიმა თითქმის ვერ აღწევდა. სახლის პატრონმა უცხო მგზავრები რომ დაგვინახა, აივანზე შეგვიპატიჟა, ხომ მოგეხსენებათ იმერული ზრდილობის ამბავი. ვსხედვართ აივანზე, ვსაუბრობთ, პაპიროსს ვაბოლებთ და გამოდარებას ვუცდით. აივნის ბოლოში ნაწნავებიანი ქალიშვილი ზის, მეცხრე თუ მეათე კლასის მოსწავლე, წიგნში თავი ჩაურგავს და გაკვეთილსა სწავლობს. მოხმაური წვიმის შხაპუნში ტკბილად ჩაგვესმის ალიოს ლექსის სტრიქონები, რომლებიც, გეჩვენება კაცს, რომ უფრო ლამაზია, ასეთი ანგელოზის წკრიალა ხმით წარმოთქმული. ის კი კითხულობს:

ჩემო ქვეყანა, ეგრე ლამაზო,
შავი ზღვის პირად აღმართულია,
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,
მისგან ღრუბლებიც დაფანტულია.
ხან გაშლილია უგზო-უკვალოდ,
ხან ვენახებით დახლართულია,
მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი
ცა — ფიროსმანის დახატულია.

ალიო გაბადრული ზის, სახე უბრწყინავს და თავის თანამოკალმეებს ამაყად გადახცქერის — ან კი რომელ პოეტს არ აავსებდა სიხარულით ასეთი მოულოდნელი შეხვედრა უცხო სოფელში თავისი ლექსის სტრიქონებთან. ჩვენ საუბარი შევწყვიტეთ და ლექსის მელოდიას ყური მივუგდეთ. ქალიშვილმა გუმანით რაღაც იგრძნო და შეიშმუშნა, კითხვა შეწყვიტა და მალულად გადმოგვხედა. სწორედ იმ წუთში ვკითხე:

— გოგონი, ვისია ეგ ლექსი?

— ალიო მირცხულავასია, ბატონო! საზეპიროდ გვაქვს.

— გინახავს მაგ ლექსის ავტორი?

—მე პოეტი ცოცხალი სულაც არ მინახავს. აი, მარტო სურათებით... — აღარ დაამთავრა.

— რომ გიჩვენო ავტორი? სურათზე კი არა,

ნამდვილი, ცოცხალი! აი, — ვანიშნე ალიოზე, — აგერ ზის თქვენს აივანზე...

ქალიშვილმა გაოცებით შეჰკივლა, დაფეთებული გავარდა აივნიდან და დედ-მამას ახარა ეს ამბავი, ახმაურდა ოჯახი, წვიმამ კი გადაიღო, მაგრამ ვინლა გაგვიშვა. გაიშალა ლაზათიანი სუფრა, ბევრი ვეხვეწეთ „ნუ სწუხდებით“, მაგრამ მასპინძელმა ასე გვიპასუხა:

— რას ამბობთ, ბატონო! ჩემს ჭერქვეშ ჩემი შვილების გამზრდელი დავინახო, ქართველი პოეტი დავინახო და მე იმას პატივი არ ვცე! როგორ გეკადრებათ, სადღა უნდა გამოვყო თავი!

ქალიშვილი კი ისე გახარებული იყო, თითქოს ფრიადი მიეღოსო, ნიავივით დაჰქროდა სუფრასა და სამზად სახლს შორის.

ყველაფერი ეს ისე გულწრფელი იყო, ისე სასიხარულო, რომ ვეღარც ჩვენ ვფარავდით აღტაცებას და ვეუბნებოდით ალიოს, რომ ის ბედნიერი კაცია, რაკიღა ამ მართალი, უბრალო და მშვენიერი ადამიანების გულში ასეთი სიყვარული დაიმკვიდრა.

არ ვაჭარბებ და ვიტყვი: აი, ასე უყვარდა ალიო მარტო იმ გლეხკაცსა და მის შვილებს კი არა, მთელ საქართველოს.

ალიო მირცხულავას პოეზიას ასეთი პოპულარობა თავიდანვე, პირველი ლექსების გამოქვეყნებისთანავე განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ მკითხველმა მასში რაღაც ახალი და, იმავე დროს, მახლობელი, თითქოს ნაცნობი, ხულიერად მონათესავე ხმა გაიგონა; ამ ხმამ მას გაახსენა ძველი მოქალაქეობრივი პოეზიის ხმა. პოეტის ლექსებში ისმოდა ეს ტრადიციული მუსიკა ქართული ლექსისა და, იმავე დროს, ტრადიციულს ერთვოდა რაღაც ახალი, მანამდე უცნობი, ის, რაც მოიტანა რევოლუციამ; ჭაბუკური რიტმი, გატაცება, ხშირად ზღვარდაუდებელი სწრაფვა შორეთისაკენ, ლაჟვარდებისაკენ, მთვარისაკენ, ყველაფერი ეს ალიო მირცხულავას ლექსში ხშირად ღებულობდა აშკარა რომანტიკულ ელფერს.

ალიო მირცხულავას პოეზია თავისთავად ახალი მოვლენა იყო. მის პოეტურ მსოფლშეგრძნებაში არ იყო ცალკე გამოყოფილი, ერთის მხრივ, მოქალაქეობრივი ლირიკა, სოციალური მოტივები და, მეორეს მხრივ, ლირიკული განწყობილებანი; მის ლექსში პირადი უშუალოდ, სრულიად ბუნებრივად ერწყმოდა დიდ საზოგადოებრივ მოვლენებს, და საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი მუდამ გამთბარი იყო მისი პოეტური გულის სითბოთი. აქედანაა მისი მოულოდნელი მხატვრული სახეების სიახლე, და გასაგებია, როცა პოეტი მიმართავს მტკვარს: „მე შენს ხეტიალს ამ საყვარელ საქართველოში ვგრძნობ, როგორც ტანში აჩქროლებულ სისხლის მოქცევას“ („მტკვარისტანი“). არა მარტო მტკვარი, მთელი სამყარო უშუალოდ, ორგანულად, როგორც სისხლის მიმოქცევა შესულია პოეტის არსებაში, მის მსოფლშეგრძნებაში.

ალიო მირცხულავამ უაღრესად თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში. სიტყვა ფ უ ძ ე მ დ ე ბ ე ლ ი მართლაც კარგად გამოხატავს ყოველივე იმას, რაც მან შეიძლო და გააკეთა — წინ წაუძღვა და ბილიკი დაუკვალა საბჭოთა პოეტების მთელ თაობებს. თითქოს საგანგებოდ დაემთხვა ქვეყნის სიჭაბუკე, რევოლუციის სიჭაბუკე, საბჭოთა საქართველოს გაზაფხული მისი ყრმობის წლებს — ის ამაყობდა ამით და სხვანაირად არც შეიძლებოდა: რევოლუცია და სამშობლო იყო მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული.

ახლა ადვილია ყველაფერი — გზა ნათელია და გარკვეული, მაგრამ ასე როდი იყო ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ. მაშინ ბევრმა არ იცოდა საით უნდა წასულიყო ქართული პოეზია. იყო აურაცხელი სკოლები, მანიფესტები, თეორიები, და ყოველი მათგანი პრეტენზიას აცხადებდა, რომ ერთადერთი ის არის ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელი. ცხრამეტი წლის ჭაბუკს იმდენი ალღო აღმოაჩნდა, იმდენი შორსგანჭვრეტა და პერსპექტივის ხილვის უნარი, რომ სწორად გაეკვლია გზა. სწორედ მაშინ დაწერა ალიომ თავისი პოეტური მანიფესტი — „მიმართვა პოეტებისადმი“. ეს იყო მიმართვა თავისი თანამედროვეობისადმი:

თქვენ, პოეტებო, თუ სწერთ ქართულად,
თუ გინდათ რეკდეს სიტყვა ქართული,
სწერეთ ლექსები წელგამართულად,
სწერეთ ლექსები წელგამართული.
ასეთი ფერი, ვთქვათ, თუ დაბერდა
და მოისურვეს ფეხით გათელონ,
იმის წაქცევას ვერვინ გაბედავს,
ის ურყევია, ვით საქართველო.
ჩვენც ბრძოლის დროშა გვათბობს ალისებრ,
გვესმის ოქტომბრის მძლავრი გუგუნი,
ჩვენც გვაფრთოვანებს და გვახალისებს
მხნე გულისძგერა ამ საუკუნის.
მხოლოდ იცოდეთ: მშობლიურ მიწას
სხვის ნაფიქრალში ნუღარ დამალავთ,
საკუთარ სახეს ვინც კი დაიცავს,
ის მსოფლიოში შევა თამამად.

და პოეტი მტკიცედ წავიდა ამ გზით. და ამას გარდა, მისმა ამ მიმართვამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული პოეზიის განვითარების მომდევნო ეტაპებზე თუ საფეხურებზე, როცა ძველი ინტელიგენციის ამა თუ იმ წარმომადგენლის წინაშე, ჯერ ისევ 20-იან წლებში დგებოდა კითხვა — საით წავიდეთ, რა გზა ავირჩიოთ, ვისთან ერთად ვიყოთ, — ასეთი

განწყობილებები უცხო არ იყო იმ დროისათვის, და აი, ამგვარი ფიქრებით და ეჭვებით შეპყრობილ პოეტებს, ამხნევებდა მათივე ჭაბუკი თანამოკალმის მხნე და ვაჟკაცური შეძახილი:

თქვენ. პოეტებო, თუ სწერთ ქართულად...

დიახ, ეს მართლაც საპროგრამო სიტყვა იყო, გამამხნევებელი, შემოქმედებისადმი ინტერესის აღმძვრელი, იმედის მომცემი... და ეს დიდი ამაგი ალიოხი არ უნდა დავივიწყოთ.

მას ჰქონდა ქართული ტრადიციის უწყვეტელობის უძვირფასესი გრძნობა:

რა ვქნა, ქართლის ბედი თვალებში მიმზერის
და თვალში დაეძებს ქართველის თვალს.

ეს სტრიქონებიც რევოლუციის გარიჟრაჟზეა დაწერილი, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ.

მაშინვე კარგად იცოდა ჭაბუკმა პოეტმა, რომ თავისუფალ სამშობლოს წინ კიდევ მრავალი განსაცდელი უნდა გამოევლო.

მეც გადავიტან ხეტიალს, შიმშილს,
თუ არ იქნება მეტი სახსნელი,
მეც შემიძლია გავწირო სისხლში
ჩემი სიცოცხლე უკანასკნელი...
და რომ დავეცე ბრძოლის ველანი,
მკორტნიდეს მტერთა რაზმი წყეული,
დარჩება ლექსი, როგორც მერანი,
ბრძოლის ველიდან გამოქცეული.

ამ წრფელ პატრიოტიზმთან, როგორც ყველგან და ყოველთვის ჩვენს საუკუნეში, განუყრელად არის დაკავშირებული ინტერნაციონალიზმის გრძნობა, სიყვარული მსოფლიოს ყველა ხალხისადმი, რომელთაც ჩვენს დროში გამოიღვიძეს; ეს მოტივიც თავიდანვე მძაფრად გახმაურდა ალიო მირცხულავას პოეზიაში. ჯერ ისევ 1928 წელს დაწერილ ლექსში „მგზავრობა საჰარაში“ ქართველი პოეტი მიესალმება შავი აფრიკისა და შორეული ინდოეთის ხალხებს, მიესალმება და იმ ქვეყნებში რევოლუციის „სამუმის აგუგუნებას“ ნატრობს; ის ოცნებით მოგზაურობს ამ ქვეყნებში, ქარავანს მისდევს ქვიშიანებში ჩაკარგულ ცხელ გზებზე;

ხსნა გიხაროდეს
ვრცელ აფრიკის და ინდოეთის,
და აქლემებით ცხელ ქვიშაზე გახმაურება,
ამ უდაბნოში შავ ტომებთან
მოველ პოეტი,
რომ წითელ მხედარს
ძმა მიწოდონ აქაურებმა.

პოეტი ხელს უწვდის იმ დროისათვის დაჩაგრულ და დამონებულ აზიას; 1927 წელს დაწერილ ლექსში „რიქშა“ დახატულია პორტრეტი დამონებული ჩინელისა, რომლისათვისაც ეს წუთისოფელი მართლაც ძნელი და უსამართლო იყო. ამ ლექსის სტრიქონებიდან ჩვენს თვალწინ წარმოდგება მტვერში ამოსვრილი, გაოფლიანებული, ეტლში პირუტყვივით გაბმული ადამიანი, რომელსაც ქუჩაზე ჰენებით მიჰყავს ინგლისელი ბატონი, ნებიერად რომ ზის ეტლში და სიგარას აბოლებს. მონის ტიტველ ზურგს მზე სწვავს, ინგლისელს კი ხელში ქოლგა უჭირავს; და პოეტი ბოლოს მოუწოდებდა დაჩაგრულ მოძმეს:

თუ ეს ქვეყანა დასავმობია,
დასამხობ-ა და სატიალო,
მონურ ცხოვრებას, ძმაო, სჯობია,
რომ ხელში თოფი დაატრიალო.

ასე სწვდება ქართული ნაციონალური ტრადიციებიდან, ქართული წიაღიდან წამოსული პოეტის თვალი მთელ სამყაროს, ცდილობს ყური დაუგდოს მსოფლიოს ცხოვრების მაჯისცემას. ეს ფართო ისტორიული მასშტაბი შემთხვევით არ არის მისთვის — ამიტომ წერს აფრიკის ხალხებზეც, აზიაზეც, იმავე ხანებში აქვეყნებს ლექსს „ბერლინის ტუსაღ ქალთა სიმღერას“ (1922 წ.); ქალაქები გადასძახიან ქალაქებს ერთი მატერიკიდან მეორეზე, დაჩაგრულნი ძმურად უწვდიან ხელს ერთი-მეორეს, ერთი მზისაკენ ისწრაფვიან, თავისუფლების მზისაკენ, რომლის შუქი ლენინის წიგნებიდან ამობრწყინდება. ამ ფონზე ხატავს პოეტი ლენინის სახეს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „ლენინი ჩვენს საქმეში“ (1927 წ.), აქ ლენინის სახე ელავს და კრთის მსოფლიოს ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის შუქში:

ყოველგან ბრძოლების
მედგარი ხმებია,
სისხლი გადაჰკივის
ზღვაზე და ხმელეთზე,
ტყვიების წამლების
კვამლები დგებიან
რისხვით და მუქარით
ამართულ ხელებზე,
ბღავილით მოსულან
აფრიკის მფარველად
მებრძოლი ზანგები
და მიწას ლებავენ,
ბარიდან ბარამდე
სკდება ყუმბარებად
ხალხთა გულისწყრომა
და ამბოხებანი.

უკვე ამ პირველ პერიოდში პოეტი მრავალფეროვანი, მჩქეფარე და სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს, ფართოა მისი თემატიკაც, მისი ძიებისა და ინტერესების სფე-

როც. ის, პირველ რიგში, მებრძოლია, ახლის მშენებელი, მაგრამ ნამდვილი მებრძოლისათვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. ამიტომ ის, იმავე დროს, გატაცებით წერს ლირიკულ ლექსებს, რომლებშიც უმღერის სიყვარულის უნაზეს გრძნობას; აქ უნდა გავიხსენოთ მისი „ლოდინი“ (1925 წ.), სადაც საოცარი სულიერი თრთოლვით არის ნაჩვენები მწუხარება ახალგაზრდა ქალისა, რომლის ქმარი იტალიის გემს გაჰყვა უცხოეთში სახეტიალოდ; ემიგრანტის ნაცოლარმა აღარ იცის რომელ წყალს მისცეს თავი. იგი დაბნეულია ამ დიდ ქარიშხალში, დიდ სოციალურ კატაკლიზმებში და პოეტი მზად არის ანუგეშოს იგი; ძალზე ადამიანურია ეს ლექსი, მასში არის მძაფრი ლირიკული განწყობილება და, იმავე დროს, მთელი ამბავია გადმოცემული. უკვე ამ პერიოდში პოეტი ამჟღავნებს მიდრეკილებას ეპიკური ჟანრისაკენ. ამაზე მეტყველებს მისი პირველი პოემა „ურმული“ (1925 წ.); მასში მშვენივრად არის დახატული ტყე ღამით, მეურმის სიმღერა რომ ეფინება ჩაძირულ მიდამოს, კარგადაა გამოკვეთილი ყაჩაღისა და მეურმის სახეებიც.

„აი ადამიანში“ (1928 წ.) პოეტმა გვიჩვენა თავისი ტალანტის კიდევ ერთი ახალი მხარე — მძაფრი სატირის გრძნობა; აქ პოეტმა ამხილა ობივატელი, გამოჰკვეთა დასრულებული სახე იმ ადამიანისა, რომელსაც თავისი პირუტყვული არსებობის გარდა სხვა მიზანი არ გააჩნია, მაგრამ ისეთ ნიღაბს იფარებს, თითქოს დღედაღამ საერთო და საზოგადო საქმეზე ფიქრობდეს.

ასეთი იყო ძირითადი მოტივები ალიო მირცხულავას პოეზიისა მისი შემოქმედების პირველ პერიოდში.

## ლექსი ომის დროს

უჩვეულო მღელვარება იპყრობს მკითხველს, როცა ხელახლა გადაიკითხავს იმ ლექსებს, ომის ცხარე დღეებში რომ იწერებოდა. მართლაც რა დიდი ძალა მისცა ჩვენმა სამშობლომ, პარტიამ თავის პოეტებს, შეაძლებინა მათ ცხრაასორმოცდაერთი წლის ღრუბლებით, მოქუშულ ცაზე, ამ ღრუბლებს იქით, დაენახათ გამარჯვების ნათელი სხივები, დაენახათ ჩვენი სამშობლოს ბრწყინვალე გამარჯვება თვით იმ დღეებშიც კი, როცა ლვოვთან და სტარაია რუსასთან ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ. აქ გამოჩნდა თუ რა ძალა აქვს საბჭოთა პოეტის რწმენას, რომელიც ომის დროს ვერაფერმა ვერ შეარყია, ვერ მოღუნა... ეს რწმენა სამშობლოს მართალი საქმისა — აძლევდა მწერალს წინასწარ განჭვრეტის უნარს, აიარაღებდა მას მოვლენათა განვითარების ამოცნობის ტალანტით; თვით შრისხანე ცხრაასორმოცდაერთ წელს, როცა ჰიტლერელები წინ მოიწევდნენ, როცა ისინი მსოფლიოს აყრუებდნენ გაუთავებელი ლრიანცელით თავიანთ გამარჯვებებზე, როცა ეთერში ყურისმომჭრელად, გამაოგნებლად ისმოდა ხმა გერმანული ფანფარების, აი უკვე მაშინ ჩვენი პოეტები ხედავდნენ, ისევე როგორც ჩვენი მხედრები, თუ როგორ ილუპებოდა ჯოჯოხეთური ჰიტლერული სამხედრო მანქანა, უტყუარი პოეტური ინტუიციით, უფრო სწორად — ისტორიის ზეალმავალი პროცესების ზუსტი ცოდნით შეიარაღებულნი არა მარტო წარმოიდგენდნენ, არამედ ხედავდნენ კიდეც შუასაუკუნეობრივი ბნელეთის აღსასრულს, და როგორც საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ყველა პერიოდში, აქაც მთელი სიმძაფრით გამოჩნდა სიბრძნე საბჭოთა პოეტისა, რომელიც მას შთააგონა პარტიამ, 1943 წელს დაწერილ ლექსში „ომი და მშვიდობა“ პოეტმა აღწერა ახლო მომავლის ამბები — როგორ შედიან საბჭოთა ჯარები მტრის ტერიტორიაზე, როგორ ანთავისუფლებენ ისინი დამონებულ აღმოსავლეთ ევროპას.

მაგრამ საბჭოთა პოეტმა ისიც კარგად იცოდა, რომ ეს გამარჯვება თავისთავად არ მოვიდოდა, რომ საჭირო იყო უკიდურესი დაძაბვა მთელი ხალხის სულიერი და ფიზიკური ენერგიისა, საჭირო იყო თავგანწირვა იმ მიზნით, რომ გადარჩენილიყო კაცობრიობა; ამიტომ საბჭოთა პოეზია მძიმე ბრძოლაში ეძახდა ხალხს და თვითონაც მას გვერდში ედგა. პოეტის ხმა ისმოდა ყველა ჩვენს ფრონტზე — ყველა არმიაში, ყველა პოლკში; პოეტის ლექსს სანგრებში მიჰქონდა სამშობლოს დანაბარები — არ შედრკეთ, ფეხი არ მოიცვალოთო.

და ჩვენს საბრძოლო იარაღთა შორის, ჩვენს მძიმე საკორპუსო ზაუბიცებთან, რეაქტიულ ნაღმმტყორცნელებთან ერთად ჰქუხდა საბჭოთა პოეტის ლექსიც. ესეც შედიოდა იმ შეიარაღებაში, რომლითაც აღჭურვილი იყო საბჭოთა ხალხი, საბჭოთა არმია.

პოეტები მაშინ ჯარისკაცები იყვნენ, როგორც მუდამ და ყოველთვის იმ ეპოქებში, როცა სამშობლო განსაცდელში იყო. სამშობლოს ამ ჯარისკაცთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა პოეტ ალიო მირცხულავას.

ჯერ ისევ 1941 წლის მძიმე დღეებში ის წერს ლექსად წერილს „სამამულო ომის გმირებისადმი“, სადაც თავის ახალგაზრდა მკითხველებს, მის ლექსებზე რომ იზრდებოდნენ, მიმართავს ჭეშმარიტად მგზნებარე სიტყვებით:

მე მუდამ ბრძოლის ლექსებით,
ვლალადებ, განა ვსტირი მე,
მტრის გულის ასაფეთქებლად,
ნაღმად დამქონდა სტვირი მე.

სამშობლო გასაჭირშია, —
მზად ხართ? — მთელი ხმით ვყვირი მე,
მთებიდან დაღმართებიდან —
მზად ვართ! — მეძახის გმირი მე.

დასცხეთ, დაჰკარით, ბიჭებო,
არ ვნახო მათი ძირი მე,
სად მეგულება სამშობლო,
მტრებისთვის გასაწირი მე!

არ გამეგონოს არასდროს
მანდ თქვენი გასაჭირი მე,
დასცხეთ, დაჰკარი მტარვალებს,
დაჰკარით, თქვენი ჭირიმე!

ეს მართლაც აკაკისებური ლალადია, მოწოდებაა მთელი ლაშქრისადმი, ნახევარი მილიონზე მეტი ქართველი ჯარისკაცისადმი, ომის წლებში თავგანწირვით რომ ებრძოდა მტერს, ომის პირველი დღიდან დაწყებული, პოეტი ფიქრით მუდამ სამშობლოს ამ გმირებთან არის, თვალს ადევნებს მათ ბრძოლას — თან მიჰყვება ჰაერში, თუ ის მფრინავია, თან მისდევს ტანკისტებს მათს თამამ და გაბედულ რეიდებში; ასე დაიწერა ალიო მირცხულავას შესანიშნავი ლექსი „ზღვის არწივი“ (1941 წ.), მიძღვნილი კაპიტან ალექსანდრე წურწუმიასადმი:

შენ საქართველოს ბუნებამ გზარდა,
შენით ამაყობს ჩვენი სოფელი,
შენ, სახელოვ მებრძოლის გარდა,
ჩემი ტოლი ხარ და მეზობელი.

„ნუ შეუდრკები დღეებს ნისლიანს“, მიმართავდა პოეტი მფრინავს; ეს მართლაც მძიმე, ნისლიანი დღეები იყო, მაშინ გერმანელები ჯერ ისევ წინ მოიწევდნენ, ხოლო ალექსანდრე წურწუმია ბომბავდა გერმანელების ღრმა ზურგს, მისი ყუმბარები აფეთქებდნენ პლოეშტის ნავთის ბაზებს, გზას უჭრიდნენ ჰიტლერელ ავაზაკებს, და ამ დიდ ბრძოლაში პოეტი მფრინავთან ერთად იყო. ამბობენ, რომ პოეტის ლექსი მფრინავს უბით დაჰქონდა თავისი ტრაგიკული აღსასრულის დღეებამდე, დაჰქონდა როგორც წმინდა აღთქმა სამშობლოსი, როგორც ფიცი, რომელსაც არ ეღალატება.

ომის წლებში პოეტი წერს შესანიშნავ ბალადას „ძმები“, სადაც მოგვითხრობს, თუ როგორ კვდება ორი ქართველი შორეული ტიხვინისათვის. ეს არის მთელი ნოველა ლექსად, ძნელია აუღელვებლად ამ ლექსის წაკითხვა. ტიხვინისათვის ბრძოლაში ორი ქართველი სასიკვდილოდ დაჭრილა, ისინი ძმები არიან, ბრძოლის ველიდან ორივე ერთად წაიყვანეს სანიტრებმა, ჰოსპიტალშიც ორივე ერთად მოათავსეს, ორივეს ერთად დასტრიალებს თავს შავი სიკვდილი და ერთიმეორის ბედსა კითხულობენ ძმები:

სიზმრების ზღვა კი როგორც ხომალდებს
ტახტებს არწევს და ღელვა ჰგონიათ,
და ასე, სულის ამოხდომამდე
ძმას აწამებდა ძმის აგონია.

მერე ერთ დღეს მთელ პალატაში სიჩუმე დგას — სიკვდილმა თავისი გაიტანა, მაგრამ იმ სიკვდილის წინ სიზმრებში, ზმანებაში, სულთმობრძავთა აგონიაში იმდენი გრძნობა, იმდენი სიყვარულია სამშობლოსადმი, აქ ისეთი დიდი ტრაგიზმია, რომ სიღრმემდე სწვდება და ათრთოლებს მკითხველის გულს.

უფრო საინტერესოა ბალადა „მამა“. აქ არის გადმოცემული ჩვენი ადამიანების სულიერი სიდიადე, მათი თავგანწირვა სამშობლოსადმი; შვილი—საბჭოთა არმიაშია, მამა—პარტიზანულ რაზმში. როცა შვილი ფრონტზე მიდიოდა, დედამ ერთი მუჭა მიწა ჩაუყარა თავისი ხელით მოქსოვილ ხალათის ჯიბეში; და აი, მამა მტრის ეშელონს აფეთქებს. პარტიზანი მამა ხედავს, რომ მისი შვილის ხალათი აცვია ვილაც ჰიტლერელ ჯარისკაცს. მამა უმალ მიხვდება რაშიც არის საქმე; მაშასადამე, მისი ბიჭი ცოცხალი აღარ არის, მისი ხალათი მის მკვლელს აცვია. აქ არის მძაფრი ტრაგიზმი, მწარე სევდა შვილთან გამოთხოვებისა, რომელიც შურისძიებით სავსე გულს მამისას უფრო მეტად აღანთებს და ახალი შეტევისათვის აქეზებს. აღსანიშნავია, ამ ბალადის ფოლკლორული საწყისები:

შავლეგ, შენი შავი ჩოხა
შავლეგო,
გულხადარის აცვიათ,
შავლეგო!

დასტიროდა ოდესღაც ქართვლის დედა მტერთან ბრძოლაში განგმირულ პირმშოს.

ალიო მირცხულავას იმდროინდელი ლექსები — ეს არის პოეტური მატიანე დიდი სამამულო ომისა და ქართველ ვაჟკაცთა თავგანწირვისა იმ ომში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი „სევასტოპოლი“ (1942 წ.). აქ შავი ზღვაც ღელავს და მრისხანებს, მტერზე გაავთრებით ამხედრებული, ხალხის რისხვასავით ავდრიანი და მოღუშული; ამ პატარა ლექსში არის მთელი ისტორია სევასტოპოლისა, პოეტი მას ქარიშხალს ადარებს, რომლის ტყვედ შეპყრობა შეუძლებელია, ის გმირების აკვანია და ბუდე. ასევე დაუვიწყარი სახეებით გამოხატა პოეტმა ბრძოლა დიადი ქალაქისა — ლენინგრადისა, რომელიც განსაცვიფრებელი სულიერი სიმტკიცით აღუდგა წინ მტრის ურდოებს. პოეტის

ლექსები ჩვენს ხსოვნაში აღადგენს ჩვენი ძლევამოსილი არმიის წინსვლის ეტაპებს — ამაზე მეტყველებენ ლექსები „ორიოლი“, „როსტოვი ჩვენია“, „კიევი“, „სმოლენსკი“ და მრავალი სხვა, სადაც პოეტი მიესალმებოდა გამარჯვებულ საბჭოთა არმიას, ზედიზედ რომ ანთავისუფლებდა ჩვენი სამშობლოს სოფლებსა და ქალაქებს.

## ახლის გრძნობა

ალიო მირცხულავამ თავის პირველსავე ლექსებში ახალ ყოფას, საერთოდ ახალ ეპოქას, ახალ შინაარსს მოუძებნა შესაფერი პოეტური ფორმა, აღბეჭდილი განუმეორებელი ნაციონალური კოლორიტით. მის შემოქმედებაში ნათლად გამოჩნდა ახალი საქართველო, მისი პეიზაჟებით, მისი ადამიანებით. და რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, ეს ახალი პოეტმა გვიჩვენა ზრდის, ფორმირების, მუდმივი ზეაღმავლობის პროცესში.

პოეტი მუდამ ცხოვრების შუაგულშია, მუდამ ხალხშია, მისთვის ნაცნობია და არა მარტო ნაცნობი, მშობლიური და ახლობელია ყოველი ახალი მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში. ყველა ეს მოვლენა უშუალოდ ეხმაურება პოეტის სულს და აღძრავს მას სასიმღეროდ. ამიტომაც ესოდენ უშუალო, წრფელი და ლაღია პოეტის სიმღერა მუდამ, რაზედაც არ უნდა წერდეს იგი — განახლებულ თბილისზე, თუ პირველ დამკვრელ ბრიგადაზე, ახალი სოფლის წინსვლაზე, თუ ქალ-ვაჟის წრფელ სიყვარულზე.

პოეტის შემოქმედების მთელი არსის ამოსაცნობად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ლექსს — „დამკვრელი ბრიგადები“. იგი დაიწერა პირველი ხუთწლედის დასაწყისში, როცა ის იყო, ყალიბდებოდა პირველი დამკვრელი ბრიგადები და პოეტის მახვილმა სმენამ პირველად იგრძნო და გაიგონა რიტმი ამ ბრიგადების დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომისა; დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ალიო მირცხულავას ეს ლექსი იყო პირველი მერცხალი, რომელმაც ახალი სიტყვა მოიტანა ჩვენს მწერლობაში, დააკანონა თემა თავისუფალი სოციალისტური შრომისა, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა შემოქმედებას გაუთანაბრეს.

და როგორც ეკონომიკაში პირველ ხუთწლედს დაეფუძნა მთელი ჩვენი მომავალი წინსვლა, მთელი მომდევნო ხუთწლედები, რომელთაც უზრუნველჰყვეს საბჭოთა ქვეყნის გამარჯვება დიდ სამამულო ომში, უზრუნველჰყვეს ის, რომ ჩვენი ქვეყანა იქცა მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოდ, ასევე პოეზიაშიც ეს პირველი ლექსები იქცნენ სათავედ სოციალისტური პოეზიის აღმავლობისა, მისი იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებისა, რათა იგი გათანაბრებოდა ახალი ადამიანის სულიერ სამყაროს მოთხოვნილებებს, შესძლებოდა ეპოქის მხარდამხარ ევლო და მისი აჩქარებული, დაუცხრომელი რიტმი გადმოეცა.

ასე თავიდანვე აქცია ალიო მირცხულავამ თავისუფალი, შემოქმედებითი შრომა პოეზიის მთავარ თემად, და ამას ჰქონდა თავისი ისტორიული გამართლებაც. ბევრი რაღაც ეჭვის თვალით უცქეროდა ამ ამბავს, ფიქრობდა, რომ ინდუსტრია არ შეიძლება იყოს ლირიკული ლექსის თემა.

მაგრამ მათ ავიწყდებოდათ, რომ ამ ინდუსრიამ იხსნა მსოფლიოს კულტურა და ცივილიზაცია, როცა მას შუასაუკუნეების ბნელეთმა — ჰიტლერულმა გერმანიამ შეუტია. აბა ერთი წუთით ჩავუფიქრდეთ, რა დღეში იქნებოდა ახლა მსოფლიო, ის ინდუსტრია რომ არ ყოფილიყო, საბჭოთა ხუთწლედებმა რომ გამოსჭედეს, ის შეიარაღება რომ არა, საბჭოთა ქვეყანამ თავისი არმია რომ აღჭურვა; აბა, არ ამოქმედებულიყო პირველი ბრძმედები კუზნეცკში ცხრაასოცდათორმეტ წელს, აბა ხარკოვის სატრაქტოროს არ აეთვისებინა თავისი საპროექტო სიმძლავრე, აბა, ჩელიაბინსკის გიგანტი არ მიჰყოლოდა მათ, აბა, ფაბრიკა „რავენსტვოში“, სწორედ პირველი ხუთწლედის დასაწყისში, არ შექმნილიყო პირველი კომკავშირული დამკვრელი ბრიგადა, რომელსაც მოჰყვა აურაცხელი ასეთი ბრიგადები მთელ უზარმაზარ საბჭოთა მიწა-წყალზე — აბა, არ მომხდარიყო ყოველივე ეს, რა დღეში იქნებოდა ახლა მთელი მსოფლიო? ფერფლიღა დარჩებოდა ლამაზი ვარშავისაგან, პარიზისაგან და ახლა ყველას მონის უღელი გვედგმებოდა ქედზე — ქართველებსაც და პოლონელებსაც, რუმინელებსაც და ბულგარელებსაც, საერთოდ ყველა ერს, ვინც კი ამ პლანეტაზე ცხოვრობს; სწორედ იმ ინდუსტრიამ იხსნა მსოფლიო დაღუპვისაგან: ეს ნათლად გამოჩნდა მეორე მსოფლიო ომის დროს.

ყოველივე ის, რაც ჩვენ ზემოთ საბჭოთა ინდუსტრიაზე ვთქვით, რაც მის როლზე ვთქვით მეორე მსოფლიო ომში, ამ ომამდე ათი წლით ადრე ნათქვამია პოეტის ლექსში, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ სიტყვა ჩამოვაგდეთ. ეს ლექსი — ალიო მირცხულავას „დამკვრელი ბრიგადებია“; ამ ლექსში, დასაწყისში ქარხნის საერთო სურათია მოცემული — ისმის მანქანების დგრიალი, თითქოს ეს დაზგებიც ყალყზე შემდგარან, აჩქარებულან, რომ გაასწრონ ადრინდელ ტემპებს, გამოხატონ მუშათა მანამდე უჩვეულო ენთუზიაზმი, ყველაფერი შრომის მძლე რიტმს მოუცავს, აქ ჩვეულებრივ არ მუშაობენ, აქ დამკვრელები არიან, აქ იმაზე მეტს აკეთებენ, ვიდრე ადა-

მიანის ძალას მოეთხოვებოდა. და რატომ ხდება ყოველივე ეს, რისთვის, ვისთვის? და აი პოეტის პასუხიც:

> მაშ როგორ გინდათ, როგორ დავაცხრობთ,
> კაპიტალიზმით მძვინვარ ევროპას?
> დასცხეთ, დაჰკარით, როგორც არასდროს,
> მტრობას, ომსა და დაუდევრობას!
>
> აი, მანქანაც ბორგავს ჩქარ-ჩქარა,
> თითქოს ტემპები დასძგერებია,
> დაზგის გულდაგულ რომ დგას ლაშქარი,
> კომკავშირული ბრიგადებია.

და ყველაზე მთავარი ის არის, რომ პოეტი თავის თავს მიათვლის მათ რიგებს, ვინც თავისი შრომით ებრძვის მომავალ ომს და მომავალ გამარჯვებას სჭედავს. აქ ნამდვილად ზუსტად და სწორად არის მოძებნილი პოეტის ადგილი, მისი, ასე ვთქვათ, დაზგა იმ დიდ საამქროში, რომელსაც სოციალისტური ქვეყნის მშენებლობა ეწოდება. აი ეს სტრიქონებიც:

> მეც დამკვრელი ვარ, დაზგებს ვამზადებ,
> ტემპს გრიგალივით ცეცხლი მოვტაცე,
> და ვეჯიბრები საწერ დაზგაზე
> ინდუსტრიალურ ლექსის ოსტატებს,
> მეც გეგმაში მაქვს კალმით გავლარო
> მთების კლდე-გული და წყაროები,
> ფიქრთა გვირაბი არის მაღარო,
> ლექსი-ფოლადის ნაწარმოები.
> ჩვენ კომუნიზმის ვაგებთ ნიადაგს,
> მიწა დროშების ალს დაუფარავს,
> წიგნი შრომის დროს აგურია და
> ბრძოლის დროს — ტყვიით სავსე ყუმბარა.
> ასე მანქანა იბრძვის, ტრიალებს,
> არის შეჯიბრი წარმოებების,
> ჰქმნიან საბჭოთა ინდუსტრიალიზმს
> ჩვენი ლექსებიც და პოემებიც.

ძნელია უკეთესად განსაზღვრო ის ადგილი და მნიშვნელობა, რომელიც პოეტს მიეკუთვნება ჩვენს ყოფასა და სოციალურ გარემოში. ეს არ არის მარტოოდენ ლამაზად თქმული ფრაზები. ეს პოეტის შემოქმედების მთელი შინაარსია.

პოეზიაში მთავარი ის არის, თუ რა თვალით გაჰხედავ სინამდვილეს, რა ასპექტში დაინახავ მას. აქ ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა სურათები წარიტაცებენ თვალს იმ პოეტისას, რომელიც ახალ საქართველოსთან ერთად დაიბადა. ის, რა თქმა უნდა, ახალი საქართველოს მხატვარი იქნება. ამიტომ ლექსში „სამშობლო" ის ზატავს ნაცნობსა და, იმავე დროს, ახალ საქართველოს; ეს არ არის უბრალო პეიზაჟი, აქ ბუნების სურათები გადაწნულია ისტორიასთან, სამშობლოს ახალ გეოგრაფიასთან, ხალხის ახალ ყოფასთან, აქ სურათი მოცემულია ისე ორგანულ მთლიანობაში, როგორც მარტო შეუძლია აღზეჭდოს მაღალმა პოეტურმა ფანტაზიამ, მძლავრმა რეალისტურმა ტალანტმა. ამ ლექსში დახატულია ქვეყანა, სადაც არცერთი ხე უნაყოფოდ არ არის, სადაც მთიდან მთაზე გზა ისე დაკლაკნილად გადადის, რომ ელვა გეგონებათ; მთებს, ტყეებს ფარჩის ტანსაცმელი ჩაუცვამთ, დაბლა ბარში კი ფოთლების ლაჟვარდებში ბრწყინავენ ატმები და ალუბლები, იქით, თავთუხების ზღვა ღელავს, მეორე მხარეს მთის ფერდობები ცხვრის ღრუბლებით არის დაფარული.

გაფურჩქვნილა ქვეყანა და ამ ყვავილებთან ერთად ყვავილებივით გაშლილან დროშები.

ეს ახალი საქართველოა, მისი ახალი სოფელია, სადაც ეზოებში დგას რძისა და კარაქის სურნელება. მეორე ლექსში პოეტი წერს:

> ისმის მთით დაჯახებულის
> წყალთა ქარიშხლის დუღილი,
> შრომაში გაჩაღებული
> ბრძოლის ხმაა და ქუხილი.
> შენი ხმაც, ჰქუხდეს, პოეტო,
> მგზნებარე გულის ნადებად,
> ქვეყანას ლექსი მოედოს,
> როგორც მზის ამონათება-

პოეტი ხანდახან გაიხსენებს ხოლმე ამ მიწიერი სამოთხის წარსულს:

> მისი მინდვრები, მთის ხავერდები,
> ვის არ უთელავს, რა ჯურის ხალხებს,
> ვის არ ულეწავს მისი გვერდები,
> შავი ზღვისა თუ კასპიის ტალღებს,

პოეტისათვის ძვირფასი და მარად დაუვიწყარია ყოველი კუთხე, ყოველი მტკაველი მიწა საქართველოსი. რა ნათლად, პირდაპირ ხელშესახებად არის დახატული ბარის სამეგრელო, სადაც წყნარდებიან კავკასიონის მთებიდან წამოსული გადარეული მდინარეები, კოლხეთის ბარში რომ დადუმდებიან ხოლმე, ხორგისა და ქარიატას გზები, შავ ზღვასთან რომ გაჰყავხართ. პოეტის ლექსი ისეა დაკავშირებული მიწის ფესვებთან, რომ ის სადაც გინდა გადაიტანო, რომელ ენაზეც გინდა გადაითარგმნოს, სამშობლო მიწის სურნელს მაინც შეინარჩუნებს. ეს სურნელი გვესმის ჩვენ ლექსებიდან „კოლხიდა" (1938 წ.) „ხორგა" (1924-1934 წწ.) „მტკვრისტანი" (1925 წ.) და მრავალ სხვა ლექსებში.

რაოდენი გულის თრთოლვით, რაოდენი სიყვარულით დაჰხარის პოეტი დამღოვრებულ ხობისწყალს, ზღვას რომ უახლოვდება და თავისი პირვანდელი მჩქეფარება რომ დაუკარგავს. ანდა გავიხსენოთ გურიისა და სამეგრელოს ერ-

11. „მნათობი", № 4.

თიანი პეიზაჟი, დაწერილი თითქოს ერთი ამოსუნთქვით.

სამეგრელოს და გურიას შორის,
არც გალავანი, არც ქონგურია,
ჩვენი გულისთქმა და ძარღვისცემა
აქ სუფსისწყალი, იქ ენგურია.

აქ მამაკაცი ტკბილ სიმღერას ჰგავს,
იქ ყველა ქალი ხომ ჩონგურია,
მუდამ ცოცხლობდე, მუდამ ფეთქავდე,
შენ, საქართველოს გულო, გურია!

ასევე შთაგონებული სტრიქონებით ხატავს ის ქართლს, საგურამოს გაზაფხულს:

ბრწყინავს მიდამო,
ხეხილები გაპენტილია,
აყვავდა ქართლის გაზაფხული,
ჩვენო ილია!

უკვდავ ჰიმნს უძღვის პოეტი კახეთს:

რომ საქართველო მარად იწამო
ალაზნის ველსაც უნდა გახედო,
ვაზის ბაღნარი ფარავს მიდამოს,
რა ლამაზი ხარ, ჰოი, კახეთო!

შენი შავ-ტუხა გოგო-ბიჭები,
სასძლოდ, სასიძოდ განვიზრახეთო,
სტუმრად გვეძახი, გვეპატიჟები,
ქორწილს შეჰხარი, ჰოი კახეთო!

ყოველივე ეს პოეტის სამშობლოა, ეს ის მიწაა, რომელიც მას შთააგონებს, აძლევს მის ლექსს სიცოცხლის ძალას, უჩვეულო მომხიბვლელობას. აქ გამოჩნდა ახალი ნიშანთვისება საბჭოთა პოეზიისა — ამაღლებული საბჭოთა პატრიოტიზმი, აქ ალიო მირცხულავამ პირველი კვალი გაიტანა ჩვენს საბჭოთა ქართულ პოეზიაში და ამაშია მისი ისტორიული დამსახურებაც.

* * *

პოეტის შემოქმედებაზე ჩვენ სრული და ნათელი წარმოდგენა არ გვექნება, თუ არ გავითვალისწინებთ იმ შესანიშნავ ლექსებს, რომლებიც ალიო მირცხულავამ წლების მანძილზე მიუძღვნა ადამიანის ამამაღლებელ გრძნობას — სიყვარულს.

აქაც პოეტი წარმატებით აგრძელებს ქართული კლასიკური პოეზიის — ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ტრადიციას. ეს პირველ რიგში იმით იგრძნობა, რომ პოეტის ლექსში სიყვარული მუდამ წმინდა, ღრმა ადამიანური შინაარსითაა აღსავსე, ჰუმანიზმის კეთილშობილური გრძნობით არის გამთბარი; პოეტი ხატავს სიყვარულს, როგორც ულამაზეს გამოხსნივებას ადამიანის სულისას, მუდამ კეთილ საქმეს რომ შთააგონებს ადამიანს, გმირობისაკენ მოუხმობს, სამშობლოსათვის ბრძოლაში ამხნევებს, გულს სიცოცხლის, ამა ქვეყნის სიხარულით უვსებს. ამ მხრივ ტიპიურია მისთვის ლექსი „შრომა და სიყვარული" ეს ვიწრო სატრფიალო მოტივზე აგებული ლექსი კი არა, ჰიმნია სიცოცხლისადმი, შრომისადმი, და ეს იმიტომ, რომ თვითონ ახალი ადამიანის სიყვარულია ასე ლაღი, ფართო, ყოვლისდამტევი.

სიცოცხლის ეს სიხარული ისმის ლექსშიც „ფერმის ეზოში", ჭარბი, ლაღი ფერებით არის აქ დახატული მთელი გარემო, თითქოს რძის სურნელსა გრძნობთ და მწველავი ქალიშვილების კისკისიც მოგესმით, იმდენად რეალურია აქ ყოველი სახე და ნიუანსი, ამავე ციკლს ეკუთვნის „კომბაინერის სიმღერა", სადაც ახალგაზრდა ჭაბუკი შეჰხარის თავის გულით საყვარელ ნათელას — გამრჯე ქალს, ჩაის მკრეფავს, ჭილობის ქუდში მზესუმზირას რომ მოჰგავს. პოეტი ადამიანებსაც უმღერის, როგორც უყვავილებს.

ალიო მირცხულავას სატრფიალო ლირიკის შედევრებს წარმოადგენს „საგურამოსაკენ", „თეთრი ქალწული", „პატარას", „პირველი ტრფობა" და მრავალი სხვა.

პოეტისათვის უცხო და უცნობი არ არის ფილოსოფიური ჩაფიქრებაც ადამიანის სიცოცხლეზე. მისი ცხოვრების მიზანზე და აქაც, ამ თემის გადაჭრის დროსაც ის მუდამ ოპტიმისტია, გამსჭვალულია სიცოცხლისმოყვარეობის დაუცხრომელი გრძნობით. ამ მხრივაც იგი ახალი საბჭოთა ლირიკის პრინციპებს ერთგულად და გადაუხვევლად იცავს; ამაზე ნათლად მეტყველებენ მისი ლექსები: „ღამის ფიქრები", „ჩემი წარსული", „დრო და მანძილი", „ნახტომი მზისკენ", „წლები", „გრიგალი", „ლექსი მარადი" და განსაკუთრებით მისი „მინიატურები".

ცხოვრებისეული სიმართლე თითონვე მოითხოვს გამოთქმულ იქნას იგი სადად უშუალოდ, გულწრფელად. ამან განაპირობა მხატვრული ფორმაც ალიო მირცხულავას ლირიკისა. მისი ენა, სახეები, სიუჟეტი მუდამ სადა და წრფელია, უბრალოა, როგორც ეს ცხოვრებას შეეფერება; ესაა ბრძნული უბრალოება, როგორც გორკი იტყოდა ხოლმე, ურომლისოდაც ნამდვილი ხელოვნება არ არსებობს.

* * *

ალიო მირცხულავამ პოეზია აქცია მაღალ ტრიბუნად, რომელიც ემსახურება ეპოქის ყველაზე მოწინავე იდეებს, პარტიას, ხალხს, სამშობლოს.

როცა მთელი ჩვენი ქვეყანა იარაღში იჯდა, მაშინ პოეტის ლექსიც ამ იარაღზე იყო მითვლილი, და ალიო აქაც ცეცხლის მოწინავე ხაზზე იდგა.

ის მოწინავე იყო მაშინაც, როცა მშვიდობა ჩამოდგა და პოეზიამ ახლა შრომის, სიყვარულის, სილამაზის, ლურჯი ცის ტრფიალი დაიწყო.

მშვიდობისა და შრომის ნათელსა და მზიურ პოეზიას მან მრავალზე მრავალი შედევრი შემატა, მან დიდად გაამდიდრა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია .

ალიო წერდა ხუთწლედებზე, დაზგებზე, კომბაინებზე პირველ ინდუსტრიულ კერებზე, ქარხნის ცაში აწვდილ მილებზე. მან პირველმა დაწერა დამკვრელური ბრიგადების მარში, მან შექმნა შრომის პოეზია. ეს არის მთავარი ლიტერატურაში, ეს არის დიდი საქმე. ის უმღეროდა ქართველი ვაჟკაცის მარჯვენას, მისი შრომის მადლს და მან კარგად იცოდა, ეს მარჯვენა რომ არა, არ იქნებოდა ვარძია — კლდეში გამოჭრილი რვასართულიანი ქალაქი, ეს მარჯვენა რომ არა, არ იქნებოდა ჯვარი მცხეთის მთაზე და პირველი ქართული ჰესი მტკვარზე, ჯვრის გადმოსწვრივ; ეს მარჯვენა რომ არა, არ აყვავდებოდნენ ქართლის ბაღები, კახეთის ვენახები და სამეგრელოს პლანტაციები; ეს კეთილი მარჯვენა რომ არა, არ იქნებოდა საქართველო ესოდენ მდიდარი და ლამაზი, არ იქნებოდა ქართულ მერანს ის ფრთები, — ქართული ჩონგურის სიმებს ის ხმიანობა, ახლა მსოფლიოს რომ ესმის.

აი რას გულისხმობს და რას მოიცავს შრომის თემა პოეზიაში და ასე ესმოდა იგი ალიო მირცხულავას.

„კლდეზე ვდგავარ თეთრი ვერხვი, მხრები ამიტოტებია, ვინმე ხრამში თუ გადასცდა, — ხელი გამიწოდებია... ჰე, მამულო! შენს თეთრ გუშაგს განა რული მორევია, ფესვი მიდგას შენს მიწაში, ირგვლივ ქარის მორევია... გაჰქრა ღამე — აღარც ბრძოლა, აღარც ომის ტბორევია. ეს ჭრილობაც, ეს ღიმილიც ტყვიის ნაამბორევია... მეც ვშფოთავდი, საგულეში ცეცხლის ალი ფრიალებდა“... — ამ ლექსის კითხვის დროს მოკვდა პოეტი, მოკვდა უეცრად, ისე, რომ ამოკვნესაც ვერ მოასწრო. მოკვდა როგორც ჯარისკაცი ბრძოლის ველზე. მაგრამ დარჩა და მუდამ ცოცხალი იქნება მისი ლექსი, მისი პოეზია — ეს მშვენიერი მატიანე ჩვენი დროისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

# სარაინდო რომანი და მისი სამყარო

ქართველ ხალხს ელინურ ცივილიზაციასთან იმთავითვე უმჭიდროესი კავშირი ჰქონდა ისტორიული ძნელბედობის გამო, ეს კავშირი არ ყოფილა ყოველთვის ერთნაირად ინტენსიური, მაგრამ ანტიკური სამყაროს კეთილმყოფელი გავლენა ღრმად დაეტყო ჩვენს ადრინდელ ყოფასა და აზროვნებას. ამ ურთიერთობის ამსახველი სურათები სამუდამოდ აღიბეჭდა იშვიათი სიღრმისა და სილამაზის მითებში, კაცობრიობის კულტურის გარიჟრაჟზე რომ შეიქმნა.

წარსულის უმდიდრესი მემკვიდრეობისადმი შეუნელებელი ინტერესი ბადებს სურვილს, ცოცხლად წარმოვიდგინოთ ამათუიმ მნიშვნელოვან ეპოქაში სულიერ ფასეულობათა შექმნის ერთიანი, კანონზომიერი პროცესი. ამგვარი ინტერესის კონკრეტულ გამოვლინებად მიგვაჩნია თბილისის უნივერსიტეტის მიერ ახლახან გამოცემული ალექსანდრე ალექსიძის მონოგრაფია „ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო (XIII—XIV ს. ს.)."

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ადრეული ხანის ბერძნული რომანი ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და ამ მხრივ დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურასაც არ მოეპოვება რაიმე თვალსაჩინო მიღწევები, წინათაობების მკვლევართა ნაშრომებს საგრძნობლად რომ აღემატებოდეს; დროდადრო აღმოჩენილ პაპირუსებს — ანტიკურ რომანთა ფრაგმენტებს, სხვა მნიშვნელოვან ცნობებსა და პირველწყაროებს რომ შეიცავს — ხშირად შესწორება შეაქვს ცალკეულ ნაწარმოებთა დათარიღებასა თუ წარმომავლობაში. ეს გარემოება აძნელებს აღნიშნული პრობლემის კომპლექსურად შესწავლას და რამდენადმე მყარი, შემაჯამებელი თვალსაზრისის შემუშავებას.

ალექსანდრე ალექსიძე თავიდანვე მიუთითებს, რომ დღემდე ასევე სათანადოდ შეუსწავლელია შუა საუკუნეების ბერძნული სარაინდო რომანი—ანტიკური რომანის სამყაროსა და მხატვრული ხერხების აღორძინების მეტად თავისებური ცდა. ეს ფაქტი კიდევ უფრო ზრდის წინამდებარე წიგნის მნიშვნელობას.

ძალზე საყურადღებოა ავტორის ერთი წინასწარი (შემდგომში სავსებით გამართლებული) განცხადება, სადაც შრომის ძირითადი პათოსი და მიზანდასახულობაა გამჟღავნებული:

„ბიზანტიური საერო მწერლობისადმი და კერძოდ რომანებისადმი ჩვენი ინტერესის უმთავრეს საფუძველს ყოველთვის წარმოადგენდა რუსთაველი. ჩვენი ღრმა რწმენით რუსთველოლოგიური პრობლემატიკის სრულფასოვანი კვლევა შეუძლებელია იმ კულტურული პროცესების ცოდნისა და გათვალისწინების გარეშე, რომლებიც მიმდინარეობდა მეზობელ და საქართველოსთან ესოდენ მჭიდროდ დაკავშირებულ ბიზანტიაში" ამ თვალსაზრისით ასევე საგულისხმოა დასავლურ მედიევალურ სამყაროში მიმდინარე კულტურული პროცესებიც, რომლებთანაც ქართულ კულტურას აქვს მრავალმხრივი ტიპოლოგიური მსგავსება (გვ. 4).

ნათქვამმა შესაძლოა მკითხველს წარმოდგენა შეუქმნას, რომ შრომაში უხვად იქნება მოტანილი სიუჟეტური თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ვეფხისტყაოსნის მონათესავე პასაჟები, მაგრამ ეს ასე არაა — ავტორი სულ რამდენიმე მინიშნებით იფარგლება, იგი ქმნის ვრცელ პანორამას, დიდძალი მახვილგონიერი დაკავშირებებით გამთლიანებულ სურათს, რისგანაც სასურველი დასკვნების გამოტანა აღარ გაძნელდება. სწორედ რუსთველოლოგიის პრობლემებით დაინტერესებამ განაპირობა, რომ ალექსანდრე ალექსიძემ დეტალურად შეისწავლა XII საუკუნის ბერძნული სატრფიალო რომანი.

საკითხის ღრმა ცოდნა და მეცნიერული

პრინციპულობა გასდევს ნაშრომის პირველსავე თავს — „ბიზანტიური რომანის სიმბოლურ-ალეგორიული ინტერპრეტაციის გამო“.

კერძოდ, ა. ალექსიძე სამართლიანად ეკამათება ს. პოლიაკოვას, რომელიც XII საუკუნის ბიზანტიურ რომანში სამყაროს სიმბოლურ-ალეგორიულ აღქმას გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამგვარი კონცეფციის გასამაგრებლად როგორც ჩვენი, ასევე საზღვარგარეთელი სპეციალისტები იმოწმებენ წარმართული კულტურის ძეგლებს (ჰელიოდორეს „ეთიოპიკა“, აქილევს ტატიოსის „ლევკიპე და კლიტოფონტე“ და სხვ.), სადაც მართლაც უხვად მოიპოვება მითოლოგიური პასაჟები და აშკარა სიმბოლოებით აზროვნების შემთხვევები, მაგრამ ყოველ პერსონაჟში, ყველა საგანსა თუ მოვლენაში ფარული ჩანაფიქრის ძიება არ არის გამართლებული.

მაგალითად, ერთ-ერთი უცხოელი მკვლევარი (პ. ტარნერი) მთლიან ალეგორიად ესახება ლონგეს ბუკოლიკური რომანი „დაფნისი და ქლოე“. თუმცა რომანი ღვთაებათა შორის უძლიერესის, ეროტის ცეცხლითაა შთაგონებული, ძნელია მასში არ დავინახოთ რეალური პლანი, ადამიანთა ოფლითა და გარჯით გამშვენიერებული ამქვეყნიური სამოთხე, სიყვარულის უჭკნობი სამკვიდრო. ამდენად, მართებულია პ. ტარნერის მიმართ გამოთქმული საყვედური, რომ ნაწარმოების ამგვარი ინტერპრეტაციის გამო, მისი დაკვირვების მიღმა დარჩა ლონგე-მხატვარი. ცოცხალი ნაწარმოები მხოლოდ იდეებისა და რელიგიური დოგმების ილუსტრაცია ვერასოდეს ვერ იქნება.

ცნობილია თუ რა თამამ მეტაფორულ აზროვნებას ამჟღავნებს თავის რომანში აქილევს ტატიოსი. „კოცნას ხომ ადამიანის სხეულის უმშვენიერესი ნაწილი ბადებს: — წერს იგი, — ბაგეები — სიტყვათა წყაროა, სიტყვები კი — ლანდია სულისა“.

ერთგან, სადაც ახალგაზრდა ზევსის წმინდა ქანდაკია აღწერილი (ზევსს გაშვერილ ხელში ბროწეული უჭირავს), ტატიოსი ამბობს: „ამ ნაყოფში რაღაც მისტიკური აზრია ჩადებული“, ჩვენ ვხვდებით — აქ ნაყოფიერების სიმბოლოზე უნდა იყოს მინიშნება, თუმცა სიმბოლოს ერთი განზომილება არ გააჩნია.

ასევე ალეგორიული ხასიათისაა უაღრესად პოეტური ადგილი შეყვარებულ (მოპირდაპირე სქესის) ფინიკის პალმებზე, დაშორებულები ერთმანეთისაკენ რომ იხრებიან. მათს ერთმანეთზე დამყნას მწერალი „მცენარეთა ქორწინებას“ უწოდებს.

ერთგან, როცა ეგვიპტური ხარის, ჰაპისის რქების საოცარ სიმეტრიულობასა და სრულყოფილებაზე წერს, ტატიოსი ხუმრობის კილოთი შენიშნავს: „თუ ევროპაზე შექმნილი მითი ჭეშმარიტებაა, ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ზევსი სწორედ ეგვიპტურ ხარად გარდაისახა“.

მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა შუა საუკუნეების ბიზანტიური რომანებიდან, სადაც სიმბოლურ-ალეგორიული ფიგურების სიჭარბე შეიმჩნევა, მაგრამ სიმბოლიკით გადამეტებული გატაცება მეტწილად გარედან თავს მოხვეულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ძველთაგანვე შეინიშნებოდა და ამჟამადაც ბლომად გვაქვს შემთხვევები, როცა ამათუიმ ნაწარმოებში მისი შემფასებელი ისეთ რამეს ამოიკითხავს, რაც ავტორს არც დასიზმრებია.

ერთმა თანამედროვე უცხოელმა მწერალმა ჟურნალისტის შეკითხვებზე — რა მნიშვნელობას აძლევს იგი კრიტიკოსთა სტატიებს, უპასუხა: ვკითხულობ ჩემზე დაწერილ რეცენზიას იმის გასაგებად თუ რა აზრი ჩავდე ჩემსავე რომანშიო.

ა. ალექსიძე სრულებითაც არ ფიქრობს, რომ როგორც ადრინდელი, ასევე გვიანი საუკუნეების ბერძნულ რომანებში ალეგორიების ძიება უნიადაგოა, მაგრამ ასეთი მიდგომის აბსოლუტიზაციის წინააღმდეგია.

მედიევალურ მწერლობაში საერო ნაკადების მომძლავრებას ითვალისწინებს მკვლევარი, რომელსაც წერს: „სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება ბიზანტიური კულტურული ცხოვრების, ამ ცხოვრების მრავალფეროვანი მოზაიკის მხოლოდ ერთი ფერია. XII საუკუნეში ბიზანტიურ მოზაიკაში ჩნდება ახალი, მკვეთრი და თვალსაჩინო ფერები“. (გვ. 8.).

ძალზე მოხდენილია სიტყვა „მოზაიკა“ ბიზანტიური ყოფისა და კულტურის დასახასიათებლად. ამავე თავში საგანგებოდაა ლაპარაკი იმ უმნიშვნელოვანეს მისიაზე, რაც კულტურული მსოფლიოს ისტორიაში XII საუკუნემ შეასრულა. ბევრის მთქმელია ფრანგი მეცნიერის ა. დავანსონის სიტყვები, ა. ალექსიძეს რომ მოაქვს: „XII საუკუნე იყო დასავლური ცივილიზაციის ერთი ყველაზე დიდი საუკუნე. მისი გენეზისის ერთ-ერთი ყველაზე გადამწყვეტი ეტაპი“.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ჩვენი ერის სულიერი ენერგია მაქსიმალურად სწორედ XII საუკუნეში გამოვლინდა.

ეს იყო მთელს დასავლურ სამყაროში ჰუმანიზმის უჩვეულო აყვავების ხანა და თავისუფალი, ფილოსოფიური თუ რელიგიური დოგმებისაგან შეუზღუდავი აზროვნების სფეროში მას ვერც ერთი ადრინდელი საუკუნე ვერ შეედრება.

ამავე ეპოქასთან დაკავშირებით მკვლევარი საგანგებოდ ჩერდება ტრუბადურულ პოეზიაზე, როგორც ევროპული რენესანსის ერთ-ერთ მძლავრ ტალღაზე. ლაპარაკია ამ პოეზიის ჰუმანურ საწყისებზე, კერძოდ, ქალისადმი ჭეშმარიტად რაინდულ, ამაღლებულ დამოკიდებულებაზე. სატრფიალო მოტივთა დამუშავებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ამ ლიტერატურას, რომელიც „...დაიბადა XI საუკუ-

ნის ბოლოს ანტიკური ნანგრევებით მოფენილი და სამხრეთის მზით განათებული პროვანსის მიწაზე". (გვ. 12).

როცა საქმე ევროპული სარაინდო რომანის წარმოშობას ეხება, მკვლევარი, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლიდა ისეთ თვალსაჩინო ფიგურას, როგორიც კრეტიენ დე ტრუა იყო. არტურის ციკლის რომანების უტოპიური, ფანტასტიკური ხასიათის მიუხედავად, მკვლევარის აზრით, ამ თავისებურად დამუშავებულ, გალექსილ ლეგენდებში „... მოქმედებენ რეალური ადამიანები, რომელთაც ამოძრავებთ ძლიერი ვნებები, რომელთა ეთიკა, წარმოდგენა სილამაზეზე და ბედნიერებაზე დიდად განსხვავდება ოფიციალური მორალისაგან, ტრადიციული ნორმებისაგან".

უაღრესად საინტერესოა ა. ალექსიძის დაკვირვებანი ბიზანტიური საერო რომანის პასაჟებზე, ბიბლიურ ეგზეგეტიკასთან მიმართებაში ევსტათი მაკრემბოლიტის რომანი „ისმინე და ისმინიასი" უხვ მასალას აძლევს მკვლევარს პარალელი გაავლოს „ქებათა-ქების" ენასა და სტილთან; ნათელი ხდება, რომ ბიბლიური წარმოშობის პოეტურ სახეებს პირვანდელი აზრი და ცხოველმყოფელობა აქვს შენარჩუნებული, თამამი, გრანდიოზული მეტაფორები ქალის ხორციელი სილამაზის გადმოსაცემადაა მოხმობილი („... იგი მედგარ წინააღმდეგობას მიწევს, მთელი სხეულით იცავს მკერდს, ისე როგორც ქალაქი იცავს ხოლმე თავის აკროპოლისს"..). აქ ამაოა რაიმე ალეგორიული ფენის ძიება. მსგავსი მაგალითები იშვიათობა როდია. ბიზანტიურ რომანებში აღორძინებული წარმართული სული და წმინდა წიგნების გამომსახველობითი ხერხების თავისებური ათვისება, ეგზეგეტიკის შტამპების გარღვევა უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ „საერო ლიტერატურის ერთ-ერთ წყაროდ შეიძლებოდა ქცეულიყვნენ თვით ბიბლიური წიგნები". (გვ.33).

ნაშრომის მომდევნო თავში („რაინდები, რომანისტები, რედაქტორები, ფილოლოგები") ნათქვამია იმ ხავალალო პრიორიტეტზე, ევროპელ ჯვაროსნებს თურქ ბარბაროსთა წინაშე რომ ჰქონდათ და რაც 1204 წელს კონსტანტინეპოლის დამხობასა და ხელოვნების უიშვიათეს ძეგლთა განადგურებაში გამოიხატა.

ეს წელი შემთხვევით არ არის ნახსენები და მკვლევარს XII და XIV საუკუნეებს შორის მიჯნად, ლათინური პერიოდის დასაწყისად ესახება. მხატვრული და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძალზე თავისებური სურათი იშლება დროის ამ მონაკვეთში მოქცეულ „... ცვალებად ისტორიულ-კულტურულ ფონზე".

დღესდღეობით შეუძლებელია ვინმეს ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ „ევროპული ლიტერატურის ცოცხალი პროცესის წარმოდგენა შეუძლებელია ლათინურენოვანი ლიტერატურის გარეშე". (გვ. 48).

ა. ალექსიძეს საგანგებოდ აქვს აღნიშნული თუ როგორ დაამახინჯა საერთო სურათი ბიზანტიური ლიტერატურის სასულიერო და საერო მწერლობებად მკვეთრად გამიჯვნის ტრადიციამ; კერძოდ, იგი მწვავედ აკრიტიკებს კ. კრუმბახერისეულ სქემას, რომელსაც ბიზანტიური მწერლობის მრავალი უმნიშვნელოვანესი ძეგლი ვერ მოერგო.

ფრიად საყურადღებოა შუასაუკუნეების რომანების ტიპოლოგიურად დაჯგუფების ცდა, მათი ორ წრედ დალაგება. პირველ წრეში ა. ალექსიძე ათავსებს X ს. ბიზანტიურ საგმირო ეპოსს „დიგენის აკრიტასს", ფრანგულ „როლანდის სიმღერას" (XI-XII ს. ს.), ქართულ „ამირანდარეჯანიანს"... აქვე მითითებულია ნიშნები, რომელთა საფუძველზე მათი ერთ რკალში მოქცევა გამართლებულია: „ძალისა და გმირობის კულტი, გმირის ფუნქციათა უპირატესად საზოგადოებრივი, სამხედრო-ფეოდალური ხასიათი. ქალის როლი — დაქვემდებარებული, მეორე ხარისხოვანი"...

მკითხველისთვის, და, რა თქმა უნდა,თვით წიგნის ავტორისათვისაც. უმთავრესია მეორე წრე, რომელიც ა. ალექსიძის სქემაში ასე გამოიყურება: „ბიზანტიური სატრფიალო და სარაინდო რომანები (XII-XIVს.ს.), ფრანგული კურტუაზიული რომანი — კრეტიენ დე ტრუა (XII ს. მეორე ნახევარი — XIII ს.), რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" (ქალი იქცევა ცენტრად, სიყვარული — ნაწარმოების მთავარ თემად და გმირის მთავარ ფუნქციად). ანალიზი ამ მიმართულებით საინტერესო უნდა იყოს, როგორც მსგავსებათა, ასევე სხვაობათა გამოვლენის თვალსაზრისით". (გვ. 42).

მოტანილი სქემა, რა თქმა უნდა, არ გახლავთ ყოვლისმომცველი და გაურღვეველი, მაგრამ აქ ზუსტადაა მონახული ადგილი, მონიშნულია ის კულტურული არეალი, სადაც ბუნებრივად თავსდება რუსთაველის ქმნილება. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული და უკუგდებული აკად. ნ. კონრადის მცდარი დებულება, რუსთაველის საიუბილეო ზეიმზე გამოთქმული და შემდგომ მისსავე წიგნში შეტანილი, თითქოს „ვეფხისტყაოსანი" აღმოსავლური ლიტერატურის ტიპის პოემა იყოს (იხ. რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, გვ. 204-212).

დასავლურ სარაინდო რომანთან (კერძოდ, ეშენბახის „პარციფალი") „ვეფხისტყაოსნის" ჟანრულ ნათესაობაზე რამდენიმე წელია მუშაობს ნ. კაკაბაძე და თავისი მუშაობის შედეგები კიდევაც გამოაქვეყნა. (ვოლფრამ ეშენბახის პოეტურ მეწკვიდრეობაში რუსთაველის მონათესავე ტენდენციების არსებობაზე მიუთითებს პ. შარია, მაგრამ იგი პრინციპუ-

ლად წინააღმდეგია „ვეფხისტყაოსნის“ დასავლურ სარაინდო რომანებთან დაკავშირებისა). ამ შემთხვევაში რომანი, ერთგვარად, პირობითი ცნებაა, ჟანრის აღმნიშვნელი დღევანდელი გაგება არ გააჩნია, იონა მეუნარგიას მიერ შედგენილი კითხვარიდან, რაზედაც აკაკი წერეთელმა გასცა პასუხი („რომანში ვინ გირჩევნია კაცთაგან? — ავთანდილი“. „ქალთაგან ვინ მოგწონს რომანში? — ნესტანდარეჯანი“...), ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ჩვენი ახლო წინაპრები რომანად აღიქვამდნენ. ამდენად, მის მიმართ ამ ტერმინის გამოყენება არ უნდა გვეჩოთიროს.

„ვეფხისტყაოსნის“ ადგილისა და მნიშვნელობის დადგენაზე მსოფლიო ლიტერატურაში დიდი შრომა გასწიეს ჩვენმა მკვლევარებმა, უპირველეს ყოვლისა, რუსთველოლოგებმა, მაგრამ მათვე მოეხსენებათ, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

შეუძლებელია გულგრილად წავიკითხოთ ა. ალექსიძის მიერ სქოლიოში გატანილი ერთი იშვიათი და უცნაური დეტალი. საქმე ეხება 1147 წლის ჯვაროსნულ ლაშქრობას, რომელსაც წინ მიუძღვოდა ტრუბადურთა მუზად ცნობილი ახალგაზრდა დედოფალი ელეონორა აქვიტანელი. ა. ალექსიძეს მოაქვს ფ. მეერის ცნობა, რომლის წარმომავლობაზე თავად ავსტრიელი მეცნიერი არ უთითებს. აი ჩვენთვის საინტერესო ადგილიც: „1147 წლის ჯვაროსნული ლაშქრობა იწყება როგორც ჯადოსნური ზღაპარი, მაგრამ მალე იქცევა კატასტროფად. ხ ე ვ ს უ რ ე ბ მ ა, კ ა ვ კ ა ს ი უ რ მ ა ტ ო მ მ ა, დღემდე შეინარჩუნეს მისი ცოცხალი მოგონება. შუა საუკუნეების იარაღით აღჭურვილნი, ისინი მართავენ ორთაბრძოლებს და ტურნირებს და წამოსძახებენ ძველ სიმღერას: „ფრანკ მეომრებს ჰყავთ დედოფალი ელეონორა, ელეონორა!“ კარგი იქნებოდა ამ ცნობის პირველწყაროს მიკვლევა რომ მოხერხდებოდეს.

ნაშრომის აღნიშნული ნაკვეთი ვრცელ განხილვას იმსახურებს, მაგრამ ეს პატარა წერილი ამის საშუალებას არ იძლევა.

ბერძნული გალექსილი რომანის „კალიმახე და ხროსოროეს“ ჟანრულ თავისებურებათა გამოსავლინებლად ა. ალექსიძეს უაღრესად დიდი და მრავალმხრივი სამუშაო ჩაუტარებია. ამ საკითხს მთლიანად ეძღვნება წიგნის მესამე თავი. ნაწარმოების ზღაპრულმა ხასიათმა მკვლევარს საშუალება მისცა მისთვის მიესადაგებინა ცნობილი ფოლკლორისტის ვ. პროპის ე. წ. „ფუნქციათა თეორია“, რამაც საუკეთესო შედეგი გამოიღო. რომანში გამოიკვეთა როგორც ზღაპრულ ელემენტთა თანმიმდევრობა, ასევე ზღაპრიდან შეგნებული გადახრის, განდგომის შემთხვევები. ერთ ნაწარმოებში, რაგინდ ზღაპრული იერი არ უნდა ჰქონოდა მას, არ იყო მოსალოდნელი, რომ მიყოლებით ყველა ოცდათერთმეტი ფუნქცია აღმოჩნდებოდა, მაგრამ რადგან მოტივთა ლოგიკური წყობა არ დაირღვა, ექსპერიმენტი სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

„კალიმახე და ხრისორროე“ კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითია იმისა, რომ ზღაპრულ ელემენტს რომანის წარმოშობაში უსათუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს. ა. ალექსიძე სამართლიანად ასკვნის, რომ ამ ნაწარმოებს „... აქვს არა ერთი საწყისი და საფუძველი, არამედ რამდენიმე ჟანრული წყარო“... იგი „არ განეკუთვნება ზღაპრის ჟანრს. შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ იმ ზღაპრების ტიპებზე, რომელთაც იყენებს, ემყარება მწერალი რომანის შექმნის პროცესში“.

ა. ალექსიძე ჭეშმარიტებად მიიჩნევს, და სავსებით სამართლიანადაც, რომ XIV საუკუნის მწერლის მანუილ ფილესის ეპიგრამაში სწორედ ამ რომანზეა ლაპარაკი და „კალიმახესა და ხრისორროეს“ ავტორი არის სამეფო გვარეულობის წარმომადგენელი ანდრონიკე პალეოლოგი. ქართველი მკვლევარი დამაჯერებლად აბათილებს ბ. კნოსის კონტრარგუმენტებს, რითაც ე. მარტინის მიერ გასულ საუკუნეში გამოთქმული ჰიპოთეზა ჭეშმარიტების ღირებულებას იძენს.

პოლემიკური იერი დაჰკრავს წიგნის მეოთხე თავსაც — „სიყვარული — ბერძნული რომანის აღმოჩენა“. ავტორი სადავოდ ხდის და, სრულიად სამართლიანადაც, ფრანგი მედიევისტის გუსტავ კოჰენის დებულებას, თითქოს ნამდვილი, წმინდა სიყვარულის გაგება XII საუკუნის ფრანგულ რომანს მოეტანოს.

ა. ალექსიძე გვერდს არ უვლის ქალის, სიყვარულის იმ ნაირგვარ გაგებას, ანტიკური ხანის ფილოსოფოსებსა და მწერლებს რომ გააჩნდათ, აანალიზებს სხვადასხვა ხასიათის ძეგლებს, გადმოგვცემს ზნეობაზე მათს განსხვავებულ წარმოდგენებს, მაგრამ იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ „... ელინისტური ხანის იდეურად, მორალურად ჭრელ, ქაოტიურ სამყაროში რომანისტები გადაჭრით ემიჯნებიან ყოველივე ანორმალურს და უკომპრომისოდ ამკვიდრებენ მათი აზრით ერთადერთი ჭეშმარიტი სიყვარულის — სუფთა და ამაღლებული სიყვარულის იდეალს.“

ისიც საგულისხმოა, როცა რაიმე მოვლენას ისტორიულად დაშორებული მანძილიდან ვაფასებთ, უნდა გავითვალისწინოთ იმ გარდასული ეპოქის სპეციფიკა, თვით ხალხის სულიერი წყობა, ზნეობრივი შეხედულებანი. სწორედ ამას გულისხმობს წიგნის ავტორი, როდესაც წერს: „ერთ და იმავე მოვლენას, ერთ და იმავე ზნეობრივ, ეთიკურ სისტემას სხვადასხვა ისტორიულ კონტექსტში აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა და ღირებულება, ის, რაც მაღალზნეობრივია, ოფიციალურ მორალურ ნორმებზე ამაღლებულია ელინისტური ეპოქის ფო-

ნზე, ქრისტიანული XII საუკუნის ოფიციალური ნორმების თვალსაზრისით არის არანორმალური და ამორალური". (გვ. 99).

ლიტერატურის ისტორიამ ამის არაერთი შემთხვევა იცის. მაგალითად, ეროტიზმით გამსჭვალული უძველესი ინდური ძეგლები, რომლებიც თანამედროვეებს საკრალურ წიგნებად მიაჩნდათ, დღევანდელი ევროპელი სპეციალისტების თვალში პორნოგრაფიად აღიქმება.

საგულდაგულო ანალიზის ღირსია, აგრეთვე, წიგნის ვრცელი, მეხუთე თავი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მომენტს შევეხებით. სათაურიდანვე ჩანს („ერთ სულ, ერთ ხორც"...), რომ აქ ნაგულისხმევია ულალატო, ერთმანეთისადმი თავშეწირული სიყვარული, რაც ბერძნულ რომანს ანტიკური ხანიდან მოსდგამს და რამაც მეტი სრულყოფა და დახვეწა ჰპოვა XII საუკუნისა და შემდგომი დროის ბიზანტიურ რომანში.

ამავე თავში ავტორი აკეთებს პრინციპული ხასიათის დასკვნას, რომ „... შუასაუკუნეების ლიტერატურაში სატრფიალო ნაკადის ევოლუციამ ფრანგული მწერლობა მიიყვანა სიყვარულის ბერძნულ იდეალამდე (ხაზგასმა ავტორისაა), იმ პრინციპებამდე, რომლებიც... გამონაკლისის გარეშე არის გატარებული ყველა ელინისტურ და XII ს. ბიზანტიურ სატრფიალო რომანში."

ცალკეა ლაპარაკი კურტუაზიული პოეზიის ისეთ არსებით ელემენტზე, როგორიცაა „შორით სიყვარული" ანუ „შორით ბნედა". ნათქვამია შუასაუკუნეების დასავლური და აღმოსავლური ლიტერატურის გავრცელებულ გმირზე — სატრფოს დაკარგვით გახელებულ რაინდზე. ამ შემთხვევაში სიყვარული მიჩნეულია „ღვთაებრივ სიგიჟედ" (იგივე რუსთაველის „ხელობა") და მისგან თავგზააბნეული მიჯნურის საქციელი საძრახისად არ ითვლება.

ბიზანტიური რომანი „ბელთანდრე და ხრისანცა" სხვადასხვა ადგილას მრავალ ასპექტშია განხილული, მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა დეტალმა, რაზედაც ა. ალექსიძე საგანგებოდ ჩერდება; ესაა მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირზე ერთმანეთის შესახვედრად მორბენალი შეყვარებულები, რომელთაც ასევე ერთმანეთისაგან გათიშული გვრიტები დასდევენ მხარდამხარ; დედალი ფრინველი — ხრისანცას; მამალი — ბელთანდრეს.

გვრიტები, როგორც უერთგულესი მეუღლეობის სიმბოლო ბიბლიიდანაა ცნობილი და ეს მოტივი ქართულ მწერლობაშიც, კერძოდ შავთელის „აბდულმესიანში" არის გამოყენებული, რის თაობაზეც ძალზე საინტერესო დაკვირვებები გვხვდება აკად. ალ. ბარამიძის ერთ-ერთ ნაშრომში (იხ. მისი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, გვ. 125-126).

ა. ალექსიძე ცალკე განიხილავს ბერძნულ რომანში სიყვარულის ახსნის ნაირგვარ ფორმებს; ერთ-ერთი ამგვარი ფორმა წერილებია. „ლიბისტრეს" მაგალითზე კარგადაა ნაჩვენები თუ რა ეფექტური საშუალებაა წერილები ქალ-ვაჟთა დაახლოებაში. როდამნესადმი გაგზავნილ ლიბისტრეს ზოგ, ლირიკული ელერადობის წერილს ავტორი სერენადას უწოდებს...

საინტერესო სახე ჩანს შეყვარებულთა ხელისშემწყობი, შუამავალი ქალი ბეტანე. მან შორეულად შესაძლოა ასმათიც კი მოგვაგონოს; კერძოდ, იმ ადგილას, როცა პაემანის ადგილზე ბეტანე ხვდება როდამნეს და ცხენს ჩამოართმევს. აქ ქართველ მკითხველს უნებურად ახსენდება ქვაბის კარს მიმდგარი ავთანდილი, რომელსაც გახარებული ასმათი გამოეგებება. თუმცა ამ ეპიზოდების აზრი და რანგიც სხვადასხვაა, ერთგვარი გარეგნული მსგავსება მაინც შეინიშნება.

დიდძალი მეცნიერულ-ლიტერატურული მასალაა მოხმობილი და გაანალიზებული წიგნის ერთ-ერთ ცენტრალურ, მეექვსე თავში („რეალური და ირეალური, შესაძლებელი და შეუძლებელი"). მკვლევარი თავიდანვე ხაზს უსვამს ფანტასტიკურისა და რეალურის იმ თავისებურ, ძნელად გასამიჯნავ ნაზავს, ასე ხშირად რომ გვხვდება შუა საუკუნეების მწერალთა შემოქმედებაში:

„ბიზანტიური სარაინდო რომანი — ბერძნული მედიევალური მხატვრული აზროვნებისა და ესთეტიკის პროდუქტი, წარმოადგენს სწორედ ასეთ — ნახევრად მართალ და ნახევრად არამართალ სამყაროს, რომელშიც არ არსებობს ბუნებრივისა და არაბუნებრივის მკაფიო შეგრძნება"... (გვ. 146).

ქვემოთ არაერთი მაგალითია მოტანილი იმისა, თუ ნაწარმოებთა მხატვრულ ქსოვილში როგორ ბუნებრივადაა დაცული ეს ზღვარი. თუმცა ბიზანტიელი მწერლები ძველი ბერძნული რომანის იმიტაციას გვთავაზობენ, ცდილობენ „ანტიკური ატმოსფეროსა" და „ტიპიური ანტიკური დეკორის" შექმნას, მაინც, როგორც სწორად შენიშნავს ა. ალექსიძე: „სარაინდო რომანის სამყარო მისი მწერლისა და მკითხველის თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე სამყაროა. ეს სამყარო ქრისტიანულია".

საინტერესოა მკვლევარის განმარტებანი მედიევალურ ლიტერატურასთან დაკავშირებული რეალიზმის ცნებაზე. აქ იგი გამოყოფს ამ უმნიშვნელოვანესი მეთოდის ორ განშტოებას: პირველია ა ზ რ ი ს რ ე ა ლ ი ზ მ ი, რომელიც იდეების სამყაროზე პლატონის მოძღვრების განვითარებას წარმოადგენს და რაც ალეგორიული ფიგურებით, სიმბოლოებით სიყვარულის უზენაესი სამყაროს წარმოსახვას ემსახურება; მეორეა ხ ე დ ვ ი ს რ ე ა ლ ი ზ მ ი, ცხოვრების, ყოფიერების რეალისტურად ასახვის ცალკეულ ცდებს რომ ითვალისწინებს.

ცალკე ადგილი აქვს დათმობილი უცნაურ ნაგებობათა თუ რთული მექანიზმის მქონე ტექ-

ნდურ სასწაულთა შემოქმედებას გმირთა ფსიქიკაზე. რაიმეთი გაკვირვება თუ ალტაცება, დაუოკებელი ცნობისწადილის გამომჟღავნება დახასიათებულია როგორც ბიზანტიელთა ერთ-ერთი გამორჩეული თვისება. მხატვრობისა და არქიტექტურის გრანდიოზული ქმნილებები, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი ტექნიკური გამოგონებანი უხვ მასალას აძლევდა შემოქმედს, აღაგზნებდა მის ფანტაზიას და ყოველივე იდუმალების ხიბლით ეხვეოდა.

ბუნებრივია, მკვლევარი უყურადღებოდ ვერ დატოვებდა ისეთ რთულსა და მნიშვნელოვან ფენომენს, როგორიცაა სიზმარი; შეუძლებელია არ თქმულიყო თვალსაჩინო როლსა და დანიშნულებაზე, ამ საოცარ მოვლენას კონკრეტულად ბიზანტიურ მწერლობაში რომ გააჩნია. ძალზე შთამბეჭდავია V ს. ბიზანტიელი მწერლის სინესიოს კირენელის ტრაქტატის ნაწყვეტი, რაც სიზმრისადმი ბიზანტიელთა მძაფრ ინტერესზე მეტყველებს.

ნათქვამია სიზმრის ფართოდ გავრცელებულ ტიპზე (ევსტათი მაკრემბოლიტის თხზულებაში), წინასწარმეტყველების დაშიფრულ სიგნალს რომ წარმოადგენს და უხსოვარი დროიდანაა ცნობილი ამ მხრივ ნიშანდობლივია ძველეგვიპტური სიბრძნის წიგნიდან მოტანილი ერთი ფრაზა: „ღმერთმა შექმნა სიზმარი იმისათვის, რათა აჩვენოს ადამიანებს გზა, მაშინ როდესაც მათ არ ძალუძთ მომავლის ხილვა".

ა. ალექსიძე ერთი გარკვეული პერიოდითა და ობიექტით როდი იფარგლება; სიზმრისნაირსახოვან ბუნებაზე მსჯელობისას, როგორც დანარჩენ შემთხვევებშიც, იგი მეცნიერული თუ მხატვრული ლიტერატურის უახლეს მონაცემსა და მიღწევებსაც ითვალისწინებს.

სამწუხაროდ, ხდება ხოლმე და არცთუ იშვიათად, ქვეცნობიერის ურთულეს პრობლემას ჯიქურ შეეჭიდება ტიტულებით საკმაოდ შეჭავშნული რომელიმე მეცნიერი; წყაროებად მხოლოდ განსახილველი მწერლის ნაწარმოებებს იყენებს და, საკუთარ მწირ გონებას დანდობილი, თავის პრიმიტიულ კომენტარებსაც იქვე ურთავს. ცხადია, ამგვარი ნაცოდვილარი ვერაფერს შემატებს ვერც მწერალს და ვერც კრიტიკულ აზროვნებას. ცხადია, ჩვენ არავის მოვუწოდებთ კომპრიაობა დაიწყოს; აქა-იქ ამოგლეჯილი უცხოური ციტატებით გატენოს სტატია თუ გამოკვლევა; ეს მეორე უკიდურესობაა და მსგავსი პროვინციალიზმი მაშინვე თვალში ეცემა მკითხველს.

ა. ალექსიძის ერთი უმთავრესი ღირსება ისიცაა, რომ დამოწმებული წყარო არასოდეს არ ტოვებს ნაძალადევის, ზედმეტის შთაბეჭდილებას და ორგანულად ესამება მთლიან ტექსტს, მის განუყოფელ ნაწილად იქცევა.

ამავე თავში მკვლევარი ზუსტად მიუთითებს ბერძნული რომანის არსებით, მდგრად ნიშანზე, მის ცენტრალურ ფიგურაზე, რომლის ნებას ვერა ხორციელი ვერ გადავა:

„ბერძნული რომანის სამყარო სიყვარულის უზენაესი ძალაუფლების სამყაროა, რომელსაც აქვს თავისი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ფორმები, თავისი ეტიკეტი და ტერმინოლოგია. ეს არის წმინდა მითოლოგიურ და ლიტერატურულ ტრადიციებთან დაკავშირებული სისტემა, რომელშიც ქრისტიანული რელიგია თავისი ფორმებით, ეტიკეტით, ლექსიკით ვერ პოულობს ბუნებრივ ადგილს. ბერძნული რომანის სამყარო ბოლომდე რჩება ეროსის სამეუფოდ" (გვ. 166).

ბერძნული რომანის სამყაროს როცა ვეცნობით, ბუნებრივად დგება საკითხი სიყვარულის ორი ტიპის — ეროსისა და აგაპეს — ერთმანეთისაგან გარჩევისა. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება წიგნის მეშვიდე თავი. „ეროსის" ცნებამ ბოლომდე შეინარჩუნა ხორციელი სიყვარულის გაგება და იგი პლატონის ტრადიციულ შეხედულებას უკავშირდება. „აგაპემ", რომელიც თავდაპირველად „კეთილგანწყობას, ღაფასებას, ზრუნვას, მოფერებას აღნიშნავდა, სახარების გავლენით, ქრისტიანული ღვთაებრივი სიყვარულის შინაარსი შეიძინა.

ა. ალექსიძეს „ლიბისტროდან" მოაქვს მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდი, სადაც რომანის ეფემერულ სამყაროში ბუნებრივად მოქმედებენ „უზენაეს ძალთა და იდეათა პერსონიფიკაციები". ეპიზოდის მთავარი ღირსებაა, რომ ალეგორიული ფიგურები სქემებისა და აბსტრაქციის უსიცოცხლო სამყაროში კი არ რჩებიან, ინდივიდუალური ნიშნები გააჩნიათ. მკითხველი ცხადად ხედავს — სხვადასხვა ძალებისაგან (პოთოსი, აგაპე...) ნუგეშცემული, მუხლებზე დამხობილი ლიბისტრე როგორ შესთხოვს ეროსს პატიებას.

მკვლევარი აქვე შენიშნავს: „... ჩვენის აზრით, „ბიზანტიური პროტექციის" ეს სცენა, რომელიც აქამდე საგანგებოდ არავის აღუნიშნავს, წარმოადგენს რომანის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ, ფხიზელი თვალით აღბეჭდილ სურათს. ეს სურათი წარმოდგენილია იქ, სადაც იგი ყველაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი — ალეგორიების, აბსტრაქტული იდეების სამყაროში. ასე საინტერესოდ ხდება ერთმანეთს სარაინდო რომანში იდეის რეალიზმი და ხედვის რეალიზმი, აზროვნების და ასახვის ორი სხვადასხვა სისტემა". (გვ. 174).

ცნობილია ოსტატობის უმაღლესი დონე, ძველ საბერძნეთსა და შუა საუკუნეებში რაიმე საყოფაცხოვრებო ნაკეთობასა თუ ხელოვნების ძეგლს რომ გააჩნდა. ამდენად, ანტიკური ხანიდან მოყოლებული, ბერძენი ხელოსნებასა და ხელოვნებას შორის მკვეთრ ზღვარს არცავლებდა; მას ღვთაებრივის გამოვლენად მიაჩნდა ოსტატის ხელით შექმნილი საოცრება.

„როგორც ცოცხალი", „როგორც ნამდვილი"

— ხშირად აღმოხდებათ ხოლმე ბერძნული რომანის გმირებს ამათუიმ ქმნილებისა ან ძვირფასი ნივთის ხილვისას და ეს საქვანძო გამოთქმები ზუსტად გამოხატავს ესთეტიკურ პრინციპს, იმდროინდელ ხელოვნებას რომ ედო საფუძვლად. ამ ესთეტიკური პრინციპის გახსნასა და დახასიათებას ეძღვნება ნაშრომის ერთ-ერთი საინტერესო თავი „სულიერი და უსულო სილამაზე".

მკვლევარი საგანგებოდ მიუთითებს სარკეზე, როგორც ნატურალისტური ესთეტიკის სიმბოლოზე. ერთ-ერთ რომანში სწორედ სარკითაა მოპირკეთებული აბანოს კედლები, რომლებშიც მთელი სიცხადითა და სიმშვენიერით ირეკლება ნაყოფით დახუნძლული ხეხილი (იშვიათი მასალის წყალობით ეს კედლები არ იორთქლება). საერთოდ, მასალას უდიდესი მნიშვნელობა ეძლეოდა ბიზანტიელთა ყოფაში და ხშირად იგი თვით ხელოვნების ნიმუშის ტოლფასი იყო.

ა. ალექსიძე აქვე აღნიშნავს, რომ „სარკისებურის" გარდა ბიზანტიურ ხელოვნებაში მოქმედებდა მეორე — „ხაზებისა და ფერების სიმბოლური შეხამების, წმინდა ფორმების აბსტრაქტული კომბინირების პრინციპი".

საერთოდ, მშვენიერებას რომ ბუნების ბრმა მიბაძვა არ ქმნის, ამის საუცხოო დადასტურებაა ევსტათი მაკრემბოლიტის რომანის გმირის სიტყვები, იშვიათი ფრესკების ხილვისას აღმონათქვამი: „რა საოცარი რამაა ფერმწერის ხელოვნება! იგი ბუნებაზე უფრო დიდი ხასწაულმოქმედია, რადგან ჯერ აზრით ამწიფებს ჩანაფიქრს, ხოლო შემდეგ ხელოვნებაში ახორციელებს მას".

ა. ალექსიძე აქ ხედავს ხელოვნებისადმი ბერძენი კაცის ტრადიციულ დამოკიდებულებას; ინტერესსა და დაფიქრებას ხელოვანის ფანტასტიკურ, ზღვარდაუდებელ შესაძლებლობებზე და საამიხო სიმბოლოებსაც ასახელებს: „ბერძნებისათვის ეს არის პიგმალიონი, რომელსაც შეუძლია მიუახლოვოს სურათი ნამდვილ სიცოცხლეს, ეს არის ჰეფესტო, დედალოსი, რომელთა ხელიდან გამოდის ისეთი რამ, რისი შექმნაც ძალუძს მხოლოდ უზენაეს დემიურგს".

ბერძნული რომანი ხშირად მიმართავს გამოსახვის ნაირგვარ ხერხებს, დამძიმებულ მეტაფორებს, სამყაროს ბაროკულ აღქმას რომ ენათესავება. ა. ალექსიძე სამართლიანად უპირისპირდება თ. გიბონის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ტროპების სირთულე და სიჭარბე ბაროკული პოეზიის უგემოვნობის მაჩვენებელია და სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ ფაქტს ბაროკოს პოეზიის სპეციფიკა განსაზღვრავს და არა მდარე გემოვნება.

საგანგებოდაა ნათქვამი, აგრეთვე, ბუნების მოვლენათა სიმბოლურ-მეტაფორულ აღქმაზე, რაც მრავალმხრივაა საყურადღებო და რაზედაც ალარაფერს ვიტყვით.

მკვლევარი ფერთა სიმბოლიკასაც არაერთგზის ეხება. იგი არ უარყოფს, რომ მედიევალურ ხელოვნებაში ზოგიერთი ფერი რომელიმე კონკრეტული წმინდანის პორტრეტს უკავშირდება და სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ იმ შემთხვევებზედაც მიუთითებს, როცა ფერებსა და მათს ურთიერთშეხამებას წმინდა ესთეტიკური ფუნქცია აკისრია.

აქვე სამართლიანად შენიშნავს ავტორი, რომ ბიზანტიელები — ბერძნული ყოფისა და კულტურის პირდაპირი მემკვიდრენი — საოცრად მგრძნობიარენი არიან ფერთა მიმართ, უფაქიზესად შეიგრძნობენ ნაირგვარ ქვებსა თუ მეტალებს, იმ იშვიათ მასალას, „ფერთა მუსიკას" რომ წარმოშობს.

ნაშრომში მოტანილი და გაანალიზებული საუცხოო ფრაგმენტები თვალსაჩინო დასტურია იმისა, რომ „ფერთა კომბინირება, ქვათა ურთიერთმისადაგება, ამის შედეგად მიღებული მრავალფეროვნება, ლამაზი, ჰარმონიული ხიჭრელე, ბიზანტიელთათვის ტიპიური, ასე ვთქვათ, მ ო ზ ა ი კ უ რ ი ე ს თ ე ტ ი კ ა (ხაზგასმა ავტორისაა) თავს იჩენს ჩვენი რომანების არაერთ აღწერაში, რომანისტების ლექსიკაში".

წიგნის კომპოზიციაში ორგანულად ზის, მის ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს მეცხრე თავი — „დრო, სიკვდილი და ბედისწერა, სიცილი და ღიმილი".

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბედისწერის მოტივს, რასაც უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება რომანის მოქმედების განვითარებაში, იგი წარმართავს გმირთა ცხოვრებასა და თავგადასავალს.

სხარტადაა დახასიათებული ამ ფატალური მოვლენის სიმბოლო, თვალებახვეული ქალი:

„ღვთაება რომელიც გამოხატავს არამყარობის იდეას, თვითონ გამოდგა არაჩვეულებრივად მყარი".

ბედისწერის ღვთაება — ტიხე — უშუალოდ უკავშირდება დროს, მის ბრუნვას, მუხთალ ბუნებას და ამ მუდმივი ტრიალისა და ბრუნვის აღმნიშვნელია მეტყველებაში დამკვიდრებული ხატოვანი გამოთქმა: „ბედის" ანუ „დროის ბორბალი".

როგორც ანტიკური ხანის, ახევე, შუა საუკუნეების ხელოვნებაში დიდი როლი ეკისრება სიცილსა და ტირილს — სიხარულისა და მწუხარების გამოხატვის მეტაფორულ ფორმას. საკმაოდ ბევრი დაწერილა სიცილის — სამყაროსადმი ფილოსოფიური მიდგომის თავისებურ ხერხებზე, მისი ყოვლისმომცველი ბუნების ხალხურ წარმომავლობაზე.

თვით მოტივი ყირაზე დამდგარი, „გადმობრუნებული სამყაროსი" ასე ცხოველმყოფლად რომ გამოვლინდა მრავალი დიდი ხელოვანის

შემოქმედებაში, ხალხური წარმოშობისაა. ამ მოტივზეა შექმნილი კოშმარული ხილვებით აღსავსე გოგიას „კაპრიჩოები“, თუმცა გოიასთან კვალიც არ ჩანს ხალხის გულუბრყვილო წარმოდგენისა უსამართლობის იოლი გზით გარდაქმნაზე. „გადმობრუნებული სამყაროს“ მოტივის ორიგინალური გამოყენება და გოიასებური მრისხანება ჩანს აკაკი წერეთლის მრავალ ალეგორიულ ლექსში, რაზედაც სხვა დროს ვაპირებთ თქმას.

ა. ალექსიძე აქაც და სხვა ადგილებშიც მარჯვედ იმოწმებს ფ. მენარის ცალკეულ გამონათქვამებს; კერძოდ, უეჭველად ჭეშმარიტებას გვამცნობს ცნობილი მედიევისტის ეს განმაზოგადებელი მოსაზრება: „იმის მიხედვით, როგორ იცინიან, როგორ იღიმიან მხატვრულ ნაწარმოებთა გმირები, რამდენად მრავალფეროვანი და ნიუანსირებულია სიცილით გამოხატული მათი რეაქცია გარესამყაროს მოვლენებზე, შეიძლება შეიქმნას გარკვეული წარმოდგენა ისტორიული ეპოქის, ცივილიზაციის განვითარების დონის შესახებ“.

ზოგიერთი დებულების ნათელსაყოფად ალექსიძე დროდადრო იშველიებს მ. ბახტინის კლასიკურ გამოკვლევას „ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხალხური კულტურა“. სულ რაღაც 10-12 წელი გავიდა ამ წიგნის გამოქვეყნებიდან და მან უკვე ღრმა კვალი დაატყო მსოფლიოს მეცნიერულ აზროვნებას. მთლიანად ბახტინის კონცეფციას ემყარება დ. ლიხაჩოვისა და ა. პანჩენკოს მრავალმხრივ საყურადღებო წიგნი — „ძველი რუსეთის „სიცილის სამყარო“.

ამიტომაც ჩვენ გვეხამუშება, როცა შუასაუკუნეების რომანის ცნობილი სპეციალისტის ა. მიხაილოვის შარშან დაბეჭდილ მონოგრაფიაში — „ფრანგული სარაინდო რომანი“ — მ. ბახტინის ზემოხსენებული წიგნებისადმი რამდენადმე სკეპტიკურ დამოკიდებულებას წავაწყდით.

გაკვრით უნდა შევეხოთ წიგნის მეათე თავსაც — „სოციალური კატეგორიები და ლიტერატურული ტრადიციები. მტრები და მეგობრები“.

ბუნებრივია, სარაინდო რომანებში უნდა ასახულიყო და კიდევაც აისახა ფეოდალური ინსტიტუტის ობიექტური სურათი. მკვეთრად განსხვავებული დამოკიდებულება ჩანს კეთილშობილთა — დიდგვაროვანი წარმოშობის პირთა და მდაბიოთა მიმართ. ყველაფერში იგრძნობა სოციალური იერარქია; „კალიმახედან“ ავტორს მოაქვს ერთი კურიოზული მაგალითი, სადაც ვეშაპის მიერ ხალხის გაწყვეტაში გატარებულია კლასობრივი პრინციპი: ურჩხული ჯერ მდაბიო ხალხს ნთქავს, მერე — დიდებულებს; მეფე-დედოფალს ცალკე მიაგებს ამ პატივს...

ამავე თავში წარმოჩენილია ერთი გავრცელებული მედიევალური მოტივიც — გმირის ვაჭრად გადაცმა. ნიმუშად „ლიბისტრე და როდამნედან“ მოტანილია ის ეპიზოდი, სადაც გადაცმული ბერდერიქე (იგი თავს ბაბილონელ ვაჭრად ასაღებს) როდამნეს მოსატაცებლად მიდის. ბერდერიქეს სახესა და ზრახვებს არაფერი აქვს საერთო „ვეფხისტყაოსნის“ კეთილშობილ რაინდთან, მაგრამ აქ უნებურად გვახსენდება ვაჭრის ტანსაცმელში შემოსილი ავთანდილის გულანშაროში ჩასვლა.

სამაგიეროდ, ამავე რომანიდან ა. ალექსიძე სხვა ეპიზოდსაც იმოწმებს და ლიბისტრეს უერთგულეს მეგობარს — კლიტობოსს — თავად ადარებს ავთანდილს. მკვლევარი მოკლედ გადმოგვცემს თუ როგორ დაუახლოვდა კლიტობოსი ქალაში, კარვის წინ მჯდომ დამწუხრებულ რაინდს: „ავთანდილის მსგავსად იგი ფეხდაფეხ უჩუმრად მიჰყვება მას და მხოლოდ მეორე დღეს ბედავს სალმის მიცემას. რაინდი, სევდიან ფიქრებში ჩაფლული, არც კი მიბრუნდება, განაგრძობს გზას. კლიტობოსი შეუპოვარია. ბოლოს და ბოლოს იგი აიძულებს რაინდს ხმის ამოღებას და მისი მწუხარე თავგადასავლის მოთხრობას“.

სწორედ ლიბისტრესა და კლიტობოსის დიალოგში ხედავს ა. ალექსიძე მეგობრობის თემის ახლებურ გაშუქებას, რამაც თითქმის რენესანსული ჟღერადობა შეიძინა.

წიგნის ბოლო, მეთერთმეტე თავი — „მხატვრული ხედვა“ — კიდევ ერთხელ წარმოაჩენს სარაინდო რომანში ავტორთა მიერ სამყაროს პოეტურად დანახვის უნარს, გამოსახვის ტექნიკურ საშუალებათა მრავალფეროვნებასა და ეფექტურობას.

არც ისაა დავიწყებული, თუ რა ოსტატობას იჩენენ რომანისტები კომპოზიციის აგებისას, როგორ ფლობენ „მასალის ორგანიზაციის ხელოვნებას“.

საინტერესოა ავტორის დაკვირვება მწერლობაში დამკვიდრებული მზა ფორმულების, ე. წ. ტოპოსების („რაღა ბევრი გავაგრძელოთ“, „ჯობს მოკლედ მოვჭრათ!..“ და მისთანანი) დანიშნულებაზე.

მართლაც, ცხადია, რომ მსგავსი გამოთქმები გამოხატავს ავტორთა ზრუნვას, დაფიქრებას „მოკლედ თქმის“ ხელოვნებაზე. ტოპოსების გამოყენება შესაძლებელს ხდის, შეკუმშულად, ორიოდე სიტყვით გადმოიცეს ფათერაკებგამოვლილი გმირის ვრცელი თავგადასავალი.

ამ მომენტს ა. ალექსიძე ძალზე ბუნებრივად აკავშირებს ბიზანტიური ესთეტიკის ერთ-ერთ სპეციფიკურ, „მთლიანი ასახვის“ სახელით ცნობილ კანონთან. ეს კანონი ხშირადაა რეალიზებული უძველეს ფრესკებსა თუ გრავიურებზე — ამათუიმ ქალაქის სრული სახით გამოსაცემად, ასეთ სურათებზე მოხაზულია ძირითადი კონტურები (გალავანშემოვლებული რამდენიმე დამახასიათებელი სახლი), შეიძლება

ითქვას, ქალაქი ემბლემატურადაა გამოსახული.

დიდი ყურადღება ეთმობა რომანებში („კალიმახე და ხრისორე“, „ბელთანდრე და ხრისანცა“...) გამოყენებულ რიცხვთა სიმბოლიკას; დადგენილია უცილობელი კანონზომიერებანი, რაც უშუალოდ უკავშირდება ნაწარმოებთა კომპოზიციას თუ ცალკეული ეპიზოდების შინაარსს. ნაშრომის ეს ნაწილი ისეთ მძაფრ ინტერესს აღძრავს, ცალკე წერილის თემად შეიძლებოდა ქცეულიყო.

მრავალ სხვა შემთხვევასთან ერთად, მოკლედაა დახასიათებული მედიევალურ ფილოლოგიაში „ორმაგ წარმოსახვად“ ცნობილი ხერხი, როცა ერთი და იგივე მოვლენა ორმაგად — გმირისა და მწერლის თვალით არის აღქმული, საილუსტრაციოდ მოხმობილი მაგალითები აქაც გემოვნებითაა შერჩეული.

გაცილებით ადრე, წიგნის პირველსავე თავში, სადაც მკვლევარი ანტისაეკლესიო მორალის მქადაგებელთა შინაგან ბუნებაზე მსჯელობს, ამ ფაქტის ასახსნელად იშველიებს შუა საუკუნეების აზროვნებაში საკმაოდ გავრცელებულ — „ორმაგი ჭეშმარიტების“ თეორიას. მოძღვრება „ორმაგ ჭეშმარიტებაზე“ ანუ „ორმაგ სიბრძნეზე“, როგორც ფილოსოფიურ, ასევე ლიტერატურის თეორიის ასპექტში, საფუძვლიანად აქვს დამუშავებული რ. სირაძეს. ჩვენ განსაკუთრებით დაგვაინტერესა ძველი აღქმის ტექსტისადმი ეფრემ მცირის (XI ს.) მიდგომამ:

„ფსალმუნთა კატენების შესავალში ეფრემი გამოჰყოფს ნაწარმოების შინაარსის გააზრების ორ სახეს: ერთია — „განმარტებითი“, მეორე — „სახისმეტყველებითი“. „განმარტებითში“ იგულისხმება ნაწარმოების შინაარსის პირდაპირი აზრით გაგება, „სახისმეტყველება“ კი ითვალისწინებს ალეგორიული შინაარსის ამოცნობას“... (რ. სირაძე დასახ. წიგნი, გვ. 261).

ჩვენის აზრით, ტექსტის ამგვარი ორმაგი წვდომა იგულისხმება „დავითიანის“ წინათქმაში, სადაც გურამიშვილი რუსთაველის მიერ დარგულ „იგავთ ხეზე“ — ვეფხისტყაოსანზე ამბობს:

ფესვ ღრმა-ყო, შრტონი უჩინა ზედ ხილი
მოიწეოდა,
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა,
ვისგანაც მოირხეოდა...

ეს საუცხოო ალეგორია არავითარ ეჭვს არ უნდა ბადებდეს. აქ ქარაგმულადაა ნათქვამი, რომ რუსთაველის ლექსში ჯერ შეუდარებელი ხელოვნება მოხიბლავს წამკითხველს, მერე კი ჩათქმული აზრის ამოცნობა.

სამწუხაროდ, დავით გურამიშვილი, — „ძველი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე რთული და ღრმად მოაზროვნე პოეტი“ (ს. ცაიშვილი), ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და დაფასებული. შეიძლებოდა თუნდაც იმის ჩვენება, ჟანრობრივად თუ რა მრავალფეროვანი გახადა მან ქართული ლექსი. გავიხსენოთ, მაგალითად, რა იშვიათი მხატვრული ძალითაა ხორცშესხმული და ამეტყველებული „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკების“ მოარული მოტივი. სხვათა შორის, ამავე სახელწოდებისა და ამავე თემაზე დაწერილი, შინაარსობრივად და კომპოზიციურად იდენტური ლექსი ეკუთვნის შუა საუკუნეების ანონიმ პოეტს („ვაგანტების პოეზია“, მოსკოვი, 1975). ამ ნაწარმოებთა ტიპოლოგიური ანალიზი ბევრ საინტერესო მომენტს გამოავლენდა, მაგრამ ისედაც გაგვიგრძელდა სიტყვა.

ჩვენი მიზანი, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა ა. ალექსიძის წიგნის ამომწურავი დახასიათება. გაკვრით შევეხეთ მხოლოდ მცირე ნაწილს უაღრესად საინტერესო საკითხებისა, ამ ნაშრომში რომ არის დასმული და მაღალ მეცნიერულ დონეზე გადაჭრილი. ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს ლიტერატურის გამოყენების დიდი კულტურა, დახვეწილი გემოვნება. ავტორმა ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა არაერთი ძვირფასი ცნობა, მოგვცა დღევანდელ ფილოლოგიაში შუასაუკუნეების ევროპული მწერლობის ერთი უმნიშვნელოვანესი ჟანრის შესწავლის სრული და ნათელი სურათი.

ასეთი ნაშრომის გამოსვლა სავალდებულოს ხდის ქართულად ითარგმნოს მასში განხილული უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ძველი ბერძნული რომანებიდან თარგმნილია მხოლოდ ორი ნაწარმოები — ლონგეს „დაფნისი და ქლოე“ (რ. ქავჟარაძე) და ჰელიოდორეს „ეთიოპიკა“ (გ. სარიშვილი). ბიზანტიური სარაინდო რომანების თარგმნა, თუნდაც პროზაულად, ახლო მომავალში უნდა განხორციელდეს.

ა. ალექსიძე მოკლე წინათქმაში თავად აღნიშნავს, რომ ამ წიგნზე კვლავაც აპირებს მუშაობის გაგრძელებას. სასურველად მიგვაჩნია, შემდგომში მკვლევარმა მეტი ადგილი დაუთმოს ქართულ მასალას, უფრო ქარბად წარმოაჩინოს ისტორიულ-ლიტერატურული პარალელები. მთავარი მან უკვე გააკეთა; როცა შენობა მკვიდრადაა აგებული, მისი სრულყოფა შედარებით იოლი საქმეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გვახარია

# ტაჯიკი ხალხის სიამაყე

## სადრიდინ აინის დაბადების 100 წლისთავის გამო

მიმდინარე წლის აპრილში მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს გამოჩენილი ტაჯიკი მწერლისა და მეცნიერის, საბჭოთა ტაჯიკური ლიტერატურის ფუძემდებლის სადრიდინ საიდმურადზადე აინის დაბადებიდან მეასე წლისთავს. ყაყაჩოებით აელვარებულ დუშანბეში თავს მოიყრის მისი ნიჭის ურიცხვი თაყვანისმცემელი, რათა კიდევ ერთხელ ჩამოაგდოს სიტყვა ამ დიდი პროზაიკოსისა და პოეტის, პუბლიცისტისა და პედაგოგის, მეცნიერისა და მკვლევარის, ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტის ღვაწლისა და ამაგის შესახებ.

სადრიდინ აინის ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელადაა დაკავშირებული მშობლიური ტაჯიკი ხალხის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთთან. თვით მწერალმა ასე დაახასიათა ეს გარდამტეხი მომენტი ერისა და საკუთარ ცხოვრებაში: „ორმოცი წლისა შევეგებე ოქტომბერს და ამ ასაკში ჩავირიცხე რევოლუციის სკოლაში. ამ სკოლამ აღმზარდა მე და მისი დასრულებისას თითქოს ხელმეორედ დავიბადე!“ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე სადრიდინ აინიმ სამშობლოს უანგარო სამსახურს შეალია. შემთხვევით არ უწოდა მას ტაჯიკმა ხალხმა „უსთოდ“ — „ოსტატი, მოძღვარი“.

* * *

სადრიდინ აინი დაიბადა 1878 წლის 15 აპრილს ბუხარის ვილაიეთის სოფელ სოქთარეში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მამამისი საიდმურადხოჯა მიწათმოქმედებასთან ერთად ხელოსნობასაც ეწეოდა, რათა ოჯახი ერჩინა და შვილებისათვის განათლება მიეცა. უფროსი ვაჟი მუჰიდინხოჯა ბუხარაში გაგზავნა კიდეც ერთი მედრესეს (სასულიერო სასწავლებელი) შეგირდად. სადრიდინმა დაწყებითი განათლება სოფლის მეჩეთთან არსებულ სკოლაში მიიღო. იგი ბავშვობიდანვე გაიტაცა პოეზიამ, რომლის სიყვარული თავდაპირველად მამამ ჩაუნერგა. თერთმეტი წლის ასაკში სადრიდინს პირველი დიდი უბედურება დაატყდა: სახადმა ჯერ მამა იმსხვერპლა, სულ მალე კი დედაც მიჰყვა. 1890 წლიდან იწყება პატარა ბიჭის დამოუკიდებელი, ათასნაირი გაჭირვებით აღსავსე ცხოვრება ბუხარაში, სადაც ის ძმასთან საცხოვრებლად გაემგზავრა.

უსახსრო ობოლმა სადრიდინმა ბუხარის თითქმის ყველა მრავალრიცხოვანი მედრესე მოიარა, იგი ხან მეეზოვედ, ხან მზარეულად, ხან ხელზე მოსამსახურედ მუშაობდა, ოღონდ შეგირდთა წრეში ეტრიალა და რაიმე მოესმინა, ლუკმა პური ეშოვნა და თან ესწავლა. მედრესეებში ხშირად იმართებოდა ხსვადასხვა სადღესასწაულო ლხინი, რომელსაც ათასი ჯურის ხალხი ესწრებოდა. ხშირი იყო ენამოსწრებული კაფიაობა, საკუთარი თუ კლასიკოსების ლექსების კითხვა. ყმაწვილი ხარბად უსმენდა ცნობილ პოეტებსა და მომღერლებს, მალე კი თვითონ დაიწყო ლექსების წერაში ვარჯიში. თახალოსად (ფსევდონიმად), ხან „სეფლის“ („დამცირებული“), ხან „ჯუნუნის“ („გახელებული“) იყენებდა, 1895 წლიდან კი საბოლოოდ აირჩია „ა ი ნ ი“. როგორც თავად განმარტავს, ამ არაბული სიტყვის მრავალმნიშვნელიანობამ (ორმოცზე მეტი მნიშვნელობა აქვს: თვალი, წყარო, არსი, მიზანი და ა. შ.) მოხიბლა იგი.

სიჭაბუკეში დაწერილ ლექსთა უმრავლესობა თვით პოეტმა მოსპო, როგორც წმინდა ეპიგონური ხასიათის თხზულებები. მღიდარი ხპა-

რსულ-ტაჯიკური კლასიკური პოეტური ტრადიციის გავლენა (ჰაფეზი, ბედილი) შემდგომშიც მძლავრად იგრძნობა ს. აინის ლექსებში, მაგრამ თანდათან წინ მიიწევს ლირიკული გმირის პირადი განცდები, ავტობიოგრაფიული ელფერი უშუალოდ ერწყმის რეალური ცხოვრების მძიმე სურათებს. ამ ტიპის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია ყაზალი „წითელი ვარდის გასეირნება“, რომელშიც გაზაფხულზე ყვავილების ზეიმია აღწერილი („ვიზეიმებდი წითელ ვარდის ღღეს, ჯიბეში გროში რომ მქონებოდა, გულისთქმას ჩემსას ვეტყოდი ვინმეს, მესაიდუმლე რომ მყოლებოდა...“) განსაკუთრებული სითბოთი და გულწრფელობით გამოირჩევა ს. აინის რობაიები, რადგან თვით ეს სალექსო ფორმა ტრადიციულად ატარებს ინტიმურ ხასიათს („მედრესეებში წესიერი ბინა არა მაქვს, სარდაფში პურის ქერქი, წვეთი ღვინო არა მაქვს, როდემდი უნდა ვივაგლახო ხელცარიელმა, მე ამა ქვეყნად სიხარული, ლხენა არა მაქვს“).

სადრიდინ აინის ფორმით დახვეწილი და შინაარსით ორიგინალური ლექსები სულ მალე გაიცნო და შეიყვარა არა ოდენ უბრალო ხალხმა, არამედ განათლებულმა წრეებმაც. 1904 წელს ლიტერატურათმცოდნე ფირმასთეს მიერ შედგენილ „თეზქერეში“ („ანთოლოგიაში“) შეტანილია ს. აინის რამდენიმე თხზულება და მაღალი შეფასება ეძლევა მის პოეზიას. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ინდურ-სპარსული ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენლის ბედილის (1644-1720) მისტიკურ-პანთეისტური პოეზიით დიდი გატაცებისა, ს. აინის ადრინდელი შემოქმედებაც კი მოკლებულია სუფიურ მოტივებს. ასევე შეგნებულად გაურბის პოეტი „საშიშ მახეს“ — ემირის კარს. მაშინაც კი, როცა თვით ემირი დაინტერესდა მისი პიროვნებით, აინიმ თავი მოიგიჟიანა და ამგვარად დააღწია თავი მეხოტბე პოეტის სავალალო ბედს.

გარდამტეხი როლი შეასრულა ს. აინის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი ტაჯიკი განმანათლებლის აჰმად დონიშის (1827-1897) შემოქმედების გაცნობამ. 1900 წელს მეგობართან ერთად აინიმ შეასრულა დაკვეთა: გადაწერა დონიშის მთავარი თხზულება „ამბავთა იშვიათობანი“. ახალგაზრდა პოეტზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა დონიშის პროგრესულმა იდეებმა, კრიტიკულმა დამოკიდებულებამ ბუხარის სახანოში გამეფებული რეჟიმისადმი, რაც უპირველესად განაპირობა დონიშის სამგზის ელჩობამ პეტერბურგში. მოწინავე რუსულ კულტურას ნაზიარებმა მწერალმა ველარ აიტანა მძიმე ფეოდალური ყოფა და თამამად გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ს. აინიმ დონიშს უწოდა „ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი ბუხარის ბნელ ცაზე“. განსაკუთრებით მოიხიბლა იგი დონიშის სადა და ყველასათვის მისაწვდომი სტილით.

ს. აინი გაიტაცა განმანათლებლურმა იდეებმა. 1912 წელს კაგანში გამოდის პირველი ტაჯიკური გაზეთი „კეთილშობილი ბუხარა“ და უზბეკური გაზეთი „თურანი“. აინი ორივე მათგანში აქტიურად თანამშრომლობს, ორივე ენაზე აქვეყნებს სტატიებს, ლექსებს. განსაკუთრებით გახმაურდა მისი ლექსი „მოწოდება ახალგაზრდებს“ („ყველაზე ტანკენარი სარო დანახშირდება, ყველაზე ლამაზი ვარდი დაჭკნება შემოდგომით, ყველაზე მაღალი სასახლე გავერანდება. ოდენ ადამიანის სახელი შერჩება ჟამთა ნუსხებს ავი თუ კარგი... ეცადე თესო სიკეთის თესლი!“).

რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ ხელი შეუწყო მოწინავე იდეების შეჭრას იმპერიის ისეთ ყრუ და განაპირა კუთხეებშიც კი, როგორიც იყო ბუხარის სახანო. ემირი და მისი დამქაშები უძლურნი აღმოჩნდნენ დროის ცვალებადობის წინაშე. ბუხარაში ვრცელდებოდა აზერბაიჯანული პროგრესული პრესა (მაგ. ჟურნალი „მოლა ნასრედინი“, რომელიც ერთხანს თბილისში იბეჭდებოდა), დემოკრატ-განმანათლებლების მირზა-ფათალი ახუნდოვის, მამედ ყული-ზადეს, საბირის თხზულებები. სამარყანდსა და ტაშკენტში გაიხსნა ახალი ტიპის უზბეკური სკოლები. ს. აინი გაიტაცა მასწავლებლობის იდეამ. მან შეადგინა პირველი ახალი საერო ტიპის სახელმძღვანელო „ბავშვთა აღზრდა“, რომელიც ორჯერ გამოიცა (1909 და 1917 წ. წ.). რამდენიმე თანამზრახველთან ერთად მან ბუხარაში გახსნა საიდუმლო სკოლა ტაჯიკი ბავშვებისათვის. ს. აინის მოღვაწეობა ცნობილი გახდა ემირის კარზე. იგი დაიბარეს პირველ ვეზირთან, დაკითხეს და კატეგორიულად აუკრძალეს პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მუშაობა. საეჭვოთა სიაში მოხვედრა ხიფათს უქადდა მის სიცოცხლეს. ს. აინი დროებით გაეცალა ბუხარას და ყიზილთეფეში ბამბის საწმენდ ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

1916 წელი ს. აინიმ სამშობლოში მოგზაურობას მოანდომა, ახლო გაეცნო მივარდნილი სოფლების მძიმე ცხოვრებას. მისი პოპულარობა როგორც პოეტისა და მოძღვრისა, ხულ უფრო იზრდებოდა. ემირის მთავრობამ კიდევ ერთხელ სცადა ს. აინის გადმობირება. მას ხიაბანის მედრესეში მაღალი თანამდებობა შესთავაზეს. ს. აინიმ ფორმალურად მიიღო ეს წინადადება, დაბრუნდა ბუხარაში, მაგრამ ფიქრადაც არ მოსვლია სასულიერო სასწავლებელში დამკვიდრება. იგი ბრძოლის ახალ გზებს ეძიებდა. ამ ძიებამ დროებით მცდარი ნაბიჯი გადაადგმევინა. პოეტი დაუკავშირდა ლიბერა-

ლურ-ნაციონალისტურ მიმდინარეობას ჯადიდიზმს. ამ მოძრაობას არაფერი ჰქონდა საერთო მშრომელი ხალხის ინტერესებთან. როდესაც 1917 წლის თებერვლის რევოლუციით დამფრთხალმა ემირმა 7 აპრილს დათმობის სახით ერთგვარი „რეფორმის მსგავსი რამ გამოაცხადა, ჯადიდებმა ემირის მაქებარი ლოზუნგებით დამშვენებული დემონსტრაცია გამართეს. ეს გამოსვლა მაინც მკრეხელობად იქნა ჩათვლილი და დემონსტრანტები დაარბიეს. ს. აინი თუმცა არ მონაწილეობდა დემონსტრაციაში, მაინც დააპატიმრეს და სასტიკად გაუსწორდნენ. სამოცდათხუთმეტჯერ ჯოხის დარტყმით ზურგი გადაუფლითეს. ცოცხალმკვდარი პოეტი რუსმა ჯარისკაცებმა დაიხსნეს საპატიმროდან.

გამოჯანსაღების შემდეგ სადრიდინ აინი სამარყანდში დაემკვიდრა. აქ იგი შედარებით მშვიდად გრძნობდა თავს რევოლუციური ტაშკენტის სიახლოვის გამო, სადაც სულ მალე, 14 ნოემბერს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 1918 წლის აპრილში შეიქმნა თურქესტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, 1920 წელს კი დაემხო ბუხარის სახანო, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა ტაჯიკეთის სსრ. მთელი ეს წლები ს. აინი სამარყანდში ცხოვრობდა. ბნელმა წარსულმა კიდევ ორი საშინელი ტკივილი მიაყენა: ჯერ 1918 წ. ემირმა სიკვდილით დასაჯა ბუხარაში მისი უმცროსი ძმა სიროჯიდინი, ხოლო 1922 წ. თავის მშობლიურ სოფელში ბასმაჩებმა მოუკლეს უფროსი ძმა მუჰიდინხოჯა. მათ ხსოვნას უძღვნა პოეტმა წუხილით აღსავსე მარსია (ელეგია).

* * *

სადრიდინ აინი იყო პირველი შუააზიელი პოეტი, რომელმაც წრფელი პოეტური შთაგონებით უმღერა ოქტომბრის რევოლუციას. ტაჯიკურ და უზბეკურ ენებზე მან შექმნა ლექსების მთელი ციკლი („ოქტომბრის სადიდებლად“; „თავისუფლების მარში“, რომელიც აღმოსავლეთ „მარსელიოზად“ იქცა; „საერთაშორისო მარში“, რომელიც „ინტერნაციონალის“ ვარიაციას წარმოადგენდა; „პირველი მაისი“ და ა. შ.). 1923 წ. გამოქვეყნდა ლექსთა კრებული „რევოლუციის ნაპერწკლები“.

სწორედ ამ წლებში პოეტი სადრიდინ აინი თანდათან ადგილს უთმობს პროზაიკოსს. აქტიურმა პუბლიცისტურმა საქმიანობამ, ჟურნალგაზეთებში გამოქვეყნებულმა მრავალრიცხოვანმა სტატიებმა ერთგვარად შეამზადეს ნიადაგი ამისთვის. თვით მწერალმა საგანგებოდ აღნიშნა ეს გარემოება: „მე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც ვწერდი ლექსებს, მაგრამ რევოლუციის მიერ მოტანილი უდიდესი და უახლესი შინაარსის მკვეთრმა შეგრძნებამ, აგრეთვე იმან, რომ ლექსის ძველი ფორმა ვეღარ იტევდა ამ შინაარსს (თუ ეგების ჩემი პოეტური ნიჭი გახლდათ უძლური), მაიძულა პროზაზე გადავსულიყავი“. იგი კარგად გრძნობდა ეპიკური, მასშტაბური თხზულებების შექმნის აუცილებლობას, რომლებშიც აისახებოდა მისი ერის ცხოვრებაში მომხდარი დიადი ძვრები.

1920 წელს უზბეკურ ენაზე გამოქვეყნდა სადრიდინ აინის პირველი პროზაული თხზულება „ბუხარელი ჯალათები“, ხოლო 1926 წელს დაიბეჭდა ტაჯიკური საბჭოთა პროზის პირველი ნიმუში „ოდინა ანუ საწყალი ტაჯიკის თავგადასავალი“. განსაკუთრებული წარმატება ხვდა „ოდინას“. იგი იქცა ტრილოგიის პირველ ნაწილად. სულ მალე, 1930 წელს გამოქვეყნდა მეორე ნაწილი — რომანი „დოხუნდა“, ხოლო 1935 წელს — მესამე, ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულება „მონები“.

ოცდაათიანი წლები უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა სადრიდინ აინისათვის. 1934 წელს მან მონაწილეობა მიიღო საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის მუშაობაში. აქ გაიცნო პირადად მაქსიმ გორკი. ამ შეხვედრამ წარუშლელი კვალი დატოვა ტაჯიკ მწერალზე.

სამამულო ომში ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ ტაჯიკეთში მეცნიერების შემდგომი განვითარების აუცილებლობამ მოითხოვა მეცნიერებათა აკადემიის დაარსება. მის პირველ პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს სადრიდინ აინი. ეს არ იყო ოდენ მწერლის დამსახურებათა აღიარება. ს. აინიმ ჩაუყარა საფუძველი ტაჯიკურ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობას. ჯერ კიდევ 1926 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა მის მიერ შედგენილი ანთოლოგია „ტაჯიკური ლიტერატურის ნიმუშები“. მკვლევარმა თავი მოუყარა როგორც კლასიკური, ისე თანადროული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს რუდაქიდან (X ს.) ლაჰუთიმდე (XX ს.), ამასთან დაურთო საინტერესო შენიშვნები. ს. აინის მიეკუთვნება თვით ცნების — „ტაჯიკური ლიტერატურა“ — შემოტანა მეცნიერებაში. მან პირველმა დაასაბუთა, რომ ტაჯიკები, სპარსელებთან ერთად, კანონიერად უნდა ითვლებოდნენ უმდიდრესი კლასიკური მწერლობის მემკვიდრეებად. ს. აინიმ ხანგრძლივი ძიების შემდეგ მიაგნო რუდაქის მშობლიურ სოფელს ფანჯრუდაქს, სამარყანდის მახლობლად, სადაც აღმოჩნდა კიდეც პოეტის საფლავი. მანვე საყურადღებო გამოკვლევები მიუძღვნა ფირდოუსის, იბნ-სინას, საადის, ალიშერ ნავოის, ჯამის, ვასიფის, ბედილის შემოქმედებას. დიდი წვლილი შეიტანა ს. აინიმ ლექსიკოგრაფიაში, მან შეადგინა იშვიათ ტაჯიკურ სიტყვათა განმა-

რტებითი ლექსიკონი, რომელიც მკვლევარის გარდაცვალების შემდეგ გამოაქვეყნა მისმა ვაჟმა, ირანისტმა ქამალ აინიმ.

სადრიდინ აინის შემოქმედების გვირგვინს, მის უკანასკნელ თხზულებას, რომელიც მწერალსა და მეცნიერს დაუმთავრებელი დარჩა საწერ მაგიდაზე, წარმოადგენს ვრცელი ავტობიოგრაფიული წიგნი „მოგონებები". როგორც ჩანს, მემუარების წერა ს. აინის ადრევე ჰქონია განზრახული. 1935 წ. მან ახალგაზრდობისათვის გამოაქვეყნა ერთი ნაწილი „ძველი სკოლა", 1940 წელს კი დაიბეჭდა მისი მოკლე კონსპექტური ხასიათის „ჩემი ცხოვრება" (1977 წ. იგი ითარგმნა ქართულად ვ. კენკიშვილის მიერ). ვრცელი „მოგონებების" წერა ს. აინის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, სამოცდაათს მიტანებულს დაუწყია. პირველი ნაწილი ნაკვეთებად გამოქვეყნდა 1948 წელს ტაჯიკურ სალიტერატურო ჟურნალში „შარყი სურხ" („წითელი აღმოსავლეთი"). აქვე 1949-1954 წლებში დაიბეჭდა დანარჩენი სამი ნაწილი, მაგრამ უკანასკნელი თავების გამომზეურებას ავტორი ველარ მოესწრო.

სადრიდინ აინი გარდაიცვალა დუშანბეში 1954 წლის 15 ივლისს. მისი სამარხი აღიმართა ქალაქის ულამაზესი პარკის შუაგულში.

„მოგონებები" დაუმთავრებელი დარჩა. ცალკე წიგნებად გამოცემული ოთხი ტომის ათას სამასამდე გვერდი მოიცავს მხოლოდ ათ წელს (1894-1904). მაგრამ ამ სახითაც „მოგონებები" წარმოადგენს ტაჯიკი ხალხის ცხოვრების ენციკლოპედიას, იმდენად ზუსტად და დეტალურად არის აღწერილი მოვლენები. მწერალი თავის ბიოგრაფიას ოსტატურად უკავშირებს გარემოს, რომელშიც მას უხდებოდა ყოფნა. ორასამდე მოქმედი პირია ამ თხზულებაში და ყველა ცოცხლად გამოკვეთილი ზის მისთვის განკუთვნილ სიტუაციაში. მაგრამ მთავარი გმირი ერთია — ტაჯიკი ხალხი მისი ისტორიის ერთ მონაკვეთზე. „მოგონებებში" უხვადაა ჩართული ისტორიული, ლიტერატურული, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალა. ყოველივე ეს სადა, ინტიმურ თხრობასთან შერწყმული, განუმეორებელ ელფერს ანიჭებს ამ უაღრესად საინტერესო და ორიგინალურ წიგნს. „მოგონებების" პირველ ორ ნაწილს ს. აინის სიცოცხლეშივე მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

„მოგონებები" ითარგმნა მრავალ ენაზე: რუსულად, ჩეხურად, პოლონურად, გერმანულად, ფრანგულად, საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენაზე. ქართულად პირველი ორი წიგნი გამოქვეყნდა 1956 წელს (რუსულიდან თარგმნეს ქეთევან ნადირაძემ და ვალენტინა ძიძიგურმა ტაჯიკურ დედანს შეუხამა რედაქტორმა კარლო ტაბატაძემ), მესამე წიგნი — 1958 წელს, მეოთხე — 1964 წელს (მესამე და მეოთხე წიგნი ტაჯიკურიდან თარგმნა მაგალი თოდუამ). სულ მალე, საიუბილეოდ გამოიცემა ოთხივე წიგნის ერთიანი გადამუშავებული თარგმანი, შესრულებული მაგალი თოდუას მიერ. ეს ფაქტი ნათლად მოწმობს ქართველი მკითხველის ისტორიული ტრადიციებით ნაანდერძევ დაინტერესებასა და სიყვარულს მოძმე ტაჯიკი ხალხის მწერლობის მიმართ.

* * *

სადრიდინ აინიმ „მოგონებებს" ეპიგრაფად თავისი რობაი წარუმძღვარა:

ამ შენობისთვის მე ვიხმარე
ძველი აგური,
ლხინი მოვუწყვე გარდაცვლილებს
მამაპაპური,
მინდა რომ ჩვენი დროის ხალხსაც
გავუზიარო,
როგორ ვიდოდა ეს ცხოვრება
ყმაწვილკაცური.

მწერალი აქ ერთგვარად ეხმაურება დიდი წინაპრის ფირდოუსის სიტყვებს, „შაჰ-ნამეში" რომ იკითხება:

მკვიდრად ნაგები დარბაზები
გაპარტახდება,
მათ გაახრებს წვიმები
და მზის მხურვალება.
ლექსით ავაგე სრა-სასახლე
უზარმაზარი,
ვერას დააკლებს. მას გრიგალის
ზათქი და ზარი.
ამ წიგნის ფურცლებს გადირბენენ
წლები და დღენი,
მას წაიკითხავს გონიერი, ჭკვიანი,
ბრძენი.

სადრიდინ აინის მიერ პროზის ძველი აგურით ნაგები შენობა ისეთივე მკვიდრი აღმოჩნდა, როგორც ფირდოუსის ლექსით ნაგები სასახლე. ორივემ მშობლიური ერის სამსახურს შეალია ნიჭი და უნარი და ხალხმაც ღრმა სიყვარულით გადაუხადა ამაგი საამაყო შვილებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან გაბაშვილი

# აღმოსავლეთის კულტურული შუბლი

იდეოლოგიური ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ისტორიის საკითხებს. იდეურ-პოლიტიკური დაპირისპირება მკაფიოდ ვლინდება აღმოსავლური კულტურის შეფასებაშიც. ევროპო-ცენტრიზმის მიხედვით განვითარება (პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, კულტურული...) მხოლოდ დასავლეთისათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო ჩამორჩენა, განვითარების ერთ წერტილზე გაყინვა აღმოსავლეთის ნიშან-თვისებას წარმოადგენდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერების შედეგად ამგვარი დამოკიდებულება აღმოსავლეთისადმი რამდენადმე შესუსტდა, მაგრამ იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების პირობებში კვლავინდებურად თავს იჩენს ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა გამოკვლევებში.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთის ისტორიული როლის უგულებელყოფა ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს მკაცრად გააკრიტიკა ივ. ჯავახიშვილმა („მამულიშვილობა და მეცნიერება“).

ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა აღმოსავლეთში რთული სოციალური ცხოვრების არსებობის ფაქტებს, საზოგადოებრივ აზრთა ჭიდილს, წოდებრივ ბრძოლას, კულტურულ განვითარებას.

აღმოსავლურმა კულტურამ განვლო განვითარების რთული და გრძელი გზა.

ჩვენი წელთაღრიცხვის VIII-XII საუკუნეებში აღმოსავლური კულტურა (მხედველობაში გვაქვს მუსლიმანური წინა აზიის კულტურული სამყარო) გაცილებით წინ იდგა, ვიდრე დასავლური კულტურა. ვითარება ამ მხრივ დასავლეთის სასარგებლოდ იცვლება მხოლოდ XIII საუკუნიდან მოყოლებული.

VIII-X სს. წინა აზიის კულტურა ცნობილია „არაბული კულტურის“ ან, მეორენაირად, „ისლამური კულტურის“ სახელით. მაგრამ ეს ტერმინები პირობითი მნიშვნელობით იხმარება, რადგან მის შექმნასა და განვითარებაში, არაბებსა და მუსლიმებს გარდა, აქტიურად მონაწილეობდნენ სხვა ხალხებიც და სხვა სარწმუნოების მიმდევრებიც (ქრისტიანები, იუდეველები..).

„არაბული კულტურის“ განვითარებაში აშკარად შეინიშნება ორი ნაკადის გავლენა: ერთი აღმოსავლეთიდან მომდინარეობდა (ირანულ-ინდური სამყარო), მეორე — დასავლეთიდან (ბერძნულ-რომაული სამყარო).

აღმოსავლურმა გავლენამ თავისი გამოხატულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჰპოვა, ხოლო დასავლურმა — ფილოსოფიასა და საბუნებისმეტყველო დარგებში. შუამავლის როლი ინდურსა და არაბულ-მუსლიმანურ კულტურებს შორის ირანმა შეასრულა, ხოლო ბერძნულ-რომაულსა და არაბულ-მუსლიმანურ კულტურას შორის — სირიამ.

მახლობელი აღმოსავლეთი VIII-X საუკუნეებში აღმოჩნდა ელინისტური კულტურის უშუალო გამგრძელებელი, მისი უშუალო მემკვიდრე. წინა აზიის ქვეყნებში ფაქტიურად ადგილი ჰქონდა ელინისტური კულტურის თვალსაჩინო მიღწევათა გაზიარებას, მის გაღრმავებას და ახალ სოციალურ-ეკონომიურ საფუძველზე გადამუშავებას.

აღმოსავლური კულტურის აღმავლობა-განვითარება ადრეფეოდალურ ხანაში (VI-X სს). და განვითარებული ფეოდალიზმის პირველ საუკუნეებში (XI-XII სს.) შეპირობებული იყო იმით, რომ დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით აქ არ ჩამკვდარან ქალაქები, არ დაცემულა საქალაქო ცხოვრება. აღმოსავლე-

თში არსებობას განაგრძობდა მრავალი ძველი ქალაქი, არსებობდა ახალი ქალაქები, სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა საქალაქო ცხოვრება. აღმოსავლეთმა, როგორც უკვე ვთქვით, გააგრძელა და განავითარა ელინისტური კულტურა, მაგრამ, ამავე დროს, წინა აზიის ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ხდება თვისებრივად ახალი მოვლენები, ახალი მიღწევები კულტურის სრულიად სხვადასხვა სფეროებში.

ამის შესაბამისი იყო განათლებულ ადამიანთა ყოველდღიური ყოფაცხოვრება.

ქ. მარქსი შენიშნავდა, რომ ევროპელმა ჯვაროსნებმა ხელის ბანა აღმოსავლეთში ისწავლეს. ამგვარი წარმოდგენა სრულიადაც არ იყო გაზვიადებული. იმ დროს, როდესაც ევროპელი ფეოდალები ტყაპუჭებში იყვნენ გამოხვეული, აღმოსავლური ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენლები ელეგანტურად იმოსებოდნენ და გამოირჩეოდნენ ნატიფი გემოვნებით.

ფეოდალური ეთიკეტის და ყოფაქცევის არაერთი ტრაქტატი იყო დაწერილი აღმოსავლეთში. მათ ეცნობოდნენ და ითვისებდნენ წარჩინებული პირები, მათი მახლობლები, ისინი, ვინც ხალიფების ან ამირების კარზე იმყოფებოდნენ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ზირიაბის, განთქმული მუსიკოსის და მომღერლის, მოღვაწეობა. ახალგაზრდობა მას ბაღდადში ჰქონდა გატარებული ჰარუნ არ-რაშიდის (786-809) კარზე. კორდოვაში იგი ცხოვრობდა 822-857 წლებში და ყველას ყურადღებას იქცევდა რაფინირებული მანერებით, ფაქიზი ჩაცმა-დახურვით და დარდიმანდული დროს გატარებით.

ზირიაბს მიეწერება ბევრი ისეთი რამ, რაც დღეს საყოველთაოდ არის დამკვიდრებული ევროპელთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. მან შემოიღო საზეიმო სუფრაზე საჭმელების თანმიმდევრობით ჩამოტარების წესი: ჯერ უნდა მოეტანათ წვნიანები, შემდეგ ხორცეულის პირველი საინები, მერმე სანელებლებით შეზავებული ფრინველები და, ბოლოს, ნამცხვრები. მისი კარნახით მზადდებოდა ნაირნაირი ნუგბარი, ფართოვდებოდა მენიუ, რომელიც უმთავრესად სპარსული წარმოშობისა იყო. ნამდვილი გადატრიალება მოახდინა აღმოსავლურ სამზარეულოში შაქრის შემოღებამ (IX ს.). მანამდე აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც იყენებდნენ მხოლოდ თაფლს. ოქროს და ვერცხლის მძიმე სასმისების მაგიერ ზირიაბმა შემოიღო თხელი შუშის ფიალები. მანვე დააწესა სხვადასხვა სეზონში სხვადასხვა ტანსაცმლის ტარება. ყოველივე ეს ევროპაში XII-XIII საუკუნეებში ვრცელდება და ფართო გამოხატულებას იღებს რენესანსის ეპოქაში.

განათლებულ ადამიანთა დახვეწილი გემოვნება ვლინდებოდა მხატვრულ-ლიტერატურულ ნიმუშებშიც. არაბულ ენაზე (X საუკუნიდან კი ახალ სპარსულ ენაზეც) იქმნება ბრწყინვალე პოეტური და პროზაული ნაწარმოებები.

თვითონ არაბებმა ისლამის წარმოქმნამდე კარგა ხნით ადრე შექმნეს შესანიშნავი პოეზია, რომლის ჩაწერას და შესწავლას VIII-IX საუკუნეებში შეუდგნენ. წარმართული არაბეთის პოეტურ ქმნილებებში გადმოცემული იყო უდაბნოს ლაღი შვილის ბედუინის განცდები თვალუწვდენელი ქვიშნარის, აქლემების და ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე (ამიტომ უდაბნოს სურათები ყოველთვის ზუსტად იყო აღწერილი, ხოლო დაკვირვება მეტისმეტად ღარიბ გარემომცველ სამყაროზე უაღრესად გამახვილებული). ასევე თაობიდან თაობას გადაეცემოდა მრავალრიცხოვანი არაბული ტომების თავგადასავალი გარითმული პროზის საშუალებით. ასეთი იყო, მაგალითად, „ანთარის საქმენი“, რომელსაც არაბების „ილიადას“, უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ „ილიადა“ მთლიანად გალექსილია, არაბულ ნაწარმოებში კი ლექსს პროზა ენაცვლება. არაბულ ნიადაგზევეა აღმოცენებული ლეილასა და მაჯნუნის სიყვარული, ბუსეინისა და ჯამილის ტრფიალი. მაგრამ VIII-X საუკუნეების არაბულენოვანი მწერლობა ფაქტიურად აღმოსავლეთის კულტურულ ხალხთა ლიტერატურების შერწყმას წარმოადგენდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ირანულმა ელემენტმა. ირანელების საშუალებით გაეცნენ არაბები ინდურ ცხოველთა ეპოსს „ქილილა და დამანას“. ეს ინდური წარმოშობის ნაწარმოები ფალაურიდან არაბულად თარგმნა ალ-მუკაფამ VIII საუკუნის შუა წლებში. მანვე თარგმნა ცნობილი „თანსარის წერილი“ და სხვა ლიტერატურული და ისტორიული ხასიათის ფალაური თხზულებები. ალ-მუკაფას თარგმანებმა საფუძველი დაუდო არაბული მხატვრული პროზის განვითარებას.

არაბული პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშთაგანია ეპისტოლარული ჟანრი („თარასულ“), რომელსაც იმდროინდელი ყველა გამოჩენილი მოღვაწე, ლიტერატორი და, მეცნიერი იყენებდა.

აღმოსავლური ნოველისტიკა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სასანური ირანის ქალაქური გარემოსთვის იყო დამახასიათებელი. ფალაურად არსებობდა მოკლე მოთხრობების კრებული „ჰაზარ აფსანე“ („ათასი ზღაპარი“), რომელიც IX საუკუნის შუაწლებში საფუძვლად დაედო „ათას და ერთ ღამეს“. საზოგადოდ „ათასი და ერთი ღამე“ ინდურ-ირანული წარმოშობის ნა-

წარმოებად ითვლება. უფრო გვიან მას დაემატა აშკარად არაბული ელერადობის ნოველები. ამ ნოველებში მკვეთრად არის წარმოჩენილი ბაღდადური და ეგვიპტური ატმოსფერო. „ათას და ერთმა ღამემ“ თანდათან მიიღო არაბული კოლორიტი.

არაბულენოვანი ნოველისტიკისათვის დამახასიათებელი იყო მოკლე ნოველა („ჰიქაია“), ნოველა-იუმორესკა („ჰუქუზა“), ნოველა-ანეგდოტი („ნადირა“), ნოველა-ისტორია („სამარ“). არსებობდა გაცილებით უფრო ვრცელი პროზაული ნაწარმოებიც („რივაია“) მრავალრიცხოვანი პერსონაჟებით. ამგვარი თხზულება ზოგჯერ რამდენიმე ტომისაგან შედგებოდა. „რივაიას“ უკავშირებენ იბნ-ტუფაილის ფილოსოფიურ რომანს „ჰაიე იბნ იაკზანს“.

ბრწყინვალე პოეტური შედევრები შექმნა არაბულენოვანმა პოეზიამ. ისევე როგორც პროზაზე, პოეზიაზეც თვალსაჩინო გავლენა მოახდინა ირანულმა მხატვრულმა მწერლობამ, ირანულმა ლირიკულმა პოეზიამ (აბუ ნუვასი და სხვ.). არაბული პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან: ალ-მუთანაბი (775-868), ალ-მაარი (973-1058), ხოლო სპარსული პოეზიისა: რუდაგი, დაყიყი, ფირდოუსი (IX-XI სს.) და სხვ.

თუ ადრე არაბულენოვანი პროზის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ალ-მუკაფამ შეასრულა, უფრო გვიან ახეთსავე როლს ალ-ჯაჰიზი (775-868) ასრულებს. თვალჩიტა თუ თვალჭყეტელა მულატი (ალ-ჯაჰიზი არაბულად თვალებგადმოკარკლულს ნიშნავს, ზოგი კი მას წმინდა არაბად მიიჩნევს) ითვლება უდიდეს სტილისტად. ალ-ჯაჰიზი, ისევე როგორც ბევრი მისი თანამედროვე, კულტურის ხრულიად სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდა, მაგრამ უფრო ლიტერატორი იყო, ვიდრე მეცნიერი. მან ცოცხალი და მოქნილი გახადა არაბული ენა და ისეთნაირად გაამდიდრა, მისი გამოყენება შეიძლებოდა ლიტერატურის ყველა ჟანრში, მეცნიერების ყველა დარგში. . მის განთქმულ თხზულებას „ეპისტოლეს კვადრატულობის შესახებ“ უკავშირებენ მაკამას ლიტერატურული ჟანრის წარმოშობას. „მაკამა“ წარმოადგენდა მოკლე მოთხრობის მსგავს ნაწარმოებს გამოგონილი გმირის შესახებ, რომლის გამოც თხრობა მიმდინარეობდა ასევე გამოგონილი მთხრობელის მიერ. მაკამებისათვის დამახასიათებელია ანეკდოტები, აფორიზმები, ანდაზები, ხატოვანი გამოთქმები, ხუმრობანი. მათი შინაარსი სოციალური ცხოვრებიდან იყო აღებული. მაკამებში ვხვდებით გლეხებს, ხელოსნებს, ვაჭრებს, მათხოვრებს, მაწანწალებს, ქურდებს, „ბანუ სასანის“ (მოხეტიალე ტაკიმასხარების) ჯგუფს. მაკამას გმირები არა მარტო მოწყალებას თხოულობენ, არამედ თვალთმაქცობენ კიდეც. დამახასიათებელია თვითონ მათი სათაურები: „სასანური მაკამა“, „ქურდული მაკამა“, „მაკამა ხელოსნებზე“, „ღვინის მაკამა“ და სხვ. მაკამების სისტემატიზაცია მიეწერება ბადი აზ-ზამანს (969-1007). ამ ჟანრის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ალ-ჰარირი (1054-1122). მისი მაკამები თარგმნილია რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, თურქულ, სპარსულ და სხვა ენებზე. მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი ალ-ჯაჰიზის პროზაული ნაწარმოებებიც (მისი ერთი მხატვრული ნაწარმოების ფრაგმენტები ითარგმნა და გამოქვეყნდა ქართულადაც).

ადრინდელი „მაკამები“ სტილისტიკური თვალსაზრისით განსხვავდება გვიანდელი მაკამებისაგან. უფრო გვიან მათთვის დამახასიათებელი ხდება ბუნდოვანი ენა, რთული და დამძიმებული სტილი. გვიანდელი პროზაიკოსები თავიანთ ნაწარმოებებში მიმრთავდნენ რიტორიკულ ხერხებს, გარითმულ პროზას, ყურადღებას უფრო მეტად ფორმას უთმობდნენ და არა შინაარსს.

არაბული პროზის განვითარება VIII-X საუკუნეებში ყველა პირობას იძლეოდა იმისათვის, რათა შექმნილიყო როგორც მხატვრული ნაწარმოებები, ისე მეცნიერული თხზულებები.

არაბულენოვანი პროზის თვალსაჩინო ნიმუშებს წარმოადგენენ ისტორიული და გეოგრაფიული ნაშრომებიც. ისევე როგორც მხატვრული მწერლობა, ისტორიოგრაფიაც და გეოგრაფიაც მთლიანად აღმოსავლურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული და განვითარებული. IX-X საუკუნეებში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ისტორიკოსები და გეოგრაფოსები (ბალაზორი, ალ-იაკუბი, დინავარი, ტაბარი, იბნ-ხორდადბეჰი, მასუდი, იბნ-ჰაუკალი, ალ-მაკდისი და სხვ.). არაბული ისტორიოგრაფიის გვირგვინს კი წარმოადგენს XIV საუკუნეში მოღვაწე ისტორიკოსის იბნ-ხალდუნის „ბერბერთა ისტორია“, რომლის შესავალში პირველად არის შესწავლილი ისტორიული მოვლენები სოციოლოგიური თვალსაზრისით.

IX-XII საუკუნეებში განვითარებული იყო გეოგრაფიის ორი დარგი: აღწერითი და მათემატიკური. ეს უკანასკნელი თავის ფესვებს პოულობს ანტიკურ და ელინისტურ პერიოდებში. აღწერითი გეოგრაფია კი უშუალოდ და ორგანულად იყო დაკავშირებული აღმოსავლურ-ისლამურ ტრადიციებთან, ქალაქების დაწინაურებასთან და სახალიფოს პოლიტიკური საზღვრების გაფართოებასთან. X-XII საუკუნეებში შეიქმნა იმ დროის კვალობაზე საკმაოდ დამუშავებული გეოგრაფიული რუკები. ამ რუკებით სარგებლობდნენ ევროპელი მეზ-

ღვაურები დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროს.

არაბულად არ უთარგმნიათ ბერძნული პოეზიისა და დრამის ნიმუშები. ისლამურ აღმოსავლეთში უცხო და უცნობი დარჩა ანტიკური პერიოდის მხატვრული ლიტერატურა. თუმცა, როგორც ირკვევა, არაბებს ერთგვარი წარმოდგენა მოეპოვებოდათ ანტიკური რიტორიკული ნაწარმოებების პროზაზე. ზოგიერთი მკვლევარი ნახულობს რიტორიკული ტრადიციის კვალს არაბულენოვან მწერლობაში. მაგალითად, დასახელებულია ალ-ჯაჰიზის თხზულებები. ზოგი იმასაც კი აღნიშნავს, რომ არაბთათვის ნაცნობი უნდა ყოფილიყო არისტოტელის რიტორიკა და პოეტიკა. მაგრამ მთარგმნელთა მოღვაწეობაში არსად არ ჩანს არც ბერძნული პოეზიის და არც დრამის გადმოღების რაიმე კვალი. სამაგიეროდ, კარგად იყო მათთვის ცნობილი ანტიკური ფილოსოფია და ბუნებისმეტყველება.

ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების განვითარებას ხელს უწყობდა არა მარტო წინა აზიის საერთო ეკონომიური აღმავლობა VIII-X საუკუნეებში, არამედ უმაღლესი ტიპის სასწავლებლების და სამეცნიერო დაწესებულებების არსებობაც.

უკვე VI საუკუნის სასანურ ირანში არსებობდა უმაღლესი ტიპის სასწავლებელი. დაარსდა იგი ქალაქ გუნდეშაპურში (სამხრეთ-დასავლეთ ირანში). გუნდეშაპურში სწავლობდნენ მედიცინას და ფილოსოფიას. VI საუკუნეშივე ფალაურად გადაითარგმნა პლატონისა და არისტოტელის ნაწარმოებები. მაგრამ უფრო ღრმად და საფუძვლიანად ბერძნულ ფილოსოფიას აღმოსავლეთი გაეცნო IX-X საუკუნეებში.

გუნდეშაპურის სასწავლებელი არსებობდა არაბთა შემოსევამდე. აღადგინეს იგი მხოლოდ ალ-მამუნის ხალიფობის დროს (813-833 წწ.). ჯუნდეშაპურშიც (ასე გამოითქმოდა არაბულად ამ სპარსული ქალაქის სახელწოდება) ინტენსიურად ეუფლებოდნენ მედიცინას და ფილოსოფიას. ალ-მამუნის დროსვე ბაღდადში დაარსდა ე. წ. „სიბრძნის სახლი“ („ბაით ალ-ჰიქმა“), ბაღდადის განთქმული ობსერვატორია. ამ დროიდან მოყოლებული ობსერვატორიები არსდება სახალიფოს ყველა თვალსაჩინო ცენტრში. თეოლოგიური ელფერის მიუხედავად, აღმოსავლური კულტურის განვითარებას ბიძგი მისცა X საუკუნეში დაარსებულმა სასწავლებელმაც — მედრესემ. 1065 წელს შეიქმნა ახალი უმაღლესი ტიპის სასწავლებელი — ნიზამიე. დაარსებული იყო იგი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ნიზამ ალ-მულქის თაოსნობით. ნიზამიეებით მოიფინა წინა აზიის ქალაქები, კულტურული და ეკონომიური ცხოვრების მთავარი ცენტრები. ყველა ეს სასწავლებელი სხვადასხვა დროს დიდ როლს ასრულებდა აღმოსავლური კულტურის განვითარებისა და გავრცელების საქმეში.

ასტროლოგიურმა დაკვირვებებმა და წარმოდგენებმა საფუძველი ჩაუყარა ასტრონომიის განვითარებას, ხოლო ალ-ქიმიამ ქიმიის წარმოქმნა-ჩამოყალიბებას. 826 წელს ბაღდადის ობსერვატორიაში პირველად გაზომეს დედამიწა და აღინიშნა, რომ ის სფეროსებრი იყო (თუმცა ამგვარი წარმოდგენა ჯერ კიდევ არ იყო მთლად მკაფიოდ ჩამოყალიბებული). IX-X საუკუნეებში ვითარდება ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგი. ბუნებისმეტყველების განვითარებამ გზა გაუკაფა რაციონალურ აზროვნებას არაბულ ფილოსოფიაში. ხალიფა ალ-მამუნის დროს ფართო გასაქანი მიეცა მუთაზილობას, რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო „რაციონალური მარცვლები“. მუთაზილები ქადაგებდნენ ადამიანის ნებისყოფის თავისუფლებას, ღმერთს ათავისუფლებდნენ ანთროპომორფიზმისაგან და უარყოფდნენ ყურანის ღვთაებრივ წარმოშობას. ახეთი შეხედულებანი შეიძლებოდა შექმნილიყო მხოლოდ ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგის წარმატების შედეგად. მუთაზილებს მფარველობდა თვითონ ხალიფა ალ-მამუნი, განათლებული და მწიგნობრობით გატაცებული მბრძანებელი. ფილოსოფიური აზრის განვითარებას დამადასტურებელია აგრეთვე ნეოპლატონიკური იდეების ფართოდ გავრცელება. მაგრამ სულ მალე, პოლიტიკური კრიზისისა და თურქული ელემენტის გაბატონების პირობებში, მუთაზილებს სასტიკი დევნა დაუწყეს. ხოლო ფილოსოფიაში აშკარად გამოხატულმა რეაქციულმა მიმდინარეობამ გაიკვლია გზა. თუმცა თვით ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ფართოდ იყენებდნენ და სარგებლობდნენ მტკიცებისა და დასაბუთების იმ ხერხებით, რომლებიც მუთაზილობის მიერ იყო შემუშავებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბუნებისმეტყველო დარგები აღმოსავლეთში ბერძნული მეცნიერების ზეგავლენის შედეგად ვითარდებოდა, მაგრამ არაბულენოვანმა მეცნიერებმა ბევრი რამ დამოუკიდებლად განავითარეს. არაბულად გადაითარგმნა პტოლომეს, გალენის და სხვათა თხზულებები. მაგრამ იქმნებოდა ორიგინალური ნაშრომებიც. დიდ წარმატებებს მიაღწია მათემატიკამ, ასტრონომიამ, ქიმიამ, ზუსტ მეცნიერებად იქცა ალგებრა (თვითონ სიტყვა ალგებრა არაბული წარმოშობისაა — (ალ-ჯაბრ). ჩამოყალიბდა ანალიტიკური გეომეტრია.

მეტად ნაყოფიერი იყო მათემატიკაში ალ-

ხორეზმის მოღვაწეობა (IX ს.). ევროპაში იგი ცნობილი იყო ალგორიზმის სახელით აქედანაა ნაწარმოები ტერმინი „ალგორითმი“. ალ-ხორეზმის მათემატიკური ნაშრომებია: „ალგებრული აღრიცხვა“ („ჰისაბ ალ-ჯაბრ ვა-ლ-მუკაბალა“). „დედამიწის ფორმა“ („სურათ ალ-არზ“) და არითმეტიკული სახელმძღვანელო. მის სახელს უკავშირებენ არაბული ციფრების შემოღება-გავრცელებასაც (თვითონ ეს ციფრები ინდური წარმოშობისა იყო). მანვე დაგვიტოვა რამდენიმე ნაშრომი ასტრონომიის შესახებ და ასტრონომიული ტაბულები.

განთქმული მათემატიკოსები იყვნენ მუსა იბნ-შაქირი და მისი სამი ვაჟიშვილი: მუჰამედი, აჰმედი და ჰასანი. ისინი იკვლევდნენ მათემატიკის, ასტრონომიის და ფილოსოფიის საკითხებს. არსებობს ცნობები, რომ მათთვის ცნობილი იყო სამყაროს მიზიდულობის კანონი.

გამოჩენილი მათემატიკოსი და ასტრონომი იყო აგრეთვე ალ-ბატანი (ევროპელების ალბატეგნიუს). ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იგი 850-928 წლებში. ალ-ბატანი ითვლება ისლამური მსოფლიოს უდიდეს ასტრონომად. მისი თხზულებების საშუალებით გაეცნო ევროპა ტრიგონომეტრიას.

XII საუკუნის მეცნიერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მათემატიკოსი იყო ალ-ჰაზანი. მისი წიგნი „სიბრძნის საზომი“ („მიზან ალ-ჰიქმა“) შეიცავს ორიგინალურ გამოკვლევებს ჰიდროსტატიკაში. ალ-ჰაზანის ნაშრომები ეძღვნება აგრეთვე სამყაროს მიზიდულობის კანონს, სიმძიმის ცენტრის განსაზღვრას და სხვ.

ასევე განთქმული მათემატიკოსები იყვნენ ომარ ხაიამი (XII ს.) და ნასირ ედ-დინ ტუსი (XIII ს.), ამ უკანასკნელს ეკუთვნის ტრიგონომეტრიული გამოკვლევები.

დიდი წარმატებას მიაღწია არაბულმა მედიცინამაც. გამოჩენილი მედიკოსები მოღვაწეობდნენ ბაღდადში, ჯუნდეშაპურში (უმთავრესად ქრისტიან ნესტორიანთა წრიდან). არაბული მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენელია ჰუნაინ იბნ-ისჰაკი (809-877), მთარგმნელი და ორიგინალური თხზულებების ავტორი. დასავლეთ ევროპაში იგი ცნობილი იყო იოჰანიტიუსის სახელით. მისი „გალენის შესავალი“ პირველი არაბული წიგნი იყო, რომელიც ლათინურ ენაზე ითარგმნა. ასევე გამოჩენილი მედიკოსი იყო აბუ ბაქრ არ-რაზი (864-925). მას და მის მოწაფეებს დაწერილი აქვთ მრავალი თხზულება (მედიცინის გარდა არ-რაზი დაინტერესებული იყო აგრეთვე მათემატიკის, ასტრონომიის, მექანიკის და ფილოსოფიის საკითხებით). მისი მთავარი თხზულება „ყოვლისმომცველი“ („ალ-ჰავი“) წარმოადგენს მედიცინის უდიდეს ცნობარს არაბულენოვან ლიტერატურაში. დასავლეთ ევროპაში კარგად იყო ცნობილი აგრეთვე იბნ-სინას (ავიცენას) „სამედიცინო კანონი“ („ალ-კანუნ ფი-ტ-ტიბ“) და „განკურნების წიგნი“ („ქითაბ აშ-შიფა“).

მედიცინის განვითარების შედეგი იყო ქსენონების დაარსება. პირველი საავადმყოფო ბაღდადში თარიღდება 800 წლით. ბაღდადს გარდა ქსენონები არსებობდა სახალიფოს სხვა ქალაქებშიც. აღმოსავლური საავადმყოფოების მრავალი სიახლე გადაიღეს ევროპაში ჯვაროსნული ომების პერიოდში და განსაკუთრებით კი XIV-XV საუკუნეებში. ასე, მაგალითად, აღმოსავლურ ქსენონში არსებობდა ცალკე პალატები ინფექციური დაავადებებისათვის, თითოეულ მათგანს ჰყავდა საკუთარი ექიმი. ჩვეულებრივი იყო სტუდენტთა კლინიკური პრაქტიკა საავადმყოფოებში (დასავლეთ ევროპისათვის ეს წესები დამახასიათებელი ხდება მხოლოდ 1500 და 1555 წლებისათვის, სამკურნალო დაწესებულება კი აღმოსავლური გავლენის შედეგად იქ არსებობას იწყებს 1200 წლიდან). არაბულიდან ლათინურ ენაზე გადათარგმნილი სამედიცინო ტრაქტატები დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში ისწავლებოდა XVII საუკუნემდე.

აღმოსავლური კულტურის უდიდესი წარმომადგენლები ენციკლოპედიური განათლების ადამიანები იყვნენ. მათ შეთვისებული ჰქონდათ აღმოსავლურ-მუსლიმანური კულტურის ყველა მიღწევა და თავის მხრივ ყველანაირად უწყობდნენ ხელს მის განვითარებას.

X-XII საუკუნეებში მოღვაწეობდნენ ენციკლოპედიურად განათლებული მეცნიერები: ალ-ფარაბი, იბნ-სინა (ავიცენა), ალ-ბირუნი (შუა აზიაში...), იბნ-რუშდი (ავეროესი) და იბნ-ტუფაილი (ესპანეთსა და მაროკოში).

აღმოსავლური კულტურა მხოლოდ ზემო ნათქვამით არ განისაზღვრება. მან ფართო გამოძახილი ჰპოვა მსოფლიო ცივილიზაციის როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სფეროში.

აღმოსავლეთმა მისცა დასავლეთს: აბრეშუმი, ქაღალდი, ბროლი, კომპასი, თოფის წამალი, საბეჭდავი დაზგა.

VIII-X საუკუნეებში ყველგან წინა აზიის ქვეყნებში დიდად დაწინაურდა სოფლის მეურნეობა. ამ დროს ფართოდ ვრცელდება მძიმე რკინის გუთანი, ვითარდება ირიგაცია. ირიგაციის განვითარების შედეგი იყო მცენარეულობის ისეთი კულტურების გავრცელება, როგორიცაა: შაქრის ლერწამი, ბრინჯი, ფორთოხალი, ლიმონი, ბადრიჯანი და ბამბა.

IX-X საუკუნეების მოვლენაა შაქარი და ნარინჯ-თურინჯი.

ყველა დასახელებული მცენარე ინდოეთიდან გავრცელდა (აზიის, აფრიკის და სამხრეთ ევ-

როპის ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონებში). ამიტომაა, რომ მათი უმრავლესობა ევროპაში აღმოსავლური სახელწოდებებითაა ცნობილი.

ჩინური წარმოშობისაა ქაღალდი. მაგრამ ქაღალდსაც ევროპა ისლამური ქვეყნების და ქალაქების (სამარყანდი, კორდოვა...) საშუალებით გაეცნო (ქაღალდმა ევროპაში მხოლოდ XII საუკუნეში შეაღწია, თუმცა როჟერ II სილიციელი ქაღალდს დოკუმენტებისათვის იყენებდა ჯერ კიდევ 1090 წელს).

აღმოსავლეთში ფართო გამოყენება მიენიჭა ქარისა და წყლის ძალას. ქარის წისქვილები ირანში ცნობილი გახდა VII საუკუნეში. აქედან იგი გავრცელდა ანდალუზიაში (მუსლიმანურ ესპანეთში), შემდეგ კი ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. წარმატებით იყო გამოყენებული ქარის ძალა ზღვაოსნობაში. როგორც ცნობილია, არაბი და სპარსელი მეზღვაურები თავიანთი ხომალდებით დაცურავდნენ სპარსეთის ყურესა და კანტონს (სამხრეთ ჩინეთი) შორის. სწორედ ინდოეთის ოკეანეში გამოგონილ იქნა სამკუთხა აფრა, რომელიც ხმელთაშუა ზღვის ნაოსნობაშიც გავრცელდა. არაბებმა პირველად გამოიყენეს „ლათინური" კარაველლა. სამკუთხა აფრა განავითარეს ევროპელმა მეხომალდეებმა. ამან მათ საშუალება მისცა აეგოთ უფრო დიდი ხომალდები,ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა ატლანტიკის ოკეანის გადალახვა. აღმოსავლური ზღვაოსნობის გავლენის შედეგად ევროპულ ენებში გავრცელდა და დამკვიდრდა არაერთი არაბულსპარსული წარმოშობის საზღვაო ტერმინი (ადმირალი, არსენალი, შულუპი, ბარკა და სხვ.).

აღმოსავლური ზღვაოსნობის მონაპოვარია კომპასიც (მის გამოყენებას ევროპაში XIII საუკუნიდან შეუდგნენ და იქაური ხომალდთმძღოლები მას სულ უფრო და უფრო აუმჯობესებდნენ).

ფართოდ იყენებდნენ წყლის ძალას აღმოსავლეთში სარწყავ ბორბლებზე, არხებზე და კაშხალებზე.

აღორძინების გზაზე დამდგარი ევროპა მწყურვალივით დაეწაფა აღმოსავლური კულტურის მიღწევებს, გაფაციცებით ეცნობოდა და ითვისებდა ყველაფერს, რაც აზიის ხალხთა სულიერი და მატერიალური შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენდა.

XI საუკუნიდან მოყოლებული ინტენსიურად ითარგმნებოდა აღმოსავლური ლიტერატურისა და მეცნიერების ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშები. ყოველივე ამან, სოციალურეკონომიურ განვითარებასთან ერთად, ნიადაგი შეუმზადა ევროპულ რენესანსს. თავდაპირველად აღმოსავლური მხატვრული ნაწარმოებები ითარგმნებოდა ლათინურად როგორც ებრაულიდან, ისე საკუთრივ არაბულიდან. ებრაულად გადაითარგმნა „მაკამები", ეს თარგმანი შეასრულა ალ-ხარირიმ 1205 წელს. ორჯერ ითარგმნა „ქილილა და დამანა" (ერთი რაბბი იოლიმ თარგმნა, მეორე ელეაზარ ბენ იაკობიმ 1283 წელს). ერთ-ერთი მათგანი (რაბბი იოლის ვერსია) იოანე კაპუანელმა, მონათლულმა ებრაელმა, თარგმნა ლათინურად და მიიღო სახელწოდება „ვიტა ჰუმანე". XIII საუკუნის შუაწლებში ალფონს X განკარგულებით „ქილილა და დამანა" უშუალოდ არაბულიდანაც იყო გადათარგმნილი. თარგმნილი იყო აგრეთვე „სინდბად-ნამე" (აღმოსავლელი მეზღვაურის ფათერაკიანი თავგადასავალი) და ინდური წარმოშობის ზღაპრების კრებული (1253). ამ თარგმანებმა, უწინარეს ყოვლისა, ესპანურ პროზაულ ნაწარმოებებზე მოახდინეს გავლენა.

XII საუკუნის დამდეგს პედრო ალფონსომ, გაქრისტიანებულმა ებრაელმა, შეკრიბა ოცდაათი აღმოსავლური ზღაპარი, თარგმნა იგი ლათინურად და გამოსცა სახელწოდებით: „*Disciplina clericales*". ეს წიგნი ფართოდ გავრცელდა ევროპაში და გადაითარგმნა მრავალ ენაზე, მის გამოძახილს ვპოულობთ ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა „დონ-კიხოტი" და „დეკამერონი".

დასავლეთ ევროპაში გატაცებით კითხულობდნენ აგრეთვე „ვარლამ და იოსაფათს", ცნობილი იყო არაბულიდან მომდინარე სხვა ნაწარმოებებიც, დიდი მოწონებით სარგებლობდა, მაგალითად, იბნ ტუფაილის (გარდ. 1185 წ.) „ჰაიე იბნ იაკზანი".

იბნ ტუფაილი ევროპაში აბუბაკერის სახელით იყო ცნობილი (ნაწარმოებია მისი ქუნია აბუ ბაქრიდან). „ჰაიე იბნ იაკზანი" ანუ „ცოცხალი, ძე ძილფხიზელისა" ალეგორიული ფორმითაა დაწერილი. მისი გმირები მოქმედებენ უდაბურ, დაუსახლებელ კუნძულზე და საკუთარი სულიერი სამყაროს ფილოსოფიური ჭვრეტით არიან გართული. ორი მეგობრის თვალსაწიერში არასდროს არ ხვდება ადამიანი,. არავითარი ურთიერთობა არა აქვთ ადამიანებთან. ტრადიციებთან დამოკიდებულებისა და სოციალური ურთიერთკავშირის თვალსაზრისით „ჰაიე იბნ იაკზანი" რამდენადმე მოგვაგონებს ჟან-ჟაკ რუსოს „ემილს".

მისთვის დამახასიათებელია წარმტაცი, მიმზიდველი თხრობა, მძაფრი სიუჟეტური ქარგა, მასში გამოყენებულია ხალხური ზღაპრებიც, კერძოდ იმ ბიჭზე, რომელსაც ჭეირანი ძუძუს აწოვებდა და ზრდიდა. ერთერთ ასეთ მოთხრობაში ლაპარაკია მოჰამედის ჰმაღლებაზე ზეცაში („მირაჯ"). ესპანურად ეს მოთხრობა თარგმნეს ალფონსო X განკარგულებით, თუმცა

მან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ფრანგულ და ლათინურ ვერსიებში, ფიქრობენ, რომ მას შეიძლებოდა რაღაცნაირი გავლენა მოეხდინა დანტეს წარმოდგენათა სისტემაზე.

ევროპაში ცნობილი იყო არაბული ზღაპრების და მოთხრობების კრებულები", 1001 ღამე", „სინდბანდ-ნამე" — სინდბადის ფათერაკიანი თავგადასავალი. „მაკამას" კი ჩვეულებრივ უკავშირებენ XVI-XVII საუკუნეების თვალთმაქცურ რომანს. არსებობს თვალსაზრისი ისეთი ხალხური ეპოსის არსებობის თაობაზე, რომლის გავლენა შეიძლება დავძებნოთ ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა „სიმღერა როლანდზე" და „პოემა სიდზე". დღემდე გრძელდება დიდი კამათი და აზრთა სხვადასხვაობა იმის გამო, თუ როგორი გავლენა უნდა მოეხდინა არაბულ პოეზიას ტრუბადურულ პოეზიაზე. ყოველ შემთხვევაში, ტრუბადურული პოეზიისათვის უცხო არ იყო აღმოსავლური მოტივები, ამის დამადასტურებელია „ახალგაზრდის" ცნების (არა ასაკობრივ-ბიოლოგიური, არამედ სოციალური მნიშვნელობით) ისევე გამოიყენება, როგორადაც მას იყენებდნენ აღმოსავლურ სინამდვილეში (მხედველობაში გვაქვს ირან. ჯევანმარდი და ჯომარდი, არაბ. ახას და შაბაბ...).

ასევე დიდი რაოდენობით იყო გადათარგმნილი ევროპულ ენებზე აღმოსავლური მეცნიერული თხზულებები. ალ-ხორეზმის ალგებრა 1145 წელს ლათინურად თარგმნა რობერტ ჩესტერმა, ხოლო მისი არითმეტიკული ნაშრომის თარგმნა მიეწერება ადელჰარდ ბატჰს. 1126 წელს არის გადათარგმნილი ალ-ხორეზმის ასტრონომიული ტაბულები. ალ-ბატანის ასტრონომიის შესავალი («*De sciente astronam*») (116 წელს ლათინურად თარგმნა პლატონ ტივოლელმა. პტოლომეის მთავარი ასტრონომიული ნაშრომი (არაბ. „ალ-მაჯისტ") ლათინურადვე ითარგმნა, და ფართო გავრცელება ჰპოვა „ალმაგესტის" დამახინჯებული სახელწოდებით. თარგმნილი იყო სამედიცინო თხზულებებიც. ამ თარგმანებმა უდიდესი როლი შეასრულეს შუა საუკუნეების მეცნიერების განვითარებაში, კაცობრიობის ცოდნის გამდიდრებაში. ისინი XVI-XVII საუკუნემდე გამოყენებული იყო ევროპის განთქმულ უნივერსიტეტებში.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ ურთიერთგაცნობაში, უეჭველია, ჯვაროსნებს გარკვეული ღვაწლი მიუძღვით. თუმცა ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასადგენი და გასარკვევი. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ძნელია დაბეჯითებით რამის თქმა. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპამ არაბებისაგან უფრო მეტი რამ მიიღო, ვიდრე ბიზანტიელებისაგან.

აღნიშნული გარემოებანი ცხადად გვიჩვენებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლური კულტურის როლი ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებისა და ფორმირების საქმეში.

ინგლისელი მკვლევარი კრისტოფერ დაუსონი ამის გამო აღნიშნავს: „ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მსოფლიოს ინტელექტუალური მეთაურობა ისლამური ხალხების ხელთ იყო და დასავლეთ ევროპის მეცნიერული ტრადიცია არაბთაგან მომდინარეობს". კრისტოფერ დაუსონის გამოკვლევას მეტად დამახასიათებელი სათაური აქვს: „ევროპის ფორმირება". (The Making of Europea).

ვითარება დასავლეთის სასარგებლოდ მხოლოდ XIII-XIV საუკუნეებში შეიცვალა. თუ ადრე მსოფლიოს ინტელექტუალურმა მეთაურობამ აღმოსავლეთში გადაინაცვლა, ახლა ახეთ როლში დასავლეთ ევროპა აღმოჩნდა.

მონღოლთა გამანადგურებელმა შემოსევებმა წელში გატეხა აღმოსავლეთი; ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეაჩერა მისი პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარება.

აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და წინა აზიის ხალხთა ბრძოლამ დასავლეთ ევროპას თავიდან ააცდინა მონღოლთა შემოსევები და ბატონობა. ამას რუსი ხალხის ბრძოლის მაგალითზე ხაზგასმით აღნიშნავდა პუშკინი.

XIII-XIV საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში უკვე 14 უნივერსიტეტი არსებობდა, აღმოსავლეთის ქვეყნებში კი არცერთი ნიზამიე.

აღმოსავლეთის ხალხთა აღორძინება კვლავ განახლდა XIX საუკუნეში. დაისახა პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული აღმავლობის პირობები. სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა „აზიის გამოღვიძება" (ვ. ი. ლენინი). ეს პროცესი დააჩქარა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

გიორგი თოგოშვილი
რუბენ ხეჩითი

# ვედრებისელი—მალიონი

ქართლში, სოფელ ვედრებისში, ლამის მოხუცები ახლაც სიყვარულით წარმოსთქვამენ ამ სახელს — დარია მალიონი! ეს იყო თვალსაჩინო ოსი მწერალი ქალი დარია მალიევა (1874-1925 წ), რომელიც წერდა ვედრებისელის ფსევდონიმით. ამ სოფელში აქამდე ახსოვთ დარიკო მალიონი (ასე უწოდებდნენ თანასოფლელები დარიას გვარეულობას), მწერალი ქალი ზაფხულს ამ სოფელში ატარებდა და ძალზე კარგი ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი, განსაკუთრებით საგლეხო რეფორმის შემდგომი ხანა, როგორც რუსეთში, ისევე საქართველოში მნიშვნელოვანი ძვრებით აღინიშნა. კაპიტალიზმის განვითარებამ არსებითი ცვლილებები გამოიწვია საქართველოს სოფელში, გაძლიერდა გლეხობის გალატაკების პროცესი, მემამულეები სულ უფრო და უფრო უჭერენ ექსპლუატაციის მარწუხებს მათ მიწაზე დასახლებულ გლეხებს. ქართულმა ლიტერატურამ, უმთავრესად ბელეტრისტიკამ; დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს სოფელს; სწორედ იმ ხანებში როგორც ქართულმა, ისე რუსულმა პრესამ აღძრა საკითხი სოფლის მცხოვრებთა ყველაზე უუფლებო ჯგუფის, ე. წ. ხიზნების მდგომარეობის შესახებ. ხიზნობა, როგორც სოციალური მოვლენა, საქართველოში ფეოდალური წყობილების არსებობის უკანასკნელ ეტაპზე წარმოიშვა. მაგრამ ხიზნობამ ფართო ხასიათი მიიღო XIX საუკუნეში, კერძოდ რეფორმის შემდგომ ხანაში და განპირობებული იყო გლეხთა გალატაკების პროცესის გაღრმავებით.

ქართლში ხიზანთა დიდი უმრავლესობა ოსები იყვნენ; ისინი მთიან ადგილებში მიწის ნაკლებობას განიცდიდნენ, ეშვებოდნენ ბარში და მემამულეთა მიწებზე ხიზნებად ესახლებოდნენ, იჯარით იღებდნენ მიწას. ქართველი ხალხი თანაგრძნობითა და სიყვარულით ეპყრობოდა მოძმე ოსებს, თუმცა იმ დროს თვითონაც დაჩაგრული იყო: მას იგივე ბორკილები ედო ხელებზე, რაც ყველა ხალხს, რომლებიც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

XIX საუკუნის დამლევისათვის ხიზანთა მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. პრესაში დაიწყო დისკუსია იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენდა ხიზნობა და რა უნდა ეღონათ, რა გზით უნდა გამოეხსნათ ისინი მძიმე გასაჭირისაგან. დისკუსიის გამწვავების პერიოდში, 1898 წელს „რუსსკოე ბოგატსტვოში" დაიბეჭდა დარია ვედრებისელის მოთხრობა „ხიზნები", რომელშიაც ასახულია სოფლის მკვიდრთა ამ ყველაზე უუფლებო და დაჩაგრული სოციალური ფენის ცხოვრების მძიმე სურათები. მწერალი ქალის ამ ნაწარმოებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მოაზროვნე ინტელიგენციაში.

დარია კონსტანტინეს ასული ვედრებისელი-მალიევა, დაიბადა 1874 წლის ოქტომბერში, გორის მაზრის სოფელ ვედრებისში (ამჟამად ქარელის რაიონი); მამა ადრე გარდაეცვალა, ოთხი მცირეწლოვანი შვილის დედამ, ელისაბედ გრიგოლის ასულმა, მოახერხა პატარა დარიას მიბარება ბაქოს ქალთა გიმნაზიაში (დარიას ბიძა ბაქოში ნავთობის სავაჭრო სახლის მმართველად მუშაობდა). ნიჭიერი და შრომისმოყვარე დარია მალიევა უკვე მესამე კლასიდან კერძო გაკვეთილებს ატარებდა და ხელმოკლე ოჯახს საკუთარი შრომით ეხმარებოდა.

ბაქოში დარია მალიევამ აქტიური საზოგადო-

ებრივ-პუბლიცისტური მუშაობა გააჩაღა. გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მას იმავე გიმნაზიაში ტოვებენ რუსული ენის მასწავლებლად. ამავე დროს, იგი მასწავლებლობდა საღამოს საკვირაო სკოლაში, პარალელურად თანამშრომლობდა გაზეთ „კასპიაში“,[1] დაუღალავად იღვწოდა აზერბაიჯანში სახალხო განათლების სისტემის სრულყოფისათვის, წერდა ბაქოელ მშრომელთა მძიმე მდგომარეობაზე, ეწეოდა საგანმანათლებლო მუშაობას ღარიბ-ღატაკთა ქოხმახებში სინათლის შესატანად. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში დარია გაზეთის ფურცლებზე აქვეყნებდა პატარ-პატარა მოთხრობებსა და კორესპონდენციებს. დ. მალიევას დაწერილი აქვს მოთხრობებისა და ნარკვევების სერია ბაქოს მშრომელთა ცხოვრებაზე („ამშარი“, „განმანათლებლები“ და სხვ.). მავე საგანგებო ნარკვევი — „სამი დღე (ხოცვა-ჟლეტვა ბაქოში“), მიუძღვნა ბაქოში ხომეხთათართა შეტაკებას, რომელიც რეაქციის მესვეურებმა მოაწყვეს. ამავე საკითხზე იგი გარკვეულ ინფორმაციას აწვდიდა მოწინავე რუს ლიტერატორებსა და პუბლიცისტებს, რომლებთანაც ცხოველი მიმოწერა ჰქონდა.

დარია მალიევა ცოლად გაჰყვა ცნობილ არქიტექტორ ანატოლი ნიკოლოზის ძე კალგინს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების აღორძინებისათვის. მან, როგორც სამხატვრო აკადემიის პედაგოგმა, ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ ხელოვნებას ახალგაზრდა კადრების აღზრდით. ფრიად განათლებულმა ა. კალგინმა თავის მეუღლეს საშუალება მისცა კიდევ უფრო ნაყოფიერად ემუშავა და უფრო გაეღრმავებინა ლიტერატურული შემოქმედება.

დარია კონსტანტინეს ასული ვედრებისელი (მალიევა) გარდაიცვალა 1925 წლის 30 მაისს, ქ. მცხეთაში. დასაფლავებულია იქვე, სამთავროს მონასტრის ეზოში [2].

ბაქოში მუშაობის პერიოდში მალიევა ერთი წუთითაც არ ივიწყებდა საქართველოს. ბაქოს საზოგადოებრიობას ის სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას საქართველოს ცხოვრებიდან, ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს, ფელეტონებს და მოთხრობებს. იგი აქტიურად თანამშრომლობდა თბილისის მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებშიც, კერძოდ, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“.

დარია მალიევა თავის ნარკვევებსა და კორესპონდენციებს, აგრეთვე მოთხრობებს უპირატესად ფსევდონიმებით აქვეყნებდა. მისი ყველაზე ადრინდელი ფსევდონიმი „ვედრებისელი“ იყო, რომელსაც ყველაზე უფრო ხშირად იყენებდა. ამას გარდა, წერდა ფსევდონიმებით: „ომეგა“, „ჯიალბო“, „მადზელ ზაუზე“. დარიამ რამდენიმე მოთხრობა გამოაქვეყნა საბავშვო ჟურნალებში — „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“.

**1903** წელს, პეტერბურგში, ცნობილმა გამომცემელმა კ. გორბუნოვმა გამოსცა დ. მალიევას მოთხრობების კრებული **«Нетронуты уголок. Грузинские рассказы»**. („ხელუხლებელი კუთხე. ქართული მოთხრობები“) იგივე კრებული **1912** წ. დაიბეჭდა ქ. თბილისში; იმდროინდელი პრესა თანაგრძნობით შეხვდა ამ კრებულს.

ცნობილი პუბლიცისტი ყარიბი (პ. გელეიშვილი) თავის წერილში „დარია ვედრებისელი“ სამართლიანად აღნიშნავდა, მწერალმა ქალმა პირველმა აჰხადა ფარდა ხიზნების დაბეჩავებულ ცხოვრებას, გამოიტანა იგი „დიდი პრესის სამსჯავროზე“ და, სიმართლე რომ ვთქვათ, პრესა მედგრადაც გამოესარჩლა ხიზნებს. ავტორი იმ აზრს ანვითარებს, რომ **1898** წელს „რუსსკოე ბოგატსტვოში“ დაბეჭდილმა ვედრებისელის „ხიზნებმა“ და პრესაში მის გარშემო გაშლილმა მსჯელობამ გარკვეული გავლენა მოახდინა **1898** წელს „ხიზნების კანონის“ შემდგენლების თვალსაზრისზეო.

დარიკო მალიევას (ვედრებისელის) ცხოვრებისა და შემოქმედებაზე მოკლე წერილები გაგამოქვეყნდა გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ (**1954** წლის **8** აგვისტო, ავტორი ს. ცაიშვილი, და **1966** წლის **8** ივნისი, ავტორი ს. ყურაშვილი). ს. ყურაშვილი სინანულით აღნიშნავს, რომ ვედრებისელის შემოქმედება, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა მივიწყებას მიეცა. „იბადება კითხვა, რატომ არის დარია ვედრებისელი სრულიად დაუმსახურებლად მივიწყებული?— აღნიშნავდა ავტორი, — მისი შემოქმედების ნიმუშები, კერძოდ „ხიზნები“ მშობლიურ ენაზე უნდა გაიცნოს იმ ხალხმა, რომლის შვილიც ის იყო, რომლის ცხოვრებაზეც ასე შთაგონებით წერდა მწერალი ქალი“.

მწერლის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა მისმავე თანამედროვემ, ცნობილმა ლიტერატორმა გ. მ. თუმანიშვილმა, რომელმაც გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ **1903** წლის **1** ოქტომბრის ნომერში მოათავსა ვრცელი წერილი „დარია ვედრებისელი (მალიევა).“ წერილი შევიდა მის წიგნშიც „დახასიათებანი და მოგონებები“ (რუსულ ენაზე, წიგნი **II**, **1905** წ. თბილისი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მალიევამ მოთხრობების ბეჭდვა დაიწყო ბაქოში, გაზეთ „კასპიაში“. **1896** წელს **25** დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა საშობაო მოთხრობა „კრედიტორი“. მასში ავტორი აღწერდა მემამულეთა და თბი-

---

[1] ამ საკითხს საგანგებო წერილი მიუძღვნა ს. ა. მოვლაევამ. იხ. „ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებული III, თბ., 1972, გვ. 231-236.

[2] ფ. კოტეტიშვილი, დარია ვედრებისელი, „საქართველოს ქალი“. № 10, 1964.

ლისელ ვაჭართა ყოფის ცალკეულ დამახასიათებელ სურათებს. 1897 წლის 25 დეკემბერს იმავე გაზეთში დაიბეჭდა ვედრებისელის მოთხრობა „მგლის ორმო“, აქ აღწერილია ზამთრის სურათი, მოთხრობის გმირი ქალარა მიტრო ზის ანთებულ ბუხართან, აკერებს თავის ძველ ქალამნებს. მისი ცოლი სალომე ზის ტახტზე და წინდებს ქსოვს. ცოლ-ქმარი საუბრობს, ჩივიან, რომ ერთადერთი ქალიშვილი, ქეთო ვერ გაათხოვეს. წინა წელს, სიმინდის მთოხნელთა შორის, იყო კოხტად მოყვანილი ახალგაზრდა ყმაწვილი გიორგი. მას და ქეთოს შეუყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ გიორგი ხიზანი იყო, ძმებმა დაჩაგრეს, უსახლკაროდ დატოვეს, ისე რომ ღამის გასათევი თავშესაფარიც აღარა ჰქონდა. მან სთხოვა თავის მეგობარ მათეს, რკინიგზის სადგურის დარაჯს, დახმარებოდა, ეშოვნა მისთვის რაიმე სამუშაო, შემდეგ აღწერილია მემამულე სპირიდონის სახლკარი, რომელთანაც ხშირად მოდიოდა გორელი ვაჭარი კარაპეტა. იგი გამოჩნდებოდა ხოლმე მაშინ, როცა თავადს უფულობის სენი შეეყრებოდა. ეს კი ხშირად ემართებოდათ. ბოლოს მეგობრები და კეთილისმყოფლები გადაწყვეტენ „დაეცნენ“ მიტროს ქოხს, თან წაიყვანონ გიორგი და დანიშნონ მის ქალზე. ისინი მართლაც ესტუმრნენ მიტროს. სტუმრებს ოხური არაყი მიართვეს. სპირიდონის წინადადებით მიტრო თანხმდება თავისი ქალი მიათხოვოს რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილ გიორგის. გაშლიან ხასიძოს საჩუქრებსაც — ესაა სპილენძის სამაჯური, წინდები, ფეხსაცმელები, ოცკაპიკიანი გარმონი, იაფფასიანი კანფეტები. ქეთო ბედნიერად ილიმება. მისი ოცნება ახდა.

უფრო საინტერესოა დარია მალიევას მოთხრობების კრებული „ხელუხლებელი კუთხე.“ მასში შესულია რამდენიმე მოთხრობა და ნარკვევი, რომლებშიაც მაშინდელი სოფლის ყოფა-ცხოვრების ისეთი დეტალებია დახატული, რომ ნათლად ჩანს — ავტორი ღრმად იცნობს მასალას. მის მოთხრობებში გამოყვანილია სოფლის მცხოვრებთა მთელი გალერეა — მემამულეები („ხელუხლებელი მხარე“, „ოჯახური ბედნიერება“, „ნათლობა“), პარაზიტი ვაჭარმევახშეები („ნათლობა“, „ხიზნები“), სამღვდელოება, გლეხები, უმთავრესად, ხიზნები.

რუსეთის პრესა დადებითად გამოეხმაურა ზემოთ აღნიშნული წიგნის გამოსვლას. „რუსსკოე ბოგატსტვო“ ასე ახასიათებდა ამ წიგნს: „ამ კრებულს საყოველთაო ყურადღების ღირსად აქცევს ის სიმართლე და უშუალობა, რომლითაც ავტორი ხატავს თავისი ლამაზი და უბედური ქვეყნის ყოფასა და ჩვეულებებს. ცოტა რამ არის ამ მოთხრობებში სასიხარული, მაგრამ ავტორი არ არის პესიმისტი, არ ამუქებს ფერებს. ის უბრალოდ, ყოფის მართალი აღმწერელია, რომელსაც უყვარს სამშობლო და მისი ტკივილები საკუთარ ტკივილებად მიაჩნია“.

ვედრებისელის შემოქმედებას — დადებითად აფასებდნენ იმ დროინდელი პრესის ორგანოები — „სინ ოტეჩესტვა“, „ვესტნიკ ზნანია“, „პედაგოგიჩესკი ლისტოკ“, „კიევსკიე ოტკლიკი“ და სხვ.

ვედრებისელმა თავის პირველ წიგნს უწოდა „ხელუხლებელი კუთხე“, — წიგნში მოთავსებული ერთ-ერთი მოთხრობის სახელწოდება. ცნება „ხელუხლებელი კუთხე“ თავის თავად ბევრის მთქმელია: აქაურ მკვიდრთა ცხოვრებას პატრიარქალური იერი დაჰკრავს, ირგვლივ ჩამორჩენილობა და სიბნელე სუფევს და ბუნებით მდიდარი კუთხე სილატაკის ბუდედ ქცეულა. ვერ ვიტყვით, რომ ქართულ მწერლობაში ეს საკითხი პირველად დაისვა. XIX საუკუნის რეფორმის შემდგომი ხანის ქართული სოფლის ჩამორჩენილობა, მემამულური კლასის დეგრადაცია სათანადოდ აისახა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში. ვედრებისელს მრავალ ნაწარმოებში მოქმედ პერსონაჟად გამოყვანილი ჰყავს თავისი თავი. ასეეა, კერძოდ, მოთხრობა „ხელუხლებელ კუთხეშიც“. ავტორი, თავის მეგობრებთან ერთად, მიემგზავრება ქართლის ერთ სამაზრო ქალაქში, რომელიც რკინიგზიდან საკმაოდ არის დაცილებული. გზაზე მგზავრები საუბრობენ, აღნიშნავენ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია ასეთი ხელუხლებელი კუთხეები, მოთხრობაში ყურადღებას იქცევს კონტრასტული სურათები ლამაზი ბუნებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა მძიმე, უფერული ცხოვრებისა. მგზავრები ერთი-მეორეს უზიარებენ საინტერესო ამბებს, რომლის შემსწრენი თითონ არიან, ჰყვებიან, რომ სამი ძმა აზნაური თულაშვილები გაყრისას წაიჩხუბნენ და ერთ-ერთი ძმა მოკლეს. უკეთესი ვითარება არაა მეორე ოჯახში. ამ ოჯახის უფროსი მემამულეა, მას დიდძალი მიწები აქვს, ამას გარდა, მთაშიც აქვს ადგილები, სადაც გვარჯილას იღებს და ჰყიდის. ასეთი მამულის პატრონს, არ შეუძლია წესიერად ცხოვრება. მას არ შეუძლია ძმასთან ერთად შეაკეთოს სახლი. მწერალი ჰკიცხავს და გმობს ამ უკულტურობას, მცონარეობას, რომელიც დამახასიათებელი იყო თავად-აზნაურული წოდებისათვის.

დარია ვედრებისელის მოთხრობების კრებულში დიდ ინტერესს იწვევს ნარკვევი „ხიზნები“. მასში აღწერილია სოფ. ცრემლიანის ხიზნების გაჭირვებული და უსიხარულო ცხოვრება. სოფლის წვიმიანი და ცივი შემოდგომა... ამ სევდიანი პეიზაჟის აღწერის შემდეგ მწერალს შევყავართ ხიზან მარო როსტომაშვილის ქოხში, სადაც გამეფებულია სილატაკე. ოჯახში არიან რვა წლის ვასო და ხუთი წლის ნინო — ფეხშიშველნი, ტანზე აცვიათ დაფლეთილი პერანგები, ბავშვები „ბატი-ბუტს“ შეექცევიან.

იმ წლის მოსავლიდან მათ ოჯახს მცირეოდენი სიმინდი-ღა შემორჩა. ხილი — ვაშლი, მსხალი, ქლიავი ჩარჩ-ვაჭრებმა ჩალის ფასად იყიდეს და ზედმეტ ფასში გაასაღეს თბილისსა და გორში. ქოხის მთელ მორთულობას შეადგენს კიდობანი და ერთი ძველი ზანდუკი. ქოხში, მეორე მხარეს, მძიმედ ფშვინავს პირუტყვი. სივიწროვეა, დგას ნაკელის სუნი; ავტორი აქვე გვაცნობს ამ ქოხის ბინადართა ვინაობას: დიდი ხნის წინათ მთებიდან ჩამოვიდა სამი ძმა და ხიზნად დასახლდა მემამულე არჩილ გულაშვილის მიწაზე. ისინი ჯერ მიწურებში ცხოვრობდნენ, შემდეგ, როცა სული მოითქვეს, ხის სახლები აიშენეს. მალე ძმები გაიყარნენ; სულ შეიქმნა ხიზნების თორმეტი ოჯახი, მაგრამ მიწის ნაკვეთი პირველად რაც მიიღეს, იგივე შერჩათ. ამის გამო შემდგომი თაობები უფრო ღარიბად ცხოვრობდნენ. დროთა განმავლობაში ნათელ-მირონობით, დანათესავების წყალობით ისინი დაუკავშირდნენ ქართველებს. დარია ვედრებისელის ამ ნარკვევში დახატულია ოს ხიზანთა წარმოქმნის სავსებით რეალური სურათი. სწორადაა დანახული მათი ქართველებთან დაახლოების ისტორიაც.

ამ ხიზნებიდან ერთ-ერთი ამაყობდა თავისი ექვსი ვაჟით. ესენი იყვნენ წარმოსადეგი, მხარბეჭიანი ლამაზი ახალგაზრდები: ისინი რომ ხვნის დროს ქართულ ან ოსურ სიმღერას დააგუგუნებდნენ, თითქოს მინდვრებიც კი მხიარულობდნენ. მაგრამ მალე ძმებს ავადმყოფობა დაერია, ამოწყვიტა ხუთი ძმა ბავშვებითურთ, დაიღუპნენ მოხუცებიც, ცოცხალი დარჩა ერთადერთი ძმა ლექსო თავისი ორი ბავშვით.

ავტორი აღნიშნავს, რომ სიღატაკე, ხელმოკლეობა, სიცივე, სამედიცინო დახმარების უქონლობა იწვევს იმას, რომ ძალზე სწრაფად იზრდება სოფლის სასაფლაო. მდიდარი ბუნებისა და საუკეთესო კლიმატის მიუხედავად, ამ სოფელში ადამიანი ორმოც წლამდე ძლივს აღწევსო. ამ თორმეტ კომლიან სოფელში იშვიათია ქალი, რომ ძაძას არ ატარებდეს, ხოლო თითქმის ყველა მამაკაცს ახალუხის ღილკილოზე გლოვის ნიშნად შავი ნაჭრები აქვთ მიკერებული.

დარია ვედრებისელი ხიზანთა მძიმე მდგომარეობის სრულად და დამაჯერებლად დახატვის მიზნით გვიჩვენებს ლექსოს ცხოვრების დამახასიათებელ სურათს: სადამოზე ლექსოს ოჯახი მიუჯდა ღარიბულ ვახშამს — მათი კერძი იყო ნაცარში გამომცხვარი ხმიადი და დანაყილი ნიგვრის წვენი (ოსურად „ნურშახთონ"). ვახშამმა ლექსო ვერ დააკმაყოფილა. მაშინ მან საგანგებოდ გადანახული შებოლილი ღორის ხორცის ნაჭერი გამოიტანა, ბავშვები მიესივნენ შეძახილით: „არიმა-ა! არიმა-ა! („მომეცი" — ოსური). ლექსო ძლივს ასწრებდა მათთვის და თავისთვის ქონის მოთლას. ამ ყოფაში არიან, როცა ლექსოს ოჯახში მოდის მევდლის შვილი. სამსონი. იგი მოითხოვს პროცენტებით აღებული ვალის გადახდას. ეს ვალი ძალიან უცნაურია. ლექსომ ისესხა ათი მანეთი, სამსონმა კი ხელწერილში ოცი მანეთი ჩაწერა. — „ჩემი წესი ასეთიაო, წელიწადში მანეთზე 30 კაპიკ პროცენტს ვღებულობო". სამსონი ლექსოს უანგარიშებს პროცენტებით დაგროვილ მთლიან ვალს, რომელმაც, სამსონის „ანგარიშით" სამ წელიწადში 103 მანეთი და 10 კაპიკი შეადგინა. როცა ლექსოს ეს თანხა ებევრა, სამსონმა იგი დატუქსა; ლექსოს მეტი გზა არა აქვს, გამოანგარიშება მას არ შეუძლია, თანხმდება გადახდაზე, ოღონდ დაცდას ითხოვს — წავა ჭიათურაში სამუშაოდ და დაუბრუნებს ვალს. ლექსოს თანხმობით კმაყოფილი სამსონი „დიდსულოვნებას" გამოიჩენს და განუცხადებს — ათი კაპიკი არ მინდა, მარტო 103 მანეთი გადამიხადეო. სამსონს ქათამი დაუკლეს და ვახშმის გაწყობამდე საუბრით შეექცევიან. ამ დროს მემამულე ილიკო გულაშვილი შემოდის ყვირილითა და გინებით; ის ამობს — თორმეტა კომლი ხართ, თითოეულს ორმოცდარვა სამუშაო დღე აკისრია ჩემს სასარგებლოდ, ჩემთვის რომ დაგეხარჯათ ის შრომა, — ჩემი სახლ-კარი, მამული აყვავებული იქნებოდა, მაგრამ თქვენ მუშაობა არ გინდათო.

დამახასიათებელია მებატონისა და მევახშის დიალოგი:

„— როგორ პროცენტს იღებ —ქრისტესეულსა თუ იუდასეულს?

— როგორც სინდისი გამიჭრის, ისეთს.

— ეგ, როდის აქეთ გაგიჩნდა შენ სინდისი?!"

ლექსოს ოჯახში შემოკრებილი ხიზნები მემამულეს უხსნიან, რომ ნათესები წაუხდათ და იმდენი მოსავალიც ვერ მოიყვანეს, რომ ოჯახი გამოკვებონ. ამიტომ სთხოვენ გადასახადის ვადის გადაწევას. ამ თხოვნით აღშფოთებული მემამულე ყვირის, რომ ამ ოთხ კოდ მარცვლეულს ძაღლებსა და ღორებს გადაუყრის, მათ — ხიზნებს კი არ შეიცოდებს, რომლებიც თითქოს, თავზე დაასხდნენ. მასპინძლებმა მოიტანეს სასმელ-საჭმელი. მემამულე ხარბად იტენის საჭმელს პირში და თან ხიზნებს ლანძღავს, ბრალს სდებს, კარგად არ მუშაობთო. მოხუცი ხიზანი პასუხობს, რომ რაც შეუძლიათ, სამსახურს არ აკლებენ — როცა თვითონ იმერეთში იყო სამუშაოდ წასული, მის მაგივრად შვილები მუშაობდნენ. მოხუცი, პირიქით, საყვედურობს მემამულეს, რომ იგი არ ზრუნავს ხიზნებზე. აღშფოთებული მემამულე აცხადებს, რომ ხიზნებზე ზრუნვა მისი საქმე არ არის და თვითონ უნდა უპატრონონ თავს. ჩხუბი გრძელდება. მემამულე მოითხოვს, რომ წაეთრიონ მისი მამულიდან. ხიზნები პასუხობენ, რომ წასვლა კი უნდათ, მაგრამ სად და როგორ წავიდნენ? თავისი ნებით ვერ წავლენ, რადგან მაშინ მემამულეს ფული უნდა გადაუხადონ, ფული კი არა აქვთ. ხოლო თუ მემამულე აჰყრის, ახალი კა-

ნონით მათ ნარგავებისა და ნაგებობების ღირებულება უნდა აუნაზღაუროს.

მემამულე აღშფოთდა — როგორ, თქვენ კანონებიც იცითო, ვინ გასწავლათო? ნაწარმოებში ავტორს ხიზნების დამცველად გამოყვანილი ჰყავს ახალგაზრდა ქალი ტასო, რომელიც გაზეთებს უკითხავს დაბეჩავებულ ხალხს, უფასოდ აძლევს ჩაის, შაქარს, წამლებს, უწერს საჩივარ-განცხადებებს, შეძლებისდაგვარად ეხმარება. დარიკო ვედრებისელის ბიოგრაფიიდან ჩანს — ამ პერსონაჟის — ტასოს სახით ნაწარმოების ავტორი თავის თავსა გულისხმობს.

ნარკვევში მრავალი ხიზნის ბედია აღწერილი. მეწისქვილე დავითას და ხიზან ხალას საუბრიდან ვგებულობთ ერთი მარტოხელა ქალის უბედურებაზე, რომელსაც აკვანში ჩაწოლილი ბავშვი, უპატრონობის გამო (თვითონ ფქვილის საშოვნელად მეზობელ სოფელში იყო წასული), ღორმა დაუფლითა. ლაპარაკობენ ლექსოს ავადმყოფობაზე, შალვას მდგომარეობაზე, რომელიც უფულობის გამო უბარათოდ შევიდა ტყეში შეშის მოსაჭრელად, მოუსწრეს და ისე შეუბრალებლად სცემეს, რომ კაცი ლოგინად ჩავარდა. ლაპარაკობენ აგრეთვე იმ ზიანზე, რაც ქელეხებს მოაქვთ ისედაც ღარიბი გლეხებისათვის.

ხიზან ლექსოს ოჯახში მიდის დიაკვანი მისთვის დაწესებული გადასახადის — ერთი კოდი ხორბლის წასაღებად; ცოლ-ქმარი სთხოვს, რომ ერთი კვირა დააცადოს, მაგრამ ის არ თანხმდება. დიაკვანი ჯერ არ გაუსტუმრებიათ და მამასახლისი მოადგა კარზე ტომრით თავისი წილის მისაღებად. ლექსო მასაც დაცდას ეხვეწება, მაგრამ მამასახლისი იმუქრება. მარცვლეულს კარგი ფასი აძევს და ყველა ცდილობს დროზე მიიღოს „თავისი კუთვნილი"; შეფიქრიანებული ლექსო ანგარიშობს, რომ მთელი მისი შემოსავალი სულ ორმოც კოდ ხორბალს შეადგენს, აქედან — 12 კოდი მემამულემ წაიღო, 10 კოდი — მედუქნე სტეპკომ, 8 მანეთი საბეგრო ფული გადაიხადა, 2 მანეთი და 60 კაპ. მამასახლისს მისცა, 3 მანეთიც გადაკარგული ფრიდონას გამო გადაახდევინეს. ლექსო შავმა ფიქრებმა გაიტაცეს. ყველას გადასახადებს ვუხდით, სიკვდილის გარდა არაფერი დაგვრჩენიაო. „ხანდახან ისე მეჩვენება, რომ კარგი იქნებოდა, ღმერთს ერთ მშვენიერ დღეს მთლიანად ამოეწყვიტა ჩვენი, ხიზანთა მოდგმა". იგი აღტაცებულია იმ ადამიანთა ბედით, რომლებიც მან ნახა ქიათურაში: „სახლები თეთრად შეღებილი აქვთ, დადიან სუფთა ტანსაცმლით, ჩექმებით"... ლექსო თვლის, რომ ადამიანური ცხოვრებისათვის საჭიროა სოფლიდან გაქცევა. მამასახლისის შეკითხვაზე, თუ ვის უნდა გაექცეს, ის ბრაზიანად პასუხობს: „ბატონს, მღვდელს, მოვალეებს, შენ, ყველა თქვენგანს". დიაკონი ნიშნის მოგებით ეუბნება, რომ „მღვდელს ვერსად გაექცევიო".

ერთადერთი იმედის სხივი ამ უსიხარულო ოჯახისათვის არის მეწისქვილე დავითა — ქართველი კაცი, რომელიც თანაგრძნობას უწევს ხიზნების ოჯახს. როცა ლექსოს ჩაფიქრებულს და მწარედ დაღონებულს მიუსწრო და გაიგო საქმის ვითარება, ანუგეშა: ნუ გეშინიათ, ურჯულოთა შორის ხომ არ ცხოვრობთ, თუ პური არ გეყოფათ, ჩემგან წაიღებთ. როცა გექნებათ, მაშინ გადამიხდით. მამასახლისს არაფერი არ მისცეთ, მას ჩემი სამი მანეთი ჰმართებს და იმაში გამოუბარეთო.

უბედური ცხოვრებისაგან გაწამებულ და ღონემიხდილ ლექსოს ბოლოს ფილტვების ანთება დაემართება, მის ავადმყოფობას მკითხავ-შემლოცველებმა ვერაფერი უშველეს, კვდება უბედური კაცი, კვდება საშინელი ტანჯვა-წამებით.

ნარკვევის ეს ეპიზოდი ღრმად დრამატულია და აღსავსე ყოფითი დეტალებით. ლექსო ითხოვს სამარხი ტანსაცმლის მომზადებას (ასეთი წესი აქვთ ოსებსო, შენიშნავს მწერალი). მოიწვევენ მეფართლე ებრაელს. ლექსოს ერთი ჩითი მოეწონება და მეუღლეს ეუბნება: „მარო, შეხედე, რა ჩითია, ამ ჩითის ახალუხით მინდა კუბოში ვიწვე". როცა ყველაფერი უყიდეს, რაც მიცვალებულის მოსაკაზმად იყო საჭირო, ლექსო კმაყოფილებით აცხადებს: „ახლა, მარო, მე ყველაფერი მაქვს საიქიოსთვისო". ლექსო კვდება მშვიდად, წყნარად, თითქოს დაღლილი კაცი იძინებსო. მომაკვდავი ლექსო ემუდარება მეუღლეს, რომ როგორც კი წამოიზრდება მათი ვაჟი ვასო, მიატოვონ სოფ, ცრემლიანი, მისცეს იგი მოსამსახურედ სადგურზე, ან წავიდნენ ქალაქში.

მწერალი ქალი აღწერს ლექსოს დაკრძალვის ცერემონიასაც: ხიზან შამილასთან შეიკრიბება 7-8 კაცი, რომლებიც მსჯელობენ, თუ როგორ მოაწყონ ქელეხი: უნდა დაკლან ხარი, ცხვარი, ქათამი, იყიდონ ბრინჯი. არაყი შაროს თვითონ აღმოაჩნდება, ღვინო მედუქნესთან ვიყიდოთო, ისედაც ღატაკი ხიზნები უკანასკნელ პერანგს იხდიან, სიკვდილისაგან დაზარალებულ ოჯახს უკანასკნელ ხახსარს აცლიან ხელიდან. ერთადერთი მეწისქვილე დავითაა წინააღმდეგი ამ ქელეხისა, რომელიც ისედაც გაუბედურებულ მაროს და მის შვილებს ულუკმაპუროდ დატოვებს. მაგრამ ოსი ხიზნები დავითას წინააღმდეგ გამოდიან, ვინაიდან უქელეხოდ დაკრძალვა მამა-პაპური ადათ-წესების დარღვევა იქნებაო.

ქელეხი ღებულობს საზარელ სახეს; ქოხის ყოველი კუთხიდან ისმის მთვრალების ღრიანცელი, ძაღლები ძვლების ძებნაში იბლანდებიან მოქელეხეთა ფეხებში, ორი ხიზანი, რომლებიც დილიდან შეუწყვეტლივ სვამდნენ, წაიჩხუბნენ, ხანჯლებიც იშიშვლეს, შემდეგ შერიგდნენ, გადაეხვივნენ ერთმანეთს და ხმამაღლა შემოსძახეს

„ყაჩაღი ტატეს სიმღერა“, იმ ტატესი, რომელიც გორში ჩამოახრჩვეს: „ტატე დამ ბაჟურე, ვარა-დუ-რადა-რეე!“

ასეთია მოკლედ დარია ვედრებისელის ამ გახმაურებული ნარკვევის შინაარსი. როგორც ვთქვით, იგი დოკუმენტური სიზუსტით გვამცნობს ოსი ხიზნების უუფლებო და უსიხარულო ცხოვრებას.

მძაფრი სიუჟეტით გამოირჩევა დარია ვედრებისელის მოთხრობა „თავისი საკუთრებისათვის“. თავადი ბეჟიკო ორმოც მანეთს გამოართმევს თავად სამსონს და დესეტინა მიწას დაუგირავებს. ამ მიწაზე შეხიზნული შამილა ვალდებულია ლალა სამსონს მიუტანოს. როცა შამილას ურმით ლალა მიაქვს სამსონთან, გზაზე შეხვედრილ ბეჟიკოს თავისი საკუთრების სხვის ხელში გადასვლა აღაშფოთებს და ხიზან შამილას ხარების წართმევას დაუპირებს. იგი არ ანებებს თავის მარჩენალ ხარებს და ტყვიით განგმირული ეცემა. სოფლელები ბეჟიკოს მხეცს, მგლის ნაშიერს, სატანას უწოდებენ.

აღწერს რა თავის თანამედროვე სოფლის მშრომელთა მძიმე მდგომარეობას, დარია ვედრებისელი არ ივიწყებს დაგვიხატოს ნათელი მხარეებიც, რომლებიც იშვიათად, მაგრამ მაინც გამოკრთება ხოლმე მათი უსიხარულო ცხოვრების საერთო ფონზე. იგი გვიჩვენებს, თუ რა დიდი ადამიანური გული ძგერს ამ გარეგნულად მოუხეშავი, ცხოვრებისაგან დაჩაგრული გლეხობის მკერდში, რა წრფელი და მოკრძალებულია მათი სიყვარული. მოთხრობაში „მეხრე“ აღწერილია ქვრივი ხიზნის მარინეს ოჯახში დატრიალებული სიხარული, რაც მისი უფროსი ვაჟის — თოთხმეტი წლის პეტრეს მეხრედ აყვანამ გამოიწვია, მაგრამ ეს სიხარული დიდხანს არ გრძელდება. პეტრემ შემთხვევით თვალი გამოსთხარა ილიას ხარს, მან კი სანაცვლოდ ხარი წაართვა მარინეს; უსაზღვროა ქვრივის ოჯახის მწუხარება. მაგრამ სოფლის მწყემსი მიხეილა, ერთადერთი ხარის პატრონი, თავის წაბლას მარინეს და პეტრეს აჩუქებს. ოჯახს იმედი და სიხარული უბრუნდება.

მოთხრობაში „ყინულის თალებქვეშ“ აღწერილია სოფ. ლარის მცხოვრები გლეხების — ქვრივი ელენეს და მარტოხელა ილიკოს ცხოვრება. ისინი გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანები არიან. ილიკოს სურს ცოლად შეირთოს ელენე, მაგრამ იგი უარზეა, არ უნდა შელახოს თავისი კერის ღირსება. მაგრამ მათ ურთმანეთოდ უქირთ ცხოვრება მათი სიყვარული სუფთაა, მოკრძალებული, ყოველგვარ ბრწყინვალებას მოკლებული. ბოლოს ისინი შეაერთებენ თავის ცხოვრებას.

დარია ვედრებისელის დასახელებულ კრებულში მოთავსებული მოთხრობები თემატურად დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. მათში ასახულია გალატაკებულ მემამულეთა, ექსპლუატირებულ გლეხთა და ხიზანთა ყოველდღიური ცხოვრება. ამ მოთხრობებში გამოყვანილია სოფლის ბურჟუაზიის — ქართული სოფლის ახალი ფაქტიური ბატონების წარმომადგენლებიც. ქონებრივად ისინი გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ, მაგრამ ჯერ კიდევ იძულებული არიან მოიკატუნონ თავი მებატონეთა წინაშე. ეს ტიპები არიან მევახშეები, მედუქნეები, სხვადასხვა შეძლებისა და რანგის მოიჯარადრეები.

კრებულში შესულ მოთხრობებში ამაოდ დავუწყებთ ძებნას ჩაგრული და უუფლებო კლასების მხრივ რაიმე პროტესტის გამოვლენას, თუმცა თავის გაჭირვებას ბევრი უჩივის. მოთხრობებში არც მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები ჩანან (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტასოს მკრთალ სახეს), რომლებიც უმეცრებისა და გაჭირვების წყვდიადში ჩაფლულ სოფელში რაიმე დადებით როლს შეასრულებდნენ. ერთადერთი გამონაკლისია თავადი ამირინდო ცალხელიძე („ნათლობა“): ამ მოთხრობაში ასეთი ამბავია გადმოცემული: ამირინდო ესწრება ნათლობას გალატაკებული თავადის სანდროს ოჯახში. ეს ის სანდროა, რომელმაც თავის მამაპაპეული მამულიდან შერჩენილი მიწის დაგირავებით აღებული ფულით იქორწინა და ასეთივე გზით მიღებული ფულით იხდის შვილის ნათლობას. ნათლობის მომდევნო დღეს ამირინდო, მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, დაფიქრდება ამ ადამიანების ყოფაზე, გონების თვალს გადაავლებს საქართველოს სოფლის სილატაკესა და უმეცრებას, თავადაზნაურობის ფუქსავატურ ცხოვრებას, დღეს რომ დიდ ღრეობას აწყობს, ხვალ კი ლუკმა პური ენატრება. ისინი ქალაქში ყიდულობენ კიტრსა და ბოსტნეულს, მაშინ როცა მათ ბოსტნებში ძროხები სძოვენ. იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „არა ქალაქში, არამედ აქ, სოფელშია საჭირო მუშაობა, რათა გაიფანტოს ეს საშინელი წყვდიადი“.

**1905-1907** წლების რევოლუციამ, შემდეგ პირველმა მსოფლიო ომმა საგრძნობლად გაამრავალფეროვნა ვედრებისელის მოთხრობების თემატიკა. მისი ნაწერები უფრო მებრძოლი, კრიტიკული გახდა. ამდროინდელ მის მრავალრიცხოვან მოთხრობებში, რომლებიც საცენზურო პირობების გამო ხელნაწერებად დარჩა, აისახა რევოლუციის აღმავლობა, მშრომელთა იმედების გამოღვიძება („ერთობა“, „ძველებურად“, „ორ ცეცხლს შუა“ და სხვ.). რევოლუციის დამარცხებას და რეაქციის მძვინვარებას ეხება მოთხრობები“ — „იგივე, რაც იყო“, „ბატები“, „ოლღა“ და სხვ. მწერალი ქალი სინანულით აღნიშნავს განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხებას და რეაქციის ზეიმს.

დარია ვედრებისელის მრავალი მოთხრობა ეხება პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის ხანას. ომისდროინდელ ვითარებაზე ავტორმა მოთხრობების გარდა, საგანგებოდ და-

წერა ნარკვევში „წერილები საქართველოდან“ და გაუგზავნა ვ. კოროლენკოს „რუსსკოე ბოგატსტვოში“ დასაბეჭდად. პირველ წერილში იგი ეხება კავკასიაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, სამეურნეო ცხოვრების დაქვეითებას. შიმშილობას, ფასების ზრდას. მეორე წერილი აჭარის ამბებს ეძღვნება. ავტორი ცდილობს გააქარწყლოს ოფიციალურ წრეებში გავრცელებული ჭორი, თითქოს აჭარლებს ომის წლებში ეღალატოთ და თურქეთის მხარი დაეჭიროთ. ავტორი ჰგმობს ამ ცილისწამებასა და მკითხველს დაწვრილებით მოუთხრობს ცარიზმის მოხელეთა უგუნურ პოლიტიკაზე; რა თქმა უნდა, ამ ხასიათის წერილებს მეფის ცენზურა აკრძალავდა.

დარია ვედრებისელმა რუსულ ლიტერატურაში იმდენად გაითქვა სახელი, რომ მომზადდა მისი „ქართული მოთხრობების“ მეორე წიგნი. მასში ოცდაერთი მოთხრობა უნდა შესულიყო. მოთხრობათა ნახევარი უკვე დაბეჭდილი იყო ცენტრალურ და ადგილობრივ გამოცემებში. მაგრამ ვედრებისელის მეორე კრებულს გამოცემა არ ღირსებია. მისი პირველი კრებულის გამომცემელი ციმბირს გადაასახლეს. პეტერბურგი გამომცემლობასთან დადებული შეთანხმება მეორე კრებულის გამოცემაზე ვერ შესრულდა, მასალები გადაიგზავნა, მაგრამ ისინი დაიკარგა.

აღსანიშნავია დარია ვედრებისელის საქმიანობის ის მხარეც, რომელიც ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების რუსულად თარგმნასთან არის დაკავშირებული. მან წინებულად თარგმნა და დაბეჭდა რუსულად ეგნატე ნინოშვილის რამდენიმე მოთხრობა, მათ შორის „პალიასტომის ტბა“, შ. არაგვისპირელის „ჩემო შვილდავ“ და სხვ. პირველი მსოფლიო ომის წლებში დასრულდა ქართველი მწერლების ნაწარმოებთა კრებულის მომზადება დასაბეჭდად რუსულ ენაზე. ამ საქმეს სათავეში დარია ჩაუდგა, შემოიკრიბა მთარგმნელთა წრე და ჩაატარა დიდი შრომატევადი სამუშაო. მთელი გამზადებული მასალა გაიგზავნა პეტერბურგში, მაგრამ მასაც იგივე ბედი ეწია.

დარია ვედრებისელზე რომ ჩვენი საუბარი მეტნაკლებად სრული იყოს, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ისიც, რომ იგი, ლიტერატურულ-პუბლიცისტური მუშაობის გარდა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იმდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დარია ვედრებისელი ვერ ამაღლდა არსებული უსამართლო საზოგადოებრივი წყობილების რევოლუციური გზით დამხობის აუცილებლობის შეგნებამდე, მაგრამ დაჩაგრული ადამიანების უუფლებო მძიმე ცხოვრების აღწერით მან დიდი სამსახური გაუწია თავის ხალხსა და სამშობლოს. მწერლის მოთხრობები და ნარკვევები, ჩვენი აზრითაც, იმსახურებენ იმას, რომ უფრო საფუძვლიანად იქნეს შესწავლილ-შეფასებული მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გაზაფხულის ფოთლები“

ამას წინათ გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა ახალგაზრდა პოეტის ბადათერ არაბულის ლექსების პირველი კრებული. ბადათერ არაბულის ლექსებმა ჯერ კიდევ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე პირველი გამოჩენისას მიიპყრეს მკითხველის ყურადღება. ამ ლექსებში ნამდვილი სიწრფელე და მომხიბვლელი პოეტური სითბო და სინატიფეა. ვინ მოსთვლის რამდენი რამ დაწერილა ქალაქზე, თითქოს შეუძლებელია აქ რაიმე ახლის თქმა, მაგრამ აი კითხულობთ ლექსებს — „ხეები ქალაქში“, „თაია“, და თქვენ თვალწინ ნათლად ისახება თითქოს ახალი სხივით გაშუქებული მთაწმინდის აყვავებული ალუჩები და პატარა გოგონა, პირველად მოხვედრილი ლამაზ, მაგრამ ხიფათით სავსე ქალაქის ქუჩებში. ასევე ნათლად ხედავთ ქალაქის მტვრიან ქუჩებში „გამომწყვდეულ ხეებს“, დიდი წვიმები რომ ენატრებათ, ქარიშხლები ენატრებათ, სიზმრად რომ ხედავენ შორეულ ტყეებს, შორიდან რომ ჩაესმით ჩიტთა გალობა. მისტირიან ხეები სანატრელ ტყეს, და, ზუსტად ასევე, თავის მხრივ, ხევსურეთის დაცლილი სოფელი ხალხს ეძახის — „აქ მარტოობას ტირის ტყიურიც, და სანთლებივით ანთია მთაზე მიმოზნეული წვეთი იელის“. ეს ერთი პატარა შტრიხი — იელის ყვითელი ბუჩქი — ანათებს მთელ სურათს და სახილველს ხდის არა მარტო ბუნებას, არამედ ადამიანის განცდასაც.

ეს პატარა წიგნი, პირველიდან ბოლო სტრიქონამდე გამსჭვალულია სამშობლოს მთებისა და ველების, მისი ადამიანების სიყვარულით. წიგნი იხსნება ლექსით „ოღონდ“, რომელშიც პოეტი ამბობს: „მიწა დამიგე, შენი თბილი ზეცა დამხურე, შენთვის მამღერე, მაგალობე და მამსახურე, ეკლიან გზებზე ფეხშიშველა შენს წინ მატარე, თუ არ აშენდეს, იმ ციხეშიც მე ჩამატანე. შენი ცრემლი და სატკივარი გამინაწილე, გასაწირავად თუ დაგჭირდე, კიდეც გამწირე, ჰოი, მამულო, ოღონდ შენი ზეცა დამხურე, შენთვის მამღერე, მაგალობე და მამსახურე“. ამ სტრიქონებზე რომ ვთქვათ, — კარგიაო, არ არის საკმარისი. წიგნში ყველა ლექსი ბევრის მეტყველია, ყველა მათგანს ატყვია სიახლის ძიების კვალი, ატყვია, როგორც ცალკე სახეებს, ისე მთლიან ჩანაფიქრს; აი, ცალკეული სახეები ამ კრებულიდან: „დაკიდებული წვიმის კიბეზე როდის ჩამოვა ზეცა ჩემამდის, რომ კვლავ აგისხა წვეთების მძივი და ვარსკვლავების მძივი ფერადი“; „ისე შენ კარგად მენახე, შენი ფუძით და ძირით, მე არაფერზე ვიტირო, თუ არაფერზე სტირი“; „მე ვწევარ ფოთლების ჭერქვეშ და მიკიდია ხეებზე მთვარის ფერადი ჭალი“; „შენი სხივების თბილ ლიანდაგზე მიირწევა მთელი სამყარო“; „ძაღლები კბენენ ღამის სიჩუმეს და შორეული ქედების მიღმა მოყონავს მთვარის მკრთალი ციაგი“; „დღე დაბერდა: — დადგა საღამო და ღამის ბინდი შაშვებივით მოედო ჭალებს“; „მე შევაგროვებ ქვეყანაზე რაც კი ლამეა, რომ მოსასხამი შევიკერო მაგ მგლოვიარე დღეებისათვის“. ეს უაღრესად ორიგინალური სახეებია, რომლებიც მეტყველებენ, რომ პოეტს უკვე აქვს საკუთარი ხელწერა, თავისებური პოეტური შეგრძნება ბუნებისა და ისტორიისა, შეგრძნობა სამყაროსი, და მას ხშირად უხილავს „შეუცნობი ჩრდილთა არილიც“.

გაბრიელ ჯაბუშანურს, ჯერ ისევ ადრე, ალეკო შენგელიამ უძღვნა სტრიქონები: „მაშ, გაუმარჯოს იმ გათენებას, ვერ ვიგრძნოთ ღამე იყო თუ არა“. პოეტის გარდაცვალების შემდეგ მის ნათელ ხსოვნას ბევრმა ქართველმა პოეტმა მიუძღვნა თბილი და გულწრფელი ლექსი. ამ ლექსთა შორის უთუოდ იპყრობს მკითხველის ყურადღებას ბადათერ არაბულის „მგზავრი“, რომელიც გ. ჯაბუშანურისადმია მიძღვნილი. „მზის გადასვლამდე მიჰქონდა ტვირთი, მამულზე ფიქრი, სინდისი, მრწამსი... მზის გადასვლამდე მიჰქონდა ტვირთი და შეუცნობი ხმაურით სავსე — ჰყვაოდა სივრცე, — გზებზე კი ბინდი და უხილავი ქარი ჰქიოდა, მას კი მიჰქონდა ლამაზი ტვირთი და ჯერ უთქმელი სევდა სტკიოდა და მიდიოდა“, — ეს ნათელი და თბილი სტრიქონები ხატავენ მართალ სახეს პოეტისას, რომელიც წუთისოფლის მგზავრის სახით წარმოუდგენია ავტორს. მიდიოდა მგზავრი, განვლო სიმღერით ეს დიდი სოფელი და

გზის გავლისას მოიხსნა ტვირთი, დაისვენა საფლავის ქვაზე. თავისი მთელი ცხოვრება გაბრიელმა მამულის ტრფიალს შესწირა, და ხალხის მიერ ფართოდ იქნა აღიარებული მისი პოეზიის მაღალი შემოქმედებითი ღირსებანი.

ბალათერ არაბულის წიგნი თავისი ჩანაფიქრით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „მზე (ტრიპტიქი)“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ძველი ქართული ხალხური ლექსი — „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა“. შემდეგ ლექსში ვკითხულობთ: „გვირილების თეთრი კალათით ყველა სახლის ფანჯარაში შემოგდგამ, მზეო, რომ არ მოაკლდეს ბავშვებს . სითბო, მოხუცებულებს თვალის სინათლე... შენს სხივებს კიდევ უმიზნებენ ზარბაზნის ლულებს და ხიროსიმას სოკოების ჩრდილში მალავენ... — ხელს ნუ იჩრდილავთ! ჩვენ მზე უნდა გვენთოს თვალებში და ციაგ ცვარში ჩასული მზით გალუმპული გვქონდეს ფეხები... — ამოდი, მზეო! შენი თბილი ნათელი თმები გადაივარცხნე ულრანებით და დილის ნამში ფეხშიშველამ დაიარე· ჩემს მინდვრები, მწაფე ყანების მდინარეებით დამიტბორე გზები მამულის... მე კი ტოროლას — გარიჟრაჟის გათლილ სალამურს დავუკრავ შენთვის. — ამოდი, მზეო! მეზღვაურებს თბილი დარები და ბარაქა მიეცი, მზეო, მხვნელებს — სახნავი, მთესველს — სათესი, ყველას თავისი ერგება, მზეო!“.

რა უბრალოდ და რა ლამაზად არის აქ გადმოცემული საკაცობრიო იდეა მშვიდობის დაცვისა, და რა კარგად არის ეს დიდი იდეა დაკავშირებული ძველ ხალხურ ფესვებთან, მზის ძველ ჰიმნთან, რომელშიც ხალხი არსებითად იმავე სწრაფვას გამოხატავდა — ნატრობდა მშვიდობას, მზეს, ულრუბლო ცას... როგორც მოწოდება, ისე ისმის ამ ლექსში — „მზე შინა და მზე გარეთა“: „რაც კია ჩვენთვის: პური, წყალი, მიწა, ჰაერი, — მზემ გაიმეტა და გვისახსოვრა, რომ დედამიწის მლვრიე ჩრდილოდან გამოსულიყო კაცობრიობა... პურის თავთავი, ვაზის მტევანი — ასწიეთ მაღლა, როგორც მზის სხივი, ის ჩვენ გვეკუთვნის ყველას, უკლებლივ, აიღეთ ხელში მნათის მტევნები, რომ თქვენს სხეულში ჩაიღვაროს თბილი ნათელი და მწიფე ყანა — მზის სხივების ჩუმი შრიალი, შემოუშვით სახლში, ბეღელში“...

ბალათერ არაბულის პოეზიაზე, უფრო სრული წარმოდგენის შესაქმნელად მინდა მკითხველს მივუთითო ისეთ ლექსებზე, როგორიც არის: „დაბრუნება ბავშვობაში“, „ტერენტი გრანელი“, „ოდისევსის მოთქმა“, „ანტიკური ესკიზებიდან“, „თეთრი ზარები“ და სხვ. კითხულობ ამ წიგნს და გრძნობ რომ მართლაც საამოდ და თავისებური ხმით შრიალებენ ახალგაზრდა პოეტის გაზაფხულის ფოთლები.

ა. აროშიძე

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ